საწარმოო კლასტერების გამოყენება მეწარმეობის ორგანიზაციული მოდელების სახით ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოების ინოვაციურ განვითარებას სიახლეთა დანერგვაზე დანახარჯების შემცირების, მდგრადი ტექნოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა კავშირების შექმნის ხარჯზე მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს შორის. საბოლოო ჯამში ეს გაზრდის ქართული საწარმოების კონკურენტუნარიანობას უცხოურ ბაზრებზე.

კლასტერის, როგორც გარკვეულ ტერიტორიაზე მოქმედი ეკონომიკური კავშირის მქონე საწარმოების გაერთიანების ფენომენი, ჯერ კიდევ ხელოსნობის განვითარების პერიოდიდან არის ცნობილი. მაგრამ კლასტერული განვითარების, როგორც რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის დრაივერის, კონცეფციის განხილვა სამეცნიერო წრეების მიერ მხოლოდ XX საუკუნის ბოლო

წლებისთვის დაიწყო. საკუთარ ნაშრომში „ქვეყანათა კონკურენტული უპირატესობა“, რომელიც 1990 წელს გამოიცა, მაიკლ პორტერმა კლასტერის შინაარსი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: კლასტერი - ეს არის გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული მიმწოდებლების, შესაბამისი დარგების ფირმათა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების დაჯგუფება, რომლებიც იმყოფებიან კონკურენციაში, მაგრამ ამავე დროს ერთობლივად მუშაობენ.

სრულიად ვეთანხმებით პორტერისეულ განმარტებას, თუმცა დავსძენთ, რომ იგი ეყრდნობა კლასტერის, როგორც ეკონომიკური მოვლენის მხოლოდ ენდოგენურ (შინაგან) ბუნებას. კლასტერად გაერთიანებული კომპანიების ჯგუფის შექმნა ზემდგომის ბრძანების მიხედვით არ შეიძლება. მისი წარმოქმნა მხოლოდ ბუნებრივი გზითაა შესაძლებელი, ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად. ამასთან, კლასტერული მიდგომების განვითარება ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა თუ სფეროში პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთქმედების ეფექტიანობასთან.

ჩვენი აზრით, ცნება „საწარმოო კლასტერი“ შემდეგნაირად უნდა იქნას განმარტებული: ***ეს არის ქვეყნის ერთ ან რამდენიმე რეგიონში განთავსებული მრეწველი სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ტერიტორიული სიახლოვისა და ფუნქციური დამოკიდებულების საფუძველზე.***

ჩვენი აზრით, ეს განმარტება ასახავს კლასტერის, როგორც ეკონომიკური მოვლენის, ძირითად თავისებურებებს, რაც შემდეგში მდგომარეობს:

1) მსხვილი ლიდერი-საწარმოების არსებობა, რომლებიც მსგავს პროდუქციას უშვებენ და განსაზღვრავენ გრძელვადიან პროგნოზირებად სამეურნეო, საწარმოო და სხვა სტრატეგიას, ანუ წარმოადგენენ მოცემული ლოკალური სისტემის ინსტიტუციას;
2) კლასტერის მონაწილე საწარმოთა სამეურნეო კავშირების მდგრადობა და პროგნოზირებადობა;
3) საწარმოო პროგრამების, ინოვაციური ამოცანების, მართვისა და კონტროლის არსებული სისტემების საფუძველზე კლასტერში მონაწილე საწარმოთა ქმედებების გრძელვადიანი დაგეგმვა და კოორდინირება.

მიუხედავად კლასტერების მრავალი დადებითი მხარისა, ჩვენი აზრით, აუცილებელი ყურადღების გამახვილებას მის კონკრეტულ უარყოფით ასპექტებზე. მეწარმეობის ორგანიზაციის კლასტერული სისტემის ნეგატიურ მხარედ მივიჩნევთ ბაზრის მონოპოლიზაციის ტენდენციებს. განვმარტავთ ჩვენს აზრს:

1. მსხვილ კლასტერული გაერთიანება შესაძლოა, განხილულ იქნას როგორც კონკურენციაში მყოფი სუბიექტების ჯგუფი, ამდენად ანტიმონოპოლიური აკრძალვები მას აღარ შეეხება;
2. და პირიქით, - თუ კლასტერში შემავალი მონაწილეები მიჩნეულ იქნება ბაზარზე დომინირებადი პოზიციის მქონე საწარმოებად, მაშინ ანტიმონოპოლიური და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან ისინი შეიძლება იქცნენ განსაკუთრებული ყურადღების ობიექტებად, ანუ განიცადონ ძლიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წნეხი, რაც, ჩვენი აზრით, ვერ შეუწყობს ხელს კლასტერისა და მასში შემავალი სუბიექტების ეკონომიკურ განვითარებას.

მიგვაჩნია, რომ კლასტერში შემავალი მცირე საწარმოები, რომლებიც ვერ მიიღებენ რაიმე კონკურენტულ უპირატესობას კლასტერის მსხვილ კომპანიებთან შედარებით, არამედ შეიძლება დამარცხდნენ კიდეც მათთან ჭიდილში, მსხვილ ბიზნესთან გაერთიანების შედეგად უდავოდ იგებენ, ვინაიდან მატულობს მათი ეკონომიკური მდგრადობა.

კლასტერის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს: სამრეწველო საწარმოებს, სავაჭრო ორგანიზაციებს, სერვისულ საწარმოებს, მიმწოდებლებს, ფინანსურ და სადაზღვევო კომპანიებს, სამეცნიერ-კვლევით ინსტიტუციებს და ინოვაციურ საწარმოებს, მარკეტინგულ და საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა კომპანიებს. ნახატზე (1) წარმოვადგინეთ კლასტერული გაერთიანების შესაძლო მოდელი.

ნახატი 1. კლასტერის შესაძლო მოდელი (შედგენილია ავტორთ მიერ)




კლასტერები, როგორც რთული და მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური კატეგორია, უნდა ექვემდებარებოდეს სამეცნიერო კლასიფიკაციას სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. კლასტერების ძირითადი სახეების კლასიფიკაციის ჩვენეული ვარიანტი წარმოვადგინეთ ცხრილში (1).

ცხრილი 1. კლასტერების ძირითადი სახეები (შედგენილია ავტორთა მიერ)

| კლასიფიკაციის კრიტერიუმები | კლასტერების სახეები |
|---|---|
| დარგობრივი ნიშნით | მრეწველობის სხვადსხვა დარგში შექმნილი, სოფლის მეურნეობაში, საბანკო სფეროში და ა.შ. |
| კლასტერის ტიპით | მონოსაწარმოო - ხაზობრივი კლასტერი, ერთი ტექნოლოგიური ჯაჭვით;<br>დივერსიფიცირებული - ვერტიკალური ჯაჭვი, რომელიც შედგება თანმიმდევრული საფეხურების, აგრეთვე ძირითადი მოწყობილობებისა და სხვა რესურსების უზრუნველმყოფი დარგებისგან; |
| ტექნოლოგიური პარამეტრებით | კუსტარული, ინდუსტირული, ინოვაციური; |
| გაჩენის ხასიათით | ბუნებრივად, სტიქიური გზით ფორმირებული,<br>შეგნებულად, ხელოვნური გზით შექმნილი; |
| ფორმირებულობის ხარისხით | ფუნქციონირებადი (პირველადი რესურსის სრული გამოყენება, გასაღების საიმედო არხები);<br>მდგრადი (პირველადი რესურსის საფუძვლიანი გამოყენება, განაწილების გრძელვადიანი არხები);<br>ლატენტური (საჭირო რესურსები არსებობს, მაგრამ არ არის განვითარებული პარტნიორული და საინფორმაციო კავშირები, ხოლო გასაღების არხები შეიცავს რისკებს);<br>პოტენციური (მათში არის პოტენციალი, მაგრამ აკლია ბევრი მდგენელი, მაგალითად: კლასტერში შემავალ საწარმოებს შორის კავშირი საკმარისად არ არის განვითარებული). |

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის ისეთ მძლავრ მექანიზმთან ერთად, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება, აუცილებელია ყურადღების მიქცევა კლასტერების

შექმნისა და ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლების შექმნაზე, მათ შორის ინოვაციურ სფეროში. ჩვენი აზრით, კლასტერი წარმოადგენს მეურნე სუბიექტების გაერთიანების განსაკუთრებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას. ამასთანავე კლასტერი ჯერჯერობით არ არის აღიარებული იურიდიულ პირად, არამედ აღიქმება, როგორც ეკონომიკურად და იურიდიულად დამოუკიდებელი სუბიექტების გაერთიანება, რომელთა შორის ყალიბდება მდგრადი ეკონომიკური ურთიერთობები. ამის მიზეზად მივიჩნევთ კლასტერის მონაწილეებს შორის გაფორმებული შეთანხმების არარსებობას.

ვთვლით, რომ საქართველოში კლასტერული გაერთიანებების შექმნიდან მიღებული ეფექტი მიღწეულ იქნება მხოლოდ მეწარმეობისათვის ხელშემწყობი ინსტიტუციური გარემოს შექმნის შემდეგ, რომლის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მდგენელს სწორედ ქმედითი სამართლებრივი ველი წარმოადგენს. სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული კანონმდებლობა არ იძლევა კლასტერების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლის დადგენის საშუალებას და, საერთოდ, სამეწარმეო გაერთიანებების საქმიანობის რეგლამენტაცია დღეს სრულყოფილებისგან საკმაოდ შორს დგას.

სამეწარმეო გაერთიანების ქვეშ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში იგულისხმება იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ეკონომიკურად დაკავშირებული სუბიექტ-ორგანიზაციების ანდა ინდივიდუალური მეწარმე სუბიექტების გაერთიანება, რომლებიც ერთობლივად მონაწილეობენ სამეწარმეო საქმიანობაში შეთანხმებული მიზნების მისაღწევად. ასეთი გაერთიანება შეიძლება იქნას შექმნილი როგორც ნებაყოფლობით, ანუ მოლაპარაკების საფუძველზე, ასევე ერთი მონაწილის მიერ მეორეზე დამყარებული კონტროლის შედეგად.

როგორც წესი, ეკონომიკური კრიტერიუმებით გამოყოფენ მეწარმეთა გაერთიანების შემდეგ სახეებს: კონსორციუმი, კარტელი, კონგლომერატი, სინდიკატი, ჰოლდინგი და სხვა. ვთვლით, რომ აუცილებელია თითოეული გაერთიანებისა და მისი იურიდიული (ორგანიზაციულ-სამართლებ-რივი) ფორმის ეკონომკური საფუძვლის განსაკუთრებულად მკაფიო გამოყოფა, ანუ მეთოდოლო-გიურად გამართლებულად მიგვაჩნია საწარმოთა გაერთიანების ეკონომიკური მექანიზმების გამოყოფა. ამდენად, მივიჩნევთ, რომ ქართულ კანონმდებლობაში კლასტერი, როგორც დამოუკი-დებელი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი.

მეწარმეობის ორგანიზების კლასტერული მოდელის კვლევის დასასრულ შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობის პროცესში სხვადსხვა ფორმის მქონე სუბიექტთა ურთიერთქმედების კლასტერულ მოდელს გააჩნია როგორც ღირსებების, ასევე ნაკლოვანებებიც, საერთო ჯამში მოცემულ მოდელს დადებითი როლის შესრულება შეუძლია ქართული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანაში;
2. კლასტერების განვითარება ქართულ ბიზნეს-სტრუქტრებს მისცემს წარმოების ჯაჭვში საკუთარი ადგილისა და როლის ოპტიმიზაციის საშუალებას, რასაც გარდაუვლად მოყვება ამ უკანასკნელთა კონკურენტუნარიანობის მატება როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე;
3. კლასტერების ორგანიზების ეფექტიანობა შეუძლებელია შესაბამისი ეკონომიკურ-სამართლებრივი მოდელის შექმნის გარეშე. დღეს კლასტერები არსებობს და ენერგიულად ვითარდება როგორც ეკონომიკური მოვლენა, მაგრამ, ამავდროულად, მათი, როგორც მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, არსი ვერ პოვა ადეკვატური ასახვა ქართულ კანონმდებლობაში. კლასტერთან მიმართებაში შემუშავებულ უნდა იქნას მისი მონაწილე-საწარმოების შიდა ურთიერთქმედების განსაკუთრებული იურიდიული მოდელი, რაც ხელს შეუწყობს მისი, როგორც ეკონომიკური მოდელის, შემდგომ განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Шумпетер Й. Теория экономического развития: исследование предпринимательской прибыли, капитала, кредита, процентов и циклов конъюнктуры / Под общ. ред. А. Г. Милейковского. М.:

Прогресс, 1982. 455 с.
2. Шумпетер Й. Теория экономического развития. М.: Прогресс, 1982. -298 с
3. Якобе Д., Де Ман Л. Кластерная политика. Спб.: Нева. 1994. 289 с.
4. Янг Лоурен Э. Технопарки и кластеры фирм. К.: Перу, 1995. - 389с.
5. Dunning J, H, International Production and the Multinational Enterprise. I.; George Allen Unwin, 1981. 440 p.
6. Hatzichronoglou, T. (1196), «Globalization and Competitiveness: Relevant Indicators», OESD Science, Technology and Industry Working Papers, 1996/05, OESD Publishing. http//dx.doi.org/10.1787/885511061376
7. Lundvall B.A. The Learning Economy Challenges to Economic Perspectives on Markets, Frims and Technology / Edited by B. Johnson, K. Nielsen. I.: Edward Elgar, 2018. - P. 33-54.
8. Malizia, E. and Edward J. Fester. Understanding local economic development. New Brunswick, NJ: Center for Urban Policy Research, Rutgers University, 1999. - 530 p/
9. Porter, M. Competition. — M.: Williams, 2017.
10. Regional Clusters in Europe. Observatory of European SMEs, № 3, 2002. Luxembourg: Office Publications of the European Communities, 2017. 66 P
11. Rosenfeld S.A. Bringing Business Clusters into the Mainstream of Economic Development // European Planning Studies, Nr. 5, 1997. P. 3-23.

## Cluster as a Special Form for Organization of Entrepreneurship

***Anzor Abralava, Professor***
***Georgian Technical University***

***Tinatin Abralava, Professor***
***Georgian Technical University***

***Maia Chechelashvili, Associate Professor***
***Georgian Technical University***

**Summary**

The article discusses the economic content of existing clusters in the field of entrepreneurship and the possibility of their development in modern conditions in Georgia. In addition, the authors note the need to clarify the cluster in the legislation of Georgia, as a special legal form for creating a universal institutional environment and business development. The authors note that the development of clusters will increase the sustainability and competitiveness of the Georgian economy, attract foreign investment and deepen economic integration.

At the end of the study, the authors conclude that the development of clusters in Georgia is associated with the expected positive effects in regional economic policy and that the effectiveness of clusters is impossible without the formation of an appropriate economic and legal model. The authors believe that the cluster should be developed as a special legal model of the internal interaction of participating enterprises, which will contribute to the further development of the cluster as an economic model.

**Keywords**: cluster, cluster model associations, the classification of clusters, innovative territorial cluster.

## ბიზნესისა და ბუნებათსარგებლობის განვითარების ფაქტორები, პრიორიტეტული მიმართულებები და ფუნქციები

*აბრალავა ანზორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ფოდიაშვილი დავითი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობა მთლიანად ბიზნეს-საქმიანობის და მისი შესაბამისი საწარმოს პოტენციალის ორგანიზაციულ-მმართველობითი, მატერიალურ-ტექნიკური, საფინანსო-ეკონომიკური, ინფორმაციული და საკადრო ელემენტების განვითარების ახალ ეტაპს და უფრო მაღალ დონეს წარმოადგენს. ტრანსფორმაციული ეკონომიკის პირობებში ცალკეული გარეშე ეკოლოგიური ეფექტების ინტერნალიზაციის ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა ბიზნეს-საქმიანობის ახალი ორგანიზაციული მოდელის ჩამოყალიბება, რაც მას მისცემს შესაძლებლობას გადავიდეს ეკოლოგიურად დაბალანსებულ საზოგადოებრივ განვითარებაზე მდგრადი განვითარების ეროვნული კონცეფციის შესაბამისად.

რაციონალური ბუნებათსარგებლობა, როგორც ბიზნეს-საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, ეფუძნება წარმოებრივ-სამეურნეო და კომერციული საქმიანობის ეკოლოგიური დაბალანსებულობის პრინციპს, როგორც მეურნეობრიობის უალტერნატივო და ერთადერთ დასაშვებ ფორმას. ამასთან, ბუნებრივი გარემოს ასიმილაციური პოტენციალი განიხილება როგორც უნიკალური, სტრუქტურათწარმომქმნელი და პრიორიტეტული ბიზნეს-რესურსი გაფართოებული სასაქონლო აღწარმოებისათვის, აღნიშნული რესურსის მისაწვდომობა არის საწარმოს წარმოებრივ-ტექნოლოგიური სისტემების, წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონისა და კულტურის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების, პროდუქტის ხარისხის, კონკურენტული უპირატესობების, საინვესტიციო მიმზიდველობის, მთლიანად ბიზნეს-საქმიანობის შედეგიანობის, ეფექტისა და ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი პირობა.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-ბუნებათსარგებლობა, ორგანიზაციული მოდელი, საფინანსო-ეკონომიკური, ინფორმაციული, საკადრო ელემენტები, ტრანსფორმაციული ეკონომიკა, კომერციული საქმიანობა, საინვესტიციო მიმზიდველობა, ეფექტიანობა, ეკოლოგიური დაბალანსებულობის პრინციპი, ასიმილაციური პოტენციალი.

**ძირითადი ნაწილი**

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობა შეიძლება განვიხილოთ როგორც საწარმოს მისიის საფუძველი, ეფექტიანი მართვის ფილოსოფია, რომელიც უზრუნველყოფს:

- საქმიანობის ყველა მიმართულების - წარმოების, მატერიალური, ტექნიკური, ფინანსური, ინფორმაციული, ადამიანური რესურსების, არამატერიალური აქტივების, დოკუმენტბრუნვის, რისკების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას.
- პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით ფუნქციების შესრულების, რესურსების გამოყენების, მიღებული შემოსავლების, გაშვებული შესაძლებლობებისა და წარმოების ეკოლოგიზაციისა თუ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შედეგად მიღებული სარგებლის გამჭვირვალობას.
- ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის პროცესის ფორმალიზებასა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საქმიანი კომუნიკაციების მართვასა და განვითარებაში.

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობითი ურთიერთობები რეალიზდება გამჭოლი (ფუნქციათაშორისი), ურთიერთგანპირობებული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი პროცესების ქსელში, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ მოიცავს სხვადასხვა ადმინისტრაციული დაქვემდე-

ზარების სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას საწარმოს ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ზონაში ბუნებრივი გარემოს ასიმილაციური პოტენციალის აღწარმოებისა და ეკოლოგიური და ეკონომიკური განვითარების მიზნების მაქსიმალური დაბალანსებულობის, მკაცრი საბაზრო კონკურენციისა და გარეშე რეგულირების პირობებში ბიზნეს-საქმიანობის შედეგების, ეფექტებისა და ეფექტიანობის მიღწევისათვის.

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის განვითარება გულისხმობს სამი მსხვილი ბლოკის ურთიერთქმედებას. ესენია:

- *წარმოებრივი.* იგი მოიცავს ქვესისტემის ყველა ელემენტს, რომელიც განსაზღვრავს წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკურ დონეს - ტექნოლოგიებს, ნედლეულს, პროდუქტს, კადრებს, მართვის სისტემებს და ა.შ.
- *რესურსული.* მოიცავს ელემენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების საშუალებების ბრუნვის, აქტივების სტრუქტურისა და განაწილების, მოზიდული რესურსების ღირებულების საერთო მოცულობაში საკუთარი საშუალებების წილის ოპტიმიზებას.
- *საბაზრო.* მოიცავს საბაზრო ინფრასტრუქტურას, ბაზრის სახელმწიფო რეგულატორებს და ბაზრებზე ეკოლოგიურად კმარი პროდუქტების დაცვისა და საბაზრო მხარდაჭერის სისტემებს.

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს:

1. რესურსების მიზნობრივი ფონდების შექმნა საკუთარი საშუალებების ხარჯზე, წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის დინამიურად ამაღლებისა და ეკოლოგიური ლიკვიდურობის მიღწევის მიმართულებით მისი ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის.

2. ასორტიმენტული და ფასისმიერი პოლიტიკის ოპტიმიზაცია ბუნებათსარგებლობისთვის სასაქონლო ხაზებზე საბაზრო მოთხოვნის მისაწვდომობისა და სარგებლიანობის კორესპონდენციის ნიშნით.

3. სავაჭრო და გასაღების პოლიტიკის ინსტრუმენტების, ინფორმაციული მხარდაჭერისა და სამომხმარებლო ქცევაზე აქტიური ზემოქმედების მოწესრიგება და ოპტიმიზაცია.

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობითი ურთიერთობების გამოვლენის ძირითადი ფორმებია - უშუალოდ ბუნებისდაცვითი საქმიანობა, ეკოლოგიური მეწარმეობა, ეკოლოგიური კონსულტირება. დასახელებული ფორმების ფარგლებში შეიძლება მიმდინარეობდეს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი, ურთიერთდაკავშირებული მიკროპროცესები. მათ შორის ყველაზე მოთხოვნადია: ბუნებისდაცვითი საქმიანობა; რესურსაღდგენა; სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები, წარმოების და მოხმარების ნარჩენების გადამუშავება; ბუნებისდაცვითი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების არენდისა და ლიზინგის ორგანიზაცია; ურთიერთობათა განვითარება ეკოლოგიური დაზღვევის ბაზარზე; ეკოლოგიური კონსალტინგი და აუდიტი; საქონლის მწარმოებლებისა და პროდუქტების ინფორმაციული მხარდაჭრა; ეკოლოგიური განათლება, პროპაგანდა და პროფეიული კონსულტირება; ეკოლოგიური ლაბორატორიულ-ანალიტიკური კონტროლი და მონიტორინგი; ეკოლოგიური სერტიფიკაცია და მარკირება; შიდასაფირმო ეკოლოგიური ნორმირების სრულყოფა და ა.შ. ყოველი მიკროპროცესი თავისთვის კი არ არსებობს, არამედ ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს ორგანიზაციაში და ექვემდებარება კონტროლს.

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ფაქტორები. ცხადია, საბაზრო გარემოს გაურკვევლობა განაპირობებს სხვადასხვა დონის ფაქტორების ჯამურ მოქმედებას (ცხრილი1). ყველა ფაქტორი შეიძლება დავყოთ გარეგან და შინაგან ფაქტორებად, მათი გაგება ორიენტირებულია შექმნილი პროდუქტის სრულ აღრიცხვასა და ღირებულების ზუსტ გაანგარიშებაზე ფუნქციონალური და ეკოლოგიური სარგებლიანობის მახასიათებლების მიხედვით. ავტორის მოსაზრებით, ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის მდგრადობა შეიძლება დავახასიათოთ როგორც ეკონომიკური სისტემის უნარი - დაუბრუნდეს წონასწორულ (ოპტიმალურ), საწყის ან მასთან მიახლოებულ დადგენილ რეჟიმს რაიმე სახის ზემოქმედების შედეგად ამ რეჟიმიდან გამოსვლის შემდეგ. საბაზრო გარემოს (კონკურენციის) დამანგრეველი ზემოქმედების მაღალი ალბათობის პირობებში

მოთხოვნადია მართვის ადეკვატური მექანიზმი, რომელიც მოიცავს საბაზრო ურთიერთობებს და მძლავრ საზოგადოებრივ-სახელმწიფო რეგულატორებს (კონკურენტული პოზიციების დაცვა). მიზანშეწონილია აღინიშნოს ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ პარამეტრების სისტემაზე მოქმედ მდგრადი ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის სფეროს. აღნიშნული პარამეტრების დარღვევა იწვევს ეკოლოგიური არალიკვიდურობის (არამდგრადობის) მდგომარეობის ჩამოყალიბებას.

**ცხრილი 1. ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ფაქტორები**

| ფაქტორების ჯგუფი | ჯგუფის ფაქტორების ჩამონათვალი |
|---|---|
| 1. გარეშე (ზოგადი) | • ფასების დონე და თანაფარდობა სამომხმარებლო ბაზარზე<br>• მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი<br>• მოსახლეობის ფულადი შემოსავლები და მსყიდველობითუნარიანობა<br>• ბაზრის სახელმწიფო რეგულირება<br>• ეკოლოგიური განათლების ისტორიული ტრადიციები და დონე |
| 2. გარეშე (სპეციფიკური) | • ეროვნული და საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტები და ბუნებისდაცვითი კანონმდებლობა<br>• ფასების დონე და შესაბამისობა საუკეთესო ტექნოლოგიების ბაზარზე<br>• ბაზრის ინფრასტრუქტურის მიზნობრივი ელემენტების განვითარება: ნარჩენების ბირჟა, ეკოლოგიური დაზღვევა, აუდიტი, სერტიფიკაცია<br>• ინფორმაციული მხარდაჭერის მისაწვდომობა<br>• რაციონალური ბუნებათსარგებლობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის მამოტივირებელი ინსტრუმენტების ქმედითობა |
| 3. შინაგანი | • რესურსული შესაძლებლობები და შეზღუდვები<br>• ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ცენტრებისა და მიზნობრივი ეკოლოგიური მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ორგანიზაცია<br>• წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობები<br>• წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმები, ორგანიზაციული კულტურა, კადრების სწავლებისა და გადამზადების სისტემა<br>• შრომითი კაპიტალის ხარისხი<br>• საბაზრო კომუნიკაციების, საზედამხედველო ორგანოებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ეფექტიანობა |

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ფუნქციათა წრე, რომელთაც ასრულებს ბიზნეს-ბუნებათსარგებლობა.

- *წარმოებრივი.* ოპერატიული და გრძელვადიანი ღონისძიებების კომპლექსის განხორციელება პროდუქტის არამოთხოვნადობის რისკ-ფაქტორების პროფილაქტიკის, ნეიტრალიზაციის, გამორიცხვის მიზნით, წარმოების ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით. თანდათანობითი უწყვეტი ეკოლოგიური გაუმჯობესება. ეკოლოგიური რისკების ალბათობისა და მასშტაბების შემცირება, წარმოებისა და პროდუქტის ეკოლოგიზაციის მოთხოვნილი ნორმების მიღწევა.
- *ტექნოლოგიური.* მცირენარჩენიანი და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვა; ტექნოლოგიური დისციპლინის უზრუნველყოფა, მუშა მდგომარეობაში ბუნებისდაცვითი სისტემებისა და ნაგებობების შენარჩუნება. ნორმალურ სამუშაო პირობებში, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებსა და ავარიულ სიტუაციებში ბუნებრივი გარემოსა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ასიმილაციური პოტენციალის აღწარმოებისა და კონტროლის უზრუნველმყოფი სისტემებისა და საშუალებების მომზადება და შენარჩუნება.
- *მმართველობითი.* წარმოებისა და ორგანიზაციული კულტურის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის ძლიერი და სუსტი მხარეების, ეკოლოგიურად კმარი პროდუქტის პოზიციონირებასთან მიმართებით საბაზრო გარემოს საფრთხეებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და პროგნოზირება, ახალი ბიზნეს-პროდუქტების წარმოებრივი მისაწვდომობისა და კომერციული სარგებლიანობის შეფასება ეკოლოგიური სარგებლიანობის კრიტერიუმით. ეკოლოგიური ლიკვიდურობის, აუდიტის, პროგნოზირებისა და ბიუჯეტირების ანალიზის პროცე-

დურების ინტეგრაცია მმართველობითი, საგადასახადო, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, საფინანსო-ეკონომიკური ანალიზისა და კონტროლინგის მოქმედ საერთო სისტემაში.

- *სოციალური.* ეკოლოგიურად შეწონილი მოხმარების კულტურის ჩამოყალიბებისთვის ძალისხმევის აქტივიზაცია, პროდუქტის ეკოლოგიური საკმარისობის, როგორც შექმნილი პროდუქტის კონკურენტული უპირატესობის პოზიციონირება. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრაცია. რეგიონის ტერიტორიის, საქალაქო ლანდშაფტის ეკოლოგიური გაჯანსაღების ღონისძიებებში მონაწილეობა.




**ნახ. 1. ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის კონცეფციის ილუსტრაცია**

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის კონცეფციის განმარტებისადმი ავტორისეული მიდგომა ნაჩვენებია ნახ.1. სისტემადამზოგველ ცენტრად გვევლინება მიზანმიმართული შრომითი საქმიანობისა და ბუნებრივი გარემოს ასიმილაციური პოტენციალის გაფართოებული აღწარმოების პროცესში შექმნილი სიკეთის სარგებლიანობა. წარმოებაში ერთვება ბუნებრივი რესურსები, მ.შ. ასიმილაციური პოტენციალი. იქმნება სოციალურად მნიშვნელოვანი სასარგებლო პროდუქტი. ამასთან, მისი საერთო სარგებლიანობა მოიცავს ორ - ფუნქციურსა და ეკოლოგიურ მდგენელს. ფუნქციური სარგებლიანობა ცნობილია მომხმარებლისთვის, იგი გამოიხატება საქონლის უნარით - დააკმაყოფილოს კონკრეტული მოთხოვნილება განსაზღვრული ფუნქციების შესრულების გზით. ეკოლოგიური სარგებლიანობა გამოიხატება გარემოს ბუნებრივი დონის შენარჩუნების უნარით პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ფაზაზე. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის პირობებში ეკოლოგიური სარგებლიანობა ზემოქმედებს საბაზრო მოთხოვნაზე და განსაზღვრავს საწარმოს კონკრეტულ სტატუსს. ჩართული წარმოების ფაქტორების ღირებულება ქმნის პროდუქტის სამომხმარებლო ღირებულებას. ჩნდება პროდუქტის ღირებულებაში ასიმილაციური პოტენციალის გაფართოებული აღწარმოებისთვის დამატებითი ხარჯების გაწევის გადაუდებელი აუცილებლობა. ამგვარად იქმნება პროდუქტის სრული ღირებულება ეკონომიკის ეკოლოგიზაციის პირობებში. ეკოლოგიზაციის შედეგები ვლინდება ერთეულ პროდუქტზე გაანგარიშებით დაბინძურების მოცულობის შემცირებაში, ნარჩენების გადამუშავებასა და კონკრეტულ საწარმოში სიტუაციის განუხრელ ეკოლოგიურ გაუმჯობესებაში. აღნიშნული შედეგები წარმოქმნის მრავალფეროვან ეფექტებს.

ავტორის მოსაზრებით, თანამედროვე ცივილიზებული ბაზარი არის საზოგადოებრივი მეურნეობრიობის ფორმების ორგანიზაციისა და შერჩევის საშუალება პირველ რიგში ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმით, როცა საქონელბრუნვის პროცესში საბოლოო აღიარებას ჰპოვებს შრომის ის საზოგადოებრივი დანახარჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიოსფეროს ასიმილაციური პოტენციალის აღწარმოებასა და შენარჩუნებას.

**დასკვნა**

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობა გულისხმობს მართვის ხარისხის სისტემების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, სამრეწველო პროდუქტის რაოდენობრივად გაზომვადი და კონტროლირებადი თვისებრივი მახასიათებლების დაზუსტებას მისი ეკოლოგიური სარგებლი-ანობის კრიტერიუმის მიხედვით, მუდმივ საფუძველზე ბუნებისდაცვითი საქმიანობის რესურსულ უზრუნველყოფას, პროდუქტის ფასში ასიმილაციური პოტენციალის აღწარმოების დანახარჯების აღრიცხვას, თანამედროვე ინფორმაციულ უზრუნველყოფას და საზოგადოებასთან ეფექტიან კავშირს.

ბიზნეს-ბუნებათსარგებლობის კონცეფცია გულისხმობს ეკოლოგიურად დაბალანსებული საზოგადოებრივი წარმოების დარგობრივი, დარგთაშორისი, რეგიონული, რეგიონთაშორისი პროპორციების სახელმწიფო რეგულირებას და იმ ინიციატივიანი, პასუხისმგებლობის მქონე საქონლის მწარმოებელ-ბუნებათმოსარგებლეების ფართო დამოუკიდებლობას, რომლებიც მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმების მეშვეობით აკმაყოფილებენ ეკოლოგიური სარგებლიანობის აღწარმოებაზე მოთხოვნილებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Calenbach E., Capra F., Goldman L. P., Marburg S. Ecomenegement.-San-Francisco. Better Kochler publishers, 1993.-187 p.
2. Hilson G, Pollution prevention and cleaner production in the mining industry an analysis ofcurrent issues // Journal of Cleaner Production.200, №8. P.I 19-126.
3. Maslow A.H. A Theory of Human Motivation // Psychological Review.1943. №50. P. 370-396.
4. 4.Mele D. Corporate social responsibility in Spain. Working Paper No. 543, IESE business school. University of Navarra Marc? 2004 P. 23-27.
5. Peattie R. Green Marketing. - London: Pitman Publishing, 1992. - 284 p.
6. Utting P. Busiiness Responsibility for Sustainable Development. UNRISD. 2000 P. 67.
7. Zadec S. Exploring the Business Case. Ethical Софоration, May, 2002, P.23


## Business Natural Use Development Factors


***Anzor Abralava, Professor***
***Georgian Technical University***

***David Podiashvili, PhD student***
***Georgian Technical University***



**Summary**

Business-Natural Using is Completely represents a new stage and a higher level of Organizational-management of business activity and its relevant enterprise potential, Material-technical, financial-economic, informative and personnel development. In the conditions of transformational economies separately, To solve the task without the interaction of ecological effects, It is necessary to establish new organizational model of business activity. Which will enable it to move to ecologically balanced public development in accordance with the National Concept of Sustainable Development.

Rational nature using, as a part of business activity, based on the principle of ecological balancing of industrial and commercial activities, as a form of alteration and the only acceptable form of farming. At the same time, assimilation potential of the natural environment is considered as a unique, structured and prioritized business resource for expanded commodity reproductions. Accessibility of mentioned resource, is the most important condition of establishment of enterprise-technological systems of enterprise, organizational-technical level and culture of interconnected and mutual assessment criteria, product quality, competitive advantages, investment attractiveness, overall business performance, effectiveness and efficiency.

# საქართველოს ევროპული მისწრაფება და ეკონომიკური სტრატეგია

*ბაღათურია გიორგი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*მიხანაშვილი ზვიადი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

მოხსენებაში განხილულია საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყნის ევროინტეგრაციული პროცესების შესაბამისად. ივარაუდება, რომ როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, მაშინ ქვეყანაში დამყარდება პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკური კეთილდღეობა, სოციალური მშვიდობა, სრულყოფილად განვითარდება დემოკრატიული პროცესები და სხვა თანმდევი მოვლენები. იმისათვის, რომ ქვეყანა გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი და თანასწორი წევრი, მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი. ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკური ნების შემთხვევაშიც კი, მიიღონ საქართველო ევროკავშირში, ქვეყანა მაინც ჩამორჩენილი და ღარიბი იქნება, თუ მისი ეკონომიკა კვლავაც ტურიზმის, სატრანზიტო დერეფნისა და ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხების იმედად იქნება და არ განავითარებს მრეწველობასა და ახალ ტექნოლოგიებს. სწორედ ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება.

საკვანძო სიტყვები. საქართველოს ეკონომიკა; ეკონომიკური სტრატეგია; ევროინტეგრაცია; მშპ; მრეწველობა; ახალი ტექნოლოგიები.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიული არჩევანია. საქართველოში თვლიან, რომ მიუხედავად გარკვეული ჩამორჩენისა ევროპული ღირებულებების თვალსაზრისით, მაინც თვით საქართველოს მისწრაფება ევროპისკენ უკვე იძლევა საქართველოს ევროპელობის გარკვეულ ფუნდამენტურ დასაბუთებას. მითუმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ საქართველსო მთელი განვლილი ისტორია, კულტურა, ადამიანთა ფსიქოტიპი სწორედაც რომ ევროპულია[1],[2]. თავისი ბუნებრივი განვითარებით საქართველო ტიპიური ევროპული ცნობიერების მატარებელი ქვეყანაა, მეორე მხრივ, რეალურად საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქართველო და ქართული საზოგადოება იპოვის ევროპელობას საკუთარ თავში. თუმცა ეს არის ევროპული ინტეგრაციის სურვილის პოლიტიკური მდგენელი. ივარაუდება, რომ როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, მაშინ ქვეყანაში დამყარდება პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკური კეთილდღეობა, სოციალური მშვიდობა, სრულყოფილად განვითარდება დემოკრატიული პროცესები და სხვა თანმდევი მოვლენები. მაგრამ იმისათვის, რომ ქვეყანა გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი და თანასწორი წევრი, მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი. ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკური ნების შემთხვევაშიც კი, მიიღონ საქართველო ევროკავშირში, ქვეყანა მაინც ჩამორჩენილი და ღარიბი იქნება, თუ მისი ეკონომიკა კვლავაც ტურიზმის, სატრანზიტო დერეფნისა და ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხებით შექმნილი მსგავსი ე.წ. ეკონომიკის იმედად იქნება და არ განავითარებს მრეწველობასა და ახალ ტექნოლოგიებს ანუ ისეთ მიმართულებებს, რომლებმაც შექმნეს მდიდარი და ძლიერი ევროპა.

---

[1] Bagaturia O. (2015), What Makes Georgia the European Country and Why Being "European" Matters. 10th International Silk Road Conference. Tbilisi

[2] გიორგი ბაღათურია, ზვიად მიხანაშვილი. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორიული წანამძღვრები. „ხელისუფლება და საზოგადოება" No 1 (49) 2019, ტომი I.

**მცირე წარმატებული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა**

განვიხილოთ ევროპის იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, რომლებსაც შესაძლებელია შევადაროთ საქართველო. ცხადია ისეთ მდიდარ და ძლიერ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია თუნდაც ესპანეთი და იტალია, საქართველოს შედარება აბსურდია. უპრიანია განვიხილოთ საქართველოსავით ტერიტორიულად პატარა და შედარებით მცირე მოსახლეობის მქონე (7 მილიონამდე და უფრო მცირე ოდენობის მოსახლეობა) პოსტსოციალისტური ქვეყნები. ასეთი ქვეყნებია ბალტიის სახელმწიფოები - ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, რომლებიც სულ ახლახანს „მოძმე" საბჭოთა რესპუბლიკები იყვნენ, ასევე შესადარებლად შეიძლება განვიხილოთ ყოფილი იუგოსლავიის პატარა სახელმწიფოები: ხორვატია, მონტენეგრო, სლოვენია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ჩრდილოეთი მაკედონია, აგრეთვე სლოვაკეთი, და ბულგარეთი. ალბანეთთან შედარება თითქოს წარმოუდგენლად გვეჩვენება, მაგრამ აქაც კი სურათი საქართველოსთვის არასახარბიელოა[1]. (იხ. ცხრილი 1).

როგორც ვხედავთ, საქართველო ამ ქვეყნებთან შედარებითაც მშპ-ის მიხედვით ბოლო ადგილზეა. აღარაფერს ვიტყვით ისეთ პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებზე როგორიც არის პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი. დასავლეთი ეროპის ქვეყნებს საერთოს ნურც შევეხებით იმდენად დიდია ეკონომიკური განსხვავებაა.

მოყვანილ სიაშიც არის ქვეყნები, რომლებსაც არც თუ ისე დიდი მშპ აქვთ (თუმცა საქა-რთველოზე მეტი მაინც არის): ბოსნია და ჰერცეგოვინა, ალბანეთი, ჩრდ. მაკედონია. მაგრამ ჩვენს ასეთ ქვეყნებს ხომ თავსაც არ ვუყადრებით სულ ახლო წარსულში. სხვა დანარჩენ ქვეყნებს კი მშპ ერთ სულ მოსახლეზე ჩვენთან შედარებით 5-6 ჯერ მეტი აქვთ (ბულგარეთს აქვს „მხოლოდ" 2-ჯერ მეტი). სხვა ქვეყნების წარმატებები კი სრულიად განსაცვიფრებელია, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის გარდაქმნის ტკივილიც განიცადეს, კრიზისული ვითარებაც შეეხოთ, სამოქალაქო ომიც გადაიტანეს, ყოფილი იმპერიის მტრული პოლიტიკაც იწვნიეს.

რა არის ამ ქვეყნების სიმდიდრის ეკონომიკური საფუძველი, როდესაც მათ არა აქვთ რაიმე მნიშვნელოვანი წიაღისეული? (ნედლეულის ვაჭრობაზე დამოკიდებული ზარმაცი ხალხის ოცნება). როგორია დღეს მათი წარმატებული ეკონომიკის სტრუქტურა? როგორი არის მათი საქმიანობა, რას აკეთებენ ამ ქვეყნებში ასეთ გამორჩეულს? როგორც ქვემოთ ვნახავთ - არაფერს განსაკუთრებულს.

*ცხრილი 1. ევროპის პატარა ქვეყნების მშპ (ნომინალური)*

| ქვეყანა | მოსახლეობა 2019 | მშპ (IMF) აშშ დოლარი | მშპ 1 სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი |
|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6,988,739 | 68,490 | $9,800 |
| სლოვაკეთი | 5,450,987 | 119,875 | $21,991 |
| ხორვატია | 4,140,148 | 63,810 | $15,412 |
| **საქართველო** | **3,904,204** | **17,433** | **$4,465** |
| ბოსნია და ჰერცეგოვინა | 3,501,774 | 21,502 | $6,140 |
| ალბანეთი | 2,938,428 | 16,146 | $5,495 |

[1] *World Population Review. GDP by Country 2019.*http://worldpopulationreview.com/countries/countries-by-gdp/

| ქვეყანა | მოსახლეობა 2019 | მშპ (IMF) აშშ დოლარი | მშპ 1 სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი |
|---|---|---|---|
| ლიეტუვა | 2,864,459 | 58,215 | $20,323 |
| ჩრდ.მაკედონია | 2,086,720 | 13,904 | $6,663 |
| სლოვენია | 2,081,900 | 60,638 | $29,126 |
| ლატვია | 1,911,108 | 38,621 | $20,209 |
| ესტონეთი | 1,303,798 | 33,267 | $25,515 |

**სლოვაკეთი**[1]. 90-იანი წლების განმავლობაში სლოვაკეთში წარმატებით განხორციელდა ეკონომიკის რეორგანიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. განხორციელდა სტრუქტურული რეფორმები, რამაც მოიზიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

სლოვაკეთის ეკონომიკის საფუძველი დღეს საავტომობილო ინდუსტრიაა. სლოვაკეთი ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში ყველაზე მეტ ავტომობილს აწარმოებს. (აქ იწარმოება ფოლკსვაგენი და კია მოტორსი ) ასევე ძლიერია ელექტრო ინდუსტრია, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურება. სლოვაკეთის ეკონომიკა საკმაოდ ღიაა და ექსპორტზეა ორიენტირებული, ძირითადად ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე საექსპორტო მოცულობა წარმოდგენილია, პირველ რიგში, საავტომობილო და ელექტროტექნიკური მრეწველობით. ახალი ტექნოლოგიების წყალობით სულ უფრო ვითარდება ელექტროტექნიკური ინდუსტრია. ასევე მნიშვნელოვანია ტრადიციული მრეწველობა (საინჟინრო, ქიმიური, ელექტრო, ხის და გადამამუშავებელი), იზრდება დიდი დამატებითი ღირებულების მქონე სექტორები - საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურება და სერვის ცენტრები. სლოვაკეთშია დამუშავებული ESET- ის ანტივირუსული პროგრამა, რომელიც ამჟამად მსოფლიოს 180-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი.

**ხორვატია**[2]. ხორვატიაში, ეკონომიკის მთავარი მომგებიანი დარგია მომსახურების სექტორი (მშპ-ს წლიური წილის 70%). ხორვატიის უმდიდრესი ფლორისა და ფაუნის წყალობით მნიშვნე-ლოვანია ტურიზმის წილიც, ქვეყანა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ეკოლოგიურად სუფთაა. სერვისის სექტორში დასაქმებულია მოქალაქეთა დაახლოებით 70%. შემდეგი ადგილი უკავია მრეწველობას და მხოლოდ 5% ჩართული სოფლის მეურნეობაში. დიდი მნიშვნელობა აქვს თევზის მრეწველობას. ქვეყანაში ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი 19 ქარხანაა. საკვები პროდუქტების, სასმელების და თამბაქოს ნაწარმის წარმოება მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 22% შეადგენს. ექსპორტის გაზრდა, ახალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება, პროცესების ავტომატიზირება და ახალი სტანდარტების დანერგვა არის ხორვატიის ინდუსტრიული სექტორის განვითარების საფუძველი - ეს არის საწარმოო პროდუქტები, რომლებიც შეადგენს ექსპორტის მთლიანი რაოდენობის 95% -ს. როგორც ადრე, მექანიკური და მაღალი ხარისხის გემთმშენებელი, ქიმიური, ტექსტილის და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის მრეწველობის წამყვანი მიმართულებებია. გავრცელებულია აგრე-თვე ელექტრონული, ფარმაცევტული და ნავთობპროდუქტების საქმიანობის სფერო (თუმცა ქვეყანაში ძალიან ცოტაა ნავთობისა და გაზის საბადოები). ხორვატიაში მოქმედებს ცნობილი კომპანიები, ავეჯის ქარხნები და კვების მრეწველობა. ხორვატიაში განვითარებულია მაღალი ხარისხის სატრან-სპორტო სისტემა. გზის ზედაპირი ერთ-ერთ საუკეთესოა ევროპაში. აქტიურად ვითარდება სარკინიგზო ქსელები. ამ ეტაპზე ქვეყნის პრიორიტეტია სატრანსპორტო კავშირების გაფართოება რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

[1] *Slovakia's story of economic success.* https://spectator.sme.sk/c/20766934/slovakias-story-of-economic-success.html
[2] Croatia. https://www.heritage.org/index/country/croatia

**სლოვენია**[1]. სლოვენიის ეკონომიკაში ყველაზე მსხვილი წილი მომსახურების სფეროს (მ.შ. ტურიზმს) ეკუთვნისა. მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 64%. სამრეწველო სექტორის პროდუქცია შეადგენს მშპ-ის დაახლოებით 26%, მშენებლობა 8% და სოფლის მეურნეობა 2%. მრეწველობაში ყველაზე მნიშვნელოვანია მეტალურგია, საავტომობილო მრეწველობა, ელექტრო მოწყობილობების წარმოება, საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ტექსტილის მრეწველობა, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება. აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებს შორის სლოვენიაში ყველაზე დაბალი გადასახადებია.

**ლატვია**[2]. ლატვიის მშპ-ის ძირითადი მდგენელებია: მომსახურება - 39%, ვაჭრობა - 22%, მრეწველობა - 15%, ტრანსპორტი და კომუნიკაცია - 13%, მშენებლობა - 7%, სოფლის მეურნეობა - 4%. განვიტარებუოი გადამამუსავებელი მრეწველობა, კვების მრეწველობა (დიდი წილი - ექსპორტი რუსეთში). ექსპორტში დიდი წილია აქვს აგრეთვე ხის გადამამუშავებელ, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქციას.

**ლიეტუვა**[3]. ლიეტუვა საწარმოო აგრარული ეკონომიკის ქვეყანაა. ეკონომიკაში წამყვან როლს თამაშობს ინდუსტრიის განვითარება, ამ სფეროს მოგება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტს შეადგენს. სოფლის მეურნეობა დაახლოებით 25% -ს შეადგენს. ასევე დიდი წვლილი შეაქვს მშპ-ში სამშენებლო და სატრანსპორტო სექტორებს, მომსახურების სფეროსა და სხვა საქმიანობას. მრეწველობაში ველაზე პროდუქტიული სექტორებია კვებისა და ქიმიური მრეწველობის, ასევე საინჟინრო, ხის, წარმოების სამშენებლო მასალები და დანადგარები.

**ესტონეთი**[4]. ესტონეთი ერთ-ერთ ყველაზე სტაბილური ქვეყანაა, რომელმაც ეკონომიკური კრიზისის პერიდებში აჩვენა სწორი ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში (განსაკუთრებით მცირე სექტორის განვითარებაში). ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით, ქვეყანა ერთ-ერთი საუკეთესოა

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ქვეყნების როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის, ისე პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა მათი ევროკავშირში და ნატო-ში გაწევრება, რამაც გააძლიერა ინვესტორების შემოსვლა ამ ქვეყნებში.

**დასკვნა**

როგორც ზემოთ მოყვანილი მცრე ანალიზიდან ჩანს, ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობას დიდწილად განსაზღვრავს სწორი ფისკალური პოლიტიკა და მრეწველობის დარგების განვითარება. ზედაპირული ანალიზიდანაც ჩანს, რომ საქართველოს თავისუფლად შეუძლია ეკონომიკის ანალოგიური გზებით განვთარება. მითუმეტეს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქვეყანაში არსებობდა მსგავსი დარგების საკმაოდ კარგად განვითარებული საწარმოები. თუმცა, პოსტსოციალისტური ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებმაც შეინარჩუნეს და განავითარეს ადრე არსებული სიმძლავრეები, ჩვეთან სხვაგვარი პროცესები წარიმართა.

მცირე ქვეყნებისთვის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნატო-სა და ევროკავშირის წევრობა, რაც განაპირობებს პოლიტიკურ სტაბილურობას, გარეშე საფრთხიდან თავდაცვას და წინაპირობას ქნის მშვიდობიანი ეკონომიკური განვითარებისთვის.

აღნიშნულიდან უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიაც, სადაც პრიორიტეტი ტურიზმი და სატრანზიტო დერეფანი კი არ იქნება, არამედ მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, მანქანათმშენებლობის, გადამამუშვებელი წარმოების განვითარება, მ.შ, ხის გადამამუშავებელი წარმოების და არა ნედლეულად ტყის გაყიდვა. მითუმეტეს, რომ საქართველოში არსებობს ასეთი განვითარების შესაძლებლობა ვინაიდან ჯერ კიდევ არსებობს სათანადო გამოცდილება და ინტელექტუალური პოტენციალი. ყოველივე ამას კი უნდა აგვირგვინებდეს მაღალი

---

[1] Slovenia. https://www.heritage.org/index/country/slovenia
[2] Latvia. https://www.heritage.org/index/country/latvia
[3] Lithuania. https://www.heritage.org/index/country/lithuania
[4] Estonia. https://www.heritage.org/index/country/estonia

შრომითი კულტურა და დისციპლინა, რაც მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი თუ ხელისუფლება გაატარებს სათანადო მიზანმიმართულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

**ლიტერატურა**


1. Bagaturia O. (2015), What Makes Georgia the European Country and Why Being "European" Matters. 10th International Silk Road Conference. Tbilisi
2. Croatia. https://www.heritage.org/index/country/croatia
3. Estonia. https://www.heritage.org/index/country/estonia
4. Latvia. https://www.heritage.org/index/country/latvia
5. Lithuania. https://www.heritage.org/index/country/lithuania
6. Slovakia's story of economic success. https://spectator.sme.sk/c/20766934/slovakias-story-of-economic-success.html
7. Slovenia. https://www.heritage.org/index/country/slovenia
8. World Population Review. GDP by Country 2019. http://worldpopulationreview.com/countries/countries-by-gdp/
9. ბაღათურია გიორგი, მიხანაშვილი ზვიად. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორიული წანამძღვრები. „ხელისუფლება და საზოგადოება" No 1 (49) 2019, ტომი I.


**Georgia's European aspiration and economic strategy**


***Girogi Bagaturia, Professor***
***Georgian Technical University***

***Zviad Mikhanashvili, PhD student***
***Georgian Technical University***



## Summary

The report deals with the issues of economic strategy of Georgia, which should be taken into account in accordance with the country's European integration processes. It is assumed that when Georgia becomes EU member political stability, economic well-being, social peace will be established in the country, perfect democratic processes will be developed and etc.. In order to become a full-fledged and equal EU member, the desire is not enough. Even EU's political will to become Georgia, the country will stay backward and poor if its economy will still based on the tourism, transit corridor and private transfers of emigrants and will not develop industry and new technologies. This is the only right direction of Georgia's economic strategy.



Keywords. Economy of Georgia Economic strategy; Euro integration; GDP; Industry; new technologies.

## გამონაბოლქვი აირის რეცირკულირების სისტემის დანიშნულება

*ბაბლუანი მაკრინე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

შიდა წვის ძრავების ცილინდრებში, საწვავის წვის დროს, წარმოიქმნება მრავალი ტოქსიკური ნივთიერება, განსაკუთრებით მავნებელია აზოტის ოქსიდები. ამ ნივთიერებების კონცენტრაციის შემცირების ერთ-ერთი საშუალებაა - ძრავის გამონაბოლქვის სისტემაში კატალიზური გამანეიტრალებლის გამოყენება. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი გზა, ატმოსფეროში აზოტის ოქსიდების ემისიების შესამცირებლად. კერძოდ, წვის რეზერვუარში, საწვავისა და ჰაერის ნარევის წვის რეჟიმის შეცვლა.

ამჟამად, შიდა წვის ძრავების ეკოლოგიურობა ერთ-ერთი პრიორიტეტული ფაქტორია და გავლენას ახდენს ძრავების კონსტრუქციაზე. მავნე გამონაბოლქვის კონცენტრაციის შესამცირებლად, კატალიზური ნეიტრალიზატორები გამოიყენება. წვის კამერისა და ძრავის დიზაინის ფორმაზეა ასევე დამოკიდებული შიდა წვის ძრავის ეკოლოგიური უსაფრთხოებაც. უკვე დიდი ხანია, აზოტის ოქსიდების შემცველობის შესასუსტებლად გამონაბოლქვი აირის რეცირკულაციის სისტემის გამოყენებას მიმართავენ.

აზოტის ოქსიდები წარმოიქმნება შიდა წვის ძრავის წვის რეზერვუარში, მაღალ ტემპერატურაზე, აზოტისა და ჟანგბადის რეაქციისას, ხოლო რაც მეტია ტემპერატურა, მით უფრო აქტიურად მიმდინარეობს აზოტის ჟანგვის პროცესი. ამიტომ, პრობლემის გადაჭრის უმარტივესი გზაა, გარკვეულწილად შემცირდეს საწვავისა და ჰაერის ნარევის წვის ტემპერატურა, ცილინდრებში. ამ მიზნის მიღწევა ხდება გამონაბოლქვის გაზის რეცირკულაციის საშუალებით, ანუ გარკვეული რაოდენობის გამონაბოლქვი აირის, საწვავის ახალ პორციასთან ერთად, ცილინდრში დაბრუნებით.[1]

საკვანძო სიტყვები: რეცირკულაცია, გამონაბოლქვი აირები, რეცირკულაციის სისტემა.

**ძირითადი ტექსტი**

ძრავის გამონაბოლქვის აირი პირობითად ინერტულია, რადგანაც წვის პროდუქტს წარმოადგენს და ამიტომ აღარ განიცდის წვას. აქედან გამომდინარე, საწვავისა და ჰაერის მასასთან გამონაბოლქვი აირის მიერთება ამცირებს წვის მაქსიმალურ ტემპერატურას. რაც, თავის მხრივ, ამცირებს აზოტის ოქსიდების ფორმირების აქტივობას.

აღნიშნული მეთოდი იწვევს ძრავის სიმძლავრის უმნიშვნელო შემცირებას, და პრაქტიკულად არ აისახება თანამედროვე ძრავების სიმძლავრეზე.[2] ამგვარად, გამონაბოლქვი აირის რეცირკულაციის სისტემა (EGR — Exhaust Gas Recirculation - გამონაბოლქვი აირის რეცირკულაცია), ამცირებს ძრავის გამონაბოლქვის ტოქსიურ ემისიებს, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ეკოლოგიურ მაჩვენებლებს. რეცირკულაციის სისტემა წარმატებით მუშაობს ბენზინისა და დიზელის ძრავებზე და არ გამოიყენება მხოლოდ ტურბოკომპრესორის ძრავებში.

დიზელის გამონაბოლქვი ერთ-ერთი მწვავე საკითხია, რომელიც მოგვარებას საჭიროებს. დიზელის ხარისხს განსაზღვრავს ცეტანის რიცხვი. რაც უფრო მაღალია ცეტანის რიცხვი, მით უფრო აქროლადია დიზელი. ამჟამად ფართოდ გამოიყენება ნაკლები გოგირდის შემცველი დიზელი, რომელიც შეიცავს 50 მგ/კგ-ზე გოგირდს (LSD) და ულტრა ნაკლები გოგირდის შემცველი დიზელი, რომელიც შეიცავს 15- 10 მგ/კგ გოგირდს (ULSD). ეს უკანასკნელი გამოიყენება მობილური ტრანსპორტისათვის აშში, კანადაში და ევროპის უმრავლეს ქვეყნებში. ამ საწვავში გოგირდის შემცველობა 15 მგ/კგმდეა.[3]

---

[1] **Вахламов В. К. Автомобили. Теория и конструкция автомобиля и двигателя : / В. К.**
[2] **Вахламов, М. Г. Шатров, А. А. Юрчевский; Под ред. А. А. Юрчевского. — Москва : Академия, 2013**
[3] დიზელის როლი ჰაერის დაბინძურებაში და მისი უარყოფითი შედეგების შემცირების გზები ტრანსპორტის სფეროში. თბილისი, 2018

მაღალი წნევის EGR მონტაჟდება დიზელის ძრავებზე,[1] რომლებიც აკმაყოფილებენ ევრო 4-ის მოთხოვნებს. დასაშვები აზოტის ოქსიდის შემცველობა, ამ მოთხოვნების შესაბამისად, არ უნდა აღემატებოდეს 0.25გ / კმ.-ს. ხოლო, დიზელის ძრავებში, რომლებიც შეესაბამება ევრო 5 სტანდარტს, გამონაბოლქვ აირებში აზოტის ოქსიდის დონე არ უნდა აღემატებოდეს 0.18 გ / კმ-ს მაჩვენებელს. ასეთი ძრავებში გამოიყენება დაბალი წნევის EGR სისტემა. ამ სისტემის მახასიათებელია ის, რომ გამონაბოლქვი აირები დიზელის ძრავის ჭვარტლის ფილტრის გავლით გამოიდევნება. შემდეგ, გამონაბოლქვი აირი გადის რეცირკულაციის სისტემის რადიატორის კლაპანს, დამატებითი გაგრილებისთვის. დაბალი წნევის EGR სისტემა უზრუნველყოფს შემდეგ უპირატესობებს, კერძოდ ადგილი აქვს:

- ჭვარტლის ნაწილაკების შემცირებას;
- გამონაბოლქვი გაზის ტემპერატურის შემცირებას;
- გამონაბოლქვ აირებში, აზოტის ოქსიდების წილის მნიშვნელოვან შემცირებას.

დიზელის ძრავების გამონაბოლქვში, ევრო 6 სტანდარტის მიხედვით, აზოტის ოქსიდის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0.08 გ/კმ, კომბინირებულ რეცირკულაციის სისტემას იყენებენ. სისტემის თავისებურება გამოიხატება ორი მაგისტრალის გამოყენებაში, რომელთა მეშვეობითაც გამონაბოლქვი გაზის რეცირკულაცია ხდება. კომბინირებული EGR სისტემის ერთ-ერთი მაგისტრალი მაღალი წნევის მაგისტრალია, ხოლო მეორე - დაბალი წნევის.

**დასკვნა**

ამრიგად, გამონაბოლქვი აირების კონცენტრაციის შემცირებისას, ადგილი აქვს ძრავის სიმძლავრის შემცირებას, დიზაინის გართულებას და ძრავის წონის ზრდას. ასევე იცვლება საწვავის მოხმარებაც, ჰაერის ნაკლებობის გამო საწვავის წვის მომენტში, რეცირკულაციის სარქველის შიგნით ჭვარტლის ნადების გამო, შესაძლოა დაზიანდეს რეცირკულაციის სარქველი. მიუხედავად იმისა, რომ გამონაბოლქვის საწინააღმდეგო ზომების განსახორციელებლად მიღებულია „სუფთა ჰაერის აქტი" („Clean Air Act (CAA) 1970"), საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კომპლექსურ ღონისძიებებს და მიზნად ისახავს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას და 1975 წლიდან წარმოებულ ყველა ავტომობილს კატალიზური გადამრთველი უნდა ჰქონდეს,[2] ბევრი მწარმოებელი უარყოფს გამონაბოლქვი გაზის რეცირკულაციის სისტემის გამოყენებას ძრავებში, რაც უარყოფითად აისახება ეკოსისტემაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Вахламов В. К. Автомобили. Теория и конструкция автомобиля и двигателя : / В.
2. Шатров, А. Под ред. А. А. Юрчевского. — Москва : Академия, 2013
3. დიზელის როლი ჰაერის დაბინძურებაში და მისი უარყოფითი შედეგების შემცირების გზები ტრანსპორტის სფეროში. თბილისი, 2018
4. https://www.dieselforum.org/about-clean-diesel/what-is-clean-diesel
5. https://www.epa.gov/clean-air-act-overview
6. Vakhlamov V. K. Cars. Theory and design of the car and engine: / V.
7. Shatrov, A. Ed. A. A. Yurchevsky. - Moscow: Academy, 2013
8. Diesel's role in contamination of air and ways to reduce adverse effects in transport. Tbilisi, 2018
9. https://www.dieselforum.org/about-clean-diesel/what-is-clean-diesel


[1] https://www.dieselforum.org/about-clean-diesel/what-is-clean-diesel
[2] https://www.epa.gov/clean-air-act-overview

## Purpose of the exhaust gas recirculation system

***Makrine Babluani, PhD student***
***Georgian Technical University***

## Summary

During the combustion of fuel in the engine cylinders a lot of toxic substances are formed, the greatest danger of which is represented by various nitrogen oxides. One of the ways to reduce the amount of these substances is to install a catalytic converter in the engine exhaust system. However, there is another way to reduce emissions of nitrogen oxides in the atmosphere - to change the mode of combustion of the fuel-air mixture in the combustion chamber. Although the Clean Air Act (CAA) 1970 has been adopted for implementing anti-emissions measures, the legislative document comprises complex measures and aims to improve air quality and all vehicles manufactured since 1975 have a catalytic switch. Many manufacturers deny exhaust gas recycling confernces system of the engine, which has a negative impact on the ecosystem.

Keywords: recycling, waste gases, the internal combustion engine, the EGR valve.

# ეფექტური მომსახურების მნიშვნელობა საქართველოს ბიზნეს გარემოსთვის

*ბერიძე ლიკა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*კანაშვილი თამარი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სწრაფად მზარდი კონკურენციის გარემოში, კომპანიების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მუდმივად მოიპოვონ მომსახურების სფეროში მათთვის საჭირო უახლესი ინფორმაცია და შესაბამისი საჭირო კომპეტენციები, რათა უპასუხონ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ სწრაფად ცვალებად ბიზნეს მოთხოვნებს. პრაქტიკოსების უმეტესობა თანხმდება იმ ფაქტზე, რომ კომპანიები, რომლებსაც აქვთ მომხმარებლებისადმი ეფექტურად მომსახურების სტრატეგია, უკეთესად პოზიციონირებენ ბაზარზე, განსხვავებით მათგან, ვინც მნიშვნელობას არ ანიჭებს მომსახურების სტანდარტებს. კერძო სექტორის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მომხმარებელთა მოთხოვნის ეფექტურად დაკმაყოფილება, ძველი მომხმარებლების შენარჩუნება და ახლის მოზიდვა. ეფექტური მომსახურება და მისი სისტემური გაუმჯობესება ძალზედ მნიშვნელოვანია კერძო სექტორისთვის, რათა კომპანიამ შეინარჩუნოს მომხმარებლები და კონკურენციის პირობებშიც გაზარდოს მოგება.

საკვამო სიტყვები: ეფექტური მომსახურება, კერძო სექტორი, კონკურენცია

**ძირითადი ტექსტი**

უკანასკნელ წლებში საბაზრო ეკონომიკის სწრაფი განვითარების პარალელურად, მომსახურების სფეროს როლი სულ უფრო მზარდია თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პროცესის პირობებში.

თანამედროვე ბაზარზე წარმატების მისაღწევად, კერძო სექტორისთვის, აუცილებელია მომხმარებელზე ორიენტაცია, მათი მოზიდვა და ისეთი სამომხმარებლო ფასეულობების შეთავაზება, როგორსაც ვერ შეძლებენ კონკურენტები.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე მომხმარებლები გახდნენ ბევრად უფრო მომთხოვნები, ტექნოლოგიური მიღწევებიდან გამომდინარე ინფორმირებულნი და უფრო მეტად უკმაყოფილების გამომხატავნი. აღნიშნულის საფუძველზე, მომხმარებელი მზადაა გადაიხადოს 12-15%-ით მეტი ღირებულება, სანაცვლოდ კი მიიღოს უკეთესი მომსახურება, თავი იგრძნოს კომფორტულად.

საქართველოს ბაზარზე შესამჩნევად იზრდება კონკურენცია პროდუქტებს შორის და საშუალო მომხმარებლისთვის სულ უფრო და უფრო რთული ხდება გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ პროდუქციის მიხედვით, მაგალითად, რომელ სააფთიაქო ან სავაჭრო ქსელს მიმართოს. ანალოგიური სიტუაცია შესაძლოა იყოს სატელეკომუნიკაციო მიმართულებით, საბანკო მიმართულებით, სადაც პროდუქცია კი განვითარებადია, მეორე მხრივ ამასთანავე კონკურენციის პირობებში თანაბრად მსგავსია. არსებობს მოსაზრება, რომ მომხმარებელთა კმაყოფილებისათვის გარდა პროდუქტისა აუცილებელია: პროცედურის სიმარტივე (დრო) და რაც საკვანძოა- თანამშრომელთა მხრიდან ეფექტური მომსახურება.

სწაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში კომპანიების ერთ-ერთი ამოცანაა მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა არა მხოლოდ პროდუქციით, მომსახურების დროით ასევე განავითარონ მომხმარებლებთან ურთიერთობა, ე.წ სერვის პლიუსი. ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას შეუძლია სხვა კონკურენტებისგან თავი განასხვაოს არის უფრო მაღალი მომსახურების გაწევა.

ეფექტური მომსახურების აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო სწორად სავაჭრო ურთიერთობებია,

შესაბამისად ეფექტური მომსახურება სულ უფრო დიდ როლს თამაშობს ადამიანების ფინანსური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ წარმოების გაფართოება ზრდის მომსახურებაზე მოთხოვნას. გაყიდვები განიხილება, როგორც მოზიდვა, ხოლო მომხმარებლის შენარჩუნებას სწორედ ეფექტური მომსახურება განაპირობებს.

ძირითადი მოტივი, რატომაც აღნიშნული თემა აქტუალურია შეგვიძლია ავხსნათ შემდეგი მიზეზებით: მომხმარებლების ზრდის შესაძლებლობა და ლოიალობა, არსებული მომხმარებლების შენარჩუნება, ინტენსიური კონკურენციის პირობებში ფინანსური სტაბილურობა, გაყიდვების ზრდა და რეპუტაცია.

ბიზნესში პროდუქციის გაყიდვის წარმატება შესაძლოა ძირითადად დამოკიდებული იყოს ახალი მომხმარებელების მოზიდვაზე და არსებული მყიდველების შენარჩუნებაზე.

მაღალ სერვისზე ფოკუსირებული მსოფლიოს წამყვანი კომპანიების მენჯმენტში შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე ასპექტი, რომელიც ხელს შეიძლება ხელს უწყობდეს ეფექტური მომსახურების გაწევას, მაგალითად: მომხმარებელზე ორიენტირებული კულტურულ- მომსახურების ლიდერები ქმნიან თავიანთ საქმიანობის ხედვას, რომელიც იმდენად ღირებული და მამოტივირებელია თანამშრომლებისთვის, რომ ისინი თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მომხმარებელი კმაყოფილი დატოვონ. კორპორაციულ მისიაშიც კი განსაკუთრებით ხაზგასმულია მომხმარებლის კმაყოფილების და მისი ხარისხინი მომსახურების უპირველესი მნიშვნელობა.

კომპანიებისთვის ახალი მყიდველის მოზიდვა უფრო მეტი ჯდება, ვიდრე ძველის შენარჩუნება, შესაბამისად არსებული მომხმარებლების შენარჩუნება სწორედ ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად ითვლება. კმაყოფილი მყიდველები პროდუქტს კვლავ ყიდულობენ, სხვებსაც ურჩევენ და ნაკელბად ქეცევიან ნეირომარკეტინგის საშუალებებს.

კვლევების მიხედვით მომხმარებელი მზადაა გადაიხადოს 12-15%-ით მეტი ღირებულება უკეთესი მომსახურებისათვის (კომფორტისათვის). შესაბამისად, ცხადია, თუ რამდენად მომგებიანია კომპანიებისთვის მომხმარებელზე ორიენტაცია და მაღალი მომსახურების ხარისხი.

ცნობილია, რომ ბიზნეს სექტორში მომხმარებლის ერთგულებას, შენარჩუნებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ეფექტური მომსახურების ხარისხი. კვლევების, არა ერთი სტატიის მიხედვით[1] „ნეგატიური მომსახურების გამო მომხმარებელმა შესაძლოა უარი თქვას ამა თუ იმ კომპანიის მომსახურებით სარგებლობაზე, ACT-ის კვლევებმა დაადასტურეს, რომ ქართველი მომხმარებელიც უკვე საკმაოდ მომთხოვნია მომსახურების ხარისხის მიმართ: გამოკითხულთაგან ყოველი მეორე მომხმარებელი აცხადებს (54%), რომ თუ უკმაყოფილო იქნება მომსახურების ხარისხით, მომავალში ეცდება აღარ ისარგებლოს ამ კომპანიის მომსახურებით ([2]ეისითი, დეკემბერი, 2008).“

ყოველი მეხუთე (19%) ქართველი მომხმარებელი ზოგადად ქართულ კომპანიებში არსებულ მომსახურების ხარისხს საუკეთესო შეფასებას აძლევს, უმრავლესობა (61%) კი საკმაოდ კარგ შეფასებას. მეორეს მხრივ, მომხმარებელთა ერთი მეხუთედი (20%) მომსახურების ხარისხით უკმაყოფილოა (უფრო ცუდი, ვიდრე კარგი- 16%; ძალიან ცუდი- 4%). რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მომხმარებელი თავიანთი კომპანიებისთვის პოტენციურ უარმყოფელებს წარმოადგენს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) დებულების თანახმად საერთაშორისო ბაზარზე მომსახურება იყოფა 12 სექტორად. ,,The Zendesk Benchmark”-ის მიერ 2013 წელს ჩატარდა კვლევა მომსახურების სერვისის კუთხით მსოფლიოს 125 ქვეყანასა და 16 000 კომპანიაში და გამოვლინდა მომსახურების სერვისით საუკეთესო ქვეყნები: ახალი ზელანდია 92%; კანადა 91%; ავსტრალია 89%; ნორვეგია 89%; დანია 89%; დიდი ბრიტანეთი 87%; ჩეხეთის რესპუბლიკა 87%; ფინეთი 86%; რუსეთი 86%; მექსიკა 85%.

---

[1] სტატია, კვლევის წყარო https://www.forbes.com/sites/shephyken/2018/05/17/businesses-lose-75-billion-due-to-poor-customer-service/#63c521616f92

[2] ეისითის კვლევა , დეკემბერი, 2008 http://www.act-gr.com/geo/index/news/661

კომპანიებისათვის ახალი მყიდველის მოზიდვა უფრო დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ძველი მომხმარებლის შენარჩუნება. შესაბამისად, რენტაბელობის სასურველი სტრატეგია და არსებული მომხმარებლების შენარჩუნება - უფრო მისაღებია მათთვის.

ეფექტური მომსახურების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიებს. მომხმარებლებთან გრძელვადიანი მომგებიანი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ფუნქციონირებს საინფორმაციო სისტემა იმისათვის, რომ მომხმარებელზე ხელმისაწვდომი იყოს მაქსიმალური ინფორმაცია და მიღებული სწორი გადაწყვეტილება. საერთაშორისო არეალზე ეს სისტემა CRM-ით არის ცნობილი ანუ Customer Relationship Management - კლიენტებთან ურთიერთობის მართვა. ტექნოლოგიურმა ევოლუციამ და აღნიშნული სისტემის გამოყენებამ სრულფასოვანი ფინანსური, გაყიდვების, საკონტაქტო და სხვა ინფორმაციები შეკრა, შეძლო წარმოედგინა ინტეგრირებული სურათი (ERP - E*nterprise* r*esource* p*lanning*).

**დასკვნა**

დღევანდელი კონკურენციის პირობებში, მომხმარებლების მხოლოდ პროდუქციით შენარჩუნება რთული ამოცანაა. გლობალიზაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ერაში XXI საუკუნის მომხმარებელს მომსახურებაში ფართო არჩევანი აქვს და შესაბამისად უფრო მომთხოვნი ხდება. შესაძლოა კომპანიებს ჰქონდეთ კარგი პროდუქცია, მაგრამ არჩევანის დროს, მომხმარებლები არჩევენ უკეთესი მომსახურების მქონე კომპანიებს.

ეფექტური მომსახურება ქვეყნისთვის სტრატეგიული მიმართულება, როგორც ტურიზმის ასევე ეკონომიკური გაძლიერებისათვის. აუცილებელია, ეფექტური მომსახურებისათვის მენეჯმენტის ყურადღება სახელფასო სისტემის, ასევე შიდა სწავლების მიმართ, შეფასება-უკუკავშირისადმი.

მომხმარებლებმა იციან თავიანთი უფლებები და მზარდია მოლოდინი, შესაბამისად საყურადღებოა ინტენსიური ტრენინგები, მომსახურება-როგორც კომპანიის ღირებულება, ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც CRM-სისტემის, ასევე მომხმარებლის მოსმენა, მათი შენიშვნების მიღება-გათვალისწინება აუცილებელი კომპონენტებია.

კომპანიების მოგება გაიზრდება, თუ მათ ექნებათ მაღალი დონის მომსახურება და რომელიც ჯაჭვია, როგორც კმაყოფილ თანამშრომელს ასევე კმაყოფილ მომხმარებელს შორის.

ეფექტური მომსახურება ვრცელი მოკვლევის თემაა; თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი, როგორ შეიძლება მისი ეფექტურად დანერგვა კომპანიებში, როგორც ტექნოლოგიურად ისე ლოკალური ხელსაწყოებით კერძო სექტორისთვის საკვანძო კითხვაა, რომელზეც აღნიშნულმა თემატურმა ნაშრომმა შეეცადა გაეცა პასუხი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. როზეტა ასათიანი, 1993, მომსახურება და საბაზრო სისტემა, თბილისი
2. ნაირა ღვედაშვილი, 2009, მენეჯმენტი სოციალურ-კულტურულ სერვისისა და
3. ტურიზმის სფეროში, თბილისი
4. პარტნიორები საქართველო, 2001, როგორ ვაქციოთ კლიენტი ერთგულ
5. მყიდველად
6. The Zendesk Benchmark Q2 2013
   http://d16cvnquvjw7pr.cloudfront.net/resources/whitepapers/Zendesk_Benchmark_2013Q2.pdf

**The importance of effective customer service for the Georgian business environment**

*Lika Beridze, Associate Professor*
*Georgian Technical University*

*Tamar Kanashvili, PhD student*
*Georgian Technical University*

## Summary

In the rapidly growing competition environment, one of the main challenge of the companies is to constantly acquire the latest information and gain the necessary competences in the field of customer service to respond to rapidly changing business demands presented by the customers.

Most practitioners agree, that companies that have an efficient customer service strategy for consumers are better positioned on the market, unlike those who do not pay attention to customer service standards. One of the main goal of the private sector is to satisfy customer demand, maintain current customers and attract new ones. Effective customer service and its systemic improvement is crucially important for the private sector in order to keep the company's profit in terms of competition.

## საწარმოს ტრანსაკციური დანახარჯების ეკოლოგიური ასპექტები

*გალახვარიძე ნაირა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*გუგავა ელდარი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

**აბსტრაქტი**

ადამიანის ნებისმიერი საწარმოო საქმიანობა დაკავშირებულია გარემოს ზემოქმედებასთან. ამით ის ზემოქმედებს, გეოსისტემის მდგრადობასა და წონასწორობაზე. სიკეთის წარმოების, განაწილებისა და გამოყენებისას წარმოიქმნება დანახარჯების ორი ტიპი.

პირველი დაკავშირებულია იმ ზიანთან რომელსაც აყენებენ ეკოსისტემის წონასწორულ და მდგრად მდგომარეობას. დანახარჯების მეორე სახე დაკავშირებულია იმ ხარჯებთან რომელიც უნდა, განხორციელდეს გარემოს პარამეტრების შენარჩუნებაზე. ე.ი. ბუნება დაცვითი ღონისძიებების რეალიზაციაზე.

საკვანძო სიტყვები: შეფასება, ხარჯები, ბუნებრივი რესურსები, გარემოს დაბინძურება, საწარმოო საქმიანობა, ეკოლოგია.

**ძირითადი ტექსტი**

საზოგადოებისა და საწარმოების ურთიერთზემოქმედების პროცესში ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ანდა გარემოს დაბინძურების შეფასებები იყოფა სამ ჯგუფად:

პირველი - ბუნებრივი რესურსების საზოგადოებრივი სარგებლიანობის შეფასებები;

მეორე - (ფასები, გადასახადები) ნორმატიულად განსაზღვრული ღირებულებითი შეფასებები;

მესამე - (ლიცენზიები)- საბაზრო ფასები.

შეფასების ეს სამი სახე შეიძლება განსაზღვრულ იქნას გარემოს თითოეული ელემენტისათვის და მათი მნიშვნელობა არა არის აუცილებელი ერთნაირი იყოს. ბუნებრივი რესურსების სარგებლიანობის ღირებულებითი შეფასება ეფუძნება მის ეროვნული სიმდიდრის ელემენტის თვისებრიობის წარდგენას, ჩართულს საწარმოო პროცესში. მისი რაოდენობრივი განსაზღვრა ეფუძნება ორ მაჩვენებელს:

- დანახარჯები მომზადებასა და გამოყენებაზე;
- რესურსების გამოყენებისას მომხმარებლის მოგება.

პირველი მაჩვენებელი $Ц_1$ გულისხმობს, რომ მიწის ზედაპირთან რაც უფრო ახლოსაა განლაგებული ნედლეული, მით ნაკლებია დანახარჯები მის ამოღებაზე და მით ნაკლებია მისი შეფასება, მეორე მაჩვენებელი $Ц_2$ ორიენტირებულია რესურსის სამომხმარებლო ფასეულობაზე და შესაბამისად საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იყოს რესურსის ხარისხი, მსოფლიო ფასები, გამოყენების მიმართულება, დეფიციტურობა. რესურსის რეალური ღირებულების Ц შეფასება აღმოჩნდება ინტერვალში $Ц_1, < Ц < Ц_2$. პრაქტიკაში რესურსის Ц მნიშვნელობის შერჩევა მოითხოვს არსებითი მეთოდოლოგიური წინა აღმდეგობების გადალახვას. მაგალითად, ტექნოლოგიური ანდა საწარმოო პროცესისათვის, სადაც ბუნებრივი რესურსი წარმოადგენს დიდი კომპლექსის მასალებისა და ენერგიის ელემენტებს, მოგების სიდიდის განსაზღვრა მრავალი რესურსიდან ერთ-ერთის ერთეულზე იქნება სუბიექტივიზიის ნიშანის მატარებელი.

დანახარჯების ღირებულებითი შეფასება დაკავშირებული რესურსების გამოყენებასთან მეთოდოლოგიურად რთულდება მისი დეფიციტურობის გართულებისას, როცა რესურსების გამოყენების თითოეული ერთეული ერთ საწარმოში დაკავშირებულია სხვაში მის მოშორებასთან, სადაც ამის გამო დანახარჯები იზრდება.

ბუნებრივი რესურსების შეფასება უფრო მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში როცა ის შეისყიდება

საწარმოს მიერ ანდა მიიღება ბალანსზე როგორც კაპიტალის ნაწილი.

მიწის შეფასება - თუ მიწის გამოყენებისას მისი ყოველწლიური მოგება ტოლია R -ის , მაშინ მიწის ნაკვეთის ერთდროული E-ს დაბანდების ფასი ეფექტიანობის ჩამოყალიბებული კოეფიციენტისას შეადგენს Ц= R/E

R-ის (ყოველწლიური მოგების) რეგიონული შეფასება ითვალისწინებს მიწათსარ გებლობის სახეს, ნიადაგის ხასიათს წყლით, ტრანსპორტითა და ენერგიით უზრუნ ველ ყოფას.

ტყის შეფასება- ტყის რესურსები ფასდება როგორც ტყის მეურნეობის გაძღოლისა და ტყის კვლავწარმოების დანახარჯები. ამ დანახარჯების ჯამს 1$м^3$ ხე ტყეზე გადაანგარიშებულს ეწოდება „ტყის ტაქსა“ (ნიხრი) მის ნორმატიულ მნიშვნელობას ადგენენ ტყის ჯგუფებისა და ხე-ტყის სახეობით.

ტყის კვლავწარმოება ითვალისწინებს ნაკვეთის მომზადებას, თესლიდან აღმოცენე ბულის დარგვას, ახალგაზრდა ტყის მოვლას. ტყის აღდგენის პროცესის ხანგძლივობა შეადგენს 80-100 წელს წიწოვნებისათვის . 200-250 წელი -კედარისათვის, 20-30 წელი ფოთლოვნებისათვის.

ხე-ტყის შეფასებას განასხვავებენ ტყის შეფასებისაგან, რამდენადაც ის მოიცავს დამატებით ხარჯებს დამზადებაზე და გამოყენების მომზადებაზე. თუ ტყის მასივი ჩამოშორებულია სამრეწველო გაშენებისაგან, მაშინ მისი შეფასება მოიცავს ტყის სამრეწველო მეურნეობის შემოსავლების შემცირებას, დანახარჯები დაკავშირებულია სხვა ტერიტორიაზე ტყის გამოზრდაზე ე.ი. საზოგადოების დანახარჯების მთელი კომპლექსი პირველსაწყისური სიტუაციის აღდგენაზე ტყის მასალებით უზრუნველყოფით.

წყლის შეფასება დამოკიდებულია მის დეფიციტურობასთან, წყლის სიუხვისას (ოკეანე, ზღვა, მსხვილი მდინარე) ის უფასოა, რამდენადაც მოხმარებული წყალი კომპენსირდება ბუნებრივი შევსებით.. წყლის ნაკლებობის პირობებში მისი შეფასება ეფუძნება სარენტო გადახდის პრინციპებს. მიღებული წყლიდან რაც უფრო დიდია მეურნეობის შემოსავალი, მით დიდია დიფერენციული რენტა და მით მაღალია წყლის შეფასება. ნათელია, რომ უნდა გავითვალისწინოთ დანახარჯები წყლის მიყვანაზე მომზადებაზე, გაწმენდაზე, მის გამოყენების მიმართულებაზე.

ატმოსფეროს შეფასება- ატმოსფერული ჰაერი ჯერჯერობით უფასოა რეალური დეფიციტის არარსებობის ძალით.

სასარგებლო წიაღისეულის შეფასება-საბადოს შეფასების უმარტივესი საშუალება ესაა დანახარჯების ჯამის გაანგარიშება სასრგებლო წიაღიესეულის მთელის მასის მოპოვებაზე, მაგრამ ასეთი კუთხით მიდგომაში არაა შედარება (შეჯერება) სხვა საბადოებთან, სადაც შესაბამისი ხარჯები შეიძლება იყოს დაბალი ან მაღალი.

საბადოს შეფასება დიფერენციული რენტით დასაშვებს ხდის ნახევარფაბრიკატებსა და მზა პროდუქტში სასარგებო წიაღისეულის შესაძლო მოგების გაანგარიშებას.

საბადოს შეფასების მესამე მიდგომა ითვალისწინებს შესაფასებელი საბადოს რესურსე ბის გამოყენებიდან დიფერენციული რენტის გაანგარიშებას სტანდარტით ანალოგიურ ნედლეულთან შედარებით.

ადამიანის ნებისმიერი საწარმოო საქმიანობა დაკავშირებულია გარემოს ზემოქმე დებასთან. ამით ის ზემოქმედებს, გეოსისტემის მდგრადობასა და წონასწორობაზე. სიკეთის წარმოების , განაწილებისა და გამოყენებისას წარმოიქმნება დანახარჯების ორი ტიპი.

პირველი დაკავშირებულია იმ ზიანთან რომელსაც აყენებენ ეკოსისტემის წონასწორულ და მდგრად მდგომარეობას. დანახარჯების მეორე სახე დაკავშირებულია იმ ხარჯებთან რომელიც უნდა, განხორციელდეს გარემოს პარამეტრების შენარჩუნებაზე. ე.ი. ბუნება დაცვითი ღონისძიებების რეალიზაციაზე.

თუ საწარმო გარემოში ყრის მავნე მინარევებს სხვა საწარმოები რომლებიც ემიჯნებიან მას, იწყებენ ზარალის მოთმენას. საზოგადოებაც იწყებს ზიანის მოთმენას . ამ დროს საწარმო დაინტერესებულია იმაში, რომ შეამციროს ბუნების დაცვითი ხარჯები, ხოლო საზოგადოება და გარემომცველი საწარმოები იმაში რათა შეამციროს ზიანი.

საწარმოს თვალთახედვით, განხორციელებული ნარჩენები, (გადანაყარები), ბუნებადაცვითი ხარჯები და დაბინძურებული გარემოს ზიანი არაერთმნიშვნელოვანია.

დანახარჯები ნარჩენების თავიდან აცილებაზე ეკისრებათ საწარმოებს, ის აისახება ყველა მის ეკონომიკურ მაჩვენებელზე. ის იძულებულია ეკონომია გააკეთოს, რათა აწარმოოს, განახორციელოს ეს დანახარჯები. სრულიად სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს საწარმოს ზიანთან. ზიანი წარმოადგენს სხვის ხარჯებს ე.ი. საწარმოსათვის ეს გარე ხარჯებია, საწარმო როგორ კარგადაც არ უნდა ეპყრობოდეს, ექცეოდეს გარემოს ის ერთ რიგში თანაბრად არასოდეს არ დააყენებს შიდა და გარე დანახარჯებს. გამონაკლისად შეიძლება იყოს სიტუაცია, როცა საწარმო იტანს ზიანს საკუთარი ნარჩენებიდან. მაშინ საწარმოს გარე დანახარჯები გადაიქცევა მის შიდა დანახარჯებად.

გარე დანახარჯები წარმოიქმნება მაშინ, როცა რესურსები შეზღუდული ხდება.

განვიხილოთ დაბინძურების ზღვრული ზიანის არსი რომელიც წარმოდგენილია 1 ნახაზზე .

**ზღვრული ზიანის დამოკიდებულება ნარჩენების (გადანაყრის) რაოდენობაზე (M)(ნახ.1)**




$M_1$ წერტილამდე არავითარი ზიანი არ იგრძნობა. გარე ხარჯები საერთოდ არაა გარემოზე , არც ნეგატიური შედეგებია. მაგრამ როგორც კი ეკოსისტემის უნარი, შთანთქას მავნე ნარჩენები თვალხილული ნეგატიური შედეგების გარეშე აღმოჩნდება ამოწურული, სიტუაცია იცვლება. ნარჩენების ნებისმიერი ზრდა მიგვიყვანს იქამდე, რომ ვიღაც მიიღებს ზიანს და წარმოიქმნება გარე ხარჯები. ბუნებრივ გარემოს არ შუძლია ნეგატიური შედეგების გარეშე შთანთქას და გადაამუშავოს დამატებითი ნარჩენები (დაბინძურება), რაც იწვევს გარე ხარჯებს. გარემოს გამოყენების კუთხით გარე ხარჯები როგორც შეზუდული რესურსი თავისთავად წარმოადგენს ეკოლოგიურ ზიანს (ზარალს).

საწარმოოს შიდა ხარჯები ესაა მიმდინარე დანახარჯები, ჩართული პროდუქტის თვითღირებულებაში, დაკავშირებული გამწმენდი ნაგებობების, მტვერდამჭერების, ფილტრებისა და სხვა ბუნებისდაცვითი ობიექტების შენახვა ექსპლუატაციაზე, ხარჯები ეკოლოგიურად საშიში ნარჩენების დამარხვაზე. ეკოლოგიურად სახიფათო ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების შენახვასა და განადგურების მომსახურების მიღების ანაზღაურებაზე.

საწარმოს გარე დანახარჯების შიდა ხარჯებში გარდაქმნისათვის დგინდება გადასახადი ნარჩენებზე და გადასახადი ბუნებრივ რესურსებზე, რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ ეკოლოგიური ზიანის (ზარალის) სიდიდეს.

თუ საზოგადოებას ერთმთლიან ორგანიზმად განვიხილავთ, თანაბრად დაინტერესებულს გარემოს დაცვის შიდა დანახარჯების ეკონომიაშიც და დაბინძურებიდან ზარალის (ზიანის)

შემცირებაშიც, მაშინ ინტერესთა კონფლიქტი არ წარმოიქმნება, მაგრამ როგორც კი საწარმოსა და საზოგადოების ინტერესები დაცილდება, კონკრეტულად კი საზოგადოება დაინტერესებული იქნება დაბინძურებიდან ზიანის შემცირებაში, ხოლო საწარმო ბუნების დაცვითი დანახარჯების შემცი-რებაში მაშინვე წარმოიქმნება აუცილებლობა დამაბინძურებელი საწარმოს მიერ შემუშავებული იყოს ისეთი სტრატეგია, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა გაეთვალისწინებინა საზოგადოების ინტერესები ე.ი. შეემცირებინა გარე ხარჯები.

ამ შემთხვევაში საწარმოს სტრატეგია უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების ინტერესებს. ეს ნიშნავს რომ დამაბინძურებელმა საწარმომ უნდა გადაიხადოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები, როგორც შიდა ისე გარე. ამისათვის აუცილებელია გარე ხარჯები გარდაიქმნას შიდად.

განვიხილოთ საწარმოს სტრატეგია რომელიც მიმართულია გარე ხარჯების შემცირებაზე, ვთქვათ ნარჩენების მასა ტოლია $M_1$-ის, შიდა ბუნების დაცვითი დაჯამებული დანახარჯები შეადგენს $C_1$-ს. გადასახადი ზარალის (ზიანის) ტოლია, დგინდება $C_2$ ზომით. ეს გარე დანახარჯებია, რომელიც საწარმოსათვის გახდა შიდა. ამ გვარად საწარმოს ხარჯების საერთო ჯამი იქნება $C_1+C_2$-ის ტოლი. თავისი ხარჯების გაანალიზებისას საწარმო თავისთვის აირჩევს ისეთ სტრატეგიას სადაც მიიღწევა დანახარჯების $C_1+C_2$ მინიმუმი. საწარმო თანაბარი ხარისხით დაინტერესებულია რათა შეამციროს როგორც ერთი ისე მეორე ხარჯები. ამიტომ მისი ძიროთადი ამოცანა იქნება რათა განსაზღვროს ოპტიმალური თანაფარდობა ნარჩენების გაწმენდის ხარჯებსა და ზიანის (ზარალის) სიდიდეს შორის. ამის ილუსტრირება მოცემულია მე-2 ნახაზზე.

**ნარჩენების გაწმენდაზე ზღვრული ზიანისა და ზღვრული დანახარჯების თანაფარდობა (ნახ.2)**




თუ ნარჩენების რაოდენობა ტოლია $M_1$ -ს, მაშინ ზღვრული დანახარჯები ნარჩენების, (გადანაყარის) გაწმენდაზე ტოლია $C_1$-ს, ხოლო ზღვრული ზიანის სიდიდე $C_2$ -ს ამ შემთხვევაში საწარმოსათვის არსებობს ნარჩენებზე სათადარიგო რაოდენობა $M_0$ სიდიდემდე. წერტილი $M_0$ არის გარემოს მაქსიმალურად დასაშვები დაბინძურების სიდიდე. ოპტიმალური თანაფარდობა (გადანაყარის), ნარჩენების გაწმენდაზე და ზიანის სიდიდის შორის იქნება დაცული $M_0$ ნარჩენის მასის დროს. გადახრა ერთ ან მეორე მხარეს მიგვიყვანს დანახარჯებს შორის დისბალანსთან. თუ ნარჩენების რაოდენობა გაიზრდება $M_2$ წერტილამდე, მაშინ ის მიგვიყვანს გარე ხარჯების გაზრდასთან. საწარმოს გარეგანი ხარჯების შემცირება შესაძლებელია, მხოლოდ შიდა ხარჯების ზრდისას.

სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს ეკოლოგიური სისტემის მდგრადი წონას წორული მდგომარეობის დაცვა - შენარჩუნებაში, მაკორექტირებელი გადასახადებისა და სუბსიდების გამოყე-

ნებით, რათა გარემომცველი გარემოს დაბინძურება მიყვანილი იყოს ოპტიმალურ და დასაშვებ დონემდე.

**დასკვნა**

საზოგადოებისა და საწარმოების ურთიერთზემოქმედების პროცესში ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ანდა გარემოს დაბინძურების შეფასებები იყოფა სამ ჯგუფად:

პირველი - ბუნებრივი რესურსების საზოგადოებრივი სარგებლიანობის შეფასებები;

მეორე - (ფასები, გადასახადები) ნორმატიულიად განსაზღვრული ღირებულებითი შეფასებები;

მესამე - (ლიცენზიები)- საბაზრო ფასები.

შეფასების ეს სამი სახე შეიძლება განსაზღვრულ იქნას გარემოს თითოეული ელემენტისათვის და მათი მნიშვნელობა არა არის აუცილებელი ერთნაირი იყოს. ბუნებრივი რესურსების სარგებლიანობის ღირებულებითი შეფასება ეფუძნება მის ეროვნული სიმდიდრის ელემენტის თვისებრიობის წარდგენას, ჩართულს საწარმოო პროცესში. მისი რაოდენობრივი განსაზღვრა ეფუძნება ორ მაჩვენებელს:

- დანახარჯები მომზადებასა და გამოყენებაზე;
- რესურსების გამოყენებისას მომხმარებლის მოგება.

ადამიანის ნებისმიერი საწარმოო საქმიანობა დაკავშირებულია გარემოს ზემოქმედე ბასთან. ამით ის ზემოქმედებს, გეოსისტემის მდგრადობასა და წონასწორობაზე. სიკეთის წარმოების, განაწილებისა და გამოყენებისას წარმოიქმნება დანახარჯების ორი ტიპი.

პირველი დაკავშირებულია იმ ზიანთან რომელსაც აყენებენ ეკოსისტემის წონასწორულ და მდგრად მდგომარეობას. დანახარჯების მეორე სახე დაკავშირებულია იმ ხარჯებთან რომელიც უნდა, განხორციელდეს გარემოს პარამეტრების შენარჩუნებაზე. ე.ი. ბუნება დაცვითი ღონისძიებების რეალიზაციაზე.

სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს ეკოლოგიური სისტემის მდგრადი წონასწორული მდგომარეობის დაცვა - შენარჩუნებაში, მაკორექტირებელი გადასახადებისა და სუბსიდიების გამოყენებით, რათა გარემომცველი გარემოს დაბინძურება მიყვანილი იყოს ოპტიმალურ და დასაშვებ დონემდე.

**გამოყენებული ლიტრატურა:**


1. გალახვარიძე ნაირა, გუგავა ელდარ. ეკონმიკურ-ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, როგორც ცივილიზაციის განვითარების ფუძემდებლური ფაქტორი. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2017.
2. ნაირა გალახვარიძე, ელდარ გუგავა, ადამიანი და ეკოლოგია გარემოს მენეჯმენტის სისტემაში, ევროპის უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კნფერენცია, ევროპული ინტეგრაცია და საქართველო, თბილისი 2016. 19 ივნისი.
3. А. В. Анисимов, Экологический менеджмент Ростов-на-Дону „Феникс“ 2009.
4. В. В. Глухов, Т. П. Некрасова Экономические основы экодогий 3-е издание, Питер 2003.
5. Фомичева Е. В. Экономика природопользования: Учубник- М. Изд. дом „Дашковик

# Ecological aspects of the transaction costs of the enterprise

***Naira Galakhvaridze, Professor***
***Georgian Technical University***

***Eldar Gugava, Professor***
***Georgian Technical University***

**Summary**

The use of natural resources in the process of interaction between society and enterprises, or environmental pollution assessments are divided into three groups:

First - assessment of social benefits of natural resources;

Second - (prices, taxes) Normally defined value estimates;

Third - (Licenses) - Market Prices.

These three types of evaluation can be defined for each element of the environment and their meaning is not necessarily the same. Valuation assessment of natural resources is based on the validity of its national wealth element, involved in the manufacturing process. Its quantitative determination is based on two indicators:

- Costs for preparation and use;
- Customer earnings when using resources

Any human activity related to environmental impact is connected. By doing so it affects the geosystem's sustainability and equilibrium. Two types of expenses are generated when producing, distributing and using good.

The first concerns the damage caused by the ecosystem equilibrium and sustainable condition. The second type of expenditure is associated with the costs of which the environmental parameters are maintained. Ie Nature on realization of defensive measures.

The State actively participates in the sustainable equilibrium of the ecological system - preserving, using corrective taxes and subsidies to bring the environmental pollution to the optimal and permissible level.

## გლობალური უძრავი ქონების საინვესტიციო ბაზარის ტენდენციები და მათი გავლენა ქართულ ბაზარზე

*გოლეთიანი სოფია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საქართველო მსოფლიოს ბაზარზე მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება. განსაკუთრებით უძრავი ქონებისა და სამშენებლო ბაზარი იწვევს ინვესტორთა მაღალ ინტერესს.

სტატიაში გაანალიზებულია უძრავი ქონების გლობალურ ბაზრის ის ტენდეციები, რაც გავლენას ახდენს ინვესტორთა გადაწყვეტილების მიღებაზე.

ამ ფონზე კი საინტერესოა საქართველო, სადაც ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. ეს ფაქტი კი ხელს უწყობს ქვეყანაში პატარა სასტუმროების სექტორის განვითარებას, მომხიბლავს ხდის დედაქალაქის ძველ უბნებსა და ქვეყნის საკურორტო ზონებს. საქართველოს დღეს განსაკუთრებით ჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, ამიტომაც ურავი ქონების ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე საინეტერსო პლატფორმაა ქვეყნის განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონების ბაზარი, ინვესტორები, საცხოვრებელი უძრავი ქონება.

**ძირითადი ტექსტი**

უძრავი ქონება მთელ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივების კლასია. გასული ხუთი წლის განმავლობაში, გლობალური უძრავი ქონების ინდუსტრია გაიზარდა 2.9% -ით, მან 2018 წელს $4 ტრილიონ შემოსავალს მიაღწია. ამავდროულად, ამ დარგში არსებული ბიზნესების რაოდენობა გაიზარდა 2.9% -ით, ხოლო ამ ბიზნეში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა კი - 2.8% -ით.

უმეტეს ქვეყნებსა და ტერიტორიებზე საყოფაცხოვრებო ქონების ბაზრებმა ბოლო ათწლეულში კაპიტალის ზრდა განიცადეს, რაც ხშირად აჭარბებდა ადგილობრივი შემოსავლების ზრდას. 2017 წელს მთლიანი გლობალური საცხოვრებელი უძრავი ქონების ღირებულება 5% -ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

განვითარებულ ეკონომიკაში, უძრავი ქონება პირადი და საყოფაცხოვრებო სიმდიდრის დიდი ნაწილია. იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, სხვა აქტივებთან ერთად, როგორიცაა ობლიგაციები.

უძრავი ქონებით შემოსავლის მოტანის შესაძლებლობა (იჯარა) სულ უფრო მიმზიდველს ხდის ამ ბიზნესს და ამ გზით მიღებული შემოსავალიც უფრო მყარია, ვიდრე ობლიგაციებიდან ან სადეპოზიტო ანგარიშებიდან მიღებული საპროცენტო განაკვეთებით მიღებული სარგო, მით უმეტეს ეს უკანასკნელი შემცირების საფრთხის წინაშე მუდმივად დგას.

აქედან გამომდინარე, გლობალური უძრავი ქონების ბაზრებზე აღმოჩენილი უმაღლესი შემოსავლები მას მიმზიდველ ალტერნატივად აქცევს ადამიანებისთვის. (მაგალითად, ყველაზე დიდი Prime Grade-ის ოფისები, რომელიც მიმაფონტულია ისეთ უდიდეს ქალაქებში, როგორიცაა ლონდონი, ნიუ-იორკი, სიდნეი, მათი გაქირავებით მიღებული საპროცენტო შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლების ობლიგაციები).

ისტორიულად, უძრავი ქონების ინვესტორები მუდმივად კაპიტალის ზრდის ძიებაში იყვნენ. შემოსავლის გლობალურ ძიება, უძრავი ქონების ნამდვილი ღირებულება ინვესტორებისთვის მისი მიმზიდველი პერსპექტივაა.

დღეს მსოფლიო უძრავი ქონების აქტივების ღირებულებები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი წარმოება. გლობალური უძრავი ქონების უმეტესობა საცხოვრებელი ფართია. იგი შეადგენს 168.5

ტრილიონ დოლარს. ეს არის 2.05 მილიარდი ოჯახი მსოფლიოში და თითო სახლის საშუალო ღირებლება დაახლოებით 82,000 აშშ დოლარია.

ყველაზე მაღალი ღირებულების საცხოვრებელი ფართები ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაშია თავმოყრილი. ჩრდილოეთი ამერიკა გლობალური მოსახლეობის მხოლოდ 7% -ს შეადგენს, მაგრამ საკუთრების 22% -ი ქონებრივი ღირებულება გააჩნია.

რაც შეეხება ევროპას, იგი მსოფლიო მოსახლეობის 11% -ს შეიცავს, მაგრამ საერთო ღირებულების 23%-ს ფლობს.

ყველაზე დიდი ზრდის პოტენციალი აზიის განვითარებადი ქვეყნებია. აზიის დიდმა ნაწილმა უძრავი ქონების აქტივების ფასის ზრდა უკვე დაიწყო, როდესაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა. აფრიკასაც აქვს უდიდესი პოტენციალი. ახლო აღმოსავლეთი და აფრიკის რეგიონი ამჟამად მსოფლიო, მოსახლეობის 19% -ს შეადგენს, მაგრამ მისი საცხოვრებელი ფართი არის არაპროპორციული, რაც ღირებულების მხოლოდ 6% -ს.

**დანართი 1. საცხოვრებელი უძრავი ქონების გლობალური ბაზრის მაჩვენებლები**




მსოფლიოში მიგრაცია დიდ გავლენას ახდენს უძრავი ქონების ფასებზე.

დღეს ადამიანთა ნაკადი დიდი რ-ბით მიედინება პატარა ქალაქებიდან დიდ ქალაქებში.

ეს სურათი უფრო მკვეთრად ჩანს ურბანული განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ეკონომიკაში. მიგრაცია და ურბანიზაციის ნიმუშები, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში უძრავი ქონების ბაზრებისა და უძრავი ქონების ინვესტიციების მნიშვნელოვანი მიმართულების გზამკვლევები გახდნენ. გლობალური ინვესტიციები სულ უფრო მეტად ორიენტირებულია კონკრეტულ ქალაქებზე - ვიდრე ზოგადად ქვეყნებზე.

მოსახლეობის ყველაზე დიდი მოძრაობები, განსაკუთრებით აზიაში იყო თვალშისაცემი. ადამიანური კაპიტალის შემოდინება, თავის მხრივ, ქალაქის ეკონომიკას ისე აწვება, რომ, ხშირ შემთხვევაში, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა აჭარბებს ადგილობრივ მოსახლეობისას.

ბოლო 15 წლის მანძილზე მთელს მსოფლიოში მიგრაციის მასშტაბით ყველაზე დიდი ნაკადი ურბანული მოსახლეობისთვის იყო სუბაჰან აფრიკისა და აზიის განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები. კერძოდ, ჩინეთი და ინდოეთი. დიდი ქალაქების მიერ მოსახლეობის ყველაზე დიდი ზრდის მოზიდვა ჩინეთში შეინიშნებოდა, სადაც ეს უკანასკნელი ეკონომიკურად მრავალფეროვანი გარემოა.

განვითარებულ ქვეყნებში ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა და ავსტრალიაში, ქალაქები ძალიან უმნიშვნელოდ გაიზარდა და ზოგჯერ ოდნავ შემცირდა კიდეც. კომპანიები და საწარმოები ამ ქალაქებში სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ადამიანური კაპიტალის მოზიდვასა და შენარჩუნებას.

კოსმოპოლიტური ევროპული ქალაქები, როგორიცაა ლონდონი, მადრიდი, რომი და მიუნხენი იზრდებოდა გლობალური მოზიდვისა და საზღვრისპირა მიგრაციის შედეგად.

ურბანულ ქვეყნებში ქალაქის მიგრაციის მაღალი დონე ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია

ძლიერი ეკონომიკური ზრდით.

უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, მოსკოვი, ჰიუსტონი და სხვა დიდი ქალაქები გამოირჩევიან შინაგანი მიგრაციის მოზიდვით.

ეს პროცესი კი ცალსახად ემსახურება ყველაზე პოპულარული უძრავი ქონების ბაზრების იდენტიფიცირებას. ის გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ჯერ გავიგოთ მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკური ტენდენციები, სანამ მივიღებთ რაიმე სახის საინვესტიციო გადაწყვეტილებებს.

2017 წლის განმავლობაში აზიიდან უძრავი ქონების ფულის დიდი გადინება ხდებოდა. აქედან 20 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა ევროპაში და 33 მილიარდი დოლარი ჩრდილოეთ ამერიკაში. რეგიონის ქვეყნებსა და ტერიტორიებს შორის ვაჭრობის დონეც გავლენას ახდენს უძრავი ქონების ბაზარე. 78 მილიარდი დოლარის ოდენობით შემოსავალი გამომუშავდა ჩინეთის მიწის გარიგების დიდი მოცულობის წყალობით.

დღეს"ძველი ქალი" ევროპა აღარ არის ისეთი მშვიდი, როგორც- ადრე. 2008-2009 წლებში ზოგადი ეკონომიკური კრიზისის დროს ბევრი დევნილი მიაწყდა მას. ყველა ევროპული ქვეყანა თითქოს ყოველთვის მზად არის უზრუნველყოს ისინი ბინადრობის ნებართვით , მათთვის, ვისაც სურს შეიძინოს ბინა ან კერძო სახლი.

მათ შორის გამოირჩევა ლუქსემბურგი, შვეიცარია, შვედეთი, რომელიც არ ჩქარობს უცხო-ელებისთვის ცხოვრების ნებართვის “დარიგებას”. აქ შესაძლებელია უძრავი ქონების შეძენა, თუმცა პრეფერენციის იმედი არ უნდა გქონდეს.

გერმანია განსაკუთრებული შემთხვევაა. აქ უძრავი ქონების ბაზარი ბოლო პერიოდია იზრდება. გერმანელებს ურჩევნიათ იჯარით იცხოვრონ, ვიდრე საკუთრებაში ჰქონდეთ უძრავი ქონება. გარდა ამისა, გერმანია არის ქვეყანა, რომელსაც ეყრდობა ევროკავშირი. ლტოლვილების დიდი ნაკადი მასიურად აწყდება მას ყოველწლიურად და ხშირად სიტუაცია ხელისუფლების მიერ რთულად კონტროლებადია.

ახლო აღმოსავლეთი დღეს ყველაზე პრობლემური რეგიონია მსოფლიოში. სირიასა და ერაყში ომი, ირანისა და დანარჩენ მსოფლიოს შორის დაძაბული ურთიერთობა, ეგვიპტეში ძალაუფლების შეცვლა და მრავალრიცხოვანი ტერორისტული თავდასხმები მხოლოდ იმ მიზეზთა ნაწილია, რის გამოც არ ჩქარობენ ახლო აღმოსავლეთში ინვესტორები თანხების დაბანდებას.

ამერიკის შეერთებული შტატები კოლონიალისტების, ავანტიურისტებისა და ოქროს მაძიებელთა ქვეყანაა. ქვეყანა, რომელიც თავის პირობებს კარნახობს დანარჩენ მსოფლიოს. აქ უძრავ ქონებაში ინვესტირება არის მწვანე ბარათისა და შემდგომში მოქალაქეობის მიღების საშუალება, თუმცა ინვესტიციის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 1 მილიონი დოლარი;

ამ ქვეყანაში კომერციული უძრავი ქონების შეძენა სასურველია მცირე დასახლებაში; თუმცა როგორც უმეტეს ქვეყანას, აქაც არსებობს შეზღუდვები. ინვესტიციის გაკეთებამდე აუცილებელია იმის დადასტურება, რომ ინვესტირებული ფული არ არის მიღებული სისხლის სამართლის საშუალებით.

ბოლო პერიოდში აშშ შტატები რუსეთის მოსახლეობისთვის სულ უფრო მომზიდევლი გახდა, თუმცა გამოირჩევა მაიამი და კალიფორნია, ამ ეროვნების მოსახლეთა სიჭარბით.

2018 წლიდან მზარდი ინტერესი გაჩნდა ეგზოტიკური ქვეყნების მიმართ. ადამიანებმა ინვესტიციების დაბანდება დაიწყეს კურორტებში, როგორც საკუთარი საცხოვრებელში, ასევე კომერციულ პროექტებში. ბოლო სამი წლის განმავლობაში მალდივის კუნძულებზე უძრავი ქონების მოთხოვნის რაოდენობა 15% -ით გაიზარდა, როგორც ტაილანდში კი 25% -ით.

უკუგება ჩადებული ინვეცტიციებზე, ეგზოტიკური ქვეყნების ბაზრიდან უფრო მაღალია, ვიდრე ევროპიდან, ამიტომ ინვესტორები პორტფელის დივერსიფიკაციის მიზნით, თანხებს აბან-დებენ განვითარებად რეგიონებში სადაც გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი ბევრად მაღალია.

ლონდონში ან ბერლინში ბინების გაქირავებით მიღებული მომგებიანობა 3-4% -ზე მეტი არ არის, როცა ტაილანდში ან მავრიკიში ის 10% -მდე გახლავთ.

ასეთი განსხვავება უკავშირდება ეგზოტიკური ბაზრების აქტიურ განვითარებას და ტურისტების მხრიდან ამ რეგიონის მაღალ მოთხოვნას, ევროპასთნ შედარებით. საინტერესოა ინვესტირების კუთხით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უძრავი ქონების ბაზარი.

რუსეთში ინვესტიციების ბრუნვამ 2017 წელს $ 4,863,811,000 დოლარი შეადგინა. განსაკუთრებით ფულის ინვესტიცია დაუმთავრებელ ობიექტებში მოხდა. თუმცა, ბოლო წლებში მსოფლიო ეკონომიკის სტაგნაციამ პირველადი საბინაო სამშენებლო ბაზარის დაშლაზე იქონია გავლენა.

ხოლო მეორადი საბინაო ბაზარი რუსეთში უფრო მიმზიდველად გამოიყრება საინვესტიციო თვალსაზრისით. მეორადი ბაზრის სახლის ყიდვისას, ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს თანხები, რომლებიც საჭიროა რეკონსტრუქციისა და რემონტისათვის, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს მეორადი ბაზრის მომხიბვლელობაზე.

საინვესტიციოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები ძალიან მიმზიდველად გამოიყურებიან, ინვესტიციას აქ ძირითადად რუსები ახორციელებენ, სადაც კვადრატული მეტრის ფასი 700 დოლარიდან 1,900 დოლარამდე მერყეობს. კიევში 950-დან 1100 დოლარამდე.

საქართველო პოსტ საბჭოურ სივრცეში, ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც ძალზედ სინტერესო საინვესტიციო ქვეყანაა.

2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება 16.2% -ით გაიზარდა და 1.86 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინამ, შესაბამისად სამშენებლო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა გაიზარდა 114%-ით.

დღეს სასტუმროს სექტორი სულ უფრო მეტად ხდება მიმზიდველი, როგორც უძრავი ქონების სტაბილური აქტივი შემოსავლის ნაკადების მიხედვით. ახალმა მოთამაშემ, როგორიცაა Airbnb-იმ ფეხი მოიკიდა საერთო ტურიზმის სექტორში.

Airbnb იზრდება სწრაფად, 80 მილიონი ოთახი ქირავებდა თვეში მსოფლიოს მასშტაბით.

საქართველოში Airbnb-ის ბიზნესი უძრავი ქონების მიმართულებით ასე გამოიყურება: თბილისში სამი უბანია მომხიბლავი საინვესტიციოდ: ძველი თბილისის უბნები, საბურთალო და ჩუღურეთი.

2017 წელს ძველ თბილისში გაქირავდა 152,716 ბინა. აქედან საბურთალოზე - 39,806, ხოლო ჩუღურეთში კი - 37,593 ბინა.

ბინების დღიური ღირებულება შემდეგია:

- 1 ოთახი - 35$
- 2 ოთახი - 48$
- 3 ოთახი - 78$

**დანართი 2. თბილისის უბნებში ბინების დღიური გაქირავების სტატისტიკა**




საქართველოში საკურორტო ზონების განვითარება დღემდე ინვესტორთა დიდ ინტერესს იწვევს.

2012 წელს „Wizz Air“-ის მიერ განხორციელებულმა ფრენებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხუთი ქალაქიდან ქუთაისის მიმართულებით შექმნა იაფი მოგზაურობის საშუალება, რამაც ტურისტების რაოდენობის ზრდა საგრძნობლად გაზარდა.

ქუთაისში, ბიზნეს ვიზიტორების წილი მთლიან ვიზიტორებთან შეფარდებით გაცილებით მაღალია (33%). სასტუმროების ვიზიტორთა რიცხვიც საკმაოდ გაზრდილია, რამაც ამ რეგიონში გამოიწვია უძრავი ქონების შეძენაზე მოთხოვნა მოთხოვნა. 2017 წელს წინა წლებთან შედარებით პირევლადი საცხოვერებელი ბინების ფასი გაზრდილია, რასაც ვერ ვიტყვით მეორად საცხოვრებელ ფართებზე.

**დანართი 3**




2017 წელს, საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციებიც გაიზარდა 2,475 ერთეულით, რაც 2016 წელთან მიმართებაში 20% -იან ზრდას ასახავს. 2017 წელს, ახალი ბინის ტრანზაქციების რიცხვიც ოთხჯერ გაიზარდა, ვიდრე 2016 წელს, ხოლო ძველი ბინების ფასი კი მხოლოდ 8% -ით.

2017 წელს, მცირე ზომის ბინები (50 კვ.მ.) წარმოადგენს ქუთაისში გაყიდული საცხოვრებელი სახლების 45% -ს. ბინები 51-70 კვ მ-მდე 30% -ს, ხოლო ფართომასშტაბიანი ბინების გაყიდვები საკმაოდ დაბალია (2%-ი).

საინტერესოა საქართველოს საზაფხულო კურორტების პროგნოზი. 2017 წელთან შედარებით, ბათუმის საცხოვრებელი ბაზარი 8,442 ერთეულს შეადგენდა, რაც 41% -ით ზრდა იყო წინა წელთან. შედარებით. ახლად აშენებულ ბინის გაყიდვების რაოდენობა 37% -ით გაიზარდა, ხოლო ხანდაზმული ბინის ტრანზაქციების რაოდენობა 45% -ით.

ბაზარზე დომინირებს ადგილობრივი/დაბალბიუჯეტიანი სასტუმროები (82%), რომლის კვადრატულობაც მცირეა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ზამთრის კურორტების მიმზიდველობაც ინვესტორებისათვის. სამი ძირითადი კურორტის, გუდაურის, ბაკურიანისა და მესტიის გარდა, გაიხსნა ორი ახალი კურორტი - გოდერძი და თეთნულდი. თუმცა ინვესტიციის დიდი ნაწილი ამ ეტაპზე მხოლოდ გუდაურსა და სვანეთზე მოდის.

2012-2017 წლებში მცირე ზომის ბინებზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდებოდა და ის, გარიგებების უდიდეს წილს ატარებდა. პატარა მოცულობის ბინებზე მოთხოვნა ცალსახად საინვესტიციო პროექტის ნაწილია.

**დასკვნა**

დღეს საქართველოში, კერძოდ დედაქალაქსა და ქვეყნის საკურორტო ზონებში შესამჩნევად

იზრდება სამშენებლო ბაზრის მასშტაბები. ადგილობრივ ბაზარზე შეინიშნება მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებაც. გამოცხადებული მარეგულირებელი შეზღუდვები სავარაუდოდ, საქართველოს ბაზარზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს, რაც უფრო მეტად გაზრდის განვითარებულ ეკონომიკაში არსებულ საერთაშორისო სამშენებლო სტანდარტებს და მით უფრო მომხიბლელს გახდის მას ინვესტორთათვის ფულის დასაბანდებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. უსტუშენკო ნ.ა. უძრავი ქონების ბაზარი: ეტაპები, განვითარება და თანამედროვეობა
2. Bouwinvest Real Estate Investment Management B.V.
3. სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/
4. ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/
5. შენგელია თ (2010) საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში.კრებული:ინოვაციები ბიზნესში
6. გრეჰემი ე. (1999) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭროიბა " ეკონომიკური რეფორმები დღეს"
7. Savage M., Warde A. 1993. Urban Sociology, Capitalism and Modernity. London: Macmilan, 221 p.


## Global Real Estate investment tendencies and its effects on Georgian market


***Sofia Goletiani*, PhD student**
***Georgian Technical University***



### Summary

Foreign investments are good indicators of countries economy, its political structure around investments and willingness to grow and develop the country. In terms of foreign investments Georgia belongs to the number of emerging countries desired for investments. Especially in the area of construction and real estate.

This paper analyzes tendencies of Global real estate market that influence potential investor behaviors and their decision making. Georgia is a country where number of visitors grow every year which naturally develops hotel industry and attracts visitors to the old Tbilisi area and different resorts of Georgia.

It is essential for Georgia to attract foreign investments in order to grow its economy and develop further, Real estate market is one of the most attractive areas of investment and development.



**Keywords:** Real Estate market, Real Estate**,** Foreign Investment

# სასამართლო და არასასამართლო მედიაციის ურთიერთმიმართება (ბიზნეს დავების განხილვის ჭრილში)

*გურიელი ანა*
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პირობებში, მისი წარმატებული ფუნქციონირება დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებების ერთიან ჯაჭვში, წარმოადგენს არა მხოლოდ საჯარო ინტერესის საგანს, არამედ კერძო, მით უფრო ბიზნეს სუბიექტთათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შესაძლებლობას.

თუმცა საქართველოს რეალობაშიმედიაცია განიხილება როგორც ახალი ინსტიტუტი; საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული მასთან დაკავშირებული რიგი მატერიალური, პროცესუალური თუ ეთიკური საკითხები. მათ შორის, სავალდებულო/სასამართლო და ნებაყოფლობითი მედიაციის ურთიერთმიმართება; კოორდინაციის შესაძლებლობა მედიაციის აღნიშნულ ორ ფორმას შორის, რაც არსებითად შეუწყობდა ხელს ბიზნეს დავების სწრაფ და ეფექტიან გადაწყვეტას.

შესაბამისად, ნაშრომში განხილულია სავალდებულო/სასამართლო და ნებაყოფლობითი მედიაციის ურთიერთმიმართება; შემუშავდა კანონმდებლობის სრულყოფის რეკომენდაციები, რაც მოიცავს ბიზნეს ხასიათის დავების დაქვემდებარების შესაძლებლობას სავალდებულო მედიაციისათვის; აგრეთვე, დასაბუთებულია სავალდებულო/სასამართლო და ნებაყოფლობითი მედიაციის კოორდინაციის აუცილებლობა. თითოეული შემოთავაზებული ცვლილება უზრუნველყოფს სამართლის შესაბამის დარგში კანონმდებლობის სრულყოფას და ხელს შეუწყობს ინსტიტუტის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: პრინციპი, ნებაყოფლობითობა, მოსამართლე.

**ძირითადი ტექსტი**

კონფლიქტი ადამიანთა ურთიერთობების განუყრელი ნაწილი და ყოფის ბუნებრივი კომპონენტია. როგორი მოწესრიგებულიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ყოფა და როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ კონფლიქტებს თავიდან ვერ ავიცილებთ, რადგან ის ადამიანთა ურთიერთობის თანმდევი მოვლენაა.[1] საუკუნეებია, ცივილიზებულ საზოგადოებაში კონფლიქტის გადასაწყვეტად ადამიანები მიმართავენ სასამართლოს. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამდენივე ხანია იურისტები არ წყვეტენ ფიქრს დავის გადაწყვეტის ახალი, უფრო ეფექტიანი და ყაირათიანი მეთოდების მოსაძიებლად.[2] ამის გათვალისწინებით, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებმა, მათ შორის მედიაციამ, ადგილი დაიმკვიდრა თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ დავა სასამართლოში, განსაკუთრებით თუ ეს დავა საერთაშორისო ხასიათს ატარებს, დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის რესურსს მოითხოვს. დროის, ისევე როგორც ფინანსური რესურსის, სწორად განკარგვა წარმატებული ბიზნესის ერთ–ერთი მთავარი პირობაა. ბიზნეს დავების სასამართლო გზით განხილვას, მით უფრო, თუ დავის საგნის ღირებულება მაღალია, ბუნებრივია, საკმაოდ დიდ მატერიალურ დანახარჯებამდე მივყავართ. მნიშვნელოვანია დროის ფაქტორიც, სასამართლო პროცესები შესაძლოა წლობით გაიწელოს,

[1] *წულაძე ა.,* 2016. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 6.

[2] *Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H.,* 2011. ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, p. 4.

სასურველი შედეგი კი მაინც არ დადგეს.[1] შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილული იქნება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების - მედიაციის ორი ფორმის - სავალდებულო და ნებაყოფლობითი მედიაციის ურთიერთმიმართება, კერძოდ-ბიზნეს დავების ჭრილში, რომელიც ბიზნეს სექტორს უზოგავს დროს და ფულს, თანაც ისე, რომ შესაბამისი სუბიექტები ინარჩუნებენ საქმეზე საბოლოო შედეგის კონტროლის საშუალებას.[2] ე.ი. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სავალდებულო/სასამართლო და ნებაყოფლობითი მედიაციის ურთიერთმიმართების დადგენას. ნაშრომში განიხილება სავალდებულო/სასამართლო და ნებაყოფლობითი მედიაციის დამახასიათებელი ნიშნები; განისაზღვრება ბიზნეს დავების დაქვემდებარების შესაძლებლობა სასამართლო/სავალდებულო მედიაციისათვის; გამოიკვეთება საკანონმდებლო/ნორმატიული ბაზის სრულყოფის გზები; ბიზნეს დავების გადაწყვეტის ახალი და ინოვაციური მეთოდები;

მიზანი მიიღწევა კვლევის ანალიტიკური და შედარებითსამართლებრივი მეთოდების გამოყენებით. გაანალიზდება აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით მნიშვნელოვნად მიჩნეული რეგულაციები.

2. სავალდებულო/სასამართლო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

სასამართლო მედიაციის მოწინააღმდეგეთა მხრიდან გამოითქმის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსახლეობის პრიორიტეტული ინტერესი არის სამართლიანობის შეგრძნება; არა კომპრომისი, არა ეფექტიანობა, არა პროცესის სიიაფე, არამედ უპირატესად სამართლიანობა.[3] მართლაც, ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წვდომა სამართალთან. რიგ შემთხვევებში აღნიშნულ ცნებას აიგივებენ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებასთან, თუმცა მითითებული ახსნა არ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ. სასამართალთან წვდომა უნდა განისაზღვროს როგორც შესაძლებლობა გადაჭრან კონფლიქტები მშვიდობიანი გზით. ამ თვალსაზრისით, სამართალთან წვდომა მოიაზრებს იმგვარი გარანტიების შექმნას, სადაც პირებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სასურველი შედეგები. თანამედროვე მიდგომების შესაბამისად, ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებს, მათ შორის მედიაციას, გააჩნიათ რესურსი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მითითებულ პროცესში.[4]

იმავეს ადასტურებს პრაქტიკა - აშშ-ში საკითხის კვლევის შედეგად, პროფესორმა კრეიგ მაქვინმა განაცხადა, რომ ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეები რომელთაც არ სურდათ მედიაციის პროცესში ჩართვა და სავალდებულო/სასამართლო მედიაციის წესების შესაბამისად ერთვებიან პროცესში, მისი დასრულების შემდგომ, პროცესს აფასებენ როგორც სამართლიანს; აგრეთვე კმაყოფილებას გამოთქვამენ პროცედურული საკითხების შეფასებისას. აღნიშნულ გარემოებას ავტორმა უწოდა მედიაციის პარადოქსი.[5] მეტიც - სავალდებულო/სასამართლო მედიაციის პრაქტიკამ ცხადყო,რომ უმეტეს შემთხვევაში მხარეებისთვის თავიდანვე მისაღებია მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმის მედიაციისათვის გადაცემის თაობაზე და ამ გადაწყვეტილებას ისინი ხშირად სიხარულით ხვდებიან, რადგან რიგ შემთხვევაში მხარის მიერ მორიგების სურვილის გაცხადება მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღიქმება როგორც სუსტი სამართლებრივი პოზიციით გამოწვეული კომპრომისი.[6]

ამასთან, სავალდებულო მედიაციის მომხრეები საკუთარი არგუმენტის დასაცავად ხშირად მოუხმობენ ხოლმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებას

---

[1] *ცერცვაძე გ.,* 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, გვ. 16.

[2] *ცერცვაძე გ.,* 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, გვ. 164.

[3] *Eisele G.,* 1991. No to Mandatory Court-Annexed ADR From the Bench, Thomas law journal litigation,p. 3.

[4] *Vieira L.,* 2015. Designing a Court-Annexed Mediation Program for Civil Cases in Brazil: Challenges and Opportunities, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, p.2.

[5] *Jacqueline N.,* 2009. Mediation Exceptionality Symposium - Against Settlement: Twenty-Five Years Later, Fordham Law Review, p. 1254.

[6] *Blackshaw I.,* 2009. TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, p. 243.

საქმეში ეშნიგდეინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ: „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, თუ ეს შეზღუდვა ემსახურება კანონიერ მიზანს და დაცულია პროპორციულობა გამოყენებულ ზომასა და მისაღწევ მიზანს შორის“( Ashingdane vs. The United Kingdom, Judgment of the European Court of Human Rights, Application No. 8225/78, 1985, para., 57).

რეალურად, საკითხი არ მდგომარეობს იმაში, სასამართლო მედიაციისათვის მიმართვა არის სტანდარტულ სამოქალაქოსამართვებრივ საპროცესო საქმისწარმოებაზე უკეთესი თუ არა. მნიშვნელოვანი არის ის, რომ შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არსებობის შემთხვევაში, ეს პროცესი მხარეებს აძლევს რიგ შესაძლებლობებს, სხვადასხვა და მათ შორის გამორჩეულად ბიზნეს დავების გადაწყვეტის პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, სამოქალაქო-სამართლებრივი დავების განხილვის პროცესში მოსამართლეთა, როგორც მართმსაჯულების განმახორციელებელ პირთა უფლებამოსილების გაფართოება, რომელიც მას მისცემს შესაძლებლობას, ასეთის მიზნეშეწონილობის დასაბუთების შემთხვევაში, ბიზნეს ხასიათის დავა დაუქვემდებაროს სავალდებულო სასამართლო მედიაციას. მითითებული კონცეფციის სამართლებრივი მოწეს-რიგება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ბიზნეს სექტორში არსებული გამოწვევების დაძლევას.

2. ნებაყოფლობითი მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ნებაყოფლობითი მედიაციის მომხრეები აცხადებენ, რომ ვინაიდან აღნიშნული ტიპის მედიაციის წარმოების შემთხვევაში სახეზეა ორივე მხარის მხრიდან ნების გამოვლენა, ეს შესაძლებელია გახდეს მედიაციის წარმატებით დასრულების საწინდარი,[1]განსხვავებით სასამართლო/სავალდებულო მედიაციის შემთხვევებისაგან, რა დროსაც მხარეთაგან შესაბამისი ნების არსებობას ადგილი არ აქვს.

ამის მიუხედავად, ნებაყოფლობითი მედიაციის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების მქონე პირებისაგან როგორც წესი, იმის კითხვა: თუკი მხარეს აქვს ძლიერი პოზიცია, რატომ უნდა სურდეს სასამართლო განხილვის ნებაყოფლობით თავიდან აცილება?[2] ერთი შეხედვით აღნიშნული არგუმენტი დასაბუთებულია, თუმცა თანამედროვე მიდგომების შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარისათვის მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის შეთავაზება არ ნიშნავს სისუსტის გამოვლენას. შესაძლებელია, ეს ქმედება ამგვარად აღიქმებოდა ჯერ კიდევ ათი წლის წინ, თუმცა ამჟამად ვითარება ამ თვალსაზრისით შეცვლილია.[3]

შეკითხვა, რომელიც ნებაყოფლობითი მედიაციის მოწინააღმდეგეთა მხრიდან აგრეთვე გამოითქმის შემდეგია: მაშინ, როდესაც მხარეები წინასწარ არ შეთანხმებულან დავის წარმოშობის შემთხვევაში მედიაციისათვის მიმართვის თაობაზე, როგორ უნდა შეთანხმდნენ აღნიშნულის შესახებ, თუ მათ შორის უკვე კონფლიქტია გაღვივებული? აღნიშნულ კითხვაზე მრავალი პასუხი არსებობს, თუმცა ყველაზე სარწმუნოა ის მოსაზრება, რომ ნებაყოფლობითმა მედიაციის ინსიტუტმა საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციით თავად უნდა მოახერხოს თავისი დადებითი მხარეების შესახებ ცნობიერების გაზრდა.[4] ნებაყოფლობითი მედიაცია როგორც წესი გამორჩეულად წარმატებულია ბიზნეს დავების წარმოების პროცესში. Harvard Negotiation Law Review (HNLR)-მ გამოაქვეყნა საინტერესო სტატია, თუ რატომ უნდა დანერგონ დავების მოსაგვარებლად მედიაცია აშშ-ს კორპორაციებმა თავიანთ ბიზნეს გეგმებში. სარჩელების ყოველწლიური ზრდა მეტყველებს იმაზე, რომ მხარეებს და მათ ადვოკატებს არ აქვთ სურვილი და უნარი, ეფექტიანად გამოიყენონ მოლაპარაკება დავების გადასაწყვეტად. თანამედროვე სამართლებრივი სისტემა ეჭვქვეშ აყენებს დავების მოგვარებას ადრეულ ეტაპზე, შესაბამისად, საზოგადოება დავების გადაწყვეტის უფრო

---

[1] *Pel M.,* 2008. Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, p.71.

[2] *Abramson H. I.,* 2010. Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, p.156.

[3] *Berman L. J.,*2012. Mediation's Evolution in Socal:Where it has been and where it is going, Published in Advocate Magazine, p. 2.

[4] *წულაძე ა.,* 2016. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 26.

ეფექტიან და ახალ მიდგომას ითხოვს. ეს ახალი მიდგომა არის მედიაცია. მომხმარებელთან, დასაქმებულთან და სახელშეკრულებო დავების მოგვარებისთვის მედიაცია ბიზნესის წარმომად-გენელთათვის მომგებიანი გამოდის სხვადასხვა რესურსის დაზოგვის თვალსაზრისით.[1]

შესაბამისად, დგინდება რომ სახელმწიფოებრივი გადმოსახედიდან, სამოქალაქოსამართლებ-რივი დავების სწრაფი და შედეგიანი გადაწყვეტის ხელშესაწყობად, აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა ბიზნეს სექტორში მედიაციის პოპულარიზაცია, რათა თითოეულმა საწარმომ შეძლოს იმ შესაძლებელობების ეფექტიანი გამოყენება, რომელთაც მათ მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია სთავაზობს.

4. სასამართლო მედიაციის კოორდინაციის შესაძლებლობა ნებაყოფლობით მედიაციასთან

როგორც აღინიშნა, სხვადასხვა სახელმწიფოში სასამართლო მედიაციის პროცედურის წარმართვაში ხელისუფლების ორგანოების ჩარევის ინტენსივობა განსხვავებულია. თუმცა სამართლიანობის მიღწევის როგორი ეფექტიანი საშუალებაც არ უნდა იყოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნებისმიერი საშუალება, მათი საკანონდებლო დონეზე განმტკიცების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას იმგვარი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი პროგრამების საუკეთესო სახით იმპლემენტაციას.[2]

ყოველივე ზემოთხსენებულის განხილვის შემდგომ - ჩნდება კითხვა: ხომ არ იქნება შესაძ-ლებელი სავალდებულო/სასამართლო და ნებაყოფლობითი მედიაციის „გადაკვეთის წერტილის“ დადგენა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს დაინტერესებული პირებისათვის კიდევ ერთი, შესაძლო ალტერნატივის შეთავაზება.

კერძოდ, რეგულაცია შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: თუკი სარჩელის აღძვრის შემდგომ, სასამართლო მედიაციის წარმოების პროცესში გამოვლინდება, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, პროცესის ეფექტიანობას გაზრდიდა არა სასამართლო, არამედ ნებაყოფლობითი მედიაციის წარმოება რომელიმე პროვაიდერი ორგანიზაციის მიერ, დასაშვები უნდა იყოს სასა-მართლოს მიერ მითითებული დავის, მხარეთა მიერ შერჩეულ, შესაბამისი სერვისის პროვაიდერ ორგანიზაციაში/მედიატორთან გადამისამართება, უკვე ნებაყოფლობითი მედიაციის წარმოების მიზნით.

ბუნებრივია, აღნიშნული რეგულაცია არ შეიძლება შეესაბამებოდეს ყველა შემთხვევას და მისი გამოყენება წარმატებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი მხარეები მოლაპარაკების კონკრეტულ ეტაპზე ჩათვლიან, რომ სასამართლოს ფორმალური გარემო შესაძლებელია დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს შეთანხმების მიღწევის პროცესში. ამასთან, უნდა დადგინდეს ამგვარი მიდგომის განხორციელების წინაპირობები, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს მისი გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ: ერთის მხრივ, მითითებულ ინიციატივას უნდა ემხრობოდეს დავის მონაწილე ორივე მხარე; ხოლო მეორეს მხრივ, აღნიშნულის განხორციელებისათვის აუცილებლად მიიჩნევა მოსამართლის თანხმობა. მითითებული ნოვაცია, რაც სასამართლო და ნებაყოფლობით მედიაციას ერთგვარად დააკავშირებს, გამორჩეულ აქტუალობას სწორედ ბიზნეს სექტორისათვის შეიძენს, რამეთუ აღნიშნულ სფეროში მოქმედი სუბიექტებისათვის განსაკუთ-რებული აქტუალობის მქონეა საკანონმდებლო დონეზე რესურსების დაზოგვის შესაძლებლობების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა.

**დასკვნა**

მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პირობებში აუცილებლად მიიჩნევა მასთან დაკავშირებული მატერიალური და პროცესუალური საკითხების მომწესრიგებელი სრულყოფილი

---

[1] *ცერცვაძე გ.,* 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, გვ. 164.

[2] *Vieira L.,* 2015. Designing a Court-Annexed Mediation Program for Civil Cases in Brazil: Challenges and Opportunities, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, p. 2.

საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, მით უფრო ბიზნეს სუბიექტა ინტერესების განხოციელების მიზნით, რაც მედიაციის ორივე ფორმის - ნებაყოფლობითი თუ სავალდებულო/სასამართლო მედიაციის წარმოების შემთხვევაში აქტუალურია. ამასთან შესაძლებლად მიიჩნევა ნებაყოფლობითი და სავალდებულო/სასამართლო მედიაციის განმახორციელებელ სუბიექტთა კოორდინაცია, საუკეთესო შედეგების მიღების მიზნით. ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები შემდეგი სახით განისაზღვრება:

· მოსამართლეს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, თითოეული საქმის ინდივიდუალური შეფასების პირობებში, ობიექტური კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბიზნეს ხასიათის სასამართლო დავები დაუქვემდებაროს სავალდებულო სასამართლო მედიაციას. რამეთუ, ბიზნეს ხასიათის დავები აკმაყოფილებს ყველა იმ კრიტერიუმს, რაც შესაძლებელია გახდეს დავების სავალდებულო სასამართლო მედიაციისათვის დაქვემდებარების საფუძველი.

· სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისა და დაინტერესებული პირებისათვის მეტი შესაძლო ალტერნატივების შეთავაზების მიზნით, შესაძლებელად მიიჩნევა შემდეგი მიდგომის დანერგვა - თუკი სასამართლო მედიაციის წარმოების პროცესში გამოვლინდება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პროცესის ეფექტიანობას გაზრდიდა არა სასამართლო, არამედ ნებაყოფლობითი მედიაციის წარმოება რომელიმე პროვაიდერი ორგანიზაციის მიერ, სასამართლოს თანხმობის შემთხვევაში დასაშვები უნდა იყოს დავის მხარეთა მიერ შერჩეულ მედიაციის პროვაიდერ ორგანიზაციაში/მედიატორთან გადამისამართება. მითითებული ნოვაციური მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც ორივე ტიპის - ნებაყოფლობითი თუ სავალდებულო/სასამართლო მედიაციის განვითარებას და მათ შორის კოორიდინაციის ჩამოყალიბებას, აგრეთვე განსაკუთრებულ აქტუალობას ბიზნეს სექტორისათვის შეიძენს, რამეთუ მითითებული ნოვაციური მეთოდით დაზოგილი რესურსები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საწარმოთა განვითარების შესაძლებლობებს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. *ცერცვაძე გ.,* 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი.
2. *წულაძე ა.,* 2016. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
3. *Abramson H. I.,* 2010. Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America.
4. *Berman L. J.,*2012. Mediation's Evolution in Socal:Where it has been and where it is going, Published in Advocate Magazine.
5. *Blackshaw I.,* 2009. TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague.
6. *Eisele G.,* 1991. No to Mandatory Court-Annexed ADR From the Bench, Thomas law journal litigation.
7. *Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H.,* 2011. ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn.
8. *Jacqueline N.,* 2009. Mediation Exceptionality Symposium - Against Settlement: Twenty-Five Years Later, Fordham Law Review.
9. *Pel M.,* 2008. Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague.
10. *Vieira L.,* 2015. Designing a Court-Annexed Mediation Program for Civil Cases in Brazil: Challenges and Opportunities, Pepperdine Dispute Resolution Law Journal.

## The interrelationship between the court ordered and non court-ordered mediation

***Ana Gurieli, PhD student***
***Caucasus International University***

**Summary**

In the case of mediation institutionalization, its successful functioning in the unified chain of the means of dispute settlement, is not only the subject of public interest, but also an important fact for private/business sector.

In Georgian reality, mediation is considered as a new institution; A number of issues, are not regulated by legislation. Among those issues is the interrelationship between the obligatory/judicial and voluntary mediation; Also, the possibility of coordination between those two forms of mediation, which will especially be effective in the process of the solution of business disputes.

Accordingly, the interrelationship between the obligatory/judicial and voluntary mediation is discussed; The recommendations for the improvement of legislation have been elaborated, including discussing the possibility of giving the judge power to substitute business disputes to obligatory mediation and the necessity of implementing the coordination between the mandatory/judicial and voluntary mediation providers. Each proposed recommendation will ensure the improvement of the legislation and will facilitate the development of the institution.

# საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და გამოყენების მექანიზმი

***დევიძე თამარი***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

***შოშიტაშვილი დავითი***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

საქართველო ასოციაციის დღის წესრიგის განხორციელებას რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმის მეშვეობით ახორციელებს. დღეისათვის ეს ზომები მოიცავს დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ეკონომიკის გაძლიერებას. ეკონომიკური განვითარების ნაწილში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას და ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობების გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ევროკავშირი, საექსპორტო პოტენციალი.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება არ არის საქართველოსთვის ბოლო ნაბიჯი და საქართველოს საბოლოო მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა. ამისათვის ქვეყანა დიდ ინტერეს გამოხატავს და თანმიმდევრულია ევროკავშირის ტრანსფორმაციული მიდგომის მიმართ. საქართველო მნიშვნელოვან ტრანსპორმაციას განიცდის გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც განპირობებული იქნება ეკონომიკური გარდაქმნებით და სტანდარტების და რეგულაციების მოდერნიზაცით.

სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა და განვითარება კვლავ საქართველოს ეკონომიკის ერთერთ გამოწვევად რჩება. სექტორში, რომელშიც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით მოსახლეობის 40%-ია დასაქმებული, სექტორის წილი მთლიან შიგა პროდუქტში 2008 წლიდან დღმდე 8-10% ფარგლებში მერყეობს, ხოლო სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ საწარმოთა წილი მთლიან მშპ-ში დაახლოებით 4% შეადგენს. სწორედ ამიტომ საქართველოს როგორც წინა, ისე ამჟამინდელი ხელისუფლება აღიარებს სექტორის მნიშვნელობას და ხელს უწყობს დარგის გამოცოცხლებას სხვადასხვა პროექტებით.







ბოლო პერიოდში საქართველოში ჩატარებული მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების კვლევის შედეგად, იკვეთება შემდეგი სახის გამოწვევები:

- სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა;
- ფინანსებზე/გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა;
- ინოვაციისა და „კვლევის და განვითარების" დაბალი დონე (მაგალითად, წარმოების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება);
- ევროკავშირის ერთიანი ბაზრის მოთხოვნების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის ფლობა;

- DCFTA-ზე ინფორმაციის ნაკლებობა;
- სუსტი და განუვითარებელი საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები;
- პროდუქტების ექსპორტირების მიმართ არსებული დაბალი ინტერესი, განსაკუთრებით მიკრო და მცირე ბიზნესებში;
- მცირე ბიზნესების უმრავლესობას წარმადობის დაბალი მაჩვენებელი აქვს (განსაკურებით სოფლის მეურნეობის სფეროში);
- ქვეყნის შიდა დონეზე SME-ებს შორის თანამშრომლობის არარსებობა, მათ შორის, პროდუქტების ექსპორტირების თაობაზე;
- სოფლის მეურნეობასა და მის პროდუქტებზე ზედმეტი დამოკიდებულება;
- აქცენტის გაკეთება ისეთ პროდუქტებზე, რომლებსაც დაბალი დამატებითი ღირებულება აქვს; ასევე, იმ კომპანიების სიმცირე, რომლებიც პროდუქტებს უფრო მაღალი სიზუსტით აწარმოებენ.

ამავდროულად იკვეთება ის ძლიერი მხარეებიც რაც გააჩნია საქართველოს იმისათვის რომ განავითაროს სოფლის მეურნეობის სექტორი და ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ზომის მეწარმეობის განვითარებას:

- შედარებით დაბალი საგადასახადო ვალდებულება და შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის;
- საქართველოს, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული SME-ების მხარდაჭერის პროგრამები;
- ლიბერალური სავაჭრო რეჟიმები — DCFTA, FTA და GSP+;
- ევროკავშირის ერთიან ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნა ზოგიერთ ნიშურ პროდუქტზე, ექსპორტის განვითარების შესაძლო პერსპექტივით (როგორიცაა ჩირეული, თაფლი, ხილის კონცენტრატები, ბიო ხილი და კენკრა).

საქართველოში SME-ების განვითარების მნიშვნელოვანი **ძლიერი მხარეები** ევროკავშირთან ასოცირებიდან მოდის. ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმები ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან/ქვეყანათა ჯგუფებთან (DCFTA, FTAს, GSP+) საქართველოს SME-ებს შეღავათიანი ვაჭრობის საშუალებას აძლევს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმების საშუალებით, SME-ების მხარდაჭერის მექანიზმები შეიქმნა და გაფართოვდა ისეთი სააგენტოების მეშვეობით, როგორებიცაა: „აწარმოე საქართველოში", „კონკურენციის სააგენტო", „აკრედიტაციის ცენტრი" და „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო".

ამავდროულად, SME-ების მხარდაჭერისა და DCFTA-ის იმპლემენტაციის პროგრამები საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების მიერ ფინანსდება, რაც ადგილობრივ SME-ებს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. SME-ების განვითარებისთვის საკმაოდ ხელსაყრელია შიდა რეგულაციაც, გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურებით, მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის შედარებით დაბალი გადასახადებითა და შეღავათიანი საგადასახადო სისტემით.

საქართველოს SME-ეებს ევროკავშირის ბაზარზე განსაკუთრებული წარმატების შანსი ეძლევათ ნიშური პროდუქციის წყალობით, პროდუქციის, რომელზეც ან მაღალია მოთხოვნა ევროკავშირის ბაზარზე, ან სპეციფიკურია რეგიონისთვის (საქართველოსთვის) და შესაბამისად, ევროპაში იშვიათობას წარმოადგენს.

DCFTA-ის იმპლემენტაციამ საქართველოს მთავრობის, ევროკავშირისა და საერთაშორისო დონორი საზოგადოებების მზარდი ყურადღება მიიპყრო. ეს ყოველივე ქართველი მწარმოებლებისთვის ექსპორტის პოტენციალის გაძლიერებისკენაა მიმართული, რათა ისინი ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესასვლელად და კონკურენციის გასაწევად იყვნენ მზად. 2017 წლის ნოემბრის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე „ოცი შედეგი 2020 წლისთვის" დოკუმენტის დამტკიცებამ ეკონომიკური განვითარებისა და SME-ების საბაზრო შესაძლებლობების პრიორიტეტულობას შემდეგი ხუთი მიმართულებით გაუსვა ხაზი:

- საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და SME-ებისთვის მზარდი პოტენციალის მიცემა;
- ფინანსებსა და საფინანსო ინფრასტრუქტურაზე წვდომაზე არსებული ხარვეზების აღმოფხვრა;
- ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ახალი სამუშაო შესაძლებლობების შექმნა;
- ციფრული ბაზრის ჰარმონიზაცია;
- პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის რეგიონთაშორისი ვაჭრობის მხარდაჭერა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგები - http://gip.ge/wp-content/uploads/2018/07/GoEW%20-%20Survey%20Results%20-%20GEO.pdf
2. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის - http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
3. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის გენდერული შეფასება - http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2018/10/SME-Gender-Assessment_GEO.pdf
4. Recommendations for Georgia's SME Development Strategy 2016-2020 - http://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Recommendations_for_Georgia_SME_strategy.pdf
5. Mid Term Evaluation Georgia's SME Development Strategy 2016-2020 - http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy_evaluation_report_31_12_2018.pdf
6. Research of DCFTA Impact on Georgian Small-Holder Farmers - https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/ENG_Oxfam.pdf


## Export potential potential and use mechanism


***Tamar Devidze, Associate Professor***
***Georgian Technical University***

***David Shoshitashvili, PhD student***
***Georgian Technical University***



### Summary

Georgia is implementing Association Agenda through several important reforms. Nowadays these measures include strengthening democracy, rule of law and economy. In the economic development part, an important role is given to the development of small and medium enterprises and the use of export opportunities in the EU.



Keywords: Georgia, EU, Export potential.

# საქალაქო ტრანსპორტის ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზები

*ელგენდარაშვილი ცირა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ბაბლუანი მაკრინე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე სატრანსპორტო საშუალება, ბიოსფეროს დარღვევის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია. ჩვენი პლანეტის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად შეგვიძლია მასზე მავნე ზემოქმედების შემცირება. ეკონომიკურ განვითარებასა და ტრანსპორტს შორის დამოკიდებულება ხასიათდება ერთმანეთისგან განსხვავებულ ტენდენციებით, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ტრანსპორტის ზრდის შენელება იქნება არა მხოლოდ ეკოლოგიურად გარდაუვალი, არამედ ეკონომიკურად სასარგებლოც.

კეთილდღეობის ზრდის შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია შესწავლილ იქნეს, ტრანსპორტის ზრდისა და ეკონომიკურ განვითარების ურთიერთდამოკიდებულება.

ბუნებრივია, რომ, ავტომობილების უმრავლესობა დიდ ქალაქებშია კონცენტრირებული. მათი ექსპლუატაცია კი ძვირფასი ნავთობპროდუქტების უზარმაზარ რაოდენობას მოითხოვს, რაც, ამავდროულად მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს, ძირითადად ატმოსფეროს. შეერთებული შტატების სტატისტიკის თანახმად, ყველა ტიპის სატრანსპორტო საშუალება, ატმოსფეროს აბინძურებს 60%-ით, მრეწველობა - 17% ით, ენერგეტიკა - 14% - ით, დანარჩენი კი - მაგ.: შენობების გათბობის სისტემები და ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოება - 9 % ით.

საკვანძო სიტყვები: ტრანსპორტის ზრდა, ეკონომიკურ განვითარება, ეკოლოგიური უსაფრთხოება.

**ძირითადი ტექსტი**

ქალაქი ავტომობილის გარეშე - უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სატრანსპორტო მარშრუტების ფართე კომბინაცია, საავტომობილო მაგისტრალებით და იმ მიკრორაიონებით, სადაც, სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება აკრძალული ან უკიდურესად შეზღუდული იქნება.

ნაკლებად ეფექტური, მაგრამ უფრო რეალისტურია იმგვარი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი კვარტალების გავლით, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვას. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებები მავნე ემისიებს ქმნიან, ბენზინგასამართ სადგურებზეც. ჩვენს ქალაქებში, ავტომობილების უმრავლესობა, საცხოვრებელი კორპუსის ეზოებში, ზოგჯერ მწვანე გაზონებისა და დასვენების ადგილებშია პარკირებული. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, აუარესებს მოსახლეობის ცხოვრების პირობებს.

ჰაერის დაბინძურების ძირითადი მიზეზი, საწვავის არასრული წვაა. მისი მხოლოდ 15% იხარჯება ავტომობილის გადაადგილებაზე და 85% კი ატმოსფეროში გაიფრქვევა.

ამ ფაქტის თავიდან ასაცილებლად, გამონაბოლქვ აირებში მავნე ნივთიერებების შემცველობის შესამცირებლად, მიმართავენ ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდებს:

1.იცვლება ძრავის სქემა, რაც ეკოლოგიურად სუფთა საწვავის, (და არა ეთილირებული ბენზინის) რაციონალურად გამოყენების საშუალებას იძლევა. შეკუმშული და თხევადი გაზის საწვავად გამოყენება, ავტომობილების გამონაბოლქვში, ბენზინზე მომუშავე ავტომობილების გამონაბოლქვთან შედარებით ნახშირბადის ოქსიდის მოცულობას 3-4 ჯერ ამცირებს. ბუნებრივი გაზის სრული წვის გამო, იგი ეკოლოგიურად უფრო სუფთა საწვავია, ვიდრე-ბენზინი.

2.იქმნება სისტემა, რომელიც ნეიტრალიზატორების მეშვეობით უზრუნველყოფს გამონაბოლქვი აირების ტოქსიკურობის უვნებელყოფას.

3.საწვავის დანამატები ამცირებენ ნახშირბადის ოქსიდის, ნახშირწყალბადების, ალდეჰიდების,

ჭვარტლის და სხვა მავნე ნივთიერებების წარმოქმნას.

4.დიაგნოსტიკური სადგურები ახდენენ შიდა წვის ძრავების რეგულირებას, ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვის რაოდენობის შემცირების მიზნით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ცდილობენ გააუმჯობესონ შიდა წვის ძრავა.

5.გამონაბოლქვის მოცულობის შესამცირებლად, საჭიროა ქუჩებში გადაადგილება ნაკლები შეფერხებით განხორციელდეს, რადგანაც, საავტომობილო საშუალება, განსაკუთრებით ზევრ გამონაბოლქვს გამოყოფს დამუხრუჭების და საჩქარის აკრეფის დროს. (შუქნიშნებთან და საცობებში).

საგზაო ხმაურიც, ერთი ყველაზე საშიში გარემოს დამაბინძურებელია. ამ პრობლემით დაინტერესებულნი არიან საავტომობილო ინდუსტრიის, სატრანსპორტო მენეჯმენტის, ურბანული დაგეგმარებისა და მშენებლობის სპეციალისტები, რადგანაც ქალაქში, ხმაურის 60-80% - ს ტრანსპორტის ნაკადი ქმნის.

**დასკვნა**

საავტომობილო ტრანსპორტის შემდგომი ზრდა ეკოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს ქმნის. მოკლევადიან პერსპექტივაში, ეს პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდება. ხოლო, მათი მოგვარება დიდ რესურსებს მოითხოვს. საჭიროა დაიწყოს სატრანსპორტო პოლიტიკის გადახედვა იმ ქალაქებში, რომლებიც ხასიათდება სატრანსპორტო ქსელის ჰეტეროგენურობით. საავტომობილო საწვავის ტრადიციული სახეობების ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი, უფრო ეკოლოგიურად "სუფთა" ტიპის საწვავის გამოყენების გზით, შესაძლებელია გარემოზე გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედების შემცირება.

მთავარი საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით ეხება საავტომობილო საწვავში, მაღალი ტოქსიკურობით გამორჩეული, ტყვიის ტეტრაეთილის შემცველობას.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Ахинов, Г. А., Жильцов, Е. Н. Экономика общественного сектора – М.: ИНФРА-М, 2011. – 343 с.
2. Горбунов, А., Сиваков, Д. Большая проблема для большой страны // Эксперт. – 2012. - №46 (828). – С. 32-35.
3. Гурова, Т., Ивантер, А. Мы ничего не производим // Эксперт. – 2012. - №47 (829). – С. 19-26.
4. Зубаревич, Н. В. Региональное развитие и региональная политика за десятилетие экономического роста // Журнал Новой Экономической Ассоциации. – 2009. - №1-2. – С. 161-174.
5. Akhinov, G. A., Zhiltsov, E. N. Economy of the public sector - Moscow: INFRA-M, 2011. - 343 p.
6. Gorbunov, A., Sivakov, D. A big problem for a large country // Expert. - 2012. - №46 (828). - pp. 32-35.
7. Gurova, T., Ivanter, A. We do not produce anything // Expert. - 2012. - №47 (829). - p. 19-26.


## Ways to solve ecological problems of city transportation


***Tsira Elgdarasvili, Associate Professor***
***Georgian Technical University***

***Makrine Babluani, PhD student***
***Georgian Technical University***



## Summary

Modern transport is the most important factor in the violation of the biosphere and the future of our planet largely depends on how well we can reduce its harmful effects. What are the opportunities to reduce the damage caused by cars?

The relationship between economic development and transport is characterized by compensating each other trends, which can lead to the fact that the slowdown in transport growth will be not only environmentally necessary, but also economically beneficial. In order to maintain the growth rate of welfare, it may be necessary to examine how transport growth can be separated from the process of economic development



**Keywords:** transport growth, economic development, environmental safety.

# ლოგიკური მეთოდების ადგილი ბიზნესის კვლევის მეთოდთა სისტემაში

*ვანიშვილი მერაბი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ჭელიძე მედეა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*აბუთიძე გოჩა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

კვლევითი პროექტის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ფართო თვალსაწიერს და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნას. ამ შემთხვევაში კვლევის ლოგიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ სუბიექტივიზმი არაფორმალური მეთოდების გამოყენებისას, დავაბალანსოთ თეორიული და ემპირიული მეთოდების გამოყენება და განვახორციელოთ მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, მეცნიერული შემეცნების პირველი რიგის ამოცანაა.

ლოგიკური მეთოდების ჯგუფს ქმნიან მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ლოგიკური დასკვნების, წესებისა და გამოცდილების საფუძველზე მივაღწიოთ პრობლემის გადაჭრას და მივიღოთ მეცნიერული შედეგები. იგი, უწინარეს ყოვლისა, მოიცავს შემეცნების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა კლასიფიკაცია, ტიპოლოგიზაცია, განზოგადება, ანალიზი და სინთეზი, შედარება და შეფარდება, დედუქცია და ინდუქცია, ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის მეთოდი, ლოგიკური ინტერპრეტაციის მეთოდი, ანალოგიის მეთოდი, მტკიცებულების მეთოდი, ლოგიკური დასაბუთებისა და სხვა მეთოდები.

წინამდებარე სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განხილული იქნება ლოგიკური მეთოდების ადგილი და როლი ბიზნესის კვლევის მეთოდთა სისტემაში. გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად, ცალ-ცალკე გაანალიზდება ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეთოდის (კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიზაციის, ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, ანალოგიისა და შედარების ) როლი ბიზნესის კვლევებში.

საკვანძო სიტყვები: კლასიფიკაცია, ტიპოლოგიზაცია, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, ანალოგია, შედარება.

**ძირითადი ტექსტი**

კვლევითი პროექტის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ფართო თვალსაწიერს და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნას. ამ შემთხვევაში კვლევის ლოგიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ სუბიექტივიზმი არაფორმალური მეთოდების გამოყენებისას, დავაბალანსოთ თეორიული და ემპირიული მეთოდების გამოყენება და განვახორციელოთ მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, მეცნიერული შემეცნების პირველი რიგის ამოცანაა.

სამეცნიერო კვლევის ლოგიკური მეთოდების კლასიფიკაციას ხშირად ახდენენ იმის თანახმად, თუ დასაბუთების როგორი სისტემა (თვისებრივი თუ რაოდენობრივი) გამოიყენება პრობლემის განხილვისას. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს მეთოდები დავყოთ რაოდენობრივად და თვისებრივად.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდები ეფუძნება გაზომვადი სიდიდეების გამოყენებას და განაპირობებს გაზომვის ოპერაციების (პროცედურების) შესრულებას. თვისებრივი მეთოდები გაზომვის ოპერაციებს ფაქტობრივად არ იყენებს და კონცენტრირებულია საკვლევი ბიზნეს-ობიექტის სიტყვიერ აღწერაზე, მისი თვისებების ინტერპრეტაციასა და ახსნაზე, რომლის შედეგადაც მიიღწევა ძირითადი მიზანი - ობიექტის საკვლევი თვისებების (ხარისხის) არსის გაგება და ინტერპრეტაცია.

წინამდებარე სტატიაში მიღებული კლასიფიკაციის თანახმად, ზემოაღნიშნული მეთოდები გამოყენების სფეროს მიხედვით წარმოადგენს ზოგადს და მიეკუთვნება შემეცნების როგორც

ემპირიულ, ისე თეორიულ მეთოდებს. ლოგიკური მეთოდების გამოყენების ერთ-ერთ მახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სუბიექტივიზმი, მაგრამ მისი გავლენა თანდათან მცირდება კვლევის ტექნიკის განვითარების კვალობაზე, რაც ამ მეთოდებს ხდის მეტად მნიშვნელოვანს ახალი ჭეშმარიტების გაგების პროცესში.

ლოგიკური მეთოდების ჯგუფს ქმნიან მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ლოგიკური დასკვნების, წესებისა და გამოცდილების საფუძველზე მივაღწიოთ პრობლემის გადაჭრას და მივიღოთ მეცნიერული შედეგები. იგი, უწინარეს ყოვლისა, მოიცავს შემეცნების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა კლასიფიკაცია, ტიპოლოგიზაცია, განზოგადება, ანალიზი და სინთეზი, შედარება და შეფარდება, დედუქცია და ინდუქცია, ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის მეთოდი, ლოგიკური ინტერპრეტაციის მეთოდი, ანალოგიის მეთოდი, მტკიცებულების მეთოდი, ლოგიკური დასაბუთებისა და სხვა მეთოდები. განვიხილოთ მათგან ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

*კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიზაციის მეთოდები:*

კლასფიკაციას უწოდებენ ობიექტთა სიმრავლიდან კლასების გამოყოფის მეთოდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ელემენტთა სიმრავლიდან თითოეული მივაკუთნოთ ერთ-ერთ გამოყოფილ კლასს. კლასიფიკაციის მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ კვლევის ობიექტების მრავალფეროვნება, თვისებები, კავშირები და დამოკიდებულებები, საერთო და სპეციფიკური ნიშნები, ჩავწვდეთ მათ არსს. ამ მიზნით კლასიფიკაცია ხორციელდება ობიექტის გარკვეული ნიშნის ან თვისების შესაბამისად, რომელსაც ეწოდება საკლასიფიკაციო ნიშანი ან კლასიფიკაციის საფუძველი.

არსებობს კორექტული და ეფექტური კლასიფიკაციის რიგი პრინციპები, რომელთა გათვალიწინების გარეშე კვლევითი სამუშაო ვერ იქნება წარმატებული. უპირველეს ყოვლისა, დაცული უნდა იქნეს *კრიტერიუმების ერთიანობის პრინციპი* ერთი რიგის კლასების გამოყოფისათვის და კრიტერიუმები არ უნდა იცვლებოდეს კლასიფიკაციის პროცესში. მაგალითად, არ უნდა მივუთითოთ, რომ კვლევაში გამოიყენება ემპირიული და ლოგიკური მეთოდები, რამდენადაც პირველი ასახავს მეთოდების კუთვნილებას კლასზე „შემეცნების დონის“, ხოლო მეორე - „ლოგიკის გამოყენების ხარისხის“ კრიტერიუმის მიხედვით.

*თანაზომვადობის პრინციპი* წარმოადგენს კლასიფიკაციის მეთოდის გამოყენების კორექტულობის შემდეგ პრინციპს, რომელიც ნიშნავს, რომ თითოეული ობიექტი კლასიფიკაციას დაქვემდებარებულ სხვათა სიმრავლიდან უნდა შევიდეს ერთ-ერთ ჩამოყალიბებულ კლასში. ამ წესის დარღვევას მივყავართ კვლევის ობიექტის შესახებ წარმოდგენის დამახინჯებასთან. ცხადია, რომ კორექტული კლასიფიკაცია არ უშვებს საკლასიფიკაციო ობიექტის მიკუთვნებას ერთდროულად რამდენიმე კლასზე, როგორც ეს ხშირად ხდება საკლასიფიკაციო ნიშნების შერევისას.

საკლასიფიკაციო ნიშანი შესაძლებელია იყოს როგორც მარტივი, ისე რთული და მოიცავდეს საკვლევი ობიექტის რამოდენიმე პარამეტრს.

კლასიფიკაციის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს ტიპოლოგიზაცია. ტიპოლოგი-ზაციის განსხვავება კლასიფიკაციისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ტიპოლოგიზაცია უშვებს ისეთ მოვლენების არსებობას, რომლებიც არ შეესატყვისება არცერთ გამოყოფილ კრიტერიუმს. ტიპოლოგიზაცია აღემატება კლასიფიკაციას თავისი უნივერსალურობით და წარმოადგენს ნებისმიერი სისტემატიზაციის საწყის ოპერაციას.

*ანალიზი და ანალიზური მეთოდი ბიზნესის კვლევებში:*

„ანალიზის“ ცნებას, როგორც მინიმუმ, განიხილავენ სამი ძირითადი ასპექტით: (1) როგორც სინთეზის საწინააღმდეგო მეთოდს, რომლის მიზანია მთელის დაშლა და მისი დანაწევრება ნაწილებად; (2) როგორც გაანგარიშების მათემატიკური მეთოდების დამუ-შავებას და მათ გამოყენებას მათემატიკური სიდიდეების შესახებ სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად, ვიწრო გაგებით, დიფერენციალური და ინტეგრალური გამოთვლების განსახორციელებლად; (3) როგორც მეცნიერულ კვლევას, ანუ რაიმეს შესწავლას.

ბიზნესის კვლევისას შეიძლება მხოლოდ მისი ერთი მნიშვნელობით შემოვიფარ-გლოთ -

ანალიზი, როგორც სინთეზის საწინააღმდეგო მეთოდი, რომელიც ნიშნავს მთლი-ანის აზრობრივად (ან რეალურად) დაშლასა და დანაწევრებას. ადამიანი, მართალია, თავდაპირველად ცდილობს ზებუნებრივი გარემო და სოციალური რეალობა აღიქვას როგორც ერთობლივი მთლიანობა იმისათვის, რომ ეს რეალობა გამოიკვლიოს ფუნდა-მენტურად, მაგრამ ასეთი აღქმა იქნება ძალიან ზედაპირული. მთელის შეცნობას უფრო ხშირად წინ უძღვის მისი ნაწილების შეცნობა, ანუ მთლიანის დაშლა-დანაწევრება ცალკეულ ნაწილებად და მათი შესწავლა.

ანალიზი, როგორც ნაწილებად დაშლა მჭიდრო კავშირშია სხვა მნიშვნელოვან მეთოდებთან, მაგალითად - აბსტრაგირებასთან. *აბსტრაგირების* ქვეშ იგულისხმება საგნის მეორეხარისხოვანი ნიშნებისა და თვისებებისაგან აზრობრივი განყენება მისი არსებითი თვისებების გამოყოფისა და შესწავლის მიზნით. აბსტრაგირების პროცესის შედეგია – აბსტრაქცია.

ანალიზი და აბსტრაგირება მთლიანობაში ასრულებენ მსგავს შემეცნებით ფუნქციებს: ორივე მეთოდი მიმართულია კვლევის ობიექტში არსებითი და მნიშვნელოვანის გამოყოფისაკენ. ამასთან, ანალიზი, განსხვავებით აბსტრაგირებისაგან, იკვლევს არსებით და მნიშვნელოვან თვისებებს სხვა თვისებებთან ერთად და, საბოლოო ანგარიშში, აკეთებს სინთეზს. აბსტრაგირება, მართალია, ასრუ-ლებს მნიშვნელოვან გნოსეოლოგიურ ფუნქციას არსებითის გამოყოფაში, მაგრამ ამის იქით არ მიდის.

ანალიზის ერთ-ერთ მიზნად გვევლინება კერძოსა და ზოგადს შორის კავშირების აღმოჩენა და ზოგადში კერძოს მიზეზების დადგენა. „კვლევის საგნის (მოქმედება, მიზეზები და ა.შ.) ცალკეულ ნაწილებად დანაწევრებისა და მათი გამოკვლევის გზით ანალიზი აღმოაჩენს მათ შორის საერთოსა და განსხვავებებს, საკვლევ მიზეზებს, სინთეზი კი აკავშირებს მოცემულ მიზეზებს ამა თუ იმ მოქმედებასთან“ [4, გვ. 37].

ანალიზის მეთოდი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მკვლევარის ენას: ის მოითხოვს ცნების დაზუსტებას და კონკრეტიზაციას, კვლევის კატეგორიალურ აპარატში განუსაზღვრელობის აღმოფხვრას.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ: „ანალიზი, იძლევა რა საგნის ცალკეული მხარეების შესწავლის შესაძლებლობას, არღვევს მის მთლიანობას და მივყავართ ცალკეულ აბსტრაქციამდე. ამიტომ, მხოლოდ მას არ შეუძლია მოგვცეს სინამდვილის თანამედროვე სურათი. აზრობრივად ვანაწევრებთ რა საგანს შემადგენელ ნაწილებად, მიღებული ცალკეული აბსტრაქციები, ცნებები ჩვენ უნდა გავაერთიანოთ, აღვადგინოთ მოვლენის ერთიანობა, შევქმნათ მთლიანი სურათი. ამიტომ, მთლიანის დაშლა ნაწილებად და ამ ნაწილების შესწავლა (ანალიზი) უნდა შეივსოს მისი საპირისპიროთი - სინთეზით. სინთეზი - ეს აზრობრივი (რეალური) შეერთებაა მოვლენის ნაწილებისა, მისი შეცნობაა როგორც მთელისა“ [7, გვ. 221-222].

*სინთეზი და სინთეზური მეთოდი ბიზნესის კვლევებში:*

„სინთეზის“ ცნებაც ასევე მრავალმნიშვნელოვანია, მაგრამ ბიზნესის კვლევისას შეიძლება მხოლოდ მისი ერთი მნიშვნელობით შემოვიფარგლოთ - სინთეზი, როგორც ანალიზის საწინაა-ღმდეგო მეთოდი; იგი ნიშნავს წინათ გამოცალკავებული თვისებების, ნაწილების, ურთიერთობების და ა.შ. ერთ მთელად გაერთიანების პროცესს.

თუ ანალიზი შლის ნაწილებად, სინთეზი, პირიქით, ნაწილებს აერთიანებს ერთ მთლიანობად, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ასინთეზირებს მათ. წინათ დანაწევრებული ნაწილები წარ-მოგვიდგებიან ახალი თვალსაზრისით, ახალი ასპექტით, ან ახალ ჭრილში. სინთეზს, განსხვავებით ანალიზისაგან, აქვს უნარი მოიცვას კვლევის საგანი მთლიანობაში და გამოავლინოს მისი წინა-აღმდეგობანი (თუ ასეთს აქვს ადგილი). მართალია, მეცნიერების ისტორიაში ანალიზი, როგორც წესი, წინ უსწრებს სინთეზს, თუმცა არის შემთხვევები, როცა გლობალური სინთეზური თეორიები იქმნება მანამ, სანამ მიღწეული იქნება მთელის ნაწილების ღრმა ანალიზური შეცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეიძლება გავრცელებულ იქნას ბიზნესის სფეროზეც. სინთეზი, როგორც ბიზნესის კვლევის მეთოდი ბიზნეს-საქმიანობის მონაცემების სახით არსებული კვლევის მასალების წინათ დანაწევრებულ ფრაგმენტებს აერთიანებს მთელ-ში; ის ასინთეზირებს ახალ ცნებებს, პრინციპებს, კონცეფციებს და სინთეზური მსჯელობების დახმარებით ახორციელებს

გადასვლას ბიზნესის ახალ ცოდნაზე. სინთეზური მეთოდი, იყენებს რა სინთეზურ მსჯელობებს, საშუალებას იძლევა საბაზო პრინციპებიდან გამოვიყვანოთ ბიზნესის ახალი ცოდნა[1].

*ინდუქციური და დედუქციური მეთოდები ბიზნესის კვლევებში:*

ინდუქცია როგორც შემეცნების მეთოდი მეცნიერების არსენალში დამკვიდრდა მე-16 საუკუნეში და ამიერიდან პრაქტიკულად ყველა საბუნებისმეტყველო ცოდნა შეიძლება ჩაითვალოს როგორც „ინდუქციური“, რადგან ინდუქციის მეთოდის გარეშე ვერ მივიღე-ბდით საბუნებისმეტყველო მეცნიერების ვერცერთ მცირე თუ მნიშვნელოვან დასკვნას.

*ინდუქცია* - ეს არის აზროვნება, რომელშიც ხორციელდება კერძო ფაქტებიდან და დებულებებიდან ზოგად დასკვნებსა და განზოგადებებზე გადასვლა; ესაა მსჯელობა კერძოდან ზოგადისაკენ, საერთო პრინციპების გამოყვანა კერძო წესებიდან.

მეცნიერულ შემეცნებაში ინდუქცია ასრულებს ოთხ ძირითად შემეცნებით ფუნქციას: 1. ემსახურება როგორც ემპირიული, ისე თეორიული ცნებების ჩამოყალიბებას; 2. გამოდის ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისა და მეცნიერული თეორიების შექმნის მეთოდად; 3. გვევლინება სხვადასხვა კლასიფიკაციის აგების წესად; 4. გამოდის ემპირიული კანონების განმტკიცების (ვერიფიკაციის) მეთოდად.

ინდუქცია შემეცნების მეტად პროდუქტიული მეთოდია, განსაკუთრებით კვლევის პირველ სტადიაზე, როცა ხდება ემპირიული მონაცემების განზოგადება, მათი კლასიფიკაცია და ტიპოლოგია. შემდგომში ინდუქციური აზროვნების პროდუქტიულობა განისაზღვრება მისი დედუქციური აზროვნებით გამაგრების შესაძლებლობაში, ასევე მკვლევარის უნარით ნაყოფიერად შეუხამოს ერთმანეთს შემეცნების ინდუქციური და დედუქციური გზები. აქაც, ასევე ინდუქცია რჩება მეთოდად, რომელსაც აქვს უნარი გაასწოროს შეცდომები და გააკორექტიროს აზრის კვლევის მოძრაობა ჭეშმარიტებისაკენ.

ჭეშმარიტი გარანტია ინდუქციის კანონიერებისა მდგომარეობს იმაში, რომ ის გვევლინება დასკვნის მიღების მეთოდად, რომლებიც, თუ ხანგრძლივად დავეყრდნობით, გრანატირებულად გაასწორებენ მომავალი გამოცდილების ნებისმიერ შეცდომას, რომელზეც მას შეუძლია დროებით მიგვიყვანოს [4, გვ. 160-161].

არსებობს ინდუქციური აზროვნების რამდენიმე ძირითადი სახე. მაგალითად, ობიექტების მომცველობის კლასის მიხედვით: სრული და არასრული ინდუქცია. სრული ინდუქცია ჩამოთვლის ყველა ობიექტს, და თუ რომელიმე დასკვნა სწორია მოცემული კლასის ყოველი ცალკეული საგნის მიმართ, მაშინ ის სწორი იქნება მოცემული კლასის ყველა საგნისათვის. მაგრამ უფრო ხშირად, სრული ინდუქციისაგან განსხვავებით, გვხდება არასრული ინდუქცია – როცა ჩვენ ვერ შევძლებთ მოვიცვათ მოცემული კლასის ყველა საგანი და იძულებული ვართ გავაკეთოთ დასკვნა მისი არასრული ჩამონათვალის საფუძველზე. მიდგომა, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს მცდელობა დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გამოსათვლელ ნიშნებსა და თვით საგნების ხარისხს

[1] საიტის - http://ecouniver.com/1070-analiz-isintez.html - მასალებში ანალიზისა და სინთეზის გამოყენების დემონსტრირებისათვის განიხილება შემდეგი მაგალითი. საქონელთა სამყაროში პური, ღვინო, კოსტიუმი, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი ჩვენ გვაინტერესებს როგორც ობიექტები იმის ასახსნელად, თუ რა უდევს საფუძვლად მათ გაცვლას. ანალიზის გზით, ე.ი. ყოველი კონკრეტული დოვლათის შემადგენელ ნაწილებად დანაწევრების მეშვეობით შესაძლებელია აიხსნას შემდეგი. პირველი მხარე - ყველა დოვლათი შეიძინება იმიტომ, რომ მათ გააჩნიათ ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი. შედეგად - ვღებულობთ კატეგორიას - სახმარი ღირებულება, რომელიც წარმოადგენს საქონლის თვისებას დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნილება. ამრიგად, შესაძლოა გავაკეთოთ პირველი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ყოველი საქონელი ფლობს სარგებლიანობას, ანუ სახმარ ღირებულებას. თუ განვიხილავთ საცვლელ პროპორციებს გაცვლის პროცესში, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ექვსი პური იცვლება ღვინის ერთ ბოთლზე, ერთ კოსტიუმზე, ორ წყვილ ფეხსაცმელზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა საქონელი ფლობს საცვლელ ღირებულებას, ანუ გარკვეული პროპორციით ურთიერთშორის გაცვლის უნარს. ამდენად, ანალიზის დონეზე გამოვლენილია ორი კატეგორია: სარგებლიანობა (სახმარი ღირებულება) და საცვლელი ღირებულება. ახლა აუცილებელია მოცემული საქონელი მივიღოთ არა როგორც ცალკეულ თვისებებად დანაწევრებული, არამედ როგორც ერთიანი მთლიანი. სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს სინთეზი, ადგენს რა ურთიერთკავშირს სარგებლიანობასა და საცვლელ ღირებულებას შორის. ეს ურთიერთკავშირი გამოიხატება სხვა კატეგორიებში, კერძოდ, ფასეულობასა და ღირებულებაში, რომლებიც ასახავენ დოვლათის სარგებლიანობას და მის საცვლელ ღირებულებას. კატეგორია „ფასეულობა“ მოწმობს საზოგადოებისათვის დოვლათის აუცილებლობასა და სარგებლიანობაზე, ხოლო „ღირებულება“ - საზოგადოების მიერ სხვა დოვლათის ან ფულის მიმართ მის შეფასებაზე.

შორის, წარმოგვიდგება როგორც მეცნიერული ინდუქცია.

ინდუქცია შეიძლება იყოს პრობლემური (ფუნქციონალური) და კაუზალური (მიზნობრივი), ენუმერატიული (დასახელებითი) და ელიმინატიური (სტატისტიკური), ექსპერიმენტალური და მათემატიკური და ა.შ. ინდუქციის ყველა ამ სახემ ფართო გამოყენება ჰპოვა ბიზნესის ანალიზში: მაგალითად, მათემატიკურ ინდუქციას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ფორმალიზებული ეკონომიკური თეორიების ასაგებად ეკონომეტრიკისა და მათემატიკურ ეკონომიკაში.

ინდუქციის მეთოდის მსგავსად, ასევე დიდია დედუქციის მეთოდის მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ინდუქციური ნააზრევი ასე თუ ისე აპელირებას უკეთებს დედუქციას და პირიქით, ყოველგვარი დედუქციური დასკვნა ამა თუ იმ ხარისხით ინდუქციურ დასკვნას ეფუძნება. „მსგავსად მარჯვენა და მარცხენა ფეხისა, რომლებიც ერთნაირად ემსახურება სიარულს,ზუსტად ასევე ინდუქცია და დედუქცია ეთნაირ თანაბარუფლებიან მეთოდებად გვევლინებიან" [4, გვ. 301].

*დედუქცია* - ეს არის აზროვნება, რომელშიც ხორციელდება ზოგადი ფაქტებიდან და დებულებებიდან ცალკეულ დასკვნებამდე და განზოგადებამდე გადასვლა; ესაა მსჯელობა ზოგადიდან კერძოსაკენ, კერძო პრინციპების გამოყვანა ზოგადი წესებიდან.

დედუქცია თავისი არსით არის ინდუქციის შებრუნებული მეთოდი. თუ ინდუქციური მეთოდი მიემართება კერძოდან ზოგადისაკენ, მაშინ დედუქციური მეთოდი აიგება საპირისპირო პრინციპებზე: ზოგადიდან კერძოსაკენ. კვლევის დედუქციური მეთოდის საფუძვლები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩაიყარა: მთავარ როლს ამ შემთხვევაში თამაშობდა არისტოტელე თავისი ფორმალური სილოგიზმით, ასევე სკეპტიკოსები (პირონ ელიდსკი).

მთლიანად, დედუქციური მეთოდი შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეცნიერული თეორიის შექმნის მეთოდი, რომლის მთავარი თავისებურება და განმასხვავებელი ნიშანია ლოგიკური დასკვნების დედუქციური პროცედურების გამოყენება. დედუქციური მეთოდის გამოყენებით ახალი ცოდნა მიიღება როგორც აქსიომების - ტერმინების და მტკიცებულებების - ზოგიერთი ამოსავალი ბაზისის ლოგიკური შედეგი; ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ყველა დედუქციური თეორია წარმოადგენს აქსიომატიური თეორიის ნაირსახეობას. თავად ლოგიკური მეთოდი შეიძლება გამომდინარეობდეს ან მათემატიკის, ან ფორმალური ლოგიკის წესებიდან: პირველი შემთხვევაში ის შეიძლება აღინიშნოს როგორც მათემატიკური, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, - როგორც ფორმალურ-ლოგიკური. ასეთი დასკვნების გამოტანის შედეგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას ან როგორც დედუქციის თეორიის შედეგთა ერთობლიობა, ან როგორც ამ შედეგების შესაძლო ინტერპრეტაციების ჯამი.

ბიზნესის სფეროში დედუქტივიზმს[1], ასევე როგორც ინდუქცივიზმს[2] დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია: ბიზნესის ანალიზის ისტორიაში ინდუქცივიზმი, საბოლოო ანგარიშ-ში, ასე თუ ისე აპელირებს ემპირიზმზე, მიისწრაფვის გააკეთოს დასკვნები ემპირიული, გამოცდილი მსჯელო-ბებიდან. დედუქცივიზმი კი, პრინციპში, უარყოფს იმის აუცილებ-ლობას, რომ თეორია გამოვიყვანოთ ინდუქციურად ემპირიული მსჯელობებიდან.

მაგრამ ბიზნესის სფეროში „ინდუქცივიზმი-დედუქცივიზმის" დილემის მთლია-ნად გადაჭრა არც ისე მარტივია. ის რომ გვჭირდება ორივე მეთოდი - როგორც ინდუქცია, ასევე დედუქცია, თანხმდებიან ინდუქცივისტები და დედუქცივისტები, მაგრამ ბიზნესის კვლევებში რომელი მათგანია უკეთესი და უფრო პროდუქტიული, აქ უკვე გახსნილია სრული სივრცე მეთოდოლოგიური დისკუსიებისათვის.

*ანალოგიის მეთოდი ბიზნესის კვლევებში:*

სხვადასხვა ლოგიკურ მეთოდებს შორის, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ადამიანის პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში, მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ანალოგიას.

[1] დედუქცივიზმი არის მეთოდოლოგიაა, რომელიც ამტკიცებს დედუქციის პრიორიტეტს მეცნიერული შემეცნების ყველა დანარჩენი მეთოდის მიმართ

[2] ინდუქცივიზმი არის კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ამტკიცებს ინდუქციის პრიორიტეტს მეცნიერული შემეცნების ყველა დანარჩენი მეთოდის მიმართ.

*ანალოგია* (ბერძნული analogia - მსგავსება, შესატყვისობა) არის მეთოდი, რომლის თანახმადაც რომელიმე ობიექტის განხილვის შედეგად მიღებული ცოდნა გადაიტანება ნაკლებად შესწავლილ, არსებითი თვისებებითა და ხარისხით მსგავს ობიექტზე.

მოცემული მეთოდი წარმოადგენს სამეცნიერო ჰიპოთეზების ერთ-ერთ წყაროს და თამაშობს მნიშვნელოვან როლს სამეცნიერო გამოკვლევების საწყის ეტაპებზე. მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნები ყოველთვის არ არის დამაჯერებელი, რადგან შედარებისათვის შერჩეული ნიშნები შესაძლებელია აღმოჩნდეს შემთხვევითი, არაარსებითი ან არასაკმარისი სამეცნიერო დასკვნების მისაღებად.

ანალოგიის მეთოდმა თავისი გამოყენება ჰპოვა საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ზუსტ მეცნიერებებში, ჰუმანიტარულ სფეროში.

ეკონომიკურ ანალიზში ანალოგია შესაძლებელია გამოყენებული იქნას, მაგალითად, საზოგადოების განვითარების გარკვეული ისტორიული პერიოდის კვლევისას. ქვეყნის განვითარების ხასიათის, ეკონომიკის განვითარების მრავალწყობიანობის, კულტურული თავისებურებებისა და სხვა ნიშანთვისებების გათვალისწინებით მისი განვითარება შესაძლებელია შევადაროთ ანალოგიური ნიშანთვისებებით სხვა ქვეყნის განვითარებას, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე გაიარა მსგავსი პერიოდები. ამ შემთხვევაში ანალოგიის მეთოდი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ პოზიტიური და უარყოფითი პროცესები საზოგადოების განვითარებაში და თავიდან ავიცილოთ მნიშვნელოვანი შეცდომები.

მართვის თეორიაში ორგანიზაციული სტრუქტურის, მიზნობრივი მოდელის ან სისტემური ფუნქციის მოდელის აგების ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია ანალოგიის მეთოდის გამოყენებით.

ბიზნესის კვლევაში ანალოგიის მაგალითად გამოდგება *სპორტინგი* (sporting) - თანამედროვე მეცნიერული მიმართულება მენეჯმენტში, რომელიც დაფუძნებულია ბიზნესში სპორტული იდეოლოგიის, პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებაზე. სპორტინგი არის სპორტის თეორიისა და პრაქტიკის გამოკვლევა და პრაქტიკული გამოყენება ბიზნესსა და მენეჯმენტში[1]. ასეთია შეხედულება ბიზნესზე სპორტის თვალსაზრისით, ანუ სპორტის ლოგიკა ბიზნესში. სპორტინგში კვლევის ძირითადი მეთოდია სორტისა და ბიზნესის ანალოგიის მეთოდი. ანალოგიის მეთოდი საშუალებას იძლევა ჩვეულ ნივთებს შევხედოთ სხვა მხარიდან, გაიხსნას ახალი საზღვრები, თვისებები და შესაძლებლობები. ანალოგია გამოდის სამყაროს შეცნობის, ახალი ცოდნის შეძენის, ახალი აღმოჩენების მძლავრ ინსტრუმენტად.

თანამედროვე ბიზნესის მართვის თეორიასა და პრაქტიკაში ფართო განვითარება ჰპოვა *ბენჩარკინგმა* - საკუთარი კომპანიის ეფექტიანობის ამაღლების მეთოდი საუკეთესო კომპანიების საქმიანობისა და მათ მიერ გამოყენებული მართვის მეთოდების შესახებ ინ-ფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე. რამდენადაც კომპანიის საქმიანობის მახასიათებელი მაჩვენებლები შესაძლებელია იყოს მრავალფეროვანი, ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მაჩვენებლების ერთობლიობის შედარებას განმაზოგადებელ მაჩვენე-ბელთან, ე.ი. მოცემული ერთობლიობის შედარებას ერთიან მახასიათებელთან.

*შედარება ბიზნესის კვლევებში:*

*შედარება* არის შემეცნების მეცნიერული მეთოდი, რომლის დროსაც უცნობი (შესასწავლი) მოვლენა, ობიექტი ან მისი მახასიათებლები შეუდარდება უკვე ცნობილ, ადრე შესწავლილს, მათ შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ნიშანთვისებების დასადგენად. ასეთო მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საკვლევი ობიექტის (მოვლენის) სპეციფიკური თავისებურებანი, მიმდინარე ცვლილებები და განვსაზღვროთ მისი განვითარების ტენდენციები.

შედარების მეთოდებიდან გამოიყოფა: (1) ჰორიზონტალური შედარებითი ანალი-ზი - გამოიყენება საკვლევი მაჩვენებლების ფაქტობრივი დონის საბაზისოდან აბსოლუ-ტური და შეფარ-დებითი გადახრების განსაზღვრისათვის; (2) ვერტიკალური შედარებითი ანალიზი - გამოიყენება

[1] სპორტინგის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს ფრენკ გილბრეტმა, ჯეკ უელჩმა, ტიმ გოლვინმა [3], რობერტ ევანგელისტამ [6] და ბევრმა სხვამ.

პროცესებისა და მოვლენების სტრუქტურის შესასწავლად; (3) ტრენდული შედარებითი ანალიზი - გამოიყენება ზრდის ფარდობითი ტემპების დასად-გენად, ე.ი. დინამიკის მწკრივების კვლევისას.

შედარების მეთოდი ეფექტურად გამოიყენება ბიზნესსა და მენეჯმენტში. ბიზნესის სფეროში შედარებით ანალიზს ყველზე ხშირად იყენებენ ისეთი ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის რეალიზაციისას გეგმიურ მაჩვენებელთა შესრულების დონის შეფასება, მიმდინარე მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი განვლილი პერიოდის მაჩვენებლებთან, სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებების შედარება ოპტიმალურის ასარჩევად, დინამიკური მწკრივების შედარება საკვლევ მაჩვენებლებს შორის საერთო კავშირების დასადგენად და ა.შ.

შედარებითი ანალიზის გამოყენების ძირითად პირობას წარმოადგენს შესასწავლი მაჩვენებ-ლების შესადარისობა. ამ შემთხვევაში შესადარისი გაზომვადი ან გამოთვლადი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს ღირებულებითი, მოცულობითი, ხარისხობრივი, სტრუქტურული მაჩვენებლების ერთიანობის პრინციპს, უნდა განეკუთვნებოდნენ დროის ერთ პერიოდს, უნდა იყვნენ შესადარისი წარმოების პირობებითა და გაზომვის/გამოთვლის მექანიზმებით.

კვლევის მიზნებიდან და შედარებითი ანალიზის მეთოდებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს საბაზისო მაჩვენებლების შერჩევა, რომლებიც გამოყენებული იქნება შედარებისას. საბაზისო მაჩვენებლებად გამოიყენება საგეგმო მაჩვენებლები რეგიონების, საწარმოების, საწარმოთა ქვედანაყოფების მიხედვით, წინა წლების და რიგი წლებისათვის საშუალო წლიური მაჩვენებლები, ლიდერი დარგებისა და კომპანიების მაჩვენებლები, ნორმატიული მაჩვენებლები.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Business research Methods. Donald R. Cooper; Pamela S. Schindler, Mc Graw Hill, ISBN 0-07-249870-2003.
2. Бесплатные видеолекции: Методыи исследования в бизнесе: http://edumarket.ru/library/consulting/12990/
3. Голви У. Тимоти. Работа как внутренняя игра: Фокус, обучение, удовольствие и мобильность на рабочем месте (The Inner Game of Work: Focus, Learning, Pleasure, and Mobility in the Workplace). — М.: «Альпина Бизнес Букс», 2005.
4. Логические методы и формы научного познания. - Киев, 1984.
5. Орехов А. М. Методи экономических исследований: Учебное пособие. – М.: ИНФРА-М, 2009.
6. Роберт Эвангелиста. Бизнес победы: Руководство для менеджера по созданию команды победителей на работе: Практическое пособие (The Business of Winninig: A Manager`s Guide to Building a Championship Team at Work) /пер. с англ., под ред. Колесника А. П. - М.: Финансы и статистика, 2005.
7. Суслов И.П. Методология экономического исследования. - М., 1974.

## The Place of Logical Methods in the System of Business Research Methods


*Merab Vanishvili, Professor*
*Georgian Technical University*

*Medea Chelidze, Associate Professor*
*Georgian Technical University*

*Gocha Abutdze, PhD student*
*Georgian Technical University*



### Summary

Effective implementation of a research project requires a broad outlook and in-depth knowledge of scientific research methods. In this case, the logic of research is the main task of scientific cognition, that allows to eliminate subjectiveism while using informal methods, to balance the use of theoretical and empirical methods, to interpret the results.

A group of logical methods is created by methods that allow solving a problem and obtaining scientific results based on logical conclusions, rules and experience. First of all, this includes such methods as classification, typology, generalization, analysis and synthesis, comparison and correlation, deduction and induction, the method of formalization and mathematization, the method of logical interpretation, the method of analogy, the method of assertion, the method of logical rationale and other methods .

In this article, based on the latest literature, the place and role of logical methods in the system of business research methods are considered. In accordance with the methodology used, the role of some of the most important methods (classification and typology, analysis and synthesis, induction and deduction, analogy and comparison) in business research were analyzed separately.



Keywords: classification, typology, analysis, synthesis, induction, deduction, analogy, comparison.

# მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის ტენდენცია მსოფლიოში

*თათეშვილი როინი*
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

*ჯვარიძე გიორგი*
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი*

**აბსტრაქტი**

სტატია ეხება მოსახლეობის ეკონომიკურ უთანასწორობას და მის ტენდენციას მსოფლიოში. აღნიშნული პრობლემა განხილულია მაღალგანვითარებული, განვითარებადი და ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჭრილში, აგრეთვე, მოსახლეობის მდიდარი, საშუალო და ღარიბი ფენების ჭრილში.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ დღეს მსოფლიოში მოსახლეობის გლობალური უთანასწორობა 0,55-დან 0,70-მდე დიაპაზონშია. ნათქვამია ისიც, რომ 90-იანი წლებიდან ყველაზე მეტად გაზრდილია საშუალო ფენისა და უმდიდრესი ადამიანების ზედა 1%-ის შემოსავალი.

დიდ უთანასწორობას აქვს ადგილი ქვეყნებს შორისაც, 90-იანი წლების შემდეგ ჯინის კოეფიციენტზე დაფუძნებული უთანასწორობა განსაკუთრებით გაზრდილა განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში, სტაბილურად დარჩენილა ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე და განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ ბევრად უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. 90-იანი წლებიდან განვითარებულ ქვეყნებში უთანასწორობა საშუალოდ 5,25 ჯინის ქულით არის გაზრდილი. ამ ქვეყნებში უთანასწორობის ზრდა გამოწვეული იყო ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლების წილის ზრდით. მათ 10-ჯერ უფრო მეტი შემოსავალი აქვთ, ვიდრე ყველაზე ღარიბების 10%-ს.

სტატიაში ნათქვამია ისიც, რომ განსაკუთრებით გაზრდილია ყველაზე მდიდრების ზედა 1%-ის შემოსავალი. განვითარებულ ქვეყნებში მათი შემოსავალი არის ქვეყნის მთლიანი შემოსავლების 10%. მათი შემოსავლის 50%-ს არაშრომითი შემოსავლები შეადგენს.

სტატიაში საუბარია საშუალო ფენის შემოსავლების შემცირების ტენდენციაზეც.

სტატიის ბოლოს გაკეთებულია შემაჯამებელი დასკვნა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უთანასწორობა; უთანასწორობის ტენდენცია; მოსახლეობის ფენები; ჯინის კოეფიციენტი; ფარდობითი სიღარიბე.

**ძირითადი ტექსტი**

შემოსავლების უთანასწორობის ზრდა ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ძალზე გაღრმავდა. უთანასწორობის ტენდენციები უფრო აღრეულია განვითარებად და ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ზოგიერთ მათგანში შემოსავლების უთანასწორობა მცირდება, მაგრამ იზრდება უთანასწორობა განათლების, ჯანდაცვისა და ფინანსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ უთანასწორობის მასშტაბები, მისი გამომწვევი მიზეზები და ის, თუ რა უნდა გაკეთდეს ამასთან დაკავშირებით, ცხარე დისკუსიის საგანი გახდა.

მოწინავე და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში შემოსავლების უთანასწორობა გაიზარდა. ეს ფენომენი სერიოზულ ყურადღებას იპყრობს. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ობამამ შემოსავლების მზარდ უთანასწორობას „ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა“ უწოდა. ბოლო ხანებში პირდაპირ და უცხოური ინვესტიციების (პიუ-ს) კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული საზოგადოეობრივი აზრის გამოკითხვის თანახმად (1), მსოფლიო მასშტაბით რესპოდენტების 60 პროცენტი მიიჩნევს, რომ ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის მთავარი გამოწვევაა.

უთანასწორობის გარკვეული დონე შეიძლება არ იყოს პრობლემა, რადგან ის არის

მოტივაციაა ადამიანებისთვის, რომ საქმიანობაში საუკეთესო შედეგს მიაღწიონ, შეეჯიბრონ ერთმანეთს, დაზოგონ დრო და ინვესტიცია ჩადონ უკეთესი ცხოვრების მისაღწევად. განათლების შესაბამისად შრომის ანაზღაურების დიფერენციაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ადამიანური კაპიტალის აკუმულაციას და ეკონომიკურ ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ ის დაკავშირებულია შემოსავლების უფრო დიდ უთანასწორობასთან. უთანასწორობამ შეიძლება პოზიტიური ზეგავლენა იქონიოს ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან იგი წარმოშობს მოტივაციას ინოვაციისა და მეწარმეობისთვის რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან საშუალებას აძლევს ინდივიდების (გარკვეულ რაოდენობას მაინც), რომ დააგროვონ ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი კაპიტალი და მიიღონ კარგი განათლება.

და მაინც, მზარდი უთანასწორობა არის შეშფოთების საგანი. უთანასწორობის მაღალმა და სტაბილურმა დონემ, განსაკუთრებით შესაძლებლობების უთანაბრობამ, შეიძლება გამოიწვიოს დიდი სოციალური ხარჯები. ეკონომიკურმა უთანასწორობამ შეიძლება სერიოზულად იმოქმედოს ინდივიდის საგანმანათლებლო და პროფესიულ არჩევანზე. გარდა ამისა, ეკონომიკური უთანასწორობა არ ქმნის „სწორ" მოტივაციას, თუ ის გადასახადებზეა დამყარებული. ამ შემთხვევაში ინდივიდებს უჩნდებათ მოტივაცია, ძალისხმევა მიმართონ მათთვის სასურველი მოპყრობის, პროტექციის უზრუნველყოფისკენ, რასაც შედეგად მოსდევს რესურსების არასწორი განკარგვა, კორუფცია და ნეპოტიზმი, შესაბამისი უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური შედეგებით. კერძოდ, მოქალაქეებმა შეიძლება დაკარგონ სხვადასხვა ინსტიტუტების, მომავლის რწმენა. მოსალოდნელია, რომ ძირი გამოეთხაროს სოციალურ თანხმობას.

თანასწორობა, სამართლიანობის მსგავსად, მნიშვნელოვანი ფასეულობაა საზოგადოებათა უმეტესობაში. იდეოლოგიის, კულტურისა და რელიგიის მიუხედავად, ადამიანები წუხან უთანასწორობის გამო. უთანასწორობა შეიძლება შემოსავლების მობილობის და შესაძლებლობების ნაკლებობის სიგნალი იყოს. მზარდ უთანასწორობას ასევე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკის ზრდასა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. მის შედეგად პოლიტიკური და აღმასრულებელი ძალაუფლება შეიძლება, ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში მოხვდეს. შემოსავალთა უთანაბრობამ შეიძლება, მიგვიყვანოს ადამიანური რესურსების არაოპტიმალურ გამოყენებამდე, გამოიწვიოს პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, რაც შეამცირებს ინვესტიციებს და გაზრდის კრიზისის რისკს.

სავალუტო ფონდმა თავისი გამოკვლევით აჩვენა (2), რომ შემოსავლების განაწილებას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებისთვის. კერძოდ, მისი კვლევის თანახმად, ღარიბთა კლასის შემოსავლების გაზრდა იმ პირობით, რომ არ დაზარალდება საშუალო კლასი, ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური არხების მეშვეობით.

შემოსავლებში ეკონომიკური უთანასწორობის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დღეს გლობალური უთნასწორობა 0.55–დან 0.70–მდე დიაპაზონშია, იმისდა მიხედვით, თუ რომელი საზომი გამოიყენება გასაზომად. გლობალური უთანასწორობის მაღალი დონე ასახავს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მნიშვნელოვან განსხვავებას ქვეყნებს შორის, რაც შეადგენს გლობალური უთანასწორობის დაახლოებით ¾–ს.

გლობალურად, ყველაზე მეტად გაიზარდა საშუალო კლასის და უმდიდრესი ადამიანების (ზედა 1%) შემოსავალი. 1998 და 2012 წლებს შორის პერიოდში რეალური შემოსავლების ცვლილებების შესწავლის შედეგად ლაკნერმა და მილანოვიჩმა აჩვენეს (3, გვ. 198-208), რომ ყველაზე დიდი მატება შემოსავლებში ჰქონდა საშუალო კლასს (50–ე მეასედი) და მდიდრების ზედა 1%–ს. ეს ფაქტი ემთხვევა საშუალო კლასის სწრაფ ზრდას მრავალ ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, და ყველაზე დიდშემოსავლიანების კონცენტრირებას განვითარებულ ქვეყნებში. უფრო მეტიც, 50-ე მეასედის ქვემოთ შემოსავლების მატება სწრაფად ეცემა და 80–დან 90–მდე მეასედებში სტაგნაციას განიცდის (4, გვ. 17).

შემოსავლების უთანასწორობა გაიზარდა ქვეყნების შიგნითაც. 1990 წლის შემდეგ მთლიანი და

წმინდა შემოსავლების ჯინის კოეფიციენტზე დაფუძნებული უთანასწორობის მაჩვენებლები არსებითად გაიზარდა განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში. უთანასწორობა, საშუალოდ, სტაბილური დარჩა ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე და განვითარებად სახელმწიფოებში, მაგრამ ბევრად უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, დიდი განსხვავებები არსებობს ზემოთდასახელებულ ქვეყნებში. კერძოდ, აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში უთანასწორობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებში შესამჩნევად შემცირდა.

1990-2012 საბაზრო შემოსავლების უთანასწორობა განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა საშუალოდ 5.25 ჯინის ქულით, ხოლო წმინდა ჯინის კოეფიციენტი გაიზარდა 3 ჯინის ქულით.

შემოსავლების უთანასწორობის ზრდა მოწინავე და განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში გამოწვეული იყო ძირითადად მოსახლეობის ზედა 10%-ის (ყველაზე მდიდრები) შემოსავლების წილის ზრდით (5). მართლაც, ზედა 10 პროცენტს ამჟამად აქვს დაახლოებით 10-ჯერ უფრო მეტი შემოსავალი, ვიდრე ქვედა 10 პროცენტს (ყველაზე ღარიბები).

სიტუაცია გარკვეულწილად განსხვავებულია ახალი საბაზრო ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში. მზარდი უთანაბრობის მიზეზი აქ ძირითადად არის ცვლილებები მოსახლეობის „ზედა საშუალო კლასიდან მაღალ კლასამდე“ ჯგუფის შემოსავლებში (მაგალითად, ჩინეთი და სამხრეთი აფრიკა).

მოსახლეობის ზედა 1 პროცენტის (ყველაზე მდიდრები) შემოსავლების წილი იზრდება. განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად ზედა 1 პროცენტის შემოსავალი მთლიანი შემოსავლის 10%-ია (6).

ზედა 1 პროცენტის შემოსავლის ნახევარს შეადგენს არაშრომითი შემოსავლები, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი ზედა 10 პროცენტისთვის მთლიანობაში - 30%-ია. მაგალითდ, კორპორატიული მოგებების შედეგად მაღალი რანგის აღმასრულებელი პირების ხელფასები და პრემიები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა შემოსავლების უთანასწორობა (7).

ამავე პერიოდში შესაჩცნევი გახდა საშუალო კლასის შემოსავლის შემცირება. მრავალი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში (ავსტრალია, კანადა) და ზოგიერთ დიდ განვითარებად ქვეყანაში, შრომითი შემოსავლების განაწილების ცვლილებამ მოიტანა შუა 20 პროცენტის (საშუალო კლასი) შემოსავლების წილის შემცირება (8, გვ. 344).

მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში ამ მოვლენის მთავარი ფაქტორი იყო საშუალო კვალიფიკაციის საქმიანობების წილის შემცირება დაბალი და მაღალი კვალიფკაციის საქმიანობებთან შედარებით (9, გვ. 72). ახალი საბაზრო ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში საშუალო კლასის შემოსავლების წილის შემცირება ზოგიერთ ქვეყანაში ასახავს შემოსავლების პოლარიზაციას (10, გვ. 42). ჩინეთში, მაგალითად, მთლიანი სიმდიდრის 1/3–ზე მეტი კონცენტრირებულია უმდიდრესი 1 პროცენტის ხელში, მაშინ როცა მიუხედავად სწრაფი ეკონომიკური ზრდისა, მოსახლეობის უმრავლესობა ღარიბი რჩება (11).

სიღარიბე შემცირდა მრავალ ქვეყანაში, მაგრამ ის იზრდება მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში. მრავალი ახალი საბაზრო ეკონომიკის და განვითარებად ქვეყანაში სიღარიბე – მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ცხოვრობს სიღარიბის წინასწარ განსაზღვრული ზღვარის მიღმა – შემცირდა, მიუხედავად შემოსავლების მზარდი უთანასწორობისა. ამის საპირისპიროდ, ბოლოდროინდელი მონაცემებით, სიღარიბე გაიზარდა განვითარებულ ქვეყნებში 1990-იანი წლების შემდგომ (12). 90-ე მეასედი ნაწილის შემოსავლის შეფარდება მე-10 მეასედის შემოსავალთან – რაც კიდევ ერთი მეთოდია უთანასწორობის გაზომვისა – გაიზარდა 1980 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში.

განხილული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ შემსოავლების უთანასწორობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია, თუმცა, უფრო მეტად აღინიშნება მისი ზრდა და ნაკლებად სტაბილურობა, ანდა შემცირება.

**დასკვნა**

სავალუტო კვლევამ დაადგინა, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ამის შედეგად, უმაღლესი

და საშუალო განათლების მუშაკთა ხელფასებს შორის სხვაობის ზრდამ და შრომის ბაზრის ზოგიერთი ინსტიტუტის დაღმასვლამ, ხელი შეუწყო უთანასწორობას როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. თავისი როლი ითამაშა გლობალიზაციამაც, თუმცა, ოდნავ ნაკლები.

ჩვენ ვეთანხმებით და მხარს ვუჭერთ სავალუტო ფონდის ორ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუცილებელია გატარდეს საქართველოშიც. ეს გადაწყვეტილებებია (2):

1. ღარიბ და საშუალო ფენებზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ შეიძლება, შეამსუბუქოს უთანასწორობა. ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, განათლებასა და ჯანდაცვის უკეთესი ხელმისაწვდომობა და კარგად გამიზნული სოციალური პოლიტიკა ხელს შეუწყობს ღარიბი და საშუალო კლასების შემოსავლების წილის ზრდას იმ პირობით, რომ შრომითი ბაზრის ინსტიტუტები მეტისმეტად არ შეავიწროებენ ღარიბებს;

2. უთანასწორობის პრობლემის გადაწყვეტა არ შეიძლება „ყველას მიმართ ერთი საზომით მიდგომის" პრინციპით. სათანადო ეკონომიური პოლიტიკის არჩევანი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, კონკრეტული ქვეყნისთვის სპეციფიურ მიდგომებზე და ინსტიტუციონალურ წყობაზე. განვითარებულ ქვეყნებში ეს პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს ადამიანური კაპიტალისა და კვალიფიკაციის ზრდის მიზნით განხორციელებულ რეფორმებსა და უფრო პროგრესულ საგადასახადო სისტემაზე. ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე და განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის უზრუნველყოფა, რომ ფინანსურ განვითარებას თან ახლდეს უფრო მეტი ფინანსური ჩართულობა და წამახალისებელი ზომების მიღება არაფორმალურობის შესამცირებლად. საზოგადოდ, ეკონომიკური ზრდისა და შემოსავლების თანაბრობის ურთიერთდამოკიდებულება გვკარნახობს, რომ ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ მიმართული პოლიტიკა პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს შემოსავლების განაწილებაზე და უზრუნველყოფს უფრო მაღალ საერთო კეთილდღეობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. PRC 2014.
2. Epa Dobla-Norris, Kalpana Kochhar, Causes and consequences of Income Inequality: A Global Penpedive, International Monetary Fund, June, 2015.
3. Milanovic B. 2013. "Global Income Inequality by the Numbersi in History and Now. Global Policy 4(2): 198-208.
4. Krugman P. 2014. "Why We Taik about the one Percent". New-York Times, Januapy, 17.
5. Piketti T., 2014. Capital in the Twety-furst century. Cambridge, Massachusetts, Harvard university Press.
6. Alvaredo F., Atkinson B., Piketty T., Saez E., 2013. "The Top 1-perscent in International and Historikal Perspective". NBER Working Paper 19075, National Bureau of Economic Besearch, Gambridge, Massachusetts.
7. Brightman C., 2014. "The Profits Bubble". Research Affiliates, Newport Beach, California.
8. Autor D., 2014. "Skills, Education, and the Rise of Earnings Inequality Amang the'Other 99 Percent". Science 344:843-51.
9. Duclos J., Esteban J., and Ray D., 2004. Polarization: Concepts, Estimation", Econometrika 72(6):737-72.
10. Hairong W., 2014. "The Wealthy Get Wealtier: Increasing Wealth Disparity in China Calls for Government Action". Beijing Review 42.
11. Organisation for Economic Co-operation and development (OECD). 2011. Divided We Stand:Why Inequality Keeps Rising. Paris: OECD Publishing.

## The economic inequality trend of the population in the world

*Roin Tateshvili, professor*
*Samtskhe-Javakheti State University*

*Gia Jvaridze, senior teacher*
*Samtskhe-Javakheti State University*

### Summary

The article deals with the economic inequality of the population and its trend in the world. This problem is discussed in the context of highly developed, developed and new market economies, as well as the rich, middle and poor layers of the population.

The work shows that global disparities in the world today are from 0,55 to 0.70 in the range. It is also said that the income of the middle class and the richest 1% is the highest in the 90s.

Inequalities based on the Gini coefficient in the 90s have greatly increased in most developed countries, stable in new market economies and developing countries, but at a much higher level than in developed economies. In the developed countries since the 1990s, the inequality has been increased by 5,25 gins. Inequality in these countries was caused by the increase in the share of income of 10% of the richest population. They have 10 times more income than 10% of the poorest.

The article also says that the increase in the top 1% of the wealthiest is especially high. In developed countries, their income is 10% of the country's total revenue. 50% of their income is nonprofit income.

The article deals with the trend of lower middle class revenues.

At the end of the article, the summary conclusion is made.

Key words: Economic inequality, Inequality trend, Layers of the population; Gini coefficient, Relative poverty.

## ინოვაცია, როგორც თანამედროვე ბიზნესის წარმატების მნიშვნელოვანი მექანიზმი

*თალაკვაძე თამარი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

დამწყები, მცირე ზომის კომპანია, განსაკუთრებით დაკვირვებული და ფრთხილი უნდა იყოს, სხვაგვარად ვერ შეძლებს გრძელვადიან არსებობას. დამწყები კომპანია, რომელიც ჯერ კიდევ მომხმარებლის თვალით უყურებს ბაზარს, ხედავს იმ შეცდომებს, რომლებსაც ლიდერები დიდი ხანია ვეღარ ამჩნევენ, იღებს არასტანდარტულ და სრულიად თამამ გადაწყვეტილებებს. მართლაც რთულია რუტინულ რეჟიმში პრობლემა დაინახო, იმ საქმეში რასაც დიდი ხანია აკეთებ. არის გადაწყვეტილებები და არის სატუაციები, სადაც დამწყებ კომპანიას მეტი პოტენციალი აქვს. სწორედ ასეთი კომპანიები ამრავალფეროვნებენ კონკურენტულ ბაზარს, ქმნიან ისეთ პროდუქტსა და სერვისს, რომლითაც ცვლიან მომხმარებლის აქამდე ჩვეულ ქცევას და სრულიად ახალ ჩვევას უყალიბებენ მას. აღნიშნულის პრაქტიკულად რეალიზება საკმოდ რთულია და ამის უნარი მხოლოდ ძლიერ კომპანიებს შესწევთ. მართლაც რთულია დღევანდელი მონოპოლია- ოლიგოპოლიების პირობებში გაუმკლავდე ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს, შეცვალო მომხმარებლის დამოკიდებულება და ჩაანაცვლო მათი ჩვეული პროდუქტი, სრულიად ახალი და უჩვეულო შეთავაზებით.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, კონკურენცია, მონოპოლია, ბიზნესი.

**ძირითადი ტექსტი**

უმუშევრობის დასაძლევად, ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის და ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბიზნესის განვითარება. რის განხორციელებასაც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის არახელსაყრელი კონკურენტული გარემო, დაბალი მწარმოებლურობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეფიციტი.

ბიზნესის დასაწყისშივე კომპანიამ უნდა გააცნობიეროს, რომ გრძელვადიანი წარმატების გზა მხოლოდ ინოვაციაზე გადის, კომპანიის მიერ ბაზრისათვის შეთავაზებული პროდუქტი თუ მომსახურება, მინიმუმ უნდა მოიცავდეს კლიენტის მოთხოვნებს, მაქსიმუმ თავად უნდა კარნახობდეს საზოგადოებას ახალ მოთხოვნებს.

ამგვარად, კომპანია უკეთეს შემთხვევაში ერთი ნაბიჯით უნდა უსწრებდეს დროს და დროის შესაბამის მოთხოვნებს, ხოლო უარეს შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩებოდეს მას. ბიზნეს სუბიექტი არ უნდა იყოს სტატიკური, მუდმივად უნდა ცდილობდეს განვითარებას და უკეთესი შედეგის მიღწევას. შესაძლოა ამ პროცესს შეცდომებიც მოჰყვეს, თუმცა გონივრული მენეჯმენტის პირობებში შეცდომებზე სწავლა და განვითარებაც შესაძლებელია.

ახლის ძიებაში ბევრი ისეთი ფასეული პროდუქტი თუ მომსახურება შეიქმნა, რომლებმაც გარდატეხა მოახდინეს მეცნიერებაში და მომხმარებელს ხარისხიანი და ინოვაციური პროდუქტი შესთავაზეს. ამის ნათელი მაგალითია სტივ ჯობსი, რომელმაც თანამედროვე და ინოვაციური მენეჯმენტით კომპიუტერული თაობის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. გარდა ტექნოლოგიური პროგრესისა მან პროდუქტის გარეგნული მახასიათებლების სრულყოფაც შეძლო, რაც apples- ს დღემდე გამოარჩევს სხვა კონკურენტი ბრენდისგან.

თანამედროვე ქართული კომპანია ,,სფეისი'', რომელიც აგრეთვე ჩემი კვლევის ობიექტია ასევე ინოვაციური და თანამედროვე კომპანიაა, რომელმაც საზოგადოებას თავად უკარნახა ახალი მოთხოვნილებები.ტექნოლოგიური მიღწევები. მომხმარებლის ქცევის ცვლილება დიდი გამოწვევაა საბანკო ბაზარზე, ნებისმიერი საფინანსო ისტიტუტისთვის. გამძაფრებული კონკურენციის პირობებში მხოლოდ სანდო, ძლიერი და ინოვაციაზე ორიენტირებული ბანკები ახერხებენ არსებობას. საბანკო ბაზარზე 2018 წლის 16 მაისს, სრულიად ინოვაციური კონკურენტი, საქართველოში პირველი და დღემდე ერთადერთი სრულიად ციფრული ნეო ბანკი სფეისი გამოჩნდა. იგი მხოლოდ მობილურ ტელეფონში არსებობს და არ აქვს ფილიალები. აპლიკაცია განკუთვნილია, როგორც iOS ისე Android

ოპერაციულ სისტემებისთვის, რაც საყოველთაოდ ხელმისაწვდომს ხდის. კომპანიის ხედვა ყოველდღიური ფულის მართვის აპლიკაციის შესაქმნელად ეფუძნება 3 მნიშვნელოვან პრინციპს: სიმარტივეს, განჭვირვალობასა და მყისიერებას.

სიმარტივე გამოიხატება მთლიანად მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული აპლიკაციით, რაც გულისხმობს მაქსიმალურად გამარტივებულ საბანკო ოპერაციებს და გამორიცხავს ყოველგვარ ბიუროკრატიას.

სფეისი გამჭვირვალეა, რადგან აქ მომხმარებელს არ ხვდება დაფარული საკომისიოები და გაურკვეველი ხარჯები. სფეისი თვლის, რომ მომხმარებლებთან კარგი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად გულწრფელობა გადამწყვეტია.

გლობალიზაციის მონაპოვარი არის უახლესი ინფორმაცია და მეტად გათვითცნობიერებული მომხმარებელი, რომელმაც იცის რა სურს, განსაზღვრული აქვს პრიორიტეტები და აქვს მზარდი მოთხოვნილებები. ამასთან ცხოვრების ჩქარი ტემპი, ბევრი შესაძლებლობა, მზარდი ცნობისმოყვარეობა და კიდევ სხვა ბევრი მიზეზი განაპირობებს იმას, რომ დღესა და ღამეს შორის აქამდე არსებული ზღვარი გაქრა. მომხმარებელი პრობლემების სწრაფად გადაწყვეტას და მომსახურების უწყვეტ რეჟიმს მოითხოვს. სფეისი მოთხოვნის საპასუხოდ24 საათიან მყისიერ მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს.

ამგვარად, ისეთი ნოვატორი კომპანიების გვერდით, როგორებიცაა Airbnb, Netflix, Virgin თამამად შეგვიძლია სფეისიც მოვიხსენიოთ, რაც დამწყები კომპანიისთვის ღირსეული შეფასებაა.[1]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სფეისი საინტერესო გახდა ჩემთვის, როგორც სადისაერტაციო თემის კვლევის ობიექტი.

ბიზნესი, რომ ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს ამაზე ყველა თანხმდება. თუმცა, თავად ბიზნესის ხერხემალი ინოვაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიებია. საინფორმაციო ტექნოლოგირბზე წვდომა და მათი აქტიური გამოყენება მთლიანად ცვლის მართვის მოძველებულ პრაქტიკას და ამარტივებს ბიზნესპროცესებს.

კომპანიაში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა იწვევს საჭირო და მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ცვლილებებს. რომელთაგან პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული ფორმაა ბიზნესპროცესების ავტომატიზაცია. საკითხის თეორიულად გააზრებასთან ერთად შეიძლება გავიხსენოთ პრქტიკული მაგალითი, რომელსაც სიამოვნებით გაგიზიარებთ. ქართულ კომპანია ,,ფრესკოს'' აქვს პროდუქციის რაოდენობის კონტროლის და შეკვეთების გადაგზავნის ავტომატიზირებული პროცესი, რაც ზოგავს ადამიანურ რესურსს, დროს და ამცირებს შეცდომების დაშვების ალბათობას. მსგავსი თანამედროვე ავტომატიზირებული პროცესები და მსგავს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა ამარტივებს ბიზნესპროცესებს.

დაბალშემოსავლიან მიკრო და მცირე მეწარმეებს განსაკუთრებულად სჭირდებათ ძვირადღირებული მანქანა - მოწყობილობები, საწვავი, შხამ ქიმიკატები მათთვის ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გარეშე რთულია ინოვაციასა და კონკურენტუნარიანობაზე საუბარი. აქ იკვეთება სახელმწიფოს მხარდაჭერის აუცილებლობა. საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერის საუკეთესო მაგალითია ტექნოლოგიური პარკი. იგი საქართველოში ინოვაციებისა და მოწინავე ტექნოლოგიების შექმნას და ცოდნაზე დაფუძნებული ბიზნესის კეთებას ემსახურება. ასეთი ხელშეწყობა ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ამ და სხვა მსგავსი ორგანოების საქმიანობა ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას.

ტექნოპარკებს და ბიზნეს ინკუბატორებს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დიდი შემოსავალი მოაქვს. ტექნოლოგიური განვითარებით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში: აშშ-ში,

---

1

*სფეისი.* (n.d.). From www,space.ge: https://space.ge/faq

საფრანგეთში, სამხრეთ კორეაში, ჩინეთსა და იაპონიაში დიდია სახელმწიფოს მხარდაჭერა ტექნოპარკებისა და სამეცნიერო ლაბორატორიების ფორმირებაში.

გარდა ტექნოპარკების მშენებლობის,ა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლას და გამოყოს სუბსიდიები ბიზნესის განსავითარებლად.

გარდა ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებისა, კარგი იქნება თუ დამწყებმეწარმეს მიეცემა საშეღავათო პერიოდი საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე. მაგალითად: გაერთიანებულ სამეფოში სტარტაპზე მოგების გადასახადი მხოლოდ 1%- ს შეადგენს. კარგი იქნება თუ ახლად დაარსებული კომპანიის თანამშრომლებს ხელფასი, სტანდარტულად 20%-ით არ დაებეგრებათ და ამის ნაცვლად გაკეთდება ინდივიდუალური შეღავათები. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საპენსიო რეფორმის ფარგლებში ამ 20%-ს კიდევ 2% უნდა დაემატოს.

იმ ბანკებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი დამწყები და სტარტაპ ბიზნესის დაფინანსებაში, უნდა გაუკეთდეთ შეღავათი. კერძოდ ამ სეგმენტზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი არ უნდა ექვემდებარებოდეს დაბეგვრას სახელწიფოს მხრიდან. ასე, ყველა რგოლის: სახელმწიფოს და კერძო სექტორის ერთიანი მხარდაჭერით უკეთ გაკეთდება ეროვნული მნიშვნელობის საქმე. ამასთან კარგი იქნება თუ გაიხსნება ბიზნეს სწავლების ცენტრი, სადაც თეორიულ სწავლებასთან ერთად თეორიული მეცადინეობებიც ჩატარდება.

ასევე ძლიან მნიშვნელოვანია იმ ბიზნეს სუბიექტების წახალისება, რომლებიც ეწევიან ქველმოქმედებას. კარგი იქნება თუ მათი მოგებიდან ქველმოქმედებაზე მიმართული სახსრები არ დაიბეგრება. ამასთან, მიზანშეწონილად მიმაჩნია ბიზნესის საწყის ეტაპზე დაწესდეს საშეღავათო პერიოდი ქონების, მიწის და მოგების გადასახადზე.

თავის მხრივ, ინოვაციის წინა პირობა სინერგიული იდეებია, რომლის გამოყენება ენტროპიის დიდი რისკის პირობებში ძალიან სასარგებლო იქნება.

ენტროპია ეკონომიკურ მეცნიერებაში სისტემის განუსაზღვრელობის ხარისხს გულისხმობს. განუსაზღვრელობის ხარისხში იგულისხმება ვითარება, როდესაც სისტემის შიგნით ინფორმაციის ნაწილი ან სრული ინფორმაცია დაფარულია. ,,ენტროპია'' ბერძნული სიტყვაა დ მოტრიალებას, გარდაქმნას ნიშნავს.[1]

სხვადასხვა მეცნიერება ენტროპიას განსხვავებულად განმარტავს, სტატისტიკური ფიზიკის თვალსაზრისით, იგი სისტემის ალბათურ მდგომარეობას გულისხმობს. მისი ზრდა სისტემის ნაკლებად ალბათური მდგომარეობიდან მეტად ალბათურ მდგომარეობაზე გადასვლას გულისხმობს. ბიზნესი დაგეგმილ და მოსალოდნელ პროცესებთან ერთად დაუგეგმავი და მოულოდნელი პროცესე-ბით ხასიათდება, რის გამოც მეცნიერები და ეკონომისტები ბიზნეს პროცესებს ენტროპიასთან აკავშირებენ.[2]

რეგიონულ მასშტაბში რაციონალური მართვა საჭიროებს გაურკვევლობის ფაქტორების გათვალისწინებას. კერძოდ, საფრთხეების მუდმივ კონტროლს და რეგიონის პოტენციალის აქტიურ გამოყენებას. წარმატებულ კომპანიას რაციონალური გადაწვეტილების მიღება უნდა შეეძლოს გაურკვევლობის პირობებშიც კი.რისთვისაც საჭიროა გაურკვევლობის ფაქტორების გათვალისწინება, საფრთხეების მუდმივი კონტროლი და რეგიონის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება.

საქართველოში კორპორაციების რეგიონალური დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

1) რეგიონალურ კორპორაციებად.

2) უწყებათაშორის კორპორაციებად.

3) ტარანსანაციონალურ კორპორაციებად

4) საერთაშორისო კორპორაციებად.

დაყოფის შემდგომი ნაბიჯი უნდა იყოს საქმიანობის სფეროს და ბიზნეს პროცესებში გარგად გარკვეული გუნდის შეკვრა, ძალაუფლების რაციონალური დელეგირება და საქმიანობის მუდმივი

[1]https://ka.wikipedia.org/wiki/ენტროპია-დან

[2]მახარაშვილ, ი. (2016). *გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაცია საქართველოს რეგიონულ და კორპორაციულ.* თბილისი.

კონტროლი.

გასული საუკუნის ქართული ეკონომიკა ენტროპიის მაღალი დონით ხასიათდებოდა და არც ახლა არის მისი საგრძნობი კლების ტენდენცია. ენტროპიის ზრდას, კარგად წარმოაჩენს შემდეგი ფაქტორები:

1) უმუშევრობის მაღალი დონე.

2) რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი.

3) ინფლაციის ზრდა.( მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელსშედარებით დაბალი იყო, ამჟამად მის შემდომ სტაბილურობაზე წინასწარი პროგნოზის გაკეთება რთულია.)

4) სიღარიბის დონე.

5) დიდი სოციალური უთანასწორობა.

ამგვარად, ჩვენს ქვეყანაში დღეს მწვავედ დგას გაურკვევლობის, ალბათობის, ფინანსური დანაკარგების, რისკების და შესაბამისად ენტროპიის პრობლემა. რის წინააღმდეგაც მთელი ძალისხმევით უნდა მივმართოთ ცოდნაზე დაფუძნებული მართვა, ინოვაცია და გლობალიზაციის ყველა სასიკეთო მონაპოვარი. რეალურად რეგიონების განვითარება მხოლოდ მაშინ იქნება რეალურად შესაძლებელი, როცა შემცირდება ენტროპიის დონე. თავისმხრივ, მის შესამცირებლად საჭიროა ორგანიზებულობისა და წესრიგის მაღალი დონე და ნეგენტროპიის სხვა მეთოდები. სრული ნეგენტროპიის მიღწევა შეუძლებელია, რადგან მომავლის წინასწარი განჭვრეტა, აწმყოს დეტალური ანალიზი და მუდმივი წესრიგის მიღწევა შეუძლებელია. ასე, რომ კარგი იქნება ენტროპიის და ნეგენტროპიის ოპტიმალური ბალანსი.

ენტროპიის დიდი რისკის და გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ვფიქრობ დიდი როლი ენიჭება მართვაში სინერგიული მიდგომების დანერგვას. სინერგიული იდეები ინოვაციის წინაპირობაა. იგი ნაკლები დანახარჯებით დიდი ეფექტის მიღების საშუალებას იძლევა.

ეკონომიკური სინერგია სტრატეგიულ უპირატესობას გულისხმობს, რომელიც წარმოიშობა ძალების გაერთიანებით, საწარმოთა შერწყმა-შეერთებით, ამ დროს იზრდება შემოსავალი და მცირდება ხარჯები.[1] ერთობლივი ძალებით, რომ უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება ეს ცალსახაა. მინდა კიდევ გავამახვილო ყურადღება ჩემს მოსაზრებაზე კონკურენციის რაოდენობრივი ზრდის გაგებასთან დაკავშირებით. რაც როგორც აღვნიშნე არასწორად მიმაჩნია. შერწყმა ყოველთვის არ გულისხმობს მონოპოლიას, ხშირად გაერთიანება სწორედ მონოპოლიური ძალების მიერ დაზარალებულ ბიზნეს სუბიექტებს სჭირდებათ. რადგან მათი კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ძალების გაერთიანებაა. ასე, რომ კონკურენციას დაცვა სჭირდება გადაუდებელი რეგულაციებით და არა მათი რაოდენობის ზრდის წახალისებით.

საქართველოში მიმდინარე ბიზნესპროცესები ყოველწლიურად ფასდება საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ, თუმცა ეს შეფასებები ამომწურავად ვერ აფასებს საწარმოო პროცესების ხარვეზებს და იმ პრობლემებს, რის წინაშეც დგას ქართული კომპანიების უმეტესობა. ამიტომ ფორმალური შეფასებების ნაცვლად უშუალოდ ბიზნესმენებთან დიალოგია საჭირო.

ამ საკითხის უკეთ წარმოსაჩენად გამოვიყენეთ რაოდენობითი კვლევის მეთოდი კითხვარი. კითხვარში შემავალი ერთ-ერთი შეკითხვა ითვალისწინებდა საზოგადოების პოზიციის დაზუსტებას, კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის შემუშავების პროცესში ბიზნეს სფეროს წარმომადგენელთა ჩართვის აუცილებლობის შესახებ. გამოკითხული 200-მდე რესპოდენტიდან 52%, ამ პროცესში ბიზნესმენთა ჩართვას სასურველად, 23% შესაძლებლად, 19% აუცილებლად, ხოლო 6% დაუშვებლად მიიჩნევს.

ჩვენი აზრით, ისევე როგორც საჭიროა ბიზნესი მეტად უნდა უსმენდეს მომხმარებელს, ასევე აუცილებელია სახელმწიფო მეტად უსმენდეს ბიზნესს. მუდმივი დიალოგი და თანამშრომლობა ორივე მხარის ინტერესებში უნდა შედიოდეს. შედეგად, საზოგადოებაც კმაყოფილი იქნება.

---

[1]რაშვილ, ი. (2016). *გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაცია საქართველოს რეგიონულ და კორპორაციულ.* თბილისი.

**დასკვნა**

ამგვარად, სფეისის მაგალითი ადასტურებს, რომ დამწყებ კომპანიას, ლოკალურ სივრცეში, თუნდაც არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში შეუძლია ფორმირება, განვითარება და საბანკო ბაზარზე დომინირებული ბანკებისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევა. ჩვენ გვაქვს ბიზნესის კარგად კეთების დიდი პოტენციალი, თუმცა არასაკმარისი მატერიალური რესურსები ბიზნესის კეთებისთვის. ამიტომ სახელმწიფომ უნდა აამოქმედოს ყველა ქმედითი მექანიზმი მეტად ითანამშრომლოს ქართველ ბიზნესმენებთან და შექმნას მიმზიდველი გარემო ინვესტორების მოსაზიდად და ქვეყანაში ჯანსაღი ბიზნეს გარემოს შესაქმნელად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ირმა მახარაშვილი, ,,გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაცია საქართველოს რეგიონულ და კორპორატიულ სტრუქტურებში'' კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დისერტაცია 2016წელი. (გვ: 84,88,93)
2. www.space.ge

## Innovation as an Important Mechanism for Modern Business Success

***Tamar Talakvadze, PhD student***
***Georgian Technical University***

### Summary

A beginner, a small company, should be particularly careful and cautious, otherwise it will not be able to live long. The start-up company, which still looks at the customer's eye, sees the mistakes that the leaders can not see for a long time, taking non-standard and completely bold decisions. It's really hard to see the problem in a routine way, what you do for a long time. There are solutions and there are situations where the start-up company has more potential. Such companies make a competitive marketplace, create products and services that change the customer's behavior and make a new habit. This is practically realistic and it is only possible to make stronger companies. It's really difficult today's monopoly-oligopolies to overcome artificial barriers, change the attitude of the customer and substitute their usual product with a completely new and unusual offer.

# ინვესტიციების მნიშვნელობა ბიზნესში

*თოფჩიშვილი მარინე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

*გაბრიაძე ინგა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი*

**აბსტრაქტი**

სახელმწიფო სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოვლად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე. ინვესტიციები უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას. ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფო კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ბიზნესი, უცხოური ინვესტიცია, საფინანსო ინვესტიცია, ეკონომიკური ინვესტიცია, სამომხმარებლო ინვესტიცია.

**ძირითადი ტექსტი**

ინვესტირება ეს არის კაპიტალის დაბანდება ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით.სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (investire-შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში, ანუ გასაგებად რომ ვთქვათ ინვესტიცია ნიშნავს : დღეს გაიმეტო ფული, რომ მომავალში უფრო მეტი მიიღო.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება „ინვესტიციები“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: სამომხმარებლო ინვესტიციები; ინვესტიციები ბიზნესში (ეკონომიკური ინვესტიციები); ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში (საფინანსო ინვესტიციები).

სამომხმარებლო ინვესტიციები-მკაცრად რომ ვთქვათ პირდაპირი მნიშვნელობით არ წარმოადგენს ინვესტიციებს. იგი ნიშნავს ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ან უძრავი ქონების შეძენას. ინვესტიციები ბიზნესში-თავის უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შეძენა და გამოყენება.

საფინანსო ინვესტიციები ნიშნავს აქტივების შეძენას ფასიანი ქაღალდების სახით მოგების მიღების მიძნით, ამ სახის ინვესტიციებისათვის „ნორმალური“ რისკის პირობებში.

ზოგადად თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციები განიხილება, როგორც გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებანებისმიერი (ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ინტელექტუალური ფასეულობები და ა. შ.) ფორმით საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ, სხვადასხვა პროფილის საწარმოში, სამეწარმეო პროექტებში, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში, ინოვაციურ პროექტებში მოგების მიღების მიზნით დაბანდებიდან გარკვეული ვადის შემდეგ.

ინვესტიციებში იგულისხმება ეკონომიკურ სისტემაში მოქმედი კაპიტალის მოცულობის ზრდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიცია წარმოადგენს სხვადასხვა ინსტრუმენტებით, განხორციელებული გარკვეული ხარჯების ერთიანობას აწმყოში და შესაძლო გაფართოებულ მოთხოვნას მომავალში.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ ინვესტიციების მოზიდვას და შემდგომ, მისგან გამოწვეულ ეფექტიანობას. სახელმწიფოსათვის ინვეტიციების განთავსებას მაშინ აქვს ეფექტი თუ კი, ქვეყანაში შექმნილია ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა და სადაც სახელმწიფო ქმნის ინვესტიციების განთავსების ოპტიმალურ გარემოს, შედეგად კი, ზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, იზრდება საექსპორტო ტვირთბრუნვა და სხვა.

პირდამირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და

ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შედეგად რეგიონის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასთან და ახალი საწარმოების გაჩენასთან ერთად, ადგილი აქვს სხვადასხვა მიმართულებებით პროფესიულ კადრებზე მოთხვოვნის ზრდას, ამიტომ მიმაჩნია, რომ ქვეყანას ჭირდება პროფესიული განათლების კიდე უფრო მეტი პოპულარიზაცია და გაძლიერება, რათა მოხდეს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა, პროფესიულ სასწავლებლებში სათანადო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მომზადებით და შრომის ბაზარზე მიწოდებით, რაც თავის მხრივ ქვეყანაში გაზრდის დასაქმების დონეს.

ჩემი აზრით საქართველოს გააჩნია საკმარისი ადამიანური და ბუნებრივი რესურსი იმისათვის, რომ განსაზღვრონ შესაძლებლობები, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში და ხელი შეუწყოს ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდაში.

საქართველოში მოქმედებს საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიზანია: ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. აღნიშნული კანონი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტეიტორიაზე, რაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელია. ამ კანონით დგინდება სპეციალური ნორმები. საქართველოში უცხოური ინვესტიციები ნამდვილად დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, წარმოების განვითარებაზე, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინებაზე და რაღათქმაუნდა, დასაქმების ზრდაზე, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ბოლო წლებში ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართულ იქნა ძირითადად კაპიტალტევად დარგებში, სადაც დასაქმების მოცულობა მცირეა, შესაბამისად მნიშვნელოვნად ვერ შემცირდა ქვეყანაში უმუშევრობის დონე;

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბარათაშვილი ევგენი, მაგრაქველიძე დალი, საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები“, თბილისი;
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე-“საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”;
3. გოგელაშვილი ლევან, ,,შრომის ბაზარი და სოციალური დიალოგი საქართველოში“, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, თბილისი;
4. ერქომაიშვილი გულნაზი, ,,საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები“ გამომცემლობა ,,უნივერსალი“ თბილისი 2016


## Importance of investments in business


*Marine Topchishvili, Assistant Professor*
*Georgian Technical University*

*Inga Gabriadze, Master Student*
*Georgian Technical University*



**Summary**

Functioning of the State Agricultural Complex is impossible without investments. Investments maintain continuity of reproduction. Investments also supportive function on implementing manufacturing, innovative and social projects, take part in increasing of production volume and in further enhancement of public production efficiency. During the periods of state crisis, investments are the most important means of structural transformation of the social and industrial potential on the road to its market dependency.

# საჯარო-კერძო პარტნიორობის სტრუქტურირების საკითხები

*კორკელია ლევანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია საჯარო-კერძო პარტნიორობის სტრუქტურირების აქტუალური საკითხები. პროექტების განხორციელების სტრატეგიული ხასითი, მათი დიდი კაპიტალტევადობა, განხორციელების ხანგრძლივი ვადები და მონაწილე მხარეთა შორის ინტერესების და რისკების გადანაწილების საკითხები სიცოცლისუნარიანი პროექტის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში განსაკთრებულ როლს ასრულებენ.

საკვანძო სიტყვები: საჯარო-კერძო პარტნიორობა; პროექტის სტრუქტურირება; რისკების გადანაწილება; ინვესტიციათა ეფექტიანობა.

**ძირითადი ტექსტი**

**საჯარო-კერძო პარტნიორობის სტრუქტურირების საკითხები**

თანამედროვე მსოფლიოსთვის, რეგიონებსა და ქვეყნების წინაშე მდგარი ეკონომიკის განვითარების და საზოგადოებრივი სერვისების ეფექტიანად მიწოდების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუციების და კერო სექტორის თანამშრომლობის სისტემები, რომელიც საკანონმდებლო დონეზე პირველად დაინერგა გაერთიანებულ სამეფოში 1992 წელს - კერძო ფინანსური ინიციატივის კანონის მიღებით. ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორიც არიან: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრალია, აშშ, იაპონია და სხვა წარმატებულად იყენებენ საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმს წყალმომარაგების, ტრანსპორტის, საკომუნიკაციო, კომუნალური, სოციალური ინფრასტრუქტურის და სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მომსახურების და ინფრასტრუქტურის მიწოდების მიზნით.

საჯარო-კერძო პარტნიორობის ინიცირების და განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს: პროდუქციის ან მომსახურების წარმოებისთვის ფასის და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის მიღწევის შესაძლებლობა სახელმწიფოს მხრიდან, იმავე ოდენობის საბიუჯეტო დანახარჯების გაწევის პირობებში[1]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჯარო-კერძო პარტნიორობის განხორციელება ფინანსური თვალსაზრისით უფრო მომგებიანი უნდა იყოს, ვიდრე მომსახურების სრული პრივატიზაცია და ამავდროულად, მომსახურების ხარისხი უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე - მხოლოდ საჯარო ორგანიზაციის მიერ მისი მიწოდების შემთხვევაში. სინერგიის აღნიშნული ეფექტი ემყარება ორ მნიშვნელოვან ფაქტორს:

1. პარტნიორობის პირობებში კაპიტალის ღირებულება კერძო სექტორისთვის გაცილებით ნაკლებია, სახელმწიფოს მხრიდან მისი მიწოდების და უზრუნველყოფის გამო;
2. კერძო სექტორის მხრიდან ინოვაციების, ტექნოლოგიების და მმართველობითი გამოცდილების გაზიარებამ უნდა უზრუნველყოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

პარტნიორობის სტრუქტურირების განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოწვეულია რიგი ფაქტორებით: პროექტების დიდი კაპიტალტევადობა; სხვა და სხვა გადაწყვეტილების მიმღებთა მონაწილეობა; ხშირ შემთხვევვებში - საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციათა მონაწილეობის საჭიროება; პროექტების სოციალური მიზანმიმართულობა და უკუგების ხანგრძლივი პერიოდი[2].

საჯარო-კერძო პარტნიორობის სტრუქტურის მთავარი ელემენტებია:

1. საჯარო-კერძო პარტნიორობის შეთანხმება - რომლის მიხედვითაც ხდება პარტნიორებს შორის პასუხისმგებლობების და რისკების გადანაწილება. ხელშეკრულება ასევე მოიცავს

[1] Grimsey, D., & Lewis, M. K. (2005). Are Public Private Partnerships value for money? Evaluating alternative approaches and comparing academic and practioner views. Accounting forum. No. 29. p. 345 – 378.

[2] Public-Private Partnerships. International Monetary Fund. March 2004. P. 14.

გაწეული მომსახურების მიწოდების ანაზღაურების და საჭიროების შემთხვევაში კომპენსაციის მექანიზმებს, რომლის წარმოებას ან მიწოდებას ახდენს კერძო პარტნიორი;

2. საპროექტო კომპანია, რომელიც მართავს კონკრეტულ საინვესტიციო პროექტს და უმეტესწილად მისსავე საკუთრებაშია. ამავდროულად, ინსტიტუციონალური პარტნიორობის შემთხვევაში, საპროექტო ორგანიზაციის მართვა ხდება სააქციო საზოგადოების პრინციპების საფუძველზე;
3. პროექტის დაფინანსება ხდება სააქციო საზოგადოების კაპიტალის ან საპროექტო დაფინანსების მეშვეობით. საკრედიტო დაფინანსების მიმწოდებელი შეიძლება იყოს კომერციული ან განვითარების ბანკები, საპენსიო ფონდები ან სხვა ინსტიტუციონალური დაწესებულებები, რომელთანაც საჯარო ორგანიზაცია გააფორმებს სამმხრივ ხელშეკრულებას დაფინანსების შესახებ;
4. მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც მართავენ ინფრასტრუქტურას ან ახორციელებენ ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციას დადგენილი ვადებით და პირობებით.

ზემოთ ხსენებული ელემენტების გარდა საჯარო-კერძო პარტნიორობის სტრუქტურაში შედიან სადაზღვევო კომპანიები, კერძო სექტორის მიერ მოწვეული კონსულტანტები: ინჟინრები, იურისტები, ფინანსისტები, აუდიტორები და ა. შ. პარტნიორობის კონკრეტული სტრქუტურა დამოკიდებულია საჯარო პარტნიორის მოთხოვნებზე და საჭიროებებზე.

პროექტის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს გასაწევი მომსახურების მიწოდების საზოგადოებრივი მნიშვნელობის და მოსალოდნელი ეფექტის შეფასება. ეკონომიკის იმ სექტორებში, რომელიც თავისუფალი ბაზრის პირობებში არ არის საკმარისად მომგებიანი და მხოლოდ საბაზრო მექანიზმების გათვალისწინებამ შეიძლება მოახდინოს პროექტების თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის დაკნინება, მომსახურების ხარისხის შემცირებით ან სულაც მასზე წვდომის შეზღუდვით - საჯარო სექტორი ვალდებულია შეასრულოს უმთავრესი როლი.

საზოგადოებრივი სერვისების სტატუსი განსაზღვრავს აუცილებელი საბიუჯეტო დანახარჯების მოცულობას. ამ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფო ორგანოთა ფინანსური შესაძლებლობები და პროექტის ღირებულება მისი მხოლოდ საბიუჯეტო სახსრებით განხორციელების შემთხვევაში. მიღებული შედეგის შედარებას კერძო სექტორის მიერ გაწეული ანალოგიური მომსახურების ეკონომიკურ სარგებლიანობასთან უწოდებენ - საჯარო სექტორის კომპორტატორის (PSC) მეთოდოლოგიას. ის გამოიყენება საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტის ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლად.

რიგ შემთხვევებში პროექტების განხორციელება იმდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებისთვის, რომ მისი მთლიანი პრივატიზაცია ან აუთსორსინგზე გადაცემა არ არის მიზანშეწონილი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საჯარო-კერძო პარნიორობის განხორციელება ინსტიტუციონალური პარტნიორობის ფორმით, როდესაც კაპიტალი იქმნება როგორც კერძო, ასევე საჯარო ორგანიზაციათა წილობრივი მონაწილეობით. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია პროექტების განხორციელება სახელშეკრულებო პრინციპზე - კერძო სექტორის მიერ მისი სრულად დაფინანსებით.

სახელმწიფო საკუთარი კაპიტალის კერძო სექტორთან გაერთიანებით უშუალოდ ერთვება საბაზრო ურთიერთობებში და ახორციელებს მოგების მიღებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, სახელმწიფო აქტივების მეშვეობით. განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გამო სახელმწიფოს სამეწარმეო საქმიანობას ახლავს გარკვეული თავისებურებები. პირველ რიგში, სახელმწიფო ქონების განკარგვაში საჯარო სექტორი წყვეტს უპირატესად სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს. მეორეს მხრივ, საჯარო აქტივის შემოსავლიანობა არ წარმოადგენს მისი ეფექტიანობის ერთად-ერთ საზომს და ხშირად ეყრდნობა ისეთ სოციალურ მაჩვენებლებს, როგორიც არის დასაქმების მაჩვენებელი, ეკოლოგიური უსაფრთხოება და სოციალური გარანტიების და სტანდარტების უზრუნველყოფა.

ინსტიტუციონალური მოდელის გამოყენების შემთხვევაში პირველ რიგში, განისაზღვრება

კაპიტალის ინვესტირების ოპტიმალური სტრუქტურა საჯარო და კერძო პარტნიორებისთვის. სააქციო საზოგადოებაში თანხების ინვესტირებას თითოეული მხარე ახდენს პოტენციური სარგებლის და რისკების დონის გათვალისწინებით. ამასთანავე განისაზღვრება ისეთი საკითხები, როგორც არის შექმნილი ინფრასტრუქტურის მართვის და გადაცემის საკითხები და შემოსავლის გადანაწილება. სახელშეკრულებო ფორმის შემთხვევაში კი პირველ რიგში წყდება ოპტიმალური მოდელის საკითხი, რაც თავისთავად განსაზღვრავს ობიექტზე საკუთრების და დაფინანსების საკითხებს.

იმ პროექტების სტრუქტურირება, რომელიც ხორციელდება საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპების მეშვეობით, ობიექტურად უფრო რთულია, ვიდრე სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში, ვინაიდან ეს პროცესი მოითხოვს მასში ჩართული ყველა მხარის ინტერესების დაკმაყოფილებას. სახელმწიფო შეკვეთის შესრულებისას კერძო სექტორი იღებს ვალდებულებას შექმნას და ჩააბაროს დამკვეთს კონკრეტული ინფრასტრუქტურული ობიექტი, ის კი, თავის მხრივ, იბარებს ობიექტს ფიქსირებული ანაზღაურების სანაცვლოდ. სახელმწიფო შესყიდვისგან განსხვავებით საჯარო-კერძო პარტნიორობა ემყარება მხარეთა შორის გრძელვადიან საინვესტიციო ურთიერთობას და გულისხმობს მათ შორის უფლება-მოვალეობათა და რისკების თანაბარ გადანაწილებას.

დაფინანსების საბიუჯეტო რესურსების გამოყენებით საჯარო-კერძო პარტნიორობა წარმოადგენს პროექტის განხორციელების ერთ-ერთ ალტერნატივას ტრადიციულ სახელმწიფო შესყიდვებთან ერთად. თუმცა მისგან თვისობრივად განსხვავდება და ობიექტურად უფრო რთულია, ვიდრე სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში. პარტნიორობის პროცესი მოითხოვს მასში ჩართული ყველა მხარის ინტერესების დაკმაყოფილებას. სახელმწიფო შეკვეთის შესრულებისას კერძო სექტორი იღებს ვალდებულებას შექმნას და ჩააბაროს დამკვეთს კონკრეტული ინფრასტრუქტურული ობიექტი, ის კი, თავის მხრივ, იბარებს ობიექტს ფიქსირებული ანაზღაურების სანაცვლოდ. სახელმწიფო შესყიდვისგან განსხვავებით საჯარო-კერძო პარტნიორობა ემყარება მხარეთა შორის გრძელვადიან საინვესტიციო ურთიერთობას და გულისხმობს მათ შორის უფლება-მოვალეობათა და რისკების თანაბარ გადანაწილებას. ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოვლენილია რისკები, რომლებიც ტრადიციულად ახლავს საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმის გამოყენებას. საჯარო პარტნიორის რისკს განეკუთვნება:

- კერძო პარტნიორის არაკეთილსინდისიერი საქმიანობა - არსებობს რისკი, რომ კერძო პარტნიორი ყოველთვის კეთილსენდისიერად არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკუთარი საჯარო ფუნქციების ნაწილს სახელმწიფო გადასცემს კერძო სექტორს, ის ბუნებრივად ხდება დამოკიდებული პარტნიორის მხრიდან ხელშეკრულების პირობების ზუსტ დაცვაზე, ვინაიდან ბიზნესმა შეიძლება მოინდომოს საჯარო ორგანიზაციის რესურსების ხარჯზე საკუთარი მიზნების მიღწევა;
- საპროექტო რისკების დაბრუნება საჯარო ორგანიზაციისთვის- მოკლევადიან პერსპექტი-ვაში საჯარო-კერძო პარტნიორობის განხორციელება ამცირებს საბიუჯეტო დანახარჯებს, თუმცა კერძო პარტნიორის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობამ შეიძლება აიძულოს საჯარო ორგანიზაცია შეწყვიტოს კონტრაქტი და დაიბრუნოს პროექტი;
- პროექტის არასწორი სტრუქტურირების გამო პროდუქციის და მომსახურების ფასების ზრდა;
- დარგის ოლიგოპოლიზაციის გამო კონკურენციის შესუსტება - ეკონომიკური გლობალი-ზაციის პირობებში საჯარო მომსახურების მიწოდების სფეროში კონკურენცია შეიძლება გახდეს მათი პრივატიზაციის საფუძველი. ტრანსნაციონალური კომპანიების მხრიდან ბაზარზე სწრაფი შესვლა გახდეს კონკურენციის შესუსტების და დარგის ოლიგოპოლიზა-ციის საფუძველი.

საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტების განხორციელებას ახლავს რისკები ადგილობრივი საზოგადოებისთვისაც. კერძოდ, ესენია:

- დემოკრატიული კონტროლის და მონაწილეობის შეზღუდულობა - არსებობს რისკი, რომ ხელშეკრულების გაფორმების და პროექტის ჩაბარების შემდეგ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებული იქნება ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობის გარეშე, გაუმჭვირვალე პირობებში;
- ფინანსური წნეხის გადატანა მოსახლეობაზე - არსებობს რიკსი რომ პარტნიორობა შეიქმნას არა მომსახურების და პროდუქციის წარმოების მიზნით, არამედ შემოსავლიანი მომსახურების სფეროს პრივატიზაციისთვის, რომლის გარეშეც საზოგადოების გამართული ფუნქციონირება დგება საფრთხის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში ჩნდება კონკრეტული ეკონომიკური სტიმულები მოსახლეობის ინტერსების ექსპლუატაციისთვის.

თავის მხრივ პარტნიორობის მექანიზმის ფაგლებში კერძო სექტორმაც უნდა გაითვალისწინოს მის წინაშე მდგარი რისკები. კერძოდ, ესენია:

- პოლიტიკური და იურიდიული სფეროს რისკები - რისკების ეს კატეგორია დაკავშირებულია მთავრობების და მათი პოლიტიკის ცვლილებასთან; საჯარო ორგანიზაციის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან, რაც თავისთავად აჩენს არაპროგნოზირებად გარემოს; გასათვლაისწინებელია, ასევე საგადასახადო სისტემის ცვლილების შესაძლებლობა;
- ტექნიკური რისკები, რომლებიც უკავშირდება ინფრასტრუტურის შექმნას და ექსპლუატაციას - ეს კატეგორია მოიცავს სხვა და სხვა კომპონენტებს: გაუთვალისწინებელი ტექნიკური საკითხები პროექტირების ეტაპზე, გარემოს დაცვის გაურკვეველ ნორმატივებს, დაგვიანებას, ობიექტის მომსახურების შეუძლებლობას და სხვა;
- ეკონომიკური და ფინასური რისკები - ამ კატეგორიას განეკუთვნება ინფლაციური რისკები და დანახარჯების საპროგნოზო მაჩვენებლების გადამეტება;
- კომერციული რისკები - პროექტის განხორციელებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პროდუქციის და მომსახურების საპროგნოზო სამამომხმარებლო დონე; გრძელვადიან პერიოდში მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობის დონის ცვლილება მომსახურების რენტაბელობის დონის შენარჩუნებისთვის;

პროექტების სტრუქტურირების და შეფასების მეთოდოლოგიებიდან მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ჩადებულ ინვესტიციათა უკუგების მაჩვენებლის ანალიზი (ე.წ. Value for money - VFM). ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში VFM ანალიზი აერთიანებს ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ხარიხსობრივი ანალიზი გულისხმობს იმის დადგენას, თუ რამდენად ოპტიმალურია საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის გამოყენება არასაბიუჯეტო დაფინანსების მოზიდვისთვის. მიჩნეულია, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმით პროექტების განხორციელება საინვესტიციო და საექსპლუატაციო თვალსაზრისით უფრო ეფექტიანია ტრადიციულ სახელმწიფო შესყიდვასთან შედარებით. ეფექტიანობის ზრდა შესაძლებელია თუ კერძო სექტორისთვის, რომელსაც გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და ინოვაციები, რისკების გადაცემასთან ერთად, შემუშავებულია სტიმულირების სათანადო მექანიზმიც. მსოფლიო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატით პროექტის განხორციელება გამართლებულია, თუ არსებობს შემდეგი პირობები[1]:

1. პროექტი საჭიროებს იმდენად დიდი ინვესტიციის განხორციელებას, რომ შესაძლებელია მიწოდების, მშენებლობის და მართვის რისკების გადანაწილება;
2. კერძო სექტორს გააჩნია მსგავსი პროექტების დაგეგმვის და განხორციელების გამოცდილება;
3. კერძო პარტნიორის მიერ რისკების მართვის და პროექტის განხორციელების შესაძლებლობის შეფასება;
4. შესაძლებელია დაბანდებათა ზეგავლენის შეფასება მომსახურების მიწოდებაზე პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში;
5. პროექტის მაღალმა ღირებულებამ არ უნდა გამოიწვიოს დისპროპორცია დანახარჯებში;
6. პროექტის ტექნოლოგიური მახასიათებლების სტაბილურობა, რაც არ გამოიწვევს მათ ცვეთას და ამორტიზირებას მოკლევადიან პერსპექტივაში;

[1] Value for money analysis. ევროპის განვითარების ბანკის ელ. რესურსი :http://www.eib.org/epec/g2g/i-project-identification/12/124/index.htm

7. ბაზრის კონკურენტული სეგმენტის არსებობა.

სახელმწიფო ორგანიზაციასთან პარტნიორობით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების მიზნით კერძო სექტორს ეძლევა საშუალება ხანგრძლივი ვადით და ნაკლები ფინანსური რისკებით მიიღოს სარგებლობასა და მართვაში სახელმწიფო აქტივი. მართალია, სოციალური სფეროს აქტივი არ ხასიათდება ეკონომიკის სხვა სფეროთა მომგებიანობით, თუმცა მისი საზოგადოებრივი ხასიათი და პროექტების განხორციელების ხანგრძლივი ვადა უზრუნველყოფს კერძო სექტორისთვის მისით დაინტერესებას.

საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტის სტრუქტურირება მოითხოვს იმ კონკრეტული მოდელის შერჩევას , რომელიც უზრუნველყოფს ორივე პარტნიორის ინტერსების დაცვას და დაბალანსებას. კერძო სექტორი პარტნიორობაში შემოვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პასუხობს რენტაბელობის და დაბანდებულ ინვესტიციათა უკუგების მოთხოვნებს. საჯარო ორგანიზაციისთვის მისი გამოყენება დასაშვებია, მაშინ როდესაც ის იძლევა საბიუჯეტო დანახარჯების შემცირების და სინერგიის მეშვეობით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას. თუ პროექტი არ პასუხობს მასში ჩართული მხარეების ინტერესებს ის ვერ იქნება ფინანსურად და ეკონომიკურად მიმზიდველი და სიცოცხლისუნარიანი.

გამოყენებული ლიტერატურა


1. საჯარო-კერძო პარტნიორობის სახელმძღვანელო. 2004წლ. Asian Development Bank-ის რედაქციით.
2. Darrin Grimsey, Mervyn K. Lewis. Are Public Private Partnerships value for money? Evaluating alternative approaches and comparing academic and practitioner views. Accounting forum. No. 29
3. Public-Private Partnerships. International Monetary Fund. March 2004
4. Gerrard, Michael B. What are public-private partnerships, and how do they differ from privatizations? «Finance & Development", 2001, Vol. 38, N 3.
5. Reforming Infrastructure: Privatization, Regulation, and Competition // Washington, D.C. World Bank: Policy Research Report. 2004,


## Issues of structuring Public-Private Partnership


***Levan Korkelia, PhD student***
***Georgian Technical University***


### Summary


The article discusses topical issues of public-private partnership structure. The strategic character of the projects; their large capital; long-term implementation; issues of interest balance and risk allocation between participating parties perform a major role in shaping a effective project structure.



Key-words: public private partnership; risk allocation, project structure; investment efficiency.

## ინოვაციები მეღვინეობაში - საერთაშორისო გამოცდილება

*კოღუაშვილი პაატა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*არაბიძე ლადო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ნაშრომი ეხება მეღვინეობაში გამოყენებულ ინოვაციურ მეთოდებს, რომელთა საშუალებით ხდება მოსავლიანობისა და ხარისხის გაუმჯობესება და ეკონომიკური სარგებლის ზრდა. მეღვინეობის წამყვან ქვეყნებში, როგორებიცაა: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა, აქტიურად შეიმჩნევა ტექნოლოგიური განვითარების ხარჯზე ფინანსური და ხარისხობრივი სარგებლის მოპოვება. ერთის მხრივ, ტრადიციულ ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია) გვევლინება ისეთი მიმართულებების განვითარება როგორიცაა ეკოლოგიური, ბიო და ბიოდინამიური მეღვინეობა, ხოლო ახალი ღვინის ქვეყნებში კი საპირისპირო, ტექნოლოგიურად ინოვაციური მიდგომების გამოყენება. მიდგომას თავისი უპირატესობები აქვს და სხვადასხვაგვარად აისახება საბოლოო მოგებაზე. სწორედ ამ ორივე გამოცდილებას შევეხებით სტატიაში და განვიხილავთ იმ მიმართულებებს, რაც სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები მეღვინეობაში, ახალი ღვინის ქვეყნები, ტრადიციული ღვინის ქვეყნები, ბიოდინამიური მეღვინეობა, ეკოლოგიური მეღვინეობა, საერთაშორისო გამოცდილება მეღვინეობაში.

**ძირითადი ტექსტი**

მეღვინეობა, თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, აქტიურად ვითარდებოდა. მუდმივად ხდებოდა ინოვაციების დანერგვა, თიხის ჭურჭლიდან კასრებზე და უჟანგავი ფოლადის რეზერვუარებზე გადასვლა, ელექტროობის განვითარებასთან ერთად უკვე მძლავრი დანადგარების, როგორებიცაა: ელექტრო ტუმბოები, წნეხები, ფილტრები და ა.შ; ჩართვა მოხდა წარმოებაში და წარმოიშვა დიდი საწარმოები, რომლებიც უფრო და უფრო ვითარდებოდნენ.

დღეს, როდესაც მსოფლიო ბაზარი გაჯერებულია უამრავი ტიპის სასმელით, ღვინის ეკონომიკა ორ მნიშვნელოვან კრიტერიუმზე დგას. ერთი მხრივ ბაზარი ითხოვს, რომ რაც შეიძლება იაფად მოხდეს წარმოება და დახლზე პროდუქტი კონკურენტული ფასით შევიდეს. მეორე კრიტერიუმი კი არის ხარისხი, რომელსაც ფასთან ერთად სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია. სწორედ ამ ორი კრიტერიუმიდან ერთ-ერთის ან ორივეს განვითარებაზე მუშაობს მსოფლიო მეღვინეობაში მიმდინარე ინოვაციური მეთოდების გამოყენება.

ძირითადი ნაწილი

დღეს არსებული მდგომარეობით მსოფლიო ორ დიდ მეღვინეობის რეგიონადაა გაყოფილი. პირველია ტრადიციული ღვინის ქვეყნები, რომლებსაც მიეკუთვნებიან ისეთი ქვეყნები როგორებიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, გერმანია და ა.შ. ამ ქვეყნებში გვევლინება ღვინის ტრადიციული მეთოდებით დაყენებული ღვინოები. აქტიურად შეხვდებით მსხვილ და მცირე მეწარმეებს, რომლებიც ღვინოს ეკოლოგიური მეთოდებით ამზადებენ და ცდილობენ ნაკლებად გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები. მაგრამ სამაგიეროდ, მუდმივად მუშაობენ ინოვაციური მეთოდების შემოღებაზე, რომელიც მისცემს მათ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სარგებელს.

რაც შეეხება მეორე რეგიონს, ესაა ახალი ღვინის ქვეყნები. მასში შედის ისეთი გიგანტური მწარმოებლები, როგორიცაა ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ჩილე, არგენტინა, აშშ და ა.შ. ამ ქვეყნებში მიმდინარეობს მასიური ღვინის წარმოება, გვხვდება დიდი და გიგანტური ღვინის საწარმოები, სადაც უახლესი ტექნოლოგიის დახმარებით მიმდინარეობს მასობრივი, მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება.

განვიხილოთ ინოვაციები მეღვინეობაში სხვადასხვა საერთაშორისო გამოცდილების მაგალითზე.

საფრანგეთი - დღეს-დღეობით მსოფლიოს წამყვანი მეღვინეობის ქვეყანა. ფრანგული ღვინოები ასოცირდება მაღალ ხარისხთან და სანდოობასთან. ევროპის ამ ქვეყანაში არის დაახლოებით 27 ათასი მარანი და 200 ათასზე მეტი მევენახე. ამ დიდ ქვეყანაში შეხვდებით როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე ტიპის მწარმოებლებს.

ინოვაციები ფრანგულ ტრადიციულ მეღვინეობაში მუდმივ რეჟიმში ვითარდება. საფრანგეთი არის სამშობლო ისეთი მწარმოებლების როგორიცაა: Laffort, Lallemand, IOC და ა.შ. შესაბამისად, ამ დიდ კომპანიებში მუდმივად ხდება ინოვაციების ჩამოყალიბება, განვითარება და მისი რეალიზაციაში ჩაშვება.

ამ პროდუქტებისგან გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან პროდუქტს, რომელიც საერთაშორისო გამოყენებამ მსოფლიოს უამრავი სასარგებლო რამ მოუტანა.

- **კარბომეთილცელულოზა (CMC)** - ალბათ ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური პროდუქტი, რომელიც უკვე აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს ყველაზე ძლიერ მეღვინეობის ქვეყნებში. პროდუქტი დამზადებულია ცელულოზის შემცველი ნივთიერებათა ბმის შედეგად და იძლევა ღვინის კრისტალურ სტაბილურობას. წინა წლებში მსგავსი შედეგის მისაღწევად საჭირო იყო გამოგვეყენებინა მინიმუმ 20 დღიანი ღვინის სიცივით დამუშავება, რაც რეალურად დაკავშირებული იყო, როგორც დროის, ასევე ელექტრო ენერგიისა და ფინანსების საკმაოდ დიდი ხარჯებთან.
- **ბიოსაფუვრები** - ზემოთ მოყვანილი კომპანიები მუდმივად აწარმოებდნენ მასობრივ წარმოებაზე გათვლილ ღვინის პროდუქტებს, შესაბამისად მათ ასორტიმენტში მუდმივად გვხვდებოდა გენმოდიფიცირებული, სელექციურად გამოყვანილი ან სხვა ლაბორატორიაში დამზადებული პრეპარატები თუ მიკროორგანიზმები. ბოლო წლებში ეს ტენდენცია შეიცვალა და იმის გამო, რომ მსოფლიო ბაზარზე ბიო და არაგენმოდიფიცირებულ პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება, შესაბამისად დაიწყეს ბიოსაფუვრების წარმოება. შედეგობრივად ესაა მსგავსი ტიპის პროდუქტი, იძლევა იმავე შედეგს რასაც სხვა ამ ჯგუფის წარმომადგენლები, მაგრამ ეს ყველაფერი მიიღწევა ბიოლოგიურ ჩარჩოებში. შესაბამისად, პროდუქტს მიენიჭება ეკოლოგიურად სუფთა, ბიოლოგიური ან ნატურალური ღვინის სტატუსი. ეს კი ნიშნავს, რომ პროდუქტი საწყისი (3-10 ევროს სეგმენტიდან) გადაინაცვლებს საშუალო და მაღალი ღვინის სეგმენტში (10+ ევრო). ეს ნიშნავს, რომ თანაბარი დანახარჯის პირობებში ბიო ინოვაციების გამომყენებელი ფერმერი იღებს რამდენჯერმე უფრო მაღალ შემოსავალს.
- **ბიოდინამიური მეურნეობა** - 2016 წლის ოქტომბერში, ჟურნალმა Forbes-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: **„Why Biodynamic wine is The Future"** (რატომ არის ბიოდინამიური მეღვინეობა მომავალი). ამ სტატიაში ნათლადაა მოყვანილი საფრანგეთის მაგალითზე, ის ინოვაციური მიდგომები, რომლებიც უკვე კარგად დავიწყებულად ითვლებოდა მსოფლიოში. ბიოდინამიური მევენახე-მეღვინე ამზადებს უმაღლესი ხარისხის პროდუქტს და „თავისი ქმედებებით ახდენს დედამიწის აღდგენა-განკურნებას" სწორედ ამ სიტყვებით განმარტა რუდოლფ შტეინერმა ბიოდინამიური მეღვინეობის არსი. ბევრისთვის ეს მიმართულება კვლავაც გაუგებარი რჩება, უამრავი მსხვილი მწარმოებელი მათ მოიხსენიებს როგორც ფანატიკოსებს. რეალობა კი იმას აჩვენებს, რომ მათი მეთოდოლოგიის წყალობით იქმნება პროდუქტი, რომლის საბაზრო ღირებულება ასეულობით დოლარით მაღალია, ვიდრე სტანდარტული ღვინისა. ის ფაქტიც კი, რომ საფრანგეთში ბიოდინამიური მეღვინეობის მაჩვენებელი ყოველწლიურად 10-15%-ით იზრდება, მიუთითებს, რომ მსოფლიომ ახალ ერაში შეაღწია, სადაც ბიოდინამიურ პროდუქტებზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება. ბიოდინამიკოსები მიწას განიხილავენ, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ერთიან სტრუქტურას და თითოეულ მის კომპონენტს სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებენ. შატო პონტე-კანეს(Chateau Pontet-Canet) მთავარი მეღვინე ამბობს: „ჩვენ პატივს ვცემთ ბიომრავალფეროვნებას და ვამზადებთ ხსნარებს, რომელიც არაა პესტიციდების მსგავსად მომწამვლელი". სწორედ ამ მეთოდს შეგვიძლია ვუწოდოთ როგორც ეკონომიკურად, ასევე ეკოლოგიურად გამართლებული და დღევანდელ ინოვაციებში ერთ-ერთ გამოცდილებად მივიჩნიოთ.

**The Journal of Wine Economics**-ის სტატიის მიხედვით, რომელიც ასევე 2016 წელში გამოქვეყნდა,

იმ მწარმოებლებს, რომელთაც გააჩნიათ ეკო-სერტიფიცირება, მათ შორის ბიოდინამიურობის დამადასტურებელი ცნობა - ხარისხობრივად, ფინანსურად და ცნობადობით რამდენიმე საფეხურით უფრო მაღლა მდგომი ღვინო გააჩნიათ, ვიდრე სტანდარტულ მსხვილ მწარმოებლებს.

**Wine Enthusiast, Wine Spectator, Wine Advocate**- ამ სამი მსხვილი ონლაინ გვერდის ანალიზის შედეგად კარგად ჩანს, რომ მსოფლიოში 4.1%-ით უფრო მაღალია ღვინის ხარისხი ეკო-ღვინოზე ვიდრე სტანდარტულ პროდუქციაზე.

**იტალია** - როდესაც ვსაუბრობთ ევროპის ამ ქვეყანაზე უნდა გავიხსენოთ, რომ ის მსოფლიოში ინოვაციების სათავეში იყო მუდმივად. იტალია მუდმივად ცდილობს, რომ ინოვაციების საშუალებით წინ წაწიოს ნებისმიერი დარგი. აქ გვხვდება ისეთი ძლიერი ღვინის ტექნოლოგიის მწარმოებლები როგორებიცაა: GAI, Della Tofolla, Defranceschi და ა.შ. თითოეული ეს კომპანია ყოველწლიურად ქმნის ახალ დანადგარებს, ახალ მეთოდებს, რათა შეამციროს ხარჯი, გააძლიეროს ქვეყნის პოტენციალი და წინ წაწიოს დარგი. სწორედ Defranceschi - იყო პირველი კომპანია, რომელმაც შექმნა დანადგარი, რომლის საშუალებითაც კლერტგაცლასთან ერთად ხდება წიპწის გამოცალკევება. ეს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე მოქმედებს, უმთავრესი კი არის ღვინის დაცვა წიპწისგან გადასული ციანიდური ნივთიერებებისგან, რომელიც ღვინოს ძენს სიმწკლარტეს და უფუჭებს გემოს მახასიათებლებს. ზოგადად, „დეფრანჩესი“ მსოფლიოს თავაზობს SACMI (საკმის) როგორც ახალი გამოწვევების მიმართულებას.

იტალიის პრემიერ მინისტრმა მატეო რენზიმ, 2016 წელში იტალიის დასახასიათებლად შემდეგი ფრაზა გამოიყენა: „იფიქრე იტალია. იფიქრე ინოვაცია, გავლენა და ინტეგრაცია“ ამ ფრაზაში ზოგადად საკაცობრიო სამი გამოწვევა მოიყვანა. ესაა ინოვაციები, რომლებიც ყველა ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია, გავლენა - ყველა ქმედებას აქვს უკუქმედება, ამიტომ თითოეული გადადგმული ნაბიჯის დროს იტალიას მოუწოდა ეფიქრა იმ გავლენაზე, რასაც ის მოახდენს გარემოსა და კაცობრიობაზე და მესამე მოუწოდა, რომ თითოეული გადადგმული ნაბიჯი ყოფილიყო ინტეგრირებული. ანუ თითოეული ეს სიტყვა მოუწოდებდა იტალიას ემოქმედა მდგრადი განვითარების პრინციპებით. ამ ფორუმზევე აღინიშნა, რომ იტალია კვლავაც რჩება მსოფლიოში წამყვანი ქვეყანა დანადგარებში. იტალიური ექსპორტის 60% წარმოადგენს თანამედროვე დანადგარები. იტალიამ შექმნა ორი ინოვაციური მიმართულება, რომელიც ინდუსტრიას ხდის უფრო წარმატებულს. ეს მიმართულებებია: „წარმოება და სოციალური ინოვაცია“, „რობოტექნიკა და დამატებითი მწარმოებლობა“.

იტალიაში ერთ-ერთი მიმართულება, რომელშიც ყოველდღიური წინსვლა აღინიშნება არის მდგრადი განვითარების მიმართულებით შექმნილი ინოვაციები. Science Direct-ის ერთ-ერთი სტატიის მიხედვით ახალ ტექნოლოგიებს შემდეგი მნიშვნელობა გააჩნია დარგისთვის: დანახარჯების შემცირება, პროდუქტის მრავალფეროვნება, პროცესის ნოვატორულობა და მართვის ორგანიზების განვითარება, ბოლო დროს კი ამ ყველაფერს კიდევ ერთი მიმართულება „მდგრადი განვითარება“ დაემატა. ეს გამოიწვია იმ გლობალურმა და ქვეყნის შიდა გამოწვევებმა, რომელიც უფრო და უფრო მძაფრდება. ზოგადად, მსოფლიოს მოსახლეობა კომპანიებისგან მხოლოდ ხარისხს აღარ ითხოვენ, ისინი თხოვენ მათ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის აღებას, რათა მოხდეს საერთო სარგებლის მოტანა, არ მოხდეს უარყოფითი გავლენა მოსახლეობასა და გარემოზე. მდგრადი განვითარების მიმართ მოქმედი ინოვაციები აუცილებელი ნაწილი გახდა იტალიის მეღვინეობის კლასტერში. ის არამარტო უშუალოდ ღვინის მწარმოებელს, არამედ მთელ მასში ჩართულ მონაწილე პირებს შეეხება. ხდება ხელახალი გამოყენება პოლიეთილენისა და ქაღალდის პროდუქციის, რის ხარჯზეც გარემოზე გავლენა მცირდება (ნაკლები ხის მოჭრა და გარემოს ნაკლები დაბინძურება). იტალიაში ყველა საწარმოში შეხვდებით სპეციალურ კონტეინერებს, სადაც ხდება მაკულატურის, მინისა და პოლიეთილენის დახარისხება, შემდგომ კი მათი გადამუშავება.

იტალიის მეღვინეობაში დღეს აქტიურად გამოიყენება შემდეგი ნოვატორული მეთოდები მდგრადი განვითარების სწორად წარმართისთვის:

- აგრარული პრაქტიკები - ნიადაგის მექანიკური დამუშავება, ირიგაცია, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება - ნაკლები პესტიციდი და ჰერბიციდი და მეტი ბიოპრეპარატები.
- წყლის მართვა - პოლიურითანზე მომუშავე თანამედროვე დანადგარები, რომლის საშუალებითაც ხდება წყლის გაწმენდა და ხელახალი გამოყენება წარმოებაში. ამ მეთოდმა წყლის რესურსების დიდი რაოდენობით გასუფთავება, ხარისხის გაუმჯობესება და გარემოს არასასურველი ნივთიერებებისგან დაცვის მექანიზმი მისცა მსოფლიოს.
- ენერგოეფექტურობა - იტალია ერთ-ერთი ის წამყვანი ქვეყანაა, რომლის უმეტესი კომპანიები ენერგოეფექტურ სისტემებზეა გადასული. არ ხდება დამატებითი ელექტრო ენერგიების გამოყენება და მზის, ქარისა და წყლის საშუალებით მოწყობილი აქვთ ეკოლოგიურად სუფთა ენერგო სისტემები.
- ნახშიროჟანგის გაფრქვევის შემცირება - სწორედ ესაა ის უმთავრესი მიმართულება, რასაც ბევრი ღვინის საწარმო ებრძვის. როგორც ვიცით, დუღილის პროცესი დიდი რაოდენობით ნახშიროჟანგს ათავისუფლებს გარემოში. სწორედ ამის გამო ხდება ყოველწიური $CO_2$-ის გაფრქვევის გაანგარიშება თითოეულ საწარმოზე და ხდება სპეციალური გადასახადის გადახდა, რისი საშუალებითაც ხდება დამატებითი ტყის მასივების შექმნა, რათა მოხდეს ჟანგბადით დაბალანსება.

სწორედ მსგავსი ტიპის ინოვაციების გამო ითვლება, მსოფლიოს ღვინის ინდუსტრიაში იტალია ყველაზე ნოვატორულ ქვეყანად.

**1. გერმანია** - როდესაც ინოვაციებს ვეხებით არ შეიძლება არ შევეხოთ ამ სფეროში ისეთ ავტომატიზირებულ ქვეყანას, როგორიცაა გერმანია. სწორედ ევროპის ეს ქვეყანა აწარმოებს დღეს დღეობით ერთ-ერთი საუკეთესო საფილტრ მემბრანებს, ტანგენციალურ ფილტრებს და ა.შ. სწორედ ამ სისტემების გაუმჯობესებულმა ფორმამ მისცა საშუალება მეღვინეებს ეწარმოებინათ ყველანაირად დაცული ღვინო.

გარდა უშუალოდ მოწყობილობების შექმნისა, გერმანიას მარკეტინგული კუთხითაც საკმაოდ ინოვაციური პროდუქტების შექმნა უკავშირდება.

2010 წელს გერმანიაში პირველად დაიწყეს უალკოჰოლო ღვინის მასობრივი წარმოება სპეციალურად ბავშვებისთვის. პროდუქტი, რომელმაც საშუალება მისცა ღვინის სასარგებლო თვისებები გადაეტანათ არაალკოჰოლურ სასმელში და შეექმნათ ულტრა თანამედროვე პროდუქტი. ამ პროდუქტების აქტიური რეკლამირება ხდება სკოლებსა და სხვადასხვა ბავშვთა ცენტრებში და ბავშვებს პატარა ასაკიდანვე აჩვევენ ღვინის სასარგებლო თვისებებს და სწორი მოხმარების წესებს.

**2. ამერიკის შეერთებული შტატები** - წინა პუნქტებში შევეხეთ ტრადიციული მეღვინეობის ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ ტრადიციული მიდგომები შეინარჩუნონ, უფრო მეტად იყენებენ ეკოლოგიურ, ნატურალურ, ბიოლოგიურ თუ ბიოდინამიკურ მეთოდებს. აშშ კი წარმოადგენს ახალი ღვინის ქვეყნებს. როდესაც ვსაუბრობთ ამ ქვეყნის მეღვინეობაზე ყველას უპირველესად ახსენდება ნაპას ველი, სადაც უმაღლესი ხარისხის ღვინოები იწარმოება. ეს ყველაფერი კი არის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების შედეგი.

ზოგადად აშშ მუდმივად იყო ნოვატორი მეღვინეობაში. სწორედ ამ ქვეყანას უკავშირდება პირველად მიკროფილტრაციის გამოყენება, რომელმაც მიკრობიოლოგიური პრობლემები ღვინოში მინიმუმამდე დაიყვანა. ამერიკაში ეს სისტემა 4 წლით უფრო ადრე 1960 წელს აამუშავეს, ვიდრე საფრანგეთში. შესაბამისად, ისინი უპირობოდ ითვლებიან ამ სისტემის ფუძემდებლებად და ყველაზე დიდ ნოვატორებად ღვინის სფეროში.

მიკროოქსიგენაცია - მაღალი ხარისხის ღვინის საწარმოებლად აუცილებელია მოხდეს ღვინის დაძველება-დავარგება მუხის კასრზე. ეს კი გულისხმობს, რომ მოხდეს კასრში (მუხის ტანინის თანაობისას) მიკროოქსიგენაცია. აშშ-ში შეიქმნა უკვე სისტემა, რომელიც ამას აკეთებს მუხის გარეშე, შესაბამისად ჩიფსებზე, ტკეჩებზე შესაძლებელია დაჩქარებულ რეჟიმში მიიღონ იგივე შედეგი რაც კასრში.

ღვინის ნარჩენების გარდაქმნა საწვავში - როგორც იცით საქართველოში ღვინის ნარჩენ

პროდუქტების დისტილაციას ახდენენ და იღებენ ჭაჭას. აშშ-ში შეიმუშავეს სისტემა, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ნივთერებებისგან ბიო-საწვავის მიღებას ახდენენ. ამჟამად მხოლოდ შესაძლებელია, რომ შაქარი გარდაქმნან წყალბადად, რომელიც გამოიყენება როგორც თხევადი ბიოსაწვავი, მაგრამ მეცნიერი და ქიმიკოსი ი ზენგი (Yi Zheng) მუშაობს პროექტზე, რომლის საშუალებითაც უკვე ცელულოზის გარდაქმნა იქნება შესაძლებელი ბიოსაწვავად. ამ შემთხვევაში ნარჩენების სრული 100% დაშლა მოხდება და ეს ყველაფერი ათვისებული იქნება, ანუ წარმოება გახდება უდანაკარგო.

დიეტური ღვინო - ზოგადად არსებობს უამრავი მეცნიერული დასკვნა, რომ წითელი ღვინო ეხმარება ორგანიზმს მეტაბოლიზმში, მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად პროდუქტი საკმაოდ კალორიულია, რაც ბევრი ტიპის დიეტაში ხელის შემშლელია. ამერიკელებმა შეიმუშავეს ახალი ტიპის ღვინო -დიეტური ღვინო, რომელიც შედარებით დაბალკალორიულია და ალკოჰოლის შემცველობაც დაბალი აქვს.

გარდა ინდუსტრიული ინოვაციებისა აშშ-ში ბოლო დროს დაინერგა ულტრათანამედროვე მენეჯმენტის სისტემა. WMDB - არის ინოვაციური პლატფორმა, რომელიც აძლევს საშუალებას ღვინის წარმოებებს მოახდინონ სრული კონტროლი, მართვა, მომარაგება და პარალელურად აწარმოონ ბუღალტრული და მენეჯერული აღრიცხვა. პროგრამის დევიზია ყურძნიდან ბოთლში და ის ამ პროცესის სრულ მართვას ახდენს. უმთავრესი მომენტი კი ისაა, რომ საბოლოოდ პროგრამა გაძლევს შექმნილი პროდუქტის თვითღირებულებას, რისი გამოყვანაც ერთ-ერთი ურთულესი მომენტია ღვინის ინდუსტრიაში. ეს ყველაფერი ადასტურებს, თუ რამდენად წინაა თანამედროვე ტექნოლოგიებით აშშ.

**ავსტრალია/ახალი ზელანდია** - ამ ორ ქვეყანას ერთად განვიხილავთ, რადგანაც ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი გააჩნიათ, ორივე ქვეყანა იყენებს მსგავსი ტიპის მიდგომებს ღვინოსთან მიმართებაში, ორივე აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით. შესაბამისად მათი ცალ-ცალკე განხილვა არ იქნებოდა სწორი.

როდესაც მოხვდები ამ ახალ ქვეყნებში, პირველი რასაც შეამჩნევ, ესაა იდეალურად გაშენებული ვენახები, რომლებსაც უვლიან სპეციალური დანადგარებით. ყველაფერთან ერთად შემცირებულია მუშახელი და მხოლოდ მცირე რაოდენობის ოპერატორებისა და ულტრათანამედროვე დანაგარების დახმარებით ხდება მაღალი ხარისხის ყურძნის წარმოება. რთველის დროს კი შენიშნავთ დიდ „კომბაინებს“, რომლებიც ყურძნის კრეფას და პირველად გადამუშავებას ახდენენ. ერთ დანადგარს შეუძლია იმავე სიჩქარით ყურძნის კრეფა, რაც რამდენიმე ათეულ და ზოგ შემთხვევაში ასეულ ადამიანსაც კი არ შეუძლია. შესაბამისად, ეს იწვევს პროდუქტის გაიაფებას. ყურძნის ღირებულება რამდენიმეჯერ მცირდება.

შემდეგი საფეხური არის ულტრათანამედროვე ღვინის ქარხნებში შესული ყურძნის გადამუშავება და ღვინის მიღება. თითოეულ საწარმოში შეამჩნევთ ისეთ დანადგარებს რომლებიც მანამდე სხვაგან არ გამოუყენებიათ.

სწორედ ავსტრალიაში გამოიყენეს პირველი საფუარის კულტივატორი, რომელიც ახდენს საფუარის შტამის გამრავლებას სასურველი რაოდენობით. არსებობს დანადგარი, რომელიც შემდეგი წარმადობით მუშაობს: 2 კგ საფუარით (რაც საკმარისია 10 000 ლიტრი ღვინის ინოკულაციისთვის) – 16 საათში ხდება 200 000 ლიტრი ღვინისთვის საჭირო საფუარის გამრავლება. ეს პირდაპირ აისახება ფინანსურ დანაზოგზე. როდესაც საშუალო 0.5 კგ საფუარის ღირებულებაა 30-50$ დანაზოგი საკმაოდ დიდი თანხა გამოდის დროთა განმავლობაში. მითუმეტეს მსგავსი დანადგარის გამოყენება ისეთ საწარმოში, სადაც 60 000 ტონა ყურძენი გადაამუშავდება სეზონზე. მეღვინეობაში მსგავსი ტიპის დანადგარი უდიდეს დანაზოგს იძლევა.

გარდა ამისა, ავსტრალიაში გვხვდება ისეთი დანაგარები, როგორიცაა: უკუოსმოსის სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მაღალი მქროლავიანი ღვინო (დამმარებული) გარდავქმნათ კარგ ჩვეულებრივ ღვინოდ. ასევე გვხვდება უამრავი ულტრათანამედროვე დანადგარი, რომელთა გამოყენებაც მეღვინეობაში ძალიან მნიშვნელოვანია.

**დასკვნა**

მსოფლიოში მეღვინეობა რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. ერთის მხრივ, ინერგება თანამედროვე დანადგარები, რომელთა საშუალებითაც ხდება ხარჯების გაიაფება, მოსავლიანობის გაზრდა, შემოსავლების მატება, მეორეს მხრივ კი გვხვდება ახალი მიდგომები ბიო, ეკოლოგიური ან ნატურალური მეღვინეობის მიმართულებით - ეს მიდგომა ითვალისწინებს ოპტიმალური რაოდენობის მევენახეობა-მეღვინეობის მოსავლიანობის პირობებში მაღალი ხარისხის პროდუქტის შექმნასა და მისი საკმაოდ მაღალ სეგმენტში გაყიდვას. საქართველოსთვის მსგავსი გამოცდილების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია და წინ წაწევს ქვეყანას მსოფლიო ღვინის სფეროში. რაც შეეხება ბიო მეურნეობებს, ქართული ღვინის წარმოების მომავალი სწორედ ამ მიმართულებაზე დგას და აუცილებელია მსგავსი გამოცდილებების გათვალისწინება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Tom Mullen – Why Biodynamic Wine is the Future, “Forbes”, 2016
2. Magali A. Delmas, Olivier Gergaud, Jinghui Lim – Does Organic Wine Taste Better?, American Association of Wine Economists, AAWE working paper, No. 190
3. Andrew Adams – Micro-Ox System, “Wines Vines Analytics”, 2018
4. Matteo Renzi – i3 Forum speech , 2016
5. http://discoversustainablewine.com/italy/
6. Manuela Marchlewiz – “AMMIE Project Alcohol Marketing Monitoring in Europe – Report on Trends in Germany”, Alcohol Marketing Monitoring in Europe, 2010


## Innovations in winemaking – International Experience


***Paata Koghuashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Lado Arabidze, PhD student***
***Georgian Technical University***


### Summary


Article is dedicated to innovations used in winemaking, which develops grape-crop amount, improves quality of the wines and gives several time increased economic interest. In the developed wine countries such as France, Italy, Spain, Australia, South Africa, USA, etc. you can see that financial income and products quality of the wineries are increased by the innovations. On the one side we have traditional countries (France, Germany, Italy) which develop Bio, Biodynamic and Ecological winemaking on the other hand we have new wine world which are developing innovations in technology. Both sides have their pros and cons and they give different advantages. Most of the innovations will be good experience for Georgian winemaking.

Hint Words: Wine innovations, New wine world, Traditional wine countries, Biodynamic Winemaking, Ecological Winemaking, International Experience in winemaking;

# სოფლის განვითარების კონცეფციები ევროკავშირის ქვეყნებში

*კოღუაშვილი პაატა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ცოფურაშვილი გოჩა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის ქვეყნების წარმატებული გამოცდილება რეგიონალური პოლიტიკის და სოფლის განვითარების საკითხებში. ჩამოყალიბებულია ამ თემის მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური სისტემები, სტრატეგიული ამოცანების როლი , გაანალიზებულია მიზნობრივი პროგრამების მნიშვნელობა, შესაძლებლობების კომპლექსური კვლევის და ცოდნით, ინოვაციურობით მიღწეული პროგრესი ადგილებზე როგორც დარგობრივი და ინფრასტრუქტურული, ასევე ზოგადად ეკონომიკური განვითარების საქმეში. დღევანდელ მოცემულობაში საქართველოსთვის რეგიონალური ეკონომიკის განვითარება, დეცენტრალიზაცია, თვითმმართველობის გაძლიერება, სოფლის სტატუსის განსაზღვრა, მისი განვითარება უმნიშვნელოვანესი თემაა, და უდიდესი რესურსია ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის ინკლუზიური განვითარების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: რეგიონალური ეკონომიკა, სოფლის განვითარება , დეცენტრალიზაცია, თვითმმართველობის გაძლიერება, კონვერგენცია, სოციალური სოლიდარობა. კლასტერული მართვა, დეპრესიული რეგიონები, რაციონალიზმი, კონცეფციები.

**ძირითადი ტექსტი**

გასული საუკუნის 70 იანი წლებიდან ევროკავშირის ქვეყნებისათვის განსაკუთრებული მზრუნველობის თემა გახდა სოფლის განვითარება , რადგან გლობალიზაციის პროცესმა მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა მსოფლიო. მეცნიერთა კვლევის საგანი მაკროეკონომიკურ, ფისკალურ თუ მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად გახდა რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკაც , ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობებში მან შეიძინა უდავოდ მნიშვნელოვანი როლი , რადგან დღევანდელი რეგიონები რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და საწარმოო სისტემას წარმოადგენენ , რომლებიც სწრაფად ცვალებად, არაპროგნოზირებად გარემოში ფუნქციონირებენ, აქედან გამომდინარე დიდია ალბათობა ეკონომიკური უთანასწორობის , დეპრესიული რეგიონების წარმოქმნის და ზოგადად განვითარების შეფერხების. სწორედ ევროპული რეგიონალური პოლიტიკა და სოფლის განვითარება თავისი ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სამართლებრივი , გარემოდაცვითი, აგრარული, იტორიულ-კულტურული, ინფრასტრუქტურული და ზოგადად კომპლექსური პროგრამებით არის გარანტი კეთილდღეობის და განვითარების , სადაც ამავდროულად მაქსიმალურად დაცულია სოციალური სოლიდარობის და კონვერგენციის პრინციპები.

სოფლის განვითარების პოლიტიკის და დღეს არსებული ძირითადი კონცეფციების განხილვისას მნიშვნელოვანია გავეცნოთ ისტორიულ გამოცდილებას , რადგან ევროპულ ქვეყნებში თამამად შეიძლება ითქვას , რომ თემამ გაიარა ერთის მხრივ მძიმე წინააღმდეგობრივი პროცესები , თუმცა ამავდროულად ყველა ეტაპზე დასმული ამოცანა შესრულა და დღევანდელი პოლიტიკა შეიძლება ითქვას რომ არის პროგრესზე, კონკურენტუნარიანობაზე , ინოვაციაზე , შესაძლებლობების კვლევაზე , რაციონალიზმზე, მდგარად განვითარებაზე და დემოკრატიულ , გამჭვირვალე მმართველობაზე ორიენტირებული.

ევროპული გამოცდილების გაზიარებამდე, ვფიქრობთ საინტერესოა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ამოცანები და ვალდებულებები განვიხილოთ.

საქართველოს და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - ,,სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება''თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე ხელი შეუწყოს, როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ხელისუფლებების

შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. ,,მხარეები თანამშრომლობენ რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, კერძოდ, პოლიტიკასა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით.“ (ასოცირების შეთანხმება , მუხლი 333 ).

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას აღებული აქვს ვალდებულებები და მიღებულია სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წ.წ. უნდა აღინიშნოს , რომ საქართველოს არ გააჩნია სოფლის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა , არაა გამოყენებული არც ერთი კონცეპტუალური მოდელი და არც კომპლექსურ-სტრატეგიული , თუ დარგობრივ- კლასტერული პროგრამა. თუმცა მოქმედი სტრატეგია აღიარებს , რომ ქვეყნის მდგრადი, ინკლუზიური განვითარებისთვის , სამუშაო ადგილების შექმნისთვის, სიღარიბის დაძლევისთვის ,რესურსების მართვის, სასურსათო უსაფრთხოების, რეალური ეკონომიკური სექტორის განვითარებისთვის სოფლის განვითარების თემა იძენს უდავოდ მნიშვნელოვან ადგილს.

სოფლის განვითარების ევროპულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებში. როდესაც საფუძველი ჩაეყარა სისტემურ და სტრუქტურულ მართვის მექანიზმებს, უკვე 80 -იანი წლებში და განსაკუთრებით 90 - იანების დასაწყისში პოლიტიკის განვითარებამ შეუქცევადი სახე მიიღო. ეს ევოლუციური პერიოდი არ იყო მოკლებული წინააღმდეგობებსა და ხარვეზებს, იცვლებოდა მიზნები და მიმართულებები , რომლებიც დროთა განმავლობაში სულ უფრო დეტალიზებული ხდებოდა. პოლიტიკის ამ ეტაპებს ჰქონდა სპეციფიკური მიზნები და ამოცანები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ისტორიული და ტერიტორიული კონტექსტისგან.

რეგიონალური ეკონომიკის როლის, დეცენტრალიზაციის და ტერიტორიული ასპექტის დიფერენცირება, ასევე აგრარული პოლიტიკის ფაქტორის გაძლიერება არის ამ პერიოდის განსაკუთრებული მახასიათებელი. 1992 წელს მიღებული ე.წ. მაკ-შერის რეფორმამ , რომლმაც ევროპელ ფერმერებს და მომხმარებლებს მისცა საშუალება ერთის მხრივ შემცირებულიყო ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და მეორეს მხრივ განხორციელებულიყო პირდაპირი სახელმწიფო გადახდები სუბსიდირების პრინციპის გამოყენებით. ამ ნაბიჯმა და შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად გამოაჩინა, რომ პროცესი შეუქცევადი, დინამიკური, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებულია.

ევროპული გამოცდილების მთავარი მონაპოვარი გახლავთ სწორედ ის , რომ ყველაფერი კარგად გათვლილი და მოფიქრებულია , როგორც მოკლევადიან , ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბუნებრივი უთანხმოებები ქვეყნებს შორის მიზნის მისაღწევად ყველა ერთიანია.

2000 წლის ახალი დღის წესრიგით , გარკვეულწილად ევოლუციურად , თუმცა ვიტყოდით მიზანმიმართულად და დინამიკურად ევროკავშირის პოლიტიკა მივიდა მნიშვნელოვან ამოცანებამდე. ლისაბონის სტრატეგიამ პირველად გააჟღერა მსოფლიოში, რომ ევროკავშირი ნერგავს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მთავარი მახასიათებელი იქნება კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ხარისხის მაღალი სტანდარტი, სექტორული პოლიტიკის გაძლიერება და აუდიტორულ-ანალიტიკური სქემა, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პროცესის უწყვეტობა, ხოლო მიზანი 2010 წლის იყო ეკონომიკის ზრდის მაღალი დონე , დასაქმება, ინოვაციური პროექტები, რაციონალიზმი, სოციალური სოლიდარობა , კონვერგენცია, ინკლუზიურობა.

მნიშვნელოვანი საეტაპო კონფერენცია ჩატარდა ზალცბურგში 2003 წლის ნოემბერში , სადაც შეჯამდა დღის წესრიგი 2000 -ის ამოცანები და 2007-2013 წლების ძირითადი ორიენტირები დადგინდა , სწორედ ამ პერიოდში დაემატა ევროკავშირს 10 ახალი წევრი ქვეყანა , წინა პლანზე წამოიწია ბიუჯეტში დაახლოების პოლიტიკის მექანიზმის ჩართვამ , რეგიონალური პოლიტიკის მნიშვნელობამ , დეცენტრალიზაციის და თვითმართველობის გაძლიერების აუცილებლობამ . ეს იყო პერიოდი, როდესაც საკმაოდ მძაფრ ფორმებს იღებდა კამათი მიზნობრივი პროგრამებისთვის რესურსების განაწილების, ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სოფლის განვითარების პოლიტიკის პროგრამირების და მართვის ახალი წესები.

ნიშანდობლივია, რომ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის კლასიკური მიმართულებების შეთანაწყობა რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციასთან ძვირფასი წყარო და სტიმულია სოფლის განვითარების პოლიტიკის თანამედროვე კონცეფციაზე გადასასვლელად.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სასოფლო ტერიტორიების განვითარების კონცეფციები განიცდიდიან მუდმივ განახლებას და სახეცვლას, რადგან მასზე მოქმედებენ ფაქტორები , როგორიცაა სხვა და სხვა სახის სოციოლოგიური და ეკონომიკური კვლევები , ასევე სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამები, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა , ზოგადად შეიძლება ითქვას , რომ თავისი ბუნებიდან გამომდინარე სისტემატურად მოითხოვს განახლებას და მოქნილობას. ზენაციონალურ დონეზე სოფლის განვითარებას დინამიკური ბუნება აქვს . იგი იცვლება დროში , იცვლება თანამეგობრობის პოლიტიკის რეფორმების მოთხოვნებზე დამოკიდებულებით საერთაშორისო კლიმატის ცვლილებების გამო, დგამს ნაბიჯებს წინ და მოულოდნელად იხევს უკან. უკანასკნელ წლებში თანამეგობრობის დონეზე და ცალკეულ ქვეყნებში ერთდროულად არსებობს რამდენიმე კონცეფცია , რომელთაგან ძირითადად დამკვიდრდა სამი მიმართულება :

1. კონცეფცია, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს აგრარული სექტორის განვითარებას. სადაც უმთავრესია სოფლის მეურნეობის და აგროსასურსათო კომპლექსის მოდერნიზირება. მსხვილი ფერმერული , კლასტერული თუ კოოპერირებული მართვით.

2.მეორე კონცეფცია, რომელსაც იყენებენ ძირითადად ჩამორჩენილი, დეპრესიული ზონებისთვის. აქ აქცენტი კეთდება კონვერგენციაზე, რადგან როგორც სოფლის მეურნეობის , ასევე ეკონომიკის სხვა დარგებიც საერთო სტანდარტს ჩამორჩებიან და საჭიროებენ მიზნობრივ მხარდაჭერას.

3. კონცეფცია რომელიც იყენებს ტერიტორიის შესაძლებლობებს მისი ყველაზე ფართო გაგებით, იგი კომპლექსურია და ითვალისწინებს როგორც რესურსულ, ასევე ადამიანურ ფაქტორს. მიდგომა მოიცავს ადგილობრივ დონეზე ყველა კომპონენტის და დარგის ინტეგრაციას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კონცეფციის მოდელირებისას მრავალი წინააღმდეგობრივი, თუ გნებავთ მენტალური პრობლემა ჩნდება , თუმცა თანამეგობრობის სივრცეში მისი დანერგვა ითვლება ყველაზე პროგრესულ და უპირობო გამოწვევად.ყველასათვისაუცილებელია სოფლად შეიქმნას ურბანულთან დაახლოებით მიახლოვებული ცხოვრების სოცკულტურული პირობები, როგორც კომუნალური, ინფორმაციული, ინსტიტუციონარული და ინფრასტრუქტურული, ასევე მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური და ინკლუზიური ეკონომიკით.

რა ძირითადი ელემენტები გამოარჩევს დარგობრივ მოდელს , სადაც სოფლის განვითარება ემყარება სოფლის მეურნეობის განვითარებას , კონკურენტუნარიანი პროდუქციით, სპეციალიზაციის მაღალი დონით, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საწარმოო სტრუქტურების გამართულობას, პროდუქციის ხარისხს, ერთგვაროვნებას, რაოდენობას. ეს მიდგომა დაფუძნებული მოდერნისტულ პარადიგმაზე გაძლიერდა 80 - იანი წლების დასაწყისში, თუმცა შემდგომში მუდმივად განიცდიდა პრობლემებს თავისი მოუქნელი ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, რადგან ძალიან მგრძნობიარეა აგრარული პოლიტიკის ახალი ამოცანების და ევროკავშირის გაფართოების პროცესის მიმართ. თანამედროვე დარგობრივი მოდელი გაძლიერდა რამდენიმე კომპონენტითდა მათში აუცილებლად გამოსაყოფია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა , ასევე აგრობიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა.

მეორე კონცეფციას, როგორც უკვე ავღნიშნეთ სუსტად განვითარებულ დეპრესიულ რაიონებში ნერგავენ სადაც განვითარების მოდელს გადამანაწილებელსაც ეძახიან, ევროკავშირს მათთვის სპეციალური პროგრამები აქვს, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებულია და მხარდაჭერილი ეკონომიკური შესაძლებლობები, ხოლო ის რაც შეუძლებელია განვითარდეს დაბალანსებულია სოციალური პროგრამებით და კონვერგენციის პრინციპით.

დაბოლოს, ყველაზე რთული და პროგრესული ტერიტორიული მოდელი , რომელიც არაა ფოკუსირებული მხოლოდ დარგობრივი ინტერესებზე და არც დეპრესიული რეგიონების საჭიროებებზე, მისი მთავარი ამოცანა ეკონომიკის განვითარების დივერსიფიცირება , ინკლუზიურობა, კომპლექსურობა და რაციონალიზაცია. სწორედ დაფინანსების და მართვის მრავალმხრივმა სისტემამ

დააყენა დღის წესრიგში ასეთი კონცეფციის აუცილებლობა. აუცილებელია აქ აღინიშნოს, რომ თვით ამ კონცეფციაშიც ორი გამოკვეთილი მიმართულება არსებობს. იქ სადაც დომინანტი აგრარული სექტორია და მეორე , სადაც ეკონომიკის დივერსიფიცირებულობა მრავალმხრივი შესაძლებლობებით გამოირჩევა.

სოფლის განვითარება არის მრავალგანზომილებიანი, მრავალდონიანი , მონაწილეთა ფართო სპექტრის ჩართულობით მოქმედი პროცესი და ეს ყოველივე მიუთითებს მის სირთულეზე , შესაბამისად არ არსებობს მკაფიოდ შემოსაზღვრული პარადიგმა ამ თემაში.

**დასკვნა**

დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების და ეკონიმიკის სწრაფი , ეფექტური , დინამიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია სოფლად განვითარების პოლიტიკის გონივ-რულად წარმართვა , ჩვენ გვაქვს უნიკალური ევროპული გამოცდილება, რომლის არ გათვალისწინება დაუშვებელია. ევროკავშირის რეგიონალურ პოლიტიკას აქვს მიზანი მომავალი შესაძლებლობები განსაზღვროს არა წარსულის პრობლემების კომპენსაციით, არამედ გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებით. საქართველოში იგეგმება 2020-2027 წლის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითა-რების სტრატეგიის მიღება, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს დარგის და რეგიონების განვითარების საქმეში, აქედან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონსტიტუციური (სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის და თემის სტატუსის განსაზღვრა, სოფლად სათემო საკუთრების დამკვიდრება, სოფლის მეურნის სტატუსის დადგენა ), სისტემური , კონცეპტუალური , სექტორული , კომპლექსური , მიზანზე და შედეგზე ორიენტირებული მიდგომები.

**გამოყენებული ლიტერატურა :**


1. .სოფლის განვითარება ევროპაში - 1970 წლიდან დღევანდლამდე. ელექტრონული სახელ-მძღვანელო (რედაქტორი და მთარგმნელი პროფ. პაატა კოღუაშვილი). სტუ, 2015 წ.
2. სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წ.
3. ევროკავშირი რეგიონალური პოლიტიკა (ძირითადი პრინციპების გამოყენება , ათვისებული გაკვეთილების გაზიარება , გამოცდილების გაცვლა). ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემათა ოფისი. L-2985 ლუქსემბურგი.
4. საქართველოს და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური შეთანხმება. ასოცირების შეთანხმების მე-10 თავის 333 მუხლი.
5. პაატა კოღუაშვილი, ქართული სოფლის სტატუსის შესახებ. //„სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, №5, 2016 წ.


**Rural development concept in European Union countries**


***Paata Koghuashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Gocha Tsopurashvili, PhD student***
***Georgian Technical University***


**Summary**


The work deals with successful eexperience in European Union (EU) countries regional policy and rural development issues. There are established methodological and conceptual systems of this topic, the role of strategic tasks, also there are analyzed the meaning of targeted programs, the complex of research and knowledge of opportunities, achieved progress by innovation on the sites as sectorial and infrastructural, also in general economic development. In today's present development of regional economy for Georgia, decentralization, strengthening of self-governance, determination of village status, its development is a very important topic and the largest resource is to ensure the inclusive development of the real sector of the country's economy.

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საერთაშორისო გამოცდილება

*კოღუაშვილი პაატა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*მამუკელაშვილი დავითი*
*მიზნობრივი პროექტების სამსახურის უფროსი*

**აბსტრაქტი**

ნაშრომი ეხება წარმატებული ეკონომიკის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობას და გამოცდილებას გლეხური მეურნეობების გაძლიერებასა და საზოგადოების ინკლუზიურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.ამ ქვეყნების კოოპერაციული სისტემის განვითარების ანალიზი ნათელს ხდის, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, სოფლის მეურნეობის შემადგენელ არცერთ სფეროს არ შესწევს ძალა, ძლიერი კოოპერციული სისტემის გარეშე, წარმატებით გაუმკლავდეს სხვადასხვა სახის პრობლემებს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს კოოპერაციული პროცესების მხარდაჭერის მოტივს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ კოოპერაციული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის გამოცდილება, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

საკვანძო სიტყვები: კოოპერაციული სისტემა, კოოპერაციის სოციალური ფუნქცია, სამართლებრივი რეგულაციები, საკრედიტო კოოპერატივები, ფსევდო-კოოპერატივები.

**ძირითდი ტექსტი**

ეკონომიკური საქმიანობის კოოპერაციული ფორმის აღმოცენება განპირობებული იყო ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ობიექტური მოთხოვნებით. კოოპერაციული უთიერთობების ინტენსიური განვითარება დაიწყო მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან და განპირობებული იყო განვითარებულ ფულად-სასაქონლო ურთიერთობების გზაზე მდგარი ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო სისტემისა და სუსტი ეკონომიკური პოტენციალის მქონე წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების სასაქონლო ბაზრებთან, განვითარებულ წარმოების საშუალებებთან და საკრედიტო რესურსებთან სტაბილური კავშირების დამყარების აუცილებლობით. კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმების და გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ კოოპერაცია უაღრესად დიდ როლს თამაშობს კრიზისების გადალახვის, სოციალური პრობლემების მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ქმედითუნარიანობის ამაღლების საკითხებში.

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს. ამიტომ ამ ქვეყნებში კოოპერაციის პროცესი ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა. აღსანიშნავია, რომ ამ სახელმწიფოებში საზოგადოებას და ხელისუფლებას ადექვატურად ქონდათ გააზრებული ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში კოოპერატივების უმნიშვნელოვანესი მისია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებიდანვე მის შემადგენლობაში შედიოდა კოოპერაციის საკითხების შემსწავლელი ეკონომიკური საბჭო, რომელმაც მის პირველივე რეზოლუციებში - „მიწის რეფორმა“ (1951წ) და „დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარება“ (1954წ), კოოპერაციას მიანიჭა განსაკუთრებული როლი როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ქვეყნების მთლიანი ეკონომიკური სისტემის განვითარების საკითხში. კოოპერაციის მხარდამჭერი სპეციალური კომისია არსებობს ევროპარლამენტშიც.

ევროკავშირის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეფექტური სისტემის არსებობა ხანგრძლივი განვითარების უწყვეტ პროცესს უკავშირდება. ამ პროცესში სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის კატაკლიზმურ ცვლილებებს პრაქტიკულად ადგილი არ ჰქონია, როგორც ეს აღმოსავლეთ

ევროპის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოხდა.

იტალიის კოოპერაციული სისტემის სამართლებრივ საფუძველს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს იტალიის რესპუბლიკის 1947 წელს მიღებული კონსტიტუციის 45-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „რესპუბლიკა აღიარებს კოოპერაციის სოციალურ ფუნქციას, რომელიც ეფუძნება ურთიერთდახმარებას და არ ისახავს მიზნად სპეკულაციურ მიზნებს“. უფრო დაწვრილებით კოოპერაციის მიზნები ჩამოყალიბებულია იტალიის სამოქალაქო კოდექსში, სადაც მითითებულია, რომ კოოპერაციის მიზანს წარმოადგენს მისი წევრებისათვის უკეთესი მომსახურეობისა და სამუშაო პირობების შექმნა, ვიდრე ეს შეუძლია თავისუფალ ბაზარს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის პირველი მარეგულირებელი ნორმატიული აქტი გამოსცა იტალიის ხელისუფლებამ XIX საუკუნის 30-იან წლებში, რომელიც ითვალისწინებდა „ეგალიტარიზმის" (გათანაბრების) პრინციპს: კოოპერატივის თითოეულ მეპაიეს საპაიო ფონდში შეჰქონდა თანაბარი პაი და ერთი პაის ღირებულება განისაზღვრებოდა 100 ფულადი ერთეულით. მისი მიზანი იყო წვრილი მეპაიეების ინტერესების და უფლებების დაცვა მსხვილი მეპეიეების წინაშე.

1892 წელს სახელმწიფომ შექმნა „იტალიის აგრარული კოოპერატივების ფედერაცია“, რომელმაც მთელი ქვეყნის კოოპერატივები მოაქცია ერთ სისტემაში. ამ ორგანიზაციაში გაერთიანდა იტალიის ყველა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთა წევრიც გახდა 600 000-ზე მეტი კომლი.

დღეს იტალიაში კოოპერატივების მეშვეობით წყდება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური საკითხებიც: შეღავათიანი ჯანდაცვა, განათლება, კოოპერატივის ოჯახებისთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფა და სხვა. სოფლებში გლეხები ცხოვრობენ ქალაქის შესაბამისი კომფორტით, სადაც კოოპერატივები უზრუნველყოფენ მეპაიეების მაღალ შემოსავლებს, პენსიებს, სტიპენდიებს კოოპერატივის მიერ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში სასწავლებლად გაგზავნილი სტუდენტებისთვის. კოოპერატივები ამზადებენ კადრებს სოფლისთვის საჭირო ყველა სპეციალობაში, აგრონომებით, ვეტერინარებით და საინჟინრო სპეციალობებით დაწყებული, სკოლის პედაგოგების, სამედიცინო პერსონალის და კულტურის მუშაკების ჩათვლით. ყველა სამუშაო ადგილის დაკავება ხდება კონკურსის საფუძველზე. კოოპერატივი მის წევრებს უზრუნველყოფს საბინაო კრედიტით 20-25 წლის ვადით.

იტალიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულმა მოძრაობამ ხუთი საუკუნის მანძილზე დააგროვა მდიდარი გამოცდილება როგორც დარგობრივი, ასევე სათემო კოოპერაციის განვითარების კუთხით. იტალიის მაგალითზე, სოფლის მეურნეობის კოოპერაციის პროცესმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და ჰოლანდიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

საფრანგეთში კოოპერაციის პროცესს საფუძვლად უდევს საერთო სამართლებრივი რეგულაციები (ძირითადად კანონით კოოპერაციის შესახებ), განსხვავებული ტიპის კოოპერატივების სამართლებრივ რეგულაციებთან ერთად. კოოპერაციას სახელმწიფო განიხილავს როგორც ეკონომიკის მესამე სექტორს რომლისის შესახებ მიღებულია ათზე მეტი კანონი და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ხუთი წიგნის სახით თავმოყრილია საფრანგეთის აგრარულ კოდექსში. საფრანგეთში არსებობს სოციალური ეკონომიკის სამინისტრო, რომელიც ქმნის პირობებს ქვეყანაში კოოპერაციის განვითარებისათვის, მაგრამ არ ერევა მათ სამეწარმეო საქმიანობაში. აქ არსებული 24000 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უზრუნველყოფს 1 მილიონ სამუშაო ადგილს და მათი წლიური საერთო ფინანსური ბრუნვა აღემატება 300 მილიარდ ევროს.

საფრანგეთში პირველი საკრედიტო კოოპერატივები - „სასოფლო საკრედიტო სალაროები“ შეიქმნა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. 1884 წელს მიღებულ იქნა კანონი „კრედი აგრიკოლის“ სისტემის შექმნასთან დაკავშირებით, რომლის მფარველისა და სპონსორის ფუნქცია თავის თავზე აიღო საფრანგეთის ხელისუფლებამ. 1960 წელს „კრედი აგრიკოლმა“ გამოისყიდა თავისი წილი სახელმწიფოსაგან და განთავისუფლდა სამთავრობო დაწესებულების სტატუსისაგან. მიუხედავად ამისა, იგი განაგრძობდა სახელმწიფოსაგან შეღავათიანი კრედიტების მიღებას.

1968 წელს „კრედი აგრიკოლის“ წევრობის უფლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებთან ერთად მიიღეს სხვა კატეგორიის მეწარმეებმა. დღეს „კრედი აგრიკოლი“ ემსახურება თოთხმეტ მილიონ კლიენტს, რომელთაგან მხოლოდ ექვსასი ათასი არის ჩართული

აგრარულ საქმიანობაში. 1988 წელს საფრანგეთის სახელმწიფოს პრეზიდენტის დეკრეტით მას შეუწყდა სახელმწიფო დაფინანსება და გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად.

„კრედი აგრიკოლის" სისტემა წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ეროვნული ფედერაციის სახით, რომელიც თავის მხრივ შედის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ურთიერთდახმარების ეროვნული კონფედერაციის შემადგენლობაში. საფრანგეთში კოოპერაციული საექტორის მხარდაჭერა და რეგულირება სახელმწიფოს მიერ გაცილებით დიდია, რაც მიუღებელია ევროპის სხვა ქვეყნებისთვის. ეს ძირითადად ხდება იმის გამო, რომ თავიდან იქნას აცილებული ფსევდო-კოოპერატივების მიერ საგადასახადო და სხვა შეღავათებით სარგებლობა.

გერმანიის კოოპერაციული სისტემის მაგალითი მნიშვნელოვანია როგორც ვერტიკალური კოოპერაციული სისტემის ფორმირების, ასევე კოოპერაციული საფინანსო ინსტიტუტების განვითარების კუთხით. გერმანიაში კოოპერაციული საქმიანობა დაფუძნებულია გერმანიის ფედერალურ კანონზე „კომერციული და სამეურნეო ამხანაგობების" შესახებ (1889 წ). გერმანია ითვლება საკრედიტო კოოპერატივების სამშობლოდ. სწორედ აქ მე-19 საუკუნის 50-60-იან წლებში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივების მასიური გავრცელება. ამ მოძრაობის ფუძემდებლად ითვლება ფრიდრიხ ვილჰელმ რაიფაიზენი, რომელმაც 1876 წელს შექმნა პირველი „გერმანიის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სალარო". მიმდინარე პერიოდში რაიფაიზენის კავშირი აერთიანებს ყველა სასოფლო-სამეურნეო, სახელოსნო, მომსახურეობის და საკრედიტო კოოპერატივებს და კოოპერაციულ ბანკებს გერმანიის მთელ ტერიტორიაზე. ფერმერთა 80%, ბიზნესმენთა 75% და ხელოსნების 60%, რომელთა რაოდენობა შეადგენს 14 მილიონს, არიან კოოპერაციული ბანკების წევრები.

გერმანიაში, კოოპერაციული სისტემა წარმოდგენილია სამ საფეხურიანი იერარქიით. პირველ, ანუ ადგილობრივ დონეზე, არსებობს სოფლის საწარმოო, მომსახურების, საკრედიტო და კომერციული კოოპერატივები. პრინციპით „ერთიანობა ძლიერების საფუძველია'' პიველადმა კოოპერატივებმა, თავიანთი სპეციალიზაციის მიხედვით, დააფუძნეს 33 რეგიონალური ცენტრალური კოოპერატივი, რომელთა საქმიანობა გაძლიერებულია სპეციალური ინსტიტუტებით. ცენტრალური კოოპერატივები აგვარებენ იმ პრობლემებს, რომლებსაც ვერ უმკლავდებიან პირველადი კოოპერატივები. შენახვის, გადამუშავების და რეალიზაციის თანამედროვე პოტენციალის გამოყენებით, ისინი აერთიანებენ მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობებს რათა შექმნან შესაძლებლობა, შევიდნენ ბაზრის სეგმენტებზე დიდი მოცულობის საქონლის პარტიებით. რეგიონულმა ცენტრალურმა კოოპერატივებმა შექმნეს შესაბამისი ინსტიტუტები ფედერალური დონეზე.

უკვე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გერმანიის კოოპერაციული სისტემის ყველა სფეროში მოხდა სტრუქტურული ცვლილებები. იმისათვის, რომ კოოპერატივებს გაეძლიერებინათ თავიანთი პოზიცია გამძაფრებულ კონკურენციაში, ყველგან, სადაც გამოიკვეთა აქტუალობა, შეიქმნა კოოპერატივების გაერთიანებები და კავშირები. ამის შედეგად გაფართოვდა კოოპერატივების შესაძლებლობები და მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი პროდუქტიულობა. თუ 1950 წელს გერმანიაში არსებობდა 26000-ზე მეტი კოოპერატივი, გატარებული პოლიტიკის შედეგად მათი რაოდენობა შემცირდა 7000-მდე. სტრუქტურული ცვლილებებით გამოწვეულმა პოზიტიურმა შედეგებმა მოსახლეობაში გაზარდა ნდობა კოოპერატივების მიმართ და კოოპერატივების წევრთა საერთო რაოდენობა იგივე პერიოდში 4.4 მილიონიდან გაიზარდა 16 მილიონამდე. სტრუქტურულმა ცვლილებებმა საკრედიტო კოოპერატივების რიცხვი შეამცირა 12000-დან 2250-მდე (მათ შორის 560 საკრედიტო კოოპერატივი საწარმოო და კომერციული ფუნქციებით). ამავდროულად, საკრედიტო კოოპერატივების წევრთა რაოდენობა გაიზარდა ოთხჯერ და 14.6 მილიონი შეადგინა.

გერმანული კოოპერატივების რაიფაიზენის კავშირი: (DGRV) - შეიქმნა გერმანული კოოპერაციული სისტემის რეფორმირების შემდეგ 1972 წელს. იგი მუშაობს ყველა საკითხზე რომელიც დაკავშირებულია გერმანულ კოოპერაციულ სისტემასთან: იცავს და ლობირებს კოოპერატივების ინტერესებს სამეწარმეო საკითხებთან და საგადასახადო პოლიტიკასთან მიმართებაში, ეწევა კონსულტაციებს ყველა საკითხზე რომელიც დაკავშირებულია კოოპერატივების უფლებებთან, განათლების სისტემასთან, ორგანიზაციულ მოწყობასთან, მონაცემების დამუშავებასთან და სხვა.

დღეისათვის ყველა მეხუთე გერმანელი არის კოოპერატივის წევრი ან სხვადასხვა ეკონომიკურ ურთიერთობაშია კოოპერატივებთან. გერმანიაში უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში გაკოტრდა 20

000 სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურა, მაგრამ მათ შორის არ ყოფილა არცერთი კოოპერატივი.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების დონე უაღრესად მაღალია. აქ კოოპერაცია განვითარდა უპირველესად მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით, რაც ამ ჯგუფის ქვეყნებში აგრარული წარმოების საფუძველს წარმოადგენს.

დანიასა და ფინეთში კოოპერატივები ახდენენ რძისა და რძის პროდუქტების 80%-ის, ხოლო შვეციასა და ნორვეგიაში - 90%-ს წარმოებასა და და რეალიზაციას. ამ ქვეყნებში კოოპერატივების საშუალებით ხდება ცოცხალი პირუტყვის 80%-სა და კვერცხის 65-70%-ს რეალიზაცია. ფინეთში კოოპერაციული გაერთიანების სტატუსს განსაზღვრავს კანონი „კოოპერაციული გაერთიანებების შესახებ" (1954 წ). მსგავსი კანონი მოქმედებს შვედეთშიც. ამ ქვეყნებში კოოპერაციულ გაერთიანებებში ძირითადად მოიაზრება ორგანიზაციები, სადაც წევრთა რაოდენობა და კაპიტალი წინასწარ არ არის განსაზღვრული. ეს გაერთიანებები შექმნილია წევრთა ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც ვალდებულნი არიან გამოიყენონ ამ ორგანიზაციის მომსახურება.

ბელგიაში კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ბაზარზე შეადგენს: რძე 50%, ხილი და ბოსტნეული 70-90%, ხორცი 20-30%.

ევროპის ქვეყნებში კოოპერაციის აქტიური მხარდაჭერით გაიზარდა წარმოების მასშტაბები იმდენად, რომ შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჭარბწარმოების პრობლემა. ამიტომ ბოლო წლებში განხორციელდა სახელმწიფო დაფინანსების პრინციპების გარკვეული ცვლილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ კოოპერატივები ძირითადად იღებენ მიზნობრივ ფინანსურ დახმარებას და შეღავათიან კრედიტებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისათვის.

გარდა ევროპის ქვეყნებისა, კოოპერაციული სისტემების განვითარების მდიდარი გამოცდილება არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ისრაელში და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

იაპონიაში კოოპერაციულმა სისტემამ გამოავლინა განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა. 1947 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ კანონის მიღების შედეგად და იაპონიის იმპერატორის განკარგულებით, სოფლის მთელი მოსახლეობა ავტომატურად ჩართული აღმოჩნდა კოოპერაციულ სისტემაში, რომლის მეშვეობითაც მთავრობამ მოახდინა ახალი აგრარული პოლიტიკის გატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიმდინარე პერიოდში იაპონელი ფერმერების 91% გაწევრიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.

იაპონიაში მოქმედებს განყენებული სამართლებრივი რეგულაციები სხვადასხვა სახის კოოპერატივებისათვის. ამ მოდელის საფუძველს წარმოადგენს დიფერენცირებული ნორმატიული აქტები კოოპერატივების ტიპებისა და დარგობრივი კუთვნილების მიხედვით. შესაბამისად, განსხვავებულია სამართლებრივი რეგულაციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს წარმოადგენენ ფერმერთა გაერთიანებები, რომლებიც შექმნილია წარმოების, მარკეტინგის, საწარმოო საშუალებების შესყიდვის, კონსულტაციების გაწევის, საკრედიტო და სადაზღვევო მიზნებისთვის. სამომხმარებლო კოოპერატივების სამართლებრივი რეგულაციები მოცემულია იაპონიის კანონში „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" (1948 წ).

იაპონიის კოოპერაციულ სისტემას გააჩნია იერარქიული სტრუქტურა. ეროვნულ დონოზე ფუნქციონირებს სრულიად იაპონიის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ფედერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ფედერაციის ცენტრალური საბჭო, ამავე დონეზე არსებობს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის კოოპერაციული ცენტრალური ბანკი და სრულიად იაპონიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფედერაცია სამედიცინო მომსახურების კუთხით. შესაბამისი ორგანიზაციები არსებობენ ცალკეული პრეფექტურების დონეზე (47 პრეფექტურა).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები პრეფექტურებთან ერთად ეწევიან ადგილობრივი დარგების განვითარების გეგმების შედგენას იაპონიის მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შესაბამისად. არსებობს საკითხები, სადაც პრეფექტურების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციები მკვეთრად გამიჯნულია, მაგრამ ზოგიერთ საკითხებთან მიმართებაში, მაგალითად როგორიცაა სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავება, მათი ფუნქციები

პრაქტიკულად გაერთიანებულია. გეგმები მოიცავენ ეკონომიკური განვითარების ყველა მიმართულებას აგროეკოლოგიური პირობების დაცვის გათვალისწინებით და ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხასიათის დეტალებს. მათი განხორციელების კონტროლს ეწევა სახელმწიფო.

**დასკვნა**

კრიზისების პერიოდში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სახელმწიფო იყენებდა როგორც სოფლის მეურნეობის რეგულირების საშუალებას. მეორე მსოფლიოო ომის შემდეგ ბევრ ქვეყანაში, სადაც შეიქმნა მწვავე სასურსათო კრიზისი, სახელმწიფომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი განსაზღვრა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობრივი ზრდის ყველაზე ეფექტური საშუალება, და შესაბამისად, ამ ქვეყნებში იგი აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერით წარიმართა. სახელმწიფო ორგანოებმა განახორციელეს აქტიური პროპაგანდისტული კამპანია კოოპერატივების შესაქმნელად, რამაც გამოიწვია კოოპერატივების რაოდენობის ზრდა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება. კამპანია ჩატარდა ომის შემდგომი მძიმე და გაჭიანურებული კრიზისის დროს, როდესაც მილიონობით ფერმერული მეურნეობა იყო განადგურების ზღვარზე. ამ რთულ პერიოდში სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნა სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობდნენ კოოპერატივების საქმიანობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. პ. კოღუაშვილი, დ. მამუკელაშვილი - აგროკოპერატიული პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, ჟურნალი „ეკონომიკა“, N12, 2018 წ;
2. დ. მამუკელაშვილი - სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ევროპის ქვეყნებში, Agronews.ge, 06.02.2019;
3. იტალიის კონსტიტუცია, მუხლი 45, 1947 წ;
4. სოფლის განვითარება ევროპაში - 1970 წლიდან დღევანდლამდე. ელექტრონული სახელმძღვანელო (რედაქტორი და მთარგმნელი პროფ. პ. კოღუაშვილი). სტუ, 2015 წ;
5. დ. მამუკელაშვილი - ესპანეთი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ევოლუცია, რეგულაცია და მხარდაჭერა, Agronews.ge, 08.02.2019;
6. Agricultural Cooperative Law of Japan - 194


## International Development Experience of Agricultural Cooperation


***Paata Koghuashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***David Mamukelashvili***
***Head of Target Project Service***



## Summary

The work deals with the importance and experience of agriccultural cooperatives in strengthening of peasant farms and in inclusive, economic and social development of society, in countries with development economic. The Analysis of development of cooperative systems of this country, makes it understanding that especially in such countries as Georgia, none of the field of agricultural has a power to handle various problems without strong and multifaceted cooperation systems, that represents the motive of supporting cooperative processes. It is especially important the experience of supporting cooperative infrastructure by the state, that Is considered as a main factor of accelerated development of the country's economy.



Key words**:** Cooperative system, social function, legal regulations, credit cooperatives, pseudo-cooperatives, hierarchical structure.

# თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში

*კოღუაშვილი პაატა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ბედოშვილი ბესიკი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ნაშრომი ეხება თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების სასოფლო-სამეურნეო სფეროში დანერგვასა და გამოყენებას, მათ როლს აგრარული სფეროს განვითარების საქმეში. სოფლის მეურნეობის წინაშე არსებული გლობალური გამოწვევები ნათელყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობას, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის, რომლის მწირი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და აგრარული სექტორის განვითარება ვერ მოხერხდება თანამედროვე ტექნოლოგიების აგროსფეროში დანერგვის გარეშე. აღნიშნული მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს მხარდაჭერას.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობის განვითარება, რესურსების ეფექტიანი გამოყენება, სახელმწიფო მხარდაჭერა.

**ძირითადი ტექსტი**

ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.სოფლის მეურნეობა აწყდება ახალ და რთულ გამოწვევებს. საკვები პროდუქტების ფასის ზრდა მოითხოვს უფრო ეფექტურ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობაში. მოსახლეობის გლობალურმა ზრდამ, რომელიც 2050 წლისთვის სავარაუდოდ 9 მილიარდს მიაღწევს, გააათმაგა მოთხოვნა საკვებ პროდუქტებზე და სოფლის მეურნეობისა და საკვების მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით მოსახლეობის გამოკვება პროდუქციის წარმოების 70%-იან ზრდას მოითხოვს. ასეთი გამოწვევების პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების სოფლის მეურნეობაში დანერგვა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ძირითად გზას წარმოადგენს.

შეზღუდული რესურსების პირობებში წარმოების ზრდისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა.

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში. საინფორ-მაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დღევანდელი გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები მოიცავს ყველა საკომუნიკაციო ტექნოლოგიას, როგორიცაა ინტერნეტი, უკაბელო ქსელი, ფიჭური კავშირგაბმულობა, ტელეფონები, კომპიუტერები, სოციალური მედია და სერვისები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს შეინახოს, გადასცეს და გარდაქმნას ციფრული ფორმის ინფორმაცია. საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვამ სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი ინოვაციების დანერგვას, როგორიცაა მეტეოროლოგიური ინფორმაციის ბაზები, საკონსულტაციო სერვისები ფერმერებისთვის, სტიქიური უბედურებების ადრეული შეტყობინებისა და კონტროლის, ფინანსური და ლოგისტიკური სერვისები, აგრარული სტატისტიკური მონაცემები და სხვა. მობილური საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწრაფად გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინფორმაციის გადაცემის გზა. ზოგადად მობილურ აპლიკაციებს და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილ მობილურ აპლიკაციებს განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) და პარტნიორების ჯგუფმა დააპროექტეს ელექტრონული სოფლის მეურნეობის საზოგადოება E-Agriculture, ონლაინ სივრცე

სოფლის მეურნეობაში არსებულ პროექტებში ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მხარდასაჭერად. ინფორმაციული საზოგადოების მსოფლიო სამიტზე (WSIS) სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) აამოქმედა სპეციალური პროგრამა, რომელიც ფოკუსირებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მხარდასაჭერად საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლის გაზრდაზე.

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობაში და მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი ქვეყნისთვისაც. თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია აგროსფეროს სრულყოფილი განვითარება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020წ.წ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად სოფლად კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას მიიჩნევს. საქართველოს მთელი ტერიტორია და უმეტესწილად მაღალმთიანი სოფლების ტერიტორიები ამ ეტაპზე არ არის დაფარული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით, რაც ზღუდავს სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ინტერნეტზე და შესაბამისად წარმოადგენს ბარიერს განვითარებისთვის. დაგეგმილია, რომ 2025 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 98%-ისთვის ხელმისაწვდომი იქნება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების აგროსექტორში განვითარების მხრივ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს მობილური აპლიკაცია „აგრონავტი", რომლის შექმნაც USAID-მა დააფინანსა და წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის აგროსექტორისთვის უნიკალურ ონლაინ პლათფორმას. აპლიკაციის საშუალებით ნებისმიერ დარეგისტრირებულ ფერმერს შეუძლია საკუთარი პროდუქტის განთავსება და რეალიზაცია. ფერმერს შეუძლია შეიყვანოს ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობის, სახეობისა და ფასის შესახებ, რის შემდეგაც სადისტრიბუციო კომპანია უზრუნველყოფს ნაწარმის შემოწმებას, ტრანსპორტირებასა და გაყიდვას.

გარდა რეალიზაციისა, ფერმერს შესაძლებლობა აქვს მიიღოს სხვადასხვა ტიპის მნიშველოვანი სასოფლო-სამეურნეო ინფორმაცია, როგორიცაა აგროპროდუქტების ფასები 100-მდე დასახელების პროდუქტზე და მათი სტატისტიკური ანალიზი, 60-მდე სასოფლო-სამეურნეო თემატიკის წიგნი, ინფორმაცია დეფიციტური პროდუქციის შესახებ, რეგიონალური ინფორმაცია კლიმატური პირობების, ნიადაგებისა და გავრცელებული კულტურების შესახებ, ასევე ამინდის პროგნოზი, რომელიც შეტყობინების სახით მისდის მომხმარებელს. აპლიკაცია მომხმარებელს სთავაზობს აგროდაზღვევასაც და ასევე აწვდის ინფორაციას მიწის ონლაინ აუქციონების შესახებ ქონების მართვის სააგენტოდან.

ასევე მნიშვნელოვანია აპლიკაცია „ტრაქტორის" როლი, რომელიც ევროკავშირისა და USAID-ის მხარდაჭერით შეიქმნა და მომხმარებელს სთავაზობს ინტერნეტმაღაზიას, სადაც შესაძლებელია შეიძინონ მეურნეობისთვის აუცილებელი სხვადასხვა პროდუქცია, ფერმერთა ცენტრებიდან შემოთავაზებული ნედლეული და ასევე ისარგებლონ ადგილზე მიტანის სერვისით. აპლიკაცია საშუალებას იძლევა მიიღონ ინფორმაცია მოსავლის ხარისხისა და რაოდენობას გასაუმჯობესებლად, ასევე გაიარონ კონსულტაცია აგრონომებთან და ვეტ-ექიმებთან.

დრონები სოფლის მეურნეობაში. დღესდღეობით თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებიდან ერთერთ ყველაზე პოპულარულს წარმოადგენს დისტანციურად მართვადი საფრენი აპარატების დრონების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. დრონების ტექნოლოგიას და მასთან ადაპტირებულ ვიზუალური ინფორმაციის დამუშავების საშუალებებს მნიშვნელოვნად შეუძლია შეამციროს ხარჯები და გაზარდოს სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობა. დრონების გამოყენება ხდება სხვადასხვა დანიშნულებით, მათ შორის ერთერთ მნიშვნელოვანს მონიტორინგი წარმოადგენს. ისინი აღჭურვილია მაღალი გარჩევადობის მქონე კამერებით, სხვადასხვა ტიპის სენსორებით რომლებიც განსაზღვრავს ნიადაგის ზედაპირის ფორმას, ტენიანობას და სხვა მნიშვნელოვან მონაცემებს. ინტერნეტთან კავშირის საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის პირდაპირი გადაცემა და შენახვა. ყველაზე მნიშვნელოვან გამოყენების სფეროს წარმოადგენს მოსავლის განვითარებისა და ჯანმრთელობის შეფასება. ინფრაწითელი სენსორების საშუალებით შესაძლებელია გამოვითვალოთ

მზის რადიაციის ათვისების ინტენსივობა და შევაფასოთ დასაკვირვებელი მცენარეების მდგომარეობა. აღნიშნული მეთოდი ათწლეულების განმავლობაში გამოიყენებოდა კოსმოსური თანამგზავრებისა და თვითმფრინავების საშუალებით, თუმცა მათგან მიღებული ინფორმაცია არ იყო სანდო და არ იძლეოდა კონკრეტულ ფართობზე მოსავლის მდგომარეობის დეტალური ანალიზის საშუალებას. დრონების ტექნოლოგიამ აღნიშნული მეთოდი აიყვანა მონაცემების სიზუსტის ისეთ დონემდე, რომ შესაძლებელი გახადა გამოვიკვლიოთ არა მხოლოდ მცენარეთა საერთო მდგომარეობა, არამედ შევაფასოთ მცენარეთა სპეციფიური ნაწილების მდგომარეობაც. აღნიშნული ტექნოლოგია ხშირად გამოიყენება ბუნებრივი კატასტროფებისა და მოსავლის განადგურების შემთხვევაში ზარალის დონის შეფასებისა და აღნიშნულ ფაქტამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებისთვის. მოსავლის მდგომარეობის შეფასებისა და აღრიცხვის აღნიშნული მეთოდები გამოიყენება სადაზღვეო სფეროში. ამას გარდა, სხვადასხვა ტვირთამწეობის დრონები შესაძლებელია გამოვიყენოთ თესვისა და თხევადი სასუქების შეტანისთვის. თანამედროვე გამფრქვევი დრონები აღჭურვილია 10 ლიტრზე მეტი ტევადობის ავზებით, შეუძლია გააფრქვიონ ლიტრი წუთში სითხე და დაფარონ ერთი ჰექტარი 10 წუთში.

მიმდინარეობს დრონების ტესტირება უფრო გლობალური პრობლემის გადაჭრის საქმეშიც, ისეთის როგორიცაა ფუტკრების რაოდენობის შემცირება, რაც მცენარეთა დამტვერვის პრობლემას ქმნის. ბოლო პერიოდში მეცნიერები შეშფოთებულნი არიან ფუტკრების რაოდენობის მასიური შემცირებით. ამერიკის ზოგიერთ შტატში მათი რაოდენობა 50-70 პროცენტით შემცირდა. სპეციალისტების აზრით, ეს გამოწვეულია კლიმატის გლობალური ცვლილებებით, ეკოლოგიური პრობლემებით, სოფლის მეურნეობაში პესტიციდების გამოყენებით. ამერიკელმა მეცნიერებმა ჩატარებული კვლევების შედეგად თაფლსა და ცვილში რამდენიმე სახეობის შხამქიმიკატი აღმოაჩინეს, რომლებიც აქვეითებენ ფუტკრის იმუნიტეტს. ფუტკრების რაოდენობის შემცირება მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის სოფლის მეურნეობას მთლიანად მსოფლიოში, რამდენადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი ნაწილი ფუტკრების საშუალებით იმტვერება. მეცნიერები აქტიურად ცდილობენ აღნიშნული პრობლემის გადაჭრას, რომლის ერთ-ერთ საშუალებას მცენარეთა დამტვერვისთვის დრონების გამოყენება წარმოადგენს.

დრონების ტექნოლოგიის გამოყენება საქართველოში მიმდინარე წლიდან დაიწყო, რასაც კომპანია აგრიკოპტერი ახორციელებს. კომპანიის შექმნილ დრონს შეუძლია სხვადასხვა კულტურებისა და ლანდშაფტის სრული ანალიზი, გეგმიური და ზუსტი საჰაერო თესვა, თხევადი სასუქების საჰაერო შეფრქვევა, მცენარის ვეგეტაციის მონიტორინგი და ჯანმრთელობის შეფასება. ამა წლის თებერვალში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ სამოქალაქო უპილოტო ხომალდების რეესტრში პირველი აგროდრონი დაარეგისტრირა. უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა 5 კილოგრამს აღემატება, კანონმდებლობით რეგისტრაციას ექვემდებარება. აგრიკოპტერმა დაარეგისტრირა აგროდრონი, რომელიც აღჭურვილია 13 ლიტრიანი ავზით, ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 15 მ/წმ-ია და შეუძლია ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე იფრინოს.

ბლოკჩეინის ტექნოლოგია სოფლის მეურნეობაში. თანამედროვე ტექნოლოგიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ბლოკჩეინი, რომელმაც ადამიანის საქმიანობის არაერთი სფერო მოიცვა. ბლოკჩეინი წარმოადგენს მუდმივად მზარდი ჩანაწერების „ბლოკების" სიას, რომლებიც დაცულია კრიპტოგრაფიულად. იგი არის მზარდი პლატფორმა, რომელიც საწარმოებს ან ინდივიდებს შორის ტრანზაქციების განხორციელებისას გამოიყენება. ბლოკჩეინი ციფრულად დაშიფრული ტრანზაქციების რეესტრია, რომელსაც ტრანზაქციის მონაწილე მხარეები ნებაყოფლობით აზიარებენ ჯაჭვის მეშვეობით. აღნიშნული რეესტრი იძლევა ვალუტის, საქონლის ან ნებისმიერი ღირებულების მქონე და გამჭვირვალედ განხორციელებული ტრანზაქციების ჩატარების საშუალებას. ბლოკჩეინ ტექნოლოგია კრიპტოგრაფიულად არის დაცული, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრანზაქციის მონაწილე მხარეებს აქვთ უფლება ნახონ მხოლოდ მათთვის ელექტრონულად ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ამავდროულად არ შეუძლიათ წინა ტრანზაქციების ისტორიის შეცვლა ან მასზე უარის თქმა.

ბლოკჩეინის ტექნოლოგია ფართოდ გამოიყენება ფინანსურ, წარმოების, ენერგეტიკის, სამთავრობო და სხვა სფეროებში. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სექტორებში ასევე ფართო გამოყენება ჰპოვა. აგროდაზღვევის სისტემები ბევრ ქვეყანაში ყურადღების ცენტრშია. დაბალფასიანი აგროდაზღვევის სქემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზიის წყნარი ოკეანის სანაპიროს ქვეყნებში, სადაც აღნიშნული სქემები წარმოადგენს სოციალური დაცვის სისტემას ხალხისთვის, რომელიც ხშირად ზარალდება ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად. მიუხედავად დაზღვევის ბევრი დადებითი ეფექტისა, მომხმარებლების რაოდენობა მაინც დაბალია. იმის გამო, რომ ზარალის აღიარებისა და კომპენსაციის გადახდის მეთოდები დროში იწელება, წვრილი ფერმერები უარს აცხადებენ დაზღვევით სარგებლობაზე. ბლოკჩეინ ტექნოლოგიების აღნიშნული მიმართულებით გამოყენება ბევრად გაამარტივებს პროცესს და მოახდენს მის ავტომატიზაციას მონაცემთა მუდმივი განახლების პირობებში.

ბლოკჩეინზე დაფუძნებულ მიწის რეგისტრაციის სისტემას შეუძლია აწარმოოს მიწების სანდო რეესტრი, განსაკუთრებით თუ აღნიშნული სისტემა დაკავშირებული იქნება პიროვნების იდენტიფიცირების ელექტრონულ საშუალებებთან. საქართველო წარმოადგენს იმ ერთ-ერთ პირველ ქვეყანას, რომელიც მიწის რეგისტრაციისთვის ბლოკჩეინის ტექნოლოგიას იყენებს. უძრავი ქონების და ბიზნესსუბიექტების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია ბლოკჩეინის გლობალური სისტემითაა დაცული. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია BitFury Group-თან თანამშრომლობით შეიმუშავა უძრავი ქონების რეგისტრაციის ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სისტემა, რომელმაც ტესტირების ეტაპი წარმატებით გაიარა და სისტემა ამოქმედებულია რეალურ რეჟიმში. საჯარო რეესტრი ბლოკჩეინში ოფიციალური ციფრული ხელმოწერით დამოწმებულ მონაცემებს აგზავნის, რითაც განხორციელებული ტრანზაქციის ნამდვილობას და უტყუარობას ადასტურებს. ამონაწერის შესახებ ინფორმაციის ნამდვილობის გადამოწმება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვისაა შესაძლებელი.

**დასკვნა**

ისეთი გლობალური გამოწვევების წინაშე, როგორიცაა მსოფლიო მოსახლეობის ზრდა, შიმშილის პრობლემა, ეკოლოგიური საფრთხეები და სხვა, თანამედროვე ტექნოლოგიების აგრარულ სექტორში დანერგვა ერთადერთი გამოსავალია, ამიტომაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ ფინანსურ, კვლევით, საკონსულტაციო და სხვა ტიპის მხარდაჭერის ღონისძიებებს. საქართველოც ცდილობს ფეხი აუწყოს მსოფლიოში მიმდინარე განვითარების პროცესებს, რაც გამოიხატება როგორც კერძო სექტორის ასევე სახელმწიფო სტრუქტურების დაინტერესებაში თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ. ჩვენს ხელთ არსებული მწირი რესურსების პირობებში ინოვაციური ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. პაატა კოღუაშვილი, გიორგი ზიბზიბაძე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 2010
2. E-Agriculture 10 Year Review Report, FAO, 2015
3. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020
4. პაატა კოღუაშვილი, საქართველოს სასურსათო უშიშროება, რეალობა და პროგნოზები. თბ. 2014 წ.
5. www.gfa.org.ge
6. www.traktor.ge
7. Drones For Agriculture, FAO, 2018
8. Agricopter.ge
1. Blockchain For Agriculture: Opportunities and Challenges, FAO, 2018
2. Napr.gov.ge

### Use of modern technologies and importance in agriculture

***Paata Koghuashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Besik Bedoshvili, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

The work deals with introduction and use of modern technological achievements in the field of agriculture and their role in development of agriculture. The global challenges facing agriculture illustrate the importance of modern technologies, especially for our country, agrarian sector can't be developed without introduction of modern technologies with the use of poor resources of our country. The state support has a significant role in achieving this goal.

**Key words:** modern technologies, agricultural development, effective use of resources, state support.

# მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი აჭარის რეგიონში

*კოღუაშვილი პაატა*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

*ბერიძე გოჩა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ნაშრომი ეხება მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზს აჭარის რეგიონში. მართალია აჭარისათვის სოფლის მეურნეობა არ წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას, თუმცა იგი მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, განსაკუთრებით ციტრუსოვანი კულტურების წარმოების მხრივ. აჭარა წამყვანი რეგიონია, რომელიც ციტრუსით ამარაგებს შიდა ბაზარს და მეტიც, ციტრუსის უმეტესი ნაწილი გააქვსს ექსპორტზე. ციტრუსოვანი კულტურებიდან აღსანიშნავია მანდარინი, რომელზეც მოდის აჭარის (ისევე როგორც მთლიანი საქართველოს) ციტრუსოვანი კულტურების 90%-ზე მეტი. დღეს აჭარაში მდებარე საოჯახო მეურნეობების ნახევარზე მეტი (54%, ჯამში 24 ათასი საოჯახო მეურნეობა) ფლობს მანდარინის მცირე პლანტაციას, საშუალოდ 0.2 ჰექტარ მიწაზე, რომელზეც 2 ტონამდე მანდარინის მოსავალს იღებს ყოველწლიურად. ასეთი ოჯახისათვის მართალია მანდარინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი არ წარმოადგენს შემოსავლის მთავარ წყაროს, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი წილი უჭირავს შემოსავლების გენერირებაში, განსაკუთრებით კი წინასაახალწლო პერიოდში. მანდარინი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პროდუქტს, რომელიც ექსპორტზე გაედინება და ყოველწლიურად შემოსავლები მოაქვს საქართველოს ეკონომიკისთვის. მიუხედავად ამისა, დარგში არსებობს უამრავი გამოწვევა, რაც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომებს ამ დარგის ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ რგოლში. იმისათვის რომ დარგმა უპასუხოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის გამოწვევებს და კონკურენტუნარიანი გახდეს ისეთი მაღალი ღირებულების ბაზრებზე, როგორიც ევროკავშირია (განსაკუთრებით DCFTA-ს ფარგლებში). აუცილებელია შემუშავდეს მეციტრუსეობის დარგის განვითარების სტრატეგია, რომელიც სხვა ამოცანებთან ერთად გაითვალისწინებს საადრეო, მაღალმოსავლიანი, ყინვაგამძლე ჯიშების გაადგილებას რეგიონში და თანამედროვე ინივაციური აგროტექნოლოგიების დანერგვას.

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, იმპორტი, აგროპროდუქცია, კონცეტრანტი, ღირებულებათა ჯაჭვი, აგროტექნოლოგია.

**ძირითადი ტექსტი**

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2016 წლის მონაცემებით მსოფლიოში მანდარინს აწარმოებდა 70-ზე მეტი ქვეყანა. 2016 წელს 2.6 მილიონი ჰექტარი მანდარინის პლანტაციიდან მსოფლიოში დაახლოებით 32.8 მილიონი ტონა მანდარინი იქნა წარმოებული, რომელიც კონტინენტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: ევროპა 3.9 მილიონი ტონა, აფრიკა 2.7 მილიონი ტონა, ამერიკა 3,9 მილიონი ტონა, აზია 22.2 მილიონი ტონა, ხოლო მცირე ნაწილი დაახლოებით 0.1 მილიონი ტონა ავსტრალიასა და ოკეანეთში იწარმოა. მანდარინის წარმოება მსოფლიოში ბოლო წლებში საკმაოდ მზარდია, თუმცა 2006 წელს ჯერ გვალვებმა, ხოლო შემდეგ ყინვებმა მანდარინის მოსავალს დიდი ზიანი მიაყენა. შედეგად 2007 წელს მსოფლიოში მანდარინის მოსავალი წინა წელთან შედარებით 22%-ით შემცირდა, თუმცა შემდგომ წლებში კვლავ გააგრძელა ზრდის ტენდენცია.

**მანდარინით ვაჭრობა მსოფლიოში.** 2016 წელს მსოფლიოში მანდარინით ვაჭრობამ დაახლოებით 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა (5.1 მილიონი ტონა მანდარინი). 2016 წელს მანდარინის მთავარი ხუთი ექსპორტიორი ქვეყნების წილად მოდიოდა მანდარინით მთლიანი ვაჭრობის ღირებულების 71%. რაც შეეხება მანდარინის მთავარ იმპორტიორ ქვეყნებს, ძირითადი ხუთი ქვეყნის წილმა მთლიანი მანდარინის იმპორტში 2016 წელს 48% შეადგინა. მანდარინის

ცოცხალი ნაყოფის გარდა, ხდება მისი გადამუშავება და ასეთი სახით როგორც შიდა ბაზარზე მიწოდება, ასევე საერთაშორისო ვაჭრობა. მანდარინის კონცენტრატის საექსპორტო ღირებულება მსოფლიოში ბოლო წლებში 500-600 მილიონ დოლარს აღწევს, რაშიც მოწინავე ქვეყნებია: არგენტინა, ნიდერლანდები, იტალია, ესპანეთი და მექსიკა. ხოლო გადამუშავებული სახით მანდარინის კონცენ-ტრატის მოწინავე იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ, ნიდერლანდები, გერმანია, იაპონია და საფრანგეთი.

**მანდარინის წარმოება საქართველოში.** FAOSTAT-ის 2016 წლის მონაცემებით საქართველო მსოფლიოს მანდარინის მწარმოებელ 73 ქვეყანას შორის წარმოების მოცულობის მიხედვით 30-ე ადგილზეა. საქართველოში მანდარინი მე-19 საუკუნის ბოლოს ჯერ იტალიიდან და შემდგომ უკვე იაპონიიდან შემოუტანიათ, რაც მალე გავრცელებულა დასავლეთ საქართველოში. მანდარინის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე. დღეს საქართველოში მანდარინის წარმოება საკმაოდ ცვალებადია, რაც ძირითადად კლიმატურ პირობებთან ერთად მეწლეობაზეც არის დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყოველ მეორე წელს კარგი/ცუდი მოსავალია. 2016 წლის მონაცემებით საქართველოში 60 ათასი ტონა მანდარინი იწარმოა, ხოლო ბოლო წლების რეკორდული მაჩვენებელი 2005 წელს დაფიქსირდა, როცა 113.4 ათას ტონა მანდარინის წარმოება მოხდა ქვეყანაში. საქართველოში ციტრუსის მწარმოებელი ძირითადი რეგიონებია: აჭარა, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო და მცირე რაოდენობით ფიქსირდება იმერეთში. ქვეყანაში ციტრუსის დაახლოებით 70% იწარმოება აჭარაში.

**მანდარინის სახეობები და ჯიშები.** დასავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია მანდარინის კულტურის სამრეწველო მიზნით წარმოებისათვის. პრინციპული მნიშვნელობა აქვს რელიეფს, სადაც გაშენებულია მანდარინის ბაღები. არჩევენ ვაკე და მცირე დაქანების (0-5$^0$), საშუალო დაქანების (5-2-$^0$) და ძლიერი დაქანების ფერდობებს (ეს უკანასკნელი 20-30$^0$ არ უნდა აღემატებოდეს). მანდარინის ბაღებისათვის საჭიროა თბილი ნაკვეთები, ზღვის დონიდან 350 მეტრ სიმაღლემდე. რაც შეეხება ნიადაგურ პირობებს, სასურველია ღრმა, ნეშომპალა-კარბონატული, ჰუმუსით მდიდარი წითელმიწები, საშუალო და მსუბუქი შემადგენლობის კარბონატული ან ალუვიური ნიადაგები. მანდარინის ჯიშები განსხვავდება განვითარების სიძლიერითა და ხანგრძლივობით. რამდენადაც საქართველო არის მანდარინის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილი, აქ უკეთესად ხარობს შედარებით უფრო ყინვაგამძლე ჯიშები. სწორედ ასეთი ჯიში „უნშიუ" (უძლებს -10-12 გრადუს ყინვას) არის საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული. ამის გარდა საქართველოში გავრცელებული ჯიშებია: ქართული საადრევო, რომელიც „უნშიუს" სომატური მუტანტია, რომელიც აღმოჩენილია ჩაქვში 1958 წელს. „კოვანო-ვასე" იაპონური წარმოშობის ჯიშია, როგორც მანდარინ „უნშიუს" კვირტული საადრევო ჯიშებიდან ასევე ცნობილია: მიაგავა-ვასე, ოკიცე-ვასე, მიხო-ვასე, ტიახარა უნშიუ და სხვ.

**მანდარინის ექსპორტ-იმპორტი.** მანდარინი გახლავთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტი, რამდენადაც იგი შედის მოწინავე საექსპორტო აგროპროდუქციის ათეულში. საექსპორტოდ გადის ე.წ. სტანდარტული მანდარინი, ხოლო არასტანდარტულის გადამუ-შავება ხდება ადგილობრივად, რომელიც კონცენტრატის სახით უმეტესწილად ასევე გაედინება ექსპორტზე.

**მანდარინის ექსპორტი საქართველოდან.** ბოლო სამი წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად საშუალოდ 25 ათასი ტონა მანდარინის ექსპორტი განხორციელდა საქართველოდან (მთლიანი წარმოების 40%), რაც დაახლოებით 11 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებას შეადგენდა. მანდარინისათვის ძირითადი საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, რომელთა შორისაც ლიდერობენ რუსეთი და უკრაინა, რომელზეც მოდის ბოლო სამი წლის საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით მანდარინის ექსპორტის 90%-ზე მეტი. რაც შეეხება საექსპორტო მანდარინის ფასებს, დოლარებში გამოსახული ერთ ტონაზე ყველაზე მაღალი ფასი დაფიქსირდა 2014 წელს, როდესაც მიაღწია 576 აშშ დოლარს/ტონაზე. ყველაზე ძვირად ამ პერიოდში ქართული მანდარინი გავიდა ბელარუსში (545 $/ტონა) და პოლონეთში (535 $/ტონა), ყველაზე იაფად კი ყაზახეთსა (361 $/ტონა) და უზბეკეთში (398 $/ტონა). რაც შეეხებაყველაზე მსხვილ

ბაზრებს, რუსეთში ექსპორტირებული ქართული მანდარინის ფასი გახლდათ 448 $/ტონა, ხოლო უკრაინაში 409 $/ტონა.

**მანდარინის კონცენტრატის ექსპორტი.** მანდარინის ცოცხალი ნაყოფის გარდა, ქვეყანა ბოლო წლებში აქტიურად ახდენს მანდარინის კონცენტრატის ექსპორტს, რომელიც 2012 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. ბოლო სამი წლის მონაცემებს თუ შევხედავთ, ქვეყანა საშუალოდ 700 ტონაზე მეტი მანდარინის კონცენტრატის ექსპორტს ახორციელებს, რაც დაახლოებით ერთი მილიონი აშშ დოლარის ღირებულებას წარმოადგენს. მანდარინის კონცენტრატის ძირითად საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენენ საკმაოდ მაღალი ღირებულების მქონე ბაზრები, როგორიცაა მაგალითად ისრაელი და იაპონია, რომელთაც ქართული მანდარინის კონცენტრატის ექსპორტის 75% უკავიათ. საექსპორტო ქვეყნებში ასევე არიან საფრანგეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, რუსეთი და უკრაინა. კონცენტრატის საშუალო ფასი ერთ ტონაზე დაახლოებით 1400-1500 აშშ დოლარს შორის მერყეობს. რაც შეეხება მანდარინის კონცეტრანტის მიწოდების პერიოდს, რამდენადაც მისი შენახვის ხანგრძლივობა შედარებით ხანგრძივია (დაახლოებით 2 წელი ინახება სამაცივრე პირობებში) ვიდრე მანდარინის ნაყოფის, მისი საექსპორტო ბაზრებისათვის მიწოდება თითქმის მთელი წლის განმავლობაში ხდება.

**მანდარინის იმპორტი საქართველოში.** მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა იმაზე ბევრად მეტ მანდარინს აწარმოებს ვიდრე მოიხმარს, საქართველოში მაინც შემოდის იმპორტირებული მანდარინი და ეს ხდება უმეტესწილად სწორედ იმ თვეებში, როცა ადგილობრივი მანდარინი ჯერ არ არის მწიფე (სექტემბერი, ოქტომბერი), ანდა მაშინ როდესაც მისი მარაგები ამოწურულია (აპრილი, მაისი).

საქართველოში მანდარინის იმპორტი ბოლო წლებში გააქტიურდა, დაახლოებით 1000-დან 2000 ტონამდე. მანდარინის იმპორტირება ხდება ქვეყანაში, რომლის ღირებულებაც მერყეობს 500 ათასიდან 1.3 მილიონ აშშ დოლარამდე. მთავარ იმპორტიორ ქვეყნად კი გვევლინება მეზობელი თურქეთი, რომელიც ფლობს 90%-ზე მეტ წილს. დანარჩენ ქვეყნებს კი მცირე წილი უკავიათ. რაც შეეხება იმპორტზე შემოსული მანდარინის საშუალო ფასს, ქვეყნების მიხედვით საკმაოდ განხვავებულია და ტონაზე საშუალოდ შეადგენს 630 აშშ დოლარს. თურქეთიდან იმპორტირებული მანდარინის საშუალო ფასი კი გახლავთ 600 $/ტონა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვეების მიხედვით ფასი საკმაოდ განსხვავებულია და მაისი-აგვისტოს თვეში სცდება 1000 $/ტონა.

**აჭარის მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერა.** აჭარაში წარმოებული მანდარინის მოსა-ვალს, ძირითადად ყოფენ სამ ხარისხობრივ კატეგორიად - "სუპერი", 1-ლი ხარისხი და „ენესი"(ორივე გადის სტანდარტულის კატეგორიაში).

**არასტანდარტული მანდარინი.** არასტანდარტულ მანდარინს მიეკუთვნება მოსავლის ის ნაწილი, რომელიც 40-45 მმ-ზე ნაკლები დიამეტრისაა ან/და მისი ზედაპირი დაზიანებულია. მთლიანი მოსავლიდან არასტანდარტული მანდარინის წილი წლიდან-წლამდე მერყეობს, რაც ძირითადად დამოკიდებულია ამინდზე და პლანტაციის მოვლის ხარისხზე. 2015 წელს არასტანდარტული მანდარინის წილი განისაზღვრა საშუალოდ 17%-ით. ამ ხარისხის მანდარინზე უკვე წლებია სახელმწიფო გასცემს სუბსიდიას, იმ პირობით, რომ თუ გადამმუშავებელი კომპანია მინიმუმ 20 თეთრს გადაიხდის კილოგრამზე, აქედან 10 თეთრს უნაზღაურებს სახელმწიფო.

**სტანდარტული მანდარინი.** სტანდარტულ მანდარინს ორ ხარისხობრივ კატეგორიად ყოფენ, ე.წ. „სუპერი", რომლის დიამეტრიც 55 მმ.-ზე მეტია და რომლის ზედაპირიც დაუზიანებელია. პირველი ხარისხის მანდარინად ითვლება 45 მმ-დან 55 მმ.-მდე დიამეტრის ნაყოფი, რომელსაც უმნიშვნელო დაზიანებები შეიძლება ქონდეს ზედაპირზე. სტანდარტული მანდარინის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე.

**მწარმოებელთა დანახარჯები და შემოსავლები.** მანდარინის მწარმოებელთა დანახარჯები და შემოსავლები დამოკიდებულია მანდარინის მოვლა-მოყვანისათვის საჭირო აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ჩატარებაზე, რაც პლანტაციების უმეტესობაში სათანადოდ არ ხდება. ხეების დიდი ნაწილი გადაბერებულია და მათი მოსავლიანობა დაბალი. ფერმერებიც ნაკლებად ზრუნავენ მათ განახლებაზე, ან თუნდაც სათანადო აგრო ღონისძიებების გატარებაზე (გასხვლა, გათიბვა, სასუქის შეტანა, შეწამვლა და ასხვ.). საბოლოოდ გამოდის, რომ მხოლოდ ფერმერთა მცირე ნაწილი ახდენს

სათანადო მოვლას, უმეტესობა კი შეძლებისდაგვარად აქცევს ყურადღებას. ფერმერები დავყავით სამ კატეგორიად:

ტიპიური ფერმერი - აქვს გადაბერებული მანდარინის ხეები (50 წელზე მეტის), იშვიათად ახდენს მათ განახლებას, აგროტექნოლოგიით გაწერილი სამუშაოების მცირე რაოდენობას ატარებს, მათ შორის სასუქების შეტანასაც მცირე დოზით ახდენს, ისევე როგორც წამლობით ღონისძიებებს.

საშუალო ფერმერი - აქვს გადაბერებული მანდარინის ხეები (50 წელზე მეტის), თუმცა შეძლებისდაგვარად ახდენს მათ განახლებას, აგროტექნოლოგიით გაწერილი სამუშაოებს სრულად ვერ ატარებს, და სასუქების შეტანასაც საშუალო დოზით ახდენს, ისევე როგორც წამლობით ღონისძიებებს.

კარგი (ნახევრად-ინტენსიური) პლანტაციის მფლობელი ფერმერი - აქვს ახალგაშენებული მანდარინის ბაღი, აგროტექნოლოგიით გაწერილი სამუშაოებს სრულად ატარებს, მათ შორის სასუქების შეტანას, ისევე როგორც წამლობით ღონისძიებებს. ქვემოთ ცხრილ მოყვანილია ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები, რაც გარკვეული მოსავლიანობისა და ფასების დაშვებით მანდარინის სხვადასხვა ტიპის ფერმერებისათვის არის დამახასიათბელი.

| N | ინდიკატორები | ტიპიური ფერმერი | საშუალო ფერმერი | ნახევრად-ინტენსიური ფერმა |
|---|---|---|---|---|
| 1 | მთლიანი ხარჯი (ლარი) | 2,917 | 4,403 | 12,211 |
| 2 | გასაყიდი მოსავალი (კგ/ჰა) | 10,000 | 17'000 | 38'000 |
| 3 | შეწონილი საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ) | 0.55 | 0.55 | 0.60 |
| 4 | შემოსავლები (ლარი) | 5,500 | 9,350 | 22,800 |
| 5 | მოგება (ლარი) | 2,583 | 4,947 | 10,589 |
| 6 | თვითღირებულება (ლარი/კგ) | 0.24 | 0.22 | 0.31 |
| 7 | მოგების მარჟა (ლარი/კგ) | 0.22 | 0.25 | 0.26 |
| 8 | მოგების მარჟა (%) | 47% | 53% | 46% |
| 9 | ნულოვანი მოგების წერტილი (კგ/ჰა) | 5,245 | 6,691 | 15,979 |

**დამატებული ღირებულების ანალიზი.** დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე წარმოადგენს ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებს შორის ფასების სხვაობას. ჩვენი შეფასებით, საქართველოში მანდარინის ყოველწლიური მოხმარება შეადგენს 20 ათასი ტონიდან 25 ათას ტონამდე. ადგილობრივი მოხმარებიდან 90%-ზე მეტი მოდის ქართულ მანდარინზე. როგორც მოსალოდნელია, მანდარინის საცალო ფასი შედარებით იაფია აჭარაში მთლიან საქართველოს ფასთან მიმართებაში. რაც შეეხება იმპორტირებული მანდარინის ფასს, ის უფრო მაღალია და როგორც ზემოთაც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი მანდარინი უფრო დიდი ხნის პერიოდში გვხვდება ქართულ ბაზარზე (ე.წ. არასეზონზე) და მაღალი ფასის ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლავთ.




მეორე მიზეზი კი არის შედარებით უკეთესი ვიზუალი და დიამეტრის სიდიდე. რაც შეეხება ქართული მანდარინის საბითუმო და საცალო ფასებს შორის სხვაობას, მათ შორის დიაპაზონი საკმაოდ მაღალია - აჭარაში მანდარინის საშუალო საცალო ფასი დაახლოებით ორჯერ მაღალია საბითუმო ფასთან შედარებით და კიდევ უფრო მაღალია საქართველოს საშუალო საცალო ფასს თუ შევადარებთ. მაშასადამე, ირკვევა რომ საშუალო საბითუმო ფასი თვეების მიხედვით მერყეობს 0.55 თეთრიდან 0.65

თეთრამდე კილოგრამზე, მაშინ როდესაც საშუალო საცალო ფასის მინიმალური ზღვარი არის 1 ლარი/კგ-ზე და 2 ლარამდეც ადის მარტში. გათვლებიდან ირკვევა რომ ყველაზე მეტ დამატებულ ღირებულებას ქმნის საცალოდ მოვაჭრე (44%), მას მოყვება ფერმერი (33%) და ბოლოს შუამავალი (22%). როგორც უკვე ვნახეთ, საქართველოში წარმოებული მანდარინის დაახლოებით ნახევარი მანდარინის ნაყოფის სახით გადის ექსპორტზე. ეს როგორც წესი არის ყველაზე მაღალი ხარისხის პროდუქცია რაც ქვეყანაში იწარმოება.

მანდარინის ექსპორტზე გატანის შემთხვევაში, ღირებულებათა ჯაჭვი შედარებით გრძელია და მასში ჩართული მონაწილე რგოლების სიმრავლიდან გამომდინარე. შედარებით მეტი დამატებული ღირებულებაც იქმნება. ყველაზე მეტი წილი კი აქედან ექსპორტიორებზე მოდის, შემდგომ არის საცალოდ მოვაჭრეები, შუამავლები (შემგროვებელ/დამხარისხებელ/შემფუთავები) და ბოლოს ფერმერები.

**აჭარაში მანდარინის სექტორის „SWOT“ ანალიზი**

| ძლიერი მხარეები (S) | სუსტი მხარეები (W) |
|---|---|
| • საექსპორტო პროდუქცია;<br>• კონკურენტული ფასი (მაგ: თურქეთთან შედარებით დაბალი ფასი);<br>• მანდარინის წარმოების ინსტიტუციური გამოცდილება (მანდარინის მოყვანის საკმაო კულტურა);<br>• ადგილობრივების დასაქმებისა და შემოსავლების წყარო;<br>• ნაკლები შხამ-ქიმიკატებით მოყვანილი პროდუქცია (ნატურალური პროდუცქტი);<br>• ევროკავშირში მანდარინის პოპულარული ჯიშის კლემენტინისგან განსხვავებით საქართველოში წარმოებული მანდარინი (საცუმა) თხელკანიანია და ადვილად ეცლება კანი;<br>• ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტი (დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინ “C”-ს). | • გადაბერებული, მოუვლელი და დაბალმოსავლიანი პლანტაციები;<br>• არასტანდარტული მანდარინის საკმაოდ მაღალი პროცენტული წილი მთლიან მოსავალში;<br>• მოსავლის რაოდენობის დიდად ცვალებადობა (ფაქტი-ურად ყოველ მეორე წელს ცუდი/დაბალი მოსავალია);<br>• მცირემიწიანი მეურნეობები, რაც აფერხებს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას;<br>• მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლში საჭირო თანამედროვე ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა;<br>• დარგისადმი ახალგაზრდების დაინტერესების დაბალი დონე;<br>• სანერგეების ნაკლებად განვითარება;<br>• სამაცივრე მეურნეობების სიმცირე;<br>• ნაკლებად დივერსიფიცირებული საექსპორტო ბაზრები (ამასთანავე, დამოკიდებულება არასტაბილურ ბაზრებზე).<br>• ევროკავშირის ბაზარზე ცნობადობის არქონა და საცუმას ჯიშის მანდარინის მოხმარების კულტურის ნაკლებობა;<br>• ფერმერების დაბალი ცოდნა და მოტივაცია რომ სიახლე მიიღონ;<br>• ციტრუსის მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნისა და გამოცდილების არქონა;<br>• სექტორული ასოციაციის არარსებობა და კოოპერატივების სუსტი განვითარება. |
| **შესაძლებლობები (O)** | **საშიშროებები (T)** |
| • პლანტაციების განახლება, ძველის ახლით ჩანაცვლება, ახალი, საადრეო და საგვიანო ჯიშების დარგვა;<br>• მანდარინის მაღალპროდუქტიული ბაღების გაშენება (ინტენსიური და ნახევრად-ინტენსიური ბაღები);<br>• შიდა ბაზრის ათვისების შესაძლებლობა (იმპორტის ჩანაც-ვლება საადრეო და საგვიანო ჯიშებით, ასევე შენახვის ტექნოლოგიების განვითარებით);<br>• აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდამჭერი პროგრამები;<br>• აჭარაში და ზოგადად საქართველოში არსებული ტურისტუ-ლი ბუმის გამოყენება და მანდარინის პლანტაციებში აგროტურიზმის განვითარება;<br>• საექსპორტო ბაზრების ათვისება (განვითარება);<br>• ევროკავშირის ბაზარი (საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებებით);<br>• ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები (რუსეთსა და უკრაინაზე დამოკიდებულების დონის შემცირება, სხვა ქვეყნებში ექსპორტის წილის წრდის ხარჯზე);<br>• დასაქმებისა და შემოსავლების გაზრდა | • დაავადებებისა და მავნებლების გავრცელება (ტკიპა, ხარაბუზა, ფაროსანა);<br>• ბუნებრივი მოვლენების (ყინვა, ნალექი, გვალვა, სეტყვა) უარყოფითი გავლენა;<br>• საექსპორტო ბაზრების დაკარგვა (როგორც ემბარგო, ასევე კონკურენცია მეზობელი ქვეყნებიდან);<br>• ევროკავშირის ბაზარზე თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან კონკურენციაში დამარცხება;<br>• მანდარინის ბაღების მასიურად ჩანაცვლება სხვა კულტურებით (მაგ: თხილი). |

აჭარაში მანდარინის სექტორის ანალიზმა დაგვანახა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ისევე როგორც შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელიც SWOT-ის სახით წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით.

**დასკვნა**

მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: წარმოების, მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების (მანდარინის მიღება-დახარისხება, შენახვა და გადამუშავება) და გასაღებასთან დაკავშირებული ხელისშემშლელი ფაქტორები. მანდარინის წარმოების კუთხით ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახლავთ გადაბერებული პლანტაციები (მინიმუმ მთლიანი რაოდენობის 1/3), რაც საჭიროებს განახლებას და ახალი ჯიშებით ჩანაცვლებას. ასევე, არ ხდება პლანტაციების შესაბამისი მოვლა, რაც იწვევს დაბალხარისხიან (მათ შორის არასტანდარტული მანდარინის მაღალ წილს) მოსავალსა და ამასთანავე საჰექტარო მოსავლიანობის სიმცირეს. მოსავლის უხარისხობას ასევე განსაზღვრავს როგორც ბუნებრივი მოვლენები (სეტყვა, ყინვა, ჭარბი ნალექი), ასევე დაავადებებთან ბრძოლის არასათანადო ცოდნა, ფინანსები და შესაბამისად მკურნალობის არასწორი დაგეგმვა-განხორციელება. მანდარინის მოკრეფის შემდეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მისი დროულად შენახვა სათანადო პირობებში, რადგან მალფუჭებადი პროდუქტია. რამდენადაც სამაცივრე მეურნეობების მცირე რაოდენობა არსებობს რეგიონში, ვერ ხდება დროულად და სათანადოდ მანდარინის შენახვა-გაციება, რაც საბოლოოდ ამ პროდუქტის სიცოცხლისუ-ნარიანობის ხანგრძლივობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. უფრო მძიმე სიტუაციაა კუსტარულ სამაცივრეებში, სადაც ვერ ხდება ტემპერატურული პირობების დაცვა. მანდარინის გასაღების მოკლე პერიოდი არსებობს, რადგან რთულია მისი დიდი ხნით შენახვა, ხოლო გადამმუშავებელი საწარმოებში ჩაბარების ფასი დაბალია და მხოლოდ არასტანდარტული მანდარინის შემთხვევაში არის ფერმერისათვის გამართლებული. გასაღების ბაზრები დაბალი დივერსიფიკაციით ხასიათდება და უმეტესწილად ორ ბაზარზე ვართ დამოკიდებული - რუსეთი და უკრაინა. რუსეთის ბაზარი რომ არასტაბილურია, რამდენადაც არსებობს საფრთხე, რომ სხვადასხვა სარჩულით შესაძლოა დააწესოს ემბარგო (რისი გამოცდილებაც გვაქვს 2006-2013 წლებში), ამდენად მნიშვნელოვანია რომ გააქტიურება მოხდეს ახალი ბაზრების ასათვისებლად, რათა მოხდეს ასეთ ბაზრებზე გასვლა და იქ თავის დამკვიდრება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2016-2021.
2. ზ. გაბრიჩიძე, ციტრუსების აგროტექნოლოგია. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. აგრონიუსი. 2015.
3. პ. კოღუაშვილი გ. ბერიძე სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია აჭარაში და მისი პერსპექტიული მიმართულებები. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. 2018 წ.
4. მანდარინის წარმოებასა და ექსპორტთან დაკავშირებული ლოჯისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება (2017). შემსრულებელი: IBERGES Consulting.
5. Livny, E., Maximov, A., (2017). Identifying sectoral priorities in Geogian agriculture.
6. Steve Goss (2014). Ajara agriculture sector competitiveness and export promotion policy study. Financed by UNDP and EU’s ENPARD project.

**Value chain analysis of mandarin in Ajara region**

***Paata Koghuashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Gocha Beridze, PhD student***
***Georgian Technical University***

## Summary

The paper deals with Value chain analysis of mandarin in Ajara region Although agriculture is not the main driving force of economy for Ajara, it still plays an important role in the production of citrus crops. Ajara is a leading region that supplies the internal market with citrus and moreover, the largest portion of citrus is exported. Among the citrus cultures, it is worth mentioning mandarin which is more than 90% (as well as the whole Georgia's) of Ajara citrus cultures.

Today more than half of family farms in Ajara (54%, 24 thousand households totally) have a small plantation of mandarin -an average of 0.2 hectares of land and produce 2 tons of mandarin per annum. For such a family, however, income from the sale of mandarin is not the main source of income, but still plays a significant role in generating income, especially in New Year period.

Mandarin is one of the main products that are exported and generate annual revenues for the Georgian economy. Nevertheless, there are many challenges in the field that require complex approaches in each chain of values of this field.

In order to respond to the challenges of the modern market economy and be competitive on the European Union market (especially DCFTA), it is necessary to develop a strategy for development of citrus growing in which will be taken into account with other tasks as spread early, highly productive and frost-resistant varieties in region and implementation of modern innovative agro technologies.

**Key words:** Export, import, agro products, concentrate, value chain, agro technologies.

# საწარმოთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და მისი ზრდის სტრატეგიული მართვის ასპექტები

*ლაგვილავა თამარი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

*ჩხაიძე ზურაბი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

წარმოების კონკურენტუნარიანობის პრობლემა დაკავშირებულია ბიზნესის საბაზრო მოდელის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპის რეალიზაციასთან, ეს არის თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია, რომელიც წარმოადგენს განვითარების ძლიერ სტიმულს და უზრუნველყოფს “ბუნებრივ სელექციას”. კონკურენცია უწყვეტად ამოწმებს მწარმოებლების შესაბამისობას მომხმარებლის მოთხოვნებთან კონკურენტებთან შედარებით.

სამრეწველო საწარმოების კონკურენტუნარიანობაში, ჩვენ ვგულისხმობთ დარგის შესაძლებლობას, ეფექტურად უზრუნველყოს შიდა ბაზრის მოთხოვნები სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობებზე, უცხოურ კომპანიებთან აქტიური კონკურენციის პირობებში.

ქართული მეღვინეობა მყარად პროგრესირებადი დარგია. მას გააჩნია კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც პირველ რიგში იმ ბუნებრივი რესურსების დამსახურებაა, რომლებიც იძლევა საშუალებას, მაღალი ხარისხის ნედლეულის მოყვანისათვის. ღვინის შიდა ბაზრის დინამიკა ასახავს ეროვნული კონკურენტუნარიანი კომპანიების მყარ ზრდას. კარგი პერსპექტივები აქვთ ერთობლივ კომპანიებს, რომლებსაც შემოაქვთ მსოფლიოს საუკეთესო ტექნოლოგიები და მიღწევები მეღვინეობის დარგში.

საკვანძო სიტყვები: სამრეწველო წარმოება, კონკურენტუნარიანობა, სტრატეგიული მართვა.

**ძირითდი ნაწილი**

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა იყო და რჩება მისი განვითარების საკვანძო პრობლემად და განვითარების უმნიშვნელოვანეს ორიენტირად, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და ეკონომიკის ძირითადი სექტორების განვითარების ზრდის დადებით დინამიკას. უკანასკნელ წლებში, მრეწველობის კონკურენტუნარიანობის მრავალრიცხოვანი თეორიული და გამოყენებითი კვლევებისა და საერთაშორისო კონკურენტული პროცესების წარმატებული და წარუმატებელი მართვის მაგალითების გააზრებისა და ანალიზის გამო, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტულობა ერთერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების არსებულ თემატიკას შორის.

დღეს ეკონომიკური რეფორმების თითქმის 25-წლიანი პერიოდის მანძილზე, ეროვნული ეკონომიკური ინტერესები პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლაა დაყენებული. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადებას ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პროგნოზირებადი კრიზისი მოყვა, განსაკუთრებით ეს გადამამუშავებელ დარგებში წარმოებულ პროდუქციას შეეხო და მისი განხილვა შეიძლება დამატებითი ეკონომიკური ეფექტის მიღებისა და ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მეშვეობით ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით.

ყოველივე ამან საშუალება მისცა ქართულ მთავრობას, დიდი ძალისხმევის შედეგად შეეცვალა ეროვნული ეკონომიკის ზოგიერთი პარამეტრი, რომლებსაც ევრობაზართან ბარიერების დაწევისა და ქართულ ბაზარზე შემოსვლის გამარტივების შედეგად რეალურად შეეძლოთ შიდა ბაზარზე ქართული საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის კლების გამოწვევა.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ 5, მაქსიმუმ 10 წლის განმავლობაში, საქართველოს წარმოების ძირითადმა დარგებმა (მაგალითად, მეღვინეობამ) უნდა მიაღწიოს მსოფლიო კონკურენტუ-

ნარიანობის არსებულ დონეს და დაიმკვიდრონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა შიდა ბაზარზე. გარდა ამისა, საქართველოს აქვს ყველა მონაცემი და უნდა გახდეს მეღვინეობის რეგიონული კლასტერის ცენტრი. ეს საშუალებას მისცემს ეროვნულ ეკონომიკას, საწარმოების, დარგებისა და ახლადშექმნილი კლასტერების მომგებიანობის ამოცანების გადაწყვეტისა და სოციალური სფეროს განვითარებისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ქართული მეღვინეობის კლასტერის ჩამოყალიბება კონკურენტუნარიანი მენეჯმენტის პირობებში დღეს ძალზე აქტუალური და საინტერესოა.

მნიშვნელოვანია ქართული მეღვინეობის წარმოშობის და საუკუნეების განმავლობაში მისი ისტორიული წიაღსვლების განხილვა. წარსულის წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე მსჯელობის გარეშე შეუძლებელია მეღვინეობის ამჟამინდელი მდგომარეობის არსებულ წინაპირობასთან შედარება და შეფასება.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზარი და ყველაზე მეტად რუსეთის ბაზარი გასაღების ყველაზე უფრო მსხვილ ბაზარს წარმოადგენდა წლების განმავლობაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული პროდუქციისათვის, მათ შორის ქართული მეღვინეობისთვისაც. ამიტომაც მნიშვნელოვანია რუსული ბაზრის კვლევა. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის შემდეგ რუსეთში ექსპორტირებულმა ქართულმა ღვინომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მთლიან ღვინის ექსპორტში.

ევროკავშირის ბაზარი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სამომხმარებლო ბაზარს წარმოადგენს, სადაც დღეისათვის ქართული მეღვინეობა მხოლოდ მცირე წილით არის წარმოდგენილი. მომხმარებლების რაოდენობის სიდიდის გარდა, იგი ღირებულებით გამოხატულებაშიც ასევე ერთ-ერთ უდიდეს ბაზარს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ორი ათწლეულის განმავლობაში მრავალი მცდელობა იყო ევროპაში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და მისი ევროპულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრების მხრივ, ქართულ ღვინოს ძალიან მიზერული წილი უკავია ევროპული ღვინის ბაზარზე. ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის ღვინის წარმოების სიმძლავრეების და გასაღების ოდნობის შემცირების პარალელურად მნიშვნელოვნად იზრდება ე.წ „ახალი სამყაროს" ქვეყნების წარმოებული და გასაღებული ღვინის მოცულობა ზოგადად მსოფლიოში და მათ შორის ევროპაში. აშშ-ს, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ჩილეს მეღვინეობის სექტორში დაგროვილი გამოცდილება წარმოების თუ გასაღების მეთოდების გაცნობის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ცოდნის დაგროვებას და შემდგომში მის გადატანას ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის სექტორში.

ევროპის ბაზარზე წარუმატებლობის პირობებში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა ქართულ ღვინოზე ჩინეთის ბაზარზე, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო სწრაფად მზარდ ღვინის სამომხმარებლო ბაზარს წარმოადგენს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ღვინოზე მოთხოვნა დაახლოებით 2-3-ჯერ გაიზარდა. ამასთან, ქართულმა ღვინომ ევროპული ბაზრისგან განსხვავებით ჩინელების მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა. თანამედროვე გლობალური კონკურენციის პირობებში მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ჯიშების მრავალფეროვნების და ხარისხის სათანადოდ გამოყენება წარმოებაში. ქართული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება სხვადასხვა კუთხეების თუ მიკროზონების მიხედვით სათანადოდ უნდა იყოს შესწავლილი, რადგან მხოლოდ 2-3 ვაზის ჯიშით პოზიციონირება ქართულ მეღვინეობას საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი პოტენციალის გამოვლენის საშუალებას არ მისცემს. პირველ რიგში ამ მხრივ უნდა განიხილებოდეს კახეთი, რომელიც ვენახების ფართობითა და ჯიშობრივი მრავალფეროვნებით ერთ-ერთი ლიდერია. ქართული მეღვინეობის კუთხეების მიხედვით დახასიათებისას მნიშვნელოვანია ასევე ქართლის როგორც მაღალხარისხოვანი თეთრი და შუშხუნა ღვინის მხარის განხილვა.

მნიშვნელოვანია ქართული მეღვინეობის წარმოშობის და საუკუნეების განმავლობაში მისი ისტორიული წიაღსვლების განხილვა. ქართული მეღვინეობის იდენტურობისა და მნიშვნელოვნების გარეშე შეუძლებელია დისერტაციის მნიშვნელოვნების წარმოჩენა. საზოგადოებრივ-რელიგიურ ინტერნეტ ჟურნალ ამბიონში სხაარტად და მკაფიოდ არის წარმოჩენილი ქართული მეღვინეობის

ჩასახვისა და განვითარების ისტორია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია მე-20 საუკუნეში მისი აღორძინების შესახებ და შემდგომ 90-იან წლებში მისი დაცემის თაობაზე. წარსულის წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე მსჯელობის გარეშე შეუძლებელი არის მეღვინეობის ამჟამინდელი მდგომარეობის არსებულ წინაპირობასთან შედარება და შეფასება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ წლების განმავლობაში ქართული პროდუქციისა და, მათ შორის, ქართული მეღვინეობისთვისაც, ყოფილი საბჭოთა კავშირი, ყველაზე მეტად, რუსეთი, გასაღების ყველაზე მსხვილ ბაზარს წარმოადგენდა. ამიტომაც მნიშვნელოვანი არის რუსული ბაზრის კვლევა, რაც გამოკვლეული აქვს თავის ნაშრომში „ქართული ღვინო და რუსული ბაზარი" ნუკრი ქურდაძეს. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის შემდეგ რუსეთში ექსპორტირებულმა ქართულმა ღვინომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მთლიან ღვინის ექსპორტში.მიუხედავად იმი-სა,რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად დაეცა რუსეთში ქართული ღვინის რეალიზაციის ოდენობა და პოლიტიკური ფაქტორი კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ექსპორტისათვის.

ევროკავშირის ბაზარი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სამომხმარებლო ბაზარს წარმოადგენს, სადაც დღეისათვის ქართული მეღვინეობა მხოლოდ მცირე წილით არის წარმოდგენილი. მომხმარებლების რაოდენობის სიდიდის გარდა, იგი ღირებულებით გამოხატულებაშიც ასევე ერთ-ერთ უდიდეს ბაზარს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ორი ათწლეულის განმავლობაში მრავალი მცდელობა იყო ევროპაში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და მისი ევროპულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრების მხრივ, ქართულ ღვინოს ძალიან მიზერული წილი უკავია ევროპული ღვინის ბაზარზე. ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის ღვინის წარმოების სიმძლავრეების და გასა-ღების ოდნობის შემცირების პარალელურად მნიშვნელოვნად იზრდება ე.წ „ახალი სამყაროს" ქვეყნების წარმოებული და გასაღებული ღვინის მოცულობა ზოგადად მსოფლიოში და მათ შორის ევროპაში. აშშ-ს, ავსტრალიიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ჩილეს მეღვინეობის სექტორში დაგროვილი გამოცდილება წარმოების თუ გასაღების მეთოდების გაცნობის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ცოდნის დაგროვებას და შემდგომში მის გადატანას ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის სექტორში.

საქართველოში ვენახების განაშენიანება კონცენტრირებულია კახეთის და ნაწილობრივ ქარ-თლის ზონაში. უკანასკნელ წლებში ყურძნის საშუალო წლიური წარმოება მიუახლოვდა 145 ათას ტონას. დღეს უკვე შესაძლებელია საუბარი მაღალი ევროპული ხარისხის ქართული ღვინის გამოჩენის შესახებ. შექმნილია „პინო ნუარი", „შატო მუხრანი", „კაბერნე" და სხვა. აგრეთვე ისეთი ღვინოები, რომლებიც ხარისხით და წარმოშობით ფრანგული კატეგორიების "კრუსა" და "გრან კრუს" ანალოგიურია.

ქართველი მწარმოებლები აქტიურად ცდილობენ, გაცდნენ ეროვნულ ბაზარს. ნატურალური ქართული ღვინის წარმოების მაშტაბების ყოველწლიური ზრდა შეადგენს 15-20 პროცენტს, თუმცა ამ მაჩვენებლების ზრდა არ არის ქართული ღვინის წარმოების ერთადერთი მიზანი. ღვინის წარმოების სფეროს განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელებულია ხარისხი. ისეთი აგრო-კომპანიები, როგორებიცაა „ბესინი", „კახური", „თელავისღვინისმარანი", „GWS", "ასკანელი ძმები", „Geowine", „შუმი", „ვაზიანიკომპანი", „ჩელთი", „თბილღვინო", „კახურიტრადიციული მეღვინეობა", „შატომუხრანი", „მეღვინეობახარება" - ხდებიან საქართველოსა და პროფესიული მსოფლიო სადეგუს-ტაციო კონკურსების პრესტიჟული მედლების მფლობელები. ასეთი ღონისძიებები ტარდება ინგლის-ში, ავსტრიაში, დანიაში, ლუქსემბურგში, იტალიაში, გერმანიასა და ჩინეთში.

ქართული კომპანიები ფაქტიურად და იურიდიულად არიან ამ ქვეყნების მიმწოდებლები. ოფიციალურ შეხვედრებზე ქართული პროდუქცია წარმოადგენს სრულიად საქართველოს სახეს ამ სფეროში. ღვინის წარმოების კომპანიებს აქვთ მაღალი დონის სპეციალიზაციები, დიდი გამოცდი-ლება ვენახის განაშენიანებაში და აგრეთვე ჰყავთ გამოცდილი მევენახეები და მეღვინეები.

ისტორიული კატაკლიზმების დროს ვაზის 450-მდე ადგილობრივი ჯიშების ნაწილი დაიკარგა, მაგრამ საგურამოს საკოლექციო ნაკვეთში დღეისათვის 430-მდე ჯიშია შეგროვებული და დაცული. დღეისათვის უფრო მეტად 80-მდე ჯიშია გავრცელებული, რომლებიც ღვინის წარმოებაში გამო-

იყენება. ვაზის ჯიშთა ასეთ მრავალფეროვნებას, მათ ფუნქციურ თვისებებსა თუ გარეგნულობას საქართველოს სხვადასხვა რაიონების მეტად ჭრელი გეოკლიმატური პირობები და ნიადაგი განაპირობებს.

წითელი ყურძნის ჯიშებიდან ყველაზე მეტად საფერავია გავრცელებული, რომლისგანაც ქართული წითელი ღვინის დიდი უმეტესობა მზადდება. დღეს საფერავის წარმოების მოცულობა მასზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად აჭარბებს.

ქართულ მევენახეობაში თეთრი ყურძნის ჯიშებიდან ძირითადად რქაწითელია გავრცელე-ბული. ამ ჯიშისაგან მზადდება ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორებიცაა წინანდალი, ნაფარეული თეთრი, გურჯაანი, ვაზისუბანი და სხვა.

ბოლო წლებში კახეთში ფრანგული თეთრყურძნიანი ჯიშები შარდონე და სოვინიონ ბლანშიც გავრცელდა, თუმცა მათი წილი ქართულ მეღვინეობაში ჯერ კიდევ მინიმალურია.

საქართველოს ვენახების დაახლოებით 65-70% კახეთშია კონცენტრირებული. ვენახის ფართობის მიხედვით (33582ჰა 2004 წლის მონაცემებით) კახეთია წამყვანი რეგიონი. ვენახების ფარ-თობის მიხედვით კახეთს მხოლოდ შიდა ქართლი და იმერეთის მევენახეობის რეგიონი ჩამორჩება.

იმერეთში ციცქა და კრახუნა მევენახეებს მცირე რაოდენობით მოყავთ, რადგან ცოლიკოურის მოსავლიანობა გაცილებით მაღალია და გარემო პირობების მიმართ უფრო მდგრადი ჯიშია. სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში იმერეთში თვით ღვინის ტიპს ნაკლები ყურადღება ექცევა. თუ ადრე ცოლიკოურის ჯიშის ყურძენს ვენახის ფართობის 75-80% ეკავა, დანარჩენი კრახუნას, ციცქას, დონდღლაბსა და სხვა ჯიშთა შორის ნაწილდებოდა. ამ ტიპის ჯიშებისაგან სვირული იმერული ღვინო მზადდებოდა. [14]

ტრადიციული იმერული ჯიშებია ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა. იმერეთში, ისევე როგორც კახეთში, ხარისხიანი ღვინომასალის მიწოდების პრობლემაა. ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა და იმერეთში სხვა ფართოდ გავრცელებული ჯიშები რეგიონში დიდი მასშტაბით იწარმოება, თუმცა საღვინე ნედლეულის სახით მათი მცირე ნაწილი თუ გამოდგება. იმერული წითელი ჯიში ოცხანური საფერე იმერეთში მცირედაა გავრცელებული, თუმცა ადგილობრივი მევენახეებისაგან მეტ ყურადღბას იმსახურებს. საექსპორტო თვალსაზრისით ასევ მეტად საინტერესოა იმერეთის ცალკეულ მიკროზონებში გაშენებული წითელი ვაზის ჯიში ალადასტური.

რაჭაში 1991 წლის მონაცემებით ვენახებს 1295 ჰა ფართობი ეკავა, 2015 წლის მონაცემებით932 ჰა უკავია, ე.ი. 363–ით ნაკლები. ფართობების კლება ძირითადად მეწყერული მოვლენების, ასევე მდინარე რიონზე ჯებირსამაგრი სამუშაოების დროულად ჩაუტარებლობითაა გამოწვეული. მეღვი-ნეობისათვის პრობლემას ქმნის ისიც, რომ სავენახე ფართობი რაჭაში მიწისძვრით დაზარალებულ-თათვის სამოსახლოდ გაიცა. უკანასკნელ პერიოდში ხანდაზმულობის გამო დაახლოებით 150 ჰა-მდე ვენახი გაიჩეხა.

აჭარის, აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოს მევენახეობა-მეღვინეობა შავი ზღვის ახლო სანაპირო ზოლშია მოქცეული, სადაც ვენახები 2-4 მეტრი სიმაღლეზე ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლემდე ვრცელდება. აჭარაში ისეთი უნიკალური ღვინოები იწარმოება, როგორიცაა „ქედის ცოლიკოური“ და „ჩხავერი“. დღეისათვის აჭარაში ვენახების საერთო ფართობი დაახლოებით 180 ჰექტარს შეადგენს. მათ შორის ცოლიკოურის ვენახს 70% უკავია, ჩხავერს 8%, დანარჩენი სხვადასხვა ადგილობრივი და ინტროდუქცირებული ვაზის ჯიშებითაა წარმოდგენილი.აჭარაში მევენახეობა ძირითადად მთიან რეგიონშია შემორჩენილი.

გურიაში (ბახვი-ასკანის, ფარცხმან-საჭამიასის), აჭარაში (ქედა), აფხაზეთში (გუდაუთა) მიკროზონებში გურული აბორიგენული ვაზის ჯიშის ჩხავერისაგან განუმეორებელი, უნიკალური საგემოვნო თვისებების ჯიშური დასახელების ცქრიალა ღვინო ჩხავერი მიიღება. ბოლო წლების განამავლობაში ჩხავერის ფასი ქართული ყურძნის ჯიშებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი იყო. გურიის რეგიონში წითელი ყურძნის ჯიშებიდან ასევე აღსანიშნავია ვაზის ჯიში ჯანი, რომელსაც გურიაში ჩხავერის შემდეგ გავრცელების არეალის მიხედვით მეორე პოზიცია უკავია. გურიაში თეთრი ვაზის სახეობებს შორის ცოლიკოურია გავრცელებული, რომლისგანაც საშუალო ღირსების

ღვინო დგება და საოჯახო მეურნეობებში ადგილზევე მოიხმარება.

ქართული მეღვინეობის ბაზარი 2015-2017 წლებში რაოდენობრივად და ხარისხობრივად აქტიურად ვითარდებოდა. ყურძნის ღვინისა და ცქრიალა და შამპანური ღვინოების სეგმენტებში ქართული წარმოების კონკურენტუნარიანობა იზრდება, ხოლო ცალკე საწარმოები თანასწორ კონკურენციას უწევდნენ საერთაშორისო კომპანიებს. ზოგიერთი უცხოური წარმოებისგან ჩამორჩენილი კომპანიები, შესაძლებელია და საჭიროცაა, რომ განვითარდნენ უახლოეს წლებში, რის შედეგადაც ეროვნული ბაზარი მთლიანად დაექვემდებარება ეროვნული წარმოების კონტროლს, ხოლო პერსპექტივაში მსოფლიო ღვინის ბაზარზეც გავა.

ქართული მეღვინეობა მყარად პროგრესირებადი დარგია. მას გააჩნია კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც პირველ რიგში იმ ბუნებრივი რესურსების დამსახურებაა, რომლებიც იძლევა საშუალებას, მაღალი ხარისხის ნედლეულის მოყვანისათვის. ღვინის შიდა ბაზრის დინამიკა ასახავს ეროვნული კონკურენტუნარიანი კომპანიების მყარ ზრდას. კარგი პერსპექტივები აქვთ ერთობლივ კომპანიებს, რომლებსაც შემოაქვთ მსოფლიოს საუკეთესო ტექნოლოგიები და მიღწევები მეღვინეობის დარგში.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება საქართველოს ღვინის მრეწველობის კრიზისიდან ამოსაყვანად, უნდა იყოს დარგის რესტრუქტურიზაცია: გაერთიანებების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეფექტურ აგროსამრეწველო და დარგთაშორის ინტეგრაციას ღვინის წარმოების საკითხებში, ღვინის მასალის დამუშავებასა და მზა პროდუქტის რეალიზაციას. ასეთი გაერთიანებები შეიძლება იყოს რეგიონული და რეგიონთაშორისი კლასტერები და სამრეწველო-ფინანსური ჯგუფები, რომელთა შექმნის გამოცდილება უკვე არსებობს ღვინის წარმოების დარგში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ., „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები“, თბილისი, 2012, გვ. 115
2. ე.ბარათაშვილი, ლ.თაკალანძე, ნ. გრძელიშვილი, “ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება“,სტუ, თბლისი, 2010. გვ.216-2018
3. „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“, მთავრობის დადგენილება №34, ხელმისაწვდომია: http://acda.gov.ge/res/docs/2017021415270250512.pdf
4. Портер М. Конкурентная стратегия. Методика анализа отраслей и конкурентов. М.: Альпина Бизнес Букс, 2006. с. 168
5. Agha H., Impact of Working Capital Management on Profitability, European Scientific Journal, vol.10, No 1, 2014, pp 3-6
6. Armistead C., Pritchard J., Achin S., Strategic Business Process Management for Organisational Effectiveness, Journal Pergamon, Vol. 32, No. 1, pp 7-10 – 40, 2016
7. Goodluck I., Budgeting for Knowledge Management in Organizations, Journal Chinese Librarianship, 32, pp 7-12
8. Weinbauverband Saale-Unstrut e.V., 2015; http://www.weinbauverband-saale-unstrut.de/
9. Europaischen Fond fuer regionalentwicklung (EFRE) http://europa.eu.int
10. Operationelles Programm INTERREG III EAST www.interreg3c.net
11. Хулей Г., Сондерс Дж., Пирси Н. Маркетинговая стратегия и конкурентное позиционирование. М.: Баланс Бизнес Букс, 2005. 778с.
12. Ramazani M., Allahyari A., Compatibility and Flexibility of Accounting Information Systems, Journal of Emerging Trends in Computing and Information Sciences, Vol. 4, No. 3, 2013 pp 3-5
13. Альтшулер И. Стратегическое управление на основе маркетингового анализа. М.: Вершина, 2006. 232с.

**Competitiveness of enterprises and Strategic management aspects its growth**

*Tamar Lagvilava, Asistent-Professor*
*Georgian Technical University*

*Zurab Chkhaidze, PhD student*
*Georgian Technical University*

**Summary**

The problem of competitiveness in production is related to realization of the basic principle of the business model, this is a free and fair competition that is a strong stimulant of development and provides "natural selection". Competition continuously checks the manufacturers' compliance with customer requirements compared to competitors.

In the competitiveness of industrial enterprises, We mean the capacity of the sector to effectively provide the domestic market requirements for the most important types of industrial products , in terms of active competition with foreign companies.

In our opinion, one of the main directions for recovering the industry from the crisis is to restructure the sector: Create unions that promote effective agro-industrial and intersectoral integration.

# საქართველოს სტრატეგია და პრიორიტეტები მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში

*ლაზვიაშვილი ნინო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ზაქარეიშვილი მამუკა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით

საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს OECD, ETF, EBRD და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მჭიდროდ თანამშრომლობს SME პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით განხორციელებულია მცირე და საშუალო ბიზნესის პროექტები.

2015 წელს საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს DCFTA და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას (ბიუჯეტი - 44.5 მლნ ევრო). ამ პროგრამის კონკრეტული მიზნებია: 1) ვაჭრობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის DCFTA პოლიტიკის ჩარჩოს შემდგომი განმტკიცება; 2) გააუმჯობესოს პრიორიტეტული სავაჭრო და კერძო სექტორის დაკავშირებული ინსტიტუტების საერთო ფუნქციონირება; 3) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გასწვრივ ეკონომიკური აქტივობების და მცირე და საშუალო ბიზნესის განმტკიცება.

"აღმოსავლეთ სამეზობლოში გამწვანების ეკონომიკა" (EaP Green) ხორციელდება, რომლის საერთო მიზანი მწვანე ეკონომიკისკენ გადაინაცვლებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, "მცირე და საშუალო ზომის საწარმოების უკეთესი გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ხელშეწყობის" პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, სტრატეგია, პრიორიტეტები, თანამშრომლობა, აღმოსავლეთ პარტნიორობა, ინვესტიცია, დასაქმება, ანაზღაურება.

**ძირითადი ტექსტი**

**მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოდგენა**

საქართველოში 2014 წელს აქტიურ საწარმოთა რაოდენობამ 70 707 შეადგინა, აქედან 6 170 საშუალო და 60 640 მცირე ზომის საწარმოა. მცირე და საშუალო საწარმოების წილი აქტიურ საწარმოთა საერთო რაოდენობა 94%-ია (საშუალო - 9% და მცირე - 85%).

2006-2014 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვა 269% -ით გაიზარდა, 2,4 მილიარდი ლარიდან 9,0 მილიარდ ლარამდე. ბრუნვის უდიდესი წილი (71,8%) არის თბილისში.

მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია (2016 წელს დაახლოებით 18%), რაც იმაზე მეტყველებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში.

2006-2014 წლებში მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმება გაიზარდა 53.7% -ით, 168.7 ათასიდან 259.4 ათასამდე. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა წილი მთლიანად დასაქმებულთა რიცხვში არ არის მაღალი (2016 წელს 43.8%), იმის გათვალისწინებით, რომ მცირე და საშუალო საწარმოების წილი საწარმოების მთლიან რაოდენობაში მაღალია (2016 წელს 94%). დასაქმებულთა 63% მოდის თბილისის მოქმედ საწარმოებში.

ამავე პერიოდში საშუალო საწარმოებში ანაზღაურება გაიზარდა 183-დან 636 ლარამდე და მცირე საწარმოებში 2.7% -ით, 141 ლარიდან 375 ლარამდე.

ამ პერიოდის განმავლობაში მცირე და საშუალო საწარმოების საშუალოვადიანი მოხმარება

220% -ით გაიზარდა, 767.6 მლნ ლარით, ხოლო ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიცია - 208% -ით, 272.4 მლნ ლარიდან 839 მლნ ლარამდე. საქონლისა და მომსახურების მოხმარება 2007 -2016 წლებში თითქმის სამჯერ გაიზარდა (1,1 მილიონი ლარიდან 7.1 ლარამდე).

საქართველოსთვის პრიორიტეტები მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ჩარჩოში:

- "მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებისთვის" - როგორც საქართველოს მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განაგრძობს რეფორმებს და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას;
- მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას;
- სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;
- ინოვაციური მეწარმეობის წახალისების მიზნით კონკრეტული მხარდაჭერის ღონისძიებების შექმნა;
- ექსპორტის ხელშეწყობის ახალი ინსტრუმენტების შემუშავება.

**SWOT ანალიზი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში. ძლიერი მხარეები:**

- ხელსაყრელი ბიზნეს გარემო;
- გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და კარგად განვითარებული საზოგა-დოებრივი სერვისები;
- მარტივი პროცედურები ბიზნესის დაწყებისთვის;
- საკონსულტაციო მომსახურება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის;
- კორუფციისგან თავისუფალი მთავრობა;
- დაბალი საგადასახადო ტვირთი და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მიკრო და მცირე ბიზნესისთვის;
- რეგიონალური და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა;
- ლიბერალური საგარეო ვაჭრობის რეჟიმები: DCFTA ევროკავშირის ქვეყნებთან და FTA- სა და SIC ქვეყნებთან და თურქეთთან, GSP აშშ-სა და კანადის შვეიცარიასთან და ნორვეგიასთან;
- კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- სახელმწიფო პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის;
- ახალგაზრდებში უცხო ენის ცოდნა;
- დაბალი ღირებულება ელექტროენერგიაზე.

**სუსტი მხარეები:**

- ბიზნესის უნარებისა და ბიზნესის გამოცდილების ნაკლებობა;
- კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე;
- დაბალი პროდუქტიულობა;
- დაფინანსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა - გრძელვადიანი საინვესტიციო რესურ-სებით;
- დაბალი დონის ინოვაცია და R & D და არასაკმარისი თანამშრომლობა საჯარო R & D დაწესებულებებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის;
- უცხოური ბაზრის ცოდნის ნაკლებობა;
- ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის დაბალი მოცულობა;
- მაღალი ხარჯები ახალი ტექნოლოგიების / საწარმოო დანადგარებისათვის;
- მცირე და საშუალო ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება;
- სირთულეები ბიზნესის დახურვის დროს.

**შესაძლებლობები:**

- კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსების წყაროები;
- DCFTA- ის ეფექტური გამოყენება - ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები;
- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის DCFTA მოთხოვნების ადაპტაციის ხელშეწყობა;
- ძლიერი და კარგად ფუნქციონირებადი საჯარო დაწესებულების არსებობა;

- DCFTA- ს მოთხოვნების შესრულების განხორციელება;
- FTA ქვეყნებთან და ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარება;
- შრომის ბაზარზე მოთხოვნაზე ორიენტირებული სისტემა;
- კარგად განვითარებული ხარისხიანი ინფრასტრუქტურა, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შემცირება (TBT);
- პროდუქციის დივერსიფიკაცია;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია;
- კარგად განვითარებული საკონსულტაციო მომსახურება;
- გაზრდილი ინოვაციური შესაძლებლობები;
- თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება;
- უწყვეტი სამეწარმეო სწავლების განვითარება;
- ინტეგრაცია ევროპული საწარმოო ქსელში - სავაჭრო კავშირები ევროკავშირის ბაზარზე.

**საფრთხეები:**

- შესაძლო გარე ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, მოთხოვნის შემცირება საერთაშორისო ბაზრებზე და ა.შ.);
- პოლიტიკური გაურკვევლობა;
- დაბალი ინვესტიციები მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში;
- არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები;
- მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი შესაძლებლობები საერთაშორისო კონკურსის თვალსაზრისით;
- DCFTA მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა და ადაპტაციის დაბალი დონე;
- არასრულწლოვანთა არასაკმარისი მონაწილეობა ბიზნესის საგანმანათლებლო პროგ-რამებში;
- საექსპორტო ბაზრის მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის მიზანი და ამოცანები საქართველოში

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის მიზანი: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგია მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინოვაციური შესაძლებლო-ბების განვითარებას, რაც გამოიწვევს შემოსავლისა და სამუშაო ადგილების შექმნას.

არსებული მდგომარეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიასთან დაკავშირებული ინსტიტუციური ჩარჩოდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ხელის შეშლის ბარიერები გამოიკვეთა და რის შემდეგაც დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ეფექტური განხორციელების მიზნებია:

1. 2020 წლისთვის ზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოება წელიწადში საშუალოდ 10%-ით გაზრდა;
2. მცირე და საშუალო საწარმოებში 2020 წლისთვის 15% -ით იზრდება თანამშრომელთა რაოდენობა;
3. 2020 წლისთვის პროდუქტიულობის ზრდა 7% -ით.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზნები 2016-2020:

- მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე;
- მცირე და საშუალო ბიზნესის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება;
- მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესება.

**მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები**

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განმტკიცებისა და შიდა და საერთა-შორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით სტრატეგიული მიმართულებების პრიორიტეტული მიმართულებებია:

**სტრატეგიული მიმართულება 1:** მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საკანონმდებლო, ინსტიტუციური ჩარჩოს და გარემოს შემდგომი გაუმჯობესება;

**სტრატეგიული მიმართულება 2:** ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

**სტრატეგიული მიმართულება 3:** მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და მეწარმეობის კულტურის ხელშეწყობა;

**სტრატეგიული მიმართულება 4:** ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია;

**სტრატეგიული მიმართულება 5:** მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების და R & D ხელშეწყობა.

**დასკვნა**

SME პოლიტიკის ინდექსის 2017 წლის მონაცემებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმატორული ქვეყანაა, რომელმაც 2012 წლიდან დღემდე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ინსტიტუციონალური ჩარჩოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოახდინა. გარე გამოწვევების მიუხედავად, საქართველომ შეინარჩუნა მაკროეკონომი-კური სტაბილურობა, ასევე მიმზიდველი ბიზნეს– გარემო და გამარტივებული წესები და პროცედურები.

2012 წლის შემდეგ საქართველომ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას მიაღწია და შექმნა ორი ახალი ინსტიტუტი, საწარმო საქართველო და საქართველოს ინოვაცია და ტექნოლოგიური სააგენტო (GITA). მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა ბიზნესის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის, ფინანსების ხელმისაწვდომობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლები.

2014 წლის ივნისში ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) წარმოადგენს, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შესაძლებლობას და გამოწვევას. შეთანხმების შესაბამისად განხორციელებული რეფორმები, ხელს შეუწყობს ევროპული ნორმების დანერგვას, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მათ ჩართვას გლობალური ღირებულების დამატებით ჯაჭვში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. SME Development strategy of Georgia - Business Document 2016 (ბოლო ვიზიტი: 2018 დეკემბერი)
2. Geostat.ge (ბოლო ვიზიტი: 2019 იანვარი)
3. Dcfta.ge (ბოლო ვიზიტი: 2018 ოქტომბერი)
4. Nplg.gov.ge (ბოლო ვიზიტი: 2018 ოქტომბერი)
5. oecd.org (ბოლო ვიზიტი: 2018 დეკემბერი)

**Georgia's strategy and priorities in small and medium Business**

***Nino Lazviashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Mamuka Zakareishvili, PhD student***
***Georgian Technical University***

## Summary

According to the SME Policy Index 2017, Georgia is the most important reforming country among the Eastern Partnership countries, which has significantly improved the institutional framework for SME development since 2012. Despite external challenges, Georgia maintained macroeconomic stability, as well as attractive business environment and simplified rules and procedures.

Since 2012 Georgia has managed to support small and medium business and has created two new institutions, Enterprise Georgia and Georgian Innovation and Technological Agency (GITA). Significantly improved business support infrastructure, access to finance, trade barriers to trade and internationalization of small and medium business.

The Association Agreement and Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), signed in June 2014, is both a possibility for SMEs and challenge. Reforms implemented in accordance with the Agreement will facilitate the introduction of European norms, increase business competitiveness and involve them in the global chain of value addition.

# საქართველოს ბიზნეს სექტორის პრობლემები და განვითარების ძირითადი მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში

*ლობჯანიძე გელა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ტაბატაძე გოდერძი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუსი*

**აბსტრაქტი**

საქართველოს ბიზნეს სექტორის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი და შეფასება, საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის თვალსაზრისით განსა-კუთრებით აქტუა-ლური და მნიშვნელოვანია, რათა ობიექტურად გამოვლინდეს ჩვენი ქვეყნის საკვლევი სექტორის ის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, შესაძლებლობები და ინტე-გრაციის მიღწევები, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოს გლობალურ პროცესებში ეფექტიან ჩართვას და ბიზნეს სექტორის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

კვლევის მიზანია საქართველოს ბიზნეს სექტორის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, მისი საერთაშორისო რეიტინგების და ბიზნეს ურთიერთობებში ქვეყნის ეფექტიანი ინტეგრაციისათვის გონივრული პოლიტიკის მიმართულებების ჩამოყალი-ზება და მათი გადაჭრის ეფექტიანი გზების განსაზღვრა, რათა ჩვენს ქვეყანაში წარმატებულად განხორციელდეს გლობალური ბიზნეს სტრატეგიების დანერგვა.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ბიზნესის საერთაშორისო რეიტინგები, ბიზნესის ეკონომიკური მაჩვენებლები, სახელმწიფოს ბიზნეს სტრატეგია.

**ძირითადი ტექსტი**

კაცობრიობის განვითარების ისტორია დაკავშირებულია ბიზნესთან, რომელის სექტორი და განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს განვითარებაში და იმავდროულად, ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად და ინკლუზიურ სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას. ბიზნესის განვითარებას დიდი როლი ენიჭება სამუშაო ადგილების შექმნის, დასაქმების, უმუშევრობის შემცირების, სიღარიბის დაძლევის, სოციალური კეთილდღეობის ამაღლე-ბის, ეკონომიკური განვითარების დაჩქარების თვალსაზრისით და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება შეიძლება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად მივიჩნიოთ.

როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს სექტორის 2007-2018 წლების სხვადასხვა მაჩვენებელის ანალიზიდან ჩანს, მისი დინამიკა და ტრენდი აღმავალია, რაც ნიშნავს, იმას რომ ბიზნეს პროცესების ინტენსივობა იზრდება, ქვეყანაში ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, თუმცა სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობით, კონკურენტუნარი-ანობის დაბალი დონით, დაბალი პროდუქტიულობით, ფინანსებზე/გრძელვადიან საინვესტი-ციო რესურ-სებზე შეზღუდული წვდომით, ინოვაციების და კვლევისა დაბალი დონით, კვლევისა და განვი-თარების ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობით, ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობებით, ადამიანური კაპიტალის არასაკ-მარისი კონკურენტ-უნარიანობით და სხვა პრობლემების არსებობით კვლავ შედარებით დაბალია ბიზნესის სასურველი აქტივობა, რომელმაც უნდა შექმნას ქვეყნის ეკონომიკური დოვლათი.

საქართველოში ბიზნეს სექტორის მდგომარეობაზე მსჯელობისას აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური საწარმოები მცირედ ან მიკროდ ჩაითვალოს, ხოლო სააქციო საზოგადოებები მსხვილ საწარმოებად, ყველა დანარჩენი სამართლებრივი ფორმის საწარმოები კი, უნდა ჩაითვალოს საშუალოდ. აქედან გამონდინარე, 2017 წელს საქართველოში დარეგისტრირებული იყო სულ 639 427 საწარმო, აქედან 413 363 ინდივიდუალური მეწარმე ანუ მცირე ან მიკრო საწარმო, 2 262 სააქციო საზოგადოება, ანუ მსხვილი საწარმო და 177 014 გარკვეული პირობითობით საშუალო სიდიდის

საწარმო (მ. შ. 214 449 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2738 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 186 კომანდიტური საზოგადოება, 4 967 კოოპერატივი, 1 463 უცხოური საწარმოს ფილიალი). საწარმოთა საერთო რიცხვში ინდივიდუალურ საწარმოებს ეკავათ 64.6 %, სააქციო საზოგადოებებს 0,4 % და ყველა დანარჩენს – 30 %. მაშასადამე, მცირე და საშუალო საწარმოთა ხვედრითი წილი საწარმოთა საერთო რიცხვში საქართველოში 2017 წლის ინფორმაციით 99.6 %-ია (იხ. ცხრილი 1 და 2) [1, 2].

**ცხრილი 1***

**ბიზნეს სექტორი საქართველოში, 2007-2018 წწ.**

| მაჩვენებლები | წლები | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018** |
| რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ერთეული | 207320 | 240543 | 409547 | 455045 | 506376 | 548339 | 504560 | 539734 | 562627 | 596873 | 639427 | 700 000 |
| ბრუნვა, მლნ ლარი | 17544.4 | 19650.7 | 20302.2 | 24400.7 | 36726.2 | 42048.0 | 44327.9 | 50064.7 | 56984.8 | 64081.8 | 71740.1 | 85519.0 |
| გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი | 9645.4 | 10248.4 | 11003.1 | 13303.7 | 19239.9 | 23096.0 | 23553.6 | 26068.6 | 29993.9 | 34156.9 | 38206.8 | 40925.1 |
| დამატებული ღირებულება, მლნ ლარი | 4541.8 | 5162.6 | 5464.1 | 6703.2 | 9253.7 | 11190.7 | 12139.1 | 12849.4 | 14761.0 | 16772.4 | 19036.3 | – |
| შუალედური მოხმარება, მლნ ლარი | 5103.7 | 5085.8 | 5539.0 | 6600.5 | 9986.3 | 11905.3 | 11414.5 | 13219.2 | 15232.9 | 17384.5 | 19170.5 | – |
| ფიქსირებულიაქტივები, მლნ ლარი | 7935.9 | 9257.1 | 12025.8 | 13386.1 | 15538.7 | 18625.8 | 20346.4 | 23183.8 | 24829.9 | 28195.1 | 34880.5 | – |
| დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი | 361209 | 349250 | 387463 | 397806 | 503236 | 534397 | 550885 | 592147 | 626739 | 666790 | 708165 | 2643556 |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი | 381.6 | 519.8 | 538.1 | 592.7 | 622.6 | 714.3 | 760.1 | 800.5 | 896.8 | 938.3 | 1019.7 | 1190.6 |

**ცხრილი 1 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

** წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში 157 829 აქტიური საწარმო მოქმედებდა ანუ წინა წელთან შედარებით 2 543 საწარმოთი ნაკლები, რომლებშიც 689 753 პირი იყო დასაქმებული. 2017 წელს შეიქმნა 31 109 ახალი საწარმო, ხოლო ბაზრიდან 24 594 საწარმო გავიდა. 2019 წლის თებერვლის თვის მონაცემებით ბიზნეს რეგისტრი საქმიანობის სახეების მიხედვით კიდევ უფრო მეტად გაზრდილია (იხ. ცხრილი 3). თუმცა, ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენია აქტიური ეკონომიკური სუბიექტი და რა დამატებით ღირებულებას ქმნიან ისინი (როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რეგისტრირებულ საწარმოთა 30-40 % არ მუშაობს და დამატებული

ღირებულების ზრდაც არასაკამარისია). აღსანიშნავია, რომ საწარმოთა დარეგისტრირების ზრდა განპირობებულია, იმით რომ ბიზნესის კეთების სიადვილით ერთ-ერთი მოწინავე ადგილი გვიკავია მსოფლიოში. თუმცა, ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში.

ბიზნეს სექტორის ეფექტიანი საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორთაგან აღსანიშნავია ფინანსებზე წვდომა, კვალიფიციური მუშახელის, საწარმოო აღჭურვილობის და ბაზარზე მოთხოვნის სიმწირე და სხვ.

ცხრილი 2*

**ბიზნეს რეგისტრი საქმიანობის სახეების მიხედვით, (2019 წლის 1 თებერვალი)**

| მაჩვენებლები | რეგისტრირებული სუბიექტი | | აქტიური სუბიექტი | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | % | რაოდენობა | % |
| **სულ** | **726 449** | **100** | **180 618** | **100** |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 6884 | 0.95 | 1537 | 0.85 |
| თევზჭერა, მეთევზეობა | 386 | 0.05 | 102 | 0.06 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 1569 | 0.22 | 739 | 0.41 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 31569 | 4.35 | 12526 | 6.94 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 482 | 0.07 | 137 | 0.08 |
| მშენებლობა | 18175 | 2.50 | 7472 | 4.14 |
| ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 138172 | 19.02 | 61571 | 34.09 |
| სასტუმროები და რესტორნები | 14446 | 1.99 | 6521 | 3.61 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 20002 | 2.75 | 9859 | 5.46 |
| საფინანსო საქმიანობა | 4313 | 0.59 | 2035 | 1.13 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 28168 | 3.88 | 14318 | 7.93 |
| სახელმწიფო მმართველობა | 1829 | 0.25 | 407 | 0.23 |
| განათლება | 6805 | 0.94 | 4290 | 2..38 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 5680 | 0.78 | 2987 | 1.65 |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 19844 | 2.73 | 5499 | 3.04 |
| საქმიანობა უცნობია | 428125 | 58.93 | 50618 | 28.02 |

**ცხრილი 2 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

მართალია, ზემომოყვანილი სტატისტიკური მაჩვენებლები პირდაპირ მიუთითებს ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ზრდაზე და ბიზნესი ვითარდება, მის დასაწყებად ლიბერალური გარემოს არსებობით, თუმცა მისი მასშტაბი და ტემპი არასაკმარისია, რადგან ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ინსტიტუციური პრობლემები და სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი სათანადო პირობები, სადაც რეფორმირების ტემპი ბიზნესისთვის ერთგვარ არასტაბილურობის განცდას ამკვიდრებს და მოქმედი კანონმდებლობა ბიზნესის რეგულირებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დახვეწას საჭიროებს. ცხადია, ამ ვითარებაში სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ბიზნესისთვის ხელშემწყობი პირობები, ინვესტიციების ზრდის და მისი ეფექტიანობის ამაღლების, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარების, ინოვაციების წახალისების და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების მიმართულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და განვითარების პერსპექტივა კვლავ წინააღმდეგობრივი დარჩება გარკვეული წლების განმავლობაში.

როგორც ცნობილია, ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე ბიზნეს-სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50 %-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99 %-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და, საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90 %-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია – ხშირ შემთხვევაში 20 %-ზე ნაკლები [3].

**ცხრილი 3***

**საქართველოს ბიზნეს სექტორი საკუთრების ფორმების და საწარმოთა ზომის მიხედვით 2017 წ.,**

| მაჩვენებლები | მთლიანად | საკუთრების ფორმების მიხედვით | | საწარმოთა ზომების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სახელმწიფო სექტორი | არასახელმწიფო სექტორი | მსხვილი | საშუალო | მცირე |
| რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ერთეული | 639 427 | 1318 | 638109 | 2262 | 223802 | 413363 |
| ბრუნვა, მლნ ლარი | 7 1740.1 | 2403.4 | 69336.7 | 32201.1 | 16568.3 | 22970.7 |
| გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი | 38 206.8 | 1659.3 | 36547.5 | 15594.7 | 9719.2 | 12892.9 |
| დამატებული ღირებულება, მლნ ლარი | 19 036.3 | 960.7 | 18075.6 | 7314.4 | 4878.8 | 6843.2 |
| შუალედური მოხმარება, მლნ ლარი | 19 170.5 | 698.6 | 18471.9 | 8280.3 | 8280.3 | 6049.7 |
| პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მთლიანი ხარჯები, მლნ ლარი | 66 258.5 | 2921.8 | 63336.7 | 31019.8 | 14770.2 | 20468.5 |
| ფინანსური შედეგი (მოგება +,ზარალი -), მლნ ლარი | 6 002.6 | -38207.8 | 6040793.4 | 2 856.84 | 1 398.63 | 1 747.11 |
| ძირითადი კაპიტალი, მლნ ლარი | 34 880.5 | 8161.9 | 26718.6 | 18429.0 | 7022.2 | 9429.3 |
| დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი | 708 165 | 57732 | 650433 | 233589 | 145463 | 329112 |
| შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი | 1 019.7 | 948.3 | 1026.6 | 1195.9 | 1196.9 | 776.1 |
| შრომის მწარმოებლურობა, ლარი | 53 952 | 28741 | 56190 | 66761 | 66815 | 39175 |
| კაპიტალის მწარმოებლურობა, ლარი | 1 095.4 | 203.3 | 1367.9 | 846.2 | 1384.1 | 1367.3 |
| კაპიტალაღჭურვილობა, ათასი ლარი | 49.3 | 141.4 | 41.1 | 78.9 | 48.3 | 28.7 |

**ცხრილი 3 შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერა-ლიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწი-ფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4 *

საქართველოს ადგილი რეიტინგში კომპონენტების მიხედვით, 2018-2019 წწ. [4]

| კომპონენეტები | 2019 წ. | | 2018 წ. | |
|---|---|---|---|---|
| | პოზიცია | ქულები | პოზიცია | ქულები |
| **ჯამური რეიტინგი** | 6 | 83.3 | 9 | 82.8 |
| ბიზნესის დაწყება | 2 | 99.3 | 4 | 97.8 |
| სამშენებლო ნებართვების აღება | 27 | 77.6 | 29 | 77.6 |
| ელექტროენერგიის მიწოდება | 39 | 84.4 | 30 | 84.3 |
| ქონების რეგისტრაცია | 4 | 92.9 | 4 | 82.8 |
| სესხზე ხელმისაწვდომობა | 12 | 85.0 | 12 | 85.0 |
| მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა | 2 | 81.7 | 2 | 81.7 |
| გადასახადების გადახდა | 16 | 89.0 | 22 | 87.1 |
| საგარეო ვაჭრობა | 43 | 90.0 | 62 | 90.0 |
| კონტრაქტების აღსრულება | 8 | 76.9 | 7 | 76.0 |
| გადახდისუუნარობა | 60 | 56.0 | 57 | 55.6 |

საქართველომ 2019 წლის რეიტინგებში წინა წელთან შედარებით, პირველად შეძლო და ქვეყნის სარეიტინგო ქულები 10 ინდიკატორიდან გაუმჯობესდა 7 ინდიკატორში და მხოლოდ 3 ინდიკატორშია უცვლელი. ამასთან, ბიზნესის დაწყების ინდიკატორში საქართველოს მაქსიმალური 100 ქულიდან 99.34 ქულა მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან საქართველო ტოპ რეფორმატორია – ქვეყანაში განხორციელდა 50 რეფორმა როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით და 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო კვლავ დასახელდა, როგორც ლიდერი ქვეყანა განხორციელებული რეფორმების კუთხით.

საქართველო 4 ინდიკატორის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით 190 ქვეყანას შორის პირველ ათეულში შედის. წინა წელთან შედარებით, 2019 წელს საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა შემდეგ 4 ინდიკატორში გაუმჯობესდა: ბიზნესის დაწყება (მე-2 ადგილი), მინორიტარულ ინვესტორ-თა უფლებების დაცვა (მე-2 ადგილი), ქონების რეგისტრაცია (მე-4 ადგილი) და კონტრაქტების აღსრულება (მე-8 ადგილი).

მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის მიერ პოზიტიურად შეფასებული საგადასახადო რეფორმა. კერძოდ, საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, გაუნაწილებელი მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან, რომელიც რეინვესტირების წყაროა. აღნიშნული რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიანი საგადასახადო ტვირთის წილი მთლიან მოგებაში და ეს მაჩვენებელი 9,9 %-ს გაუ-ტოლდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 6,5 %-ით ნაკლებია. აღსანიშნავია ქვეყნის წარმატება ბიზ-ნესის რეგისტრაციის მიმართულებით. კერძოდ, საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციისთვის საჭიროა მხოლოდ 1 პროცედურა და ჩვენი ქვეყნის ანალოგიურად, მსოფლიოში მხოლოდ ახალ ზელანდიაშია შესაძლე-ბელი ერთი პროცედურით ბიზნესის დარეგისტრირება. ბიზნესისთვის დღგ-ს გადასახადის ნებაყოფ-ლობითი რეგისტრაციის შესაძლებლობის მიცემამ საქართველო გასულ წელთან შედარებით ყველაზე მეტად დაუახლოვა საუკეთესო მაჩვენებელს. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებით, მათ შორის სასაზღვრო პროცედუ-რებთან დაკავშირებით, ქვეყანაში განხორციე-ლებული რეფორმების დადებითი შეფასება, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადგილობრივი პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებისთვის. ამ მხრივ, აღსანიშნავია ექსპორტის დროს დოკუმენტების მომზა-დებისთვის საჭირო მინიმალური დრო და ნულოვანი დანახარჯი აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა სასაზღვრო მოთხო-ვნებთან დაკავშირებული დრო და დანახარჯები – ექსპორტზე დახარჯული დრო შემცირდა 42 საათით (50 საათიდან 8 საათამდე), ექსპორტის ხარჯი შემცირდა 306 $-ით (418 $-დან 112 $-მდე).

აღსანიშნავია, რომ რეიტინგის მიხედვით 2019 წელსაც საქართველო ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში (24 ქვეყანას შორის) კვლავ ლიდერ პოზიციაზე იმყოფება. რეიტინგის მიხედვით,

საქართველო ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში 10-დან 7 ინდიკატორში ტოპ სამეულში შედის. აქედან, საქართველო პირველ პოზიციაზე იმყოფება ბიზნესის დაწყების, ქონების რეგისტრაციის, გადასახადების გადახდის და კრედიტის მიღების ინდიკატორებში, მე-2 ადგილი უკავია მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის და კონტრაქტების აღსრულების ინდიკატორებში, ხოლო მე-3 ადგილზეა მშენებლობის ნებართვის გაცემის ინდიკატორში. ცხადია, ბიზნესის კეთების ინდექსში შემავალ კომპონენტებში ლიდერობა ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობია, მაგრამ არასაკმარისი. საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას სხვა ფუნდამენტური პრობლემები აქვს, რაც აღნიშნულ ინდექსში არ აისახება. პირველ რიგში, ესენია: განათლების დაბალი დონე, რუსული აგრესია, სუსტი კანონის უზენაესობა (კორუფცია, სასამართლოს არაეფექტიანობა, არასათანადოდ დაცული კერძო საკუთრება) და დემოკრატიის დაბალი დონე, რაც სტაბილური პოლიტიკური გარემოსთვის აუცილებელია [4].

როგორც ცნობილია, საქართველოს მცირე ღია ეკონომიკა აქვს, სადაც ეკონომიკის სიმცირე ორი მიზეზით არის განპირობებული: პირველი, ჯერ არ გვაქვს განვითარებული ეკონომიკა და ქვეყანა ტერიტორიითა და მოსახლეობით ბუნებრივად მცირეა, ხოლო მეორე, ღია ეკონომიკა ნიშნავს საქართველოს მნიშვნელოვან ინტეგრაციას საერთაშორისო ვაჭრობაში, კაპიტალის მოძრაობასა და სამუშაო ძალის მიგრაციაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებული გლობალურად შემდეგი რისკების გათვალისწინება: უმუშევრობა, მთავრობების მარცხი, ენერგო ტარიფების ცვლილება, ფისკალური კრიზისი, კიბერ შეტევები, ღრმა სოციალური არასტაბილურობა, ფინანსური ინსტიტუტებისა და მექანიზმების მარცხი, კრიტიკული ინფრასტრუქტურის მარცხი, რეგიონალური და გლობალური მთავრობების მარცხი, ტერორისტული თავდასხმები. ხოლო, რეგიონების მიხედვით, ბიზნესის მთავარი რისკებია: ევროპა – კიბერთავდასხმები, ევრაზია – ენერგოტარიფების შოკი, შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა – უმუშევრობა, სუბ საჰარული აფრიკა – უმუშევრობა, სამხრეთ აზია – რეგიონალური და გლობალური მთავრობების მარცხი, აღმოსავლეთ აზია და ჩრდილოეთ ამერიკა – კიბერ თავდასხმები, ლათინური ამერიკა – რეგიონალური და გლობალური მთავრობების მარცხი. ამასთან, როგორც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი – WEF კვლევის შედეგებით აღნიშნავს, რომ საქართველოში ბიზნესის მთავარი რისკები შემდეგია: ინტერესთა კონფლიქტი, მთავრობის მარცხი, რეგიონალური და გლობალური მთავრობების მარცხი, უმუშევრობა, ფისკალური კრიზისი, ენერგო ტარიფების შოკი, უმართავი ინფლაცია [5].

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საგარეო შოკებისა, საქართველომ შეინარჩუნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მიმზიდველი ბიზნესგარემო და გამარტივებული რეგულაციები და პროცედურები, განახორციელა ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის საინოვაციო პოლიტიკა და გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საკითხები, გააფართოვა მიდგომა მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდასაჭერად და განახორციელა მიზნობრივი ღონისძიებები, მათ შორის: შეიქმნა ორი ახალი ინსტიტუცია – მეწარმეობის განვითარების და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოები, რომელთა მიზანია მეწარმეებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა, ინოვაციების და ექსპორტის ხელშეწყობა და სხვა; მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული რიგ მაჩვენებ-ლებში, მათ შორის: ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია, ინო-ვაციები; 2014 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის განუყოფელი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA - Deep and Comprehensive Free Trade Areas), რომელიც წარმოადგენს როგორც შესაძლებლობას, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში ევროპული ნორმების დანერგვას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდას და მათ ჩაბმას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელებისა, მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი და ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს აქტიური მუშაობა. ბიზნესგარემოს აქტუალური პრობლემების მოსაგვარებლად და გამოწვევების წარმატებით განსახორციელებ-ლად, აუცილებელია რაციონალური დიალოგის პრაქტიკის გაძლიერება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო პროგრამები, ბიუჯეტი და ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულ იქნას შესაბამისი ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით და კონსულტაციებით. ასევე, აუცილებელია საკანონ-მდებლო ბაზის დახვეწა – ინვესტიციების დაცვის, საკუთრების უფლების ხელშეუვალობის, ფინანსებზე წვდომის გამარტივების, მეწარმეობ-რივი უნარების ამაღლების და სხვათა თალსა-ზრისით. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მასტიმულირებელი პროგრამების გაძლიერება, ბიზნესკულტურის განვითარება, საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების შექმნა რეგიონულ დონეებზე, შრომის ბაზრის სრულყოფა და განვითარება მენეჯერული მაღალი კვალიფიკაციის და ტექნიკური კვალიფიციური პროფესიული ხელობების კადრების უზრუნველყოფით, რომლებიც უპასუხებენ ბაზრის მოთხოვნებს, საბაზრო ურთიერ-თობებისა და მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოების გაზრდა, ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების ბაზარის განვი-თარება, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაცი-ების ჩართულობის, საბაზ-რო შესაძლებლობების შესახებ პრაქტიკული ტრენინგების, ხელმისაწ-ვდომი ბიზნესკონსულ-ტაციების და ინფორმაცის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ქვეყნის ბიზნეს აქტივობის და ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

### ლიტერატურა


1. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo
2. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=229&lang=geo
3. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. თბილისი, 2016. გვ. 44.
4. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2019_17_12_geo.pdf
5. http://forbes.ge/news/5148/5-mTavari-riski-biznesis-sakeTeblad
6. ა. აბრალავა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი, ,,ინოვაცია“, 2005. 380 გვ.
7. რ. ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2012, 308 გვ.
8. რ. ოთინაშვილი. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2011, 556 გვ.


## The problems of the business sector of Georgia and the main directions of development in terms of globalization


*Gela Lobjanidze, Associate Professor*
*Georgian Technical University*

*Goderdzi Tabatadze, Emeritus*
*Georgian Technical University*


### Summary


Development business sector of Georgia the current state of analysis and evaluation, and the country's international relations Transformation involvement is particularly relevant and important to objectively identify the business sector of our country's problems and their solutions, integration capabilities and achievements, Which significantly conditioned to the effective involvement of Georgia's global processes and achieving the goals of sustainable development of the business sector.

The goal of the research is to study the socio-economic conditions of the business sector of Georgia, to establish strategies for reasonable policy for effective integration of the country in its international ratings and business relationships, and to determine the effective ways to solve them, which are needed for the introduction of global business strategies.



**Key words:** Business, International Business Ratings, Business Economic Indicators, State Business Strategy.

# ფერმერული მეურნეობის განვითარების ინსტიტუციონალური საფუძვლები

*ნატროშვილი გიორგი*
*ეკონომიკის დოქტორი*

*ცინცაძე მანანა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ნატროშვილი ნათია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში დეტალურადაა მოცემული ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითადი ნიშნები, როგორც საბაზრო სუბიექტის (სეგმენტის) ფუნქციონირება, გაანალიზებულია მიწის, შრომითი და მატერილურ-ტექნიკური რესურსების ურთიერთდამოკი-დებულება და მათი გავლენა ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრაზე. (დადგენაზე).

საკვანძო სიტყვები: ფერმერული მეურნეობა,რესურსები,ეკონომიკური მექანიზმი, ეფექტია-ნობა, თავისებურებები.

**ძირითადი ტექსტი**

ფერმერული მეურნეობა უნიკალური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრარულ ეკონომიკაში. ფერმერული (გლეხური) მეურნეობების განვითარებამ ქვეყნის მრავალფეროვან ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში განსაზღვრა მათი ტენდენცია-პატრიარქალური მდგომარეობიდან ფერმერულისაკენ. მანქანების გამოჩენამ გაანადგურა ხელოსნური, მანუფაქტორული წარმოება მრეწველობაში, ხოლო სოფლის მეურნეობაში ვერავითარმა ტექნიკურმა გარდაქმნამ ვერ გაანადგურა გლეხური (ფერმერული) მეურნეობა. ისინი დომინირებენ განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაში და ფინანსური კაპიტალიც ფართოდ შედის ამ დარგში, ამასთან გლეხების დამოკიდებულება ბაზარზე თანდათან იზრდება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას თან ახლავს საშუალო ფერმერული მეურნეობის სიდიდეების ზრდა.

წარმოების საშუალებებზე და მათ შორის მიწაზე კერძო საკუთრების შემოღებამ ჩვენს ქვეყანაში ააღორძინა გლეხური (ფერმერული) მეურნეობები. სოფლის მცხოვრებლებმა უსასყიდლოდ მიღებული მიწის მიღებით მიიღეს დამოუკიდებლად განკარგვის უფლება. ამჟამად გლეხური (ფერმერული) მეურნეობების ჩამოყალიბებამ შეიძინა ძალზე დიდი მნიშვნელოვბა. ფერმერული მეურნეობის წარმოქნა განაპირობებს მის ჩართვას საწარმოო ურთიერთობებში და გარდაქმნის (გადაქცევს) სახალხო- მეურნეობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად. დღემდე საქართველოში გლეხური (ფერმერული) მეურნეობები იქმნებიან მეცნიერულ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე.

ქვეყანაში არსებული სოციალური სიტუაციის გამო მიწა და კრედიტები ხშირად ისეთი ხალხის ხელში ხვდებოდა, რომლებთანაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და შესაბამისად არც სათანადო ცოდნა გააჩნდათ.

თანამედროვე პრაქტიკაში გლეხური (ფერმერული) მეურნეობის შექმნის დროს აუცილებელია დაცულ იქნას 2 ძირითადი პრინციპი:

პირველი არ დავუბრუნდეთ ხელით შრომას, შევქმნათ მაღალმექანიზირებული მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოებისას ხელის შრომის მინიმალურ დანახარჯებს.

მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი-გლეხურ ( ფერმერული) მეურნეობები საჭიროა შეიქმნეს მხოლოდ რაციონალური სიდიდეების, რადგან არსებული ოპტიმალური, ადგილმდებარეობის და ნიადაგ-კლიმატური პირობების მეურნეობების პარამეტრების დროს შეიძლება მაღალი ეფექტიანობის მიღწევა.

გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობას, როგორც საბაზრო ურთიერთობათა სუბიექტს აქვს რიგი განმასხვავებელი ნიშანი:

პირველი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ შერწყმულია მესაკუთრისა და უშუალოდ მომუშავის ფუნქცია. ამასთან წარმოების მაშტაბები განისაზღვრება უშუალოდ ოჯახის სამუშაო ძალის რეზერვებით, არსებული კაპტალით, ნიადაგის ნისშან-თვისებებითა და სხვა ფაქტორებით.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობის მეორე თავისებურება ისაა, რომ წარმოების ასეთი ორგა-ნიზაცია საშუალებას იძლევა შენარჩუნებული იქნეს შრომის საბოლოო შედეგში პასუხისმგებლობა და ინტერესები.

მესამე თავისებურება დამახასიათებელია მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის -მოუმზადებელი სოციალურ- ეკონომიკური და მატერიელურ-ტექნიკური ბაზა, გამოუცდელობა აგრობიზნესის ორგანიზაციაში. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო ამწვავებს გლეხური (ფერმერული) მეურნეობების ეფექტიანი ორგანიზაციის სტრატეგიის არჩევას ინდივიდუალური თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობების ჩამოყალიბების ეკონომიკური პრობლემების განსაზ-ღვრისას უნდა იქნეს გათვალისწინებული:

-გამოვლენილ იქნეს შედარებით პერპექტიული ბაზრის კონიუქტურიდან და პირობებიდან, წარმოების მოცულობიდან და კოოპერირების ფორმიდან გამომნდინარე სპეციალიზაციის დონე.

-განისაზღვროს არსებული მატერიალურ ტექნიკური მომარაგების, ინვენსტორების და მზა პროდუქციის რეალიზაციის პირობებში შედარებით ეფექტიანი ფორმებისა და წარმოების მართვის მექანიზმები.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობის ფორმირების ეკონომიკური საფუძვლები ბევრად არის დამოკიდებული მსგავსი მსხვილი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან, თუმცა მეურნეობებსაც აქვთ თავიაანთი თავისებურებები. მაგალითად, გლეხური (ფერმერული) მეურნე-ობების ტერიტორიალური ორგანიზაცია შეიძლება დავუკავშიროთ მათი განვითარების ტიპის დასაბუთებას, საცხოვრებელ ან საწარმოო ზონას. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ რამოდენიმე ვარიანტი. მაგალითად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული სოფლად უკვე არსებული საცხოვრებელი და საწარმოო შენობები, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო ინფრასრუქტურის ობიექტები. ამჟამადფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ გლეხური(ფერმერული) მეურნეობის ტერიტორიული მოწყობა შეიძლება გადაწყდეს დაცარიელებული სოფლების ჩასახლებით. ამასთან მათში საჭიროა აღდგეს აუცილებელი სოციალური ინფრასტრუქტურა,გზები, კავშირგაბ-მულობა და ა.შ. მათ ეფექტიან ფუნქციონირებაზე ოცნება ზედმეტია, ამიტომ გლეხური (ფერმერული) მეურნეობისათვის მიწის გამოყოფის დროს აუცილებელია შეძლებისდაგვარად გამოყოფილი იქნესკომპაქტური მიწათსარგებლობა და საცხოვრებელი.გლეხური (ფერმერული) მეურნეობა სამეწარმეო საქმიანობის სახეა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. გლეხური (ფგერმერული) მეურნეობა მოქალაქეთა გაერთიანებაა, რომლებიც ერთობლივად ფლობენ ქონებას და შესაბამისად აწარმოებენ საწარმოო ან სხვა სასოფლო -სამეურნეო საქმიანობას. სახელ-მწოფო რეგისტრაციის შემდეგ გლეხური (ფერმერული) მეურნეობა და მისი ხელმძღვანელი წარმო-ადგენენ ინდივიდუალურ მეწარმეს-ფერმერს. ფერმერული მეურნეობის ქონება ეკუთვნის მის წევ-რებს საკუთრების უფლებით. თავისთავად გლეხური (ფერმერული) მეურნეობა კერძო, უნიტარული საწარმოა.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობის საწარმოო სიმძლავრე, როგორც სხვა ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა დამოკიდებულია მის რესურსების ბაზაზე, მოზიდულ შრომით რესურსებზე, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებსა და მიწის ფართობზე, ტენდეცია აქ ასეთია, რაც მაღალია მეურნეობის დაგეგმილი აღჭურვილობა, მით უფრო მატულობს მიწის რესურსზე მოთხოვნილება.

იმისათვის, რომ ეფექტიანი იქნეს მეურნეობის გაძღოლა ყოველ ფერმერს უნდა ჰქონდეს თუნდაც ერთი ტრაქტორი და სატვირთო ტრანპორტი. დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან

დაკავშირებული პრობლემები შეიძლება გადაჭრილი იქნეს მრავალი ღონისძიებით. მათ შორის ერთია ლიზინგი.

ლიზინგს გამოიყენებს მეორე და საშუალო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, ფერმერები, ეს განსაკუთრებით აქტუალურია მცირე და საშუალო ინდივიდუალურ მეწარმეებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ შეიძინონ ძვირადღირებული ტექნიკა.

მეორე მიმართულება, რომლითაც შეიძლება გაუმჯობესდეს ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირება და ხელს შეუწყობს საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთმოქმედების სტაბილურობას არის ინვენსტიციური საქმიანობა. ამ მხრივ , ამ სფეროში ჩვენთან არც თუ სახარბიელო მდგომარეობაა.

შრომით რესურსებით უზრუნველყოფა განსაზღვრავს მომუშავეთა დასაქმებას და შესაძლებ-ლობა იქმნება განახორციელოს ყველა ტექნოლოგიური ოპერაცია საკუთარი ძალებით. შრომისუ-ნარიანთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზრდება მეურნეობის სიდიდე ან მიწის ფართობი ან წარმოების ინვენსტირება, მაგრამ გლეხური მეურნეობის სიდიდე დამოკიდებულია არა მარტო რესურსულ შესაძლებლობებზე, არამედ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოთხოვნით ბაზარზე. ეს კი ნიშნავს, ამ ფაქტორების გარდა გლეხური მეურნეობის დახასიათებისას უნდა იქნეს გათვალის-წინებული სამეწარმეო რისკი, მეურნეობის კონკურენტუნარიანობა, მათში შექმნილი წარმოების სტრუქტურის მოქნილობა, სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით გარდაიქმნას ბაზრის მოთხოვ-ნილების შესაბამისად.

მაგრამ არსებობს პირდაპირი კავშირი გლეხური მეურნეობის გაზრდასა და მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებასთან. მეცნიერული კვლევები ადასტურებენ, რომ მიწათსარ-გებლობის სიდიდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების მოცულობაზე, დანახარჯებსა და სა-ბოლოო ჯამში გლეხური (ფერმერული) მეურნეობის ეფექტიანობაზე. თუმცა პირდაპირი დამოკი-დებულება მიწის ფართობის ზრდისა მოგების მიღებაზე არ ჩანს. ამისათვის საჭიროა მეურნეობის დაბალანსებული გაძღოლა რესურსული ბაზრის გათვალისწინებით, როგორც მცირე ფართობის მქონე, ისე მსხვილ მეურნეობებში.

გლეხური მეურნეობების თვითგანვითარების განმსაზღვრელი შესაძლებლობებია: საწარმოო სპეციალიზაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამომუშავება, კოოპერატული უსაფრთხოების ჩართვის დონე. ამასთან ჩნდება შემდეგი კანონზომიერება: რამდენადაც მაღალია სპეციალიზაცია, მით უფრო მაღალია წარმოების ეფექტიანობის დონე, რაც უფრო მაღალია ეფექტიანობის დონე, მით უფრო მაღალია სპეციალიზაციისა და ფართობების ზრდისადმი სწაფვა. მეურნეობებს, რომელთაც არასაკმარისი მიწისა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსები აქვთ იძულებუნი არიან აწარმოონ მრავალდარგობრივი საქმიანობა, მ.შ. არასასოფლო სამეურნეოც. ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორების, მიწის, მეცხოველეობის გამოყენების ინტენსივობის დონე მაღალია, მაგრამ ეს მონაცემები მოწმობენ მსხვილი მეურნეობის უპირატესობაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებელია დისკრიმინაციული მიდგომა მცირემიწიანი მეურნეობებისადმი. მსხვილი მეურნეობები სპეციალიზაციის მაღალი დონით ნაკლებ დინამიურია ბაზრის რყევებისადმი. შედარებით მცირე ფართობები ოპერატიულად რეაგირებენ მათზე და იოლად გარდაიქმნებიან.

სოფლის მეურნეობის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფერმერული მეურნეობები წარმატებით ვითარდება ფერმერული კოოპერატივების განვითარებით, რომლებშიც შესაძლებელია წარმოებული იქნეს კონსოლიდირება, გლეხთა(ფერმერთა) ინტერესების დაცვა, გასაღების მდგრადი-ტექნიკური მომარაგების, მეცნიერულ-ტექნიკური, წარმოების ცალკეული სტადიების უზრუნველყოფაში. შესაბამისად აუცილებელია სრულყოფილი იქნეს საინფორმაციო-საკონსულტაციო მუშაობის მეთოდები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველო მუშაობები. არ შეიძლება არ დაეთანხმო პროფ. ა. სილაგაძის მოსაზრებას, რომ იზოლი-რებული მცირე მეურნეობები ვერ განვითარდებიან, თუ მათი გამსხვილება არ მოხდება. თანამედროვე ტექნიკის გამოყენება მცირე მეურნეობებში ვერ ხერხდება, რის შედეგად მათ ფინანსებიც არ გააჩნიათ, რომ ასეთი ტექნიკა შეიძინონ. ამ ადამიანებს არა აქვთ საშუალება, რომ მეტი პროდუქცია აწარმოონ. აგრობიზნესის განვითარება ცალკეული ოჯახების მეშვეობით ვერ მოხერხდება. ოფიციალური

მონაცემებით ჩვენი მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, მაგრამ ამ ადამიანებს არა აქვთ ფული და შემოსავალი, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენი აგრარული სექტორის აქილევსის ქუსლია. დაქუცმაცებულ მეურნეობებში მსხვილ ინვესტორებს ვერ მოიზიდავს და თუ თანამედროვე ტექნიკა არ იქნება გამოყენებული აგროსექტორი საქართველოში ვერ განვითარება.

სოფლის მეურნეობის რეფორმებისას ყურადღების გარეშე დარჩა მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხი ფერმერების კოოპერირების შესახებ. საზღვარგარეთ ფერმები მარტო არ მუშაობენ. საქმიანობის კოოპერატიული ფორმები სამეურნეო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ჩვენი სამამულო გამოცდილება მიუთითებს კოოპერაციის დადებით გავლენაზე გლეხური მეურნეობის ეკონომიკაზე. ამჟამად კოოპერაცია შეიძლება გახდეს საშუალო და მცირე საქონელმწარმოებლობის ეკონომიკის ამაღლების მძლავრი ბაზა. კოოპერირება გულისხმობს პარტნიორობის მრავალი ვარიანტის გამოყენებას:

1. ერთობლივი საქმიანობისთვის ფინანსური საშუალებების გაერთიანებას (საკრედიტო კოოპერატივის შექმა);
2. გაერთიანებული ტექნიკის პარკის ერთიანი გამოყენება;
3. დარგობრივი მსხვილი წარმოების შექმნა;
4. მომსახურე (სამომხმარებლო) კოოპერატივის ორგანიზაცია;
5. ერთობლივი საწარმოს შექმნა პროდუქციის შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის.

**დასკვნა**

ამრიგად გლეხური (ფერმერული) მეურნეობის შექმნა არც თუ ისეთი იოლია, მაგრამ ძირითადად აუცილებელი გადასაჭრელი ამოცანაა. აგრობიზნესის აღნიშნული მიმართულება არ თხოულობს დიდ დანახარჯებს, ხოლო მათი ამოგების ვადა არც თუ ისე დიდია, მიმართულების პერსპექტიულობა იმაში მდგომარეობს, რომ მსყიდველობითი მოთხოვნა ხარისხთან ჩართულია და სასოფლო- სამეურნეო პროდუქტებზე ყოველწლიურად მატულობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს არის შანსი წარმატებული ბიზნესის შექმნისა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. თ.ქავთარაძე, ც. თეთრაული- ფერმერული მეურნეობის განვითარების პრობლემები პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბ. 2010.
2. მ .კელიხაშვილი-სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხისადმი საბაზო ეკონომიკაში გარდამავალ პერიოდში მცხეთა-თიანეთის რეგიონის მაგალითზე. თბ.2010 .
3. პ. კოღუაშვილი, გ. ზიბზიბაძე-აგრარული წარმოების ეკონომიკა , თბილისი 2010 .
4. ა. სილაგაძე „რა არის ფერმერული მეურნეობა“. ჟურნალი - „ახალი აგრარული საქართველო“ №12.2017 .

## Institutional basis for the development of farming

***Giorgi Natroshvili***
***Doctor of Economics***

***Manana Tsintsadze, Professor***
***Georgian Technical University***

***Natia Natroshvili, Professor***
***Georgian Technical University***

**Summary**

Creating a farm is not as easy as it is, but it is, in fact, the most important task. This area of agribusiness does not require large expenditures, and its validity period is not so great, the prospect of this direction is that the demand for purchasing power is high-quality, and agricultural products are growing every year, which means that this is a chance to create a successful business.

## მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები მსოფლიოში

*მაზიაშვილი ნინო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

მსოფლიოში მცირე ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდა. იგი აღიარებულია სამეურნეო სტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილად, სადაც სამუშაო ძალის მასის მოზიდვა განაპირობებს სოციალურ სტაბილურობას. მცირე ბიზნესის განვითარების პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებთან. მცირე ბიზნესი არის საბაზისო ეკონომიკის ბიზნესსისტემის პირველი წყარო, რომელიც ფუნქციონირებს, ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხსა და სტრუქტურას. მისი ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, დიდია მისი როლი ბაზარზე მონოპოლიასთან ბრძოლაში. როგორც მცირე ბიზნესის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, სახელმწიფოებში ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი ახერხებს ის არსებობას და განვითარებას. მცირე ბიზნესი ახერხებს ზემოქმედებას ბაზრის სტრუქტურასა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე, პირველ რიგში, ბიზნესის სუბიექტების რაოდენობის ზრდით, საზოგადოების დიდ ნაწილის ჩართულობის დონით ბიზნესსისტემაში. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მცირე ბიზნესი შეუცვლელია ეკონომიკის განვითარების სფეროში.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, „მცირე ბიზნესის აქტი“

**ძირითადი ტექსტი**

მცირე ბიზნესის განვითარება, მისი დაფინანსება და სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა ერთ-ერთი მთავარი გარემოებაა, ამ მიზნით, მიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სახელმწიფო ხელშეწყობა, როგორც ფინანსური ასევე საკანონმდებლო თვალსაზრისით. აღნიშნული გარემო-პირობების დარეგულირება იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს შეექმნება ისეთი პირობები, რომ განვითარდეს და ნახოს ფინანსური სარგებელი.

ევროპული საწარმოს ქსელი თავისი ცენტრების მეშვეობით ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს კონსულტაციებით, ლიცენზირების, ტექნოლოგიის გადაცემაზე მოლაპარაკებებისა და ინოვაციების სფეროში, გამოგონებების გამოყენების, საპატენტო სისტემის პრომოუშენის და ინოვაციის სტიმულირებით. ევროპული რეგულირება დაფუძნებულია „მცირე ბიზნესის აქტით“ გათვალისწინებულ 10 პრინციპზე, რომელიც ითვალისწინებს: შესაბამისი გარემოს-პირობების შექმნას, გაკოტრებისას „მეორე შანსის“ მიცემას, მცირე ბიზნესისათვის უპირატესობის მიცემას სახელმწიფო წესების დადგენისას, საჯარო ადმინისტრაციის მიერ მცირე ბიზნესის საჭიროების გათვალისწინებას, მცირე ბიზესის ხელშეწყობისას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, მცირე ბიზნესის ბაზრებში შეღწევისათვის ხელშეწყობას, უნარისა და ინოვაციების განვითარებას, გარემოს გამოწვევებისადმი გამკლავებას და ბაზრების ზრდიდან სარგებლის მიღებას.

აღნიშნულ სფეროში განხორციელებული რეფორმები მნიშვნეAლოვანია თავისი მასშტაბითა და ხარისხით. რეგისტრაციის პროცედურების გაიოლებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა. დასრულდა მონაცემთა ბაზის გაერთიანება, სადაც თავი მოიყარა სარეგისტრაციო, უძრავი, მოძრავი და არამატერიალური ქონების, გირავნობის, იპოთეკის, საკადასტრო, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს, სალიზინგო რეესტრის და სხვა მონაცემებმა. საქართველოში სადღეისოდ ძალზე მცირე რამაა გაკეთებული მცირე ბიზნესისათვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ცვლილებების შემოღების კუთხით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგადასახადო კოდექსში შეტანილ მუხლებს მიკრო და მცირე საწარმოთა დაბეგვრის კუთხით და საბაჟო პროცედურების გამარტივების საკითხს.

საქართველოში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია "აწარმოე საქართველოში". მხარდაჭერის კომპონენტი გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. აღნიშნული პროგრამა გამიზნულია როგორც ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის, ასევე არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისთვის. მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი ხელს უწყობს რეგიონის მოსახლეობის გააქტიურებას, წამოიწყონ ან გააფრთოვონ საკუთარი ბიზნესი. ფინანსური დახმარების გაწევის გზით რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით. 2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში. მხარდაჭერილია **6 212** პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს **61 მილიონ** ლარზე მეტს, ამასთანავე, თანადაფინანსების სახით გაიცა **46.9 მილიონი** ლარი, სადაც ჯამში დაფინანსებულია **9,384** ბენეფიციარი.

მსს-ის საქმიანობის ხელშეწყობის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ინდივიდუ-ალური დახმარების გაწევა და თვით საწარმოს შიგნით ახალი შესაძლებლობების წარმოქმნა. ექპორტის ფინანსირების უნზრუნველყოფის ხელმისაწვდომი სქემების ამუშავება კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობის გზით. თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების გამოცდილება მაღალგანვითარებული და ეფექტიანი მცირე ბიზნესების აუცილებლობის არსებობას ამტკიცებს, რადგან მათ ზუსტად იციან, რომ სწორედ ეკონომიკის ეს სექტორი წარმოადგენს იმ ძლიერ რგოლს, რომელსაც შემდგომ ეფუძნება საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარება. ქვეყანაში ბიზნესგარემოს მიმზიდველობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს და სწორედ მასზეა დამოკიდებული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები. თუმცა, რაც არ უნდა მიმზიდველი იყოს გარემო, თუ კომპანიის მენეჯერს არ გააჩნია არსებული შესაძლებლობების გამოყენების უნარები, ბიზნესი მაინც ვერ მიაღწევს წარმატებას. მით უმეტეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ბაზარზე მუდმივად იზრდება კონკურენციის ხარისხი. მცირე ბიზნესი შეუცვლელია ეკონომიკის განვითარების სფეროში. მცირე ბიზნესი ძირითადად ორიენტირებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეების შემუშავებასა და დანერგვაში, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზარზე გასვლა და საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება. მცირე ბიზნესი ქმნის ნაყოფიერ სამეწარმეო კლიმატს. იგი სწრაფად გამოსყიდვადია. ახალი პროდუქციის დანერგვისა და ახალი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის გვერდით მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსხვილი ბიზნესის საქმიანობაში მათი მომარაგებით, პროდუქციის გასაღებით და მათთვის მომსახურების გაწევით. მცირე ფირმები ხელს უწყობს მსხვილ კომპანიებს, იყვნენ მოქნილები და უბიძგებს მათ უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისკენ. წარმატებული ქვეყნების დიდ ნაწილში მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესობას მცირე საწარმოები აწარმოებენ. მაგალითად, გერმანიასა და აშშ-ში მცირე ბიზნესის სფეროში წარმოების მთლიანი შიდა პროდუქტის 50-52%, იაპონიაში - 52-55%, დიდ ბრიტანეთში 50-53%, იტალიაში 57-60%, საფრანგეთში 55-62%, ევროკავშირის ქვეყნებში 63-67% მოდის; ზემოთ მოყვანილ სახელმწიფოებში მცირე ბიზნესის ფირმებზე მოდის პროდუქციის გაყიდვათა საერთო მოცულობის 50%, მომსახურების სფეროს 67%, მშენებლობისა და ვაჭრობის 90%. უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ მცირე ბიზნესის სფეროში დასაქმებულია მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. გერმანიაში მცირე საწარმოებში მუშაობს მოსახლეობის - 64%; აშშ-ში - 54%, იტალიაში - 73%, იაპონიაში 78%, საფრანგეთში 54%. (იხ. ცხრ. 1-2)

დიდ ბრიტანეთში მცირე ბიზნესის სუბიექტად საწარმოს მიკუთვნების საკითხი ეფუძვნება ბრუნვისა და დასაქმებულთა მაჩვენებელს. მცირე საწარმოა ფირმა, სადაც 1-25 ადამიანია დასაქმებული, ხოლო ვაჭრობაში მცირე ბიზნესს მიეკუთვნება 400 000 ფუნტზე ნაკლები მოცულობის ბრუნვის მქონე სუბიექტი. რაც შეეხება იაპონიის მრეწველობაში მცირე ბიზნესს მიეკუთვნება ის ფირმები, რომლებშიც 300 ადამიანია დსაქმებული და საწყისი კაპიტალი 100 მლნ იენას შეადგენს. საბითუმო ვაჭრობაში კი 100 ადამიანია დასაქმებული და საწყისი კაპიტალი 30 მლნ იენას შეადგენს, ხოლო საცალო ვაჭრობაში 50 კაცამდეა დასაქმებული და 10 მლნ შეადგენს საწყისი კაპიტალი.

ტაივანში ბიზნესის სიდიდის დადგენისას გამოიყენება ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა კაპიტალის სიდიდე და დასაქმებულთა რაოდენობა. მცირე ბიზნესად ითვლება ფირმა, სადაც დასაქმებულია 100-მდე კაცი და მისი კაპიტალი არ აღემატება 40 მლნ ტაივანურ დოლარს. საფრანგეთში მცირე ბიზნესს მიეკუთვნება ფირმები, სადაც 10-50 კაცამდეა დასაქმებული.

ბელარუსში მცირე ბიზნესს განეკუთვნება ის საწარმოები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს მრეწველობასა და ტრანსპორტში 100 კაცი, სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში - 60 კაცი, მშენებლობასა და საბითუმო ვაჭრობაში - 50 კაცი, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და საცალო ვაჭრობაში - 30 კაცი, არასაწარმო სფეროს სხვა დარგებში -25 კაცამდე.

რუსეთის ფედერაციაში მცირე საწარმოების კრიტერიუმად აღებულია დასაქმებულთა რაოდენობა : ტრანსპორტში, მრეწველობასა და მშენებლობაში -100 კაცი, სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში და სოფლის მეურნეობაში - 60 კაცი, საბითუმო ვაჭრობაში - 50 კაცი, საცალო ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში - 30კაცამდე.

ამერიკელი სპეციალისტების აზრით, ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობა გამოიხატება: სამუშაო ადგილების შექმნაში, ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების დანერგვაში, მსხვილი კორპორაციების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში, სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფაში. ეკონომიკის ზრდაში მცირე ბიზნეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. საქონლისა და მომსახურეობის ახალი სახეობათა დანერგვა. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, მცირე ბიზნესის 98% ახალი ნაწარმის შექმნას ახორციელებს.

მცირე ბიზნესის ეფექტიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი ერთეულ დანახარჯზე ნერგავენ 17-ჯერ მეტ სიახლეს და გამოგონებას, ვიდრე მსხვილი წარმოებები, რომლებზედაც ახალი ტექნოლოგიების მხოლოდ 10 % მოდის. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და დიდი ბიზნესის ურთიერთობების ძირითადი ფორმებია: ლიზინგი, სუბარენდა, ფრანჩაიზინგი, ლიცენზიური შეთანხმებანი და ვენჩურული დაფინანსებები.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები გასაოცარია თავისი დინამიკით და სიდიდით. ეს არის პროცესი, რომელიც ხორციელდება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ღონისძიებების ნებაყოფლობით გავრცელებაში. ამ პროცესში იმ სახელმწიფოების როლი, რომელმაც მიაღწიეს წარმოების კრიტიკულ ოდენობას, დიდია, რადგან ისინი ცდილობენ გლობალური კონკურენცია შეინარჩუნონ და ასევე დიდია მათი ინტერესი მცირე ბიზნესის შესაძლებლობისკენ. მცირე ბიზნესი აღიარებულია სამეურნეო სტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილად, სადაც სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი მასის მოზიდვა განაპირობებს სოციალურ სტაბილურობას.

ბოლო პერიოდში ეროვნულ ეკონომიკათა მსოფლიო სამეურნეო პროცესებში ჩართულობა და გლობალიზაცია ცვლის წესებს მისი ყველა მონაწილესათვის. მსოფლიო მეწარმეობის ცენტრებში მიღებული გადაწყვეტილებები დიდ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე, რადგან შეუძლებელია უარყო ის ტენდეციები, რომლებიც ყალიბდება საერთაშორისო დონეზე. მცირე ბიზნესის განვითარების პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებთან.

მცირე ბიზნესი არის საბაზისო ეკონომიკის ბიზნესსისტემის პირველი წყარო, რომელიც ფუნქციონირებს, ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხსა და სტრუქტურას. მცირე ბიზნესის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. მცირე ბიზნესის როლი დიდია ბაზარზე მონოპოლიასთან ბრძოლაში. როგორც მცირე ბიზნესის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, სახელმწიფოებში ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი ახერხებს ის არსებობას და განვითარებას. მცირე ბიზნესი ახერხებს ზემოქმედებას ბაზრის სტრუქტურასა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე, პირველ რიგში, ბიზნესის სუბიექტების რაოდენობის ზრდით, საზოგადოების დიდ ნაწილის ჩართულობის დონით ბიზნესსისტემაში.

მსოფლიოში მცირე ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. იგი წარმოადგენს ეკონომიკის თანამედროვე ნეოლიბერალური მოდელის საფუძველს და საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფს ძირითად კონკურენციულ უპირატესობას, საბაზრო მექანიზმს ანიჭებს აუცილებელ მოქნილობას და ქმნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების წანამძღვრებს. როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, მცირე ბიზნესი წარმოადგენს მსხვილი კორპორაციული, მონოპოლიური კომპანიების საფუძველს, რომელიც ერთი მხრივ, ახდენს შესაბამისი კონკურენციული გარემოს ფორმირებას, ხოლო მეორე მხრივ კი, იწვევს ახალი იდეების გენერირებას.

მცირე ბიზნესს აშშ-ში ამერიკული ეკონომიკის ტვინს ადარებენ, რადგან ბევრი საწარმო, რომელშიც ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის საკმაოდ დიდი ნაწილია ჩართული, მცირე ორგანიზაციების სახით არის წარმოდგენილი. ამერიკაში გავრცელებულია ასეთი გამონათქვამი, ,,ამერიკული ეკონომიკის ხერხემალს დიდი კორპორაციები წარმოადგენენ, მის კუნთებს კი, მცირე ფირმები ქმნიან“.

მცირე ბიზნესი რთული და ამავე დროს საინტერესო საქმიანობაა. მისი წარმატებული დაუფლება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, რომელთაგან აუცილებელი პირობაა საჭირო ცოდნის მიღება ბიზნესის კონცეფციების, წესების, პრინციპების, მეთოდებისა და ფორმების შესახებ. ბიზნესის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს თუ რამდენად ინერგება ან დაინერგა ქვეყნის ეკონომიკაში საბაზრო მექანიზმი და მეურნეობის მეთოდი. მაგალითად, ამერიკული გაგებით ბიზნესი არის საქმის წარმოების სისტემა, ადამიანისთვის საჭირო პროდუქტის შექმნა, მუშაობა, მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების წყარო და ბოლოს, ის, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები.

მცირე ბიზნესი განსაკუთრებით იზიდავს ახალგაზრდა თაობას , რადგან ეს ხომ საქმიანი ურთიერთობებია, რომლის მთავარი მიზანი ეკონომიკური სარგებელის მიღებაა, მოგების ან სხვა ფორმით. მაგალითად, აშშ ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყანაა, რადგან მისი მოსახლეობის ნაწილს, საკუთარი ბიზნესი აქვს, რადგან კარგად იციან, რომ ბიზნესი გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. თუმცაღა არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ მსოფლიო სამეწარმეო ცენტრებში, ცივილიზებულ ბიზნესში ბიზნესმენი ვალდებულია ფიქრობდეს არა მხოლოდ თავის სარგებელზე, არამედ, სხვა მონაწილეების სარგებელზეც, ეს ეხება როგორც პარტნიორს, ისე დაქირავებულ მუშაკს, მომხმარებელსაც და სახელმწიფოსაც. წარმატებულია ბიზნესი, როდესაც ორივე მხარე ღებულობს სარგებელს.

**დასკვნა**

მსოფლიოში მცირე ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდა. იგი აღიარებულია სამეურნეო სტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილად, სადაც სამუშაო ძალის მასის მოზიდვა განაპირობებს სოციალურ სტაბილურობას. მცირე ბიზნესის განვითარების პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებთან. მცირე ბიზნესი არის საბაზისო ეკონომიკის ბიზნესსისტემის პირველი წყარო, რომელიც ფუნქციონირებს, ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხსა და სტრუქტურას. მისი ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, დიდია მისი როლი ბაზარზე მონოპოლიასთან ბრძოლაში. როგორც მცირე ბიზნესის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, სახელმწიფოებში ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი ახერხებს ის არსებობას და განვითარებას. მცირე ბიზნესი ახერხებს ზემოქმედებას ბაზრის სტრუქტურასა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე, პირველ რიგში, ბიზნესის სუბიექტების რაოდენობის ზრდით, საზოგადოების დიდ ნაწილის ჩართულობის დონით ბიზნესსისტემაში. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მცირე ბიზნესი შეუცვლელია ეკონომიკის განვითარების სფეროში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ასლამაზიშვილი ნ., ინოვაციების მხარდამჭერი საფინანსო ინსტრუმენტები.
2. ბარათაშვილი ე., ჯოლია გ., გრძელიშვილი ნ., მამალაძე ი., სეხნიაშვილი დ., ჩახვაშვილი დ., ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. წიგნი 1. თბილისი, 2011.
3. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ., თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.
4. მიკრომეწარმეობა, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის საშუალება. ანგარიში და რეკომენდაციები. სათემო განვითარების ცენტრი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია. 2013.

## Small business state support for modern practice and development trends in the world
## Conclusion

***Nino Maziashvili, Associate Professor***
***Georgian Technical University***

### Summary

Small business in the world became one of the most important sectors of modern economic relations. It is recognized as an important part of the economic structure, where attracting mass force contributes to social stability. Small business development processes are closely related to world globalization processes. Small business is the first source of the basic economy business system functioning in any sector of the economy and significantly determines the economic growth rate, the quality and structure of the national product. Its purpose is to promote the perfect market of goods and services. Therefore, its role in the fight against the monopoly on the market. As the history of small business development shows, even in the economic crisis in the states, it manages to exist and develop. Small businesses manage to influence the market structure and market relations, first of all, increasing the number of business entities, the level of involvement in a large part of society in the business system. Therefore, it can be said that small business is indispensable in the development of economy.

## ახალი ანტიბიოტიკების პროექტირების პრობლემები თანამედროვე ფარმაცევტულ ბიზნესში


*მჭედლიშვილი ნინო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ჩხაიძე მარიამი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ბარნოვი სოფიო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*



**აბსტრაქტი**

ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები მოითხოვს ბიზნესში არსებული მიმდინარე საკითხებისა თუ პრობლემების განხილვას გლობალურ, მულტიდარგობრივ და დისციპლინათაშორის სივრცეში.

ნაშრომში წარმოდგენილია ფარმაცევტული ბიზნესი - როგორც მულტიდისციპლინარული სფერო და ნაჩვენებია, თუ როგორ ამაღლებს ფარმაცევტული ბიზნესის ქმედითუნარიანობას მულტიდისციპლინარული კვლევების ჩატარება.

ფარმაცევტიკის, როგორც მეცნიერების ფუნდამენტური და კვლავ აქტუალური ამოცანაა ახალი, უსაფრთხო და ეფექტური ანტიბიოტიკების, ანტიმიკრობული და ანტიბაქტერიული პრეპარატების წარმოება. უმნიშვნელოვანესია მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიღწევების აკუმულირება და მულტიდისციპლინარული კვლევითი პლატფორმის შექმნა.

ნაშრომში განხილულია ახალი ანტიბიოტიკების პროექტირების ამოცანა ანტიმიკრობული პეპტიდებით და ამ პროცესში ბიოლოგიის, ბიოინფორმატიკის, ხელოვნური ინტელექტის და ხელოვნური ნეირონული ქსელების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა დარგების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა, ახსნილი და განმარტებულია თითოეული დარგი და მისი გამოყენების საჭიროება.



საკვანძო სიტყვები: ანტიმიკრობული პეპტიდები, ხელოვნური ნეირონულ ქსელები, ახალი ანტიბიოტიკები


**ძირითადი ტექსტი**

ბიზნესის თანამედროვე გამოწვევებში კოლოსალური ადგილი უკავია ფარმაცევტულ ბიზნესს. საკუთრივ ფარმაცევტიკის და მედიცინის გარდა, ბიზნესის ეს სფერო სოციალურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სეგმენტებში ფოკუსირდება და შესაბამისად, დიდი მნიშვნელობის მატარებელია. სამეცნიერო წრეების მიმართვა ბიზნესის ამ მიმართულებითდა მულტიდისციპლინარული კვლევების ჩატარება საგრძნობლად აამაღლებს ფარმაცევტული ბიზნესის ქმედითუნარიანობას და სასარგებლო იქნება სოციალურ-საზოგადოებრივ, სამეცნიერო, პოლიტიკურ და ა.შ. მულტიდარგობრივ კონტექსტში.

ფარმაცევტიკის, როგორც მეცნიერების ფუნდამენტური და კვლავ აქტუალური ამოცანაა ახალი, უსაფრთხო და ეფექტური ანტიბიოტიკების, ანტიმიკრობული და ანტიბაქტერიული პრეპარატების წარმოება. აქ უმნიშვნელოვანესია მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიღწევების აკუმულირება და მულტიდისციპლინარული კვლევითი პლატფორმის შექმნა. შესაბამისად, ნაშრომში განვიხილავთ ახალი ანტიბიოტიკების შექმნის პროცესში ბიოლოგიის, ბიოინფორმატიკის, ხელოვნური ინტელექტის და ხელოვნური ნეირონული ქსელების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა დარგების ეფექტური გამოყენების მაგალითს.

მიკრობების საწინააღმდეგო პრეპარატების შექმნა დაუმთავრებელ რბოლას ჰგავს: ჩნდება მიკროორგანიზმების შტამები, რომლეთაც უვითარდებათ ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადობა. ბოლო დროს ეს ფაქტი მსოფლიო საზოგადოებაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ბრიტანეთში მიღებულია ფარმაცევტული კომპანიების მხარდასაჭერი მასშტაბური გეგმა. სახელმწიფო მოხსენებაში ნათქვამია, რომ სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები უნდა გაერთიანდნენ და მხარი

დაუჭირონ ძვირადღირებულ კვლევებს საწყის ეტაპზე. მიუხედავად აშშ ხელისუფლების დიდი მხარდაჭერისა, ახალ წამლებზე მუშაობა ფერხდება. მნიშვნელოვანწილად ეს ეკონომიკური მიზეზებითაა განპირობებული. ახალი წამლების შექმნა სულ უფრო ძვირად ღირებული და სარისკოა (ბიზნესის კუთხით), ხოლო როცა წამალი ბაზარზე გადის, მათ უწევთ უფრო იაფ პრეპარატებთან კონკურენცია.

მსოფლიოს ყოველ 10 წელიწადში 15 ახალი ანტიმიკრობული პრეპარატი სჭირდება. აქედან სულ ცოტა ოთხს უნდა გააჩნდეს ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადების გამომწვევ ფლორაზე ზემოქმედების ახალი მექანიზმები. მონიშნულია ორი სტრატეგია, რომლებიც ფარმაცევტებისათვის ფინანსური რისკების შემცირების გარანტიას იძლევა: გლობალურ ორგანიზაციას შეუძლია ახალი პრეპარატის წარმოების უფლება გამოისყიდოს 2-3 მილიარდი დოლარის ფასად და მკაცრად აკონტროლოს მისი მიწოდება ანკომპანიას შეუძლია დაიტოვოს პრეპარატის გაყიდვის უფლება და მიიღოს ერთჯერადი ფულადი დახმარება 1-1,3 მილიარდი დოლარის ოდენობით, პრეპარატის ფარმაცევტულ ბაზარზე გასატანად.

როგორც ცნობილია, შოტლანდიელი ექიმის ალექსანდრ ფლემინგის მიერ შექმნილი ანტიბიოტიკების პრაქტიკული შესწავლა განსაკუთრებით ფართოდ გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა უამრავი დაჭრილი ჯარისკაცის მკურნალობა და მათი მწყობრში დაბრუნება გახდა აუცილებელი. ამავე პერიოდში გაირკვა, რომ ანტიბიოტიკებს სოკოს გარდა ნიადაგსა და წყალში მობინადრე სხვა მიკროორგანიზმებიც გამოიმუშავებდნენ. ამ კვლევებში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმაც. ანტიბიოტიკების აღმოჩენისთვის ფლემინგს 1945 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. ანტიბიოტიკები იმ ინფექციური დაავადებებისგან მხსნელებად მოგვევლინენ, რომლებიც კაცობრიობას საუკუნეების განმავლობაში ავლებდა მუსრს. თუმცაღა უკანასკნელ ხანს ანტიბიოტიკების უმართებულო გამოყენებამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ მრავალი მეცნიერი მათ მასობრივი განადგურების იარაღსაც კი ადარებს. ბაქტერიებისათვის ბევრად უფრო ძნელია ანტიმიკრობული პეპტიდებისადმი მედეგობის გამომუშავება, ვიდრე ანტიბიოტიკებისადმი. ამიტომ, ანტიმიკრობული პეპტიდები შეიძლება ანტიბიოტიკების კარგი ალტერნატივა აღმოჩნდეს.

რა არის ანტიმიკრობული პეპტიდები?ამპ-ები 12-დან 50-მდე ამინმჟავას ზომის მოკლე მოლეკულებია, რომლებსაც შეუძლიათ მიკროორგანიზმების უჯრედების მოკვლა.

მწერების ჰემოლიმფაში, ადამიანურ ნეიტროფილებსა და ბაყაყების კანის ლორწოვანში მოკლე პეპტიდები აღმოაჩინეს, რომლებსაც ანტიმიკრობული თვისებები გააჩნდათ. პირველად ანტიმიკრობული პეპტიდები - ცეკროპინები (ინგლ. *cecropines*) მიიღეს თუთის აბრეშუმხვევიასგან - Hyalophora cecropia. ცეკროპინებს დიდი ანტიმიკრობული აქტივობა გააჩნდათ, მაგრამ გასაკვირი მხოლოდ ეს არ იყო, არამედ ამ ნივთიერებების მოქმედების ძალიან მაღალი სპეციფიურობა. ცერკოპინები მაღალი ეფექტიანობით მოქმედებდნენ მხოლოდ Escherichia choli - ზე. მოგვიანებით მაიქლ ზასლოფმა აღმოაჩინა, რომ ბაყაყის კანის საფარი მიკრობულ დაზიანებასა და დაშავებაზე რეაგირებისას ანტიმიკრობული პეპტიდების დიდ რაოდენობას გამოყოფს, რომლებიც 23 ამინმჟავისგან შედგება. 1988 წელს აჩვენეს, რომ ძუძუმწოვრებს შეუძლიათ ანტიმიკრობული პეპტიდების გამოყოფა. ანტიმიკრობულ პეპტიდებს მცენარეებიც კი გამოყოფს. ტიონინები მცენარეული პეპტიდებია, რომლებიც დაახლოებით 50 წლის წინ აღმოაჩინეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დროზოფილის (*Drosophila melanogaster*) პეპტიდი დროზომიცინი აგებულებით გავს ბოლოკის თესლის დეზენფინს, პეპლების სეკრეტის ანტიმიკრობული პეპტიდები ქერის ან ხორბლის ტიონინებს გავს.

ანტიმიკრობული პეპტიდების სტრუქტურა და ამინმჟავური თანმიმდევრობა ძლიერ განსხვავდება, თუმცა ანტიმიკრობულ პეპტიდებს რიგი საერთო თვისებები ახასიათებს. ხდება მათი სინთეზირება სიგნალური მიმდევრობების დიდი წინამორბედების სახით, რომელთა მოდიფიცირება ხდება ან მიმდევრობის ნაწილის მოწყვეტის ან გლიკოზირილირების ან ჰალოგენირების შედეგად. ყველა ანტიმიკრობული პეპტიდი ამფიპატიკურ მოლეკულას წარმოადგენს. მათ ჰიდროფობური მონაკვეთიც გააჩნიათ, რომელიც ლიპიდებთან ურთიერთქმედებს და ჰიდროფილური მონაკვეთიც,

რომელიც წყალთან ან უარყოფითად დამუხტულ იონებთან ურთიერთქმედებს. ანტიმიკრობული პეპტიდების მოლეკულები, როგორც წესი, დადებითად არის დამუხტული, რაც მათ ბაქტერიების უარყოფითად დამუხტულ მემბრანებთან ურთიერთქმედებაში ეხმარება. ანტიმიკრობული პეპტიდების ოთხი ძირითადი კლასი არსებობს: 1) მოლეკულები ბეტა-ნაკეცოვანი სტრუქტურით, რომლის სტაბილიზირებაც ორი ან სამი დისულფიდური კავშირის ხარჯზე ხდება. 2) ალფა-სპირალური სტრუქტურის მქონე მოლეკულები, 3) ხაზოვანი პეპტიდები, 4) მარყუჟოვანი პეპტიდები, (მარყუჟი ერთადერთი დისულფიდური კავშირის წარმოქმნის ხარჯზე წარმოიქმნება).

ანტიმიკრობული პეპტიდები მოქმედებენ როგორც გრამ-უარყოფით, ისე გრამ დადებით ბაქტერიებზე, ასევე სოკოზე, ვირუსებსა და უმარტივესებზე. ამის გარდა, ანტიმიკრობული პეპტიდები ანტიმიკრობულ აქტივობას ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების შტამების მიმართაც ავლენენ ანტიმიკრობულ აქტივობას. ანტიმიკრობული პეპტიდები გრამ-უარყოფითი ბაქტერიების უარყოფითად დამუხტულ გარე მემბრანაზე მოქმედებს. ამ მემბრანის ზედაპირზე მაგნიუმის კათიონებია, რომლებიც ანეიტრალებენ მემბრანის ზედაპირზე არსებულ უარყოფით მუხტს. ანტიმიკრობული პეპტიდები განდევნიან ამ იონებს და ან მყარ ბმაში შედიან ლიპოპოლიშაქარიდთან, ან ანეიტრალებენ მემბრანის ზედაპირზე არსებულ უარყოფით მუხტს, არღვევენ მის სტრუქტურას და პერიპლაზმატურ სივრცეში აღწევენ. ბაქტერიების ციტოპლაზმატური მემბრანა ასევე უარყოფითად არის დამუხტული. ანტიმიკრობულ პეპტიდებს შეუძლიათ ციტოპლაზმატურ მემბრანაში ჩაშენება და თავისი კონფორმაციის შეცვლა და წარმოქმნიან ისეთ სტრუქტურებს, როგორებიცაა უჯრედის მთლიანობის დამრღვევი არხები. ამის გარდა, როდესაც ანტიმიკრობული პეპტიდები ბაქტერიების ან სხვა პარაზიტების ციტოპლაზმაში აღწევენ და დადებითად არიან დამუხტულები, ისინი უჯრედოვან პალიანიონებთან (როგორებიცაა დნმ და რნმ) შედიან ბმაში, რაც ასევე იწვევს ბაქტერიული უჯრედის სიკვდილს. ანტიბაქტერიული პეპტიდების მიკრობულ უჯრედზე მოქმედების არსებულ მოდელებს შორის არის ე. წ. ხალიჩის მოდელი. პეპტიდების დადებითად დამუხტული მოლეკულები, თითქოს, ბაქტერიის უარყოფითად დამუხტულ მემბრანას ეფინებიან და მოლეკულურ ხალიჩას წარმოქმნიან. როდესაც ბაქტერიის მთელი ზედაპირი პეპტიდებით არის დაკავებული, მისი მემბრანა ნაწილებად იგლიჯება.

პეპტიდი ნიზინი (ინგ. Nisin) უკვე გამოიყენება პროდუქტების კონსერვანტებისა და ვარდების სინედლის შესანარჩუნებელი საშუალების სახით. ცეკროპინების გამოყენებას საკონტაქტო ლინზების დეზინფექციისათვის ვარაუდობენ. მაგაინინის პეპტიდებს კი სპერმატოზოიდების განადგურება შეუძლია, რაც მათ საფუძველზე დამზადებული კონტრაცეპტივების წარმოების საშუალებას იძლევა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღეისათვის მეტად აქტუალურია ამპ-თა საფუძველზე ახალი ანტიბიოტიკების პროექტირების ამოცანა. ასეთი ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობის მთავარ საფუძველს ქმნის შემდეგი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ ბაქტერიები მიოლონობით წლის განმავლობაში განიცდიან ამპ-თა ზემოქმედებას, მათ მიერ ამპ-თა მიმართ რეზისტენტულობის გამომუშავების შესახებ მონაცემები ფაქტიურად არ მოიპოვება.

აქ უკვე აუცილებელი ხდება ფარმაციასთან და ბიოლოგიასთან კოლაბორაციაში მეცნიერების ისეთი ინტერდისციპლინარული დარგის გამოყენება, როგორიცაა ბიოინფორმატიკა. ბიოინფორმატიკა ასრულებს ბიოლოგიის, კომპიუტერული მეცნიერებების, კომპიუტერული ინჟინერიის, მათემატიკის და სტატისტიკის კომბინირებას ბიოლოგიური მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის.ავითარებს მეთოდებს და პროგრამულ ხელსაწყოებს ბიოლოგიური მონაცემების გასაგებად. ბიოინფორმატიკა უკანასკნელი დროის ორი დიდი ტექნოლოგიური რევოლუციის შერწყმის საფუძველზე ჩაისახა. ესენია ერთი მხრივ, ბიოტექნოლოგიის, ხოლო მეორე მხრივ საინფორმაციო ტექნოლოგიების უკიდურესად სწრაფი განვითარება. ამასთან, ამ ორი მიმართულების ზრდა პრაქტიკულად ერთნაირი ინტენსივობით მიმდინარეობს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ გლობალურ კომპიუტერულ ქსელში – ინტერნეტში გამოქვეყნებული გენეტიკური ელექტრონული ბანკის ზომა და თანამედროვე კომპიუტერების სიმძლავრე ერთნაირი სისწრაფით ორმაგდება(18 თვეში ერთხელ). ბიოინფორმატიკა თეორიული

დისციპლინაა, რომლის მიზანს ბიოლოგიური ორგანიზმის გენებისა და გენური პროდუქტების სტრუქტურისა და ფუნქციის განსაზღვრა წარმოადგენს, მათში კოდირებული ინფორმაციის (კოდების თანმიმდევრობათა) საფუძველზე.ბიოინფორმატიკას ფუნდამენტური განსხვავებები გააჩნია სხვა „მათემატიკური“ ანუ „აქსიომატური“ დისციპლინებისაგან, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი მნიშვნელოვანწილად წინა გამოცდილებას ემყარება ანუ “წარმოადგენს „ცოდნის ბაზაზე" დაფუძნებულ მეცნიერებას. მაგალითად, დღეს-დღეობით ჩვენი ცოდნა მოლეკულურ ბიოლოგიაში არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ამინომჟავების ზუსტი თანმიმდევრობის ცოდნის საფუძველზე ცალსახად განვსაზღვროთ შესაბამისი ცილის ფუნქცია. სამაგიეროდ, შესაძლებელია ამინომჟავათა ორ თანმიმდევრობას შორის, რომელთაგან ერთის ფუნქცია უცნობია, ხოლო მეორესი - ცნობილი (ე.ი. უკვე შესულია ცოდნის ბაზაში), არსებული მსგავსების საფუძველზე ვიმსჯელოთ უცნობი თანმიმდევრობის შესაძლო ფუნქციაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნუკლეოტიდების თანმიმდევრობათა ზუსტი ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მხოლოდ ამ ცოდნაზე დამყარებით შევძლებთ შესაბამისი გენის ფუნქციის დადგენას ისევე, როგორც კომპიუტერული პროგრამის ორობითი კოდის ცოდნა არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას მის მიერ შესრულებული ამოცანის შესახებ. ორივე შემთხვევაში საჭიროა საკმაო მოცულობის დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შესაბამისად ბიოლოგიური თუ ელექტრონული სისტემების შესახებ, რათა მოხდეს კოდირებული ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაცია. როგორც ნუკლეოტიდური, ისე ამინომჟავური თანამიმ-დევრობების ერთმანეთთან შედარებისა და ამის საფუძველზე მათი სივრცული სტრუქტურისა და ფუნქციის დადგენის მიზნით ბიოინფორმატიკაში სხვადასხვა ტიპის, ზოგჯერ საკმაოდ რთული, ალგორითმები გამოიყენება. ინტერნეტში თუ სამეცნიერო პუბლიკაციებში პრაქტიკულად ყოველდღე ჩნდება ახალი თეორიული მოდელი თუ კომპიუტერული პროგრამა, რომელიც გამიზნულია ბიოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისათვის. გასაკვირი არ არის, რომ ისეთი კომპლექსური ობიექტების, როგორიცაა ცოცხალი ორგანიზმი და მისი გენომი, მათემატიკურად დასახასიათებლად გამოიყენება ისეთი მეთოდებიც, როგორიცაა ნეირონული ქსელები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის შესწავლის სფეროს წარმოადგენს.

ახალი ანტიმიკრობული წამლების პროექტირებასთან დაკავშირებული, დღეს მიმდინარე კვლევები მიზნად ისახავს ბუნებრივი პეპტიდების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოცემული თვისებების მქონე ახალი, სინთეტური პეპტიდების მოძიების მეთოდების შემუშავებას და დახვეწას. თუმცა, კლინიკაში ანტიმიკრობული პეპტიდების გამოყენება ჯერ-ჯერობით რიგ წინააღმდეგობებს აწყდება. ფართო გამოყენების კიდევ ერთი წინააღმდეგობა არის მათი სიძვირე. მათი ფართო მასშტაბით მიღება, ანტიბიოტიკებისგან განსხვავებით, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია და ანტიმიკრობული პეპტიდებით მკურნალობა დღეში დაახლოებით 100 დოლარს შეადგენს. ამ პრობლემების დასაძლევად, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა სცადეს ლინგვისტიკის მეშვეობით მოეხდინათ ხელოვნური ანტიმიკრობული პეპტიდების კონსტრუირება. შეიქმნა ბუნებრივი ანტიმიკრობული პეპტიდების ლინგვისტური მოდელი. ლინგვისტიკური ანალიზის მეშვეობით ცნობილ ანტიმიკრობულ პეპტიდებში 10 ამინმჟავას სიგრძის მქონე 700-მდე დამახასიათეებლი ფრაზა გამოვლინდა. ამ სიტყვებისგან მოხდა ახალი პეპტიდების ხელოვნური კონსტრუირება, რომლებიც 20 ამინმჟავისგან შედგებოდა. ამასთან, 42-დან 18 პეპტიდს ძლიერი ანტიმიკრობული მოქმედება გააჩნდა. მიღებულ იქნა პრეპარატები ციმბირული წყლულის - *Bacillus anthracis* - წინააღმდეგ ოქროსფერი სტაფილოკოკის - *Staphylococcus aureus* - წინააღმდეგ. ამ ექსპერიმენტში კონტროლებს ხელოვნური პეპტიდები წარმოადგენდნენ, რომლებიც იმავე ამინმჟავებისგან ააგეს, მაგრამ შემთხვევით მიმდევრობით განათავსეს. ამასთან, ანტიმიკრობული ეფექტი 42-დან მხოლოდ ორ პეპტიდს აღმოაჩნდა, რაც ახალი ანტიმიკრობული პეპტიდის აგებაში განმეორებადი გრამატიკული სტრუქტურების როლის შესახებ მეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამპ-თა ფართოს პექტრია იდენტიფიცირებული და შესწავლილი, მათ სტრუქტურა-აქტივობას შორის დამოკიდებულების ნათელი სურათი ჯერ კიდევ არაა შექმნილი.

ასეთი მდგომარეობა უკავშირდება იმას, რომ ამპ-თათვის დამახასიათებელია ამინომჟავურ თანამიმდევრობათა და სივრცულ სტრუქტურათა დიდი მრავალფეროვნება და ასეთ არაერთგვაროვან სიმრავლეში რაიმე ზოგადი კანონზომიერების დადგენა გაძნელებულია. სტრუქტურა-აქტივობას შორის დამოკიდებულებების ცოდნა აუცილებელია ამპ-თა საფუძველზე ახალი ანტიბიოტიკების მიზანმიმართული პროექტირების განხორციელებისათვის.დღევანდელი მდგომარეობით, მხოლოდ თანამიმდევრობაზე დაფუძნებულ ანტიმიკრობული აქტივობის წინასწარმეტყველებას (ამოცნობას) გვთავაზობენ მთელი რიგი ამპ-თა შესახებ მონაცემთა ბაზები. ასეთი წინასწარმეტყველება (ამოცნობა) წარმოადგენს პირველ ეტაპს ახალი წამლის პროექტირების პროცესში.

შესაბამისად, ზემოთჩამოთვლილი გამოწვევების დასაძლევად, რაც ანტიმიკრობულ პეპტიდთა საფუძველზე შექმნილი ანტიბიოტიკების ფართო წარმოებაში გაშვებას შეეხება, და უფრო კონკრეტულად, ამპ-თა ამოცნობის (წინასწარმეტყველების) განსახორციელებლად წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ხელოვნური ინტელექტის მეთოდები. ხელოვნური ინტელექტის მიზანია კოგნიტიური, ანუ შემეცნებითი და შემოქმედებითი ამოცანების ტექნიკური სისტემებით გადაწყვეტისას, ადამიანის ტვინის შესაძლებლობების დონესთან მიახლოვება, ანუისეთი "მოაზროვნე" მანქანისშექმნა, რომელსაც ექნება ადამიანის ინტელექტისათვის დამახასიათებელი ფუნქციების იმიტაციის საშუალებები. მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო ცენტრები ბოლო წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ხელოვნური ინტელექტის უაღესად საინტერესო და პერსპექტიული მიმართულების - ხელოვნური ნეირონული ქსელების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას.

ცნობილია, რომ ადამიანის ტვინი შედგება სპეციფიკური ტიპის უჯრედებისგან - ნეირონებისგან. ნეირონები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. გარკვეულწილად გამოკვლეულია უჯრედებს შორის კავშირის მექანიზმიც. საოცარია, მაგრამ თითქმის იდენტური უჯრედების ნაკრები ახერხებს ანალიტიკურ აზროვნებას და აფორმირებს მეხსიერებასაც. ინფორმაცია ნეირონებს გადაეცემა გარე რეცეპტორებიდან (გრძნობის ორგანოებიდან: სმენა, მხედველობა, ყნოსვა, გემო, ...) და სხვა. ნეირონების მიერ დამუშავებული სიგნალების მიხედვით ხდება ადამიანის აქტივობა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბუნებრივი ნეირონი არის ტვინის უჯრედი,მომრგვალო ფორმის სხეული. მას აქვს ორი ტიპის გამონაზარდი, რომლებიც ინფორმაციის გადამცემების როლს ასრულებენ. დენდრიტები, რომლებიც შემომავალ იმპულსებს იღებენ და აქსონი, რომელსაც უჯრედებიდან გამომავალი იმპულსები გადააქვს. სიგნალების უწყვეტი გაცვლა - გამოცვლა ელექტრო და ქიმიური ურთიერთკავშირით ხდება. იმპულსები თავს იყრის სომაში, რაც მის ძლიერ აღგზნებას იწვევს.თუ ნეირონის ბირთში სხვადასხვა დენდრიტებიდან მოხვედრილი იონების ჯამური მუხტი გარკვეულ ზღვარს გადააჭარბებს, დამუხტული იონები გამოიტყორცნება ნეირონის აქსონიდან და სხვა ნეირონებს გადაეცემა.აქსონთა სიგრძე, ჩვეულებრივ მნიშვნელოვნად აღემატება დენდრიტების ზომებს. აქსონი სიგნალს გაატარებს მის ბოლოზე არსებული სინაფსების საშუალებით და გადასცემს სხვა ნეირონებს. სწორედ ნეირონის ფუნქციონირების ეს სქემაა გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიებში ხელოვნური ნეირონული ქსელების დამზადებისას. ასეთი მოდელების შესწავლის კვალობაზე ჩამოყალიბდა მეცნიერების მიმართულება - ხელოვნური ნეირონული ქსელები.

არსებობს ნეირონული ქსელების მრავალი არქიტექტურა და სწავლების მრავალი ალგორითმი. ერთ-ერთ პირველ ხელოვნურ ნეირონს (მათემატიკურ მოდელს) როზენბლატის პერსეპტრონი წარმოადგენს. პერსეპტრონი მისი ავტორის მიერ განიხილებოდა არა როგორც კონკრეტული ტექნიკური მოწყობილობა, არამედ როგორც ტვინის მუშაობის მოდელი.

უმარტივესი კლასიკური პერსეპტრონი არის მოწყობილობა, რომელსაც აქვს რამდენიმე შესასვლელი და ერთი გამოსასვლელი. შესასვლელზე მოდებული სიგნალები ნეირონის მიერ გადამუშავდება და გამოსასვლელზე აღიძვრება გამოსავალი სიგნალი.

ხელოვნური ნეირონული ქსელების კვლევების უმნიშვნელოვანეს საგანს წარმოადგენს მათი სწავლების ეფექტური ალგორითმების შემუშავება.თუ წონითი კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია, მაშინ სინაფსური კავშირი არის მაძლიერებელი (ამგზნები), თუ წონითი კოეფიციენტის

მნიშვნელობა ერთზე ნაკლებია, მაშინ სინაფსური კავშირი არის მამუხრუჭებელი. ბიოლოგიური ნერვული უჯრედების ანალოგიურად თითოეული ფორმალური ნეირონი ხასიათდება თავისი მიმდინარე მდგომარეობით და შეიძლება იყოს აგზნებული ან დამუხრუჭებული. ხელოვნურ ნეირონს აქვს მრავალი შესასვლელი (დენდრიტი) და სინაფსურიკავშირების ჯგუფი, აგრეთვე ერთი - გამოსასვლელი (აქსონი), რომლითაც ამ ნეირონსგამომავალი სიგნალი (აგზნების ან დამუხრუჭების) გადაეცემა მომდევნო ნეირონს, ზოგჯერ კი საკუთარ თავსაც. ხელოვნური ნეირონი შედგება სამი ტიპის ელემენტისაგან: გამრავლების ელემენტები (სინაფსები, მათი რაოდენობა შემავალი ვექტორის განზომილების ტოლია); ამჯამავი ელემენტი (ზოგჯერ მას უწოდებენ ადაპტურ სუმატორს); არაწრფივი გარდამქმნელი ელემენტი (აქტივაციის ელემენტი). სინაფსები აძლიერებს ან ასუსტებს ნეირონში შემვალ სიგნალს იმის მიხედვით, თუ როგორია შესაბამისი სინაფსური კავშირის ძალა ანუ წონითი კოეფიციენტი. თუ წონითი კოეფიციენტი ერთზე მეტია შემავალი სიგნალი გაძლიერდება, ხოლო თუ წონითი კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია, სიგნალი შესუსტდება.

ფორმალური ნეირონის მიმდინარე მდგომარეობა გამნისაზღვრება როგორც მისი შესასვლე-ლების შეწონილი ჯამი

$$S = \sum_{i=1}^{n} w_i x_i + b \quad (1)$$

ხოლო ნეირონის გამომავალი სიგნალი არის მისი მიმდინარე მდგომარეობისფუნქცია:

$$y = F(S) = F\left(\sum_{i=1}^{n} w_i x_i + b\right) \quad (2)$$

$w_i$ – სინაფსური წონაა (weigth), სადაც $i = 1,2, \dots, n$;

$x_i$ –შემავალი ვექტორის ელემენტი, სადაც $i = 1,2, \dots, n$;

$n$ – შემავალი ვექტორის განზომილებაა;

$b$ – წანაცვლების მნიშვნელობა (bias);

$S$ – შეჯამების შედეგი (sum), ზოგჯერ იყენებენ NET აღნიშვნას;

$y$ – ნეირონის გამომავალი სიგნალია, იყენებენ OUT აღნიშვნასაც;

$F$ – არაწრფივი გარდაქმნა (აქტივაციის ფუნქცია).

არაწრფივი გარდამქმნელი ელემენტი ახდენს ამჯამავი ელემენტიდან გამოსული სიგნალის მოდიფიცირებას, რის შედეგადაც ნეირონის აქსონზე მიიღება ნეიროქსელში შემდგომი პროცედურე-ბის ჩასატარებლად უფრო მოხერხებული მოდიფიცირებული სიგნალი.

ნეირონის აქტივაციის (გადამცემი) ფუნქცია მრავალი სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. მაგრამ, როგორც წესი, აქტივაციის $f$ ფუნქცია სიგმოიდურ ფუნქციათა კლასს მიეკუთვნება$\boldsymbol{n}$არგუმენტით და$\boldsymbol{a}$ გამოსასვლელით.ქვემოთ განხილულია აქტივაციის სამი ყველაზე გავრცელებული ფუნქცია.

**hardlim აქტივაციის ერთეულოვანი ფუნქცია ხისტი შეზღუდვებით.**ეს ფუნქცია აღიწერება **a = hardlim(n) = 1(n)** თანაფარდობით. იგი უდრის 0-ს, თუ $n < 0$, და 1-ს თუ $n \geq 0$.

NNT (Neural Network Toolbox) პაკეტში შედის M-ფუნქცია **hardlim**, რომლითაც რეალიზებულია ხისტი შეზღუდვების მქონე აქტივაციის ფუნქცია.

**purelin აქტივაციის წრფივი ფუნქცია.** ეს ფუნქცია აღიწერება**a = purelin(n) = 1(n)**თანაფარდობით.

**logsig აქტივაციის სიგმოიდური (ლოგისტიკური) ფუნქცია.** ეს ფუნქცია აღიწერება $=$ $\boldsymbol{logsig(n)} = \mathbf{1} / (\mathbf{1} + \boldsymbol{exp(-n)})$თანაფარდობით .იგი მიეკუთვნება სიგმოიდურ ფუნქციათა კლასს და მის არგუმენტს შეუძლია ნებისმიერი მნიშვნელობის მიღება დიაპაზონში (-∞)-დან (+∞)-მდე, ხოლო გამოსასვლელი იცვლება დიაპაზონში 0-დან 1-მდე. NNT (Neural Network Toolbox) პაკეტში იგი წარმოდგენილია **logsig** სახელწოდების M-ფუნქციით.ამ ფუნქციის დიფერენცირებადობის გამო იგი ხშირად გამოიყენება ქსელებში მათი სწავლებისას შეცდომის უკუგავრცელების მეთოდით.

NNT (Neural Network Toolbox) პაკეტში აქტივაციის სხვა ფუნქციებიც არის წარმოდგენილი. **MATLAB**-ის ენის გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია საკუთარი უნიკალური აქტივაციის ფუნქცი-ათა შექმნა.

მრავალშრიან ხელოვნურ ნეირონულ ქსელებს ერთშრიანი ნეირონულ ქსელებთან შედარებით

გაცილებით მეტი გამოთვლითი შესაძლებლობები აქვს. დამუშავებულია მრავალშრიანი ხელოვნური ნეირონული ქსელების მრავალი სახეობა და შექმნილია მათი შესაბამისი სწავლების ალგორითმები, რომელთაც ახასიათებს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მრავალშრიანი ნეირონული ქსელები შეიძლება შეიქმნას შრეების კასკადური შეერთებით, მაშინ ერთი შრის გამოსასვლელი იქნება მომ-დევნო შრის შესასვლელი. მრავალშრიან ქსელებს ერთშრიან ქსელებთან შედარებით გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნეირონების აქტივაციის ფუნქცია იქნება არაწრფივი.

ფორმალური ნეირონის სტრუქტურის მიხედვით ნეირონული ქსელების დაყოფა შეიძლება ჰომოგენურ და ჰეტეროგენურ ქსელებად. ჰომოგენური (ერთგვაროვანი ქსელები) შედგება ერთი ტიპის ნეირონებისაგან, რომელთაც ერთნაირი აქტივაციის ფუნქცია აქვს, ხოლო ჰეტეროგენურ ქსლებში შემავალ ნეირონებს აქვს სხვადასხვა აქტივაციის ფუნქციები. აქტივაციის ფუნქცია განსაზღვრავს ნეირონული ქსელი დისკრეტულია (ბინარული) თუ უწყვეტი (ანალოგური).

ტოპოლოგიის თვალსაზრისით ნეიროქსელები ოთხ სახეობად იყოფა:სრულკავშირებიანი ნეიროქსელები;მრავალშრიანი ნეიროქსელები; ლოკალურკავშირებიანი ნეიროქსელები; არასტრუქ-ტურირებული ნეიროქსელები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფარმაცევტულ ბიზნესში მულტიდისციპლინარული კვლევების წარმოება ეფექტურ შედეგებს იძლევა. ახალი ანტიბიოტიკების წარმოება ანტიმიკრობული პეპტიდების საფუძველზე საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ისეთი პრეპარატები, რომლებზეც ბაქტერიები და მიკროორგანიზმები ვერ გამოიმუშავებენრეზისტენტულობას. ხორციელდება მულ-ტიდისციპლინარული კვლევები, კერძოდ, კვლევებში მონაწილეობს ხელოვნურ ნეირონულ ქსელები, ბიოინფორმატიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და სხვა დარგები.

**ლიტერატურა:**


1. არჩილ ფრანგიშვილი, ოლეგ ნამიჩეიშვილი, არჩილ ელიზბარაშვილი. «ნეირონული ქსელები», თბილისი: გამომცემლობა «ტექნიკური უნივერსიტეტი», 2007.
2. რ. ჩოგოვაძე, რ. ხუროძე, „ხელოვნური ნეირონული ქსელები“, თბილისი, 2006.
3. ძინ სუნი, „ბიოინფორმატიკის საფუძვლები“, თბილისი, 2012.
4. Martin T. Hagon, Howard B. Demuth Neural Network Toolbox, 2016 by The MathWorks, Inc.
5. GuangshunWang, Antimicrobial Peptides, Boston, USA, 2017

## Issues of designing new antibiotics in modern pharmaceutical business

***Nino Mchedlishvili*, Professor**
***Georgian Technical University***

***Mariam Chkhaidze*, Professor**
***Georgian Technical University***

***Sophio Barnov*, PhD student**
***Georgian Technical University***

**Summary**

Modern challenges of business require a discussion of current issues and problems in the business in a global, multidimensional and interdisciplinary area.

In this work pharmaceutical business is presented as a multidisciplinary field and is shown how to increase the capacity of pharmaceutical business by conducting multidisciplinary researches.

The topical and fundamental goal of pharmaceutics as a science still is to produce new, safe and effective antibiotics, antimicrobial and antibacterial drugs. It is very important to accumulate achievements of different fields of science and create a multidisciplinary research platform.

In the work is discussed the issue of designing new antibiotics by antimicrobial peptides and the posibility to use biology, bioinformatics, artificial intelligence and artificial neural networks, information technologies and other fields.

Each discipline is explained and interpreted.

**გერმანელი მოგზაურის აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის ცნობები XIX საუკუნის თბილისისა და თბილისელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ**

*ოსაძე ივანე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*მოწვეული ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

აგრარული ურთიერთობების ცნობილი გერმანელი მკვლევარი და ხალხური სიმღერების და ლეგენდების შემკრები აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი 1843 წლის 3 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე იმყოფებოდა საქართველოში. მან იმოგზაურა ქვეყნის სხვადასხვა მხარესა და დასახლებულ პუნქტში, მათ შორის თბილისშიც.

ჰაქსტჰაუზენმა გამოაქვეყნა ორნაწილიანი წიგნი „ამიერკავკასია", სადაც საქართველოს შესახებ მასალები მოცემულია პირველი წიგნის I-V თავებში, ასევე მეორე წიგნის XII-XIII თავებში და ზოგიერთ დამატებაში. (1).

გერმანელი მკვლევარის ცნობები ძალზე მრავალფეროვანია. ისინი ეხება ცხოვრების ყოველ მხარეს - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, ტრადიციებს; ახასიათებს მოსახლეობას, მათი საცხოვრებლის ტიპებს, სოციალურ ფენებს, საამქრო წყობას, რუსული სამხედრო ძალის დამკვიდრებას. ჰაქსტჰაუზენი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების გადმოცემით - გვთავაზობს თავის დასკვნებს, სურვილებს და რეკომენდაციებს. მართალია ზოგიერთი რამ არ არის გასაზიარებელი, მაგრამ ეს არ ამცირებს ნაშრომის ღირებულებას.

საკვანძო სიტყვები: ტფილისი, ქართველები, თათრები, სომხები, რუსები, ვაჭრობა, ამქარი, ევროპა, აზია, ქრისტიანები, მაჰმადიანები.

**ძირითადი ტექსტი**

ორიგინალური და ფრიად საინტერესოა ჰაქსტჰაუზენის კვლევის მეთოდი. იგი აღნიშნავს, რომ ჯერ მოივლის უცხო ქვეყანას და მხოლოდ შემდეგ ეცნობა ამ ქვეყნის ისტორიას, მის შესახებ არსებულ ცნობებსა და გამოკვლევებს, რათა არ მოექცეს სხვისი აზრების გავლენების ქვეშ და იყოს მიუკერძოებელი. მხოლოდ ამის შემდეგ ავსებს თავის ხელნაწერებს საჭირო შენიშვნებითა და ცნობები. ჰაქსტჰაუზენი თავის ნაშრომში ეყრდნობა, როგორც საკუთარი თვალით ნანახს (გეოგრაფი-ული აღწერილობები - ქალაქები, გზები, ხიდები, ბუნება, მეურნეობის დარგები, საზოგადოებრივი დაწესებულებები, ბაზრები; მოსახლეთა კარმიდამოები და საცხოვრებლის ტიპები; მოსახლეობის წეს-ჩვეულებები, გარეგნობა, ხასიათი, ჩაცმა; სუფრა, ცეკვა - სიმღერა; ცალკეული პირები და სხვა), ისე ცოცხალ წყაროებს, ესენია ქართველი თავადები, რუსი დიდმოხელეები, განათლებული გერმანელი კოლონისტები, განათლებული სომეხი, რუსი ოფიცრები და ებრაელები.

მათ მიერ მოწოდებულ ცნობებსადარებს და აჯერებს თავისი თვალით დანახულთან და ავსებს სხვა მკვლევართა თუ მოგზაურთა ნაშრომებში მოძიებული მასალით. ჰაქსტჰაუზენი იცნობს და შეფასებას აძლევს კოხის, ვაგნერის, დიუბუას, შარდენის, გიულდენშტედტის, კლაპროტის, გამბას, დიუბუას, ბროსეს, სიოგრენის და როზენის ნაშრომებს.

ჰაქსტჰაუზენი რეალისტურად გვიხატავს საქართველოში რუსული მმართველობისა და რუსთა ყოფნის სურათს. მართალია მოგზაური რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის მიერაა გამოგზავნილი და მისი მაქებარია, მაგრამ არსებულ სინამდვილეს გვერდს ვერ უვლის, იძლევა კრიტიკულ შეფასებას და ვითარების გამოსასწორებლად ზოგჯერ გამოთქვამს თავის აზრებს და შეხედულებებს.

გერმანელი მკვლევარი საკმაოდ კარგად ხედავს რუსული მმართველობის არსს, ამ თვალ-საზრისით საინტერესოა მისი დაკვირვება, რომ „მმართველობისა და ადმინისტრირების ფორმების ცენტრალიზაცია სავსებით შეესაბამება სახელმწიფოს მაღალ ფენებში ველიკორუსულ ხასიათს... ის,

რაც ველიკოროსიისთვის სავსებით მისაღებია სისტემის თვალსაზრისით, მიუღებელია ან სულაც დამღუპველია ბალტიისპირა გერმანული პროვინციების და კავკასიის ქვეყნებისათვის... ყველგან უხეშად ესმოდათ კანონები და ადმინისტრირება, რომლებსაც თვითონ შეჩვეულები იყვნენ... ამასთან მთელი მმართველობა გასამხედროებული იყო, ყოველგვარი საჩივარი გამგებელ გენერალთან მიდიოდა... რუსები ერეოდნენ ადგილობრივი ცხოვრების წესებში და არ იყო გამორიცხული, რომ ეს იწვევდა ზიზღს თითქმის ყველა კავკასიელ ხალხში რუსული მმართველობის მიმართ“ (2, 75-76).

„რუსულ არმიას ამიერკავკასიაში განსხვავებული პოზიცია უკავია, ვიდრე საკუთრივ რუსეთში; ის მრავალი წელია უცვლელად გარნიზონის მდგომარეობაშია დაპყრობილ ქვეყნებში! მთელი მმართველობა სამხედრო ძალას ემყარება, რის გამოც ქვეყანა ოხრავს, მაგრამ არმია, განსაკუთრებით კი ოფიცრები, ჯიუტად იცავენ მას, რადგან ეს მათ ინტერესებშია“! (2,99).

ასეთი შეფასების მიუხედავად, რუსული ხელისუფლების მსგავსად, ჰაქსტჰაუზენი ხაზს უსვამს რუსეთის კულტურულ-ცივილიზატორულ მისიას: „ამ მხარის დაკავებით, დამორჩილებით და კულტივირებით მთელი წინა აზიისათვის შესრულდება კულტურული და სამომავლო მისია“! ამ მისიის შესრულების ერთ-ერთ მაგალითად მას ტფილისის შენება მოჰყავს: „იმ მხარიდან, საიდანაც ტფილისში შედიხარ, მას მთლად ევროპული იერი აქვს. ქალაქის ეს ნაწილი რუსების მიერაა აგებული; სწორი ქუჩები, თანამედროვე სახლების მწკრივები, ელეგანტური მაღაზიები, აფთიაქები, კაფეები, საჯარო დაწესებულებები, გუბერნატორის სასახლე... ქუჩებში მრავალფეროვანი სამხედრო ფორმები, ფრანგული კოსტიუმები, ფრაკები და ა.შ. ყოველივე ამას ევროპაში გავყავართ“ (2, 58).

სერიოზულ ყურადღებას უთმობს ჰაქსტჰაუზენი ვაჭრობის განვითარების საკითხებს, აღნიშნავს ამ მხრივ ტფილისის მნიშვნელობას და მისი როლის გაზრდის შესაძლებლობას. იგი თავის მოსაზრებას და რეკომენდაციას სთვაზობს რუსულ მთავრობას. „რუსული მფლობელობის პირობებში ტფილისი წარმოუდგენლად გაიზარდა და გავნითარდა და კიდევ უფრო მოიმატებდა, რომ არ შეზღუდულიყო თავისუფალი ვაჭრობა და არ შემოეღოთ რუსული ბაჟი ევროპიდან შიდა აზიაში ვაჭრობაზე, რის გამოც საქონელი ტრაპიზონის გავლით მიემართება თავრიზისკენ მაშინ, როცა ბუნებრივი გზა ტფილისზე გადის“ (2, 62).

როგორც ჰაქსტჰაუზენი ამბობს, ის ბევრჯერ იყო ტფილისის ბაზარში და აღნიშნავს, რომ „აღმოსავლური ბაზარი არაჩვეულებრივად საინტერესოა. კვირა დღეს ქრისტიანები არ ვაჭრობენ, მხოლოდ თათრები. გარდა სხვადასხვა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო საქონლით, ხელოსნური ნაწარმით და ღვინით ვაჭრობისა, ბაზარმა მისი ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ აქ მან იხილა და მოუსმინა მომღერალს დამკვრელთან ერთად, რომლებიც სიყვარულს და წარსულ გმირებს უმღეროდნენ,... ასევე ზღაპრებისა და ლეგენდების მთქმელს, რომელთაც ბევრი მსმენელი შემორტყმოდა გარს“. (2, 96). აქედან ჩანს, რომ იმდროინდელი ბაზარი იყო არა მარტო სავაჭრო, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის და დროის გასატარებელი ადგილი.

ფრიად საყურადღებოა გერმანელი მკვლევრის ცნობები საამქრო წყობისა და ცხოვრების შესახებ. გარდა პირადი დაკვირვებისა მას ამ სფეროს შესწავლის საქმეში ჰყავდა მცოდნე გერმანელი კონსულტატები ზალცმანისა და ნოის სახით. ყველა ხელობის წარმომადგენელი ქმნის საკუთარ ამქარს, ქართველი, რუსი და სომეხი ხელოსნები ამქრებად ერთადაც ცხოვრობენ, თათრები ცალკე. ჰაქსტჰაუზენი საუბრობს ამქრის შემადგენლობაზე - ოსტატებზე, ქვეოსტატებზე, შეგირდებზე - მათ უფლებებზე, არჩევნებზე, გადასახადებზე, სალაროზე, ამქრის სასამართლოზე; თუ საქმე ეხება კრიმინალს ის გადაეცემა პოლიციას, კრიმინალურ სასამართლოს ან ქალაქის თავს. (2, 122-125). ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა ამქრის წევრის დასაფლავების წესი: „დასაფლავებისას ამქრის ყოველი ოსტატი უნდა გავიდეს. ქართველებთან და სომხებთან ქალები, ჩვეულებრივ არ მიჰყვებიან მიცვალებულს. მიცვალებულის წაღება პატივად ითვლება. ჭირისუფალი უსტაბაშს აძლევს ფულს ოსტატის შესანდობრის დასალევად. ქელეხი არაა მიღებული, მაგრამ რვა დღის მანძილზე ღატაკებს აჭმევენ. ოფიციალური მსვლელობისას, მაგალითად, ქალაქისთავის დაკრძალვისას, თითოეული ამქარი ცალკე მიდის; დროშები და ემბლემები იშვიათად აქვთ ამქრებს (2, 126).

გერმანელი მოგზაური არა მარტო აღწერს თბილისის ხედებს და აქ მომუშავე სხვადასხვა

ხელობისა და ეროვნების ადამიანებს, არამედ ახასიათებს მათ რაიმე განმასხვავებელი ნიშან-თვისებით: „... ამ ევროპული ქალაქის ბოლოს იწყება ნამდვილი აზიური ნაწილი ბაზრებით, ქარვასლებით, გრძელი ქუჩებით, სადაც ღია დუქნებში მისდევენ ყოველგვარ ხელობას... აქეთ თათრები თავიანთ სამოსში, რომლიდანაც უეჭველია და წარმოდგება პოლონური; იქით გამხდარი, მზით გარუჯული სპარსელები განიერი ჩამოშვებული (ფრიალა) სამოსით (კაბებით); ქურთები თამამი სახეებით; ცხენით მოვაჭრე ლეკები და ჩერქეზები; და ბოლოს, ქალები - მშვენიერი ქართველები, გრძლად ჩამოშვებული მანდილებით და მაღალქუსლიანი ტუფლებით! და ყველა ეს ადამიანი, თითოეული თავისებური სილამაზით, როგორიც არცერთ ქვეყანაში და ხალხში არ გვხვდება მსგავსი სიჭარბით და მრავალფეროვნებით!... არსად გვხვდება ევროპისა და აზიის კონტრასტები და თანხვდევნა ისე ახლოს ერთმანეთთან, როგორც ტფილისში! (2, 59).

ჰაქსტჰაუზენი ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოთვლის ეროვნებათა მიხედვით (ქართველები, სომხები, თათრები, გერმანელები, რუსები, ებრაელები), ხაზს უსვამს ამ ეროვნებათა განსხვავებულ საქმიანობას (ქართველები - მიწათმოქმედნი, მებაღეები; თათრები - ხელოსნები, მჭედლები; სომხები თითქმის ყველა ვაჭარია, გერმანელები - ხელოსნები, მხატვრები, ვაჭრები). მკვლევარის ყურადრებას იპყრობს თბილისში არსებული ეროვნული მრავალფეროვნება; „ცოტაა ისეთი ქალაქი, რომელშიც ამ-დენი სხვადასხვა ეროვნების ხალხი იყრიდეს თავს: რუსები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, სპარსელები, თურქები, თათრები, სომხები, ქურთები, უზბეკები და კავკასიის ყველა ხალხი“ (2, 93).

გერმანელი მოგზაური იძლევა თბილისში მცხოვრები ქართველების, თათრების და სომხების დახასიათებას. იგი წერს: „ქართველებს აქვთ პატიოსნის სახელი, მხოლოდ ერთი გამონაკლისით - უბრალო ქართველი სიამოვნებით იპარავს თაფლს და ფუტკარს“ (2, 95). ჰაქსტჰაუზენი იმეორებს ადრინდელი მოგზაურის შევალიე გამბას ნათქვამს ქართველების გარეგნობისა და ხასიათის შესახებ: „ქართველი ტანმაღალია და ძლიერი; შავი ლამაზი თვალის ჭრილით,... დაბადებით მეომარი, უმამაცესი ჯარისკაცი და მხედარი, ... გულადი, ხშირად უხეში, სტუმართმოყვარე, მაგრამ მცირედ მოლაპარაკე (სიტყვაძუნწი), ... ხალხი მიწათმოქმედია და ეწევა ხელოსნობას. ეჯავრება ვაჭრობა და ყოველგვარი ანგარიშიანობა (სპეკულაცია). - ქართველ ქალთა სილამაზე საქვეყნოდაა“ (2, 95).

თათრების შესახებ აღნიშნავს, რომ „სიამოვნებით ქურდობენ - განსაკუთრებით საქონელს იპარავენ, ყველაზე მეტად კი ცხენს! - ისინი უწყვეტად არ შრომობენ, მიწათმოქმედებას იმდენად მისდევენ, რასაც მათი საჭიროება მოითხოვს; ეწევიან მესაქონლეობას და მომთაბარულ ცხოვრებას; თუ არ ჰყავთ საკუთარი ფარები, ქირით მწყემსობენ; უფრო მეტად მეეტლეობას ეტანებიან! საკვების მხრივ, მცირით კმაყოფილდებიან, ოღონდ ცხენის ხორცი არ უნდა დაანახოთ“ (2,.95).

გერმანელი მკვლევარი მკვეთრად უარყოფითად წარმოგვიდგენს სომეხთა ბუნებას, „მე შევედი ერთ სომხურ დუქანში ზოგი წვრილმანის საყიდლად. ეშმაკმა სომეხმა ძალზე მოხერხებულად და სწრაფად გამაცურა და მომატყუა. სომხები, ჩვეულებრივ მატყუარები არიან“. (2.95). ჰაქსტჰაუზენი ხაზს უსვამს სომეხთა ფიც უმტკიცობისაკენ მიდრეკილებას; „სომხები უსასრულოდ უდარდელები (უგუნურები) და უღმერთოები არიან ფიცის მიცემისას. ხშირად ამ მიზნით თორმეტ მათგანს, რომლებმაც არაფერი იციან საქმის შესახებ, მოიყვანენ და დააფიცებენ, რომ მიწა ეკუთვნის ამას და ამას, რასაც შემდეგ კიდეც მიაკუთვნებენ“. (2.87).

გერმანელი მოგზაური გვაწვდის ცნობას ქალაქის მოსახლეობის რელიგიური სიჭრელის შესახებ;... „ყველანაირი სარწმუნოება გვხვდება: რომაული, ბერძნული, სომხური ეკლესიის ქრის-ტიანები, ყველა ჯურის პროტესტანტი, სუნიტი და შიიტი მაჰმადიანები, ებრაელთა სხვადასხვა სექ-ტები და თვით წარმართულებიც.“ (2,.93).

ჩვენი აზრით, ეს ცნობა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ იმდროინდელი თბილისი რჯულ-შემწყნარებლობისა და რელიგიური ტოლერანტობის სანიმუშო მაგალითი ყოფილა.

ჰაქსტჰაუზენი ყურადღებას ამახვილებს სწავლა-განათლებაზე. მან იცის, რომ იყო დრო, როდესაც საქართველო ხელოვნების, მეცნიერების და განათლების დონით არ ჩამორჩებოდა შუა საუკუნეების ევროპას. მკვლევარი თვლის, რომ რუსებმა განათლების ახალი იმპულსი შემოიტანეს. ის ამბობს, რომ „ტფილისში უკვე არსებობს დიდი აღმზრდელობითი დაწესებულება, სადაც ქართველი

ქალიშვილები ფრანგულად ლაპარაკობენ და ბალზაკის რომანებს კითხულობენ“ (2,96).

ჰაქსტჰაუზენი მოუწოდებს მთავრობას, დაარსოს და აღადგინოს სასულიერო სკოლები, ხოლო საერო მეცნიერებების დასაუფლებლად ადგილობრივი ახალგაზრდობა გაიგზავნოს გერმანიის გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში.

**დასკვნა**

გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი ეხება ცხოვრების ყოველ მხარეს - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, ტრადიციებს. ყურადსაღებია თბილისის მოსახლეობის დახასიათება ეროვნული და რელიგიური კუთვნილების მიხედვით. მისეული აღწერიდან ცხადი ხდება, რომ იმდროინდელი ქალაქის ბაზარი იყო არა მარტო სავაჭრო, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრისა და დროის გასატარებელი ადგილი. ღირებულია მისი ცნობები ადგილობრივი საამქრო წყობისა და ცხოვრების შესახებ. სერიოზულია მკვლევარის მსჯელობა ვაჭრობის სფეროში თბილისის როლის გაზრდის თაობაზე. ჰაქსტჰაუზენი ეყრდნობა, როგორც საკუთარი თვალით ნანახს, ისე ცოცხალ წყაროებს და სხვა მკვლევართა თუ მოგზაურთა ცნობებს, რაც მეტად ზრდის მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მარტინა სტოიანოვ-ოდოი „რუსეთის დიდი მთავრინა ელენე და ბარონი აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენი (ორი კონსერვატორი რეფორმატორი რუსეთის გლეხთა განთავისუფლების პერიოდში“), ვისბადენი 1991 წ. (გერმანულ ენაზე).
2. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა; თბილისი, 2011წ.


## German Traveler August Haskathausen Report on Life and Life of the XIX Century Tbilisi and Tbilisi


***Ivane Osadze, Associate Professor***
***Georgian Technical University***



**Summary**

German Traveler August Haskathausen's work "Transcaucasus" contains interesting materials about the life and residence of Tbilisi and Tbilisi residents of the XIX century. The German researcher is very diverse. They refer to every aspect of life - political, economic, social, and traditions; It is characterized by the population, their type of housing, social layers, workshops, and the establishment of Russian military force. The Haskathausen does not contribute only to the facts - suggests its conclusions, wishes and recommendations. While some things are not shared, it does not reduce the cost of the work.



Keywords: Tiflis, Georgians, Tatars, Armenians, Russians, Trade, Emir, Europe, Asia, Christians, Muslims.

# მერძეული მიმართულებით მევირეობის დარგის განვითარების ეკონომიკური ასპექტები საქართველოში

*ოსიაშვილი ნათია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ჩვენი ქვეყნისთვის მერძეული მიმართულებით მევირეობის დარგის განვითარება ახალი მიმართულებაა. ამ მხრივ საქართველოს, განსაკუთრებით მაღალ მთიან რეგიონებს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, რომლის გამოყენება არა მარტო ნატურალური სუფთა რძის წარმოების, არამედ დარგის ეკონომიკური წარმატების, რეგიონის სოციალურ - ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი რეზერვია.

საკვანძო სიტყვები : ვირი, რძე , სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, ტურიზმი.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოში მევირეობა მეცხოველეობის უძველესი დარგია, ვირის გავრცელების უმთავრეს არეალს აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენს. უხსოვარი დროიდან ჩვენს ქვეყანაში ვირის მოშენების უმთავრეს მიზანს მისი სამუშაო ძალად გამოყენება წარმოადგენდა და მისგან სხვა სახის პროდუქციის მიღება არ ხდებოდა.

მერძეული მიმართულებით მევირეობის დარგის განვითარებას ხელი შეუწყო 2017 წელს ვირის რძის რეგისტრაციამ საკვებ პროდუქტად, რამაც ამ დარგს ახალი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა მისცა. შეიქმნა რამდენიმე მცირე ფერმერული მეურნეობა, სადაც მოშენებულია ადგილობრივი ჯიშის ვირი და მათი მოშენების უმთავრეს მიზანს რძის წარმოება წარმოადგენს. ვირის რძეს საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს, მისი სასარგებლო თვისებების შესახებ წერდნენ არისტოტელე, ქსენოფონტე, ჰიპოკრატე, იბნ სენა. მას იყენებდნენ ძველი რომაელები, ბერძნები და ფრანგები.

21- ე საუკუნეში მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვირის რძე , რომელიც თავისი ქიმიური შედგენილობით და თვისებებით ყველაზე მეტად ესადაგება დედის რძეს. ვირის რძე შეუცვლელი საკვებია ახალშობილისათვის. ამასთან ის გამოიყენება სხვადასხვა სახის რძის პროდუქტების დასამზადებლად, ხოლო მისი შემადგენელი კომპონენტები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ნედლეულს ფარმაცევტული და მრეწველობის სხვა დარგებისათვის. ჩატარებული კვლევები ცხადყოფს მის მრავალ სასარგებლო თვისებებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია არაალერგიული თვისება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რძისგან განსხვავებით არ იწვევს პროტეინოვან ალერგიას და მისი გამოყენება რეკომენდირებულია, როგორც ჩვილ ბავშვთა კვებაში , აგრეთვე მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში.

მევირეობის დარგი განვითარებულია მსოფლიოს ისეთ ქვეყნებში როგორიცაა : იტალია, სერბეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი და სხვა. იტალიაში შექმნილია ყველაზე დიდი ბიო ფერმერული მეურნეობა, სადაც ცხოველთა მოშენების უმთავრეს მიზანს ადგილობრივი ჯიშის ვირის სულადობის შენარჩუნება და რძის წარმოება წარმოადგენს. რაც შეეხება საბერძნეთს აქ შექმნილია მცირე ტურისტული ზონები, სადაც ტრანსპორტისთვის მიუვალ ადგილებში ვირი გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებად. აგრეთვე მისგან მიღებული რძე გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ და მისი შეძენა შესაძლებელია საბერძნეთის ადგილობრივ მარკეტებში.

სერბეთი წარმოადგენს ქვეყანას, სადაც პირველად მოხდა ვირის რძისგან ყველის წარმოება, რომელიც წარმოადგენს ერთ - ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ პროდუქტს. 1 კგ ყველის ღირებულება 1000 ევროა. ყველის საწარმოებლად გამოიყენება სერბეთის ნაკრძალ „ ზასავიცაში „ გამოზრდილი ვირის რძე.

აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების პირობებში, ჩვენი ქვეყნისთვის მერძეული მიმართულებით მევირეობის დარგის განვითარება ახალი მიმართულებაა. ამისათვის ჩვენს ქვეყანას

მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

ბიოლოგიურად უსაფრთხო ვირის რძის წარმოების დიდი რესურსი არის მთის და მთისწინა რეგიონებში. მათი საერთო ტერიტორიის 40- 60 % ბუნებრივ სათიბ - საძოვრებს უკავია. ძირითადად საქართველოში მოშენებულია ადგილობრივი კახური ჯიშის ვირი, რომლებიც ფიზიოლოგიურად მორგებულნი არიან მთის ციცაბო რელიეფის მქონე საძოვრებს, ზამთრის მწირ კვებას, გენეტიკურად მდგრადი და რეზისტენტული არიან მრავალი დაავადების მიმართ.

განსაკუთრებით დიდი პერსპექტივა აქვს მაღალ მთიან რეგიონებში კლიმატოლოგიური, ბალნეოლოგიური კურორტების და სამთო ტურიზმის განვითარებას, იმის გათვალისწინებით, რომ ვირის რძე გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ ამ დარგის განვითარება და ფერმერული მეურნეობის შექმნა მაღალ მთიან საკურორტო ზონებში საკმაოდ მომგებიანი და მაღალ ეფექტიანი იქნება. რადგან აგროტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში არსებობს მრავალფეროვანი ბუნებრივ -ეკონომიკური პირობები, რაც გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. აღნიშნულთან ერთად მერძეული მიმართულებით მევირეობის დარგის განვითარება ახალ დატვირთვას იძენს, რადგან მაღალ მთიან ზონაში ვირის გამოყენება შესაძლებელია, როგორც მიუვალ ადგილებში სატრანსპორტო საშუალებად, აგრეთვე რძის წარმოებისათვის, რამეთუ ვირის რძე გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ, სწორედ ვირის მოშენება მიზანშეწონილია მაღალ მთიან რეგიონების და კურორტების ეკოლოგიურად სუფთა და სასარგებლო პროდუქციით მომარაგების მიზნით, ამასთან ერთად საწარმოო საშუალებების მინიმალური დანახარჯით ისინი გვაძლევენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს და სოფლად მცხოვრებთა და მცირე ფერმერთა შემოსავლების ერთ- ერთი მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს.

ადამიანის სრულფასოვანი ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის რძის პროდუქტებით უზრუნველყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ვირის რძის შემთხვევაში , რადგან ვირის რძე გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ, ევროპის მრავალ ქვეყანაში გაზრდილია მოთხოვნილება ვირის რძის გამოყენებაზე, რის გამოც რამდენიმე ქვეყანა გამოთქვამს ინტერესს საქართველოდან მოხდეს ვირის რძის ექსპორტირება. აღსანიშნავია, რომ ვირის რძის საბაზრო ღირებულება საკმაოდ მაღალია და 1 ლ რძის ღირებულება შეადგენს 60 ლარს. ევროპის ქვეყნებში კი 1 ლ რძის ღირებულება 60 ევროა. ექსპორტირებაზე ვირის რძის გატანის შემთხვევაში, რეალიზაციიდან საკმაოდ მაღალი მოგების მიღება იქნება შესაძლებელი. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით ,რომ პროდუქციის წარმოებაზე და ცხოველის შენახვაზე გაწეული დანახარჯი საკმაოდ დაბალია, ვინაიდან ზაფხულის პერიოდში ცხოველის საკვების ძირითად საშუალებას საძოვრის ბალახი წარმოადგენს, ხოლო ზამთრის განმავლობაში თივა. მათი ღირსება და კონკურენტუნარიანობა გამოიხატება იმითაც, რომ კონკრეტულ გარემოში მისი გამოყენება შესაძლებელია მრავალმხრივ როგორც პროდუქციის მიღების, აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო და სხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ ცხოველის სამეურნეო სარგებლიანობას და ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავს მისი საერთო პროდუქტიულობის დონე, მიღებული ნედლეულიდან წარმოებული პროდუქციის ხარისხი და რაოდენობა. ვირის საერთო სარძეო პროდუქტიულობის დონესთან და მის ბიოლოგიურ თვისებებთან ერთად, არსებით გავლენას ახდენს ცხოველთა წლის მანძილზე კვებისა და მოვლა- შენახვის პირობები. მთელი წლის მანძილზე ფაშატი ვირისთვის კვებისა და მოვლა- შენახვის ნორმალური პირობების შექმნა უზრუნველყოფს მიღებული პროდუქციის, როგორც მოცულობის ზრდას, ასევე ხარისხის გაუმჯობესებას, რაც საბოლოო ჯამში ასახვას ჰპოვებს მისი წარმოების ეკონომიკურ მაჩვენებლებში, როგორიცაა პროდუქციის წარმოებაზე გაწეული მატერიალური დანახარჯების და მისი თვითღირებულების შემცირება, მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის და რენტაბელობის დონის მიღწევა.

დასკვნები: შეიძლება ითქვას, რომ მერძეული მიმართულებით მევირეობის ფერმერული მეურნეობები საქართველოში ჩამოყალიბების საწყის სტადიაში იმყოფებიან. ეს მეურნეობები ჯერ-ჯერობით არ არიან საბაზრო ურთიერთობის სრულყოფილი ნიშნების მატარებლები, მათი სრულ-

ყოფის და განვითარების პროცესს უსათუოდ სათანადო დრო და ძალისხმევა დასჭირდება.

საქართველოში მერძეული მიმართულებით მევირეობის ფერმერული მეურნეობების შემდგომი განვითარების პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ ცხოველთა კვებისა და მოვლა-შენახვის პირობების გაუმჯობესების გზით მოხდეს წარმოებული პროდუქციის როგორც რაოდენობის აგრეთვე ხარისხის გაუმჯობესება. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მევირეობის დარგის სხვა დარგებთან შეთანაწყობა, რაც საბოლოოდ განავითარებს ქვეყნის ეკონომიკას აგრეთვე ხელს შეუწყობს მივიწყებული მევირეობის დარგის, ახალი მერძეული მიმართულებით განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მეჯორეობა/ დ. კობალავა/ თბ.1987
2. საქართველოს ვირების ფენოტიპური შესწავლა/ ნ. ცაგარელი/თბ.1939
3. ცხენებთან შედარებით ვირების უნარიანობა უხეში საკვებისა ( თივა) და ნარევის ( თივა-სიმინდი) მონელებაში/ ფ. კვაშალი, ელ მებუკე, შ. შარაშიძე, ნ. მესხი/ თბ. 1939
4. Veterinary Care, Matthews N.S. and Taylor T.S. international Veterinary Information Service, Ithaca Iv ( www. Ivis. Org) , last updated: 18- Aug – 2005 ; A2912.0805)


## The economic aspects of development of the donkey's milking in Georgia


***Natia Osiashvili, PhD student***
***Georgian Technical University***



**Summary**

The development of the field of martial arts in our country is a new direction. In this regard, Georgia, especially the highland regions, has significant potential for using not only the natural production of pure milk, but also the economic success of the industry and an important reserve for solving the region’s socio-economic problems

# მევენახეობა-მეღვინეობის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები კახეთის რეგიონში

*ოსოშვილი მერი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,*

*რამიშვილი ბადრი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

**აბსრაქტი**

ნაშრომი ეხება მევენახეობა-მეღვინეობაში არსებულ გამოწვევებსა და განვითარების პერსპექტივებს კახეთის რეგიონში, სადაც არც ისე ბევრი ექსკლუზიური და განსაკუთრებული პროდუქტი მზადდება, რომელიც ბაზრის მდიდარ სეგმენტზე იქნება კონკურენტული , ღვინო კი ერთ-ერთი ასეთი პროდუქტია. ქართული ღვინის კულტურა მსოფლიოში უნიკალურია სხვადასხვა მიზეზებით და ამდენად მეღვინეობა იყო, არის და იქნება ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგი. ის საკმაოდ პრიორიტეტულია კახეთის კულტურის პოპულარიზაციისათვის, ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. საბაზრო ურთიერთობების გარდმავალ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა მეცნიერთა ყურადღება მევენახეობა-მეღვინეობის სტრუქტურის ფორმირების პროცესისადმი, რაც წარმოადგენს საქართველოს აგრარული ეკონომიკის საკვანძო საკითხს და, რომელზედაც ბევრად არის დამოკიდებული რეგიონის და მთლიანად ქვეყნის შემდგომი განვითარება.

საკვანძო სიტყვები:ღვინის წარმოება, მევენახეობის ინტენსიფიკაცია, კოოპერაციული სისტემა, ვერტიკალური ინტეგრაცია, ტრადიციული კერები, ღვინის ფალსიფიკაცია

**ძირითადი ტექსტი**

თამამად შეიძლებე ითქვას , რომ მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებს შორის კახეთის რეგიონი გამოირჩევა დიდი უპირატესობით. ამას განაპირობებს ძირითადად ორი გარემოება: ჯერ ერთი, მევენახეობა-მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და გამომუშავებული უნიკალური გამოცდილება, მეორე ამ რეგიონში ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნება, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდგომარეობით და რელიეფის ხასიათით, სწორედ ამ ორი ფაქტორის ოპტიმალური შეხამების გავლენით ყალიბდებოდა ქართული მეღვინეობის 144 განსაკუთრებული ნიშან-თვისება, რომელსაც ღირსეული ადგილი მიუჩინეს მსოფლიო მეღვინეობაში, ჩვენ ეს არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ, არამედ განვავითაროთ და განვამტკიცოთ.

კახეთი არის ადგილი, რომელსაც გააჩნია ღვინის წარმოების საუკეთესო პირობები (ნიადაგი, კლიმატი, ყურძნის ჯიშები , ტრადიციები და ა.შ.) და კანონიერი უფლება ღვინის მსოფლიო ბაზარზე აღიარებისათვის, საქართლოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიშიდან 80 კახურია.

კახეთის მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები საუკეთესო გარემოს ქმნის მევენახეობის განვითარებისათვის, მევენახეობის თითოეული რაიონი გამოირჩევა თავისი დამახასიათბელი ვაზის ჯიშებით, რომლებიც საუკეთესოდ არის შეგუებული ამ რაიონების მიკროკლიმატს და მევენახეობის ტრადიციებს. კლიმატური და სხვა მახასიათბლებით გამოყოფილი მევენახეობა-მეღვინეობის ზონები საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნეს მრავალი სახის დანიშნულების და ხარისხის ღვინოები.

მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მევენახეობის ზონები პოტენციური შესაძლებლობები მათი შემდგომი განვითარებისათვის , განსაკუთრებული ყურადღბა უნდა გამახვილდეს იმ პროცედურების დაცვაზე (ყურძნის კრეფა, ტრანსპორტირება, გადამუშავება და სხვა)რომლებიც აუცილებელია მაღალხარისხიანი ღვინის დამზადებისათვის.

კახური ღვინის მეწარმეებმა შეძლეს მემკვიდრეობით მიღებული უნიკალური ვაზის ჯიშების, ღვინის ტრადიციული კერების ამოქმედება და მსოფლიო ბაზარზე გასვლა. დარგის განვითარების მიზნით ხელი უნდა შეეწყოს მევენახეობა-მეღვინეობის ვერტიკალური ინტეგრაციის კოოპერატივების შექმას სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი საქმიანობით. ამ პირობებში ძირითადი

გზა უნდა იყოს მევენახეობის ინტენსიფიკაცია. პროდუქციის წარმოების გადიდება უნდა მოხდეს ტექნიკის, ტექნოლოგიების და წარმოების ორგანიზაციის თანმიმდევრული სრულყოფით, მეცნიერების მიღწევების და მოწინავე მეთოდების დანერგვის გზით და სხვა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ვენახების ახალი ფართობების გაშენებას, მათ შორის საგადასახადო სტიმულებითაც, მხოლოდ ქმედითი სახელმწიფო რეგულირებითა და კონტროლის განხორციელებით არის შესაძლებელი კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი ღვინის წარმოება, ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა, მევენახეობა- მეღვინეობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარება.

ცნობილი გამოთქმაა ,,დიდებული ღვინო მხოლოდ დიდებული ყურძნისაგან დგება” – ყურძნის ხარისხი და გადამუშავებისას მისი სიმწიფის დონე განსაზღვრავს მომავალი ღვინის შედგენილობას, ორგანოლეპტიკურ თვისებებს. ხარისხის გაუმჯობესებაზე ვერ ვილაპარაკებთ, თუ მეღვინეობის წინაშე მდგარ პრობლემებს არ გავეცნობით:

1. რთველის თარიღის არაგეგმიური განსაზღვრა, რაც იწვევს არაკონდიციური ყურძნის, ან ზედმეტად მაღალშაქრიანი ყურძნის მიწოდებას წარმოებისათვის;

2.ყურძნის გადამუშავების დაგვიანება. (დაკრეფილი ყურძენი უნდა გადამუშავდეს მოკრეფიდან არაუმეტეს 2-4 საათში, მაქსიმუმ 6 საათში). ხშირ შემთხვევაში ყურძნის სავსე სატვირთო მანქანები ერთ და ზოგჯერ სამ ღამეზე მეტსაც ათენებენ, სანამ საწარმოში მათი შესვლა ხერხდება. ამის მიზეზია არაორგანიზებული რთველის სეზონი: საწარმოებს არ აქვთ გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები მევენახეებთან და უმეტესად სპონტანურად ხდება ყურძნის კრეფა და მიწოდება საწარმოებისათვის;

3.ყურძნის ტრანსპორტირების წესების დარღვევა: ყურძნის ტრანსპორტირება საწარმოში პირდაპირ სატვირთო მანქანის ძარაზე დაყრილ მდგომარეობაში ხდება, იშვიათად მხოლოდ რამოდენიმე საწარმო მიმართავს ყუთებით ტრანსპორტირების მეთოდს. შედეგად ყურძენი ზიანდება, იჭყლიტება, იწყება ლპობითი (ბაქტერიების ცხოველქმედების) პროცესი, ღირებული თვითნადენი გზაში ჩამოიდინება მანქანის ძარიდან. შორ მანძილზე ყურძნის ტრანსპორტირებისას ზოგ შემთხვევაში, აუცილებელია გამოყენებულ იქნას ტემპერატურული რეჟიმის კონტროლის სისტემით აღჭურვილი სატვირთო მანქანები, რომელთა ხელმიუწვდომლობა რთველის პერიოდში მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში მკვეთრად შეინიშნება;

4.არარეგულირებული ყურძნის ფასი;

5.ჯიშური არომატის ნაკლებობა-არარსებობა, რაც გამოწვეულია ღვინის დადუღებისას ტემპერატურული რეჟიმის უგულველყოფით. საწარმოებში არასაკმარისი ოდენობითაა ტემპერატურული რეჟიმის კონტროლით აღჭურვილი სამადუღრე (გამაციებელი სისტემით) რეზერვუარები და შესაბამისად, დუღილისას ვერ ხერხდება ტემპერატურის კონტროლი. ქვევრის ერთ-ერთი უნიკალურობაც ხომ ამაში მდგომარეობს, ჩვენმა ბრძენმა წინაპარმა, ყოველგვარი მეცნიერული საფუძვლების გარეშე იცოდა, რომ ღვინის დუღილი ,,თანაბრად, საშუალო ტემპერატურაზე“ უნდა განხორციელებულიყო და ქვევრის მიწაში მოთავსების ტრადიციაც სავარუდოდ ამ მიზეზით წარმოიშვა. უფრო მეტიც, ქართველი კაცი ქვევრებს შორის 2-3 მეტრს მაინც იცავდა და ერთმანეთთან ახლოს მიწაში არ ათავსებდა, რადგან თბოცვლას ხელი არ შეშლოდა, მიწას ქვევრი გაეგრილებინა და დუღილის დროს წარმოქმნილი ტემპერატურით ,,ქვევრებს ერთმანეთი არ გაეთბო“. დღეს ქვევრის ღვინის მწარმოებლებმა დაივიწყეს ეს ტრადიცია და ხშირად მარნებში ქვევრები ერთმანეთთან მეტად ახლოს არის ჩაყრილი და დუღილის დროს იზრდება მადუღარი მასის ტემპერატურა, მიწას აღარ ძალუძს ქვევრების გაგრილება... გარდა ამისა, არომატის დაკარგვის მიზეზი შესაძლებელია იყოს სტაბილიზაციისას არასწორად შერჩეული და ჭარბი რაოდენობით გამოყენებული მასალები, რაც უშუალოდ მეღვინის არაკვალიფიციურობაზე მეტყველებს;

6.ქვევრის ღვინოს მიკრობიოლოგიური დაავადებები, რაც გამოწვეულია ჰიგიენური წესების დარღვევით. (იგივე ხდება საწარმოებშიც) ქვევრის, (ასევე კასრის) კედლები ხომ ფოროვანი სტრუქტურით ხასიათდება, ფორში ბაქტერია იბუდებს და შემდეგ ქვევრში (კასრში) ჩასხმულ სითხეში

გადაინაცვლებს, მრავლდება და იწყებს ცხოველქმედებას. გავიხსენოთ, რთველის წინ ჩვენი წინაპარი საგულდაგულოდ, გულმოდგინედ რეცხავდა ქვევრს, დურდოს მოთავსებამდე გოგირდის პატრუქებსაც უბოლებდნენ. ზოგჯერ ქვევრის გარეცხვა არაა საკმარისი იმისათვის, რომ მომავალი ღვინო დავიცვათ ბაქტერიებისაგან და აუცილებელია ანტიმიკრობული მოქმედების (ხსნარების/გოგირდის პატრუქების) გამოყენება, რათა სრულყოფილად ,,გავწმინდოთ" ფორები მიკროორგანიზმებისაგან.

ზემოაღნიშნული პრობლემების ძირითადი მიზეზია:

-კვალიფიციური კადრების დეფიციტი. საჭიროა მეღვინე, რომელმაც იცის ენოლოგიის თეორიული საფუძვლები და აცნობიერებს ღვინის წარმოების პროცესში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს, აქვს შეძენილის პრაქტიკული უნარჩვევები და ტრადიციების გათვალისწინებით ქმნის თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პროდუქციას. ასეთი კადრების დეფიციტის არსებობა ასახულია დღეს ბაზარზე წარმოდგენილ პროდუქციაზე.

მევენახეობა-მეღვინოების რეგულირებისას არსებული ხარვეზები:

- საოჯახო მცირე საწარმოებისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის პროცედურების სირთულეები.

- საოჯახო მცირე საწარმოებისათვის დარგობრივი განათლების მიღების შესაძლებლობის პრობლემა. ამ მიზნობრივი ჯგუფისათვის შედეგობრივი იქნება ტრეინინგების ჩატარება, საინფორმაციო ბიულეტენების მიწოდება და სხვა ღონისძიებები.

2017 წელს საქართველოში ყურძნის მოსავალმა 180,8 ათას ტონას მიაღწია (2014 წ. 172,6 ათასი ტონა იყო ), ჩვენი გათვლებით (აკად. ო. ქეშელაშვილი, პ. კოღუაშვილი) ვენახის ფართობი 2025 წლისათვის 62 ათას ჰა მიაღწევს, ხოლო მოსავალი 425 ათას ტონას, რაც სავსებით რეალური და მისაღწევია.

სადღეისოთ საქართველოში წარმოებული ყურძნიდან დაახლოებით 30-40 ათასი ტონა გადამუშავდება ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ, ხოლო 15 ათასი ტონა გამოიყენება სუფრის ყურძნად, ხოლო დანარჩენი 100ათასი ტონა გადამუშავდება კერძო პირების მიერ, საოჯახო ღვინოების დასამზადებლად. ყურძნის გადამუშავებით მიღებული 50-80 მილიონი ლიტრი მოიხმარება საქართველოში.

2017 წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში ექსპორტირებულია 31,5 მლნ ბოთლი ღვინო, რაც 59%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. ამ პერიოდში ექსპორტირებულია 70,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 104% (3842412),

რუსეთი - 89% (19313343), უკრაინა - 30% (2983000), პოლონეთი - 13% (1212704), ბელარუსი - 43% (660674), ლატვია - 19% (685508), აშშ - 43% (176274), გერმანია 20% (200440), საფრანგეთი - 457% (95530), ისრაელი - 150% (105710), აზერბაიჯანი - 241% (87402) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი - 19313343, ჩინეთი -3842412, უკრაინა - 2983000, პოლონეთი - 1212704 და ყაზახეთი -1163827 ბოთლი.

ამასთან, მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 858 734 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 85%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 16 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 88%-ს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო 13 პერიოდში 122,14 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 56% შეადგინა".

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის" სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნისათვის საჭირო აღჭურვილობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის გადაცემას, ასევე ტექნიკური დახმარების კომპონენტს, რომელიც სავალდებულოა კოოპერატივებისათვის.

ტექნიკური დახმარების ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მიიღებენ ინფორ-

მაციას, როგორც ღვინის საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებში, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კოოპერაციული ტიპის ღვინის საწარმოს დაარსების შემთხვევაში მოხდება:

- ყურძნის წარმოების, გადამუშავებისა და წარმოებული ღვინის რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნა, სადაც მევენახეები მიიღებენ გაზრდილ შემოსავლებს არა ყურძნის, არამედ ღვინის რეალიზაციიდან;
- მაღალხარისხიანი ყურძნისა და ღვინის წარმოება;
- პროდუქციის თვითღირებულების შემცირება;
- სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და ფუნქციონირების ცივილიზებული ფორმების დანერგვა და განვითარება;
- კოოპერატივის წევრების მიერ რეალური თვითმმართველობის ყველა კომპონენტის: თვითანაზღაურების, თვითრეგულირებისა და თვითკონტროლის განხორციელება;
- მოსახლეობის სამეწარმეო კულტურისა და განათლების დონის ამაღლება;
- სამუშაო ადგილების შექმნა და მიგრაციული პროცესების შეჩერება;
- სოფლად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დღემდე განსაკუთრებულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ქართული ღვინოების ფალსიფიცირება, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების, ქართული ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უნებართვო გამოყენება, რის გამოც ქვეითდება ქართული ღვინის პრესტიჟი, იკარგება ტრადიციული ბაზრები, ზარალდება ქართული ღვინის მილიონობით მომხმარებელი. ეს კი ნეგატიურად აისახება არა მარტო მეღვინეობის, არამედ მისი საფუძვლის _ მევენახეობის განვითარებაზეც. ამის დასტურია ბოლო პერიოდში ღვინის ბაზარზე განვითარებული მოვლენები, რომელიც, ჩვენი აზრით, მეტწილად ქართული მხარის უნებლიე ინიცირებით არის გამოწვეული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ქართული ღვინოების უმეტესობა როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, იყიდება ისეთი ეტიკეტებით, რომლებიც რაიონის, რეგიონის, სოფლის დასახელებას გამოხატავენ. ეს ეტიკეტები (დასახელებები) არ წარმოადგენს რომელიმე ცალკე აღებული ღვინის ქარხნის (საწარმოს) ინდივიდუალურ საკუთრებას, რაც თავიდანვე ქმნის ნოყიერ ნიადაგს ეტიკეტების გაყალბებისა და ღვინის ფალსიფიცირებისათვის.

ფალსიფიცირების უარყოფითი მხარეა ისიც, რომ მთლიანობაში მომხმარებელი იხდის უფრო ძვირს, ვიდრე ღირს პროდუქტი. გარდა ამისა, პროდუქტი შეიძლება საშიში იყოს ჯანმრთელობისთვის და, რაც ყველაზე ცუდია, მომხმარებელი კარგავს ნდობას პროდუქტისადმი, რითაც ზარალდება პატიოსანი მწარმოებელი.

მევენახეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მაღალხარისხიანი ნამყენი ნერგის წარმოება, რისთვისაც აუცილებელია სერთიფიცირებული სანერგე საწარმოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა.

მევენახეობის მიკროზონებში გაცილებით მეტი პოტენციალია ახალი ვენახების გაშენებისათვის (39500 ჰა), ვიდრე იგია სადღეისოდ გაადგილებული (7500 ჰა). ჩვენ ეს პოტენციალი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რადგან ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ საქართველო ვენახის ახალ ფართობებს ვერ გააშენებს. მევენახეობის სტიმულირებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორისაა საგადასახადო შეღავათების დაწესება. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმრავლეს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, ვაზი (და არა მარტო ვაზი, ასევე სხვა მრავალწლოვანი ნარგავები 3 წლით, ხოლო კაკალი 4 წლით) ვენახში გაშენებიდან სამი წლის განმავლობაში გათავისუფლებულია ყველა სახის გადასახადისგან. ვფიქრობთ, მსგავსი ჩანაწერი უნდა გაჩნდეს ჩვენს საგადასახადო კანონმდებლობაშიც, რადგან სამი წლის მანძილზე მევენახე მხოლოდ ხარჯს ეწევა და დანახარჯი 12 ათას ლარს შეადგენს. აქვე უნდა ითქვას ვაზის პლანტაციების დაზღვევის შესახებაც. მიგვაჩნია, რომ მევენახეობის სპეციალიზებულ ზონებში დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს.

**დასკვნა**

მხოლოდ ქმედითი სახელმწიფო რეგულირებითა და კონტროლის განხორციელებით არის შესაძლებელი კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოება, ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა, მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარება (მთავრობის როლის გააქტიურება უნდა გამოიხატოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში) მითუმეტეს, რომ ღვინის მწარმოებელ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც გააჩნია ღვინის წარმოების საუკეთესო პირობები (ნიადაგი, კლიმატი, ყურძნის ჯიშები, ტრადიციები და ა.შ.) და კანონიერი უფლება ღვინის მსოფლიო ბაზარზე აღიარებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. რამიშვილი რ. ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია. თბილიის, „მეცნიერება" 2000
2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები
3. მეხუზლა ნ. საქართველოს მეღვინეობა მდგომარეობა და პერსპექტივები, ტექნოლოგია, სპეციალისტები თბილისი, 1996,
4. პაატა კოღუაშვილი, საქართველო - ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ,,ინოვაცია" თბ. 2009
5. პაატა კოღუაშვილი, მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების გენეზისი და მათი რეგულირების მიმართულებები, ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა", №6, 2006
6. პაატა კოღუაშვილი, „ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით", მერიდიანი, თბ. 2013.


## Vine-Growing And Wine-Making Challenges And Development Perspectives In Kakheti Region


***Badri Ramishvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Meri Ososhvili, PhD student***
***Georgian Technical University***


### Summary


The work is about wine-growing and wine making Challenges and perspectvies. Where there are not a lot of exclusive and special products made and which will do concurented on markets rich product segment, so wine is such marketable output .Wine culture is unique in the world with different reasons and wine-making was, is and will be for agriculture the most important and old line in the Country . It is quite high priority for values and culture popularization of Kakheti .In exchange relations scientists attention is strengthen to wine-making and wine-growing processes which is the main key matter. And the development or the region and the whole country is depend on that processes.

**განვითარების სამსახურის როლი და საჭიროობა ერთობლივ საწარმოებში**

*როხვაძე მაია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში - „განვითარების სამსახურის როლი და საჭიროობა ერთობლივ საწარმოებში" - განხილულია ამ სტრუქტურის არსი, დანიშნულება და საჭიროება. სტატიაში ავტორი ასაბუთებს, რომ განვითარებული ქვეყნების ყველა მსხვილ კომპანიებს მართვის აპარატში ასეთი დასახელების სტრუქტურა აქვთ შექმნილი, რომელსაც ევალება ახალ-ახალი იდეების გენერაცია კომპანიისთვის. ამ გზას დაადგა ჩინეთიც, რომელმაც დიდ წარმატებებს სწორედ ამ გზით მიაღწია.

სტატიის ავტორი იწონებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის გადაწყვეტილებას, რომელიც ჩაიწერა საქართველოს განვითარების სტრატეგია „საქართველო-2020"-ში, რომ საქართველოს მთავრობაში შეიქმნება განვითარების საბჭო, მაგრამ აღნიშნავს ამ მიმართულებით დიდ უმოქმედობასაც. დღეს საქართველოში ასეთი სტრუქტურა არც მთავრობაში არის შექმნილი და არც კომპანიებში.

სტატიის ავტორი დეტალურად იხილავს იტალია-საქართველოს ერთობლივ საწარმოებში მოქმედ მართვის სტრუქტურებს - ხაზობრივ-ფუნქციურს („იტალიანო რესტორანო"-სა და შპს „აგრიჯორჯია"-ში) და შტაბურს („იტალიანო კონსტრუქციონო"-ში) და აღნიშნავს, რომ ამ სტრუქტურების ტიპიურ სქემებშიც კი არ არის გათვალისწინებული განვითარების თუ გარდაქმნის სამსახურები და ეს მათ დიდ ნაკლად მიაჩნია.

სტატიის ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ცვლილებების ის დაჩქარებული რიტმი და ტემპი, რომელიც XXI საუკუნეში დაიწყო და მიმდინარეობს, აუცილებლად მოითხოვს ნიჭიერი, კრეატული ახალგაზრდა ადამიანებით დაკომპლექტებულ ასეთი სამსახურების არსებობას კომპანიებშიც და ქვეყნის მთავრობაშიც.

საკვანძო სიტყვები: ერთობლივი საწარმო; განვითარების საბჭო; განვითარების სამსახური; მართვის სტრუქტურა; განვითარების იდეები; შემაფერხებელი ბარიერი; კრეატულობა.

**ძირითადი ტექსტი.**

ამ სტატიაში საუბარს იმით დავიწყებთ, რომ ჩინეთში, რომლის წარმატებებზე თითქმის ლეგენდებია შექმნილი, არა თუ მთავრობაში, არამედ, ყველა დიდ საწარმოში განვითარების საბჭოებია შექმნილი.

ასეთი განზრახვა საქართველოს 2016-2020 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაშიც ჩაიწერა 2013 წელს. მასში ვკითხულობთ შემდეგს: „საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინირების მიზნით შეიქმნება ეროვნული განვითარების საბჭო" (1). საქართველოს მთავრობამ, ეს ღონისძიება დაგეგმა იმ მიზნით, რომ აამაღლოს ქვეყნის განვითარების დონე და გაზარდოს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, მაგრამ ამ სტრატეგიაში არაფერია ნათქვამი იმაზე თუ როდის შეიქმნება ეს საბჭო, რა ფუნქციები ექნება მას და ა. შ.

ჩვენი აზრით, პირველი ნაბიჯი, რაც ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას, უნდა იყოს არა მთავრობაში განვითარების ეროვნული საბჭოს შექმნა, არამედ კომპანიებში მათი შექმნა. არა აქვს მნიშვნელობა მას რა დაერქმევა - განვითარების საბჭო, თუ განვითარების ცენტრი, გარდაქმნის თუ რესტრუქტურიზაციის სამსახური, სახელი არც მის დანიშნულებას ცვლის და არც მის შინაარსს. ასე რომ, თუ ვაპირებთ მოვხსნათ ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის გრძელვადიან ზრდის საფუძვლების შექმნას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ეს სამუშაო ცალკეული კომპანიებიდან (უპირატესად მსხვილი კომპანიებიდან) უნდა დავიწყოთ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოტენციალს მისი სამეურნეო სუბიექტები ქმნიან. იგი მათი პოტენციალის ჯამია, მათზე დგას საქართველოს ეკონომიკა, მათში უნდა ვიპოვოთ კონკურენტუნარიანობის შემაფერხებელი ბარიერე-

ბი და გავატაროთ მათი მოსახსნელი ღონისძიებები.

დღეს, საქართველოს 2016-2020 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მეოთხე წელში ვიმყოფებით. დარჩა ერთი წელი და ეს სტრატეგია ამოწურულად უნდა ჩავთვალოთ, ასეთ დროს არც მთავრობაში შექმნილა ეროვნული განვითარების საბჭო და არც რაიმე სხვა მისი ჩამნაცვლებელი ორგანო. კომპანიებში კი აზრი განვითარების ცენტრების შექმნაზე, იდეის დონეზეც არ დაბადებულა.

ასეთ დროს, ჩინეთში ყველა მსხვილ საწარმოში ეს სავალდებულო წესით იქმნება და დაკომპლექტება მხოლოდ კრეატული, შემოქმედი ადამიანებით ხდება. ისინი თავისუფალი გრაფიკით მუშაობენ და მათი ვალია განვითარების (გარდაქმნის, გადაპროექტების, რესტრუქტურიზების) იდეების მიწოდება კომპანიის ხელმძღვანელობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპები საოცრად მაღალია და ოქრო-სავალუტო რეზერვები ძალიან მასშტაბურია, დღევანდელი ჩინეთის მთავარი სიმდიდრე უკანასკნელ წლებში გამოჩენილი 300 მილიონი კრეატული უმაღლეს კურსდამთავრებულია, რომლებიც ეროვნული ადამიანისეული პოტენციალისა და კრეატული კლასის ძირითადი ბირთვია“ (2, გვ. 63).

აშშ-ში უცხოეთიდან კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა ეროვნული პრიორიტეტის ხარისხში განაცხადეს და ნაციონალური უშიშროების სტრატეგია მიიღოს (3), რაც ქვეყნის პრეზიდენტმა 2010 წელს დაამტკიცა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ამერიკამ ეს საკითხი სურვლის დონეზე კი არ გააჟღერა, არამედ დაიწყო და დღესაც აგრძელებს ე. წ. „ტვინების მოზიდვის“ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა განსაკუთრებით აქტიურად პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ხორციელდება, რასაც ამ ქვეყნების სიღარიბეც უწყობს ხელს.

საქართველოში ამ საკითხებს საერთოდ არ ექცევა ყურადღება. იმ კომპანიებშიც კი, რომლებიც ერთობლივი საწარმოებია, და რომლებიც ჩვენ შევისწავლეთ - „იტალიანო რესტორანი“, „იტალიანო კონსტრუქციონი“ და „აგრიჯორჯია“ არც განვითარების ცენტრებია შექმნილი და არც ის განზრახვა დავინახეთ, რომ რომელიმე მხარე - იტალიური ან ქართული - დაინტერესებული იყოს კრეატული ადამიანების შემოქმედებითი პოტენციალით.

ჩვენს მიერ გამოკვლეული კომპანიებიდან ორს - „იტალიანო რესტრონას“ და შპს „აგრიჯორჯიას“ მართვის ხაზობრივ-ფუნქციონალური სტრუქტურები აქვთ. ეს სტრუქტურა მექანიკურ, ბიუროკრატიულ სტრუქტურად ითვლება. იგი განვითარების ბარიერად ითვლება, რადგან მექანიკური სტრუქტურის მქონე კომპანიები ხასიათდებიან მკაცრი და ხისტი კონტროლით. ასეთ კომპანიებს გააჩნიათ [4, გვ. 79]: სუსტი დეტერმინალიზაცია, ფორმალიზაციის მაღალი დონე, მართვადობის დაბალი ნორმა, სპეციალიზაციის მაღალი დონე, გადაწყვეტილებების მიღებაში რიგითი მუშაკების ჩართულობის დაბალი დონე, ცენტრალიზაცია და მკვეთრი მმართველობითი ჯაჭვი. მექანიკურ ორგანიზაციულ სტრუქტურებს მიეკუთვნებიან: ხაზობრივი (მარტივი), ფუნქციონალური და დივიზიონალური სტრუქტურები. მათი ნაკლოვანებებია: დამოკიდებულება ერთ ადამიანზე, საკუთარი მიზნის შესრულებით გატაცება, მოქმედებათა და რესურსების ხარჯვის დუბლირება.

ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურების სრული ანტიპოდია ადაპტური სტრუქტურები. მათ რიცხვშია: პროექტული, მატრიცული, შტაბური, გუნდური და ქსელური სტრუქტურები, ეს სტრუქტურები კომპანიებში მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტირებული სტრუქტურებია, თუმცა, მათაც აქვთ როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. არ შეიძლება ითქვას, რომ ადაპტური სტრუქტურები ყოველთვის უფრო ეფექტურია, ვიდრე მექანიკური (ბიუროკრატიული) სტრუქტურები. მსოფლიოს კომპანიების ცხოვრებაში არის როგორც ერთი, ისე მეორე სტრუქტურით წარმატებით მუსაობის მაგალითები. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეისთვის მართვის უნიევრსალური ორგანიზაციული სტრუქტურა არ არსებობს. საჭიროა მხოლოდ შეცვლილ გარემო პირობებთან სტრუქტურის ადაპტირება. არა აქვს მნიშვნელობა რა დაერქმევა ამას - კორექტირება, გარდაქმნა, გარდასახვა თუ რესტრუქტურიზაცია. მთავარია იგი გონივრულად, სისტემურად განხორციელდეს, რადგან ამის უნივერსალური წესი არ არსებობს. ჩვენს მიერ გამოკვლეული კომპანიებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, „იტალიანო კონსტრუქციონი“ შტაბური მართვით მუშაობა, თუმცა, განვითარების ცენტრი თუ საბჭო არც მას აქვს გახსნილი.

მენეჯმენტის მეცნიერებაში იდეის დონეზე არსებობს მექანიკური და ადაპტური სტრუქტურების ჰიბრიდიც. ეს სტრუქტურა ჯერჯერობით თეორიულ დონეზეც არ არის დამუშავებული. მეცნიერებმა მას „ხელის მოკიდება“ და მეცნიერებაში შემოტანა ვერ გაუბედეს [4, გვ. 107].

წინამდებარე სტატიის დაწერის მიზანი არ არის მმართველობით სტრუქტურების ავ-კარგზე მსჯელობა. ამ ნაშრომით ჩვენ გვინდა კომპანიების დონეზე წინ წამოვწიოთ ის საკითხი, რომლითაც მოცემული ნაშრომის წერა დავიწყეთ, ანუ კომპანიების მართვის სტრუქტურებში განვითარების საბჭოების შექმნის საკითხი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც საქართველოს მთავრობაში გადაწყდა შეიქმნას განვითარების ეროვნული საბჭო, ისე კომპანიების ორგანიზაციულ სტრუქტურაში, არა აქვს მნიშვნელობა მექანიკური იქნება იგი, ადაპტური თუ ჰიბრიდული, უნდა მოეძებნოს თავისი ადგილი კომპანიის განვითარების სამსახურს. შეიძლება მას საბჭო დაერქვას, შეიძლება სააგენტო და შეიძლება ცენტრი. ეს არც მის დანიშნულებას ცვლის და არც საქმიანობის შინაარსს.

კომპანიის მართვის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში ამ სამსახურის „ჩაჯდომა“ დროითაა ნაკარნახევი. აქამდის იგი ჩვენთვის ცნობილ არცერთ სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული. შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: რა საჭიროა ასეთი ერთეული, როცა ფირმის მთელი მენეჯმენტი, მთელი მისი საქმიანობა ამ მიზანს ემსახურება? კი, ზოგადად, ასეა, მაგრამ არ არსებობს სამსახური რომელსაც დაევალება ახალ-ახალ იდეების გენერირება. ამას ვერ გააკეთებენ ის ადამიანები, რომლებზეც კომპანიაში ყოველდღიური დავალებების შესრულება არის გაპიროვნებული - მარკეტოლოგები, ფინანსისტები და სხვები. ეს უნდა გააკეთონ თავისუფალი გრაფიკით მომუშავე ახალგაზრდა შემოქმედმა ადამიანებმა.

დღეს ეს საკითხი საქართველოში მეტად მტკივნეულად დგას. ამის მიზეზი ის არის, რომ აგერ 28 წელია ვადგევართ გარდაქმნის გზას, თითქოს ბევრ რამეს ვაკეთებთ განსავითარებლად, მაგრამ საჭირო დონეზე მაინც ვერ განვითარდით. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ არც პირველად რგოლებში, არც სამინისტროებსა და უწყებებში და, არც ქვეყნის მთავრობაში, არ გვაქვს შექმნილი განვითარების სტრუქტურები, რომელთაც დაევალებათ განვითარების გზების შემუშავება, ფუნქციების გადანაწილება დანარჩენ მმართველობით რგოლებს შორის, მათი სათანადო რესურსული უზრუნველყოფა და შემდეგ მათი გაკონტროლება, ანუ განვითარების მიმართულებით მათი წვლილის აწონ-დაწონვა.

საქართველოში კომპანიების განვითარების პრობლემა „სასწრაფო, ოპერატიულ, მიმდინარე საქმეების სიმრავლეს ეწირება. მენეჯერები მიმდინარე საქმეების მოგვარებას ანიჭებენ უპირატესობას და ხვალისთვის დებენ ისეთ საქმეებს, რომელთა გაუკეთებლობა სულ უფრო ამძიმებს კომპანიების მდგომარეობას“ [5, გვ. 201].

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩვენს მიერ შემოთავაზებული კორექტირებით, ჩვენ გარკვეულ „კალაპოტში“ ჩავსვამთ კომპანიების განვითარების პროცესს, მივცემთ მას მიმართულებას, გამოვუძებნით წყაროებს, შევამოწმებთ მათი გამოყენების სისრულეს და ეფექტიანობას, გავაკონტროლებთ შედეგიანობას.

ქართველებს კონტროლი არ გვიყვარს, მაგრამ ეს არ იქნება გარედან კონტროლი, ეს იქნება თვითკონტროლი, კონტროლი იმისა, რომ კომპანიის მენეჯმენტი უწინარესად დაკავდეს გრძელვადიანი განვითარების საკითხებით. არსებობს აზრი, რომ განვითარების ეს სამსახური იყოს კოლეგიალური ორგანო, რომელიც წინასწარგანსაზღვრული პერიოდულობით (მინიმუმ თვეში ერთხელ) შეიკრიბება და მხოლოდ განვითარების საკითხების განხილვით, გადაწყვეტითა და ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის რევიზიით იქნება დაკავებული [5, გვ. 202]. ამავე აზრით, თვით განვითარების საბჭო კომპანიის წამყვანი ქვედანაყოფების ხელმძღვანელებით უნდა დაკომპლექტდეს, ანუ მასში უნდა შედიოდნენ საშუალო და მაღალი დონის მენეჯერები, და აგრეთვე რამდენიმე რიგითი თანამშრომელიც [5, გვ. 202-204]. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას შემდეგი არგუმენტების გამო:

1. კომპანიის საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებს ისედაც ევალებათ კომპანიის

განვითარებაზე ზრუნვა.
2. კომპანიის მაღალი და საშუალო დონის მენეჯერებს განვითარების საბჭოში მუშაობით არ ექნებათ დამატებით ანაზღაურება, სამეურნეო საქმეში კი ენთუზიაზმი არაფერს არ იძლევა.
3. განვითარების ასე დაკომპლექტებული სამსახური შეიკრიბება მხოლოდ პერიოდულად. კომპანიის განვითარებას კი ისეთი სამსახური სჭირდება, რომლის მუშაკები იმუშავებენ თავისუფალი გრაფიკით, მაგრამ სისტემატურად.

ჩვენი აზრით, კომპანიების განვითარების სამსახური უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი პროფესიონალების და უმაღლესი კომპეტენტურობის მქონე შემოქმედებითი ნიჭის მუშაკებისგან. მათ შეიძლება ინოვატორები ან ექსპერტები ვუწოდოთ. მათი რაოდენობა უნდა იყოს კენტი - 3 ან 5, მსხვილ კომპანიებში - 7. მათ მუშაობის თავისუფალი გრაფიკი უნდა მიეცეთ, მაგრამ ისე, რომ დღე-ღამის ნებისმიერ დროს კომპანიის მუშაობის ამსახველ ინფორმაციაზე ჰქონდეთ წვდომა. თანამედროვე კომპიუტერულ ეპოქაში ეს, სრულიად შესაძლებელია. ექსპერტები დამოუკიდებლად მუშაობენ, მაგრამ მიღებული შედეგების შეჯერებას ახდენენ ყოველი თვის, კვარტალის და წლის ბოლოს. შეჯერების შედეგები თვეების და კვარტლების ბოლოს ხსენდება ტოპ-მენეჯერთა სხდომებს, ხოლო წლის ბოლოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას.

განვითარების საბჭოში დასაქმებულები არა მხოლოდ შეაფასებენ განვითარების მიმართულებით კომპანიის მიერ გაწეულ მუშაობას, არამედ, ეძებენ რეზერვებს, მათი ამოქმედების გზებს და იძლევიან რეკომენდაციებს. ექსპერტები მხოლოდ გენერალურ მენეჯერს ექვემდებარებიან. სასურველია, რომ მათი რეკომენდაციები თავდაპირველად ექსპერიმენტის წესით დაინერგოს, შემდეგ კი, წარმატების შემთხვევაში, დასანერგად საალდებულო გახდეს.

**დასკვნა**

მოცემული საკითხის შესწავლით, ჩვენ დავადგინეთ, რომ საქართველოს კომპანიებში, მათ შორის იტალია-საქართველოს ერთობლივ საწარმოებში განვითარების სამსახურები (საბჭო, ცენტრი, სააგენტო) არ არის შექმნილი. არ არის იგი შექმნილი ქვეყნის მთავრობაშიც. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ ასეთი სამსახურების არსებობა ქვეყნის განვითარების საფუძველია. იგივეს აკეთებს ჩინეთიც. ჩვენი წინადადებაა, რომ განვითარების ქვედანაყოფები შეიქმნას ყველა მსხვილ და საშუალო სიდიდის საწარმოებში და ისინი დაკომპლექტდნენ მხოლოდ ახალგაზრდა, შემოქმედებითი ნიჭის ადამიანებისგან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო - 2020, თბ., 2013.
2. ჯოლია გ. კრეატული განვითარება, განათლება, ცოდნა, ქმედება, მონოგრაფია, 2016.
3. The National Secuirity strategy, Washington, 2010.
4. ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ. მენეჯმენტის საფუძვლები, 2013.
5. დააჩქარეთ განვითარება - შექმენით განვითარების საბჭო, სტატიების კრებული - „მართვის ახალი გეომეტრია, სინერჯი ჯგუფი, თბ., 2012.

## The role and necessity of development service in joint ventures

***Maya Rokhvadze, PhD student***
***Georgian Technical University***

### Summary

In the article "The role and necessity of development service in joint ventures" - the essence, purpose and necessity of this structure is discussed. In the article, the author concludes that all major companies of developed countries have a similar structure in the management system that is responsible for generating new ideas for the company. China also took this path,that has achieved great success in this way.

The author of the article appreciates the decision of the Government of Georgia 2013 which was recorded in the development strategy of Georgia "2020" that the Development Council will be created in the Government of Georgia, but it also points inactivity too. Today, such a structure in Georgia is neither created in the government nor in companies.

The author of the article will detaily discus management structures in the Italian-Georgian joint ventures - linear-function ("Italiano restorano" and "Agrigeorgia" and headquarters "Italiano constructiono") and note that even in the typical schemes of these structures There is a need for development or transformation services, and they consider it a great lack

The author of the article concludes that the accelerated rhythm and tempo of changes that began in the XXI century and Is in progress now, necessarily require talented, creatively young people to work in companies and in the government of the country.

Key words: Joint venture; Development Council; Development structure, Management structure; Development Ideas; Hindering barrier, Creativity.

## სოფლის მეურეობის განვითარების ეტაპები თურქეთში და მისი ადაპტაცია საქართველოში

*რაჟამაშვილი ნინო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

წინამდებარე სტატია წარმოადგენს თურქეთის აგრო სექტორის მიმოხილვას საქართველოს ჭრილში. სტატიის მიზანი არის შესაბამისობის დადგენა თურქეთსა და საქართველოს აგრო სექტორს, მათ რესურსებსა და პოტენციალს შორის. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს გლობალურ გარემოში ღირსეული ადგილის დაკავებას, ქვეყანაში არის მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები, ხშირია პოლიტიკური კონფლიქტები რაც თავისთავად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მიუხედავად იმისა რომ გატარდა არაერთი რეფორმა მოსახლეობის ფიანანსური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, მაღალია ინფლაცია, ეროვნული ვალუტა დევალვირდება, აღინიშნება ინვესტიციების კლება.

ქვეყანა საჭიროებს მყარ და სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს, რაც თავის მხრივ განაპირობებს მოსახლეობის კმაყოფილების ზრდას, უმუშევრობის დონის კლებას და ა.შ. სოფლის მეურნეობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე განმეხილა მეზობელი, თურქეთის გამოცდილება ერთერთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, აგრო ბიზნესში. შემედარებინა მისი და საქართველოს რესურსები, მათი გეოგრაფიულ-ეკონომიკური მსგავსება და ამის საფუძველზე გამოგვეტანა დასკვნა-თუ რამდენად შეიძლება თურქეთის მსგავსი სასოფლო სამეურნეო რეფორმების გატარება საქართველოში.

საკვანძო სიტყვები : სოფლის მეურნეობა. აგრო წარმოება. ეკონომიკური მაჩვენებლები.

**ძირითადი ტექსტი**

მაშრომს დავიწყებ თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის, მეჰმეთ მეჰდი ეკერის სიტყვებით:

*„ჩვენ გვყავს ახალგაზრდა და დინამიური მოსახლეობა, რომელთა ოდენობაც 75 მილიონს აღემატება. ჩვენ გვჯერამ რომ როგორც მსოფლიო იცვლება, კლიმატი იცვლება, სოფლის მეურნეობის სექტორმაც უნდა ადაპტირება მოახდინოს ამ ცვლილებებზე. და ჩვენ, შევიცვლით მსოფლმხედველობას, სოფლის მეურნეობასთან მიმართებით“*

ამ განცხადების შემდეგ თრქეთმა მართლაც უამრავი რეფორმა გაატარა ქვეყანაშ, გახდა მსოფლიოში ერთ -ერთი ძირითადი ექსპორტიორი სოფლის მეურნეობის პროდუქციის. ნაშრომში გთავაზობთ მოკლე მიმოხილვას ჩვენი მეოზბელი ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებებისა.

**სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითადი მაჩვენებლები.**

თურქეთი:

- საერთო ფართი: 78, 9 მილიონი ჰა
- მოსახლეობა: 78,7 მლნ
- პროვინციების რაოდენობა: 81
- ქალაქების რაოდენობა და ქვედანაყოფები: 2.951
- სოფლების რაოდენობა: 34.334
- სასოფლო-სამეურნეო მიწა: 23,8 მილიონი ჰა;
- საძოვრები და მდელოები: 14,6 მლნ;
- ტყეები: 22,3 მლნ;
- სოფლის მეურნეობის რაოდენობა: 3 მილიონი;
- ჰოლდინგის საშუალო ზომა: 6 ჰა.

საქართველო:

- საერთო ფართი: 69700 კვ.მ
- მოსახლეობა: 3729,6

პროვინციების რაოდენობა:

- ქალაქების რაოდენობა და ქვედანაყოფები: 62 ქალაქი (კონფლიქტური რეგიონების გათვალისწინებით)
- სოფლების რაოდენობა: 4500 (კონფლიქტური რეგიონების გათვალისწინებით)
- სასოფლო-სამეურნეო მიწა: 787.7
- საძოვრები და მდელოები: 109.6
- ტყეები: 2,69 მლნ. ჰა
- სოფლის მეურნეობის რაოდენობა: 642.2 ათასი

**ძირითადი მაჩვენებლები**

თურქეთი:

| ძირითადი მაჩვენებლები | 2002 | | | 2016 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **თურქეთი** | **სოფლის მეურნეობა** | **სოფლის მეურნეობის წილი (%)** | **თურქეთი** | **სოფლის მეურნეობა** | **სოფლის მეურნეობის წილი (%)** |
| დასაქმება | 21,4 | 7,5 | 35,0 | 27,2 | 5,3 | 19,5 |
| GDP (მილიარდი $) | 230,5 | 23,7 | 10,3 | 856,8 | 52,3 | 6,1 |
| GDP თითოეული დასაქმებულის ($) | 10.794 | 3.179 | - | 31.494 | 9.855 | - |
| ექსპორტი (მილიარდი $) | 36,0 | 4,0 | 11,2 | 142,6 | 16,9 | 11,9 |
| იმპორტი (მილიარდი $) | 51,5 | 3,9 | 7,7 | 198,6 | 15,6 | 7,9 |

საქართველო:

| ძირითადი მაჩვენებლები | 2016 | | |
|---|---|---|---|
| | **საქართველო** | **სოფლის მეურნეობა** | **სოფლის მეურნეობის წილი (%)** |
| დასაქმება (ათასი კაცი) | 1717.3 | მოსახლეობის 50% | - |
| GDP (მილიონი GEL) | 34 028.5 | 2 703,2 | 8,9 |
| GDP ერთ სულ მოსახლეზე (GEL) | 9 146.4 | - | - |
| ექსპორტი | 2 204 | 2112.9 | - |
| იმპორტი | 7 729 | 7294.0 | - |

**სასოფლო-სამეურნეო ხედვა 2023 წლისთვის თურქეთში:**

- უზრუნველყოფს თავის მოსახლეობას საკმარისი, ხარისხიანი და უსაფრთხო საკვებით;
- გააუმჯობესებს მის წმინდა ექსპორტს სოფლის მეურნეობის პროდუქციის;
- გაზრდის კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზარზე.

**თურქეთში გატარებული რეფორმები სოფლის მეურნეობაში.**

15 ძირითდი კანონი, რაც წინ უძღვოდა ტრანსფორმაციასა და სტრუქტურულ ცვლილებებს სოფლის მეურნეობაში:

1. კანონი სოფლის მეურნეობის შესახებ;
2. კანონი ორგანული მეურნეობის შესახებ;

3. კანონი მცენარეთა სელექციონერების შესახებ რათა დაცული ყოფილიყო ახალი, გამოყვანილი მცენარის ჯიშები;
4. კანონი სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის შესახებ;
5. კანონი ნიადაგის დაცვისა და მიწის გამოყენების შესახებ;
6. კანონი მცენარეთა თესლის შესახებ;
7. კანონი ზირაათ ბანკის მიერ მიწოდებულ სოფლის კოლექტივების/ ჯგუფური სესხებიდან გამომდინარე გარანტიის დასრულების შესახებ;
8. ბანკი და სოფლის მეურნეობის საკრედიტო კოოპერატივები.
9. კანონი, FAO-ს ცენტრალური აზიის სუბ-რეგიონის ოფისის შეთანხმების დასადასტურებლად გაეროს შორის;
10. (UN) საკვები, სოფლის მეურნეობა (FAO) და თურქეთს რესპუბლიკა.
11. კანონი ბიოუსაფრთხოების შესახებ;
12. კანონი ლიცენზირებული საწყობის შესახებ;
13. კანონი ვეტერინარიის, მცენარეთა ჯანმრთელობისა, საკვები და კვების შესახებ;
14. კანონი სამეწარმეო კრედიტების რესტრუქტურიზაციის შესახებ, ზირატ ბანკის პრობლემებთან და მიწოდებასთან დაკავშირებით;
15. სოფლის მეურნეობის საკრედიტო კოოპერატივები.
16. ბრძანება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციისა და მოვალეობის შესახებ;
17. კანონი მეცხოველეობის შესახებ;
18. კანონი ანტალიაში EXPO 2016-ს შესახებ.

**თურქეთში, სოფლის მეურნეობაში ფრაგმენტაციის პრევენცია:**

თურქეთში საქართველოს მსგავსად საწყის ეტაპზე, ერთ-ერთ უმნიშნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია. აღნიშნულის გამოსასწორებლად რიგი ღონისძიებები გატარდა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში და შედეგად პრობლემა აღმოიფხვრა კიდეც.

თრქეთს რესპუბლიკის, საკვების, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის სამინისტრო, მათ მიერვე გამოცემულ ნაშრომში სახელწოდებით „სტრუქტურული ცვლილებები და რეფორმები თურქეთის სოფლის მეურნეობაში

2003-2013 წლებში“ გვთავაზობს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რაც ხორციელდებოდა მიწების ფრაგმენტაციის პრევენციისათვის:

1. სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად ხორციელდება და მომავალშიც გაგრძელდება, სამართლებრივი ღონისძიებები;
2. ამ ფარგლებში განისაზღვრა „განუყოფელი(მინიმუმი) ნაკვეთის ზომები“.
3. ეს კანონი შეაფერხებდა დანაწევრებას სპეციალური პროდუქციის საწარმოებლად გამოყოფილი მიწებისა და მარგინალური სასოფლო-სამეურნეო მიწების 2 ჰექტარზე ნაკლებად; გაშენებული სასოფლო-სამეურნეო მიწები 0,5 ჰექტარზე ნაკლებად და სათბურის სასოფლო-სამეურნეო მიწები 0,3 ჰექტარზე ნაკლებად.
4. შეჩერდა იმ მიწების გაყიდვის პროცესი რომელთა ზომაც ნაკლები იყო ზემოთ აღიშნულ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ზომებზე.
5. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციასთან დაკავშირებით , მომზადდა მემკვიდრეობის კანონპროექტის პროექტი.
6. 2014 წელს გამოქვეყნებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად 10 წლიანი დეტალური და მრავალმხრივი კვლევები „კანონი ნიადაგის დაც-ვისა და მიწათსარგებლობის შესახებ და თურქეთის სამოქალაქო სამართლის გადასინჯვა“
7. 2013-2016 წლის განმავლობაში, საერთო ჯამში 4.2 მილიონი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გადანაწილებული იქნა მემკვიდრეებისათვის და 651 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყიდვას შეეშალა ხელი.

**დასკვნა**

სოფლის მეურნეობა თრქეთში ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური დარგია. ჯერ კიდევ 2011 წლის მონაცემებით იგი უზრუნველჰყოფდა ქვეყანას 62.7 მილიარდ აშშ. დოლარიანი შემოსავალით. დარგში კი დასაქმებული იყო 6,1 მილიონი ადამიანი. სოფლის მეურნეობიით ძირითადად დაკავებულნი არიან თურქეთის სამხრეთით მდებარე რეგიონები, მაგალითად: ანტალია, იზმირი, ჰატაი, მერსინი, გაზიანტეფი. თრქეთის ზღვისპირა რეგიონები დაკავებულნი არიან მეთევზეობით.

თურქეთ მსოფლიო მასშტაბით ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქცის ექსპორტირებას.

თურქეთი სანამ წარმატებას მიაღწევდა დარგში, მსოფლიო მასშტაბით, იძულებული იყო რიგი ღნისძიებები გაეტარებნა. აქვე აღვნიშნავ, რომ თრქეთსა დას აქართველოს ბევრი მსგავსება აქვთ, მსგავსია დარგში არსებული პრობლემებიც. თურქეთს წლების წინ ისევე როგორც ჩვენს ქვეყანას ჰქონდა მიწების ფრაგმენაციის პრობლემა, (საქართველოში ეს პრობლემა დაიწყო 1992 წლიდან, როდესაც მოხდა სასოფლო-სამეურნეო მიწის მოსახლეობისთვის გადანაწილება) ფრაგმენტაციის პრობლემა უფრო და უფრო იზრდებოდა რაც აქტუალური ხდებოდა მიწის მემკვიდრეობით მიღება ოჯახის წევრებს შორის. მოგეხსენებათ ამ პრობლემის შედეგად იზრდება დანახარჯი წარმოებასთნ დაკავშირებით, ხოლო მცირდება შემოსავალი. იზრდება დანახარჯი წარმოებასთან დაკავშირებით, რთულია მექანიზაციის გამოყენება, რაც უფრო და უფრო ართულების მიწის დამუშავებასთნ დაკავშირებულ პრობლემებს.

თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაატარა რიგი ღნისძიებები პრობლემის გადასაჭრელად. მაგალითად მკაცრად გაკონტროლდა მიწის ფრაგმენტაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებული კანონი. გაიზარდა სუბსდიების რაოდენობა სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფო უზრუნველჰყოფდა მოსახლეობაში განათლების დონის გაზრდას აღნიშნულ დარგში. ასევე გაიზარდა მექანიზაციის დონე დარგში და აღმოფხვრა მიწების გაფართოების და მექანიზაციის როლის ზრდის შედეგად გამოწვეული უმუშევრობის პრობლემა, რეგიონებშ გადამამუშავებელი პუნქტების ჩამოყალიბებით.

ვინაიდან საქართველოსა და თრქეთს შორის ბევრი მსგავსებაა, ჩემი აზრით თრქეთს აგრო ეკონომიკური მოდელის საქართველოს მაგალითზე გამოყენება არ იქნება ურიგო დარგის გამ

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. WWW.GEOSTAT.GE
2. „ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია“ - ოთარ ნადარაია
3. „Agricultural Productivity and Growth in Turkey“ - Ayse ˙Imrohoroglu, Selahattin ˙Imrohoroglu, Murat Ungor.
4. “STRUCTURAL CHANGES AND REFORMS IN TURKISH AGRICULTURE 2003-2013”- The Ministry of Food Agriculture and Livestock
5. “STRUCTURAL CHANGES AND REFORMS IN TURKISH AGRICULTURE 2003-2016”- The Ministry of Food Agriculture and Livestock

# Rural development stages in Turkey and its adaptation in Georgia

***Nino Rajamashvili, PhD student***
***Georgian Technical University***

## Summary

The present article presents overview of Turkish agriculture and it's similarity in Georgia. Idea of the article is to identify similarity between Georgia and turkey's economical situation, their resources and potential. From the day Georgia became independent, country tries to find a place in global surroundings. There is a bad economical and social problem in the country, frequent political conflicts which has a result on populations, life quality and economical state. Even though there were many reforms populations financial situation gets worst day after day. High inflation, national Currencies devaluation, there is lack of investment.

Country needs strong and stabile economical situation, which on its ones makes population more content, makes level of unemployment decrees and so on. So I decided to recall turkey's experience in one of most important field, agriculture. To compeer foreign countries and Georgian resources, their geographical and economical similarities and based on this make a conclusion on how possible it is to form a agricultural reform in Georgia.

**Key words**: Business, Agriculture, Agro industry, Strong economic

# საჯარო-კერძო პარტნიორობა როგორც აგროსამრეწველო კლასტერების განვითარების ინსტრუმენტი

*ქავთარაძე ნინო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ფარცვანია არჩილი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში განიხილება აგროსამრეწველო ბიზნესში საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე კლასტერული სტრუქტურების შექმნისა და განვითარების პერსპექტივები. საბუთდება კლასტერების განვითარებისათვისსამეწარმეო სტრუქტურების და სახელმწიფოს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის აუცილებლობა. ნაჩვენებია, რომ კლასტერული წარმონაქმნების სუბიექტების თანამოქმედების ეფექტურობის ასამაღლებლად მიზანშეწონილია საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმებისა და მექანიზმების ფართო სპექტრის გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: აგროსამრეწველო ბიზნესი, კლასტერი, საჯარო-კერძო პარტნიორობა, სამრეწველო წარმოება, ღირებულების ჟაჭვი.

**ძირითადი ტექსტი**

ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკა ხასიათდება სახელმწიფოს ფართო ჩართულობით კვლავწარმოების პროცესის ისეთი მიმართულებებში, როგორიც არის საბაზო დარგების (მაგალითად მანქამათმშენებლობა, მეტალურგია, სოფლის მეურნეობა და ა.შ.) განვითარება, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა, უზრუნველყოფა, საზოგადოების ძალისხმევის კოორდინაცია რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციისათვის, გარემოს დაცვისა და გაჯანსაღებისათვის. სახელმწიფოს მონაწილეობა ვლინდება მრავალფეროვანი ფორმებით, მათ შორის განვითარების ეროვნული პროგრამების, სუბსიდიების, სახელმწიფო შესყიდვების და სხვა სახით. სახელმწიფო ბიუჯეტზე დატვირთვის შემცირების და რეალიზებად პროექტებში კერძო კაპიტალის მოზიდვის მიზნით სახელმწიფოების მიერ ფართოდ გამოყენებადია საჯარო - კერძო პარტნიორობა. ყველაზე ფართო გავრცელება ამ ფორმამ მიიღო საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სფეროებში. საქართველოში საჯარო - კერძო პარტნიორობისგამოცდილება აგროსამრეწველო ბიზნესში შეზღუდულია ძირითადად ისეთი პროექტებით, რომლებიც მიეკუთვნებიან პირველადი პროდუქციის წარმოებას და (ან) მათ შემდგომ (სამრეწველო) გადამუშავებას, ასევე გარკვეულ დონემდე სოფლის მეურნეობის პირველადიპროდუქციის შენახვას. მაგრამ აგროსამრეწველო ბიზნესში საჯარო - კერძო პარტნიორობის პერსპექტივები უდავოდ უფრო ფართოა.აგრარული პოლიტიკის სფეროშიმომუშავე მეცნიერების და სპეციალისტების აზრით აგროსამრეწველო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს აგროსამრეწველო ინტეგრაცია და კოოპერაცია კლასტერული სტრუქტურების ბაზაზე.

სახელმწიფოს უდავოდ შესწევს უნარი გამოვიდეს ინტეგრაციული პროცესების ბაზისად და უზრუნველყოს სხვადასხვა ფორმის აგროსამრეწველო წარმონაქმნებში მონაწილეობის მიმღებთა თანამოქმედებების ეფექტურობა. ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან თანამოქმედება თაფორმების შერჩევაუნდა იყვეს განპირობებული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე გავლენის მქონე გარე ზემოქმედებების და შიდა პრობლემების გადაჭრის აუცილებლობით.

ეფექტური საჯარო - კერძო პარტნიორობა უნდა ითვალისწინებდეს აგროსამრეწველო ბიზნესის თავისებურებებს, რადგანაგროსამრეწველო ბიზნესი თავის განვითარებაში ეყრდნობა ძირითადათ მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტებს, რომლებიცეწევიან საქმიანობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, განაწილების და მოხმარების სფეროში. გამსხვილებული ფორმით აგროსამრეწველო ბიზნეს - სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ სამი ჯგუფის სახით:

1) პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სამრეწველო წარმოება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს

აგროსამრეწველო ბიზნეს - სტრუქტურები წარმოების საშუალებებით (სოფლის მეურნეობის მანქანა - ტრაქტორები და მექანიზმები; მანქანამშენებლობა სასურსათო და მსუბუქი მრეწველობისათვის; მინერალური სასუქების და მცენარეების დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოება; არსებული აღჭურვილობისა და ტექნიკის რემონტი; მშენებლობა და ა.შ.);

2) სოფლის მეურნეობა (მემცენარეობა და მეცხოველეობა);
3) საქმიანობა დამზადების, ტრანსპორტირების, შენახვის, სოფლსამეურნეო ნედლეულის გადამუშავების, ასევე საბოლოო პროდუქტის რეალიზების სფეროში.

ბიზნესის წარმართვისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფრასტრუქტურული გარემო, რომლის საწარმოო ნაწილი მოიცავს ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას და ა.შ., ხოლო სოციალური ნაწილი კი აგროსამრეწველო ბიზნესში ჩართული მოსახლეობის შრომის და ცხოვრების პირობებს (კომუნალური სამსახურები, საბავშვო ბაღები, აგროსამრეწველო სფეროში სპეციალისტების მოსამზადებელი/გადასამზადებელისასწავლო დაწესებულებები, სამედიცინო დაწესებულებები, რეკრეაციულ - სპორტული ცენტრები).

წარმოდგენილი სტრუქტურის ყველა ელემენტი გაერთიანებულია ღირებულების შემქმნის ჟაჭვში და თანამოქმედებისას ისინი უნდა შეესაბამებოდნენ მდგრადი განვითარების კრიტერიუმებს ეკნომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტში, ხოლო ჯაჭვის თითოეული მონაწილის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიისამოცანებს,რომელიც სხვა მიმართულებებთან ერთად უნდა მოიცავდნენ შემდეგ ამოცანებს:

1. შიდა და გარე ბაზარზე ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
2. ინსტიტუციური გარემოს სრულყოფა; სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;
3. ბუნებრივი რესურსების ეფექტური და რაციონალურიგამოყენება; პარტნიორული ურთიერთობების, ეფექტური კოოპერირების და ინტეგრაციის განვითარება მცირე ბიზნეს-სუბიექტების აქტიური ჩართვით ამ პროცესებში;

როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესის წარმომადგენლები, აქციონერები თუ ინვესტორები საჯარო-კერძო პარტნიორობას უნდა განიხილავდნენ როგორც საკუთარი ინტერესების რეალიზების შესაძლო ინსტრუმენტს.

მოცემულ ეტაპზე აგროსამრეწველო ბიზნესის განვითარებას თან ახლავს სისტემური ხასიათის პრობლემების საკმაოდ ფართო წრე.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში ძირითადი ადგილინ ეკავათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც ფუნქციონირებდნენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზემოთხსენებული ფორმით ორგანიზებული მწარმოებლები და პირადი (საოჯახო) მეურნეობებიც კი სახელმწიფოს მხრიდან იმყოფებოდნენ მკაცრი კონტროლის ქვეშ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ კოოპერატიულ-საკოლმეურნეო სექტორი ფაქტიურად გაქრა და სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში დომინანტური ადგილი დაიკავენ ოჯახურმა (ფერმერულმა) მეურნეობებმა. ამ პროცესმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობაში ბიზნესის დაქუცმაცებას, რამაც მკვეთრად შეზღუდა აგროსამრეწველო ბიზნესის ინოვაციური განვითარების და მისი მოდერნიზირების შესაძლებლობები.

აღწერილი ცვლილებების შედეგად აგროსამრეწველო ბიზნესში მნიშვნელოვნად დაირღვა არსებული პირდაპირი შიდა კავშირები, გაიზარდა დისტანცია მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის, ხოლო გაუცხოებულმა ურთიერთობებმა დესტრუქციული გავლენა იქონიეს სოფლის მეურნეობის მწარმოებლებზე.

არსებული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია აგრარულ სექტორში სწორი რეგიონალური (მუნიციპალური) პოლიტიკის გატარებით. წარმატებული რეგიონალური პოლიტიკა ნიშნავს ადგილობრივი ადმინისტრაციების უნარს გამოიყენონ არსებული კონკურენტული უპირატესობები

და მოახდინონ რეგიონალური ბიზნესის „კლასტერიზაცია“, კომპანიებსა და მეწარმეებს შორის, ხელისუფლების რეგიონალურ ორგანოებსა და ბიზნეს შორის ურთიერთკავშირების გაძლიერებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ობიექტური ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან კლასტერული სტრუქტურების ფორმირებას. პირველ რიგში ეს არის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობა. მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას რეგიონალური ხელისუფლების მხრიდან მიეკუთვნება სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კვანძები, კლასტერების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის სპეციალიზირებულიობიექტები, ენერგეტიკული სიმძლავრეები. აგროსამრეწველო კლასტერებისათვის აქტუალურ პრობლემად რჩება სასაწყობე კომპლექსების შექმნა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი დამუშავების საწარმოები. ასეთი ობიექტები მოითხოვენ დროისა და ფინანსების მნიშვნელოვან დანახარჯებს და შესაბამისად შეიძლება აღმოჩნდენ ძნელად რეალიზებადი აგროსამრეწველო ბიზნესის მცირე და საშუალო კომპანიებისათვის.

არ შეიძლება ვერშეფასდეს სატრანსპორტო პრობლემები, რადგან მწარმოებლების დაშორება ცენტრალური ტრასიდან, სასაწყობე სიმძლავრიდან, პირველადი დამუშავების ან გადამუშავების საწარმოდან, ან თუნდაც საბოლოო მომხმარებლისაგან მნიშვნელოვნად ზრდის ფულად და შრომით დანახარჯებს, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას და პროდუქტს ხდის ნაკლებად კონკურენტუნარიანად.

აგროსამრეწველო კლასტერების განვითარებისათვის სერიოზულ ხელისშემშლელ პრობლემას წარმოადგენს: (1) მცირე და საშუალო კომპანიებისათვის ფინანსური რესურსებისადმი წვდომის შეზღუდულობა; (2) კვალიფიცირებული პერსონალის ან თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების არ არსებობა; (3) მეწარმეების შეზღუდული შესაძლებლობები სამეცნიერო კვლევების (მაგალითად სასელექციო სამუშაოები, ახალი სასუქის შემუშავება, მემცენარეობაში და მეცხოველეობაში წარმადობის ამაღლების ხერხების მოძიება). ასეთი სამუშაოები შეიძლება ჩატარებული იქნას სპეციალიზირებული ორგანიზაციების მიერ, და სამუშაოების შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყვეს კლასტერის მონაწილეებისათვის წარმადობის, სამუშაოების ეფექტურობის ასამაღლებლად და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

ამრიგად, რეგიონალურ (მუნიციპალურ) მეწარმეობას უმეტეს შემთხვევებში არ შეუძლია განახორციელოს მაშტაბური პროექტები კლასტერების შესაქმნელად. ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოების ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების მოზიდვას. აცნობიერებენ რა, კლასტერული ინტეგრაციის, როგორც კლასტერის შიგნით საქმიანი აქტიურობის ზრდისა და სატელიტი დარგების მოზიდვის სტიმულის უპირატესობას, სახელმწიფო მართვის ორგანოები ეკონომიკური კრიზისის პირობებში ასევე არ არიან მზად სრული მოცულობით დააფინანსონ რეგიონალური პროექტები. ასეთ შემთხვევაში პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტად მიიჩნევა საზოგადო-კერძო პარტნიორობა კლასტერული სტრუქტურების შექმნის სფეროში.

ქვეყანაში აგროსამრეწველო ბიზნესის რეფორმირების პირველ ეტაპზე წარმატებული პროექტების უმეტესობა წარმოადგენდა მსხვილი წარმოებების საფუძველზე კლასტერის მაგვარი გაერთიანებების ფორმირების მცდელობას (მაგალითად მეღვინეობაში). ამასთნ, ქვეყანაში დღესაც არ არსებობს კლასტერების მიმართ ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა, ამიტომ მოვლენების ამგვარ განვითარებაში ძირითად როლს თამაშობდა ბაზარი და მეწარმეთა ინიციატივები. დროთა განმავლობაში, რაც უფრო მეტი კლასტერული ტიპის წარმატებული წარმონაქმნიიქნა შექმნილი, მით უფრო მეტი აქტუალურობა შეიძენა რეგიონალური განვითარების კონტექსტში კლასტერული წარმონაქმნების შექმნისას კომბინირებული მიდგომის (დირიჟისტული და ლიბერალური მიდგომების საფუძველზე) სტიმულირების, ყველაზე წარმატებული საერთაშორისო პროექტების ბენჩმარკინგის, ან კლასტერების ბუნებრივი ფორმირებისათვის შესატყვისი ხელსაყრელი გარემოს შექმნის საკითხებმა.

ნათელია, რომ ხელოვნური კლასტერის შექმნა არის საკმაოთ კაპიტალმოცულობითი

პროცედურა, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს რეგიონალური ბიუჯეტისათვის დაუძლეველი ამოცანა და საჭირო გახდეს ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა. მეორე მხრივ, სახელმწიფო ან რეგიონალური ეკონომიკა ვერ დაიცდის ათეულობით წელიწადს, მანამ სანამ ბაზარი თავად შექმნის აუცილებელ პირობებს კლასტერების ფორმირებისათვის. ამგვარად საჭირო ხდება კლასტერების ფორმირების პროცესის კატალიზატორი და ამ კატალიზატორად შეიძლება და უნდა გახდეს კერძო ბიზნესის და სახელმწიფოს თანამოქმედების ეფექტური მექანიზმი - საჯარო - კერძო პარტნიორობა.

სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზების მიზნით სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის ინსტიტუციური და ორგანიზაციული ალიანსის გამოყენება მნიშვნელოვან პერსპექტივებს წარმოშობს რეგიონების წინაშე სოფლის, მცირე და საშუალო ბიზნესის და მთლიანად რეგიონის განვითარების მხრივ. ამასთან, კლასტერული გაერთიანებების ეფექტურობა დამოკიდებულია საჯარო-კერძო პარტნიორობის რეალიზაციის ფორმებზე და მექანიზმებზე. ამჟამად გამოიყენება საჯარო-კერძო პარტნიორობის რამოდენიმე ფორმა და სახეობა, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ტაბულაში.

**სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორული ურთიერთობების ფორმებისა და სახეობების კლასიფიკაცია.**

| № | ფორმა | სახეობა (ტიპი) |
|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო ტენდერები | • სამუშაოების შესრულებაზე<br>• მართვაზე<br>• საზოგადოებრივი მომსახურების გაწევაზე<br>• სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის მოწოდებაზე<br>• ტექნიკური დახმარების გაწევაზე |
| 2 | არენდა | • ტრადიციული არენდა<br>• ლიზინგი |
| 3 | კონცესია | • „მშენებლობა-მართვა-გადაცემა“<br>• „მშენებლობა-ფლობა-მართვა“<br>• ექსპლუატაცია მშენებლობის სტადიის გარეშე<br>• „ჩრდილოვანი“ კონცესიები |
| 4 | შეთანხმება პროდუქციის გაყოფაზე | |
| 5 | ერთობლივი საწარმო | • აქციონირებით<br>• აქციონირების გარეშე |

საჯარო-კერძო პარტნიორობის კლასტერული სტრუქტურების შექმნის ეტაპების შესაბამისად კლასტერების იდენტიფიცირებისათვის, რეგიონის ეკონომიკაში მათი პერსპექტიულობის შეფასე-ბისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამუშაოს შესრულებაზე სახელმწიფო ტენდერების სისტემა, რომელსაც იყენებს რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლება. ინფრასტრუქ-ტურული ობიექტების შექმნის ეტაპზე მიზანშეწონილი იქნებოდა კონცესიური შეთანხმებების გამოყენება. რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლების მხრიდან ამგვარი პროექტების შესრულებაზე კონტროლი საშუალებას იძლევა შემცირდეს ინჯინრულ-ტექნიკური უზრუნველ-ყოფის ქსელებთან ობიექტების მიერთების დანახარჯები, ამაღლდეს შეთანხმების პროცედურების გამჭვირვალობა, მოხდეს პროექტების განხორციელების ვადების ოპტიმიზაცია. კლასტერის საბაზო საწარმო (როგორც უჩვენებს ინოვაციური კლასტერების განვითარების გამოცდილება) შეიძლება გახდეს ერთობლივი საწარმო (აქციონირებით ან აქციონირების გარეშე). კლასტერების ფუნქციო-ნირების პროცესში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ლიზინგი.

**დასკვნა**

ეკონომიკური გარემოს ტურბულენტობის პირობებში, ბაზრის თითოეული მონაწილისათვის, ეს იქნება მეწარმე თუ რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანო, ფინანსური რე-

სურსების დეფიციტის პირობებში, სახელმწიფო და ბიზნესი ვერ აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობის მთელ ტვირთს მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების დაბალანსებულ ეკონომიკურ განვითარებაზე.

მარეგულირებელი ზემოქმედების უზრუნველყოფით და საქონლისა და მომსახურების ეფექტური წარმოებისაკენ სამეწარმეო სუბიექტების მოტივირებით, ასევე რეგიონებისა და საწარმოების ინოვაციური განვითარებით, სახელმწიფოს თავის სამეწარმეო მოღვაწეობაში შესაძლებლობა აქვს გამოვიდეს თანაბარ პარტნიორად სოციალურად მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების ბაზარზე და კერძო ბიზნესთან ერთად განავითაროს კლასტერული სტრუქტურები აგროსამრეწველო ბიზნესის სფეროში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Колосовский Н. Н. Теория экономического районирования / Н. Н. Колосовский. – М.: Мысль , 1969. – 335 с.
2. Шумпетер Й.А. Капитализм, социализм и демократия: Пер. с англ. / Под. ред. В.С. Автономова. – М.: Экономика, 1995. – 540 с.
3. Доржиева Е.В. Формирование агропромышленных кластеров как условие инновационного развития региональных систем // Известия ИГЭА. 2011. № 4. С. 64-69.
4. Йескоб Э.Р. Государственно-частное партнерство: Основные принципы финансирования. М.: Альпина паблишер, 2015. 457 с.
5. Минаков И.А. Кооперация и агропромышленная интеграция. СПб.: Лань, 2016. 252 с.
6. Варнавский В.Г., Клименко А.В., Королев В.А. и др. Государственно-частное партнерство: теория и практика. М.: ГУ–ВШЭ, 2010. 287 с.
7. Public-Private Partnerships for Sustainable Agri-cultural Development. Paris, OECD, 2014.


## Public-Private Partnership as a Tool for Development of Agro-Industrial Clusters


***Nino Kavtaradze, Professor***
***Georgian Technical University***

***Archil Partsvania, PhD student***
***Georgian Technical University***



### Summary

The article discusses the prospects for the creation and development of cluster structures in the agro-industrial business on the basis of public-private partnership. The necessity of mutually beneficial cooperation between business structures and the state for the development of clusters is substantiated. It is shown that in order to increase the efficiency of interaction between cluster entities, it is advisable to use a wide range of forms and mechanisms of public-private partnership.

## პერსონალის მოტივაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში

*ღურწკაია თათია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*ღურწკაია კარლო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*გოგოლაძე ანა*
*ივ. ჯავახიშვილს სახელობის თბილსის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

პერსონალის ეფექტიანი მართვა შეუძლებელია მოტივაციის სისტემის გარეშე, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა და კომპანიის ურთიერთდამოკიდებულებას. სამამულო კომპანიების ხელმძღვანელები პროდუქტიული მუშაობის ერთადერთ სტიმულად ღირსეულ შრომის ანაზღაურებას მიიჩნევენ. ამასთან პერსონალის მოტივაციის უცხოური გამოცდილება უარყოფს ასეთ ცალმხრივ, მარტივ მიდგომას. რა თქმა უნდა, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ბრმად გადმოღება არ არის საუკეთესო გადაწყვეტილება.

საკვანძო სიტყვები: პერსონალი, მოტივაცია, საზღვარგარეთის ქვეყნები, იაპონური მოდელი, ამერიკული მოდელი, ფრანგული მოდელი.

**ძირითადი ტექსტი**

**პერსონალის მოტივაციის იაპონური მოდელი**

შრომის მწარმოებლურობა იაპონიაში გაცილებით მაღალია, ვიდრე ცხოვრების დონე და შრომის ანაზღაურება. ამასთან, იაპონური გამოცდილება ისეთ საზოგადოებაშია მისაღები, სადაც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი ინტერესები ინდივიდუა-ლურ მოთოხვნი-ლებებზე მაღლა დგას.

პირველი, შენ ემსახურები იმპერატორს(ქვეყანას), მეორე დამსაქმებელს, მესამე-საკუთარ ოჯახს. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია იფიქრო საკუთარ თავზე. ეს არის იაპონელების მოტივაციის საბაზისო პრინციპი, რომელიც შემორჩენილია ფეოდალიზმის დროიდან და წარმოადგენს მოტივაციის საფუძველს თანამედროვე იაპონიაში.

დამსაქმებლის მთავარი თვისება ამომავალი მზის ქვეყანაში კომპანიისადმი ერთგულებაა, რომელიც ხშირად საკუთარი ინტერესების იგნორირებას ახდენს. რაში გამოიხატება ეს?

- იაპონელები საკუთარ თავს მთლიანი სისტემის აუცილებელ რგოლად მიიჩნევენ და იღებენ პერსონალურ პასუხისმგებლობას კომპანიის ბედზე;
- იაპონელებისთვის ცნება „პროფესია“, „სამუშაო“, „საწარმო“ იდენტურია. პროფესიასთან დაკავშირებულ კითხვაზე იაპონელი დაგისახელებთ კომპანიას, ვიდრე საქმიანობის სფეროს;
- იაპონური სისტემა გაცდენილი სამუშაო დღეების მინიმალური რაოდენობით გამოირჩევა. მაღალი პასუხისმგებლობის გამო, ავადმყოფობის შემთხვევაშიც კი, დასაქმებული არ გადის ბიულეტენზე და აგრძელებს მუშაობას;
- ზეგანაკვეთური მუშაობა იაპონელებისთვის ნორმაა. საჭიროების შემთხვევაში ისინი რჩებიან სამსახურში წინასწარი შეთანხმების გარეშე. რა თქმა უნდა, ამას სიხარულით არ აკეთებენ, მაგრამ არც უფროსს უჩივიან: „ე.ი. ასეა საჭირო“;
- სრულფასოვანი შვებულების აღება იაპონელი დასაქმებულისთვის არალოიალური დამოკიდებულების გამოვლინებაა კომპანიისადმი. შესაბამისად იაპონელები კუთვნილი

შეღავათების მხოლოდ ნაწილს იყენებენ.

როდესაც იაპონელი საკუთარ თავს აიგივებს კომპანიასთან-ეს არა მხოლოდ ფეოდალური წყობილების გამოძახილია, არამედ მოტივაციის და პერსონალის მართვის თანამედროვე მიდგომის შედეგია.

მოტივაციის მთავარი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობენ იაპონური კორპორაციები შემდეგია: რაც უფრო დიდია სტაჟი, მით მაღალია თანამდებობა და შრომის ანაზღაურება. ეს იმას ნიშნავს, რომ კარიერული ზრდა პირდაპირ კავშირშია მუშაობის ხანგრძლივობასთან. პროფესიული თავისებურებები, კვალიფიკაცია, დასაქმებულის პირადი თვისებები მნიშვნელოვანია, მაგრამ შესაბამისი სტაჟის გარეშე ვერტიკალური მოძრაობა კომპანიაში შეუძლებელია. უფრო მეტიც, სამუშაო ადგილის შეცვლა ანულებს „წარსულ" დამსახურებას, ხოლო ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება მხოლოდ „შინაურ" თანამშრომელს შეუძლია.

წახალისების სახეები მოტივაციის იაპონურ სისტემაში, ხელფასის გარდა მოიცავს:

- პრემიებს და ბონუსებს, რომელსაც მინიმუმ ნახევარ წელიწადში უხდიან;
- მგზავრობის ხარჯებს;
- სამედიცინო დაზღვევას;
- სესხებს უძრავი ქონების შესაძენად;
- სწავლებას იაპონიის, ევროპის და აშშ-ს უნივერსიტეტებში;
- კვალიფიკაციის ამაღლებას ძირითადი სამუშაო ადგილიდან მოწყვეტის გარეშე.

**პერსონალის მოტივაციის ამერიკული მოდელი**

ამერიკულ კომპანიებში მოტივაციისადმი მიდგომა ეფუძნება პერსონალის აქტივობის წახალისებას. მოტივაციის ამერიკული მოდელის წარმატება განპირობებულია ამერიკელების ორიენტაციით პირად წარმატებაზე და კეთილდღეობის უმაღლესი დონის მიღწევაზე.

სხვადასხვა ქვეყნის კომპანიები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამერიკულ მოდელს ბიზნესის წარმოების საფუძვლად იყენებენ, სადაც თანამშრომლები მოტივირებულები არიან საკუთარი ვალდებულებების ეფექტურ შესრულებაზე. 1960-იან წწ. აშშ-ში შემუშავებულ იქნა ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები; თანამშრომელთა არამატერიალური მოტივაციის და მატერიალური სტიმულირების სისტემები; პერსონალის ლოიალობის ამაღლების მოტივები.

შრომის ანაზღაურების მოქნილი სისტემის გარდა ამერიკული კომპანიებისთვის დამახასიათებელია მომუშავეთა მოტივაციის არამატერიალური მეთოდების გამოყენება. კომპანიის პერსონალისთვის, როგორც წესი, ხელმისაწვდომია:

- სამედიცინო დაზღვევა, რომელსაც იხდის დამსაქმებელი;
- კვალიფიკაციის ამაღლების კურსები;
- უფასო სადილები;
- კორპორატიული დღესასწაულები;
- ერთობლივი მგზავრობა.

ამერიკული კომპანიები ეძებენ მომუშავეთა სტიმულირების არასტანდარტულ სისტემებს. მაგალითად, კომპანია IBM-მა და AT&T-მა შეარჩიეს „ოჯახური მოტივაციის" გზა. კომპანიის პერსონალის დიდი ნაწილის საშუალო ასაკი-ორმოც წელს ქვემოთაა. ამ ადამიანებს ჰყავთ ოჯახები, ეზრდებათ შვილები. ამიტომ ადმინისტრაცია მათ მოქნილი გრაფიკით მუშაობის საშუალებას აძლევს, ეხმარება ძიძის და სახლისთვის დამხმარე ქალის შერჩევაში, კორპორატიული ბაგა-ბაღების ორგანიზებას ახდენენ.

პერსონალის მოტივაციის სისტემა აშშ-ში ეფუძნება შრომის ანაზღაურების სისტემას. ყველაზე ხშირად ამერიკელი დამსაქმებლები ხელფასს შემდეგი სქემით ურიცხავენ დასაქმებულებს: საათობრივი ანაზღაურება პლიუს სხვადასხვა ტიპის ბონუსების მოდიფიკაცია. აშშ-ში პრემირების ყველაზე გავრცელებული ვარიანტი თანამშრომელთა მონაწილეობაა მოგებაში სკენლონის და რაკერის სისტემებით.

სკენლონის სისტემის დამფუძნებელი დარწმუნებული იყო, თუ თანამშრომელთა სტიმული-

რება მოხდებოდა სათანადო გზით, ხელმძღვანელობა უამრავ ინფორმაციას მიიღებდა მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად.

პერსონალის მოტივაციის კიდევ ერთი მეთოდი ამერიკულად-ხელფასის დარიცხვაა ათვისებული პროფესიების რაოდენობის და კვალიფიკაციის დონის შესაბამისად. ყოველი ახალი სპეციალობისთვის თანამშრომელს ერიცხება ქულები. ხელფასზე დანამატის მისაღებად, თანამშრომელმა უნდა დააგროვოს ქულების გარკვეული რაოდენობა. კვალიფიკაციის საფუძველზე ხელფასის დარიცხვის უპირატესობაა:

- თანამშრომელთა მობილობა კომპანიის შიგნით;
- მუშაობის ხარისხის და შრომის მწარმოებლურობის ამაღლება;
- მატერიალური და ადამიანური რესურსის ეკონომია ერთეულ პროდუქციაზე.

**პერსონალის მოტივაციის ფრანგული მოდელი**

საფრანგეთში პერსონალის მოტივაცია ეფუძნება სტრატეგიულ დაგეგმვას, თავისუფალ კონკურენციას და ლოიალურ დაზღვრას.

განსხვავებით იაპონელებისგან, ფრანგები დადებითად არ უყურებენ ზეგანაკვეთურ მუშაობას. ამასთან, სტანდარტული სამუშაო კვირა საფრანგეთში ხუთი საათით მოკლეა, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში.

დამატებითი „ბონუსები" დამსაქმებლისგან ფრანგებისთვის-არ არის უპირატესობა, არამედ ნორმაა. ხოლო საუკეთესო არამატერიალური სტიმული დამსაქმებლისთვის მოქნილი გრაფიკი ან დისტანციური სამუშაოა, რომელიც ოფისში ყოფნას არ მოითხოვს.

შრომის ანაზღაურების სისტემა საფრანგეთში მოიცავს ორ მიმართულებას: ხელფასების ინდექსაციას და შრომის ანაზღაურების ინდივიდუალიზაციას.

ხლფასის ინდექსაცია გამომდინარეობს ფასების დონიდან, რომელიც მკაცრად კონტროლდება პროფკავშირების მიერ;

ხელფასების ინდივიდუალიზაცია-ხელფასის დარიცხვაა განათლების, კვალიფიკაციის, მუშაობის ხარისხის, თანამშრომლის მობილობის გათვალისწინებით.

მიუხედავად თითოეული ქვეყნის თავისებურებისა, საზღვარგარეთის ქვეყნების მოტივაციის მოდელის გადმოღებისას აუცილებელია ბენეფიციარი ქვეყნის კულტურის და მენტალიტეტის გათვალისწინება. სხვისი იდეების ბრმად გადმოღება არ მოიტანს სასურველ შედეგს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მოტივაციის არამატერიალური მეთოდები მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც თანამშრომლებს უკვე დაკმაყოფილებული აქვთ მატერიალური მოთხოვნილებები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


8. ბიზნეს-ურთიერთობები, ღურწკაია თ., ღურწკაია კ.კ., 2018წ.
9. საერთაშორისო ბიზნესი, ღურწკაია კ., ღურწკაია თ., 2013წ.
10. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ლომაია ც., თბ. 2014წ.
11. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ავტორთა კოლექტივი: ნ.პაიჭაძე, მ.ცარციძე, ნ.ლაცაბიძე.

## Motivation of personnel in foreign countries

***Tatia Gurtskaia*, Associate Professor**
***Georgian Technical University***

***Karlo Gurtskaia, Associate Professor***
***Georgian Technical University***

***Ana Gogoladze*, PhD student**
***Tbilsi State University***

## Summary

Effective personnel management is impossible without a motivation system, which defines the relationship between employees and the company. The leaders of domestic companies consider the only incentive for productive work to be a worthy rebirth of labor. At the same time, the foreign experience of labor motivation rejects such a one-sided one, simple approach. Of course blind copying the experience of foreign countries is not the best solution.

Despite the peculiarities of each country, when transferring a foreign model of motivation, it is necessary to take into account the culture and mentality of the host country. Blind copying of other people's ideas does not bring the desired result. We must remember, non-material incentive methods work only when employees have already met material needs.

## საინვესტიციო პროექტების ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი და საინვესტიციო პროექტის შეფასება

*ყურაშვილი გუგული*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*ბარკალაია ვერა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სტატია ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა საინვესტიციო პროექტები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში საინვესტიციო გარემო ესაა პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, სოციალურ-კულტურული, სამართლებრივი და გეოგრაფიული ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მოცემულ რეგიონს და ამით იზიდავს პოტენციურ ინვესტორს. ასევე განხილულია საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მეთოდები და საინვესტიციო რესურსების ფორმირების წყაროების სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

სტატიაში ნაჩვენებია როგორ ხდება საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი და რომელი რესურსების გამოყენება იქნება უფრო მომგებიანი. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში საინვესტიციო პროექტების შეფასების არსი მდგომარეობს პროექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ისეთი სახით გადაცემაში, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებს მიეცემა საშუალება გააკეთოს დასკვნები ინვესტიციების მიზანშეწონილობის შესახებ.

და ბოლოს, ინვესტიციური პროექტი ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს წარმოადგენს. მისი შემუშავება და რეალიზაცია უკავშირდება მთელი რიგი ღონისძიებების თანმიმდევრობას, რომელიც შემდეგი ფორმით ყალიბდება: წინასაინვესტიციო, საინვესტიციო და საექსპლუატაციო. ამ სტადიებზე უნდა განისაზღვროს მისი ფინანსური მიზანშეწონილობა.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, პროექტები, დაფინანსება, რესურსები, ეკონომიკური ანალიზი.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში საინვესტიციო პროექტების ფინანსური ანალიზის ძირითად ამოცანას მისი გადახდისუნარიანობის, ე. ი. პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსის უზრუნველყოფის, ფინანსური ვალდებულებების შესრულების შეფასება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მოიცავს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა გადახრას. საინვესტიციო პროექტების დაფინანსების სტრატეგიის დასაბუთება გულისხმობს საინვესტიციო წყაროების და მათი სტრუქტურის განსაზღვრას. საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ძირითად მეთოდად შეგვიძლია განვიხილოთ:

- თვითდაფინანსება, ე. ი. ინვესტირების განხორციელება მხოლოდ საკუთარი სახსრების ხარჯზე;
- აქციონერული და საპაიო კაპიტალის მოზიდვა;
- საკრედიტო დაფინანსება (ბანკების კრედიტი, ობლიგაციების გამოშვება);
- ლიზინგი;
- შერეული დაფინანსება აღნიშნული მეთოდების კომბინაციათა საფუძველზე.

დაფინანსების მეთოდების შერჩევა ორიენტირებული უნდა იყოს საინვესტიციო რესურსების ფორმირების წყაროების სტრუქტურის ოპტიმიზაციაზე. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ინვესტიციების დაფინანსების წყაროების ყველა ჯგუფის უპირატესობები და ნაკლოვანებები.

ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მოდელის ეფექტურობის აუცილებელ პირობას ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ე.წ. "უფასო" სამედიცინო მომსახურება, როდესაც ავადმყოფი მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას, მას მიეწოდება

სამედიცინო მომსახურება შესაბამისი გასამრჯელოს საფუძველზე ან უფასოდ. მაგრამ ამ უანასკნელ შემთხვევაშიც კი იგი უფასო არ არის, ვინაიდან მის ღირებულებას ვინმე ანაზღაურებს, იქნება ეს სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტი, თუ სადაზღვევო კომპანია.

საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის ანალიზის ყველა მეთოდი შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: სტატისტიკურად და დინამიკურად. ამ ჯგუფების განსხვავება ისაა, რომ დინამიკური მეთოდები ფულადი სახსრების ყველა ნაკადს იხილავს დროის ფაქტორის გათვალისწინებით. ამიტომ იმისათვის, რომ მომავალი პერიოდების შემოსულობებისა და გადახდების შეფასება შეესაბამებოდეს დროის მიმდინარე მომენტს, ყველა გადახდა ტარდება ერთი თარიღისათვის დისკონტირების მეშვეობით. სტატისტიკური მეთოდები არ ითვალისწინებს პროექტის სასიცოცხლო ვადის მთელ ხანგრძლივობას, აგრეთვე ფულადი ნაკადების არათანაბარ მნიშვნელობებს დროის სხვადასხვა პერიოდთან თანაფარდობაში. თუმცა თავისი უბრალოებისა და ოპერატიულობის გამო ეს მეთოდები ფართოდ გამოიყენება.

დინამიკური მეთოდები შეიძლება მივაკუთვნოთ საინვესტიციო პროექტების ანალიზის სტანდარტულ მიდგომას. ეს მეთოდი გვთავაზობს შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშებას:

- პროექტის წმინდა მიღებული ღირებულება;
- პროექტის გამოსყიდვის ვადა;
- პროექტის შემოსავლიანობის შიდა ნორმა;
- შემოსავლიანობის ინდექსი.

პროექტის წმინდა მიღებული ღირებულება (NPV) წარმოადგენს რეალური ფულადი შემოსავლებისა და საინვესტიციო ხარჯების ინტეგრალური დისკონტირებული ნაკადების სხვაობას. დისკონტირება ხორციელდება რთული პროცენტის ფორმულის საფუძველზე შესაბამისი ღირებულებითი სიდიდის სადისკონტო მამრავლზე გამრავლებით. პროექტი, რომელშიც ფულის შემოსვლის ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულია მისი რეალიზაციის პირველ წლებში, ანუ ჩადებული ინვესტიციების ანაზღაურება უფრო ინტენსიურია, ნაკლებად არის მგრძნობიარე სახსრების წყაროებით სარგებლობის ფასის გაძვირების მიმართ. ზოგადი სახით საინვესტიციო პროექტი P წარმოადგენს შემდეგ მოდელს:

$$P\{IC_i, CF_k, n, r\}$$

სადაც, $IC_i$ -ინვესტიცია i-ურ წელიწადში i = 1,2,...m (უფრო ხშირად ითვლება m =1);

$CF_k$ – ფულადი სახსრების შემოდინება (გადინება) k-ურ წელიწადში k= 1,2...,n;

n – პროექტის ხანგრძლივობა;

r – დისკონტირების კოეფიციენტი.

საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზის დროს გადაწყვეტილება კონკურენტული პროექტების დაფინანსებისა და რეალიზაციის შესახებ წარმოადგენს შეზღუდული რესურსების განაწილების პრობლემას კომპრომისის გზით - ერთი პეროექტის დაფინანსება მეორის ხარჯზე. პროექტის ანალიზი მდგომარეობს რესურსების გამოყენების ალტერნატიული გზების შედარებაში. ეს მეთოდი ნათლად გვიჩვენებს გადაწყვეტილების მიღებისათავის ყველა აუცილებელ ინფორმაციას, რაც გადაწყვეტილებას მეტ დამაჯერებლობას და დასაბუთებას ანიჭებს. პროექტის უპირატესობები განისაზღვრება მათი მნიშვნელობით ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში (საერთო სახელმწიფოებრივი პროექტების დაფინანსებისათვის) ან ინვესტორის საკუთარი ბიზნესის განვითარებისათვის. ხარჯები განისაზღვრება სრული დანახარჯებით, პოტენციური მოგების დანახარჯები, რაც დაკავშირებულია იმავე რესურსების გამოყენებასთან სხვა ალტერნატიულ პროექტებში, სადაც უფრო მაღალია მოგების დონე და ამ პროეტქის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა ამ რესურსების ალტერნატიულ პროექტში გამოყენების შემთხვევაში.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ფორმალურად პროექტების ეკონომიკური ანალიზი და ფინანსური ანალიზი ერთმანეთის მსგავისა, რადგან ერთიც და მეორეც მიმართულია ინვესტი-

რებული კაპიტალიდან მოგების მიღებასთან, მაგრამ მათი ცნებები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ფინანსური ანალიზი განსაზღვრავს პროექტის ჩარჩოებში მოქმედი საწარმოს მოგებას, ხოლო ეკონომიკური ანალიზი გამოხატავს პროექტის ეფექტიანობას ეროვნული ეკონომიკის განვითარების ამოცანის შესრულებაში. მოგების აღნიშნულ ცნებებს შორის განსხვავება აიხსნება ხარჯებისა და სარგებლიანობის სხვადასხვა განსაზღვრასა და შეფასებაში. მაგალითად ფინანსური ანალიზის მიხედვით საწარმოს მიერ პროექტის ფარგლებში გაცემული ხელფასი ითვლება ხარჯებად.

ეკონომიკური ანალიზის დროს ხელფასის გაცემა შეფასებული იქნება იმ ხარისხით, რითაც სამუშაო ძალის გამოყენება პროექტის ჩარჩოებში გამოიწვევს წარმოების შემცირებას ეკონომიკის სხვა სფეროებში და ეროვნული ეკონომიკის დანაკარგებით, რაც დაკავშირებულია სხვა პროექტების რეალიზაციის შეუძლებლობით.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში საინვესტიციო პროექტების შეფასების არსი მდგომარეობს პროექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ისეთი სახით გადაცემაში, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებს მიეცემა საშუალება გააკეთოს დასკვნები ინვესტიციების მიზანშეწონილობის შესახებ.

მიღებული ინფორმაციის უტყუარობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო საპროექტო ანალიზის რიგი საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და წესების დაცვა, კერძოდ:

1. ინვესტირების პროექტის შიდა და გარე გარემოს ანალიზის აუცილებლობა. მოქმედ საწარმოში შიდა გარემოს ანალიზი ითვალისწინებს ორგანიზაციული სამართლებრივი მოწყობის, საწარმოო-ტექნიკური და ინვესტიციის ობიექტის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულ ანალიზს. გარე გარემოს ანალიზი მოიცავს რეგიონალური და დარგობრივი თავისებურებების შესწავლას, აგრეთვე მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ინდიკატორების (საპროცენტო განაკვეთები, ინფლაციის დონე, საგადასახადო კანონმდებლობა, მოგების რეპატრიაცია და ა.შ.) ღრმა გამოკვლევას.

2. განსახილველ პროექტთან ერთად, აუცილებელია გაანალიზდეს კაპიტალის განთავსების ალტერნატიული შესაძლებლობები;

3. პროექტი საჭიროა შეფასდეს მისი ყველა მონაწილის თვალსაზრისით დაინტერესების გათვალისწინებით;

4. პროექტის ანალიზი საჭიროა განხორციელდეს მისი სასიცოცხლო ციკლის ყველა ძირითად ეტაპზე - წინასაინვესტიციო, საინვესტიციო და საექსპლუატაციო ეტაპზე;

5. საპროექტო გამოკვლევა კომპლექსური უნდა იყოს და მოიცავდეს ტექნიკურ, ინსტიტუციონალურ, ეკოლოგიურ, სოციალურ, ფინანსურ და ეკონომიკურ ანალიზებს.

ასევე მნიშვნელოვანია რისკის გათვალისწინება, რომელიც ხორციელდება სამ ეტაპად: რისკების ანალიზი, რისკების მართვა, კონტროლი. რისკ-მენეჯმენტი ყოველთვის რისკების ანალიზით იწყება. ინვესტორმა უპირველეს ყოვილისა, უნდა დაადგინოს, რა საფრთხეები ემუქრება საწარმოს, სახლს, პირადად მას და ა.შ.

რისკების ანალიზის პროცესი თავის მხრივ, ასევე სამ ეტაპად იყოფა:

1. რისკების ამოცანა;

2. რისკების შეფასება;

3. რისკების წარმოქმნის წყაროების ანალიზი (გიტმანი, ჯონკი, ბირმანი, შმიტი 2001).

რისკისათვის თავის გართმევა და საფრთხეებისაგან დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გვეცოდინება მათი წარმოქმნის წყაროები, რაც დაგვანახებს არსებულ საკითხებს, რის შემდეგაც აუცილებელი გახდება მათი შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საწარმოო პროცესების გათვალისწნებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Health services research related to performance indicators and benchmarking in Europe J Health Serv Res Policy. 2011;

2. Maxwell R. Quality Assessment in health. Br.Med.J. 2016
3. Marshall GN, Hays RD. The Patient Satisfaction Questionnaire Short-form (PSQ18).RAND, Santa Monica; 1994;
4. Ovretveit J. Health Service Quality. Blacwell Science, Oxford. 2012;
5. Robert H. LEE. Economics for healthcare managemers Washigton D.C., 2009;
6. Roland M. (2015) «Linking Physicians'Pay to the Quality of Care – A Major Experiment in the United Kingdom». New England Journal of Medicine. September 30. 2005;
7. http://biz-books.biz/finance/sistemyi-metodyi-investitsionnogo.html
8. http://www.bsu.edu.ge/social/upload/nodar_futkaradze_disertacia_2013.pdf
9. http://bibliofond.ru/view.aspx?id=482662#1

**Investment projects assessment and financial-economic analysis**

***Guguli Kurashvili, Associate Professor***
***Georgian Technical University***

***Vera Barkalaia, PhD student***
***Georgian Technical University***

## Summary

The article assesses an important topic, such as the investment projects in Georgian healthcare system. The investment climate in Georgian healthcare is the entirety of political, economic, financial, socio-cultural, legal, and geographic factors, characterizing the given region and attracting a potential investor. Also discussed are the methods of financing investment projects and optimizing the sources of forming the investment resources. The article shows how the economic analysis of investment projects are done, what should be payed the most attention, and which resources are more profitable to use.

The assessment of investment projects in Georgian healthcare means collecting the information about the project and transferring this information to the decisionmaker in a way that is helpful in order to draw conclusions about how advisable the investment is.

And lastly, investment project is a complex of interconnected events. Its development and realization are related to several successive events, as follows: pre-investment, investment, and operational. These are the stages where the financial advisability is assessed.

# ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები

*ჩადუნელი გოჩა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში „ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები" განხილულია სახელმწიფოსა და ბიზნეს-სექტორის მიერ ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის საჭირო ღონისძიებები, რომლებიც უფრო მაღალ კონკურენტუნარიანობას მიანიჭებს ქართული ღვინის წარმოებას და იმიჯს. წინამდებარე სტატიაში ნაჩვენებია, რომ ქართული მეღვინეობის საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო პოლიტიკა საჭიროებს სრულყოფას და აუცილებელია, რომ საქართველოში მოხდეს ვენახების სრული კადასტრის შექმნა და განვითარება, ასევე უნდა დაზუსტდეს და გაიზაროს ვაზის სახელმწიფო სტანდარტული სორტიმენტი და უნდა უფრო სრულყოფილად მოხდეს ღვინის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი მევენახეობის ზონების, მიკროზონებისა და ქვეზონების შემოსაზღვრა და უნდა მიიღწეს ღვინის სახეობებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების ყოველგვარი შესაძლო მრავალფეროვნება. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ქართული ღვინის რიგი პრობლემები გადაწყდება მისი სტანდარტული, ორგანული და ბიოდინამური სახეობების სტანდარტიზირებით და მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ქვევრის ღვინო კულტურულ მემკვიდრეობა ქვევრთან და ღვინის დასავარგებელი თუ შესანახი სხვა ისტორიული საშუალებეთან ერთად ცალკეა შესატანი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ჩამონათვალში. სტატია ასევე გვაჩვენებს იმ გზებსა და მიმართულებებს, რაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოსა და ბიზნესის მხრივ ქართული ღვინის მსოფლიო პროპაგანდირებისათვის და მისი მომხმარებლებლების მოთხოვნებზე მაქსიმალურად ორიენტირებულობისათვის. სტატიის ძირითადი პოსტულატია, რომ ქართული ღვინოების სექტორმა ძირითადად უნდა გამოიყენოს ღვინოების დიფერენციაციის სტრატეგია, რაც გულისხმობს განსაკუთრებული, უნიკალური, მრავალფეროვანი და უმაღლესი ხარისხის ღვინოების წარმოებას.

საკვანძო სიტყვები: ქართული ღვინის წარმოება, მევენახეობა-მეღვინეობის კლასტერი, ღვინის კონკურენტუნარიანობა, დიფერენციაციის სტრატეგია, ვაზისა და ღვინის ადგილწარმოშობა და დასახელება, ვენახების კადასტრი, ვაზის სორტიმენტი, ღვინის მარკეტინგი და პრომოცია, ვაზისა და ღვინის კანონმდებლობა და სტანდარტები, ქვევრის ღვინო, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, ბიოწარმოება.

**ძირითადი ტექსტი:**

ღვინოს ქართულ ყოფიერებაში უდიდესი ადგილი უკავია, იგი წარმოადგენს ქართული ექსპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროდუქტს. საქართველოში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულია მევენახეობა-მეღვინეობის გამღოლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ასევე დაგროვილია უნიკალური გამოცდილება ვაზის კულტურის გაშენებისა და ღვინის წარმოების მდიდარი ჩვევებით; ქართული მეღვინეობის განსაკუთრებული ნიშან-თვისებები ორიგინალური ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობით და საქართველოს მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური სიმდიდრით არის განპირობებული. ზოგადად ქართულ ეროვნულ ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და აგროსასურსათო სექტორიდან ყველაზე მეტად არის ორიენტირებული მსოფლიო ბაზარზე. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას შემდეგი: ღვინის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებმა ექსპორტის შედარებითი უპირატესობის, იმპორტის შედარებითი შემოღწევადობისა და ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსების მიხედვით, ასევე პორტერის კონკურენტუნარიანობის მოდელის შესაბამისად გვაჩვენა, რომ საქართველოს ღვინის სექტორი კონკურენტუნარიანია და ბოლო წლებში ღვინის კონკურენტუნარიანობის დონე დინამიკაშიც ზრდადია, თუმცა საქართველოს ღვინის სექტორში დგას საკითხი ახალი ინვესტორების მოზიდვაზე,

რაც წახალისებული იქნება ინვესტიციის მომგებიანობის ზრდის უზრუნველმყოფი შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებით, რაც ინსტრუმენტთა ფართო სპექტრს მოიცავს (Burton, 2001). ამის მიუხედავად, საქართველოს ღვინის მსოფლიო წარმოებაში რაოდენობის კუთხით მოკრძალებული ადგილი უკავია, თანაც ღვინის თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება ღვინის ჭარბწარმოება და კონკურენციის სიმძაფრე. რით და როგორ უნდა შესძლოს საქართველომ ასეთი კონკურენციის პირობებში, რომ ადგილი დაიმკვიდროს ღვინის საერთაშორისო ბაზარზე? როგორ უნდა მოახერხოს იყოს გამორჩეული ამ მრავალფეროვან სამყაროში? (Johnson, 2013) ალბათ, წარმოებული ღვინის ორიგინალურობითა და სპეციფიკურობით (ხარაიშვილი, 2011), იმ გენეტიკური რესურსებითა და ბიომრავალფეროვნებით, რაც მას აქვს. ასეთ პირობებში გასათვალისწინებელია, რომ კონკურენცია მოითხოვს მუდმივ ცვლილებებს და კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მუდმივად განვითარების შესაძლებლობით, რაც წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობების მყარ წყაროს არა მხოლოდ კერძო მწარმოებელი კომპანიებისათვის, არამედ ქვეყნებისთვისაც. შესაბამისად დღის წესრიგშია, რომ ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის საკითხს ყურადღება მიექცეს, როგორც ღვინის კერძო მწარმოებლების დონეზე, ასევე ღვინის კლასტერისა და ქვეყნის - ანუ საქართველოს, როგორც ღვინის სხვადასხვა სახეობების მწარმოებელის - დონეზე.

ეკონომიკურ ლიტერატურასა და სამეწარმეო პრაქტიკაში ცნობილია, რომ კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებელი სტრატეგიები ძირითადად ორი ტიპისაა:

ა) **დაბალი დანახარჯების სტრატეგია**, ანუ როცა მწარმოებელს შეუძლია საქონლის დამუშავება, წარმოება და გაყიდვა კონკურენტზე ნაკლები დანახარჯებით;

ბ) **საქონელთა დიფერენციაციის სტრატეგია** ანუ მწარმოებლის მიერ მყიდველის უზრუნველყოფა კონკურენტთან შედარებით უკეთესი სამომხმარებლო თვისებების საქონლით მისაღები ფასების პირობებში.

ვფიქრობთ, რომ დანახარჯებში ლიდერობის სტრატეგიის გატარების შანსი საქართველოს უმრავლეს მწარმოებლებს არა აქვთ, რადგან ქვეყნის მევენახეობისა და მეღვინეობის პოტენციალი ამის საშუალებას არ იძლევა, ხოლო დიფერენციაციის სტრატეგიის - რომელიც გულისხმობს განსაკუთრებული, უნიკალური, და ხარისხის ნაწარმის წარმოებას - განხორციელებისათვის არსებობს როგორც ქართული ღვინოების ისტორიული წანამძღვრები და მათი მრავალფეროვნება, ასევე რიგი საბაზრო პირობები ღვინის ბაზარზე, როგორიცაა: ღვინოების მრავალი განმასხვავებელი მახასიათებლების არსებობა, მყიდველების მხრიდან არასაფასო კონკურენციისათვის უპირატესობის მინიჭება, დამატებითი ხარჯების გარეშე დიფერენციაციის ნიშნების სწრაფი იმიტირების შეუძლებლობა, ღვინოზე მოთხოვნის ფართო სტრუქტურა. ყოველივე ამის შესაბამისად, საჭიროა, რომ სახელმწიფომ შექმნას ისეთი წანამძღვრები, რომ ქართველმა ღვინის მწარმოებლებმა თავიანთი სტრატეგია და ტაქტიკა მიმართონ ამ მიმართულებით და თავიანთი სამიზნე ბაზრების შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებებიც გაატარონ, რითაც ღვინის მსოფლიო ბაზარზე მიაღწევენ შესაბამის პოზიციონირებას და გაატარებენ სწორ საფასო პოლიტიკას (Hekimoglu, 2016). დღეისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა გადასულია განვითარების ახალ ფაზაში, რომელიც გულისხმობს „ადგილწარმოშობის დასახელების“ ღვინის წარმოებას, რაც ნიშნავს მაღალი ხარისხის, თვისობრივად განსხვავებული და ორიგინალური ნიშნის მატარებელი ღვინის დაყენებას, რომელიც მიღებულია განსაზღვრული ეკოლოგიური რაიონის ან მიკრორაიონის მოცემული ზონისათვის ჯიშთა გავრცელებისათვის დაშვებული ჯიშების ვაზის ყურძნისაგან, როდესაც თითოეული ღვინისათვის მკაცრად არის დადგენილი მისი წარმოების ადგილი - სანედლეულო ბაზის გეოგრაფიული არეალი, რეგლამენტირებულია მოსავალი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამ სახის პროდუქციის წარმოება სხვა ღირებულების საქონლის წარმოებას გულისხმობს (Krugman, 1990). ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა - მაგ., საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ - გარკვეულწილად აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს, მაგრამ არის ერთი განსაკუთრებული საკითხი, რომელიც შეეხება ღვინის წარმოებისთვის მნიშვნელოვან მევენახეობის ზონებს, მიკროზონებსა და ქვეზონებს. საკუთრივ მევენახეობის ზონა (რეგიონი) არის ქვეყნის ნაწილი, სადაც ვაზის გაშენებისათვის და ყურძნის მოყვანისათვის შესაბამისი და ხელსაყრელი აგროეკოლოგიური პირობებია. მევენახეობის

ზონა იყოფა ქვეზონებად; მევენახეობის ქვეზონა არის მევენახეობის ზონის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ამავე ზონაში მდებარე ქვეყნის სხვა ნაწილისაგან განსხვავდება თავის პირობებით. კანონმდებლობით საქართველოს ხუთ ისტორიულ რეგიონში არის 18 მიკროზონა, აქედან კახეთში 14 მიკროზონაა, ხოლო თითო-თითო მიკროზონა აქვთ საქართველოს სხვა ისტორიულ კუთხეებს: ქართლს, იმერეთს, რაჭასა და ლეჩხუმს, რაც ძირითადად ეფუძნება საბჭოური პერიოდის მეცნიერულ გამოკვლევებს და მაშინდელ ეკონომიკურ-პოლიტიკურ კონიუნქტურას. არადა, საქართველოს ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება იძლევა საშუალებას, რომ იყოს მეტი ზონა ზემოთ დასახელებულს კუთხეებში და სხვებშიც - მესხეთში, სამეგრელოში, აჭარაში, გურიაში და ოკუპირებულ აფხაზეთში - რისთვისაც საჭიროა, რომ კვლევები ამ მიმართულებით გაგრძელდეს. აღსანიშნავია, რომ ღვინის წარმოების ერთ-ერთ ლიდერ საფრანგეთში 400-ზე მეტი მევენახეობის მიკროზონაა, რაც მრავალფეროვანი ფრანგულ ღვინის მარკეტინგულ მიმზიდველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. არის ერთი საკითხი გასათვალისწინებელი - „ქართული" მიკროზონების საზღვრები მიზეზთა გამო იზრდება ხოლმე, მაგალითად, 2015 წელს გაიზარდა ქინძმარაულისა და მუკუზნის ზონები, რაც კორელაციაში უნდა იყოს რუსეთის მიერ ქართული ღვინისათვის ბაზრის გახსნასთან - პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ვერ ხერხდება უკვე ცნობადი ქართული ღვინოების გარდა სხვა დასახელების ღვინოების პოპულარიზაცია და უცხოელი მომხმარებლის ნაცნობ პროდუქტზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ხდება მიკროზონების გაფართოება, რაც ჩვენი აზრით ხელოვნური პროცესია. ამასთან, არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საბჭოური ეკონომიკური პოლიტიკის ინერციით დღესაც იგნორირებულია ქართული ვაზის ჯიშური მრავალფეროვნება - მაგალითად ვაზის 500-ზე მეტი ჯიშიდან დღესდღეობით მხოლოდ სამ ათეულამდე ჯიშია დარეგისტრირებული და სტანდარტულ სორტიმენტში შეტანილი კულტივირებისათვის, არადა ქართული ვაზის ჯიშური პოტენციალი უდიდესი და პრაქტიკულად ამოუწურავია კუპაჟური და არაკუპაჟური ღვინოების წარმოებისათვის, რაც თავად ღვინის სახეობებითა თუ ადგილწარმოშობის ფაქტორებით აურაცხელი ვარიაციების შესაძლებლობას იძლევა. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია საქართველოს ვენახების კადასტრის შედგენა და ღვინის ნუსხის დამტკიცება. ვენახის კადასტრი აუცილებელია ვენახების აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად და ღვინის წარმოების რეგულირებისათვის. ვენახის კადასტრის შექმნა 2014 წლიდან ხორციელდება ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ, თუმცა ეს პროცესი დასრულებული არაა. იმის მიუხედავად, რომ გვაქვს რიგი რეგულაციები, რომლებიც ზოგიერთი სამარკო ღვინოების - მაგ., წინანდალი, მუკუზანი, ქინძმარაული და ა.შ. - წარმოების რეგამენტს განსაზღვრავს, დღის წესრიგშია ღვინის ნუსხის დამტკიცება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში „დავიწყებულია" მსოფლიოში წარმატებული ზოგიერთი ქართული ღვინო -მაგ., ზეგანის რქაწითელი, ზეგანის საფერავი, ზეგნის ტკბილი- ,(ჩხეიძე, 1968) ან ქართული წარმოებისათვის ეპიზოდური ხასიათი აქვს ვენახში საზამთროდ დატოვებული „ყინვანაკრავი" ყურძნიდან ღვინის წარმოებას (ე.წ. „აისვაინი", ქართული „ზამთრის ღვინო" ანუ „ზამთრისა"), ანდა საერთოდ არ ხდება შენახული და „დაჩამიჩებული" ყურძნიდან ღვინის წარმოება (ე.წ. „ვალპუჩელას" ღვინოების ტიპი, ანუ ქართული საბზელის (სხვანაირად საბძელის - სათივის) ან სხვენის (ძველებურად - სახვენისა) ღვინო დაყენებული ბზეში ან თივაში შენახული საღვინე ყურძნისაგან) და საკანონმდებლოდაც ეს განიხილება, როგორც ქიშმიშისაგან ღვინის აკრძალული წარმოება, რაც კონტროლის გარეშე მართლაც უარყოფითი მოვლენაა. ამას გარდა, ვფიქრობთ, რომ საჭიროა, რომ მოხდეს ადგილწარმოშობის დასახელების გამიჯვნა ღვინის სახეობიდან ისე, რომ რომ ეს დასახელება მაინცადამაინც კონკრეტული ყურძნის ჯიშისაგან დამზადებულ ღვინოს არ ნიშნავდეს, მაგალითად დღეისათვის ღვინო მუკუზანი მხოლოდ ამ ზონაში მოყვანილი წითელი ყურძნის საფერავისაგან დამზადებულ მშრალ ღვინოს ჰქვია, რომელმაც უნდა გაიაროს 3 წლიანი დავარგება და ჩვენი აზრით სჯობია, რომ ახლაც -ისევე როგორც ძველად- არსებობდეს ღვინოები: მუკუზანი საფერავი, მუკუზანი რქაწითელი და მუკუზანი მწვანე და ა.შ. (ჩხეიძე, 1968).

ასევე, რადგან საქმე მხოლოდ საფასო სტრატეგიაში არ არის და ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის შანსი არის მისი უნიკალურობის ჩვენება, დღის წესრიგშია ქართული ქვევრისა და სხვა ტიპის ღვინოების პროპაგანდირება მათი უნიკალურობის კუთხით. საქართველოს როგორც ღვინის წარმოების მინიმუმ 8000 წლოვანი ტრადიციისა და ღვინის აკვნის ქვეყნის იმიჯის

რეკლამირებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაცია და მისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS 2012) ჩამონათვალში ცალკე დასახელებით შეტანა. ნომენკლატურაში მოცემულია სხვადასხვა ტიპის ღვინოები და ისინი მოიცავენ 2204 და 2205 პოზიციებს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ქართულმა სახელმწიფომ საერთაშორისო ურთიერთობებით მიაღწიოს ამ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ნუსხაში ქვევრის ღვინის შეტანა, რაც რიგ უპირატესობებს მოგვცემს მსოფლიო ბაზარზე ქვევრის ღვინის ცნობადობისა და სტანდარტების მიმართულებით. ახლა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ქვევრის ღვინის წარმოების მეთოდების საქართველოდან გატანა და მნიშვნელოვანია, რომ საქართველო დარჩეს სტანდარტების დამდგენად, რისთვისაც ასევე საჭიროა მთელ მსოფლიოში მოხდეს ქვევრისა - იუნესკოს მიერ აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის - და ქვევრის ღვინის სახელის გამოყენების დაპატენტება. ამას გარდა საჭიროა ქვევრის წარმოების განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და ასევე ღვინის სხვა ისტორიულად ცნობილი და ქართულ სინამდვილეში შემონახული შესანახი საშუალებების - მაგ., რუმბი, კოლოტი, ტიკი, ტიკჭორა, გუდა და ა.შ - სტანდარტიზაცია სურსათის უვნებლობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და მათი და მათში ჩამოსხმული ღვინოების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში ჩართვა. ყოველივე ეს ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობას დამატებით სტიმულს მისცემს (Porter, 1990). ამასთან, ასევე კარგი იქნებოდა მოხდეს „საზედაშე ღვინის“ სტანდარტიზაცია, რაშიც სახელმწიფოს აქტიურად შეუძლია თანამშრომლობა თუნდაც ე.წ. კონკორდატის საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და ეს დამატებით ძალას და მიმზიდველობას მისცემს ქართული ღვინის წარმოებას. ზოგადად ჩვენ ღვინის წარმოებას შემოქმედით პროცესად მივიჩნევთ და ვთვლით, რომ ქართულ ღვინის წარმოებაში საკანონმდებლოდაც უნდა დაიტოვოს სივრცე „შემოქმედებითი“ ღვინის წარმოებისათვის, რაც როგორც რიგი ღვინოების -ხერესი, მადერა, პორტვეინი და ა.შ. -, ისტორია გვაჩვენებს დამატებით ბიძგს იძლევა ახალი ღვინის ტიპების შექმნაში და საერთოდ მათი მწარმოებლების რეპუტაციის გაზრდაში; მაგალითად, ხერესი (ანუ სპირტდამატებული ღვინო), ან მადერა (რომელიც წარმოიშვა მისი გადამზიდავი გემის მიერ ეკვადორის გადაკვეთით გამოწვეული ტემპერატურული ცვლილებით), ანდა პორტვეინი (წარმოიშვა ღვინის ტრანსპორტირების პრობლემების აღმოფხვრის მიზნით სპირტის დამატებით) საუკუნეებია ინარჩუნებენ პრესტიჟს და ჰყავთ ბევრი მომხმარებელი. ამ კუთხით, ჩვენი ქართული ღვინოებისათვის პერსპექტიულად მიგვაჩნია საქართველოში გავრცელებული „საქალებო“ ღვინის წარმოების სისტემატიზირება; ასეთი „ქალების“ ღვინოებ შინაურ პირობებში იწარმოება ღვინის დუღილის თბური შეწყვეტით, დამამზადებელი მანდილოსნის გემოვნებისა და სურვილის მიხედვით არომატიზირებით -მაგ., ალუბლით- ან მის გარეშე და შემდგომში გრილ ადგილზე, მაგალითად, სარდაფში, შენახვით. ასევე ყურადღება უნდა მიეცცეს არომატიზირებული ღვინოების წარმოების სისტემატიზაციას, რადგანაც ქართული ღვინის სამიზნე ქვეყნებიდან ბევრში -მაგალითად იაპონიაში- არის ასეთ ღვინოებზე მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ღვინის სტანდარტული წარმოებას ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად არეგულირებს საკანონმდებლო აქტები, მაგრამ რაც შეეხება ღვინის ორგანულ წარმოებას, რომელიც გარკვეულწილად რეგულირდება საქართველოს მთავრობის №198 დადგენილებით „ბიოწარმოების შესახებ“, მისთვის საჭიროა ამ კანონში განხორციელდეს მეტი კონკრეტიზაცია, ანდა საერთოდ ცალკე ახალი კანონი შექმნას. ქართულ პრაქტიკაში ორგანული ღვინის მწარმოებლების სერთიფიცირება და რეგულაცია ხდება უფრო მკაცრი საერთაშორისო მოთხოვნების საფუძველზე, რომელსაც რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები ახორციელებენ - მაგალითად: კავკას-სერტი, ეკო-სერტი და ა.შ. ზოგადად ორგანული ღვინის წარმოება ნიშნავს ღვინის წარმოებას ორგანული ყურძნიდან, რომელიც მიღებულია ორგანული მიწათმოქმედებით ქიმიური სასუქების, ჰერბიციდებისა და სისტემური ინსტექტიციდებისა და ფუნგიციდების გარეშე. მაგალითად, ასეთი ტიპის წარმოებას აშშ-ში არეგულირებს ეროვნული ორგანული პროგრამა (**NOP**), ხოლო ევროპაში რეგულირდება ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია №2092-ით (EEC/-24/07/1991) და ევროკავშირის №834 (EU/-28/06/2007) რეგულაციით, ხოლო იაპონიაში - სადაც მსოფლიოში ჩვენი აზრით ყველაზე მკაცრი მოთხოვნებია - იაპონიის სასოფლო-სამეურნეო სტანდარტით (**JAS**). ვფიქრობთ, რომ ზემოთ

ჩამოთვლის რეგულაციებს უნდა მოერგოს საქართველოს კანონმდებლობა რომელიც ეხება ორგანულ მევენახეობა-მეღვინეობას უნდა და ბოლოს, ასევე საჭიროა ღვინის წარმოებაში გაიმიჯნოს ნატურალური, ფერმერული და ბიოდინამიური ღვინოების წარმოებებიც, რაც მნიშვნელოვანია ასევე მათი მეურნეობრიობის რანჟირების მხრივ (Evenson, 2007) და შემუშავდეს შესაბამისი ქართული კანონები; მაგალითად კარგი იქნება ბიოდინამიური მეურნეობების შესახებ ქართული კანონის შექმნა.

ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ქართული ღვინის მწარმოებ-ლებმა ორიენტაცია აიღონ ისეთ ქვეყნების - მათ შორის ღვინის მწარმოებლების - ბაზრებზე, რომლებიც გამოირჩევიან ღვინის მოხმარებით. 2016 წელს მსოფლიოში ღვინის მოხმარების მაჩვენებელმა 242 მილიონი ჰექტოლიტრი შეადგინა და დიდ მომხმარებელ ქვეყნებს შორის 2011 წლიდან ლიდერობს აშშ (Thornton, 2013), სადაც გასულ 2016 წელს ღვინის მოხმარებამ 21,8 მილიონი ჰექტოლიტრი შეადგინა, ხოლო მეორე ადგილზე იყო საფრანგეთი - 27 მილიონი ჰექტოლიტრით, იტალია - 22.5 მილიონი ჰექტოლიტრით, გერმანია - 20.2 მილიონი ჰექტოლიტრით და ჩინეთი - 17.3 მილიონი ჰექტოლიტრით. აღსანიშნავია ღვინის მოხმარების ზრდა სკანდინავიის ქვეყნებში (ზალდასტანიშვილი, 2010), სადაც მაგარი სპირტიანი სასმელების მოხმარების ღვინით ჩანაცვლება სახელმწიფო პროპაგანდის ნაწილია (Marques, 2011) და ასევე იგივე მაჩვენებლის ზრდა ჩინეთში, სადაც ღვინის ბაზარი განუხრელად იზრდება და ქართული ღვინის გაყიდვებიც თანდათანობით მატულობს.

გარდა ამისა, საჭიროა საქართველოს, როგორც **ღვინის მწარმოებელი ქვეყნის** კონკურენტუ-ნარიანობის განუხრელი განვითარება. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს ქართული ღვინის პოპულარიზაცია კომპანია „საქართველო - ღვინის აკვანის" მეშვეობით და არქეოლოგიით დამტკიცებულია ქართული ღვინის მინიმუმ 8000 წლიანი ისტორია, აუცილებელია მეტი და უწყვეტი აქტივობა ამ მიმართულებით, რათა მოხდეს ქართული ღვინის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება. ამ კუთხით ვფიქრობთ, რომ მომგებიანი იქნება ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის პროპაგანდირება „ცხოვრების და მეგობრობის ქართული წესის", ან „ქართული დიეტის", „ქართული დღეგრძელობის საიდუმლოების" მეშვეობით. ამას გარდა, კარგი იქნებოდა, სახელმწიფო დაფინანსების გაცემა იმ ძველი სამედიცინო კვლევების „გაპიარებაზე" და ახლების ჩატარებაზე, რომლებიც ადასტურებენ ღვინის დადებით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე. ასევე დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფოს დონეზე თანამშრომლობა მსოფლიო დონის სომელიეებთან, ღვინის მწერლებთან და ასევე სამიზნე ქვეყნებში ღვინის ვაჭრობის ხელშემწყობის მისიების ორგანიზირება. აქვე თავს იჩენს ის საკითხი, რომ ხშირად ქართველი მწარმოებელი ვერ ერკვევა სხვადასხვა ქვეყნების ალკოჰოლთან დაკავშირებულ რეგულაციებში და საჭიროა, რომ ამ კუთხით მათ მხარდაჭერა გაუწიოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ. ასევე ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა ღვინის ეროვნულმა სააგენტომ და ტურიზმის სააგენტომ ერთობლივად იმუშავონ ღვინის ტურიზმის - განვითარებაზე.

**დასკვნა**

თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო მასშტაბით ქართული ღვინის წარმოებისა და გაყიდვების დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით მოკრძალებულია და ამასთან, ქართული ღვინის სეგმენტი ექსპორტის შედარებითი უპირატესობის, იმპორტის შედარებითი შემოღწევადობისა და ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსების მიხედვით კონკურენტუნარიანია და გავითვალისწინებთ ზემოთ განხილულ განხილული ინფორმაციასა და მონაცემებს, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი სახის დასკვნები:

- ქართული მეღვინეობის საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო პოლიტიკა საჭიროებს სრულყოფას;
- აუცილებელია საქართველოში მოხდეს ვენახების სრულყოფილი კადასტრის შექმნა და მისი მართვა;

- უნდა სრულყოფილად შეიქმნას ვაზის სახელმწიფო სტანდარტული სორტიმენტი, სადაც დარეგისტრირდება ქართული და არაქართული ვაზის ჯიშები, რომლებიც ჯიშთა გავრცელებისა და კულტივირებისათვის იქნება დაშვებული საქართველოში;
- აუცილებელია უფრო სრულყოფილად მოხდეს ღვინის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი მევენახეობის ზონების, მიკროზონებისა და ქვეზონების შემოსაზღვრა და დონეების მიხედვით არსებობდეს მეტი ასეთი ზონა;
- ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მიიღწეს ღვინის სხვადასხვა სახეობებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების ყოველგვარი შესაძლო მრავალფეროვნება;
- ქართული ღვინის თანამედროვე პრობლემები ნაწილობრივ დადებითად გადაწყდება მისი სტანდარტული, ორგანული და ბიოდინამური სახეობების სტანდარტიზირებით და შესაბამისი უფლებებისა და პატენტების დამკვიდრების შედეგად;
- საჭიროა, რომ ქვევრის ღვინო - ასევე ქვევრი და ღვინის დასავარგებელი თუ შესანახი სხვა ისტორიული საშუალებები - საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ჩამონათვალში ცალკე დასახელებით უნდა შევიდეს, რაზეც სასურველია იზრუნოს ქართულმა სახელმწიფომ მისი საერთაშორისო კავშირების გამოყენებით;
- ქართულმა სახელმწიფომ კვალავ უნდა იმოქმედოს ქვყნის, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყნის იმიჯის განვითარებაზე, არამარტო სარეკლამო კომპანია „საქართველო - ღვინის აკვანის“ მეშვეობით, არამედ ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის, „ცხოვრებისა და მეგობრობის ქართული წესის“, „ქართული დიეტის“, „ქართული დღეგრძელობის საიდუმლოების“ და ა.შ. პროპაგანდირების მეშვეობით, რაც უნდა ხორციელდებოდეს იმ სამედიცინო კვლევებთან კავშირში, რომლებიც ადასტურებენ ღვინის დადებით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე. თუმცა ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს ბიზნეს სექტორის აქტივობაც, რადგან მომავალში მათ მოუწევთ ამ „ტვირთის“ ზიდვა;
- ქართული ღვინოების წარმოებამ ძირითადად უნდა გამოიყენოს ღვინოების დიფერენციაციის სტრატეგია, რაც გულისხმობს განსაკუთრებული, უნიკალური, მრავალფეროვანი და უმაღლესი ხარისხის ღვინოების წარმოებას
- აუცილებელია, რომ ქართული ღვინის მწარმოებლებმა განახორციელონ საქმიანობის მეტი „მარკეტინგიზაცია“ და სამიზნე ჯგუფების მიხედვით იყვნენ მომხმარებლებლების მოთხოვნებზე მაქსიმალურად ორიენტირებული;
- დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფოსა თუ ბიზნესის დონეზე თანამშრომლობა მსოფლიო დონის სომელიეებთან, ღვინის მწერლებთან და ცნობად სახეებთან;
- საწყის ეტაპზე სახელმწიფოს და ბიზნესის მხრიდან, ხოლო შემდგომში ბიზნესის მხრიდან საჭიროა სამიზნე ქვეყნებში ღვინის ვაჭრობის ხელშემწყობის მისიების ორგანიზირება, რათა სტრატეგიულ ბაზრებზე არსებულ სიტუაციას მაქსიმალურად „ფლობდნენ“ ღვინის მრეწველები;
- კარგი იქნებოდა, რომ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ და ტურიზმის სააგენტომ ერთობლივად ითანამშრომლონ საქართველოში ღვინის ტურიზმის გასავითარებლად.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ზალდასტანიშვილი კ. 2010. ნორვეგიის ალკოჰოლური სასმელების ბაზრის თავისებურებები. თბ. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) გამოცემა. 36 გვ.
2. ჩხეიძე თენგიზი, 1968. საუფლისწულო მამულები კახეთში. თბ., გამომც. მეცნიერება. 154 გვ.
3. ხარაიშვილი ე. 2011. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბ. გამომც. უნივერსალი. 196 გვ.
4. Burton Benjamin J., Jacobsen Joyce P. The Rate of Return on Investment in Wine. 2001. Western Economic Association International. Economic Inquiry. Vol.39, No.3, July 2001, pp. 337-350.

5. Evenson Robert E., Pingali Prabhu. 2007. Handbook of Agricultural Economics, Volume 3. Agricultural Development: Farmers, Farm Production and Farm Markets. 1st Edition. (Series: Handbooks in Economics). Elsevier' s Imprint - North-Holland Publishing Company. P. 846.
6. Krugman P.(ed.). 1990. Geography and Trade. Cambridge(Mass). Cambridge University.
7. Marques Carlos, Dinis Paolo, Sagala Richard. 2011. Wine market in the Netehrlands. P.65.
8. Johnson H., Robinson J. 2013. World Atlas of Wine, 7th Edition. P.400.
9. Porter M. E. 1990. The Competitive Advantage of Nations. New York: Free Press-a Division of Simon & Schuster Inc.
10. Thornton James. 2013. American Wine Economics: An Exploration of the U.S. Wine Industry. P. 368.
11. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ვებ-გვერდი: http://www.fao.org/faostat/en/#home
12. ღვინის ეროვნული სააგენტოს (ღეს) ოფიციალური ვებ-გვერდი: http://georgianwine.gov.ge/statistic/cellar

## The ways to increase competitiveness of Georgian wines

***Gocha Chaduneli, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

The article "Activities to be Implemented to Increase the Competitiveness of Georgian Wine" provides an overview of the activities to be carried out by the country’s public and business sectors which are necessary to increase the competitiveness of Georgian wine. It discusses the activities which will render the production and image of Georgian wines even more competitive. The article demonstrates that the Georgian wine-making legislation and state policy need improvement, and it is necessary to establish and develop a full cadaster of vineyeards in Georgia, as well as to specify and increase the standard public assortment. Furthermore, it is necessary to improve the establishment of borders of the wine-growing zones, microzones and subzones which are essential to the wine production. Also, all kinds of potential diversity of wine sorts and appellations of origin should be achieved. The article shows that a number of problems associated with Georgian wine can be solved by standardizing its standard, organic and biodynamic sorts. The globally important Qvevri wine, along with qvevri (an object of cultural heritage) and other historical vessels for ageing and storing wine need to be separately included in the list of commodity nomenclature for foreign economic activity. The article also describes the ways and directions which shall be undertaken both by the state and business circles to promote Georgian wine worldwide and adjust it, to the greatest possible extentნ to the needs of consumers. The article’s basic postulate is application of strategy of differentiation of wines by the sector of Georgian wines that implies the production of special, unique, diverse and high quality wines.

Keywords: Georgian wine production, cluster of viticulture-winemaking, competitiveness of wine, strategy of differentiation, names and appellations of origin of vine and wine, cadaster of vineyard, vine assortment, wine marketing and promotion, vine and wine legislation and standards, Qvevri wine, commodity nomenclature of foreign economic activity, bioproduction.

# საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ანალიზი საქართველოში

**ჩუბინიძე ნანა**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

„საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ანალიზი საქართველოში" ეხება თანამედროვე სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ ფართოდ განხილულ თემას უძრავი ქონების შესახებ. კერძოდ, საცხოვრებელი ფართების არსებულ ფასებს და პროგნოზს, თუ როგორ შეიცვლება საფასო პოლიტიკა რამოდენიმე წლის განმავლობაში. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება არსებობს. საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია. სტატიის მიზანია საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე არსებული ფასების ანალიზი.

უახლესი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რაც 2019 წლის აპრილში გასაჯაროვდა, ფასები უძრავ ქონებაზე დინამიკაში იზრდება. ჩატარებული კვლევის მიხედვით ბაზარი კვლავ მიმზიდველი რჩება როგორც ინვესტორებისათვის, ასევე მომხმარებელებისათვის, თუმცა ამოქმედებული რეგულაციები გარკვეულწილად იმოქმედებს ბაზრის მოთხოვნა - მიწოდებაზე.

საქართველოს მთავრობის 41 - ე დადგენილება, რაც ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებს განსაზღვრავს და კ2 კოეფიციენტის მატების პრაქტიკის გაუქმება ის ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რაც გავლენას მოახდენს უძრავი ქონების ბაზარზე. პროგნოზი კი შემდეგია: ბაზარზე მიწოდება შემცირდება, დეველოპერებისა და მშენებლების ინტერესი შეიცვლება. ამის ფონზე მოთხოვნა უცვლელი დარჩება, რაც მიწოდების უკუპროპორციულად აისახება საცხოვრებელი ფართების ფასებზე.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონების ბაზარი, ინვესტიცია, ტექნიკური რეგლამენტი, მოთხოვნა, მიწოდება.

**ძირითადი ტექსტი**

უძრავი ქონების ბაზარი, ეს არის ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი და განვითარებადი სფერო საქართველოში. ქაოტურად დაწყებული მშენებლობები, ყოველწლიურად გაზრდილი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ იწვევს ინვესტორების დაინტერესებას, საჭიროს ხდის გატარდეს გარკვეული სახის რეგულაციები. შესაბამისად უნდა მოწესრიგდეს ბაზარი, თუმცა არ უნდა გამოიხატოს სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევით. როგორც აღვნიშნეთ დღითი დღე იზრდება ტრანზაქციების რაოდენობა (ნახ. 1) უძრავი ქონების ბაზარზე, სადაც არსებითი წილი უჭირავს ახალაშენებული ბინების რეალიზაციას.




ნახ. 1. თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციები (მილიარდი აშშ დოლარი).

2018 წელს საჯარო რეესტრის მიერ ოფიციალურა გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ტრანზაქციების მოცულობა 39 % - ით არის გაზრილი.

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რა მოლოდინები უნდა გვქონდეს უახლოეს პერიოდში უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ამისათვის საჭიროა განვსაზღვროთ ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებაზე მოქნები ფაქტორები და მათი გავლენა.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც გავლენას მოახდენს მიწოდებაზე, შემდეგია:

- საქართველოს მთავრობის 41 - ე დადგენილება, ანუ ტექნიკური რეგლამენტი, რაც გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს მშენებლებისა და დეველოპერებისათვის.
- კ2 კოეფიციენტების შეზღუდვა უბნების მიხედვით, რაც ასევე გულისხმობს ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის - კოეფიციენტის მომატების გაუქმებას მშენებლებისათვის.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიწოდების შემცირება არის მოსალოდნელი. კ2 კოეფიციენტზე შეზღუდვების გააქტიურება თავის მხრივ შეცვლის დეველოპერების ქცევას, კერძოდ გააქტიურდება უკვე არააქტიური მშენებლობები. მნიშვნელოვნადაა შემცირებული საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე გაცემული ნებართვები. ეს ინფორმაცია ასევე საჯაროა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია გადაამოწმოს მერიის არქიტექტურის სამსახურის ვებ გვერდზე. სტატისტიკურად 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაცემულია 47 % - ით ნაკლები თანხმობა, ხოლო აურყოფილი განაცხადების რაოდენობა გაზრდილი 15 % - დან 17 % - მდე. აღნიშნულ საიტზე დაყრდნობით, სადაც მონაცემები ოფიციალურია, ამჟამად სახეზე გვაქვს 1.6 მლნ კვ.მ ახალაშენებული/მშენებარე ბინა, რომლის საშუალო ღირებულება შეადგენს 1.14 მილიარდ აშშ დოლარს. მაგალითად მშენებარე კორპუსებში, რომლის საკონსტრუქციო ნაწილი დასრულდება 2019 წელს, უკვე რეალიზებულია 412,775 კვ.მ ფართები, ხოლო გასაყიდია 387,645 კვ.მ ფართი. ასევე გაიზრდება ინტერესი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მხრივ. ამის ნათელი მაგალითია დეველოპერული კომპანია $M^2$ – თან გაფორმებული ხელშეკრულება, რაც გულისხმობს ვაჟა ფშაველას კვარტლებში ეგრეთწოდებული ხრუშჩკების ჩანაცვლებას მაღალსართულიანი კორპუსებით, რაც დაკომპლექტებული იქნება პატარა ბინებით. მცირე ზომის ბინებზე მოთხოვნას კი თავის მხრივ ასევე განაპირობებს შეცვლილი დაკრედიტების დებულება და გაზრდილი ფასები. არგუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც ივარაუდება უძრავ ქონებაზე ფასების გაზრდა, ესაა მოთხოვნის ანალიზი.

ერთმნიშვნელოვნად საპასუხისმგებლოა განვსაზღვროთ ასევე მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები:

1. პირველი, ეს არის დემოგრაფია, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოთხოვნის ზრდას.

2. შემდეგი მოდის ეკონომიკური ფაქტორი, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით დასაქმების დონე და შინამეურნეობების სიმდიდრე იზრდება, შესაბამისად იზრდება მოთხოვნა უძარვი ქონების ბაზარზე.

3. მომდევნო ადგილს იკავებს იმიგრანტებისათვის ბინადრობის უფლების მოპოვება. არსებული მიდგომით, უცხო ქვეყნის მოქალაქე ვერ მიიღებს ბინადრობის მოწმობას, თუ მის სახელზე არ იქნება რეგისტრირებული უძრავი ქონება.

4. იჯარა კვლავ აქტუალურია, მისგან მიღებული მაღალშემოსავლიანი პროცენტით.

ზემოთ მოყვანილი ფაქტორების გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მოთხოვნა მსგავს თანაბარ პირობებში გაიზრდება.

მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით ვნახეთ, რომ უახლოეს პერიოდში უძრავი ქონების ბაზარზე მივიღებთ შემდეგ სურათს: ბაზარზე მიწოდება შემცირდება, ხოლო მოთხოვნა გაიზრდება. მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის თანახმად კი აღნიშნული ცვლილებები გამოიწვევს ფასების მატებას. დამატებითი ფაქტორი, რაც გამოიწვევს უძრავი ქონების გაძვირებას ეს არის უძრავი ქონების თვითღირებულების გაზრდა. თუმცა სწორხაზოვნად ვერ ვიმსჯელებთ, რადგან თამაში - განვსაზღვროთ სამომავლო ფასები უძრავ ქონებაზე ერთვება კიდევ ერთი მონაწილე, ეს არის გამკაცრეული საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიზანია ებრძოლოს ჭარბვალიანობას. ბაზარზე მიმდინარე სიტუაციით იპოთეკურ სესხზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული. კერძოდ, ახალმა რეგულაციებმა შეზღუდა ახალი იპოთეკური სესხების რაოდენობა.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი:

- საშუალო შემოსავალი - 2600 ლარი (მოპოვებული ინფორმაციით რაოდენობა შეადგენს 67,309 ადამიანს);
- მოცემულ შემოსავალზე PTI – 45%;
- იპოთეკური სესხის მაქსიმალური მოცულობა ლარში - 105,844 ლარი;
- საშუალო ფასი თბილისში 65 კვ.მ ფართის ბინის - 150,000 ლარი;
- თანამონაწილეობის თანხის გარეშე საჭიროა ფიზიკურმა პირმა აიღოს სესხი მოცულობით - 127,075 ლარი.

დაანგარიშებული თანხა კი არ არის საკმარისი 65 კვ.მ ფართის ბინის შესაძენად. მსგავს სიტუაციაში საჭიროა მსესხებელს ყავდეს თანამსესხებელი, რომლის ვინაობა განისაზღვრება შემდეგი სქემით - დედ-მამიშვილი, მეუღლე, მშობელი (რომლის ასაკი სესხის მომსახურების პრეიოდში არ უნდა გაცდეს 65 ანუ საპენსიო ასაკს).

ზემოთ მოცემული ანალიზის საფუძველზე კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ფასები სტაბილურად და ნელი ტემპით გაიზრდება, ახლო მომავალში კი ზომიერი ბალანსი შენარჩუნდება.

**დასკვნა**

უძრავი ოქნების შეძენით დაინტერესებულ პირებს და ინვესტორებს მუდამ აინტერესებთ წინასწარ განსაზღვრონ თუ რა გავლენას მოახდენს უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარე ნებისმიერი ცვლილება. როგორც ვნახეთ, საქართველოში მიმდინარე პერიოდში უძრავი ქონების ბაზარზე საკამოდ დიდი და ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს. ერთის მხრივ ჩნდება საშიშროება, რომ ბაზარზე მიმწოდებლების რაოდენოდა საგრძნობლად დაიკლებსმ რაც გამოიწვევს ფასების ზრდას.

აღნიშნული საკითხი, ნამდვილად დიდ რყევებს მოახდენდა ბაზარზე, თუმცა მას დაუპირისპირდა დაკრედიტების ინსტრუქციაში ცვლილებები, კერძოდ სასესხო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა ძალიან შემცირდა. აქედან გამომდინარე ბაზარზე ბალანსდება მოთხოვნა და მიწოდება. შესაბამისად ფასები გრძელვანიან პერსპექტივაში მხოლოდ ნელი ტემპით გაიზრდება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Berk J., DeMarzo P., Corporate Finance International 2 nd ed., Pearson/Addison Wesley, 2011 pp. 368
2. Экономика недвижимости Асаул А.Н., Иванов С.Н., Люлин П.Б., 2008, 285с.
3. Введение в экономику недвижимости И. П. Иваницкая, А. Е. Яковлев 2015, 285с.
4. http://www.colliers.com/en-ge/georgia 2017-2018 უკანასკნელად გადამოწმებულია 20.04. 2019
5. www.stern.nyu.edu, REAL ESTATE - NYU Stern School of Business (Chpt 26) უკანასკნელად გადამოწმებულია 20.04. 2019
6. www.thebalance.com, Kennon J., Real Estate InvestingThrough REITs -უკანასკნელად გადამოწმებულია 20.04. 2019
7. www.nbg.gov.ge -უკანასკნელად გადამოწმებულია 20.04. 2019
8. www.geostat.ge - -უკანასკნელად გადამოწმებულია 20.04. 2019
9. www.tas.ge - უკანასკნელად გადამოწმებულია 20.04. 2019
10. www.napr.gov.ge - უკანასკნელად გადამოწმებულია 20.04. 2019
11. www.rs.ge უკანასკნელად გადამოწმებულია 20.04. 2019

**Residential Property Cost Analysis in Georgia**

***Nana Chubinidze*, PhD student**
***Georgian Technical University***

## Summary

Article **" Residential Property Cost Analysis in Georgia**" written by **Nana Chubinidze**, reviews one of the most widely discussed topics in modern scientific economic literature. In particular, the real estate, taking into consideration the living premises, existing prices and forecasts, how the policy policy took place over several years. There is a different opinion. The issue is relevant and important, considering the price of the Georgian real estate market is the purpose of this article.

According to the latest statistical data, which is in April 2019, prices on real estate are rising dynamics. According to the survey, the market remains attractive to both investors and consumers, however, the regulatory initiatives start with some of the market demand for supply.

The 41st Decree of the Government of Georgia, which defines safety rules and safety rules, is the two most important factor that affect the real estate market. Even the forecast is the following: supply to the market is reduced, the developers and builders will change interest. The demand for this will remain unchanged, which is inversely proportional to the prices of living spaces.

Keywords: Real Estate Market, Investment, Technical Regulation, Supply, Demand.

# ცოდნა და კონცეპტუალური ზადე

*ჩხეიძე მაია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ქუთათელაძე რუსუდანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*სოსელია მაია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

სტატია ეხება ცოდნის რეპერზენტაციას კონცეპტუალურ ზადეში. ცოდნის რეპრეზენტაციის მაქსიმალურად ეფექტურ ერთეულად სტატიაში მიჩნეულია კონცეპტუალური ზადე.

კონცეპტუალური ზადის მოდელი უნივერსალურია. იგი იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მთელი ცოდნის მრავალფეროვნების გამოსახვის შესაძლებლობას. კონცეპტუალურ ზადეში ინტეგრირებული ცნებები ქმნიან იერარქიულ ქსელს. აღნიშნული ქსელის სტრუქტურული თავისებურება - გრადუალიზმი - განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში აკუმულირებულ ცნებათა შორის არსებული ურთიერთკავშირით.

ადამიანური ცოდნის ბუნება მონაცემებზეა დაფუძნებული. დიდი მოცულობის მასალა ურთიერთდაკავშირებულ მცირე ნაწილებად გარდაიქმნება. გადამუშავებული მონაცემები უკვე ინფორმაციაა, რომელიც ჩამოყალიბდება მონაცემთა გაანალიზების გზით, მონაცემების სინთეზის საფუძველზე კი ფორმირდება უფრო დიდი და რთული (მოდელებზე დაფუძნებული) სტრუქტურები.

ასახავს რა რეალობას, ადამიანი სწორედ სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივი ფორმით დაფიქსირებული ცოდნის ჯამი წარმოადგენს იმ ფენომენს, რასაც „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“ ეწოდება.

საკვანძო სიტყვები: ცოდნა, კონცეპტუალური ზადე, ცნებები, იერარქიული ქსელი.

**ძირითადი ტექსტი**

ცოდნა იქმნება სპირალისებურად და, ერთი შეხედვით, ისეთი წინააღმდეგობრივი ფენომენებისაგან, როგორიცაა წესრიგი და ქაოსი, მიკრო და მაკრო, ნაწილი და მთელი, გონება და სხეული, იმპლიციტური და ექსპლიციტური, "მე" და "სხვები", დედუქცია და ინდუქცია, შემოქმედებითობა და კონტროლი და სხვ. აზროვნება ახდებს ცოდნის შექმნის პროცესის სტიმულაციასა და ურთიერთდაპირისპირებულ ფენომენთა სინთეზს.

ცოდნა დინამიურია, რადგან ის ინდივიდებს შორის სოციალური ინტერაქციის შედეგად იქმნება. ცოდნა კონტექსტურია, რადგან ის დამოკიდებულია კონკრეტულ დროსა სივრცეზე. კონტექსტის გარეშე ის უზრალოდ ინფორმაციაა და არა ცოდნა.

ცოდნა დაფუძნებულია ემპირიული გზით მიღებულ მონაცემებზე. იგი წარმოადგენს ადამიანის გონებრივი მოქმედების შედეგს, რომელიც მიმართულია მისი პრაქტიკული საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილების განზოგადებისკენ.

ცოდნის შექმნა ოთხი ინტეგრირებული პროცესის უწყვეტი ციკლის შედეგია. ეს პროცესებია:

- სოციალიზაცია (იმპლიციტური ცოდნის იმპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა) -სოციალიზაცია ახალი იმპლიციტური ცოდნის გარდაქმნის პროცესია საერთო გამოცდილების საშუალებით. რაკი რთულია იმპლიციტური ცოდნის ფორმალიზება და იგი დროითა და კონტექსტითაა დეტერმინირებული, მისი დაუფლება მხოლოდ ერთობლივადაა შესაძლებელი;
- დაკონკრეტება/ხელშესახები ფორმის მიცემა (იმპლიციტური ცოდნის ექსპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა) - დაკონკრეტება – იმპლიციტური ცოდნისათვის კონკრეტული

ხელშესახები ფორმის მიცემაა. ამ დროს ცოდნა თითქოს კრისტალიზდება და სხვებისათვის გაზიარების ფორმას იძენს. ის ახალი ცოდნის საფუძველი ხდება. იმპლიციტური ცოდნის ექსპლიციტურად გარდაქმნა დამოკიდებულია მეტაფორის, ანალოგიისა და მოდელის თანმიმდევრულ გამოყენებაზე;

- კომბინაცია (ექსპლიციტური ცოდნის ექსპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა) - კომბინაცია ექსპლიციტური ცოდნის გარდაქმნაა ექსპლიციტური ცოდნის უფრო რთულ და სისტემურ ნაკრებებად;
- გათავისება (ექსპლიციტური ცოდნის იმპლიციტურ ცოდნად გარდაქმნა) - გათავისების საშუალებით შექმნილი და გაზიარებული ექსპლიციტური ცოდნა ინდივიდების მიერ იმპლიციტურ ცოდნად გადაიქცევა. გათავისება მჭიდროდ უკავშირდება "კეთებით სწავლას". როცა გათავისებული ცოდნა ინდივიდების იმპლიციტური ცოდნის ბაზის ნაწილი ხდება ერთობლივი მენტალური მოდელების ფორმით.

ცოდნის გარდაქმნის ეს ოთხი მექანიზმი ურთიერთდამოკიდებულია და იცვლება კონტექსტის მოთხოვნების შესაბამისად. სწორედ კონტექსტში ხდება ცოდნის გაზიარება, შექმნა და გამოყენება. სოციალური, კულტურული და ისტორიული კონტექსტები ქმნიან ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და მისთვის მნიშვნელობის მინიჭების საფუძველს.

კონტექსტი რთული და ცვალებადია. ის საზღვრებს უწესებს ინდივიდებს ინტერაქციისათვის და იმავდროულად მისი საზღვრები ღიაა. ის ინდივიდებს დროსა და სივრცეს აძლევს და, იმავდროულად, დროისა და სივრცის საზღვრებს არღვევს.

ცოდნის პირამიდის აგება გულისხმობს ცნებათა იერარქიულ კონსტრუქტს, რომელშიც ვლინდება გაგების გაღრმავება და ცნებათა აბსტრაქტულობის დონის ამაღლება. ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება როგორც პირამიდის თითოეული დონის ფარგლებში, ისე დონეებს შორისაც. პირამიდა აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებულ ყველა მიმართებას.

ცოდნის პირამიდა მოიცავს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის კონცეპტუალურ ჩარჩოებს, სხვა სიტყვებით, ცოდნის კლასტერებს, ცოდნის ერთეულებს. აღნიშნული ჩარჩოები, კლასტერები და ერთეულები წარმოადგენს განზოგადებებს, რომლებშიც ვლინდება სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის სტრუქტურების წესი.

ცოდნის არსებითი მახასიათებელი მისი დისკრეტულობაა და რომ სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს, მივმართოთ ენას, რომელიც ამ შემთხვევაში ასრულებს ცოდნის დანაწილების, ობიექტივიზაციისა და საბოლოოდ კი ინტერპრეტაციის ფუნქციებს. ეს ფუნქციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თავიანთ თანაარსებობაში ისინი ქმნიან იმ ნიშნებს, რომლის მიხედვითაც დგინდება ენის მონაწილეობა სააზროვნო პროცესებში.

ჩვენი ცნობიერება ერთდროულად მთლიანობრივიცაა და მრავაწახნაგოვანიც. სამყაროსთან ურთიერთქმედებაში სხვადასხვა ტიპის ცოდნას ვიღებთ. ცოდნის სხვადასხვა ტიპი განსხვავდება ერთმანეთისაგან ჭეშმარიტებისა და სანდოობის ხარისხით. მიუხედავად ჭეშმარიტების სახობათა მრავალფეროვნებისა (აბსოლუტური, ფარდობითი, ობიექტური, სუბიექტური, ალბათური), მაინც შესაძლებელია ჭეშმარიტების უნივერსალური განმარტების ჩამოყალიბება: ჭეშმარიტება წარმოადგენს ჩვენი ცოდნისა და სამყაროს ადეკვატურობის კონსტატაციას. უნდა აღინიშნოს, რომ დეფინიციის უნივერსალურობა არ გამორიცხავს ორი ტიპის პრობლემის არსებობას:

- რეალობის შესახებ ჩვენი ცოდნის სისრულის პრობლემას;
- რეალობისადმი დამოკიდებულების სუბიექტურობის პრობლემას.

თანამედროვე ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში არსებულ პრობლემათაგან ერთ-ერთი - ცოდნის რეპრეზენტაციის პრობლემაა, სხვა სიტყვებით კი, იმ ტიპის ერთეულის კონსტრუირება, რომელშიც:

- შესაძლებელია ცოდნის მაქსიმალურად სრული და ობიექტური რეპრეზენტაცია; რეპრეზენტაციის სისრულესა და ობიექტურობაში ვგულისხმობთ ერთეულის უნარს, ასახოს

წარმოდგენა სამყაროსა და ადამიანზე, მათ შორის არსებულ კავშირზე (ადამიანის კავშირი ბუნებასთან, საზოგადოებასთან და ადამიანებთან) და ადამიანის კავშირი საკუთარ თავთან;

- ვლინდება მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის სპეციფიკა;
- ფიქსირდება ლინგვისტურისა და ექსტრალინგვისტურის სინთეზი;
- იკვეთება სოციუმის შემეცნებითი და ტექსტობრივი მოღვაწეობის საფუძველზე ფორმირებული კონსტრუქტი;
- ინტეგრირებულია ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: ლინგვისტური ცოდნა, ექსტრალინგვისტური ცოდნა და ზოგადი ფონური ცოდნა;
- აღბეჭდილია ერის მსოფლმხედველობა, მსოფლაღქმა და მსოფლგანცდა - ადამიანთა პოზიციები, იდეალები, აღქმის პრინციპები, საქმიანობა, ღირებულებითი ორიენტაციები და სულიერი ორიენტირები.

ადამიანის ცნობიერების ყველა ასპექტის ინტეგრირება, ცოდნის აღნიშნულ სახეობათა ერთიანობა ჯამში ქმნის ერთეულს, რომელიც ერთდროულად პიროვნულ-ინდივიდუალურიცაა და ზეინდივიდუალურიც.

სამყაროს გააზრების შედეგი შემეცნების ყველა სახეობის შემთხვევაში ფიქსირდება ენის მატრიცებში, რომელიც ემსახურება ცნობიერების მოცემულ სახეობას.

როგორი უნდა იყოს ენის მატრიცა, როგორც კოლექტიური ცნობიერების ფუნქციონირების შედეგი, როგორც გლობალური, უნივერსალური ცოდნის კვანტი? ეს კითხვა ითხოვს პასუხს და სწორედ ეს მოთხოვნა განსაზღვრავს საკითხის აქტუალობას.

ანთროპოცენტრისტულ პარადიგმაში პრობლემის სახით გვევლინება საკითხი, რომელიც უკავშირდება კოგნიტურ რგოლში გაერთიანებულ კომპონენტთა (გონება - ენა -რეპრეზენტაცია - კონცეპტუალიზაცია - კატეგორიზაცია - აღქმა) შორის არსებულ მიმართებათა თავისებურებას.

აღნიშნული პრობლემის მიღმა იკვეთება ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- ცოდნის სტრუქტურაციის პრინციპების განსაზღვრა;
- ელემენტთა კლასიფიცირება სინამდვილის მენტალურ მოდელში;
- მოვლენათა სისტემური აღწერის, შინაარსთა კვლევის მეთოდის შერჩევა;
- კონცეპტის სტაბილურობის, მდგრადობისა და ცნობადობის განმსაზღვრელ ფაქტორთა ანალიზი [3: P.183-228];
- კონცეპტთა, როგორც მენტალურ წარმონაქმნთა, ტიპოლოგიზაცია სტანდარტიზირებულობის ნიშნისა და ენობრივი გამოხატულების მიხედვით.

ენის მატრიცა, როგორც კოლექტიური ცნობიერების ფუნქციონირების შედეგი, როგორც გლობალური, უნივერსალური ცოდნის კვანტი, ობიექტური და სრულია, თუ იგი მოიცავს ფენომენის თაობაზე არსებული ცოდნის ყველა რელევანტურ სახეობას და თუ იგი ასრულებს:

1. სინთეტურ ფუნქციას, რაც გულისხმობს ცოდნის ფრაგმენტთა ინტეგრირებას ერთიან სისტემაში;
2. ექსპლონატორულ ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც ვლინდება ფენომენის მნიშვნელოვანი მარკერები, ფიქსირდება ფენომენის მიზეზობრივი და სხვა ტიპის კავშირები მეორე ფენომენთან.

კვლევის მეთოდოლოგიის თავისებურებას განსაზღვრავს შემდეგი დებულების შინაარსი: მიმართებათა წვდომა, მოვლენათა ზოგადი კანონზომიერების გაგება, ობიექტთა კლასის ზოგადი და არსებითი ნიშნების გამოყოფა - სააზროვნო ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტაც ხერხდება ინტელექტუალური ოპერაციების მეშვეობით. ინტელექტუალური ოპერაცია ადამიანის გარემოსთან ურთიერთქმედების, ინტერიორიზაციის შედეგია. ნაშრომში გამოყენებულია აზროვნების შემდეგი ოპერაციები:

- ანალიზი - რომლის მეშვეროზითაც შესაძლებელი გახდა მთლიან ფენომენსა თუ მოვლენაში სხვადასხვა მხარეების გამოყოფა;

- აბსტრაქცია ანუ განყენება - რომელიც გულისხმობს საგანთა ერთობლიობისათვის დამახასი-ათებელ საერთო, ზოგადი ნიშნის, თვისების გამოყოფას და ამ ზოგადის კონკრეტული საგნის გარეშე გააზრებას.

ეს განმაზოგადებელი აბსტრაქციაა. იმისათვის, რომ მოხერხდეს საგანთა ან მოვლენათა ჯგუფისათვის საერთოს გამოყოფა, საჭიროა ამ საგნების ან მოვლენების ერთმანეთთან შედარება. განმაზოგადებელი აბსტრაქცია ეყრდნობა საგანთა შედარებას და მათ შორის ცოდნის რეპრეზენტაციის პრობლემა მიმართების წვდომას [1: 205]. საგნებს შორის დამოკიდებულებაში ხშირად ჩნდება ისეთი თვისებები, რომელიც ცალკე აღებულ საგანში ან მოვლენაში არ ჩანს. ამდენად, აბსტრაქციის ოპერაცია გულისხმობს ობიექტთა შედარებით ანალიზს, მათი ურთიერთმიმართების საფუძველზე, ამ ობიექტისათვის დამახასიათებელი მსგავსი ნიშნების გამოყოფას და მათ საფუძვლეზე ობიექტთა კატეგორიაში გაერთიანებას. საერთო ნიშანთა წვდომა და მათი აბსტრაქცია საფუძვლად უდევს ნებისმიერ კლასიფიკაციას;

- სინთეზი - რომელიც გულისხმობს ცალკეული ელემენტების, საგანთა თვისებების აზროვნებაში ერთ მთლიანობაში გაერთიანებას. კონცეპტუალური სივრცის „შენების" პროცესში სინთეზის მეშვეობით ობიექტებში გამოყოფილი ცალკეული ნიშნები ერთიანდება მთლიანობად. ცნების შინაარსი ჯამი კი არ არის თვისებებისა, არამედ ერთი აზრი, რომელშიც აბსტრაქტული ნიშნები ერთიანდებიან სინთეზის საშუალებით.

ცოდნის შექმნა უწყვეტი, საზღვრების გადალახვის პროცესია – ადამიანი გადალახავს თავისი ძველი "მეს" საზღვრებს და ახალ "მეში" იდებს ბინას ახალი კონტექსტის შეცნობის, სამყაროს ახალი ხედვის და ახალი ცოდნის საშუალებით.

ადამიანი ასევე გადალახავს საზღვრებს "მესა" და "სხვებს" შორის, რადგან ცოდნა იქმნება ინდივიდებს შორის და ინდივიდებსა და გარემოს შორის ინტერაქციით. ცოდნის შექმნისას მიკრო და მაკრო ერთმანეთთან ურთიერთქმედებს და ცვლილებები ხდება როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე: ინდივიდი (მიკრო) გავლენასაც ახდენს და იმ გარემოს (მაკრო) ზეგავლენის ქვეშაცაა, რომელშიც ინტერაქცია უხდება. ცოდნა იქმნება იმპლიციტური და ექსპლიციტური ცოდნის ურთიერთქმე-დებით. ამ ორი ტიპის ცოდნას შორის ინტერაქციას „ცოდნის გარდაქმნა" ეწოდება. გარდაქმნის პროცესში იმპლიციტური და ექსპლიციტური ცოდნა ფართოვდება როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად.

მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ერთეულს წარმოადგენს კონცეპტუალური ბადე. იგი წარმოადგენს ღრმა ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურას. აღნიშნული ტიპის ცოდნა გულისხმობს მოცემულ საგნობრივ სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველ აბსტრაქციებსა და სქემებს [5: 145-153]. სწორედ ღრმა ცოდნა ხსნის ამა თუ იმ მოვლენის არსს და უზრუნველყოფს მოვლენათა და ობიექტების ქცევის პროგნოზირების შესაძლებლობას.

კონცეპტუალური ბადე წარმოადგენს ღრმა ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურას . აღნიშნული ტიპის ცოდნა გულისხმობს მოცემულ საგნობრივ სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველ აბსტრაქციებსა და სქემებს. სწორედ ღრმა ცოდნა ხსნის ამა თუ იმ მოვლენის არსს და უზრუნველყოფს მოვლენათა და ობიექტების ქცევის პროგნოზირების შესაძლებლობას [2: 38-56]. კონცეპტუალური ბადისათვის რელევანტური ცოდნის მახასიათებლებს წარმოადგენს:

- იერარქიულობა - ნებისმიერი პროცესი თუ მოვლენა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უფრო წვრილი ქვესიმრავლის სიმრავლე და პირიქით, ნებისმიერი ობიექტი შეიძლება, განხილულ იქნეს როგორც განზოგადების უფრო მაღალი კლასის ელემენტი [4: 79-83];
- კონტინუალურობა - სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირების ამოცანა გულისხმობს გარკვეული უსრულობის ჩარჩოებით შემოსაზღვრას [3: 9–20]. საგნობრივი სფეროს საზღვრების დადგენა გააზრებულია როგორც სემანტიკური ფრეიმის კონფიგურეაციის განსაზღვრისათვის საკმარისი შეზღუდვებისა და დაშვებების შემოტანის პროცესი.

მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის

რეპრეზენტაციის ერთეულს წარმოადგენს კონცეპტუალური ბადე. კონცეპტუალური ბადისათის რელევანტური ცოდნა გულისხმობს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობისა და გამოცდილების საფუძველზე მიღებულ საგნობრივი სფეროს კანონზომიერებებს. აღნიშნული კანონზომიერები კი მოიცავს პრინციპებს, კავშირებსა და კანონებს.

კონცეპტუალური ბადის მოდელი უნივერსალურია. იგი იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მთელი ცოდნის მრავალფეროვნების გამოსახვის შესაძლებლობას. კონცეპტუალურ ბადეში ინტეგრირებული ცნებები ქმნიან იერარქიულ ქსელს. აღნიშნული ქსელის სტრუქტურული თავისებურება - გრადუალურობა - განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში აკუმულირებულ ცნებათა შორის არსებული ურთიერთკავშირით. ცნებათა იერარქია წარმოადგენს გლობალურ სქემას, რომელიც შეიძლება, საფუძვლად დაედოს ნებისმიერი საგნობრივი სფეროს ცოდნის სტრუქტურის კონცეპტუალურ ანალიზს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Fauconnier J.(1998). Methods and generalizations. In: Cognitive Linguistics. Gaines, B. R., Shaw, M. L. G. Eliciting Knowledge and transferring it Effectively to a Knowledge-Based System. Knowledge Science Institute, University of Calgary.
2. Lakoff G. (1972). A study in meaning criteria and the logic of fuzzy concepts. Chicago, V.8.
3. Langacker R. (1994). The limits of continuity: discreteness in cognitive semantics // Fuchs C. Victorri B. (eds), Continuity in linguistic semantics. Amsterdam: Benjamins.
4. Liming C., Shadbolt N., Carole A. (2007). Goble: A Semantic Web-Based Approach to Knowledge Management for Grid Applications. IEEE Transactions, Vol.19.
5. Minsky M. L. (1986). ‘‘The society of mind“. New York: Simon and Schuster.


**Knowledge and Conceptual Net**


***Maia Chkheidze, Professor***
***Georgian Technical University***

***Rusudan Kutateladze, Professor***
***Georgian Technical University***

***Maia Soselia, Associate Professor***
***Georgian Technical University***


## Summary


The article deals with the problem of knowledge representation in the conceptual net. Conceptual net has been considered to be the most effective unit of representing the knowledge.

The model of the conceptual net is universal. It makes possible to reflect variety of the knowledge about the universe. The concepts integrated in the conceptual field create hierarchical net. Gradualism is considered the essential structural specificity of the mentioned net. The mentioned marker is determined by the relations between the concepts accumulated in the human memory.

Human knowledge is based on the data. The huge material, in other words, numerous data are transformed into interconnected small segments. The processed data represent information, developed as a result of the data analysis. More spacious, complex and model-based structures are developed as a result of the data synthesis.

Reflecting the reality, a human being stores the outcomes of cognition in the word. The sum of the knowledge coded in the lingual form is considered to be the phenomenon called “lingual representation of the world”.



Keywords: knowledge, conceptual net, concepts, hierarchical net.

# საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის სრულყოფისათვის

*ჭინჭარაული გიორგი*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*პროფესორი სესტ უნივერსიტეტის რექტორი*

*კაპანაძე მაია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ნაკლოვანებები და დასახულია ამ ნაკლოვანებათა დაძლევის გზები. კერძოდ ნაჩვენებია საქართველოში სათანადო სამართლებრივი ბაზის უქონლობა, არაკომპეტენტურობა, სხვადასხვა სახის არაჯანსაღი ინტერესები როგორ აფერხებენ სრულყოფილი და სამართლიანი ეკონომიკური კანონმდებლობის მიღებას, რაც არასასურველ გარემოს ქმნის ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის. კონკრეტულობაში გაანალიზებულია არასამეწარმეო სფეროს კანონმდებლობის ნაკლოვანებეი.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური საქმიანობა; საკანონმდებლო აქტები; ბუნებრივი მონოპოლიები.

**ძირითადი ტექსტი**

„ეკონომიკური სფეროს კანონმდებლობა'' იმ იურიდიული კანონებისა და საკანონმდებლო აქტების ერთობლიობაა, რომელიც გამიზნულია ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებისათვის. საბაზრო ეკონომიკის დროს, როცა გადაწყვეტილებების მიღება დეცენტრალიზებულია და ეკონომიკური კავშირები მყარდება ნებაყოფლობითი ურთიერთობების პრინციპებზე, კანონმდებლობა წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვან ბერკეტს. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური საქმიანობის სფეროში კანონმდებლობა უნდა ასრულებდეს შემდეგი სახის ძირითად ფუნქციებს:

ა)განსაზღვროს და დაიცვას საკუთრების უფლება;

ბ) განსაზღვროს ფირმების ფორმირების, მოქმედებისა და ლიკვიდაციის წესი;

გ) დაადგინოს თავისუფალი გაცვლისა და სახელშეკრულებო ურთიერთობათა ნორმები და ა.შ. რომლებიც საბოლოოდ ხელს შეუწყობენ ეკონომიკური საქმიანობის რაციონალური გარემოს ფორმირებას.

საქართველოში სათანადო სამართლებრივი ბაზის უქონლობა, არაკომპეტენტურობა, სხვადასხვა სახის არაჯანსაღი ინტერესები აფერხებენ სრულყოფილი და სამართლიანი ეკონომიკური კანონმდებლობის მიღებას, რაც არასასურველ გარემოს ქმნის ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის. ზოგჯერ უპირველესი კანონები და საკანონმდებლო აქტები არ არის მიღებული. რაც არის, ისიც არ შეესაბამება ეკონომიუკურ რეალობას. ხშირად კანონები და საკანონმდებლო აქტები ურთიერთგამომრიცხავი და ბუნდოვანია. მიმდინარეობს მათი ხშირი და ხშირად გაუმართლებელი ცვლილებებეი და ა.შ. ასე მაგალითად, არასაწარმოო საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი, სრულყოფილი დამოუკიდებელი კანონმდებლობა არ არსებობს. იგი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იხ.2(13) საფუძველზე კაშირისა და ფონდის სახით, რაც ზღუდავს არასამეწარმეო საქმიანობის განვითარებას არა მარტო იმიტომ, რომ ფონდის დაფუძნება არ შეუძლია სათანადო ქონების არმქონე პირს, ან კიდევ კავშირის დაარსება არ შეუძლიათ ხუთ წევრზე ნაკლები რაოდენობის მქონე პირებს, არამედ იმიტომაც, რომ არასამეწარმეო საქმიანობა კოოპერატივის სახით საქართველოს კანონმდებლობით მიკუთვნებული არის სამეწარმეო საქმიანობას და რეგულირდება სამეწარმეო საქმიანობის კანონმდებლობით. იხ.(3მუხლ.60). ამ შემთხვევაში კანონმდებლებმა არ იციან, რომ კოოპერატივი იქმნება წარმოების ხარჯების შემცირების მიზნით და არა მოგების ე. ი. სამეწარმეო საქმიანობისათვის. უფრო მეტიც კანონმდებლობაში არ არის დაფიქსირებული

არასაწარმეო საქმიანობის საყოველთაოდ აღიარებული სხვა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმები როგორიცაა არამომგებიანი ორგანიზაციები და ა.შ.

როგორ უკვე ავღნიშნეთ საქართველოს კანონმდებლობაში უამრავი შეუსაბამობა და ურთიერთ გამომრიცხაობა ფიქსირდება. კერძოდ სითი პარკის, თუ თბილისის მერიის მომსახურების სამსახურის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საჯარო რეესტრის და სხვა მსგავსი იურიდიული პირებისათვის მოსახლეობის თუ იურიდიული პირების მიერ კანონმდებლობით დადგენილი გადასახადი ეს არის ორმაგი დაბეგვრა, რაც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს ისე საერთაშორისო საგადასახადო კანონმდებლობას. იხ.[4(118)] საქმე ის გახლავთ, რომ ორმაგი დაბეგვრა მოსახლეობის ექსპლუატაციის მაჩვენებელია ე.ი. სხვისი შემოსავლის დაუმსა-ხურებლად მითვისებაა. ჟარგონულად, რომ ვთქვათ, ადამიანის მიერ ადამიანის ყვლეფაა. უფრო კონკრეტულად ქუჩებზე და ტროტუარებზე (რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის ანუ მოსახლეობის გადასახადების ხარჯზეა გაკეთებული) მანქანების გაჩერებაზე გადასახადის დაწესება უსამართლო, დაუმსახურებელი შემოსავლის სახეს იღებს, მითუმეტეს თუ ის კერძო სექტორია. სამართლიანი პარკირებისათვის მერია იქნება თუ კერძო პირი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კანონმდებლობასთან.

ანალოგიური მდგომარეობაა განათლებისა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საჯარო რეესტრშიც. ისინი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფუნქციონირებენ და მომსახუ-რეობაზე დამატებით ახდევინებენ გადასახადებს ე.ი. ორმაგად ბეგრავენ მოსახლეობას. ასევე კური-ოზია ის გარემოებაც, რომ ფუნქციები ჩამოერთვათ იმ ორგანიზაციებს რომლებიც დღესაც ფუნქცი-ონირებენ და პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. ფაქტიურად დამატებითი ხარ-ჯების საფუძველზე დაუსაბუთებლად შეიქმნა ეს ორგანიზაციები რომელთაც გააჩნია სხვა უარ-ყოფითი მომენტებიც. ამ უარყოფითი მომენტების და მხარეების აღმოსაფხვრელად საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობის მიღება მათი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის სახით.

საქართველოს კანონმდებლობა სრულყოფას საჭიროებს საგარეო ეკონომიკურ ურთი-ერთობათა პირობებშიც. პროტექციონისტულ პოლიტიკის უარყოფა და ფრიტრედერობის დაკანონების გამო სამამულო წარმოება კონკურენციას ვერ უწევს არასამამულო წარმოებას. ეს გავს იმას, რომ ახალდაბადებული ბავშვი, რინგზე გავიყვანოთ კრივში მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონთან. ასევე სახელმწიფოს მხრიდან არ არის დადგენილი აღნიშნულის დამცავი სათანადო საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა. კერძოდ არ არის შემუშავებული ანტი–დემპინგული პოლიტიკა, არ ხდება იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა, არ ხდება შესყიდვების პრეფერენციული სისტემებისა და სტანდარტების განსაზღვრა, არ ხორციელდება სახელმწიფო სუბსიდირება და ა.შ. არა მარტო ვაჭრობის არამედ სხვა მხრივაც ყველა სახელმწიფოს აქვს შემუშავებული სტანდარტები და რეგულაციები რომლებიც სახელმწიფო ტენდერებში უცხო ფირმების შემოსვლას გარკვეულად ზღუდავენ. რაც საქართველოს სინამდვილეში არ არის და უნდა ჯეროვნად გაკეთდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამამულო წარმოება თუ არ მოისპო მუდმივ კრიზისში დარჩება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბუნებრივი მონოპოლიების ფუნქციონირების ეფექტიანობა უფრო დიდია სახელმწიფო საკუთრების პირობებში ვიდრე კერძო პირბის.იხ.[6.4] ვინაიდან ამ შემთხვევაში ხდება მონოპოლიურად მაღალი ფასებისა და უხარისხო მომსახურეობისაგან მომხმარებელთა დაცვა. საქართველოს სინამდვილეში ბუნებრივი მონოპოლიები: ენერგეტიკა, წყალმომარაგება, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და განაწილება და ა.შ. თითქმის ყველა კერძო საკუთრებაშია. ამის გამო ისინი ადგენენ არა მარტო მონოპოლიურ მაღალ ფასებს, არამედ მათი პროდუქციის გაყიდვის ნებართვის გადასახადსაც, ასევე ცალკე მომსახურეობის გადასახადს. ნებართვის გადასახადი აშკარა უშრომელი შემოსავალია და მოსახლეობის ექსპლუატაციის მაჩვენებელი, რაც კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს. ასევე კანონმდებლობაში უნდა აისახოს დერეგულირების საკითხიც. სხვა შემთხვევაში დროთა განმავლობაში უფრო დიდ უარყოფით შედეგს მივიღებთ.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში. არარსებული ან არასრულყოფილი კანონმდებლობის გამო სახელმწიფოში გაბატონებულია მონომოლიზაცია,

არასრულყოფილი კონკურენცია და სხვა უარყოფითი მოვლნები, რომელთა განხილვა ფორმატის განსაზღვრულობის გამო შეუძლებელია. ამდენად ყოველივე აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობის შემაფერხებელი მოვლენებია, რომელთა დაძლევისათვის საჭიროა: არარსებული, უპირველესად აუცილებელი კანონმდებლობის დამუშავება და მიღება, გაუმართავი და უსამართლო კანონმდებლობის სრულყოფა, რომლის გარეშეც ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ვერავითარი ეკონომიკური პოლიტიკა ვერ მიაღწევს სათანადო მიზანს.

საქართველოში არსებული კანონმდებლობის სახით მოქმედი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა (ფართო გაგებით ეკონომიკური პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული) აქსიომატურია და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს:

ა) სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის ფორმირებას;

ბ)პერსპექტიული ეკონომიკური საქმიანობის ინვესტირებას;

გ)ეკონომიკური საქმიანობის, განსაკუთრებით კი მისი პრიორიტეტული სახეებისა და მიმართულების სტიმულირებას;

დ)საერთაშორისო კონკურენციის პირობებში სამამულო ეკონომიკური საქმიანობის მდგრადობას და სხვა. ამდენად ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის უპირველესად საჭიროა არსებული კანონმდებლობის სრულყოფა და არარსებულის დამუშავება-მიღება.

**დასკვნა**

სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ნაკლოვანებები და დასახულია ამ ნაკლოვანებათა დაძლევის გზები. კერძოდ ნაჩვენებია საქართველოში სათანადო სამართლებრივი ბაზის უქონლობა, არაკომპეტენტურობა, სხვადასხვა სახის არაჯანსაღი ინტერესები, როგორ აფერხებენ სრულყოფილი და სამართლიანი ეკონომიკური კანონმდებლობის მიღებას, რაც არასასურველ გარემოს ქმნის ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის. კონკრეტულობაში გაანალიზებულია არასამეწარმეო სფეროს კანონმდებლობის ნაკლოვანებეი. განსაკუთრებით გამოკვლეულია მანქანათა პარკირების, განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის და საჯარო რეესტრის მარეგულირებელი კანონმდებლობა თუ როგორ ახდენს მოსახლეობის ექსპლოატაციას ორმაგი დაბეგვრის გზით. დასაბუთებულია საერთაშორისო ვაჭრობაში, სხვადასხვა სახის ტენდერებში პროტექციონისტული კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობა. წარმოდგენილია ბუნებრივი მონოპოლიების კერო სტრუქტურაში არაეფექტიანი ფუნქციონირების დასაბუთება; ასევე ქვეყანასი გაბატონებული მონოპოლიზაციის, არასრულყოფილი კონკურენციის და სხვა უარყოფითი მოვლენების არსებობა, არ არსებული ან არასრულყოფოლი კანონმდებლობის გამო. გადმოცემულია ეკონომიკური კანონმდებლობის დამუშავების და სრულყოფისათვის რა უნდა გაკეთდეს, რომლის გარეშეც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა კრახს განიცდის.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. საქართველოს კონსტიტუცია,თბ.,2011
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997
3. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ,თბ.,2001
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ.,2011
5. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, თბ.,2005
6. თავაძე, ბუნებრივი მონოპოლიები და მისი რეგულირება,თბ., 2005
7. მ.კაპანაძე; გ.ჭინჭარაული.;მეორე საერთაშორისო კონფერენცია - კონკურენციის პოლიტიკა:თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები. კონკურენციის სახელმწიფო პოლოტიკის შესახე, თბ.,2018
8. გ.ჭინჭარაული,ეკონომიკური თეორია,თბ.,2001

**For the perfecsen off Georgian the economic legislation**

***Giorgi Chincharauli***
***Ac.Doctor of Economics Professor***
***Sest.University Rektor***

***Maia Kapanadze, Associate Professor***
***Georgian Technical University***

## Summary

Lack of proper legal base, incompetence, various unhealthy interests.are discussed in the article alsoHow to prevent faults in economic legislation that creates an undesirable environment for the development of economic activities.

In concrete analysis, the shortcomings of non-entrepreneurial legislation are analyzed. Especially examined by the vehicle parking, the National Center for Educational Development and Public Registry, how the population exploits through double taxation.

It is well-founded in international trade, the necessity of creating protective legislation in various types of tenders. Presentation of the inefficient functioning of the structure of natural monopolies is presented; As well as the existence of the prevailing monopolization, incomplete competition and other adverse events due to existing or incomplete legislation.

also as the existence of the prevailing monopolization, incomplete competition and other adverse events due to existing or incomplete legislation. Finally set out for the development and improvement of economic legislation, what should be done without which the economic policy of the state is crushed.

keywords: Economic activity; legislative acts; natural monopolies

# სექცია IV
# საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

## მმართველობითი პოსტულატები

*აქუბარდია თამაზი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია ხელისუფლების,მისი თავდაპირველი, ყველაზე უფრო დემოკრა-ტიული ფორმიდან, ძალაუფლების შენარჩუნებისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგო-ზების აუცილებელი არსებობის გამო, დიქტატურისკენ, და საბოლოოდ, მისი უკიდურესი გამოვლინების ფორმის, - ტირანიისკენ სვლის გენეზისი, რომელიც საბოლოოდ, მაინც დამხობი-სათვის არის განწირული. ამის შემდეგ, ყველაფერი თავიდან იწყება და იგივე სცენარით მეორდება. ამ პარადიგმის ფორმალიზებისათვის შემოტანილია რამდენიმე განსაზღვრება და ცნება, როგორებიცაა, - ,,ნეგატიური მუხტი,'' ,,კრიტიკული მასსა,'' ,,უარყოფითი მუხტის შენახვის კანონი,'' ,,ინფორ-მაციული აფეთქება,'' რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ე.წ. ,,მმართველობითი პოსტულატები.''

საკვანძო სიტყვები: ნეგატიური მუხტი, კრიტიკული მასსა, უარყოფითი მუხტის შენახვის კანონი, ინფორმაციული აფეთქება, მმართველობითი პოსტულატები.

**ძირითადი ტექსტი**

ანტიკური ხანის რომის პოლიტიკური ცხოვრების გაცნობისას, გაკვირვებას იწვევს არა მხოლოდ ის, თუ რამდენად დემოკრატიული იყო რომის პოლიტიკური მოწყობის სამართლებლივი საფუძვლები, არამედ ისიც, თუ რამდენად დიდი გავლენა ჰქონდათ ამ ცხოვრებაზე უბრალო რომაელ მოქალაქეებს. უფრო მეტიც, თუ იმ პერიოდს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებას შევადარებთ, დავინახავთ, რომ დღეს ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილი პრაქტიკულად ინდიფერენტულია, როგორც საერთოდ პოლიტიკური ცხოვრების მიმართ, ისე მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინების, - არჩევნების მიმართაც, მაშინ როდესაც ძველ რომში მოქალაქეთა გავლენა არჩევნების შედეგებზე განუზომლად დიდი იყო. მოსახლეობის ასეთ დამოკიდებულებას პოლიტიკური ცხოვრებისადმი, ანუ მათ პოლიტიკურ პასიურობას, მრავალი მიზეზი აქვს, რომელთა შორის ერთ-ერთი, ჩემი აზრით ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზი ისიც არის, რომ დღეს სიცოცხლე, როგორც ბუნებისგან მოვლენილი უდიდესი საჩუქარი, წარმოუდგენლად უფრო ფასეული გახდა და, რადგან, თუ ადრე მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდათ და პრაქტიკულად დედამიწაზე სამოთხე შეექმნათ, დღეს მათი რიცხვი წარმოუდგენლად გაიზარდა და მათი რაოდენობა მსოფლიო მაშტაბით თითქმის მილიარდს აღწევს. ამდენად, პოლიტიკური აქტივობის ის დანახარჯები, რასაც წინათ, როგორც წესი, ხშირად სისხლისმღვრელი შეხლა-შემოხლით მიმდინარეობდა, დღეს უკვე ფინანსური რესურსების ,,შეხლა-შემოხლით'' მიმდინარეობს და, თუ კი მაინც აქვს ადგილი ვანდალურ ფაქტებს, ეს მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით ხასიათდება და არ ატარებს ისეთ სისტემურ ხასიათს, როგორც ეს წარსულში გვქონდა.

მსოფლიო მოსახლეობის ამ ბედნიერი მილიარდის რიცხვში შემავალი ადამიანები, ე.წ. **,,ოქროს მილიარდის''** სახელით მონათლეს და, ისინი, ერთის მხრივ, ცდილობენ შეინარჩუნონ ეს საოცნებო ადგილი და, რაც მთავარია, საკუთარი სიცოცხლე, რის გამოც ძალას და ენერგიას არ იშურებენ, რათა ისე მართონ პროცესები, რომ არა მხოლოდ სტაბილურობის განცდა ჰქონდეთ, არამედ უზრუნველი ხვალინდელი დღე და, მეორეს მხრივ, დანარჩენი მსოფლიო მათი ინტერესების გათვალისწინებით იმართებოდეს.

სწორედ იმის გამო, რომ დანარჩენი ნაწილი მსოფლიო მოსახლეობისა, მათგან იმართება და ისინი ამას ნათლად ხედავენ, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი პოლიტიკურად პასიურია.

ცხადია ხსენებული მიზეზი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ისეთი მიზეზია, რომელიც ამ მოვლენის ზედაპირზე ძევს, ყველასათვის ცნობილია და ცხადად ჩანს, მაგრამ არსებობს სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ამომრჩეველთა პოლიტიკური პასიურობისა. კერძოდ, თუ კი ანტიკური ხანის რომში არჩევნების ჩატარების პროცესში ხმის მიცემის პროცედურა და ამ ხმების დათვლა პრაქტიკულად ერთსა და იმავე დროს ხდებოდა, დღეს, ეს ორი, ადრე პრაქტიკულად ერთდროულად მიმდინარე პროცედურა, დროსა და სივრცეში განცალკევებულად მიმდინარეობს. ანუ, უშუალოდ ერთსა და იმავე დროში და ერთსა და იმავე ადგილას მიმდინარე პროცესები ერთმანეთს დაშორდა, როგორც დროში, ასევე სივრცეში. ანუ, დღეს, საარჩევნო პროცესში, დროსა და სივრცეში გაშუალებული მეთოდოლოგია (და არა მეთოდი), გამოიყენება, რამაც საშუალება მისცა ამა თუ იმ ქვეყნის წარმმართველ ძალას, უსისხლოდ, მხოლოდ მისი უდიდებულესობა ,,დოლარის ძალით'' გადაწყვიტოს ქვეყნის მმართველობის მათთვის ხელსაყრელი ,,მოხაზულობა'' და მოიყვანოს ის ხალხი, რომელიც მისთვის ხელსაყრელია.

ამაშია ის მეთოდოლოგიური თავისებურება, რითაც დღევანდელი არჩევნები ანტიკური ხანის რომის არჩევნებისაგან განსხვავდება. თუ ძველ რომში ხალხს უშუალოდ ითვლიდნენ ტიბრებში, რის გამოც ვიზუალურად ჩანდა ვინ ვის მისცა ხმა და რამდენმა, დღეს ეს პროცესი განცალკევებულია, ანუ ხმის მიცემის პროცედურა და ხმების დათვლის პროცედურა დროსა და სივრცეში ერთდროულად კი არ ხდება, არამედ დროის სხვადასხვა პერიოდში და სივრცის სხვადასხვა ადგილას.

სწორედ ეს გახლავთ ხალხის ნების გამოხატვის უმთავრესი მოცემულობა, - ხალხის ნების უშუალო გამოხატვის არქიმნიშვნელოვანი პირობა. ამ მოცემულობის გარეშე არჩევნების შედეგები თითქმის არასოდეს არ გამოხატავს ხალხის ნებას. იგი მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებული, ზემოთ განხილული მმართველი მილიარდის ინტერესების გამომხატველია, და, კაპიტულანტური კანონშემოქმედების ჩამოყალიბების უმთავრეს პირობას წარმოადგენს.

ხალხის ნების გამოხატვის ზემოთ მოყვანილი მაგალითი ანტიკური ხანის პოლიტიკური ცხოვრებიდან, ძალიან დამაფიქრებელი მაგალითია იმის გასარკვევად, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არჩევნები უფრო მიუახლოვდეს ობიექტურობის ნიშნულს, ვიდრე დღეს გვაქვს.

ფაქტია, რომ მიუხედავად იმ პერიოდის პრაქტიკულად ყველანაირი ინსინუაციებისა, რაც კანონპროექტების მიღებას ახლდა თან, - პოლიტიკურ მოსყიდვით დაწყებული და ფიზიკური დაპირისპირებით დამთავრებული, ხალხის სურვილი ერთ მიზნად კონცენტრირდებოდა და, პრაქტიკულად ყოველთვის ისე წყდებოდა, როგორც ,,მის უდიდებულესობა'' ხალხს სურდა.

მართალია, პრაქტიკულად ვერც ერთი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს არჩევნების სრულიად სამართლიანად, ყოველგვარი დარღვევების გარეშე ჩატარებას (ცხადია, აქ არ არის საუბარი წვრილმან დარღვევებზე), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არაფერი არ გავაკეთოთ ამ მიმართულებით.

ცხადია, რომ არჩევნების გაყალბების მცდელობა ყოველთვის იარსებებს და იგი წარმატებული იქნება მანამ, სანამ არჩევნებში მონაწილე და, უფრო მეტად, არამონაწილე მოსახლეობის **,,ნეგატიური (გნებავთ უარყოფითი) მუხტი''** ე.წ. **,,კრიტიკულა მასსას''** არ გადააჭარბებს.

შევეცადოთ განვმარტოთ, თუ რა არის **,,კრიტიკული მასსა''** და რა კავშირი აქვს მას ე.წ. **,,ნეგატიურ მუხტთან,''** რისთვისაც დაგვჭირდება კიდევ ერთი ინფორმაციული სიდიდის, - ე.წ. **,,მუხტის''** ცნების შემოტანა, რის შედეგადაც შეიძლება **,,უკმაყოფილების კანონის,''** გნებავთ

**„უარყოფითი მუხტის შენახვის"** კანონის განმარტებაც. ამისათვის შემოვიტანოთ რამდენიმე განსაზღვრება და პოსტულატი.

**პოსტულატი 1. როგორც წესი, საზოგადოება არასოდეს არ არის კმაყოფილი ხელისუფლებით.**

ნებისმიერ საზოგადოებაში ხალხი, როგორც წესი, არასოდეს არ არის კმაყოფილი თავისი ხელისუფლებით. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, ან, კიდევ უფრო იშვიათად, - დროის გარკვეულ პერიოდში, ხალხის კმაყოფილება იმაში შეიძლება გამოიხატებოდეს, რომ მან არ იცოდეს, თუ ვინ არის კონკრეტულად, ხელისუფლების სათავეში, რაც ხელისუფლების სრულყოფილად მუშაობის ყველაზე იდეალური მაჩვენებელია, თუმცა ასეთივე რეაქცია შესაძლოა არსებობდეს მოსახლეობის მხრიდან ხელისუფლების მიმართ სრული ინდიფერენტიზმის პირობებშიც.

**განსაზღვრება 1. ხელისუფლების ქმედებებზე საზოგადოების მიერ გამოხატულ ნებისმიერ რეაქციას, „საზოგადოებრივი მუხტი" ვუწოდოთ.**

**განსაზღვრება 2. თუ ხელისუფლების ქმედებებზე საზოგადოების რეაქცია უარყოფითია, მაშინ ვიტყვით, რომ გვაქვს „უარყოფითი საზოგადოებრივი მუხტი," ან, უფრო მოკლედ, - „უარყოფითი მუხტი" და პირიქით.**

**პოსტულატი 2. „უარყოფითი მუხტი" კუმულატიური ეფექტით ხასიათდება.**

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების ცალკეულ ქმედებებზე საზოგადოების მიერ გამოხატული უარყოფითი მუხტი არ იკარგება, იგი იჯამება. ანუ, რაღაც პერიოდის მანძილზე საზოგადოებაში დაგროვილი უარყოფითი მუხტის ჯამური სიდიდე ტოლია ამავე პერიოდში საზოგადოების მიერ გამოხატული ცალკეული უარყოფითი მუხტების ჯამის.

**განსაზღვრება 3. „კრიტიკული მასსა" ეწოდება „უარყოფითი მუხტის" სიდიდეს, რომლის დროსაც საზოგადოება მზად არის დაამხოს ხელისუფლება მისი გამოვლინების უკიდურესი ფორმების ჩათვლით.**

**პოსტულატი 3. როგორც კი „უარყოფითი მუხტი" მიაღწევს „კრიტიკულ მასსის" სიდიდეს, იწყება პოლიტიკური კრიზისი, რასაც შესაძლოა მოყვეს ხელისუფლების შეცვლა.**

**განსაზღვრება 4. თუ „უარყოფითი მუხტი" მყისიერად მიაღწევს „კრიტიკულ მასსას," ან, ეს გადაჭარბება კუმულატიურად ხდება, ვიტყვით, რომ გვაქვს „ინფორმაციული აფეთქება."**

**პოსტულატი 4. ნებისმიერი პოლიტიკური სისტემისათვის იმანენტურად არის დამახასიათებელი „ინფორმაციული აფეთქება."**

**პოსტულატი 5. პოლიტიკურ კრიზისებს ციკლური ხასიათი აქვთ.**

ამ ცნებების შემოტანის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ როდესაც ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობის **„უარყოფითი მუხტი"** მიაღწევს **„კრიტიკულ მასსას"** და ეს მუხტი იმდენად დიდი იქნება, რომ საკმარისი დროით შეინახება, მხოლოდ მაშინ, და ისიც მხოლოდ ერთჯერადად, მოხდება ხელისუფლების, - უკეთეს შემთხვევაში შეცვლა, ხოლო, როგორც წესი, - ჩამოგდება, და ამის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება, ანუ, ამ პროცესს ციკლური ხასიათი აქვს.

იმისათვის, რომ ამ პროცესის ციკლური ხასიათი დაირღვეს, ან, უარეს შემთხვევაში, ციკლებს შორის პერიოდი კარდინალურად გაიზარდოს, აუცილებელია ბრძოლის ეპიცენტრი სრულიად სხვა მიმართულებით გადავიტანოთ, - უნდა მოხდეს იმ უმთავრესი მიზეზის აღმოფხვრა, რაც საბოლოო ჯამში ამ პროცესებს იწვევს, - ეს არის ფინანსური ოლიგარქიის მიერ იმ დისბალანსის შენარჩუნების წარმატებული პროცესი, რომელიც არსებობს საქონლის სამყაროსა და მის არაშესაბამის ფინანსურ ნაკადებს შორის. მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ეს უკვე სცილდება ერთი ქვეყნისათვის საჭირო **„კრიტიკული მასსისა"** და ამისათვის საჭირო **„უარყოფითი მუხტის"** სიდიდეს.

მანამ კი შევეცადოთ ავხსნათ, თუ რატომ ვერ ახერხებს ამომრჩეველი საკუთარი ხმის დაცვას არჩევნებში. აქ პირველ პლანზე გამოდის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ხმებით მანიპულირების შესაძლებლობაში. კერძოდ, ნებისმიერი საკითხის დასმიდან ამ საკითხის გადაჭრით მიღებული შედეგის დადგომას გარკვეული დრო სჭირდება. როდესაც რაიმე პრობლემა ეხება ერთ, ორ, სამ და ა.შ რამდენადმე მცირე ადამიანთა რაოდენობას, ხელისუფლება მათ პროტესტს არაფრად აგდებს. იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ყურად იღოს მათი საპროტესტო ხმა,

საჭიროა გამპროტესტებელთა ისეთი რაოდენობა, რომ მათ მიერ დაგროვილმა **,,უარყოფითმა მუხტმა''** ე.წ. **,,კრიტიკულა მასას''** მიაღწიოს და მხოლოდ ამის შემდეგ არის იმის შესაძლებლობა, რომ ამომრჩეველმა არჩევნების შედეგი გააპროტესტოს და ამ გაპროტესტებამ თავისი შედეგი მოიტანოს.

კრიტიკული მასის მისაღწევად რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი და მათი უმეტესი ნაწილის ერთდროულად ამოქმედებაა საჭირო.

პირველი, ეს გახლავთ პროტესტის გამოხატვისათვის ხელსაყრელი წელიწადის დრო, რომლის დადგომამდეც ნეგატიური მუხტის, ასე ვთქვათ დაგროვება ხდება. ეს დრო, ცხადია ქვეყნიდან ქვეყანამდე იცვლება. ხშირად ეს პერიოდი შემოდგომის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებია და გაზაფხულის აპრილ-მაისი. როგორც წესი, სწორედ ამ პერიოდში ამოხეთქავს მოსახლეობის საპროტესტო ტალღა მისი გამოვლინების უკიდურესი ფორმებით. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, რომლის შესაბამად პროტესტის გამოხატვის პერიოდიც იცვლება. მაგალითად, იქ, სადაც ხანგრძლივი ზამთარია, ან ხანგრძლივი ზაფხული, მაშინ პროტესტის გამოხატვის დროც სრულიად განსხვავებული იქნება.

მეორე ფაქტორია, განსახილველი საკითხის მნიშვნელობა და მისი შედეგების შესაძლო ნეგატივი მოსახლეობისათვის. ცხადია, რაც უფრო მეტ ადამიანს შეეხება ეს ნეგატივი და რაც უფრო მწვავე იქნება მისი შედეგები, მით უფრო მეტი ,,უარყოფითი მუხტი'' დაგროვდება, რომელიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ე.წ. **,,კრიტიკულ მასსას''** და მოხდება **,,ინფორმაციული აფეთქება,''** რომლის მატერიალიზება გამოიხატება ამომრჩევლის მიერ საკუთარი ხმის დასაცავად პროტესტის გამოხატვის უკიდურესი ფორმების მიმართვაში, ან თუ ეს გადაჭარბება კრიტიკულ მასაზე ზევრად მეტი არ არის, იმუშავებს ე.წ. ,,მუხტის შენახვის კანონი'', რაც უფრო მშვიდობიანი ფორმის საპროტესტო მსვლელობებში იქნება გამოხატული.

რამდენადაც ადამიანს აღგზნებულ, გნებავთ ემოციურად დამუხტულ, მდგომარეობაში ყოფნა დიდხანს არ შეუძლია, და ამ დროს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, იგი დადებითი მუხტით არის გამოწვეული, თუ უარყოფითით, სწორედ ამიტომაც, არჩევნების პროცესში მიზანმიმართულად არის ერთმანეთისგან დაშორებული, ხმის მიცემის პროცედურები და ხმების დათვლის პროცედურები დროსა და სივრცეში, ისევე, როგორც შედეგების გაპროტესტების პროცესი, მისი საბოლოო შედეგების გამოცხადების პროცესიდან და ა.შ.

განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, თუ რატომ ვერ აღწევს უარყოფითი მუხტი **,,კრიტიკულ მასსას,''** ისიც განაპირობებს, რომ დაახლოებით მილიონნახევარი მოსახლეობისა გადახვეწილია ქვეყნიდან და, ცხადია, მოსახლეობის ეს ნაწილი რომ არ გასულიყო ქვეყნის გარეთ, ვერც ერთი ხელისუფლება ამდენხანს ვერ გაძლებდა. ანუ, მუხტის დაგროვება, რაც კუმულატიური ეფექტით უნდა იყოს გამოწვეული, არ ხდება იმ დროში და იმ ზომით, რომ **,,კრიტიკული მასსა''** გადაილახოს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. პლუტარქე - ,,რჩეული ბიოგრაფიები''; ტ.1; რედ . აკ. ურუშაძე. თ ბ., 1975 წ.
2. პლუტარქე - ,,რჩეული ბიოგრაფიები''; ტ. 2; რედ. აკ. ურუშაძე. თბ., 1987 წ.
3. ტიტუს ლივიუსი - ,,რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან''; ტ.1. 1989 წ. (რუს.ენაზე). 4.ვერგილიუსი-,,ენეიდა''; რედ. აკ. ურუშაძე. თბ.,1971წ.
5.გაიუს იულიუს კეისარი - ,,გალიის ომის ჩანაწერები''; (რ უსულ ენაზე); მ., 1991 წ.
6. ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი - ,,მთავარი''; თ ბ., 1976 წ.
7. ნიკოლო დ ი ბერნარდო მაკიაველი - ,,მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ''; მ. 2002წ. რუსულ ენაზე).
8. ვილიამ შექსპირ ი - ,,იულიუს კეისარ ი''; თ ბ. 1959 წ.
9. ფრედერიკ სტენდალ ი - ,,მოგონებები ნაპოლეო ნზე''; (რ უსულ ენაზე); მ.., 1959 წ.
10.თომას მანი - ,,დოქტორი ფაუსტ უსი''; თ ბ. 2015 წ.
11. ევ. ტარლე - ,,ტ ალეირანი''; თ ბ. 1965 წ 12. ჯემალ ქარჩხაძე - ,,განზომილება''; თბ., 1991 წ.

13. აქუბარდია, თამაზი - ,,ძალაუფლების ბედისწერიდან ბედისწერის ძალაუფლებამდე;'' თბ. 2017წ 14. აქუბარდია თამაზი - ,,ეკონომიკური კრიზისის ფინანსური და პოლიტიკური მდგენელი;'' თბ.2009წ. 15. აქუბარდია, თამაზი - ,,ძალაუფლებისათვის''; თბ. 2017 წ.

## Managing postulates

***Tamaz Akubardia, Asistent-Professor***
***Georgian Technical University***

**Summary**

The purpose of the work is to prove, that any government, in its original, most democratic color, has the desire for dictatorship, which, in the form of its tangible expression, evolution, which is ultimately to be overthrown. After all, everything starts again and is repeated in the same scenario. For the formalization of this paradigm some of the concepts are introduced, such as - "negative charge," "critical mass," "the law of retention of negative charge," "information explosion," and according these were conclude " "Managing postulates."

# შრომითი მედიაციის მექანიზმის ეფექტიანობის ამაღლება უკეთესი მმართველობის ჩამოსაყალიბებლად

*ბოცვაძე გიორგი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სტატიის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდა შრომითი ურთიერთობის პროცესში წარმოშობილი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებთან, კერძოდ კი შრომით მედიაციასთან დაკავშირებით, მედიაციის გამოყენების თაობაზე დაწყებული დისკუსიის უფრო აქტიურ ფაზაში გადაყვანა და მედიაციის რეგულირების შესაძლო გზებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა მათზე შემდგომი მუშაობის გაგრძელების მიზნით. ამასთან, ყურადღება იქნება გამახვილებული მედიაციის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების დადებით მხარეებზე, მისი საჯარო სამსახურში ამოქმედების საჭიროებაზე და შედეგების ანალიზის საფუძველზე მედიაციის საკანონმდებლო ბაზის ფორმირების პროცესზე.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, შრომის მედიაცია საქართველოში, მედიატორის როლი, საკანონმდებლო ინიციატივა.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოს წარსულიდან გამომდინარე, სამართლის ისტორიის მიხედვით, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება ქართული სინამდვილისთვის ნოვაციად შეიძლება არც ჩაითვალოს. ქვეყანაში არსებობდა მედიაციის ინსტიტუტის მიახლოებითი მოდელი, რომელიც შინაარსითა და დანიშნულებით ჰგავდა სასამართლოზე დაფუძნებულ მედიაციას. კერძოდ, მე-19 საუკუნის ძეგლში - „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ საუბარია ბჭე-მედიატორების ინსტიტუტზე. ცნობილია, რომ ქართულ სამოსამართლო პრაქტიკაში ბევრი დავა ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე ემოციურ ფონზე მიმდინარეობს.

საქართველოს ისტორიაში სხვადასხვა ფორმებით იყო დამკვიდრებული მორიგების ინსტიტუტი, აქედან გამომდინარე, შრომითი მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სამართლის, ჩამოყალიბება კანონზომიერი უნდა იყოს მიმდინარე სამართლებრივ ცვლილებებთან მიმართებით.

ის, რაც დაინერგა მსოფლიოს რიგ ქვეყნებში, შეიძლება ისეთივე წარმატებით განხორციელდეს საქართველოში. ფინანსური ხარჯის, დროისა და ურთიერთობების დაზოგვას ყველა მიესალმება.

მედიაცია არის სპეციალიზებული საქმიანობა, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი პრევენციის, მართვის და კონფლიქტების მოსაგვარებლად. ეს არის პროცესი, რა დროსაც მესამე მხარე ეხმარება ორ ან მეტ პირს, მათივე თანხმობით, კონფლიქტის თავიდან აცილების, მართვის ან გადაჭრის გზით დარეგულირებაში. მედიაცია არის ნებაყოფლობითი მცდელობა, რომელშიც მხარეთა თანხმობა გადამწყვეტი პროცესია. პროფესიული მიდგომებით, შუამავლები (შუამავალი უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და ავტორიტეტის მქონე) უზრუნველყოფენ მხარეებს პროცესისადმი ნდობა და რწმენა აღუძრან, რომ დავის მშვიდობიანი მოგვარება მიაღწევინონ. მიუკერძოებლობა არის შუამავლობის ქვაკუთხედი - მიკერძოებული მედიაციის პროცესი ძირს უთხრის მნიშვნელოვან პროგრესის მიღწევას კონფლიქტის მოგვარების საქმეში. შუამავალს უნდა შეეძლოს პროცესების ბალანსირება [1, pp. 2-12].

საქართველოში დღეს არსებულ სამართლებრივ პრაქტიკაში არ არის დამკვიდრებული მედიაციის გამოყენება, რაც ხელს უშლის მექანიზმის ეფექტიან მუშაობას. შრომის კოდექსის 47-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით „ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ამ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული შემათანხმებელი პროცედურების დაცვით ან/და სასამართლოსათვის ან არბიტრაჟისათვის მიმართვით“, რაც გულისხმობს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას“ [2,

გვ. 14-15]. აქ საყურადღებოა შემათანხმებელი პროცედურებთან დაკავშირებული ნორმატიული შინაარსი, ვინაიდან მოცემულ ორ სიტყვაშიც შეიძლება მოვიაზროთ დავის მედიაციის გამოყენებით გადაწყვეტის პროცედურა. ასევე საინტერესოა შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის ჩანაწერი „წარმომადგენლები ან მხარეები იღებენ წერილობით გადაწყვეტილებას, რომელიც არსებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილი ხდება", მხარეთა შორის ფორმდება წერილობითი შეთანხმება, რომელიც ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. მედიაციის დროსაც მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში მხარეები აფორმებენ შესასრულებლად სავალდებულო წერილობით შეთანხმებას.

საგულისხმოა, რომ სადაო საკითხების აღმოცენებისას დავის მედიაციის გამოყენებით გადაწყვეტა გაცილებით ხელმისაწვდომი და შესაბამისად იაფი გახდება. გარდა ამისა, როდესაც დავის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება ორმხრივი შეთანხმების გაფორმების გზით მეტი ალბათობით მოსალოდნელია მხარეებს შორის ნაკლები დაპირისპირება, ვიდრე ეს მოხდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების არსებობისას [3].

რამდენიმე ფაქტორი ერთობლივად მოქმედებს მედიაციის „პროფესიის" განსაზღვრებისათვის. მედიაციის პოლიტიკის რამდენიმე საკითხი ჯერ ისევ ღიად რჩება. პრაქტიკოსები, აკადემიური წრის წარმომადგენლები და „მომხმარებლები" ხშირად ვერ თანხმდებიან, თუ რამდენად საჭიროა სამედიაციო პროცესში ჩართული მედიატორების საქმიანობის რაიმე სახით რეგულირება, ისევე როგორც ვერ თანხმდებიან რეგულირების წესების ცალკეულ მიდგომებზე [4, pp. 1-18].

მედიაცია ხშირად ამართლებს მაშინაც კი, როდესაც მხარეებს ჰყავთ ადვოკატები და დავა წარმატებულია სასამართლოში. მხარეებს მედიაციის პროცესში შეუძლიათ წამოაყენონ კრეატიული იდეები, ისაუბრონ საკუთარ დამოკიდებულებაზე და იმსჯელონ დავის მოგვარების ისეთ გზებზე, რომლებიც შესაძლებელია გამორჩეს სასამართლოს. ამასთან, მედიაცია მხარეებს აძლევს შესაძლებლობას მოაგვარონ დავა იურისტების მიდგომებისა და სასამართლო პროცესის გარეშე.

მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმება მეტად განხორციელებადია, ვიდრე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. როდესაც მხარეები მიმართავენ სასამართლოს, წაგებული მხარე თითქმის ყოველთვის უკმაყოფილოა და ცდილობს ხელი შეუშალოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. თუ სასამართლო დავა ერთ-ერთი მხარის გამარჯვებით სრულდება, მორიგებით დავის გადაწყვეტისას ორივე მხარე კმაყოფილია. ამას კონფლიქტის ორმხრივად მომგებიან დასასრულს უწოდებენ. ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ძალისხმევითა და ნება-სურვილით მიაღწიეს შეთანხმებას, ცდილობენ დაიცვან ამ შეთანხმების პირობები.

შრომითი მედიაცია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზა იქნება, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, სწრაფად და მცირე ფინანსური დანახარჯით აღიდგინონ დარღვეული უფლებები. მისი დანერგვა ხელს შეუწყობს სასამართლოს განტვირთვას განსახილველი დავებისაგან, რაც სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა. გარდა სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულებისა, შრომითი მედიაციის განვითარება მნიშვნელოვნად განტვირთავს რაიონულ (საქალაქო) თუ სააპელაციო სასამართლოებს და დაზოგავს სახელმწიფოს სახსრებს, რომლებიც საჭიროა როგორც მოსამართლეთა კორპუსის გასაზრდელად, ისე ყოველი სასამართლო პროცესის სრულად ჩასატარებლად.

შრომითი მედიაცია არის შრომითი ურთიერთობისას წარმოშობილი სადავო საკითხების მოგვარების მიზნით მოლაპარაკების საწარმოებლად შეხვედრა ან ასეთი შეხვედრების მთელი რიგი კომპლექსი. შრომითი დავები არის დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილი უთანხმოების შედეგი, რაც გამომდინარეობს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან და ამ ტიპის ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებიდან.

შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი დავების მედიაციის გამოყენებით მოგვარება გაცილებით აღირებული და ეფექტიანია, ვინაიდან ამ დროს დავის გადაწყვეტა ხდება სასამართლოს ჩაურევლად და მთლიანად დამოკიდებულია მხარეთა მოლაპარაკებაზე.

როგორც წესი, მხარეები არ არიან შეზღუდულნი მიაღწიონ ერთმანეთში შეთანხმებას და ამ შეთანხმების საფუძველზე გააფორმონ მორიგების აქტი. ამის ნაცვლად, მხარეები რომლებმაც ვერ მოახერხეს კონკრეტულ საკითხზე შეთანხმება ამ საკითხის გადასაწყვეტად ერთმანეთს ხვდებიან

პროფესიონალი მედიატორის დახმარებითა და შუამავლობით, რათა განიხილონ არსებული სიტუაცია და სცადონ მათთვის სასურველ გადაწყვეტილებამდე მისვლა. თუ ისინი მიაღწევენ შეთანხმებას, მათ შორის მოხდება იურიდიული დოკუმენტის, კერძოდ სავალდებულოდ შესასრულებელი შეთანხმების გაფორმება და დავა დასრულდება სასამართლოს გარეშე.

ამერიკის შეერთებული შტატებში დადგენილია შრომის მედიაციის შემდეგი სახის პროცედურა: მსურველმა დასაქმებულმა უნდა მიმართოს „სამედიაციო კავშირს“ და შეავსოს „სამედიაციო თხოვნის ფორმა“. „სამედიაციო თხოვნის ფორმის“ შევსებული ეგზემპლარის ასლი ეგზავნებათ მხარეებს. მხარედ იწოდება ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს კონკრეტულ საქმეში საკუთარი და სხვებთან შეუთავსებელი პოზიცია.

მას შემდეგ, რაც მიიღებენ შეტყობინებას, თითოეულ მხარეს ეკისრება ვალდებულება დაუკავშირდეს „სამედიაციო კავშირს“ ერთი სამუშაო კვირის ვადაში; ნებისმიერ შემთხვევაში სამედიაციო პროცედურები არის მთლიანად ნებაყოფლობითი; „სამედიაციო კავშირი“ თითოეულ მხარეს უგზავნის სავარაუდო მედიატორთა სიას; თითოეული მხარე შეარჩევს სამ მედიატორს წარდგენილი სიიდან. სამედიაციო კავშირი საბოლოოდ დანიშნავს იმ მედიატორს, რომელიც მეტად მისაღები და სასურველია მხარეთათვის. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორზე, მაშინ სამედიაციო ზედამხედველობის კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გასცეს გარე მედიატორის დანიშვნაზე; სამედიაციო კავშირი მხარეთათვის მისაღები დროისა და ადგილის შესაბამისად ადგენს გრაფიკს; მედიაციის პროცესი გრძელდება სამიდან ხუთ საათამდე, თუმცა რაიმე ლიმიტი დროის თვალსაზრისით არ არსებობს. მედიაცია ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ სამედიაციო პროცედურები არ არის შედეგის მომცემი, ამასთან არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მედიაციის წარუმატებლობისათვის [5].

მედიატორი მედიაციის პროცესში, წარმოადგენს დამოუკიდებელ მიუკერძოებელ პირს, რომელიც უპირატესად მიმართულია დავის შეთანხმებით დასრულებისკენ. მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას, მედიატორი არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დავასთან დაკავშირებით. მედიატორი მოქმედებს როგორც შუამავალი, რომელიც ხელს უწყობს მხარეებს შორის დიალოგს და აღნიშნულის საფუძველზე მიჰყავს ისინი ორივე მხარისათვის მისაღებ შეთანხმებამდე. მხარეთა შეთანხმების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი მედიატორისადმი ნდობაა. სწორედ, ნდობის საფუძველზე ხდება ინფორმაციის მაქსიმალურად თავისუფლად გამოვლენა. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მედიატორისადმი ნდობა და მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. შრომის მედიატორები შესაძლებელია იყვნენ პირები, რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება შრომის სამართლში, მაგალითად იურისტები, პროფესიული კავშირის გაერთიანების წევრები და სხვა.

მედიაციის პროცესს მედიატორები გარკვეული ეტაპების თანმიმდევრობით წარმართავენ. თითოეულ ეტაპზე მათ სხვადასხვა ფუნქცია აკისრიათ. დასაწყისში უმთავრესია, რომ მხარეებს მისცენ საუბრის საშუალება და მის მიერ დასმული კითხვებით საქმესთან დაკავშირებული, რაც შეიძლება მეტი ფაქტობრივი გარემოება გამოკვეთონ. შემდეგში მედიატორები მხარეებს „უბიძგებენ“, რომ მათ გამოხატონ პოზიციები და რეალური ინტერესები. უმთავრესია, რომ მედიატორები მხარეებს დაეხმარონ ერთმანეთის ინტერესების გაგებაში, ერთი მხარის ინტერესის მეორე მხარემდე სწორად მიტანით, ასევე საერთო ინტერესის პოვნაში. მედიატორებმა ნათლად უნდა დაანახონ მხარეებს შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოში მათი შანსები და რისკები. ამ ყველაფერს მედიატორები სწორად შერჩეული კითხვების საშუალებით ახერხებენ. მედიატორები საკმაოდ ფრთხილად უნდა მოქმედებდნენ იმისათვის, რომ რომელიმე მხარეს ეჭვი არ შეეპაროს მათ მიუკერძოებლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ მედიატორებით დაკომპექტებული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის უფლების არ ქონა არ აკნინებს მის მნიშვნელობას პროცესში და ბევრად მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე გადაწყვეტილების მიღებაა.

მედიაციის პროცესში მონაწილეობა არც ერთ მხარეს არ ართმევს უფლებას დავის გადასაჭრელად გამოიყენოს სხვა, მისთვის სასურველი პროცედურა. თუ მედიაცია გამოიღებს სასურველ შედეგს, მომზადდება მხარეთა შორის გასაფორმებელი შეთანხმება (მორიგების აქტი). მედიაციის პროცესი დასრულებულად ითვლება, მაშინ როდესაც მოხდება მხარეთა შორის

მიიღწეული შეთანხმების გაფორმება. შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდგომ თითოეულ მხარეს ეძლევა ხელმოწერილი შეთანხმების თითო ეგზემპლიარი. მედიაციის პროცესში შედგენილი დოკუმენტები სრულად უბრუნდებათ მხარეებს და არც ერთი ასეთი დოკუმენტი არ იდება და არ ინახება დასაქმებულის პირად საქმეში [6, pp. 10-32].

საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოს მონაცემები, რომლის თანახმადაც ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმეები შრომითი დავების საერთო რაოდენობის მხოლოდ 5%-ს შეადგენს. საქმეთა ასეთი განაწილება მიანიშნებს, რომ შრომით ურთიერთობებში შრომით უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები უფრო დიდი ინტენსივობით იჩენს თავს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია 2013-2017 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული შრომითი დავების შესახებ სარჩელების რაოდენობა.

**დიაგრამა 1: 2013-2017 წლებში მიღებული სარჩელების კატეგორიებად განაწილება** [7].




საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, დავები სასამართლომ ერთი თვის ვადაში უნდა განიხილოს [8, გვ. 14-15], თუმცა, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს მონაცემებით ირკვევა, საქმის წარმოების საშუალო ხანგრძლივობა შრომით დავებზე 10 თვეს აჭარბებს. როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, საქმეთა თითქმის მეოთხედ შემთხვევაში (23%) დავა წელიწადზე მეტ ხანს გრძელდება.

**დიაგრამა 2: სასამართლო საქმეების ხანგრძლივობა** [7].




შესაბამისად, დღესდღეობით დასაქმებული შრომითი უფლებების დასაცავად მიმართავს სასამართლოს, სადაც შრომით დავის წარმოება ხანგრძლივ პროცესებთან და დამატებით ხარჯებთან ასოცირდება. აღნიშნული გარემოება ნეგატიურად აისახება ქვეყანაში შრომითი უფლებების დაცვის ხარისხზე და არსებითად ზრდის შრომითი მედიაციის ქმედითი ფუნქციონირების მნიშვნელობას.

საქართველოში, შრომის მედიაციის მექანიზმი 2013 წელს შეიქმნა და მისი ჩამოყალიბება, უკავშირდებოდა ერთი მხრივ, პოლიტიკური რეალობის ცვლილების პარალელურად სოციალური

სფეროს გარდაქმნის მოტივებს, ხოლო მეორე მხრივ, ევროპასთან ასოცირებისა და დაახლოების პოლიტიკის სამოქმედო ჩარჩოებით იყო გამოწვეული.

2012 წლის სახელისუფლებო ცვლილების შემდეგ შრომის პოლიტიკის მიმართულებით გატარდა რიგი ცვლილებები, მათ შორის: შრომის კოდექსის ცვლილება, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ჩამოყალიბება, სოციალური დიალოგის სამმხრივი ფორმატის ამოქმედება, შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის შემუშავება თუმცა, ერთი შეხედვით, ცვლილებათა დიდი რაოდენობის მიუხედავად, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში შრომითი მედიაციის ფუნქციონირების საკითხი ბოლომდე მოწესრიგებული არ არის, რაც სამართლებრივი რეგულირების მიღმა ტოვებს მედიაციის მექანიზმის ეფექტიანი მოქმედების საკითხს, მათ შორის საჯარო მმართველობის სფეროში.

მედიაციის მექანიზმის არაერთი პრობლემა მის ადმინისტრირებას უკავშირდება, რადგანაც, არ არის უზრუნველყოფილი სისტემის სათანადო ფუნქციონირება, რაც ამცირებს მხარეთა ნდობას მის მიმართ და ზრდის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, გააქტიუროს თავისი როლი მედიაციის მექანიზმის ეფექტიანი ადმინისტრირების კუთხით.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ „მედიაციის შესახებ" ახალი კანონის პროექტზე მუშაობა დაიწყო 2016 წლის გაზაფხულზე, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე საკანონმდებლო პლატფორმის არსებობას მედიაციის განვითარებისათვის. შედეგად კი დღეის მგდომარეობით არსებობს საკანონმდებლო ინიციატივა „მედიაციის შესახებ" კანონის პროექტისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის სახით (შემდგომ - საკანონმდებლო ინიციატივა).

საჯარო მმართველობის სისტემაში შრომითი მედიაციის მექანიზმის ამოქმედება საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოს. შრომითი მედიაციის პროცესი იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ საჯარო დაწესებულებებს არ მოუხდეთ დამატებითი ხარჯების გაღება.

შრომითი მედიაციის მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს შრომის პოლიტიკაში და შრომის ბაზარზე არსებული სისტემური გამოწვევები, სუსტი პროფესიული კავშირების ერთობები, სტრუქტურული უმუშევრობის მაღალი დონე და სხვა, შესაბამისად, მედიაციის მექანიზმი შრომის პოლიტიკის საერთო ჩარჩოსთან მიმართებით უნდა განვიხილოთ.

საკანონმდებლო ინიციატივაში შესაძლებელია შრომის მედიაცია განვმარტოთ როგორც მედიაცია, რომელიც ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე. მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროცესში მონაწილე პირები, როგორც პროცესის მხარეებად და პირებად (მესამე პირები), რომლებიც მონაწილეობენ მედიაციაში, მაგრამ არ გვევლინებიან მხარეებად. არამხარე მონაწილე - ესაა პირი, რომელიც არ წარმოადგენს არც მხარეს, არც მედიატორს, თუმცა მედიაციის პროცესში მონაწილეობს მხარეთა შეთანხმებით. ასეთი პირები შესაძლოა იყვნენ მაგალითად: ექსპერტი, თარჯიმანი, სპეციალისტი და ა.შ. პროცესი უნდა განვმარტოთ, როგორც ადმინისტრაციული წარმოების პროცესი, სადაც გამჟღავნებული ინფორმაცია რჩება საიდუმლოდ და დაუშვებელია მისი გამოყენება სასამართლო მტკიცებულებად ან რაიმე სხვა მიზნით.

შრომითი მედიაციის ინსტიტუციური ფორმირების პროცესი უნდა გულისხმობდეს საჯარო მმართველობის სისტემაში შრომითი მედიაციის მექანიზმის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესს.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სპეციალიზებულ სტრუქტურების ჩამოყალიბებას და მის ეფექტიან ადმინისტრირებას, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი შტოს (სამინისტროს) ზედამხედველობის ქვეშ შეძლებენ ოპერირებას. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინსტიტუციური მოწყობის მოდელი, მაგალითად შრომითი დავების განმხილველი სამსახური, დეპარტამენტი ან განყოფილება. შრომითი დავების განმხილველ სამსახურს (დეპარტამენტს, განყოფილებას) ხელმძღვანელობს გენერალური მედიატორი (სამსახურის ხელმძღვანელი),

რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი. მას ექვემდებარებიან ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დანიშნული მედიატორები. გენერალური მედიატორი (სამსახურის ხელმძღვანელი), მედიატორთა რეესტრიდან, რომელსაც აწარმოებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი, მინისტრს წარუდგენს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე შრომით დავაზე მედიატორად დანიშვნის კანდიდატებს. მედიატორის მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას უზრუნველყოფს სამინისტრო შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან [9-10, გვ. 21-33].

მედიაციის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს შეზღუდული, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. მედიაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მისაღწევად. მედიაციის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მედიატორი მედიაციის პროცესში მხარეებს შესთავაზებს ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაციის წარდგენას. მედიატორი დაეხმარება მხარეებს დავის მოგვარების მიზნით მორიგების მიღწევაში, რა დროსაც მიღწეული შეთანხმება გაფორმდება წერილობით, მას ხელს მოაწერენ მხარეები და მედიატორი.

სახელმწიფოს მხრიდან მედიაციის განვითარების მხარდასაჭერად, ხელშესახები ცვლილებების განხორციელების ეტაპზე უნდა გამოვლინდეს შრომითი მედიაციის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები და ორი რამ უნდა განვითარდეს ერთდროულად და თანაბრად: მოთხოვნა და მიწოდება. ამისთვის კი მნიშვნელოვანია გატარდეს კომპლექსური საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები და მიღებული იქნეს შრომითი მედიაციის შესახებ ახალი სამართლებრივი ბაზა.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიაცია როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა ახლა იკიდებს ფეხს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში პროცესის მიმართ გაცილებით ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო. მაშინ, როცა ქართველ მედიატორს არ ექნება შესაძლებლობა გაეცნოს სხვა მედიატორთა მიდგომებს მსგავს საქმეებზე, ასევე მას არ გააჩნია ქართულ სამართლებრივ გარემოში მედიატორად მუშაობის გამოცდილება, აუცილებელია განსახილველი პრობლემის, ყველა საფეხურის გათვალისწინებით „დამუშავება".

იმედს გამოვთქვამთ, რომ სტატიაში წარმოდგენილი კონცეპტუალური მიგნებები სათანადო ასახვას ჰპოვებს საკანონმდებლო ინიციატივაში, რომელიც შესაბამისი ფორმით, რაც შეიძლება მალევე, აისახება საქართველოს კანონმდებლობაში.

**დასკვნა**

შრომითი მედიაციის მიზანი არ არის და არც შეიძლება იყოს დავის გადაწყვეტის ტრადიციული საშუალების სასამართლოს ან თუნდაც, არბიტრაჟის ჩანაცვლება. განვითარებული მედიაციის მიზანია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის გაზრდა და სასამართლოს მაქსიმალურად განტვირთვა ისეთი დავებისაგან, რომლებსაც აქვთ ურთიერთშეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. ამასთან, მედიაციის მოქნილი მექანიზმი იძლევა ამ უკანასკნელის დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან (სასამართლო, არბიტრაჟი) კომბინირებულად გამოყენების შესაძლებლობას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მედიაციის როლსა და მნიშვნელობას საერთო მიზნის მისაღწევად.

შრომის მედიაციის ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ აუმჯობესებს დასაქმებულთა განწყობას, ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას დასაქმებულებში იმის შესახებ, რომ არსებობს პროცედურა რომელიც აგვარებს კონფლიქტებს. შესაბამისად, ეხმარება გააუმჯობესოს ორგანიზაციის რეპუტატია და კულტურა, ეხმარება სამუშაო გარემოში შექმნილი მოსალოდნელ არეულობის შემცირებაში, აუმჯობესებს დასაქმებულთა მდგომარეობას და ახალი დასაქმებულების მოზიდვის სისწრაფეს.

მიუხედავად იმ გარკვეული წინააღმდეგობებისა, რაც შეიძლება თან ახლდეს შრომითი მედიაციის პროცესს, უნდა აღინიშნოს, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, მათ

შორის მედიაცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც სასამართლო სისტემა არ არის მოწოდების სიმაღლეზე მიუკერძოებლობის ან სათანადო გამოცდილების ნაკლებობის გამო.

ვფიქრობთ, თუ სახელმწიფოს მიერ სასამართლო სისტემის რეფორმირებასთან ერთად გადადგმული იქნება ნაბიჯები დავის გადაწყვეტის დამოუკიდებელი და ეფექტიანი ალტერნატიული საშუალებების, როგორც შრომითი მედიაციაა განსავითარებლად, ეს ხელს შეუწყობს უფრო სტაბილური და ლიბერალური შრომითი ურთიერთობების დამკვიდრებას და უკეთესი მმართველობის ჩამოყალიბებას საქართველოში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. „United Nations Guidance for Effective Mediation“, Ban Ki-moon, September 2012, https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/GuidanceEffectiveMediation_UNDPA2012%28english%29_0.pdf (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.03.2019);
2. საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 47. „ინდივიდუალური დავა“, მუხლი 48. „ინდივიდუალური დავის განხილვა და გადაწყვეტა“, 2013 წლის 12 ივნისის მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=10 (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.03.2019);
3. „What is Labor Mediation?“, http://www.wisegeek.com/what-is-labor-mediation.htm (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.03.2019);
4. Kimberlee K. Kovach. Mediation, „Thomson West“, 2003;
5. წულაძე ა. „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/aleqsandre_wuladze.pdf (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.03.2019);
6. „Mediation in the Workplace“ (a guide for training, practice, and administration) Rebecca Jane Weinstein. 2001;
7. დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის მექანიზმები ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში N70/36, სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2017, https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2017/dasaqmebulta-shromiti-uflebebis-dacvis-meqanizmebi.pdf (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.03.2019);
8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 59. „საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა“, 2015 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=131 (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.03.2019);
9. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის N301 დადგენილება, „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091854?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.03.2019);
10. „შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა. გამოცდილება, თეორია და პრაქტიკა“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), იანვარი 2019.https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90_1549948160.pdf (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.03.2019).

## Increase efficiency of the labor mediation mechanism to establish better governance

***Giorogi Botsvadze, PhD student***
***Georgian Technical University***

### Summary

The goal of the article is to increase the quality of public awareness about the alternative means of dispute resolutions, originated in the process of labour relations, namely about labour mediation, to transfer the discussions around the usage of mediation to a more active phase and to determine the possible ways and priorities of mediation regulation, in order to continue working on them. Additionally, attention will be focused on the positive sides of mediation as an alternative solution of disputes, on the necessity of implementing it in public service and on the process of forming a legislative base based on the analysis of results.

Keywords: mediation, labour mediation in Georgia, the role of mediator, legislative initiative.

## ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი საჯარო და კერძო სექტორებს შორის ურთიერთოებების სფეროში


*გუდავა თამარი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*



**აბსტრაქტი**

ნაშრომი ეძღვნება თუ რა როლს თამაშობს ბიზნესის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა საჯარო სტრუქტურებთან ურთიერთობების გაუმჯობესების საქმეში.

სახელმწიფოს მხრიდან ლოიალური დამოკიდებულება ბიზნესთან, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და ბიზნესის ხელშემწყობი პირობების შექმნა, პირდაპირ შეიძლება იყოს დამოკიდებული ბიზნესის მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობაზე. საჯარო და კერძო სტრუქტურების ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საზოგადოების წინაშე მათ მიერ აღებული მეტი ვალდებულებები.

ნაშრომში გაანალიზებულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მდიდარი უცხოური გამოცდილება. ასევე ნაჩვენებია თუ რატომ არის უმნიშვნელოვანესი სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი მაჩვენებელი საზოგადოებისთვის და საჯარო სტრუქტურებისთვის. თემის მიზანია ქვეყანაში სოციალური პასუხისმგებლობისადმი (CSR) ცნობიერების ამაღლება. ეს შესაძლებელია მხოლოდ ქვეყანაში სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებით. ამ მიმართულებით სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, შესაბამისი ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემოს შექმნით. რა ნაჩვენებია რა კავშირია ქვეყანაში ეკონომიკური ზრდასა და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფციის განვითარებას შორის. რა სარგებლობა მოაქვს CSR -ს ბიზნესისთვის და ზოგადად სახელმწიფოსთვის. განხილულია სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის საკითხები.



საკვანძო სიტყვები: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, განვითარებადი ქვეყნები, ეკონომიკური გლობალიზაცია.


**ძირითადი ტექსტი**

ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility) შედარებით ახალ და ძალიან სწრაფად მზარდ ტენდენციას წარმოადგენს. დასავლეთში, განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის წარმოების ერთი-ერთი განუყოფელი კომპონენტი გახდა. სულ უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებს ეს კონცეფცია განვითარებად ქვეყნებშიც.

სოციალური პასუხისმგებლობა ემყარება საზოგადოების სოციალურ პრობლემებზე რეაგირების ნებაყოფლობით პრინციპს და იგი არ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით ან მარეგულირებელი ღონიძიებებით. სხვადასხვა კვლევების თანახმად სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოებისთვის. მზარდი ინტერესი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების მიმართულებით რეალურია, მას აქვს დიდი მნოიშვნელობა და ეს ზეგავლენა გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ არის წინააღმდეგობებიც რიგითი მუშაკების მხრიდან, სოციალურ პროგრამებში ფირმის მონაწილეობასთან დაკავშირებით მოგებისა და შემოსავლების უფრო მეტად გადიდების მოთხოვნების გამო.

სახელმწიფოს მხრიდან ლოიალური დამოკიდებულება ბიზნესთან, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და ბიზნესის ხელშემწყობი პირობების შექმნა, პირდაპირ შეიძლება იყოს დამოკიდებული ბიზნესის მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობაზე. საჯარო და კერძო სტრუქტურების ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საზოგადოების წინაშე მათ მიერ აღებული მეტი ვალდებულებები.

ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის მატების განუყოფელი ნაწილია. ამისათვის ძალზე მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფციის განვითარება.

CSR შეიძლება განისაზვროს, როგორც კომპანიის ვალდებულება იმოქმედოს ეკონომიკური, სოციალური სფეროებისა და გარემოს დაცვისადმი მდგრადი მიდგომით, გააცნობიეროს და გაითვალისწინოს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის საჯარო სექტორის, ინვესტორების, მომხმარებლების, თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორების, გარემოს და მთლიანად საზოგადოების ინტერესები.

ბიზნესი უნდა ზრუნავდეს არა მხოლოდ საკუთარი კომპანიის არამედ მთლიანად საზოგადოების და სახელმწიფოს ეკონომიკურ სოციალურ კეთილდრეობაზე. სახელმწიფოში საზოგადოების მიზნები ვერ მიიღწევა ბიზნესის წარმატების გარეშე. მან უნდა განაპირობოს დასაქმება და შექმნას ისეთი სოციალური გარემო, რომელიც სხვა ტიპის ორგანიზაციებსაც საკუთარი როლის შესრულების საშუალებას მისცემს. თანამშრომლობის გაღრმავების საშუალებით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ხელს უწყობს საზოგადოების გაძლიერებას ბიზნესის, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებს შორის.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს კომპანიის მიერ მუდმივი ვალდებულების აღებას. საკუთარ საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განახორციელებას, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას და კომპანიის პერსონალის, მათი ოჯახებისა და ზოგადად, ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

დღევანდელი გაგებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია დასავლეთის განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში შემუშავდა. უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, საზოგადოების მიმართ ბიზნესის პასუხისმგებლობის ცალკეული ასპექტები ყურადღების საგანი ხდება. ხოლო თანამედროვე გაგებით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სათავედ მე-20 საუკუნე უნდა მივიჩნიოთ. მე-20 საუკუნეში CSR-ის მნიშვნელობის სწრაფ ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს:

ეკონომიკური გლობალიზაცია და კორპორაციული სექტორის ზეგავლენის ზრდა; ეკოლოგიური საფრთხეების ზრდა ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად; კონკურენციულ ბიზნეს გარემოში იმიჯი და რეპუტაცია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ხოლო კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციაზე სულ უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს სოციალური და ეკოლოგიური კრიტერიუმები; ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, რასაც მოჰყვა ბიზნეს საქმიანობის გამჭვირვალობის უპრეცედენტოდ მაღალი ხარისხი.

საკონსულტაციო კვლევითი ცენტრის Next Consulting-ის გამოკვლევით ევროპულ კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე ამერიკულ კომპანიებში და ეს ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური სისტემის სპეციფიკით არის გამოწვეული. ევროპულ ქვეყნებში ყველაზე მაღალი წილი სკანდინავიურ ქვეყნებს (დანია, შვედეთი, ნორვეგია, ისლანდია, ფინეთი) უჭირავთ, რომლებიც ცხოვრების და კეთილდღეობის დონით ლიდერები არიან მსოფლიოში.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ტენდენცია მხოლოდ ბოლო 10 წელია აქტუალურია. თუმცა მეცენატობასა და ქველმოქმედებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. 1870-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბდნენ ახალი ფორმაციის ვაჭრები და მეწარმეები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ მომგებიან სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას. ამ პერიოდში გამოირჩევიან სარაჯიშვილებისა და ზუბალაშვილების სავაჭრო სახლები. ალ. ხანანაშვილი 1911 წელს გაზეთ „თემში" წერდა: არცერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა ამ 30 წლის განმავლობაში, რომ დავით ზაქარიას ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს, ჟურნალ-გაზეთის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა აღზრდა, სკოლის დამშვენება, ღარიბ-უძლურთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამასპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება - ყველა ეს შეადგენდა საზრუნავ საგანს

დავით სარაჯიშვილისა“ [1, gv. 52].

დავითი, გიორგი, მიქელ და ანტონ ზუბალაშვილები სამეწარმეო საქმიანობასთან ერთად თბილისის კომერციული ბანკის უმსხვილესი აქციონერებიც იყვნენ, მაგრამ უმთავრესი, რითაც ისინი შემორჩნენ საქართველოს ისტორიას, ქველმოქმედება იყო. „ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ“ - სტეფანე ზუბალაშვილის (მეწარმეობასთან ერთად საშინაო და საგარეო ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, თურქეთთან, ინდოეთთან, რუსეთთან და სხვებთან) მიერ მავანის მადლობის პასუხად თქმული ეს სიტყვები მისი საგვარეულოს ცხოვრებისეულ კრედოდ შეიძლება მივიჩნიოთ. XXI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ცნობილი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა გაიზარდა. კომპანიები ხშირად ეხმარებიან სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მიუსაფარ ბავშვებს, მართავენ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებსა და აქციებს, არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებენ გარემოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების დასაფინანსებლად და ა.შ.

საქართველოში კომპანიების უმეტესობას კარგად არ ესმის რას ნიშნავს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, ხოლო ბევრისათვის ეს მხოლოდ ერთგვარი “მოდაა”, ანუ, უნდათ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა აკეთებს, ან სახელმწიფო სტრუქტურებს აწონებს თავს, ან ინვესტორს აინტერესებს და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ კომპანიას აქვს სურვილი სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აქტივობები განახორციელოს, მათ უმეტესობას არც კი აქვს გააზრებული რას ნიშნავს ეს. გარდა ამისა, ბევრი კომპანია სოციალურ პასუხისმგებლობად ერთჯერად საქველმოქმედო აქციებს მიიჩნევს, რაც ასევე საჭირო და დასაფასებელია, მაგრამ ეს აქციები მხოლოდ ერთჯერადად ხდება და რაიმე რეალური და გრძელვადიანი შედეგი არ მოაქვს. როცა დახარჯული რესურსების სანაცვლოდ გაცილებით უფრო ხანგრძლივმოქმედი შედეგების მიღწევა შეიძლება.

CSR-ის ადრეული განსაზღვრებები ძირითადად ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობებზე კონცენტრირდებოდა. დღესდღეობითაც, განვითარებად ქვეყნებში ხშირად CSR კვლავ ძირითადად ქველმოქმედებად არის გააზრებული. თუმცა, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში CSR გაცილებით ფართო კონცეფციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ფილანტრო-პია/ქველმოქმედება CSR-ის მოძველებული ფორმებია. კომპანიის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება არ ნიშნავს აუცილებლად ფულადი კონტრიბუციის გაღებას სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად. CSR-ის ფორმები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და იგი დამოკიდებულია კონკრეტული კომპანიის მიერ არჩეულ მექანიზმებზე.

კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხის-მგებლობა არ არის მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულებების შესრულება. ის კეთილმყოფელ გავლენას ახდენს კომპანიის უშუალო ბიზნეს საქმიანობაზეც. სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი დადებითი შედეგები კომპანიებისათვის, მოიცავს შემდეგს:

• კომპანიის დადებითი იმიჯი/გაუმჯობესებული რეპუტაცია. არაერთი კვლევა და გამოკითხვა ადასტურებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა დადებით ზეგავლენას ახდენს კომპანიის რეპუტაციაზე.

• მომხმარებელთა ლოიალობის ზრდა - მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამტკიცებს, რომ უპირატესობას ანიჭებს სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის პროდუქციასა და სერვისებს.

• კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების და პროფესიული განვითარების უკეთესი შესაძლებლობები. - ადამიანები უფრო ერთგულნი და ლოიალურნი არიან იმ კომპანიისადმი, რომლის საქმიანობის შესახებაც ამაყად საუბრობენ და რომელსაც მეტი სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის.

• საქმიანობის უფრო მაღალი ეფექტურობა და დანახარჯების შემცირება. გარემოსდაცვითი ინიციატივები, გარდა იმისა, რომ გარემოს უფრთხილდება, ხშირად ამცირებს კომპანიის მიმდინარე ხარჯებს, მაგალითად, ე.წ. ეკონომიური ნათურები უფრო ნაკლები სიხშირით საჭიროებს გამოცვლას,

უწყლო ტექნოლოგიებს ნაკლები საექსპლუატაციო ხარჯები მოჰყვება და ა.შ.

• თემში ან რეგიონში საქმიანობის „სოციალური ლიცენზია“. ადგილობრივ რეგიონალურ ხელისუფლებასთან და საზოგადოებასთან კარგი ურთიერთობა, საქმიანობაში მათი ინტერესების გათვალისწინება კომპანიას ეხმარება შექმნას „სოციალური კაპიტალი“. სოციალურად პასუხის-მგებელ კომპანიას, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობს, უკეთესი შესაძლებლობები აქვს გააგრძელოს და გააფართოვოს საკუთარი საქმიანობა ან წამოიწყოს ახალი იმ რეგიონში სადაც ის აქტიურ საქმიანობას ეწევა ამ მიმართულებით.

პასუხისმგებელი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ იგი იმ საზოგადოების წევრია, რომელშიც ფუნქციონირებს და მის ინტერესებსა და პრობლემებს იზიარებს.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ბიზნესის როლი საზოგადოებაში გაიზარდა. იმ პრობლემების იგნორირება, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს, დღეს არცერთ კომპანიას არც შეუძლია და არც მომგებიანია მისთვის. საბოლოოდ, სწორედ საზოგადოებაზე და ხალხზეა დამოკიდებული, რამდენად მიიღებს და მოიწონებს ის კომპანიას და მისცემს მას მუშაობის ე.წ. „სოციალურ ლიცენზიას“.

სახელმწიფოს, საჯარო სექტორსა და საზოგადოებასთან დაკავშირებული პასუხისმგებელი ქმედებები შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

▪ ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალების უზრუნველყოფა;

▪ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და სტაჟირების შესაძლებლობის შეთავაზება;

▪ მრავალფეროვნების ხელშეწყობა (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების-თვის და სხვა უმცირესობათა ჯგუფებისთვის) ;

▪ სიღარიბის შემცირების, ადამიანთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები;

▪ ცხოვრების ჯანსაღი წესის, სპორტის, კულტურის ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

▪ ფინანსური შეწირულობები საზოგადოებისათვის სასიკეთო პროექტებში.

1972-დან 2000 წლამდე კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებს შორის კავშირის დადგენის მიზნით ასზე მეტი კვლევა ჩატარდა. ამ კვლევათა შედეგების უმრავლესობამ (68%) დადებითი ურთიერთკავშირი გამოავლინა.

ამ შედეგებს ლონდონის ბიზნესის სკოლაც ადასტურებს. CSR-ის სფეროში ჩატარებული 80 კვლევიდან 42-მა დადებითი შედეგი აჩვენა. სოციალურად ორიენტირებულ კომპანიებს სხვა კომპანიებთან შედარებით საშუალოდ 18 პროცენტით მაღალი მოგება აქვს. (წყარო: Institute of Business Ethics, 2003).

- ბოლო 15 წლის მანძილზე დაინტერესებული მხარეებთან თანამშრომლობის წარმატებული პრაქტიკის მქონე კომპანიებმა (Coca Cola, Procter & Gamble, Jonhson & Johnson) დაადასტურეს, რომ ამ ინტერესების გათვალისწინებით ორჯერ უკეთეს შედეგს მიაღწიეს ვიდრე S&P 500-ით. მათი აქციონერების მთლიანი შემოსავალი ბოლო 15 წლის მანძილზე 43 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როცა S&P 500-ისა მხოლოდ 19 პროცენტს.

- ეს შედეგი დაადასტურა ჰარვარდის უნივერსიტეტმაც. მისი გამოკვლევების მიხედვით დაინ-ტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული კომპანიები საკუთარ აქციონირებზე ფოკუსირებულ კომპანიებთან შედარებით ზრდის ტემპში ორჯერ და დაქირავებაში რვაჯერ მეტ აღმავლობას აჩვენებენ (Harvard University, 2000).

- კვლევებმა ასევე დაადასტურა, რომ კორპორაციები, რომელსაც საზოგადოებრივი ვალდებულება ეთიკის კოდექსით აქვთ განმტკიცებული, სხვა ფირმებთან შედარებით 2 და 3 - ჯერ უკეთესად მოქმედებენ (Busines and Society Review,1999).

დღევანდელ მსოფლიოში წარმატებული ბიზნესისათვის აღარაა საკმარისი გადასახადების

გადახდა, თანამშრომლებისათვის კარგი ხელფასის და აქციონერებისთვის კარგი შემოსავლის უზრუნველყოფა. საზოგადოება ბიზნესისგან უფრო გლობალურ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას, საზოგადოების პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობას ელის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომპანიების დიდ ნაწილს სოციალური პასუხისმგებლობა ვიწროდ და სწორხაზოვნად ესმის, მათი მცირე ნაწილი მაინც ცდილობს, საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები შეიტანოს.

ბიზნესის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესების, საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების, გაღრმავებისა და გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უკეთ შესრულების მხრივ [4].

ქვეყნის საერთო განვითარება და ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება: ამ თვალსაზრისით CSR-ს შეუძლია ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა:

- ცალკეული სფეროების პრობლემების მოგვარება: იმისათვის, რომ მთავრობამ შეძლოს

სოციალური და გარემოსდაცვითი პროგრამის გატარება, საჭიროა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებაც. CSR-ის პოლიტიკის ხელშეწყობით საქართველოს მთავრობას მიეცემა შესაძლებლობა მოაგვაროს ისეთი პრობლემები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, სიღარიბე, უმუშევრობა, დაბალი შობადობა, საქმიანობის სხვადასხვა საერთშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა - ადამიანის უფლებების, შრომითი საქმიანობის, პროდუქციაზე პასუხისმგებლობის და ა.შ.

კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური სტანდარტების დაცვა: იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ახორციელებს ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას და ბიზნეს საქმიანობისადმი კანონმდებლობით წაყენებული მოთხოვნები საკმაოდ დაბალია, CSR
შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორ ეფექტური მექანიზმი ბიზნეს საქმიანობის ზეგავლენის
მართვისა და მინიმალური სტანდარტების უფრო ეფექტური დანერგვისათვის. ეს მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნისათვის, რადგან შესაძლებელი ხდება ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს მოითხოვება საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებსაც მიერთებულია საქართველო და დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს უფრო ქმედით ინტეგრირებზე საერთაშორისო
სტრუქტურებში.

ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა: როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, ბიზნესში CSR განიხილება როგორც ინვესტიცია, რომელსაც თავის მხრივ, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უცხოური ინვესტიციების მოზივაში და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ გვსურს მოვიზიდოთ ინვესტორები დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან, რადგან მათი მხრიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების შესრულებას. გარდა ამისა, CSR-ის შემადგენელი კომპონენტის, კერძოდ პროდუქციისა და სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და ქართული პროდუქციის ახალ ბაზრებზე გასვლას. ამრიგად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე, საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და ქვეყანაში არსებულ მრავალ პრობლემაზე. საჯარო სექტორმა უნდა განახორციელოს მართებული ნაბიჯები იმისათვის, რომ კერძო სექტორმა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის CSR შეიძლება გახდეს ის მძლავრი იარაღი, რომელიც შეძლებს ქვეყნის აღორძინებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევას. აქედან გამომდინარე, მიმდინარე ეტაპზე საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია CSR განვითარება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ.ერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თსუ გამომცემლობა, თბილისი,2004.
2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი - ლელა ხოფერია; გამომცემლობა: თბილისი: პეტიტი, 2012.
3. სოციალური ეკონომიკა. ნაწ.1 : , ნოდარ ჭითანავა, ლარისა თაკალაძე ; სდასუ ;[რედ.: გიორგი მალაშხია, ევგენი ბარათაშვილი] . თბ.: [ინოვაცია] , 2008 .
4. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა : თაკალაძე, ლარისა. თბ.: ინოვაცია, 2006
5. New Policy on Corporate Social Responsibility. 2011. European Commission, http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/files/csr/new-csr/act_en.pdf
6. საერთაშორიშო ბიზნესი, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა : უშანგი სამადაშვილი, მარინა გედევანიშვილი; [რედ. ე. ბარათაშვილი]. თბ. : "მერიდიანი", 2012 .
7. სამეწარმეო ურთიერთობის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა / , ავთანდილ ასათიანი ; სტუ ; [რედ. : გერონტი შუშანიშვილი ; რეცენზ. : კონსტანტინე ხმალაძე]. თბ. : 2011 .
8. „Как выгодно быть добрым: Сделайте свой бизнес социально ответственным“ -Сергея Туркин
9. Corporate Social Responsibility- John Hancock Publisher: Kogan Page Business Books (February 2005)
10. Corporate Social Responsibility – David Crowther & Guler Aras Ventus Publishing ApS 2008
11. Корпоративная социальная ответственность. Эволюция концепции – Ю. Ею Благов
12. Корпоративная социальная ответственность и социальное развитие предприятий – А.М. Бабич, А.А. Попков, О.Н. Слоботчиков ; Библиотека научных школ НАНО во «ИМЦ» 2018.

**The role of social responsibility of business in the areas of public and private sectors**

***Tamar Gudava, PhD student***
***Georgian Technical University***

## Summary

The work is dedicated to what role plays high social responsibility of business in improving relations between public and private sectors. The state's loyal attitude towards business, improving the legislative base and create conditions for promoting business, directly depends on the high social responsibility of the business. In terms of improving the relations between public and private structures, it is important that they have more obligations taken before the public.

The work is devoted to social responsibility issues, its meaning and role for state institutions and the public. It analyzes the rich foreign experience of social responsibility of business. The theme aims to raise awareness of social responsibility in the country (CSR). This is only possible through the establishment of a socially responsible environment in the country. By creating the right state policy in this direction, creating an appropriate institutional and legislative environment. What is shown, what is the connection with economic growth in the country and in between business social responsibility (CSR) concept Development? What is the benefit of CSR for business and the generally for the public? The concept of social responsibility concept is discussed. Why does the customer make more attention to high socially responsible companies and why the public sector and society are loyal to him? What is the connection between the CSR and the company's financial success?

**Эффективность использования теоретических концепций местного самоуправления в процессе реформирования в Грузии**

*Гумбатов Кярим*
*докторант Грузинского технического университета*

**Абстракт**

Вопросами становления и развития местного самоуправления интересовались и интересуются как зарубежные, так и отечественные ученые. Это обусловлено тем, что проблемы согласования интересов государства с интересами местных сообществ, определение оптимальной границы – меры между централизацией и децентрализацией власти – относятся к числу фундаментальных проблем любого государства. Поэтому активно обсуждаются разные концепции, объясняющие сущность местного самоуправления. Их познание имеет огромное значение в деле формирования и развития государственной политики, направленной на регулирование местного самоуправления

Мировая практика местного самоуправления исходила из научных трудов и в политических учениях французских и английских мыслителей XVII-XVIII вв., в идеях общественного договора, естественных прав личности и автономной общины, идеях представительного правления и разделения властей, определивших характер различных концепций местного самоуправления. Существуют различные концепции местного самоуправления, однако можно указать те концепции, которые являются общепризнанными и имеют обоснованность в трудах ученных. Таковыми можно выделить:

• концепция свободной общины;
• общественная (хозяйственная) теория самоуправления;
• концепция государственной теории самоуправления;
• теория дуализма муниципального управления;
• теория муниципального социализма;
• концепция «местной демократии»

Местное самоуправления Грузии развивается под влиянием многих социальных, политических, экономических, культурных факторов, находясь постоянно в процессе реформирования. Особенности

местного самоуправления во многом предопределяются общенациональными, общегосударственными традициями и организации публичной власти.

Ключевые слова: государство, местное самоуправление, местное сообщество, муниципалитет, муниципальная система, политический институт, концепция, реформа.

**Основной текст**

Основными вопросами между государством и обществом стоит порядок, принципы их взаимоотношения, порядок и принципы их постоянного улаживания конфликтов, связывающим звеном которого, служит и являться - местное самоуправление. Значительную роль в распространении идей местного самоуправления в европейских странах сыграла бельгийская Конституция 1831 г. В ней содержалась специальная статья, посвященная общинному управлению, и наряду с законодательной, исполнительной и судебными властями признавалась власть четвертая — муниципальная.

Эксперты, которые заниматься вопросами местного самоуправления, с одной стороны, находились под влиянием зарубежных мыслителей, при этом стремясь учитывать специфику грузинской социально-политической среды, призывали заимствованию зарубежного опыта. К числу западных ученых, наиболее полно разработавших теорию местной демократии, **концепцию**

**свободной общины**, относятся, Дж. Локк и Ж.Ж. Руссо. Они видели в качестве источника власти не государство и даже не народ, а объединения индивидов, именуемые «свободными общинами», которые самостоятельно управляли собственными и общественными делами. Люди, по мнению Дж. Локка и Ж.Ж. Руссо, вышли из естественного состояния благодаря общественному договору, отчуждающему права индивидов в пользу общины, и община не зависит от государства, она отделена от него и должна действовать по своим внутренним законам. Данная концепция возникла в первой половине XIX в. в Германии (впоследствии получила свое развитие во Франции, Бельгии). Одним из первых, кто сформулировал целостную концепцию самоуправляемых общин, был французский историк, социолог и политический деятель А. де Токвиль. Центральной идеей в концепции Токвиля является мысль о том, что первоначальным источником власти в стране является не государство, а индивиды, добровольно объединяющиеся в общины и сами управляющие своими собственными делами. Суть теории свободной общины сводилась к следующему: общины по своей природе самостоятельны, они не созданы государством, поскольку возникли раньше него, и потому имеют естественное право самостоятельно управлять своими собственными делами. "Община, – писал А. де Токвиль, – является тем единственным объединением, которое так хорошо отвечает самой природе человека, ибо повсюду, где бы ни собирались вместе люди, община возникает как бы сама собою".

Сущность **концепции общественной теории самоуправления** состоит в том, что самоуправление есть дело местного хозяйства. То есть собственные дела общины - это дело общинного хозяйства, и что таким образом самоуправление есть управление делами местного хозяйства. При этом на первый план выдвигались дела хозяйственного характера. Хозяйственная и общественная теория самоуправления, равно как и теория свободной общины, основывалась на противопоставлении государства обществу.

Согласно теории общественного самоуправления дела хозяйственного характера, должны выполняться общиной без вмешательства государства. В разделении государственных дел и дел местного значения виделось основание для самостоятельности местного самоуправления. Однако такие взгляды на практике оказалось практически невозможно так как разделить дела государственного управления и дела местного значения, было не реально.

Во второй половине XIX в. общественная концепция местного самоуправления исходя из природы человека и его возможностей, с достижением научного и образовательного прогресса постепенно уступала место так называемой **государственной концепции самоуправления**. Ее основоположниками считаются немецкие юристы Р. Гнейст и Л. Штейн. Данная концепция местное самоуправление представляет собой прежде всего одну из форм организации государственного управления на местах, которая является частью государственной системы. Надо отметить, что большинство ученых поддерживали позицию Л. Штейна, однако в начале XX в. немецкий ученый Р. Нейкомп, который на основе анализа прусского законодательства пришел к выводу о том, что местное самоуправление есть независимое от министерского управление, подчиненное лишь законам страны. В самоуправлении он видел противоположность министерскому управлению.

Несмотря на то что Л. Штейн и Р. Гнейст были основоположниками данной концепции и у них были определенные расхождения один придерживался **юридической теории**, второй - **политической теории** государственной концепции самоуправления. В частности, Л. Штейна стоял на позиции юридической концепции местного самоуправления, которая заключаться в том, местное самоуправление является особым юридическим лицом, обладающим правами и обязанностями, наделен собственностью, имеет право самостоятельно вступать в имущественные отношения. Юридическая концепция Л. Штейна получила широкое распространение. Такое определение устанавливает и Конституция Грузии, согласно которой «Единица самоуправления

является юридическим лицом публичного права» (ст. 74, п. 2). Исходя из сказанного Кодекс о местном самоуправлении Грузии определяет, что «Муниципалитет имеет выборные представительные и исполнительные органы (впоследствии - муниципальные органы), зарегистрированное население и собственное имущество, бюджет, доходы. Муниципалитет является независимым юридическим лицом публичного права» (ст. 2, п. 2). Суть политической концепции Гнейста заключался в том, что основу местного самоуправления составляет совокупность юридических гарантий, обеспечивающих самостоятельность. В данной теории акцент делался на выборность в органы местного самоуправления, которая в основном и обеспечивала самостоятельность этих органов. Такое и говориться в разных статьях Кодекс о местном самоуправлении Грузии (ст. 2, п. 2). В частности, статья 7 пункт 1 прямо указывает на то, что «В целях обеспечения исполнения муниципальных полномочий государственные органы обязаны создавать соответствующие правовые, финансово-экономические и организационные условия.»

Другой немецкий ученый, Г. Еллинек, считал общим признаком самоуправления то, что оно является публичным управлением посредством лиц, не находящихся в постоянном профессиональном служебном отношении к тому публичному союзу, управление которым они ведают, следовательно, управление осуществляется не профессиональными чиновниками, а почетными гражданами.

Самостоятельность местного самоуправления в собственных делах и при этом осуществление определенных государственных функций на местном уровне отражается **в концепции теории дуализма муниципального управления**. Данная концепция предлагает органам местного самоуправления осуществлять свои полномочия как результат государственных функций на местах, в процессе осуществления определенных управленческих функций выходят за рамки муниципальных интересов. Концепция дуализма разработана еще недостаточно, однако она содержит следующие признаки: наличие общегосударственного и местного интересов и необходимость их сочетания; реализация органами местного самоуправления функций публичного и частного характера; сочетание в местном самоуправлении государственных и местных общественных интересов; выполнение органами местного самоуправления полномочий, делегированных государством; и как была сказано ранее наличие государственного характера у предметов ведения и полномочий местного самоуправления. Сама концепция дуализма говорит об общественно-государственной природе местного самоуправления: «Граждане Грузии регулируют дела местного значения посредством представительных и исполнительных органов местного самоуправления. Представительный орган избирается на основе всеобщего, равного и прямого избирательного права при тайном голосовании. Исполнительные органы исполняют решения представительных органов и подотчетны им» (статья 76 Конституции Грузии); создание муниципальных образований, определение вопросов местного значения, полномочий местных органов власти, регулируется государством (Европейская Хартия о местном самоуправлении).

Идея **концепции муниципального социализма**, не имеющая ярко выраженной классовой окраски связана с общедемократическими тенденциями, и которая не потеряла актуальности и в наши дни. Данная концепция пропагандирует демократизацию местного самоуправления посредством широкого представительства населения в муниципальных органах власти. Суть концепции муниципального социализма гласит об использование местного самоуправления в целях интеграции и плавного перехода от капитализма в социализм.

Демократия таит в себе такие постулаты как демократические выборы, гражданское общество, сводная пресса, политический плюрализм, неправительственные организации, справедливый суд, верховенство закона, соблюдение гражданских прав и свобод. Но наличие отдельных структурных элементов демократии не обязательно означает установление реальной

демократии. Об уровне демократизации стран свидетельствует не только наличие политических институтов западного образца, но, главным образом, эффективность их функционирования в конкретных условиях трансформирующихся местных обществ. Большое внимание к данному вопросу является все более широкое использование в общественных науках и политической практике концепции так называемой **«местной демократии»** или «local democracy» - локальная или местная демократия, однако данный термин не получил какого-либо четкого определения, основная часть исследований, посвященная данной тематике, проводились в США и Западной Европе. Сама терминология ассоциируется с местным самоуправлением, с ее функционированием, развитием и правом местного население на права осуществления дел местного значения. В Англии данная дисциплина уже более как 30 лет выделена в отдельную отрасль науки. Это придает на важность эффективности функционирования органов местного самоуправления (local government).

Страны Европы имеют значительный опыт действия различных моделей местного самоуправления. Эти модели отличаются по порядку формирования органов местного самоуправления, предметам ведения местного самоуправления, характеру и особенностям взаимоотношений органов местного самоуправления с органами государственной власти и т.п. Знание и обобщение зарубежного опыта организации, развития и реформирования местного самоуправления помогает выработать рекомендации по повышению эффективности организации и деятельности местного самоуправления в Грузии. Например, **англосаксонская муниципальная система** существует в Великобритании, США, Канаде, Австралии и ряде других стран, основными признаками которой можно подчеркнуть, то, что органы местного самоуправления имеют право предпринимать только те действия, которые прямо предписаны им законом. В случае нарушения этого правила акты органов местной власти будут признаны судом не имеющими силы, поскольку изданы с превышением полномочий. В компетенцию органов местного самоуправления входит: управление полицией, социальными службами, пожарная охрана, местные дороги, строительство и эксплуатация жилья, спортивные сооружения, общественный транспорт и др.

Главное отличие **французской муниципальная система** от англосаксонской заключается в характере взаимоотношений органов местного самоуправления и органов государственной власти. Такая система используется в государствах с традициями централизации власти, значительным контролем органов государственной власти за местными органами власти. Основной единицей местного самоуправления Франции является коммуна, население которой избирает муниципальный совет, в компетенцию муниципального совета входит решение всех вопросов местного значения, за исключением тех, которые представляют непосредственно полномочия мэра. Сходные системы регионального самоуправления во Франции существуют также на уровне департаментов и регионов. Государственный контроль за деятельностью органов местного самоуправления осуществляют государственные должностные лица - префекты департаментов и супрефекты коммун. Эти государственные должностные лица являются представителями центрального правительства Франции. Для некоторых стран Европы характерна весомая роль в местном управлении назначенных сверху представителей центральной власти, т.е. так называемого **«прямого государственного управления на местах».** Так, в Голландии бургомистр, являющийся председателем исполнительного органа муниципалитета, назначается королевским указом по рекомендации королевского комиссара по делам данной провинции после консультации с муниципальным советом. Он наделен некоторыми государственными полномочиями. На нем, в частности, лежит ответственность за полицию и пожарные службы.

Важнейшими принципами развитие местного самоуправления стран Европы является **Европейская хартия о местном самоуправлении**. Данный документ помимо общих принципов

и общих положений относительно осуществления местного самоуправления в Европе устанавливает обязательную силу отдельных положений Хартии для подписавших ее государств. Это такие положения, как гарантии защиты территории местным самоуправлением, право местного самоуправления определять свои внутренние административные структуры. Кроме того, Хартия включает положение об условиях осуществления полномочий на местном уровне, об источниках финансирования органов местного самоуправления, об административном контроле за деятельностью органов местного самоуправления. Хартия также закрепляет право органов местного самоуправления на объединение и право на судебную защиту для обеспечения свободного осуществления ими своих полномочий.

**Заключение**

Определяя характеристики концепций местного самоуправления, сформированные в период становления и развития местного самоуправления в Грузии, представляется основанной на анализе законодательства, истории и практики соответствующего периода и, более того, актуальной и в настоящее время.

Можно сказать, что в Грузии до сих пор нет оптимальных вариантов местного самоуправления, определения его концепции. Разработка понятия "местное самоуправление" важна, поскольку это обусловлено необходимостью выбора оптимальной для Грузии концепции местного самоуправления, в соответствии с которой можно строить систему законодательства о местном самоуправлении и развивать практику, которая не богата и нуждается в реформировании.

Обобщая разнообразные концепции местного самоуправления, можно рассматривать местное самоуправление с одной стороны, как процесс, а с другой стороны, как само явление. В первом случае под местным самоуправлением понимается деятельность местных сообществ по решению вопросов местного значения, а в другом случае местное самоуправление как местная власть, обособленная от государственной власти, которая организует жизнедеятельность местного сообщества на определенной территории.

**Использованная литература:**


1. Конституция Грузии, Тбилиси, 24 августа 1995 г.
2. Кодекс о местном самоуправлении Грузии, Кутаиси, 5 февраль 2014 г.
3. თ.ბოლქვაძე, კ. კანდელაკი, დ.ლოსაბერიძე, თ. ჩიქოვანი, „ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში“ 1991-2014, თბილისი, 2015 / Т.Болквадзе, К. Канделаки, Д. Лосаберидзе, Т. Чиковани, Местное самоуправление Грузии 1991-2014, Тбилиси, 2015
4. დ. ლოსაბერიძე, ადგილობრივი თვითმმართველობა, ა(ა)იპ მწვანე კავკასია, თბილისი, 2016 / Д. Лосаберидзе, Местное самоуправление, н(н)юл Зеленная Кавкасия, Тбилиси, 2016
5. შ. დოღონაძე, გ. იაშვილი, საჯარო სამსახური საქართველოში - რეფორმები, გამოწვევები, თბილისი, 2013 / Ш. Догонадзе, Г. Иашвили, Публичная служба в Грузии – реформы, вызовы, Тбилиси, 2013
6. Robert B. Denhardt and Janet V. Denhardt, „Public Administration: An Action Orientation“ ISBN-10:0-495-50282-0, ISBN-13: 978-0495-50282-1б GEORGIAN language edition published by ILIA STATE UNIVERSITY, Copyright © 2012, Ilia State University
7. Duncan S. & M. Goodwin. (1988) The local state and uneven development: Behind the local government crisis. London: Polity Press
8. Василенко И.А. "Административно-Государственное управление в странах запада: США, Великобритания, Франция, Германия", Издательство "Логос", Москва, 2001
9. Мухаев З. Т., Система государственного и муниципального управления, Москва, ЮНИТИ, 2008

10. Саначев И. Д. Сравнительный анализ моделей местного самоуправления, Российская государственная библиотека, Москва, 2006
11. Кузнецова Е.М., Местное самоуправление и социальная работа, Конспект лекций. Омск. Издательство ОмГТУ, 2010
12. Батычко В.Т. Муниципальное право. Конспект лекций. Таганрог: ТТИ ЮФУ, 2010 г.
13. Токвиль А. Демократия в Америке: пер. с франц. М., 1992. С. 65.

## The efficiency of the implementation of the theoretical concepts of decentralization and local self-government in the process of reforms in Georgia

***Kiamar Gumbatov, PhD student***
***Georgian Technical University***

### Summary

Achieving an optimal balance between national and local-level interests, i.e. a tradeoff between centralization and decentralization, is a major challenge that all countries face today. The development of local self-government in Georgia has been influenced by a wide range of social, political, economic and cultural factors that contribute to the ongoing local self-government reforms. Country-specific peculiarities of local self-government are largely determined by national traditions and the organization of public authority. The analysis of the development of local self-government in Georgia is based on the studies of national legislation, history and practices that were in use at the time and, importantly, remain relevant today. Georgia has not reached an optimal model of local self-government yet and the underlying concept of such a model is still missing. A deep understanding of the meaning of local self-government is crucial in finding an optimal concept of decentralization for Georgia as a basis for the development of local self-government laws and practices, which remain underdeveloped and need reforms.

# 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნები და საქართველო

*დგებუაძე მარინე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნები და საქართველოსადმი ევროკავშირის დამოკიდებულება. ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც თანდათან გლობალური ხდება და იზრდება კონკურენცია. დიდი კონკურენციაა მოსალოდნელი 23-26 მაისს, ევროპარლამენტის არჩევნებში, რომელიც განსაზღვრავს მომავალში ევროპის „მოგზაურობის" მიმართულებას. აირჩევა მე-9 მოწვევის ევროპარლამენტი-ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო. ძნელია განსაზღვრ, რა გავლენას იქონიებს ევროპარლამენტის არჩევნები საქართველოს მომავალზე. მსოფლიოში ყოველდღიურად მიმდინარეობს ცვლილებები ყველა მიმართულებით. არამდგრადი სიტუაციაა ევროპაში. ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა მიერ გამოწვეული ბრექსიტის ქაოსმა ცხადი გახადა, რომ მისი წევრობა შეუქცევადი არ არის.

ჩვენს სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ევროპარლამენტის საარჩევნო პროცესის ასპექტებზე. აგრეთვე, არის მსჯელობა ევროკავშირის დიდი ეკონომიკური ბაზრის თაობაზე, რაც ხაზგასმულია გერმანიის დამსაქმებელთა საზოგადოების პრეზიდენტის ინგო კრამერის მოწოდებაში. აღნიშნულია, რომ საქართველოს მიეცა შანსი დიდ ევროპულ ოჯახში შესვლისა, რაც დადასტურებულია კავშირის მხარდაჭერილი რეზოლუციებით. საქართველო ევროკავშირში შესვლამდე და მერეც, მრავალი წელი, ევროპული ფონდებიდან მიმღები იქნება და არა შემტანი. სწორედ ამიტომ მას სტაბილური დ ძლიერი ევროპა სჭირდება.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ევროპარლამენტი, არჩევნები, ბრექსიტი, პარტია, ბაზარი, დასაქმება.

**ძირითადი ტექსტი**

**2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნები და საქართველო**

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც თანდათან გლობალური ხდება და იზრდება კონკურენცია. დიდი კონკურენციაა მოსალოდნელი 23-26 მაისს, ევროპარლამენტის არჩევნებში, რომელიც განსაზღვრავს მომავალში ევროპის „მოგზაურობის" მიმართულებას. აირჩევა მე-9 მოწვევის ევროპარლამენტი-ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო[1]. რას მოუტანს ეს არჩევნები და ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობა საქართველოს, წინასწარ თქმა ძნელია. ხშირად გვსმენია სიტყვები „ქვეყანა აირია". დამეთანხმებით, მარტო საქართველოს არ გულისხმობენ, მსოფლიო იგულისხმება. არამდგრადი სიტუაციაა ევროპაში სოციალური პრობლემებიდან დაწყებული, კლიმატის ცვლილებებით, ბრექსიტითა და განსაკუთრებით საემიგრაციო პოლიტიკით, რომელიც ევროპისთვის „აქილევსის ქუსლია". აგრეთვე, მუდმივად განსახილველი ე.წ. რუსეთის თემა. ამ საკითხებმა რადიკალური ჯგუფების გააქტიურება გამოიწვია და ყველაფრის ფონზე როგორი იქნება ევროპარლამენტის შემადგენლობა ძნელია განსაზღვრა. ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა მიერ გამოწვეული ბრექსიტის ქაოსის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მისი წევრობა შეუქცევადი არ არის. ამიტომ, ზემოთ აღნიშნული პრობლემების ფონზე კავშირი ვერ მისცემს თავს ნდობის მომდევნო კრიზისის უფლებას.

ევროპარლამენტის არჩევნები ყოველ 5 წელიწადში ერთხელ იმართება 27 ქვეყნის მონაწილეობით (წელს სავარაუდოდ ბრიტანეთის გარდა) და ტარდება პროპორციული სისტემით. ევროპაში თვლიან, რომ ეს გარანტიას აძლევს პარტიას, მაგ. ხმათა 20%-ის მიღებისას ადგილების ამავე პროცენტით წარდგეს პარლამენტში. ამით დიდ და მცირე პარტიებს ევროპარლამენტში თავისი წარმომადგენლების შეყვანის თანაბარი შესაძლებლობა ეძლევათ. საარჩევნო პროცესების სხვა ასპექტები შესაძლებელია კავშირის ქვეყნებმა თავად გადაწყვიტონ. მაგალითად, მათ შეუძლიათ თავისი ტერიტორიები დაყონ რეგიონულ საარჩევნო ოლქებად, როცა ზოგიერთ ქვეყანას ერთი

საარჩევნო ოლქი აქვს.

ევროკავშირის ქვეყნებში არჩევნები ტრადიციულად განსაზღვრულ დღეებში ტარდება-ნიდერლანდებში, მაგალითად, 23 მაისს. ამიტომ არსებობს ხმის მიცემის ოთხდღიანი პერიოდი, რომლის განმავლობაში ქვეყნები თვითონ განსაზღვრავენ არჩევნების დღეს. გერმანიაში ევროპარლამენტის არჩევნები 26 მაისს გაიმართება.

დღეს ევროპარლამენტში წარმოდგენილია 8 ფრაქცია: ევროპის სახალხო პარტია/ქრისტიან-დემოკრატები (EPP, CDU/CSU), რომელსაც ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს, 218 მანდატი 751-დან, სოციალ-დემოკრატების პროგრესული ალიანსი ევროპარლამენტში (S&D), ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები (ECR), ლიბერალ-დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE), ლიბერალების/კონფედერალების ფრაქცია ევროპელი მემარცხენეების/ ჩრდილოელი მწვანეების და მემარცხენეების გაერთიანება (GUE/NGL), ევროპელი მწვანეების და ევროპის თავისუფალი ალიანსი G/EFA, თავისუფალი და პირდაპირი დემოკრატიის ევროპა (EFDD), ერებისა და თავისუფლების ევროპა (ENF)[2]. დიდი ბრიტანეთის 73 მანდატი სხვა წევრ ქვეყნებს შორის გადანაწილდება, თუმცა ჯერ კიდე, არაპროგნოზირებადია ბრექსიტის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები.

წლევანდელი არჩევნები განსხვავებულია სხვა დროის არჩევნებისგან. თუ ეკონომიკურ ჭრილში განვიხილავთ, ევროკავშირი არის დიდი ეკონომიკური ზონა 500 მილიონი ადამიანით და ბაზრით, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია აშშ და ჩინეთისთვის, რომ ევროკავშირს შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები მათთან თანაბარი პირობებით. ეს არის შენგენის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილების საშუალება, საერთო ფულის ერთეული, დასაქმების დიდი ბაზარი. რას წარმოადგენს ევროპა კავშირის გარეშე? იმას როგორ მდგომარეობაშიც ახლა ბრიტანეთია. ბრექსიტის მსგავსი დრამატული ქმედებები ეკონომიკისთვის წამგებიანი იქნება, რაც უკვე სახეზეა. ბრიტანეთში მრავალმა დამსაქმებელმა დაითხოვა თანამშრომლები. ზოგს ევროკავშირის ქვეყნებში გადააქვს საწარმოები[3].

გერმანიის დამსაქმებელთა საზოგადოების პრეზიდენტი ინგო კრამერის აზრით, „ევროპული პროექტი საფრთხის წინაშეა. ანტიევროპულმა ძალებმა თავისი ბრძოლის პირველ ეტაპზე გამარჯვება უკვე მოიპოვეს. ჩვენ, საქმიანმა წრეებმა, ევროპის ინტეგრაციის პროცესში, დიდი პასუხისმგებლობა უნდა ვაჩვენოთ. ამის საშუალება 26 მაისს გვეძლევა. ჩვენ არ უნდა დავტოვოთ ევროპა იმ პარტიების ანაბარა, რომლებიც ძალიან ხშირად დემაგოგების დამახინჯებულ გამონათქვამებს იყენებენ, ნაცვლად იმისა, რომ ევროკავშირის იდეა პოზიტიურად განავითარონ"[4]. პროექტი „ევროპის არჩევნები 2019" კი ევროკავშირის ამომრჩევლებს მოუწოდებს არა მარტო მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, არამედ სხვასაც გაუჩინონ ხმისმიცემის მოტივაცია[5]. როგორც ჩანს, ევროპა აფორიაქებულია. ამას ცხადჰყოფს ტრადიციულ-პოლიტიკურ სუბიექტებსა და ამომრჩევლებს შორის ნდობის ხარისხის დაწევა, რაც 2019 წელს 4 აპრილს გერმანიაში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მონაცემებითაც ჩანს: ქრისტიან-დემოკრატებმა/CDU/CSU მიიღეს 30%, SPD-17%, მწვანეები/GRUENE-19%, თავისუფალი დემოკრატების პარტია/FDP-7%, მემარცხენეები/LINKE-7%, ალტერნატივა თავისუფალი გერმანიისთვის/AFD-11%, სხვა/Sonstige-9%[6]. ამდენივე პროცენტი მიიღო ბუნდესტაგის არჩევნებში მემარჯვენე-ექსტრემისტული პარტიის/AFD-მ, რომელიც ტრადიციულ პარტიებთან შედარებით ახალგაზრდად ითვლება.

ევროკავშირის ასოცირების წევრობამ საქართველოს დიდ ოჯახში შესვლის შანსი მისცა. ამ ოჯახმა ჩვენთვის საჭირო არაერთ მნიშვნელოვან რეზოლუციას დაუჭირა მხარი. მათ შორის, 2008 წლის ომის საკითხში, რომლითაც დაგმო საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიუღებელი და დისპროპორციული ომი და მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება[7]; საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეზოლუციას, რომელსაც ევროპარლამენტის 647 დეპუტატიდან 553-მა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი 66 ადამიანი იყო, 28 დეპუტატმა თავი შეიკავა[8]; 2017 წ. 16 ნოემბერის ევროკავშირის ასოცირებული წევრების საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მხარდამჭერი რეზოლუცია, რომელსაც ევროპარლამენტის 519-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. კენჭისყრის შედეგების მიხედვით,

წინააღმდეგი იყო 114 დეპუტატი და 47 პარლამენტარმა თავი შეიკავა[9]; 2018 წ. ივნისის რეზოლუცია, რომელიც რუსეთს მოუწოდებს, გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ[10]. ეს მხოლოდ ნაწილია იმ მხარდაჭერისა, რასაც ევროკავშირიდან უნდა ველოდოთ. ამიტომ სასურველია ევროპარლამენტის 2019 წლის არჩევნებში ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი პარტიები კვლავ ვიხილოთ, რათა შემდგომი რეზოლუციების მიღებისას გვქონდეს მათი მხარდაჭერის იმედი. თუმცა, ბრექსიტის შემდეგ საქართველოს მეგობართა რიცხვი ევროპარლამენტში საგრძნობლად შემცირდება. ბრიტანეთის სახით უეჭველად დავკარგავთ საქართველოს წევრობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მხარდამჭერ და გავლენიან მოკავშირეს. ის არის და იმედია, მომავალშიც დარჩება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პარტნიორად, როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე-საერთაშორისო არენაზე.

ევროპული ინტეგრაციის დასაწყისიდან 70 წელზე მეტია თავისუფლებითა და მშვიდობით კმაყოფილდება ევროკავშირი[11]. ეს კი ამ ინტეგრაციის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. კავშირმა ევროპა ისეთ წარმატებულ რეგიონად აქცია, რომ მსოფლიოს ყველა კუთხის მიგრანტებისთვის სასურველ ადგილად იქცა. ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი და პრორუსული პოზიციის მქონეთაც, აქ ურჩევიათ ცხოვრება, ვიდრე ევრაზიული განვითარების ქვეყანაში.

ყველაფრის გათვალისწინებით საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია და უკრაინის კონფლიქტი გვიჩვენებს, რომ მშვიდობის შენარჩუნებისთვის ევროპაში დიდი ძალისხმევაა საჭირო. საქართველო ევროკავშირში შესვლამდე და მერეც, მრავალი წელი, ევროპული ფონდებიდან მიმღები იქნება და არა შემტანი. სწორედ ამიტომ მას სტაბილური და ძლიერი ევროპა სჭირდება. იმედი ვიქონიოთ, რომ არსებული პრობლემების ფონზე არჩევნების დღე ევროკავშირისთვის ხანგრძლივი წინააღმდეგობების დასაწყისი არ აღმოჩნდება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://europa.eu/european-union/about-eu/european-elections_de, ევროპარლამენტის არჩევნები, უკანასკნელი ნახვა 21.04.2019;
2. http://www.europarl.europa.eu/about-parliament/de/organisation-and-rules/organisation/political-groups, უკანასკნელი ნახვა 21.04.2019;
3. https://www.gesamtmetall.de/search/site/wahlen, დამსაქმებელი და არჩევნები, ჯამური მეტალი, ბოლო ნახვა 21.04.2019;
4. https://www.zukunft-wählen-europa.de/appell-ingo-kramer.html, მომავალი-ევროპა-არჩევნები, იგო კრამერი, უკანასკნელი ნახვა 21.04.2019;
5. https://www.europawahl.eu/mitmachen, ევროპის არჩევნები, უკანასკნელი ნახვა 21.04.2019;
6. https://www.wahlrecht.de/umfragen/europawahl.htm არჩევნების კანონი, ევროპარლამენტის არჩევნები, გამოკითხვა. უკანასკნელი ნახვა 21.04.2019;
7. https://www.radiotavisupleba.ge/a/1559353.html უკანასკნელი შემოწმება 21.04.2019;
8. sputnikgeorgia.com/georgia/20170202/234735485/evroparlamentmasaqartvelostvis-vizebis-gauqmebas-mxari-dauchira.html, ევროპარლამენტი საქართველოსთვის, უკანასკნელი შემოწმება 21.04.2019;
9. http://infocenter.gov.ge/1556-evroparlamentma-saqarthvelos-mkhardamtceri-rezolucia-miigho.html, ევროპარლამენტმა საქართველოს მხარდმჭერი რეზოლუცია მიიღო, უკანასკნელი შემოწმება 21.04.2019;
10. https://www.radiotavisupleba.ge/a/ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს შესახებ/29291069.html, უკანასკნელი შემოწმება 21.04.2019;

## European Parliament Elections 2019 and Georgia

***Marine Dgebuadze, PhD student***
***Georgian Technical University***

### Summary

The present article analyzes the European Parliament's elections in 2019 and the EU's attitude toward Georgia. We live in a world, which is gradually becoming global and where the competition rises. Great competition is expected on May 23-26, in the European Parliament election, which determines the direction of Europe's "journey" in the future. The 9th European Parliament - EU legislative body will be elected. It is difficult to determine what kind of affect will have the European Parliament’s election on the future of Georgia. Every day there are going so many changes in the world. The unsustainable situation is in Europe. The Brexit chaos caused by the EU's opponents made it clear that its membership is not irrevocable.

Our article focuses on the aspects of the European Parliament’s election process. There is also a discussion on the EU's biggest economic market, which is also highlighted in the statements of the President of German Employer Society - Ingo Kramer. It has been noted that Georgia has a chance to enter into a large European family, which is confirmed by the Union's supported resolutions. Before Georgia enters into the European Union and also after that, many years Georgia will be a receiver from European funds and will not be a contributor. That is why Georgia needs a stable and strong Europe.

Key words: European Union, European Parliament, Elections, Brexit, Party, Market, Employ

## სახელმწიფო მოხელის პროფესიული განვითარების სისტემები საზღვარგარეთის ქვეყნებში

*ზაზაშვილი ლია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე საჯარო სამსახური საქართველოში რეფორმირების სტადიაში იმყოფება, აქტიურად მუშავდება პერსონალის მართვის ახალი მიდგომები და მისი ეფექტური მექანიზმები, ამ პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფო სამსახურის გარდაქმნის საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინება, უცხოური გამოცდილების შესწავლა და მისი ადაპტირება კონკრეტულ სუვერენულ გარემოში. ბევრ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური სამსახური, რომელიც ცენტრალიზებული გზით ახორციელებს ყველა სამთავრობო უწყების ადამიანური რესურსების მართვას. არიან ქვეყანები, სადაც ამგვარი პრაქტიკა მთლიანად დეცენტრალიზებულია და თითოეული დეპარტამენტი ინდივიდუალურად ახორციელებს პერსონალის მენეჯმენტს. ძირითადად, უფრო შერეული ტიპის პრაქტიკას აქვს ადგილი, როდესაც ადამიანური რესურსების მართვის ზოგად სტრატეგიას ქვეყანაში განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ცენტრალური სამსახური, ხოლო კონკრეტული აქტივობების განხორციელება ინდივიდუალურ უწყებებს ევალებათ. საზღვარგარეთ სახელმწიფო სამსახურის პერსონალის მართვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კადრების პროფესიული პოტენციალის და კომპეტენტურობის განვითარებას. პროფესიული კვალიფიკაციის ზრდის სისტემებში ყველა ქვეყნისათვის საერთო პარამეტრებს წარმოადგენს: სახელმწიფო სამსახურში მოსახვედრად სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის პროფილის შესატყვისი განათლების არსებობა; სახელმწიფო მოსამსახურეთა კარიერული ზრდის მჭიდრო კავშირი მათი პროფესიული კვალიფიკაციის ზრდასთან; სახელმწიფო სამსახურის მმართველობითი ორგანოების პასუხისმგებლობა პროფესიული სწავლების ორგანიზებასა და საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის კონტროლზე.

ერთიანი პრინციპების მიუხედავად, ცალკეული ქვეყანები ხასიათდებიან საჯარო სექტორში დასაქმებულთა შერჩევის და მათი კარიერული გადაადგილების თავისებურებებით, რასაც, უპირატესად, საკანონმდებლო ბაზა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები განაპირობებს. არსებით გავლენას ახდენს აგრეთვე, ქვეყნის მმართველობითი მოწყობის მოდელები, საზოგადოების მენტალობა და სოციუმის ფსიქო-ემოციური თავისებურებები. სტატიაში განვიხილავთ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებს და მიმართულებებს სახელმწიფო მართვის განსხვავებული მოდელის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: ევროპული მოდელი, ინგლისური მოდელი, შერეული მოდელი, პერსონალის მართვის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემები, საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სისტემა.

**ძირითადი ტექსტი**

საზღვარგარეთის ქვეყნებში სახელმწიფო სამსახური განიხილება, როგორც განსაკუთრებული სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია პერსონალის მიღების, შერჩევის და პროფესიული განვითარების განსაკუთრებული მექანიზმები და ტექნოლოგიები. სხვადასხვა ქვეყანაში პერსონალის მართვის სისტემები რიგი თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, გამოიყოფა საჯარო მოხელეთა პროფესიულ-თანამდებობრივი გადაადგილების ორგანიზების ორი მოდელი: რომანულ-გერმანული, - დასავლეთ ევროპული და ანგლოსაქსური, - ინგლისური (ამერიკული). ამგვარი დაყოფა განპირობებულია სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუციური განვითარების ისტორიული სპეციფიკით, სახელმწიფო მოხელეთა, როგორც განსაკუთრებული სოციალურ-პროფესიული ჯგუფის სტატუსის თავისებურებებით, სპეციალისტთა მომზადების და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების რადიკალურად განსხვავებული სისტემებით.

რომანულ-გერმანულ (დასავლეთ ევროპულ) მოდელში პროფესიული საქმიანობის საფუძველი

კარიერული პრინციპია, რაც ვაკანტურ თანამდებობათა თანმიმდევრულ (კარიერულ) მონაცვლეობას გულისხმობს. ამ მოდელის ძირითადი პრინციპებია: პროფესიული სწავლების სისტემურობა და ეტაპობრიობა; მოხელეთა სწავლების უწყვეტობა; საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსალურობა და დაბალანსებულობა; პროფესიული მომზადების სისტემის ცენტრალიზაცია;სასწავლო პროგრამების აგების ბლოკურ-მოდულური პრინციპი.

ანგლოსაქსური (ინგლისური) მოდელი აგებულია „ღია კარის" პრინციპზე, რაც გულისხმობს ვაკანტური თანამდებობების შევსებას იმ პირებით, რომლებიც მანამდე არ მუშაობდნენ საჯარო სექტორში. არსებობს კარიერული სისტემა („დამსახურების" პრინციპი) და იმავდროულად დაშვებულია „პირადი პატრონაჟის" მიხედვით ახალ კანდიდატთა მიღებაც. გარკვეულ სამსახურეობრივ თანამდებობაზე დანიშნულ პირს შეუძლია მისი დატოვება საკუთარი სურვილით და გადანაცვლება საზოგადოებრივ ან კერძო სექტორში. აღნიშნული მოდელის გათვალისწინებით სახელმწიფო მოხელეთა პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: კადრების კვალიფიციური მომზადების პროცესის მართვის დეცენტრალიზაცია; ბიზნესის სფეროში კადრების მომზადების პროგრამებთან კავშირი; მმართველობით პრაქტიკასთან კავშირი; საგანმანათლებლო დაწესებულების მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა სწავლების პროგრამების და მათი შინაარსის არჩევანში.

გერმანიაში სახელმწიფო სამსახურის ქვეშ იგულისხმება საქმიანობის სახე, რომელიც ორიენტირებულია საერთო სახელმწიფოებრივი მართვის ამოცანების გადაწყვეტაზე. სახელმწიფო მოსამსახურეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად (მათ შორის პოლიტიკურ მოხელეებად) და ხელშეკრულებით დასაქმებულებად. სახელმწიფო მოხელეები, თავის მხრივ, იყოფიან ფედერალურ და ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეებად. შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურეთა დანიშვნის ოთხი ტიპი არსებობს: გამოსაცდელი ვადით, არაგანსაზღვრული ვადით (ნებისმიერ დროს შეუძლიათ მათი განთავისუფლება), დროებითი (სამხედროები, ბურგომისტრები) და უვადოდ დანიშვნები (კარიერული მოხელეები). მოსამსახურეთა თითოეული კატეგორიისთვის არსებობს შესაბამისი მოთხოვნები და უფლებამოვალეობები.

გერმანიის სახელმწიფო სამსახური ხასიათდება „კარიერული" ორგანიზებით, მას გააჩნია პერსონალის მართვის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რასაც უზრუნველყოფს წოდებების და თანამდებობების, სამსახურში მოწყობის, მოვალეობების, უფლებების და გარანტიების, საპენსიო უზრუნველყოფის და შრომის ანაზღაურების წესების და კანონების ერთიანი სისტემა.

სახელმწიფო სამსახურში მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე სპეციალური გამოცდების ჩაბარების შედეგად. გერმანიაში არსებობს სახელმწიფო მოსამსახურის ოთხი დონე: დაბალი, საშუალო, მაღალი და უმაღლესი. ყოველ დონეს შეესაბამება სამსახურეობრივი რანგები. სულ 16 რანგია. რანგიდან რანგზე გადასვლას განაპირობებს მოხელის პროფესიული კვალიფიკაციის დონე. თანამდებობრივი წინსვლის გერმანული სისტემა დაფუძნებულია პროფესიული განვითარების უწყვეტობაზე. პროფესიული ცოდნისა და შესრულებული სამუშაოს შედეგების შეფასება ხდება პროფესიული გამოცდის საფუძველზე არანაკლებ ხუთ წელიწადში ერთხელ ან პირადი თუ სამსახურეობრივი აუცილებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კვალიფიკაციის შეფასება, გარდა პროფესიული ცოდნისა, ითვალისწინებს პიროვნულ, მორალურ-ზნეობრივ, სოციალურ ქცევით თავისებურებებს, განათლებისა და შრომისუნარიანობის დონეს. რეგულარული საკვალიფიკაციო გამოცდებისგან პირები თავისუფლდებიან 50 წლის ასაკის შემდგომ.

გერმანიაში სამსახურეობრივი წინსვლა და კარიერული ზრდა განიხილება, როგორც მოტივაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც ორიენტირებულია სოციალური პრესტიჟის ამაღლებაზე და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მოხელის კარიერა ეფუძნება თანამდებობრივი წინსვლის პრინციპს, რომლის განსაკუთრებულ პირობას პროფესიული გამოცდების ჩაბარება წარმოადგენს. გარე კადრების მიღება ხდება მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი ინსტანციები (საკადრო კომიტეტები) განსაზღვრავენ მათ კვალიფიკაციას.

გერმანიაში სახელმწიფო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება მიმდინარეობს

სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომელიც შექმნილია ფედერალურ დონეზე, სადაც ხდება საშუალო და უმაღლესი დონის სახელმწიფო მოხელეების მომზადება. ამ ტიპის სასწავლებლებში წარმოდგენილია მოკლე და საშუალოვადიანი საგანმანათლებლო პროგრამები, ორიენტირებული სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობათა მოთხოვნებზე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელი პროგრამების შინაარსს. ამ კატეგორიის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება, რომელიც სახელმწიფო მართვის ფედერალურ აკადემიაში ხორციელდება, ორიენტირებულია არა იმდენად პროფესიული ცოდნის გადაცემაზე, არამედ ისეთი უნარების გაღრმავებაზე, როგორიცაა კონცეპტუალური და ინოვაციური აზროვნება, საერთაშორისო და ნაციონალური განვითარების სფეროში ცოდნის მიღება, ხელმძღვანელობის და მოტივაციის მეთოდების დაუფლება. კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დისციპლინები შეირჩევა შეთავაზებული თანამდებობის შესაბამისად. [3]

საფრანგეთში სახელმწიფო მოსამსახურეებად ითვლებიან ცენტრალურ და რეგიონალურ ადმინისტრაციებში, დეპარტამენტებში და კომუნებში ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული მუშაკები, რომლებიც ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ. სახელმწიფო სამსახურში მიღება ხდება კონკურსის წესით თანაბარუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე. არსებობს სამი ძირითადი სახის კონკურსი: გარე კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერ კანდიდატს; შიდა კონკურსი - ეხება საჯარო სამსახურში მუშაობის სტაჟის მქონე მოხელეებს მხოლოდ და შერეული სახის კონკურსი, რომელიც ორივე სახეს აერთიანებს. კონკურსგარეშე წესით კანდიდატები ინიშნებიან ხელმძღვანელ (პოლიტიკურ) თანამდებობებზე (ან თანამდებობებზე, რომელიც ჩნდება ახალი სახელმწიფო ორგანოს შექმნის შედეგად), ასევე დამხმარე კატეგორიის თანამდებობებზე. პროფესიულ-თანამდებობრივი დაწინაურება ხდება ვაკანტური თანამდებობის დაკავებით და რანგის მომატებით. სახელმწიფო მოხელის იერარქიულ კიბეს ქმნიან A, B, C, D კატეგორიები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა რანგებს. საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით დადგენილია პერსონალის, სამსახურეობრივი თანამდებობების და წოდებების ერთიანი კლასიფიკაცია, როგორც ცენტრალურ სახელმწიფო სამსახურში, ისე ადგილობრივ ორგანოებში. ასევე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოხელის პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემას.

საფრანგეთში პროფესიულ-თანამდებობრივი წინსვლის სისტემა კარიერულ პრინციპზეა აგებული. მოხელის პროფესიული საქმიანობა გრძელდება იმ სახელმწიფო ორგანოში, სადაც თავდაპირველად დაინიშნა. კარიერული ზრდა და თანამდებობაზე უვადო დანიშვნა ხორციელდება მოხელის პროფესიული საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით. ერთი სამსახურეობრივი რანგიდან მეორეში გადასვლა ხდება სამუშაო სტაჟის, პირადი დამსახურებების და პროფესიული კომპეტენტურობის გათვალისწინებით. კარიერის ორი განსხვავებული სახე გამოიყოფა: ჩვეულებრივი და განსაკუთრებული (გამონაკლისი). გამონაკლისი გულისხმობს დაჩქარებულ გადაადგილებას კლასის შიგნით რანგებში. ასეთ შემთხვევაში მოხელეს საშუალება ეძლევა მოემზადოს და ჩააბაროს გამოცდა. კარიერის ამგვარი სახე გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამთავრობო თანამდებობებზე ან პროფესიულ კავშირებში კადრის დასანიშნად.

დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო სამსახურის რეფორმა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში გატარდა, რომლის შედეგადაც კვალიფიკაციის ამაღლება და საგანმანათლებლო პროგრამების დაუფლება თანამდებობრივი წინსვლის და საკლასო წოდების მიღების ძირითადი პირობა გახდა. ქვეყანაში სახელმწიფო მოხელეებს მიეკუთვნებიან სამინისტროებში და უწყებებში დასაქმებული პირები, გარდა პოლიტიკურ ან სასამართლო ხელისუფლებაში თანამდებობების მქონე პირებისა და ანაზღაურებას იღებენ ბიუჯეტიდან. სახელმწიფო მოხელეები იყოფიან საჯარო მოხელეებად (ეკონომიკის საჯარო სექტორში მომუშავე) და სამოქალაქო მოხელეებად (სამინისტროებში და უწყებებში მომუშავე). სამოქალაქო მოხელეები, თავის მხრივ, ინიშნებიან მუდმივ (სპეციალური სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში) და დროებით (გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად) თანამდებობებზე.

გაერთიანებული სამეფოს საჯარო სამსახურში მოქმედებს ადამიანური რესურსების ცენტრა-

ლიზებული უწყება – სამთავრობო ადამიანური რესურსების მართვის ოფისი (Government HR Operations), რომელიც სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებას და გაკონტროლებას ემსახურება. თანამშრომელთა შერჩევის და სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურები, ანაზღაურების სისტემების განსაზღვრა, შესრულებული სამუშაოს შეფასება და სხვ. ცალკეული სამინისტროების მოვალეობაში შედის. სამსახურში შერჩევის პროცედურები ხორციელდება პოზიციაზე დაფუძნებული სისტემით. დაწინაურება ხდება არა სტაჟის და დამსახურების, არამედ კომპეტენციების მიხედვით. პოზიციაზე დაფუძნებული მოდელი ასევე დამახასიათებელია აშშ-თვის, კანადისა და სხვა ქვეყნებისათვის. [1]

საშუალო და უმაღლესი რგოლის მოხელეებისთვის განათლებას იძლევა სახელმწიფო სამსახურის კოლეჯები, ამასთან, მათთვის საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა MPA პროგრამების განხორციელების უფლების მქონე არასახელმწიფო დაწესებულებებიც, რომელთა სწავლების შინაარსი და სტრუქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული სამინისტროების და უწყებების მოთხოვნებთან, ისინი საკადრო რეზერვის მომზადების პროგრამებს თვით სახელმწიფო ორგანოთა განვითარების გეგმის და თანამდებობრივი სტრუქტურების შესაბამისად შეიმუშავებენდა, ამდენად, სრულად ასახავენ უწყებათა მიმდინარე მიზნებსა და ამოცანებს. [2]

იაპონიის ეკონომიკის ეფექტური რეგულირება მნიშვნელოვნად არის განპირობებული სახელმწიფო მოხელეთა მაღალი პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობით და მოქნილობით, რომელსაც ცნობილი ხუთი იაპონური სისტემის ერთიანი მექანიზმი განაპირობებს. აღნიშნული სისტემა ნაციონალურ ტრადიციებსა და ფილოსოფიას ეფუძნება და უვადო დანიშვნის, კადრების როტაციის, რეპუტაციის, სამუშაო ადგილზე მომზადების და შრომის ანაზღაურების სისტემებს აერთიანებს. თითოეული ეს სისტემა ერთმანეთის ეფექტური ფუნქციონირების პირობას ქმნის და მაღალკვალიფიციური მოხელეების მომზადებას, მათი შემოქმედებითი თუ ინტელექტუალური უნარების სრულ რეალიზებას, საჯარო მოხელეებში მიზანდასახული და შედეგზე ორიენტირებულ ხასიათის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

სახელმწიფო მოხელეთა პროფესიული განვითარების იაპონური სისტემის პირველი ელემენტი უვადო დანიშვნის სისტემაა. სახელმწიფო სამსახურში მოხელეთა მიღების ერთ-ერთ თავისებურებაა ის, რომ მათ გარკვეულ ასაკამდე აქვთ მუშაობის უფლება ( როგორც წესი - 60 წ, ზოგ შემთხვევაში კი, 63-65 წ.), ამასთან, ასაკობრივი თვალსაზრისით, გენდერული ბალანსია დაცული. სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა იაპონიაში ძალზე პრესტიჟულად ითვლება, ამიტომ იქ მოხვედრა საკმაოდ რთულია, ერთი გზა მისაღები გამოცდის ჩაბარების გზით კონკურსის გავლაა, კონკურსში ერთ ადგილზე 10-100 ადამიანი მოდის, მათი ასაკობრივი ცენზი 18-28 წელია. სახელმწიფო სამსახურში დანიშვნის მეორე გზა გასაუბრების, ტესტირების და ანკეტების შევსების გზით კადრების შერჩევაა, ეს ვრცელდება მასწავლებლებზე, ექიმებზე, ტრანსპორტის მძღოლებზე, ტექნიკურ პერსონალზე და ყველა სხვა სახელმწიფო მოხელეზე, რომელთა საქმიანობის ანაზღაურება ბიუჯეტიდან ხორციელდება.

სახელმწიფო მოხელეთა განვითარების სისტემის მეორე ელემენტი როტაციის სისტემაა, რომელიც გულისხმობს თანამშრომელთა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გადაადგილებას ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ (როტაცია შეიძლება ჩატარდეს თანამშრომლის თანხმობის გარეშეც). ეს სისტემა უზრუნველყოფს სამუშაო ძალის მობილობას, ამაღლებს მისი კომპეტენტურობის, კვალიფიკაციის და კონკურენტუნარიანობის დონეს. როგორც წესი, რამდენიმე (2-3) ჰორიზონტალურ გადაადგილებას ცვლის ვერტიკალური როტაცია, ანუ თანამდებობრივი დაწინაურება. როტაცია ასევე ხელს უწყობს მოხელის უფრო ფართო ხედვის განვითარებას ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რაც სტრატეგიულ დაგეგმვის უნარს უნვითარებს მას. თითოეულ პოზიციაზე მუშაობის დასრულების დროს თანამშრომელზე იწერება დახასიათება, რომელსაც საფუძვლად ედება კოლეგების, ხელმძღვანელების შეფასებები. საჯარო მოხელის ამგვარი დახასიათება აყალიბებს მის რეპუტაციას, რაც გავლენას ახდენს მისი როტაციის ტრაექტორიაზე და შემდგომ კარიერულ წინსვლაზე.[4]

იაპონიის სახელმწიფო სამსახურის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი უკავია საჯარო მოხელეთა პროფესიულ განვითარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ენიჭება სამუშაო ადგილზე კადრის მომზადებას. რომელიც ასევე წარმოადგენს უვადო დანიშვნის სისტემის ერთ-ერთ ელემენტს. იაპონიაში ორგანიზაცია არ ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან კადრის სპეციალურ მომზადებას, ის თავის თავზე იღებს თანამშრომელთა პროფესიულად საჭირო დონეზე განვითარების საკითხს. იაპონიაში განათლების ფუნქციები მკვეთრადაა გადანაწილებული სასკოლო განათლებასა, რომელიც ფუნდამენტურ სწავლებას უზრუნველყოფს და შიდაორგანიზაციულ სწავლებას შორის., რომელიც პროფესიულ სწავლებას უზრუნველყოფს, ცენტრალურ სახელმწიფო მოხელეთა სწავლება ასევე ხდება კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში, რომელიც პერსონალის მართვის ბაზაზე არსებობს.

იაპონიის სახელმწიფო მოხელის შრომის მაღალეფექტურობას განაპირობებს მისი მოტივაციის ქმედითი სისტემები, მათ შორის მნიშვნელოვანია შრომის ანაზღაურების სისტემა, რომლის განსაზღვრის დროს ამოსავალია მომუშავის კვალიფიკაცია და მუშაობის სტაჟი. იაპონიის გამოცდილება ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია კადრების პროფესიული განვითარების ეფექტური რეალიზების თვალსაზრისით სისტემური მიდგომა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოხელეთა მაღალპროფესიული განვითარება.

ამდენად, საზღვარგარეთის ქვეყნებში პროფესიული განვითარების სისტემა მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო სამსახურის სოციალურ მახასიათებლებთან, იგი დამოკიდებულია განათლების სფეროს სპეციფიკაზე და ასახავს საზოგადოების სოციალური განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. მნიშვნელოვანია ქართულ საჯარო სივრცეში მოხდეს პერსონალის პროფესიული განვითარების დასავლეთ ევროპული პრინციპების გათვალისწინება, რომელშიც აქცენტი კეთდება: პროფესიული სწავლების სისტემურობაზე, ეტაპობრიობასა და სწავლების უწყვეტობაზე, რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების შემდგომ კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობას საშუალო და უმაღლესი დონის მოხელეთა მომზადებისათვის; დაბალანსებულ და უნივერსალურ სასწავლო პროგრამებზე და პროგრამების აგების მოდულურ პრინციპზე; პროფესიული კვალიფიკაციის ზრდის და კარიერული წინსვლის მჭიდრო კავშირზე; კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებში პრაქტიკის განმსაზღვრელ მნიშვნელობაზე. კარიერულ ზრდაზე, როგორც პერსონალის მოტივაციის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.

საქართველოში მიმდინარე რეფორმები საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და განათლების საკითხს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის, რამდენადაც ცვლილებების ეფექტურად მართვა საჯარო მოხელისაგან სპეციალურ პროფესიულ, საქმიან და ფსიქო-ემოციურ მომზადებას მოითხოვს, შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება მთლიანად საჯარო სისტემის და მისი საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის მიმოხილვა საჯარო სამსახურებში: ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, გერმანია და საქართველო. საჯარო სამსახურის ბიურო. ივნისი 2013.
2. ЗАРУБЕЖНЫЙ ОПЫТ ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ ПОДГОТОВКИ ГОСУДАРСТВЕННЫХ СЛУЖАЩИХ. Правдин А.А. ВЕСТНИК ЭКСПЕРТНОГО СОВЕТА. НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ № 2 (5), июнь 2016.
3. ЗАРУБЕЖНЫЙ ОПЫТ ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ ПОДГОТОВКИ ГОСУДАРСТВЕНЫХ И МУНИЦИПАЛЬНЫХ СЛУЖАЩИХ. https://www.kazedu.kz/referat/148372/3 მოძებნის თარიღი 5.03.2019.
4. Управление персоналом: Учебник. Изд. 2-е, доп. и перераб. / Под общ. ред. А.И. Турчинова. - М.: Изд-во РАГС, 2008. - 608 с.

**Professional development of the state civil servant Systems in foreign countries**

***Lia Zazashvili, PhD student***
***Georgian Technical University***

## Summary

The modern public service is in the process of reform in Georgia, new approaches to personnel management are actively developed, in this process it is important to take into account the international tendencies of transformation of state service, study foreign experience and adapt it to a specific sovereign environment. In many countries a special service is designed to centralize human resources of all government agencies through a centralized way. There are countries where such practice is fully decentralized and each department individually carries out personnel management. An important place in the public service management system abroad is the development of professional skills and competence of staff. Models of governance arrangement, mentality of society are also substantially influenced. In the article we will discuss basic principles and directions of professional development of public servants in the conditions of different management of state management.

# საჯარო მოხელის სამუშაოს შეფასების სისტემა საქართველოში

*თათვიძე ნოდარი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

საჯარო მოხელის სამუშაოს შეფასების სისტემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია მოხელის კარიერული ზრდისა და მოტივაციის ამაღლებისათვის. სტატიაში გაკეთებულია ანალიზი იმ ხარვეზების შესახებ, რომლებიც იქნა დაშვებული სამუშაოს შეფასების სისტემასთან დაკავშირებით საქართველოს საჯარო სამსახურებში. ასევე განხილულია თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ორგანიზაციაში მოხელის სამუშაოს შეფასების სისტემა და როგორი შეფასების სისტემის მოდელია საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დანერგილი. მეთოდი წარმოდგენს ადამიანის ცოდნის, გამოცდილების და უნარის გამოვლინებას, რომელიც აისახება მისი საქმიანობის შედეგზე. ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსური რესურსებისა და ორგანიზაციის აქტივობების შედეგების მართვა, რადგან თანამშრომლის მიერ კარგად ან პირიქით, ცუდად შესრულებულ სამუშაოს აქვს პირდაპირი გავლენა ორგანიზაციის მიღწეულ შედეგებზე. შეფასება ტარდება წელიწადში ერთხელ ორგანიზაციის ყველა თანამშრომლისთვის.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მოხელე, სამუშაოს შეფასების სისტემა, საჯარო სამსახური, დანერგვა, საქართველოს სამინისტროები.

**ძირითადი ტექსტი**

2018 წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებებში პირველად განხორციელდა საჯარო მოხელეთა პროფესიული შეფასება. მოხელის სამუშაოს შეფასების სისტემა საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია.

მთავრობის დადგენილება N220 ის მიხედვით, 2017 წლის 28 აპრილს გამოქვეყნდა პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. დადგენილების მიხედვით მოთხოვნა იყო „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულიყო თანდართული პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი და პირობები, რომელიც 2018 წლის 1 იანრიდან ამოქმედდებოდა. [1]

მოხელის სამუშაოს შეფასების სისტემა საჯარო სამსახურის შესახებ რეფორმის ფარგლებში დაიგეგმა. რეფორმიდან გამომდინარე საკმაოდ ბევრი ცვლილება განხორციელდა ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით და მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი იყო მოხელის სამუშაოს შეფასება.

რეფორმის კონცეფცია, 2014 წელს შექმნა.

საჯარო სამსახურის ბიურომ მოხელისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს სისტემის დანერგვის მიზნით ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო აქტიური მომზადება. USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა, რის საფუძველზეც შემუშავდა მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შესაფერისი მოდელი და ბიუროს ხედვა 2014 წლის 25 დეკემბერს წარედგინა საქრთველოს მთავრობის ადმინისტრაციას. აღნიშნული პროექტი გაგრძელდა 2015 წელსაც, რომლის ფარგლებშიც უცხოელი ექსპერტების მიერ შემუშავდა შეფასების განხორციელების მეთოდოლოგია და ტრენინგის მოდული საჯარო დაწესებულების მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პირებისთვის. [2]

მოხელის შეფასება მნიშვნელოვანია ორგანიზაციის განვითარებისა და მიზნების გაზომვის-თვის თუ რამდენად კარგად შესრულდა სამუშაო, ასევე მოხელის კარიერული განვითარებისა და წახალისებისთვის. შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება როგორც მისი სწავლება ასევე წახალისება.

---

[1] პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3652594?publication=0

[2] საჯარო სამსახურის ბიუროს 2015 წლის ანგარიში http://csb.gov.ge/uploads/2015_GEO_web.pdf

საჯარო მოხელეებზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების ხარისხს „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ კანონი არეგულირებს. კანონი სავალდებულოა ყველა საჯარო უწყებისთვის, რომელზეც ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ნაწილია. რეფორმის მხარდაჭერის პროგრამა 2016 წელს დაიწყო და 2020 წლამდე გრძელდება. საქართველოს საჯარო სამსახურებში საქართველოს მთავრობის დადგენილება N 220-საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ მე-14 მუხლის მიხედვით საქართველოში შეფასებისათვის გამოიყენება ოთხ დონიანი სისტემა.

საუკეთესო შეფასება – მოვალეობა ან მოსალოდნელზე მეტი სამუშაო საუკეთესოდ შესრულდა, მოხელე მკვეთრად გამოირჩევა შედეგებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით;

კარგი შეფასება – მოვალეობა კარგად შესრულდა, მოხელის შედეგები და პროფესიული უნარ-ჩვევები სტაბილურად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს;

დამაკმაყოფილებელი შეფასება – მოვალეობა ნაწილობრივ კარგად შესრულდა და გაუმჯობე-სებას საჭიროებს, მოხელე არსებითად არ გამოირჩევა პროფესიული უნარ-ჩვევებით;

არადამაკმაყოფილებელი შეფასება – მოვალეობა არ შესრულდა, მოხელის შედეგები და პროფესიული უნარ-ჩვევები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების პროცესში გამოყენებული კომპეტენციები შესაძლოა დავყოთ პროფესიულ და მენეჯერულ კომპეტენციებად. შეფასების პრინციპებიდან გამომდინარე, ორგანიზაციებს ინდივიდუ-ალურად შეუძლიათ დაადგინონ კონკრეტული რაოდენობა, თუ რამდენი კომპეტენციის მიხედვით უნდა შეფასდნენ მათი ორგანიზაციის თანამშრომლები.[1]

„ვფიქრობ შფასების სისტემის შერეული მოდელის დანერგვა სწორია და არ უნდა იყოს ერთიანი მოდელი, რადგან შეფასების სისტემა ნდა იყოს ორიენტირებული იმ მიზნების მიღწევაზე რაც ორგანიზაციას კონკრეტულად ამ ეტაპზე აქვს. ანუ რას ვგულისხმობ ამაში ძალიან ინდივიდუალური უნდა იყოს აქცენტს რაზე ვაკეთებ. აქცენტს ვაკეთებ იმაზე, რომ ჩვენი ორგანიზაციის თვის არის პრიორიტეტული აქედა გამომდინარე მე პირადად ვფიქრობ, რომ მოდელი ერთიანი არ უნდა იყოს და ერთ ორგანიზაციაშიც სისტემატიურად უნდა ვითარდებოდეს“ . ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანი ირმა მიქაძე.

შეფასების პრინციპებიდან გამომდინარე, ორგანიზაციები ინდივიდუალურად ადგენენ კონკრეტულ რაოდენობას, თუ რამდენი კომპეტენციის მიხედვით უნდა შეფასდნენ მათი ორგანი-ზაციის თანამშრომლები.

ძალიან ბევრი ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს შედეგების შეფასების ისეთი სისტემის შექმნაზე და შემდეგ დანერგვაზე, რაც მათ სპეციფიკას და საჭიროებას შეესაბამება.სამუშაოს შეფასების მეთოდები და მიზნები შეფასების სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანური რესურსების მართვაში. შეფასების სისტემა წარმოადგენს შედეგების მართვის ერთ-ერთ მნიშნვე-ლოვან ნაწილს, რომლის დროსაც გუნდის ან გუნდის წევრების შეფასება ხდება დაგეგმილი სამუშაოების შესრულების ხარისხის მიხედვით. შედეგების მართვის სისტემაა, რომელიც მოიცავს მენეჯერების მიერ შესასრულებელი სამუშაოების ამოცანების, მიზნების და შედეგების დაგეგმვას, გუნდისწევრებისათვის.

დაგეგმვა – შეფასების დაწყებამდე აუცილებელია გარკვეული იყოს შეფასების პერიოდულობა და ყველა საკითხი, რაც დაკავშირებულია შეფასების პროცედურასთან.

„მინდა ავღნიშნო, რომ ვეცადეთ, მაქსიმალურად მარტივი და მოქნილი მეთოდით შეგვეფასებინა თანამშრომლები, რადგანაც პირველი წელი იყო. იყო რაღაც შიშები, მოლოდინები, თუ როგორ გაამართლებდა და რამდენად იმუშავებდა. სწორედ ამიტომ ვეცადეთ რომ ყოფილიყო მარტივი მთოდით შეფასება ეს მეთოდები აპრობირებულია ევროკავშირიში. გადავწყვიტეთ, რომ

[1] საჯარო სამსახურის ბიუროს სარეკომენდაციო სისტემა საჯარო დაწესებულებებისათვის http://csb.gov.ge/uploads/shefasebis_sistema.pdf

ადაპტირება მოგვეხდინა და ადგილობრივ საჭიროებებთან შესაბამისობაში მოგვეყვანა.ჩვენ ვაფასებთ ფუნქციების მიხედვით. სამუშაოს აღწერაში თანამშრომლის რა ფუნქციებიც არის. ამ ფუნქციების შესაბამისად თანამშრომელმა უნდა ჩამოაყალიბოს რა დავალებები შეასრულა მთელი წლის მანძილზე, თითოეული ფუნქციის შესაბამისად.და შემდეგ უკვე ამ დავალებების შესრულების ხარისხს ჯამში ექვსი კომპეტენციის მიხედვით აფასებენ ჩვენი თანამშრომლები საკუთარ საქმიანობას იმ ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად. მოდელში მნიშვნელოვანი არის ის, რომ გარდა შემფასებლისა, რომელიც არის უშუალო ხელმძღვანელი, გვყავს უფროსი შემფასებელი და გვაქვს თვითშეფასების კომპონენტი. შეფასება ჩვენთან იწყება თვითშეფასებით. თანამშრომელი თავად აფასებს საკუთარ თავს და საკუთარ საქმიანობას, უწერს საკუთარ თავს ქულებს და წერს არგუმენტებსაც რატომ ფიქრობს ასე, თვითშეფასების შემდეგ შემფასებელი ეცნობა ამშეფასებას და ისიც აფასებს თავისი აზრის მიხედვით., შემდეგ მოდის დიალოგი. ესეც გაწერილი გვაქ ჩვენ ჩვენი შეფასების სახელმძღვანელოს თან ერთვის გასაუბრების მეთოდიც, ისევე როგორც დოკუმენტური მასალის შეფასების წესი. თუკი ქულებში იქნება სხვაობა მსჯელობენ სად არის პრობლემა, უნდა მოემატოს ქულა თუ დააკლდეს და თანხმდებიან საბოლოო ქულაზე. საბოლოო ქულის შეთანხმების შემდეგ უფროსი შემფასებელი ამოწმებს, რომელიც ერთი იერარქიული რანგით მაღლა მდგომი მენეჯერი, რომელიც აფასებს საბოლოოდ და წერს რამდენად ობიექტურად და სმართლიანად წარიმართა ეს პროცესი.“ თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსები მართვის განყოფილების ერთ-ერთი წარმომადგენელი თამთა ჩვრიკიშვილი.

წელს საჯარო დაწესებულებებში პირველად განხორციელდა საჯარო მოხელეთა პროფესიული შეფასება და დაფიქსირდა ხარვეზები.

„ხარვეზები რა თქმა უნდა დაფიქსირდა. კარგად მომზადებული ამისთვის არ იყვნენ არავინ იმისა რომ ვადა ორი წელი იყო. და იქამდე დიდი ხნის მანძილზე იცოდნენ, რომ ეს უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი მიზეზის გამო იყო ხარვეზები. მთავარი ალბათ მატერიალური რესურსი იყო, რის გამოც არ იყო ხალხი მზად ამისთვის. მენეჯერები არ ყოფილან მზად ამისთვის, არ ქონდათ გამოცდილება. ამიტომ ხარვეზები ძირითადად იყო რამდენიმე სახის, შეინიშნებოდა მაღალი ქულებისკენ დაწერის ტენდენცია. შეფასება მოხდა გადაჭარბებულად დადებითად.

დაახლოებით ოთხმოცდაათი პროცენტი იყო ალბათ უმაღლესი ქულა დაწერილი. „

„ვაპირებთ, რომ ქვქონდეს შეხვედრები მენეჯერებთან რადგან კიდევ უფრო ახლოს მივიტანოთ ეს თემა. ვფიქრობთ, რომ მეთოდშიც შევიტანოთ დამატებები, რაც კიდევ უფრო მიახლოებს ქართულ რეალობას ჩვენი მოდელს. უშუალოდ გეგმებზე მიმდინარეობს მუშაობა, რადგან გარკვეული სოფთი და სისტემური მხარდაჭერაა საჭირო ამისთვის. ამაზე მუშაობს ჩვენი განყოფილება და ალბათ წლის ბოლოსთვის რღაც გარკვეული ჩარჩოები გვექნება, რომ უფრო ეფექტურად, სრულყოფილად და კომპლექსურად გავაკეთოთ ეს ინდივიდუალური განვითარების პროფესიული გეგმები. თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების განყოფილების წარმომადგენრელი თამთა ჩვრიკიშვილი.

საქართველოს სამინისტროებში გაგზავნილი კითხვარის მიხედვით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საჯარო მოხელის სამუშაოს შეფასების სისტემის შესახებ მიღებული პასუხების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ყველაზე მეტად საუკეთესო შეფასება გამოვლინდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

შეფასებას დაექვემდებარა 274 მოხელე. აქედან 200 მოხელე შეფასდა საუკეთესო შეფასებით ხოლო 74 შეფასდა კარგით. არცერთი დამაკმაყოფილებელი ან ცუდი შეფასება არ დაწერილა. აქედან 200 საჯარო მოხელემ აიღო ფულადი ჯილდო რაც კანონის თანახახმად საუკეთესო შეფასებაზე გაიცემა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეფასდა სულ 500 მოხელე. ზუსტი სტატისტიკური მონაცემების გამზიარებისგან თავს იკავებენ თუმცა საერთო გამოკითხვისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერების გამოკითხვის საფუძველზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა რომ საქართველოს საგარეო სამინისტროს მიერ შეფასებული 500 თანამშრომლიდან

უმრავლესობა საუკეთსო და კარგი შეფასება ჰქონდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ცენტრალურ აპარატში 2018 წელს შეფასებული 195 პროფესიული საჯარო მოხელიდან საბოლოო შეფასების მიხედვით საუკეთესო შეფასება მიიღო 44 თანამშრომელმა ხოლო კარგი შეფასება 150 თანამშრომელმა. ამ სამინისტროში გამოიკვეთა ერთი დამაკმყოფილებელი შეფასება რაც იმის საფუძველია, რომ საჯარო მოხელე საჭიროებს პროფესიულ განვითარე ბას და გაივლის სპეციალურ კურსებს. ცუდი შეფასება ანუ არა დამაკმაყოფილებელი არც აქ დაფიქ-სირებულა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემებით სამმართველოებსა და საინფორმაციო საკუნსულტაციო სამსახურებში შეფასებული 157 მოხელიდან 63 პროფესიულმა მოხელემ საუკეთესო შეფასება მიიღო აქედან 59 ასევე ოთხი ქულით ანუ საუკეთესო შეფასებით რეგიონულ სამმართველოებსა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში. 284 საჯარო მოხელე კი შეფასდა სამი ქულით ანუ კარგი შეფასებით. 441 თანამშრომლიდან ყველა თანამშრომელმა მიიღო ან საუკეთესო შეფასება ან კარგი.

დასკვნა: ჩატარებული კვლევის საფუძველზე ძირითადად დაფიქსირდა კარგი შეფასებები, შემდეგ ძალიან კარგი შეფასება და მცირე რაოდენობით დამაკმაყოფილებელი შეფასება, არადამაკ-მაყოფილებელი შეფასება არ დაფიქსირებულა.

**ლიტერატურა:**


1. პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3652594?publication=0
2. საჯარო სამსახურის ბიუროს 2015 წლის ანგარიში http://csb.gov.ge/uploads/2015_GEO_web.pdf
3. საჯარო სამსახურის ბიუროს სარეკომენდაციო სისტემა საჯარო დაწესებულებებისათვის http://csb.gov.ge/uploads/shefasebis_sistema.pdf


## Evaluation system of the public officials' work in Georgia


***Nodar Tatvidze, PhD student***
***Georgian Technical University***



**Summary**

Evaluation system of the public officials' work is one of the important processes for the development of career and increased motivation of public officials. The article analysis the mistakes, that turned out in the evaluation system for the public services in Georgia. The paper also discusses the importance of the evaluation system in public services and what kind of evaluation system model is used in Georgian public sectors. The method represents the expression of human knowledge, experience and skills that effects on the results of their work. The above mentioned issue is as much important as organizing financial resources and organization's activities. It is because the efficient or inefficient work directly influences the achieved results of organization. The evaluation takes place one in a year for every personnel.



**Keywords:** Public servant, job evaluation system, public service, introduction, Ministries of Georgia.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს როლი სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზაციაში და მისი მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები**

*იაშვილი გენადი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*გრიგალაშვილი ვეფხვია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს როლი სახელმწიფო თავდაცვის მართვის სისტემაში, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები.

გამოვლენილია, რომ: თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის მართვის კორპორაციული მართვის სუბიექტს, რომელიც მთავრობის უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას და თავდაცვის პოლიტიკის წარმართვას; თავდაცვის სამინისტროს დანიშნულებაა თავდაცვის ძალების აღმშენებლობა, მისი მუდმივი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა, ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, ქვეყნის დამოუკიდებლობის ნებისმიერი ხელყოფისა და შესაძლო აგრესიის მოგერიება; თავდაცვის სამინისტროს მართვის მეთოდოლოგიური მიდგომების თეორიულ საფუძველს ქმნის და განაპირობებს სამოქალაქო - სამხედრო ურთიერთობის კონცეფცია, რომლის მთავარი პრინციპია სამხედრო მმართველობის სამოქალაქო (პოლიტიკურ) მმართველობაზე დაქვემდებარება და სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის განხორ-ციელება თავდაცვის ძალებზე.

სტატიის დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია მართვის დინამიკური მოდელის შექმნის საჭიროებაზე, რომელსაც შეეძლება მოქნილი რეაგირება ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკით ანდა საბრძოლო მზადყოფნის სრულყოფით განპირობებული თავდაცვის ძალების სტრუქტურის განვითარებისა და ტრანსფორმირების განუწყვეტელ პროცესებზე.

საკვანძო სიტყვები: თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტროს მართვა, თავდაცვის რესურსების მართვა, თავდაცვის ძალების მართვა, მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები

**ძირითადი ტექსტი**

ქვეყნის სტაბილური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას ეროვნული უსაფრთხოება ქმნის, რომლის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილი და ფუნქცია არის სახელმწიფო თავდაცვა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, მოსახლეობის, ტერიტორიის და სუვერენიტეტის დაცვას შეიარაღებული თავდასხმისაგან.

სახელმწიფო თავდაცვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, სოციალურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობაა და მისი ორგანიზაცია, განსაკუთრებით ტოტალური თავდაცვის მიდგომის პირობებში, კომპლექსურად მოიცავს სამხედრო/ ომის საფრთხის პროგნოზირებას, შეფასებას; თავდაცვის ღონისძიებათა დაგეგმვას და განხორციელებას; თავდაცვის ძალების აღმშე-ნებლობას, მომზადებას და საბრძოლო მზადყოფნას; ქვეყნის ეკონომიკის, სახელმწიფო ხელისუფ-ლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის სამობილიზაციო მზადყოფნას; სამობილიზაციო მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შექმნას; ტერიტორიებისა და კომუნიკაციების თავდაცვითი მიზნებისათვის მომზადებას; სამხედრო მეცნიერების განვითარებას; სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობას და ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფასთან პირდაპირ, თუ ირიბად დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს.

სახელმწიფო თავდაცვის მულტისეგმენტური ხასიათიდან და სირთულიდან გამომდინარე, მისი

მართვა სახელმწიფოს კორპორაციული მმართველობის პრინციპს ეფუძნება, რაც ხელისუფლების დანაწილების პირობებში ნაწილდება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შორის:

▪ საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, განიხილავს თავდაცვის ბიუჯეტს და ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად, მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს თავდაცვის ძალების რაოდენობას; იღებს თავდაცვის სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს და ახდენს სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას; ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს თავდაცვის სფეროში;

▪ საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არის თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და ახორციელებს კონსტიტუციით თავდაცვის განსაზღვრულ კონკრეტულ უფლებამოსილებას: შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, კონსტიტუციისა და „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად; მთავრობის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე; მთავრობის წარდგინებით თანამდე-ბობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თავდაცვის ძალების მეთაურს, რომელიც პასუხისმგებელია პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და თავდაცვის მინისტრის წინაშე;

▪ საქართველოს მთავრობა, რომლის კონსტიტუციური დანიშნულება ქვეყნის (მათ შორის, თავდაცვის სფეროში) პოლიტიკის განხორციელებაში მდგომარებს: იღებს ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს;საომარი მდგომარეობის ან/და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში აცხადებს მობილიზაციას; თავდაცვის ძალებს უზრუნველყოფს ფინანსური საშუალებებით, საბრძოლო ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით; უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, დაწესებულებების კოორდინირებულ მოქმედებას მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის სფეროში; ამტკიცებს საფრთხეების შეფასების დოკუმენტს, ეროვნული თავდაცვის სტრატეგიას, საქართველოს ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმას, თავდაცვის ძალების სამობილიზაციო გეგმას და იღებს სამართლებრივ აქტებს მობილიზაციის სფეროში; საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტს; ახორციელებს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით თავდაცვის სფეროში მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

სახელმწიფო თავდაცვის მართვის სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, როგორც მთავრობის უფლებამოსილების სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის პოლიტიკის განმახორციელებლი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება (რომლის მეშვეობითაც ახორციელებს მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას). თუმცა, მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ თავდაცვის პოლიტიკა არ აღსრულდება ექსკლუზიურად მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს მიერ, არამედ თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს ამ პროცესის კორპორაციულ მონაწილეს მისთვის განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების ფარგლებში.

თავდაცვის სამინისტროს ძირითადი ფუნქციური დანიშნულება თავდაცვის ძალების სახელმწიფო მართვაში, თავდაცვის ძალებზე სამოქალაქო-დემოკრატიული კონტროლის, აგრეთვე თავდაცვის პოლიტიკის სხვა მიმართულებების განხორციელებაში გამოიხატება, ხოლო მის ინსტიტუციურ ამოცანებს წარმოადგენს თავდაცვის ძალების აღმშენებლობა, მისი მუდმივი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა, ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, ქვეყნის დამოუკიდებლობის ნებისმიერი ხელყოფისა და შესაძლო აგრესიის მოგერიება.

საყურადღებოა, რომ თავდაცვის სამინისტროს ორგანიზაციული სივრცე აერთიანებს ორი განსხვავებული პროფესიული კულტურის / ღირებულებების მქონე - სამხედრო მოსამსახურეების მრავალათასიან სოციუმს - თავდაცვის ძალებს, როგორც სამხედრო ორგანიზაციულ კომპონენტს და თავდაცვის მინისტრის მიერ თავდაცვის ძალებზე სამოქალაქო-დემოკრატიული კონტროლის განხორციელების სამოქალაქო ინსტრუმენტს - სამოქალაქო ოფისს მასში დასაქმებული ასეულობით სამოქალაქო საჯარო მოსამსახურესთან ერთად.

ნიშანდობლივია, რომ თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციურ განვითარებაში არაერთი წარმატება იქნა მიღწეული, თუმცა, თვისობრივი ხასიათის მმართველობითი კრიზისები კვლავაც რჩება მისი მართვის არსებული მოდელის მახასიათებლებად.

თავდაცვის სამინისტროს მართვის თეორიულ საფუძველს ქმნის სამოქალქო-სამხედრო ურთიერთობის კონცეფცია, რომლის სოციოლოგიური ხასიათი გულისხმობს, საზოგადოების და ამ საზოგადოებაში მცხოვრები სამხედროების, როგორც პროფესიული სოციუმის, ურთიერთდამოკიდებულებას, ხოლო სახელმწიფო მმართველობის კონტექსტში ეს არის ურთიერთდამოკიდებულება (სამხედრო მმართველობის პოლიტიკურ მმართველობაზე დაქვემდებარება) ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნით შექმნილ ინსტიტუციას და უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფლებას შორის, რომლისთვისაც ეს ძალები ასრულებს პოლიტიკური მიზნის - ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიღწევის სამხედრო ინსტრუმენტის როლს.

საქართველოს თავდაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, თავდაცვის მინისტრი სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვასა და წარმართვას, აგრეთვე თავდაცვის ძალების დემოკრატიულ კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სამოქალაქო ოფისის მეშვეობით, რომლის ფუნქციებში შედის სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა; საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლებისა და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ თავდაცვის სფეროში მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფა და სხვა.

თუ სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის ფორმულირების, აგრეთვე ეროვნულ დონეზე მისი დაგეგმვის პროცესის ანალიზს განვახორციელებთ, გარდა ამისა მხედველობაში მივიღებთ, რომ ეროვნულ დონეზე სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკა მატერიალიზდება პარლამენტის ანდა მთვარობის მიერ მიღებულ/გამოცემულ აქტებში, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებში, აღმოვაჩენთ, რომ ეროვნულ დონეზე სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს პროცესის უმნიშვნელოვანეს, მაგრამ არა ერთადერთ კონტრიბუტორ სუბიექტს. თუმცა, აღსანიშნავია მისი მაკოორდინირებელი ფუნქცია თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის ეროვნული დონის დოკუმენტების შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში. უწყებრივ დონეზე კი თავდაცვის სამინისტრო გვევლინება, როგორც საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრა-ტეგიის აღმასრულებლი ერთ-ერთი სუბიექტი და, იმავდროულად, სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდი-ნირებელი დაწესებულება. ამასთან, ნიშანდობლივია აქვე აღინიშნოს, მიუხედავად უწყებრივ დონეზე თავდაცვის სამინისტროსთვის მაკოორდინირებელი ფუნქციის მინიჭებისა, რეალურად უწყება აღჭურვლი არ არის ამ ფუნქციის რეალიზებისათვის საკმარისი უფლებამოსილებით.

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობს და მართავს თავდაცვის მინისტრი - სამოქალაქო პირი, რომლის უფლებამოსილებაში შედის თავდაცვის ძალების საერთო ხელმძღვანელობა. თუმცა, საქართველოს თავდაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, თავდაცვის ძალების სამხედრო მართვას ახორციელებს თავდაცვის ძალების მეთაური.

უფლებამოსილებათა ამგვარი განაწილების პირობებში, ბუნებრივია, ლოგიკურად შეიძლება დაისვას კითხვა: თუ რას მოიცავს თავდაცვის ძალების საერთო ხელმძღვანელობა და სამხედრო მართვა? სად გადის ზღვარი თავდაცვის ძალების სამხედრო მართვასა და, პირობითად, სამოქალაქო მართვას შორის?

სამხედრო მართვის განმარტებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს, თუმცა, მისი არსის გარკვევაში მნიშვნელოვან სიცხადეს შემომტანია თავდაცვის სამინისტროში შემუშავე-

ბული საქართველოს კანონის თავდაცვის კოდექსის პროექტი, აგრეთვე ლიეტუვას ეროვნული თავდაცვის ორგანიზაციისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონი, რომელთა დებულებების ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ სამხედრო მართვის სტრატეგიული დონის მიზანი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევაში მდგომარეობს; ოპერატიული მართვის დონე უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების სამხედრო მზადყოფნისა და სამხედრო ამოცანათა შესრულების სამოქმედო გეგმების შემუშავებას, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას, აღსრულებასა და მონიტორინგს, აგრეთვე განსაზღვრავს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების განვითარების საჭიროებებს; ტაქტიკური დონის ინსტიტუციური მიზანი ოპერატიულ დონეზე იდენტიფიცირებული ტაქტიკური ამოცანების შესრულებაში გამოიხატება.

საქართველოს თავდაცვის შესახებ საქართველოს კანონითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულებით განსაზღვრულ თავდაცვის ძალების მეთაურის უფლებამოსილებათა ანალიზით ირკვევა, რომ თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ-ორგანიზაციულ სივრცეში, თავდაცვის ძალების მეთაური არის სამხედრო მმართველობის რგოლის რიგით პირველი სამხედრო სუბიექტი, რომელიც: თავდაცვის ძალების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, სამოქალაქო ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ საბრძოლო და არასაბრძოლო ამოცანას გარდაქმნის სამხედრო დავალებად (კომანდად) და აღასრულებს სამოქალაქო ხელისუფლების მიერ დადგენილი წესის / თავდაცვის პოლიტიკის გეგმის შესაბამისად; ამტკიცებს თავდაცვის ძალების სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებს; თავდაცვის ძალების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, წყვეტს ადამიანური და სხვა რესურსების მართვის (გამოყენების) საკითხებს, სამოქალაქო ხელისუფლების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად; სამხედრო რჩევას აძლევს თავდაცვის მინისტრს.

თავდაცვის ძალების საერთო ხელმძღვანელობის ნორმატიული განმარტებასაც არ იცნობს მოქმედი კანონმდებლობა, თუმცა, მის კონცეპტუალურ არსში კომპლექსურად ერთიანდება: საჯარო-პოლიტიკური მართვის ('governance') კომპონენტები: თავდაცვის პოლიტიკის შემუშა-ვება - დაგეგმვა; აგრეთვე სტრატეგიული მენეჯმენტი (თავდაცვის ძალებში შემავალი სტრუქტუ-რული ქვედანაყოფების სტრუქტურის დეტალიზაცია; თავდაცვის რესურსების მართვა; მარეგულირებლის და კონტროლის ფუნქცია); ადმინისტრაციული მართვის ("management" / „administration") ელემენტები, გარდა თავდაცვის ძალების სამხედრო მართვის კომპონენტებისა.

შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო-დემოკრატიული კონტროლის კონცეფციის რეალიზებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კონტროლის / ზედამხედველობის უფლებამოსი-ლების ფარგლები, რომლითაც კანონმდებელი აღჭურავს თავდაცვის მინისტრს ანდა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო კომპონეტის შესაბამის ქვედანაყოფს. ამ მიმართულებით განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ:

▪ თავდაცვის მინისტრი სარგებლობს სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორ-ციელების უფლებამოსილებით, რაც მას აღჭურავს ლეგიტიმური უფლებით განახორციელოს ზედამხედველობა კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ზედამხედველობის მოტივით;

▪ საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინიგის უფლებამოსილებით თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის არცერთი მაკონტროლებელი ქვედანაყოფი არ არის აღჭურ-ვილი, მიუხედავად იმიასა, რომ საქართველოს თავდაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ერთ-ერთი კანონისმიერი ფუნქციაა სამინისტროს სისტემის შიდა კონტროლის განხორციელება. თავდაცვის სამინისტროს დებულების მიხედვით, შიდა კონტროლის განმახორციელებელ სამოქალაქო ოფისში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ გენერალური ინსპექცია და შიდა აუდიტის დეპარტამენტი. თუმცა, მათი დებულებების ანალიზით გამოირკვა, რომ თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება მათ უფლებამოსილებათა რიცხვიში არ შედის, არამედ ეს უკანასკნელი თავდაცვის ძალების შემავალი გენერალური შტაბის საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგის სამმართველოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, რაც ერთგვარ წინააღმდეგობაშია შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო-დემოკრატი-

ული კონტროლის არსთან.

თავდაცვის რესურსების მართვის თვალსაზრისით, მართვის მეთოდოლოგიური მიდგომები დიფერენცირებულია სამართავი რესურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა, ამ მიდგომების განზოგადებით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ მართვის განზოგადებული ფორმულა - თავდაცვის ძალები განსაზღვრავს საჭიროებას, თავადცვის მინისტრი / თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო კომპონენტი - რესურსების მართვის პოლიტიკასა და რეგულაციებს. რაც შეეხება მათ ადმინისტრირებას - ადმინისტრირებაში ჩაზმულია სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის ორივე (სამოქალაქო და სამხედრო) კომპონენტი კომპეტენციათა გამიჯვნის პრინციპის შესაბამისად, რასაც საბოლოოდ მაინც მივყავართ სამოქალაქო და სამხედრო მართვას შორის (განსაკუთრებით ადმინისტრირების სეგმენტში) კომპეტენციათა კმაფიოდ გამიჯვნის საჭიროებამდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამოქალაქო მმართველობის გადაჭარბებული ჩართულობა სამხედრო მართვაში ანდა სამხედრო მმართველის პასუხისმგებლობის ხარისხის შემცირება.

თავდაცვის ძალების ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ძირითადი მიზანი ქვეყნის უსაფრთხოების მოთხოვნებთან თავსებადი თავდაცვის ძალების სტრუქტურის მიღწევაში მდგომარეობას, რაც თავდაცვის სამინისტროს ერთგვარი გამოწვევის წინაშე აყენებს: თავდაცვის ძალების პერსონალის მართვისას, შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში, უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას სამხედრო ორგანიზაციის კადრებით უზრუნველყოფასა და მასზე მოთხოვნას შორის, აგრეთვე მართვის პროცესში მიღწეულ იქნეს სამხედრო პერსონალისა და შესაძლებლობების ჰარმონიზაცია თავდაცვის მოთხოვნებთან, რაც, თავის მხრივ, სახელდება თავდაცვის ძალების ოპტიმალური სტრუქტურის მხარდაჭერის აუცილებელ პირობად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თავდაცვის ძალების ადამიანური რესურსების მართვის სისტემა წარმოადგენს: თავდაცვის ძალების მოთხოვნის განსაზღვრისა (სტრატეგიული მენეჯმენტი, როგორც თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის კომპონენტი) და ამ მოთხოვნების ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის (ფუნქციონალური მენეჯმენტი) მოდულების კომბინაციას.

თავდაცვის ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს, თუმცა, იგი არ არის საკმარისი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებების ანდა თავდაცვის ძალების ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამიტომაც, თავდაცვის სფეროში რესუსრების გამოყენება ეფექტიანობისა და ეფექტურობის მაღალ ხარისხს მოითხოვს, ხოლო სახელმწიფო შესყიდვები, ორიენტირებულია არა მარტო თავდაცვის ძალების შესაბამისი შესყიდვის ობიექტით პრიორი-ტეტულ (რომლის მიზანი, თავის მხრივ, ეფექტურობაში მდგომარეობს - შესყიდული ობიექტი მოემსახუროს არამარტო მიმდინარე მზადყოფნისა და პროგნოზირებადი მომავლის საჭი-როებებს, არამედ მომავ-ლის შესაძლებლობების შექმნას) უზრუნველყოფაზე, არამედ თავდაცვის ბიუჯეტის გონივრულად და მიზნობრივად გამოყენებაზე - ფასისა და ხარისხის ოპტიმალური შეხამება თავდაცვის რესურსების ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით. შესაბამისად, თავდაცვის სფეროში წლიური სახელმწიფო შესყიდვები თავდაცვის პოლიტიკისა და მისი საბიუჯეტო უზრუნველყოფის მოცემულების გათვალისწინებით წარიმართება.

**დასკვნა - თავდაცვის სამინისტროს** მართვის სირთულეს განაპირობებს მის ორგანიზაციაში სამოქალაქო-სამხედრო კომპონენტების ინტეგრირებული თანაარსებობა, აგრეთვე ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკით ანდა საბრძოლო მზადყოფნის სრულყოფით განპირობებული თავდაცვის ძალების სტრუქტურის განვითარებისა და ტრასფორმირების განუწყვეტელი პროცესი. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მართვის მოქნილი მოდელის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების პერსონალისა და მატერიალური რესურსების დინამიკურ მართვას - მართვის სისტემას უნდა ახასიათებდეს მოქნილობის მექანიზმი, რომელიც შეამსუბუქებს ამგვარი და სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორების ეფექტს. გარდა ამისა, თავდაცვის ძალების მართვაში მმართველობითი ბალანსის მისაღწევად, მნიშვნელოვანია მართვის პროცესების სტანდარტიზაცია, აგრეთვე სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის ინსტიტუციური და, იმავდროულად, შეძლებისდაგვარად დეტალურად გამიჯვნა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს თავდაცვის შესახებ საქართველოს კანონი (27.03.2019 წლის მდგომარეობით)
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილება (27.03.2019 წლის მდგომარეობით)
3. დოღონაძე შ., სახელმწიფო მართვის თეორიის საკითხები, ცის ნამი, თბილისი, 2007
4. დოღონაძე შ., ბაღათურია ო., სახელმწიფო მართვის თანამედროვე პრობლემები, ცის ნამი, თბილისი, 2009
5. დოღონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - „ელექტრონული მთავრობა“ , ცის ნამი, თბილისი, 2013
6. დოღონაძე შ., ადმინისტრაციული მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, ცის ნამი, 2009
7. ბესარიონ შანშიაშვილი, ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მართვის მეცნიერული საფუძვლები, სტუ, თბილისი, 2006
8. გიორგი ხუბუა გ., კარლ-პეტერ ზომერმანი კ.,(რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო, თბილისი, 2016
9. Bucur-Marku H., Fluri P., Tagarev T., (Eds.), Defence Management: An Introduction, Procon LtD, Geneva, 2009
10. Ratchev V., Civilianisation of the Defence Ministry. A functional Approach to Modern Defence Institution, Geneva, 2013
11. Soeters, J., van Fenema p., Beeres R., (Eds.), Managing Military Organizations. Theory and Practice, London -New York, 2010
12. McConville T., Holmes R., Defence Management in Uncertain Times, London, 2000
13. Herbert S., Management in the Armed Forces, Budapest, 2010
14. Laura R. Cleary (Editor), Teri McConville (Editor), Managing Defence in a Democracy, Routledge Taylor & Francis Group, London and New Yourk, 2006
15. David Chuter, Governing & managing Defence Sector, Institute for Security Studies, Pretoria, 2011

## Role of the Ministry of Defence of Georgia within State Defence Organisation and Theoretical-methodological Approaches for Conducting a Management of the Ministry of Defence

***Genadi Iashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Vephkvia Grigalashvili, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

Abstract - The present article deals with the role of the Ministry of Defense (MoD) in the state defence (SDM) management system as well as the theoretical-methodological approaches of its management.

It is revealed that the MoD is the corporate management authority of the SDM, which carries out state governance and defence policy within the framework of the Gvernment; The purpose of the MoD is to develop the Defense Forces, ensure its constant combat and mobilization readiness, strengthen the fighting efficiency, provide repulsion of any attempt on country's independence and possible aggression; The theoretical basis for the management of the MoD is designed by civil-military relations concept, the main principle of which is to carry out the civil democratic control over defense forces.

The final part of the article emphasizes the need for establishing a dynamic model of management, standardization of management processes, and a clear separation of civil and military governance.

# მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის მეთოდები სახელმწიფო სამსახურში

*იაშვილი გენადი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*წვერავა ზაზა*
*საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი*

**აბსტრაქტი**

გადაწყვეტილების ოპტიმიზაცია - ეს არის შედეგზე მოქმედი ფაქტორთა სიმრავლის განხილვის პროცესი. მისი გამოყენება მიზანშეწონილია სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტის დროს. თანამედროვე სახელმწიფო სამსახურში მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისას, მიზანშეწონილია კრიტიკულად განვიხილოთ გადაწყვეტილების მიღების ზოგადი მეთოდოლოგია და გათვალისწინებულ იქნას ზოგადი წესებიდან გამონაკლისის დაშვება. მნიშვნელოვანია პრობლემის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას დავეყრდნოთ მთავარ პრინციპებს, მისაღები გადაწყვეტილების ხელმეორედ გააზრებას, სადაც უნდა განისაზღვროს თუ რაზე იმოქმედებს მიღებული გადაწყვეტილება, როგორია მისი მიზნები და რატომ არის აუცილებელი არსებული რეალური მდგომარეობის შეცვლა; ასევე გასათვალისწინებელია გადაწყვეტილების სისწრაფე და მნიშვნელობა, საკუთარი მუშაობის პირობები და ურთიერთობა სხვა თანამშრომლებთან.

მოცემულ სტატიაში განხილულია მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის მეთოდები სახელმწიფო სამსახურში.

საკვანძო სიტყვები: მმართველობითი გადაწყვეტილება; სახელმწიფო სამსახური; ოპტიმიზაცია; მოდელის აგება.

**ძირითადი ტექსტი**

თანამედროვე სახელმწიფო სამსახურში მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისას, მიზანშეწონილია კრიტიკულად განვიხილოთ გადაწყვეტილების მიღების ზოგადი მეთოდოლოგია და გათვალისწინებულ იქნას ზოგადი წესებიდან გამონაკლისის დაშვება. მნიშვნელოვანია პრობლემის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას დავეყრდნოთ მთავარ პრინციპებს, მისაღები გადაწყვეტილების ხელმეორედ გააზრებას, სადაც უნდა განისაზღვროს:

1) რაზე იმოქმედებს მიღებული გადაწყვეტილება, როგორია მისი მიზნები და რატომ არის აუცილებელი არსებული რეალური მდგომარეობის შეცვლა;
2) როგორია თავისუფლების ხარისხი;
3) გადაწყვეტილების სისწრაფე და მნიშვნელობა, საკუთარი მუშაობის პირობები და ურთი-ერთობა სხვა თანამშრომლებთან;
4) გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული რისკი (შესაძლო სარგებელი და ზარალი, არასასურველი შედეგი). [1]

საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ ხელმძღვანელი იღებს, განსჯის პროცედურისაგან დამოუკიდებლად.

გადაწყვეტილების ოპტიმიზაცია - ეს არის შედეგზე მომქმედი ფაქტორთა სიმრავლის განხილვის პროცესი. ოპტიმალური გადაწყვეტილება - ოპტიმიზაციის რომელიმე კრიტერიუმის მიხედვით ალტერნატივთა სიმრავლიდან ეფექტიანი არჩევანია.

რადგან ოპტიმიზაციის პროცესი ძვირადღირებული პროცესია, ამიტომ მისი გამოყენება მიზანშეწონილია სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტის დროს. ოპერატიული ამოცანები როგორც წესი უნდა გადაიწყვიტოს მარტივი, ევრისტიკული მეთოდების გამოყენებით. ოპტიმიზაციის მეთოდები:

- ანალიზი;
- პროგნოზირება;

- მოდელირება.

მოდელი - სისტემის ობიექტის ან იდეის ერთიანობისაგან განსხვავებული ფორმით, კონკრეტული მმართველობითი სიტუაციის გამარტივებულად წარმოდგენაა. სხვა სიტყვებით, მოდელებით გამოისახება რეალური მოვლენები, ვითარებები და ა.შ. აუცილებელია აღიწეროს მოდელების სამი საბაზისო ტიპი: [2]

1. ფიზიკური მოდელი (იკვლევა ობიექტის ან სისტემის გადიდებული ან შემცირებული ფიზიკური მოდელი. ასეთი მოდელი ამარტივებს ვიზუალურად აღქმას და შეიძლება ასევე გადაწყდეს ამასთან დაკავშირებული პრობლემები.
2. ანალოგიური მოდელი (საკვლევი ანალოგი რეალური ობიექტის ანალოგი უნდა იყოს. მაგ. ანალოგიური მოდელი - ორგანიზაციული სქემა. მისი აგებით ხელმძღვნელობას შეუძლია წარმოიდგინოს ინდივიდებსა და მოღვაწეობას შორის ბრძანებების მსვლელობის ჯაჭვი. ასეთი ანალოგიური მოდელის შექმნა აშკარად მარტივი და ეფექტიანი მეთოდია დიდი ორგანიზაციის სტრუქტურის რთული ურთიერთკავშირის აღქმისა და გამოვლენისათვის).
3. მათემატიკური მოდელი (ამ მოდელში, რომელსაც სიმბოლურიც ეწოდება, სიმბოლოებით აღიწერება ობიექტისა და მოვლენების თვისებები ან მახასიათებლები).

აღსანიშნავია, რომ მოდელის აგება არის პროცესი, ხოლო ამ პროცესის ძირითადი ეტაპებია: ამოცანის დასმა, მოდელის აგება, მოდელის სანდოობის შემოწმება, მოდელის გამოყენება და განახლება. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ამოცანის დასმა. მმართველობითი პრობლემის გადაწყვეტისათვის ამოცანის სწორად დასმა მოდელის აგების პირველი და უმნიშვნელოვანესი ეტაპია, კომპიუტერის სწორედ გამოყენება ვერ მოგვეხმარება, თუ არ მოხდა თვითონ პრობლემის ზუსტი დიაგნოსტირება. ამოცანის სწორედ განსაზღვრა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი გადაწყვეტა. ამოცანის მისაღები და ოპტიმალური გადაწყვეტილების მოძებნისათვის უპირველეს ყოვლის საჭიროა ამოცანის არსის ცოდნა. [3]

მოდელის სანდოობის შემოწმება. მოდელის აგების შემდეგ მოწმდება სანდოობა. შემოწმების ერთ–ერთი ასპექტი მისი რეალობასთან შესაბამისობაში გამოიხატება. მართვის მეცნიერების სპეციალისტმა უნდა დაადგინოს - გათვალისწინებულია თუ არა რეალური სიტუაციის ყველა არსებითი ელემენტი მოდელში. რამდენადაც მოდელი მეტად არის რეალობასთან ახლოს, იმდენად დიდია სწორი დაგაწყვეტილების მიღების ალბათობა.

მოდელის გამოყენება. სანდოობის შემოწმების შემდეგ მოდელი მზად არის გამოყენებისათვის. მაგრამ მართვის არც ერთი მოდელი ითვლება წარმატებით შესრულებულად, ვიდრე პრაქტიკულად არ იქნება გამოყენებული.

მოდელის განახლება. მოდელი, რომლის გამოყენებაც წარმატებით განხორციელდა, აუცილებელ განახლებას მოითხოვს. ხელმძღვანელობამ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მონაცემების ფორმა არ არის ცხადი ან სასურველი იქნებოდა დამატებითი მონაცემების ფლობა. თუ ორგანიზაციის მიზნები იმგვარად იცვლება, რომ იგი გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე, აუცილებელია მოდელის შესაბამისად მოდიფიცირება. ანალოგიურად, გარე გარემოს ცვლილებებმა მაგალითად, ახალი მომხმარებლების, მიმწოდებლების ან ტექნოლოგიების გამოჩენამ შესაძლოა გააუფასუროს შემავალი ინფორმაცია, რომელსაც ეყრდნობოდა მოდელი. მოდელის ეფექტიანობა შეიძლება შემცირდეს რიგი პოტენციური დეფექტების მოქმედებით:

- არასანდო საწყისი დაშვებები (ნებისმიერი მოდელი ეყრდნობა საწყის ინფორმაციას და წინაპირობას, რომლიც შეიძლება ობიექტურად შემოწმდეს და გათვალისწინებულ იქნას. ზოგიერთი წინაპირობა ვერ ფასდება და ობიექტურად ვერ მოწმდება. სავარაუდოდ არავინ იცის მოხდება იგი სინამდვილეში თუ არა. ამიტომ შედეგების სიზუსტე წინაპირობების სიზუსტეზეა დამოკიდებული. მოდელი ვერ გამოდგება მარაგის პროგნოზირებისათვის, თუ ზუსტად არ მოხდა განსაზღვრულ პერიოდში პროგნოზირება.)
- ინფორმაციული შეზღუდვა (წინაპირობებისა და სხვა სიძნელეების არასანდოობის ძირითადი მიზეზი - საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობის შეზღუდულობა, რაც მოქმედებს

როგორც მოდელის აგებაზე და მის გამოყენებაზე. მოდელის სიზუსტე პრობლემაზე არსებულ ზუსტ ინფორმაციას ეფუძნება. მოდელის აგება ძნელია განუსაზღვრელობის პირობებში, როდესაც აუცილებელი ინფორმაცია იმდენად განუსაზღვრელია, რომ ძნელია მისი მიღება ობიექტურობის კრიტერიუმიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი შესაძლებე-ლია დაეყრდნოს საკუთარ გამოცდილებას, ინტუიციას და კონსულტანტების დახმარებას.)

- მომხმარებლების შიში (მოდელი არ ჩაითვლება ეფექტიანად, თუ არ განხორციელდა მისი გამოყენება. ძირითად მიზეზი მისი არ გამოყენების იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ იგებენ მოდელის დახმარებით მიღებულ შედეგებს და ეშინიათ მისი გამოყენების).
- პრაქტიკაში სუსტად გამოყენება (რიგი გამოკვლევების თანახმად მართვის მეცნიერების ფარგლებში მოდელირების მეთოდების დონე ჭარბობს მოდელის გამოყენების დონეს. ამის ერთერთი მიზეზია შიში. არსებობს სხვა მიზეზებიც - არასაკმარისი ცოდნა და წინააღმდეგობა ცვლილებებისადმი. ამისათვის კი აუცილებელია, რომ მოდელის აგების სტადიაზე სპეციალისტებმა მოიზიდონ ის ადამიანები, ვინც უნდა უშუალოდ იმუშაონ მოდელთან).
- გადაჭარბებული ღირებულება (მოდელის გამოყენებით მიღებულმა სარგებელმა უნდა გადააჭარბოს მასზე დახარჯულ ღირებულებას. ხარჯების დადგენის დროს ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს მოდელის აგებაზე მაღალი და დაბალი ხელმძღვანელობის დროის დანახარჯი, დროის დანახარჯი ინფორმაციის შეგროვებაზე, ხარჯები და დრო სწავლებაზე, ასევე ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის ღირებულება) [4]

იმიტირებული მოდელირება. ზოგადად ყველა მოდელი იმიტაციის გამოყენებას გულისხმობს ფართო გაგებით, რადგან ისინი რეალობის შემცვლელები არიან. როგორც მოდელირების მეთოდი, იმიტაცია კონკრეტულად მოდელის შექმნის პროცესია და იგი ექსპერიმენტულად რეალურ სიტუაციაში მიმდინარე ცვლილებების განსაზღვრისათვის გამოიყენება. იმიტაციის მთავარი დანიშნულება რაიმე მოწყობილობის რეალური სისტემის იმიტირებისათვის გამოყენებას ნიშნავს, იმისათვის, რომ გამოიკვლიოს სისტემის თვისებები, ქცევა და მახასიათებლები. იმიტაცია რეალური სისტემის მოდელით გამოხატვის კარგი პრაქტიკული მეთოდია. რეალურ ან პროტოტიპულ სისტემებზე ჩატარებული ექსპერიმენტები ძვირი და ხანგრძლივი პროცესია, რელევანტური ცვლადები კი ყოველთვის არ ექვემდებარებიან რეგულირებას. სისტემის მოდელებზე დაკვირვებით შეიძლება დადგინდეს რა რეაგირება ექნება სისტემას ცვლილებებზე ან მოვლენებზე, მაშინ როდესაც არ არსებობს რეალობაში სისტემაზე დაკვირვების შესაძლებლობა. თუ იმიტაციური მოდელის გამოყენებით ექსპერიმენტის შედეგები აჩვენებენ, რომ მოდიფიკაციას გაუმჯობესებისაკენ მივყავართ, მაშინ ხელმძღვანელს მეტი თავდაჯერებულობით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რეალურ სისტემაში ცვლილებების განხორციელებაზე. [5]

ეკონომიკური ანალიზი. თითქმის ყველა ხელმძღვანელი იმიტაციას მოდელირებად თვლის. მაგრამ ეკონომიკური ანალიზი ფართოდ გავრცელებული მეთოდია, ესეც თავისთავად მოდელის აგების ერთერთი ფორმაა. ეკონომიკური ანალიზი მოიცავს ხარჯების და ეკონომიკური სარგებლის შეფასების თითქმის ყველა მეთოდს. ტიპური ეკონომიკური მოდელი ეფუძნება არაწამგებიანობის ანალიზს, გადაწყვეტილების მიღებას საწარმოს მომგებიანობის თვალსაზრისით. მოდელირებაში არსებობს რიგი მეთოდებისა, რომელთა დახმარებით ხელმძღვანელს შეუძლია მოძებნოს ობიექტურად დასაბუთებული გადაწყვეტილება, რამოდენიმე ალტერნატივიდან შეარჩიოს ის, რომელიც დაეხმარება დასახული მიზნის მიღწევას.

გარდა ამისა, ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს რელევანტური მოვლენების ალბათობის ობიექტური შეფასებისა და ასეთი ალბათობისაგან მოსალოდნელი მნიშვნელობის დაანგარიშების შესაძლებლობა.

**დასკვნა**

წარმოდგენილ სტატიაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სამსახურში ხელმძღვანელი

რგოლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანასა და მიზანს ეფექტიანი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს. ამგვარი სახის გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა მოხდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტმიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს და მნიშვნელოვნად განაპირობებს, სხვადასხვა ქვედანაყოფებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულ მოხელეების შორის ინფორმაციების სისტემატურად და ოპერატიულად გაცვლას. ხაზგასმულია, რომ აუცილებელია აღიწეროს მოდელების სამი საბაზისო ტიპი. კერძოდ: ფიზიკური მოდელი, ანალოგიური მოდელი და მათემატიკური მოდელი. მოდელის აგება არის პროცესი, ხოლო ამ პროცესის ძირითადი ეტაპებია: ამოცანის დასმა, მოდელის აგება, მოდელის სანდოობის შემოწმება, მოდელის გამოყენება და განახლება.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. შ. დოღონაძე, გ. იაშვილი – „საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - ელექტრონული მთავრობა“, „ცის ნამი“, თბილისი, 2013.
2. ზ.წვერავა – „კრიზისულ სიტუაციებში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დანერგვისა და განხორციელების მექანიზმები“. დისერტაცია. სტუ. თბილისი. 2018.
3. Нечитайлов, Ю.В. - "Совершенствование инновационного механизма принятия управленческих решений на государствен-ной службе".Москва, 2009.
4. Москаленко О.В. – „Развитие профессионального самосознания государственных служащих: Учсбно-методичсское пособие“. - М.: Изд-во РАГС, 2004. - 37 с.
5. Медведев М.А. – „Логико-методологический анализ основных понятий теории управления“. - Пермь, 2006


## Methods for optimizing management decisions in public service


***Genadi Iashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Tsverava Zaza***
***Academic Doctor of Public Administration***



**Summary**

Decision optimization - This is the process of reviewing the factors affecting the result. It is advisable to use strategic and tactical solutions. In solving important issues in the modern state service, it is preferable to review the general methodology of decision making and to allow exceptions from general rules. It is important to rely on the principle principles of the problem, reassessing the acceptable decision, where the decision is made, what are its goals and why it is necessary to change the existing real situation; The speed and importance of the decision should also be taken into consideration, and the working conditions and relationships with other employees.

This article discusses the methods of optimizing the management decisions in public service.



Keywords: Management decision; Piblic Service; Optimization; Build a model.

# მმართველობითი ანომალიები უმაღლესი თანამდებობის საჯარო მოხელეების მხრიდან

*იაშვილი გენადი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ბრეგაძე ნანა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბება, მსგავსად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა, შეიძლება რომ ჩადენილი იქნას საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული მოხელის მიერ. აღნიშნული სახეზეა მაშინ, როდესაც საჯარო მოხელის მოქმედება მნიშვნელოვნად სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება უმაღლესი თანამდებობის საჯარო მოხელეების მხრიდან შეიძლება რომ ჩადენილი იყოს საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. მოხელე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც მის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციაში. საჯარო მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება სახაზინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში.

სახელმწიფო სამსახურში მმართველობით ანომალიებს განეკუთვნებიან: ბიუროკრატიზმი, კორუფცია, ინფორმაციული ჩაკეტილობა, ხელისუფლების გაუცხოება, კარიერიზმი და ა.შ. რაც თავისთავად ხელს უშლის სახელმწიფო სამსახურის ნორმალურ ფუნქციონირებას, და მის წინ მდგომი რთული ამოცანების გადაჭრას.

მოცემულ სტატიაში განხილულია მმართველობითი ანომალიების საკითხები უმაღლესი თანამდებობის საჯარო მოხელეების მხრიდან.

საკვანძო სიტყვები: მმართველობითი ანომალიები, საჯარო სამსახური, საჯარო მოხელე, თანამდებობრივი უფლებამოსილება.

**ძირითადი ტექსტი**

სახელმწიფო სამსახურის რეფორმირებამდე მიზანშეწონილია რომ მეცნიერული პოზიციიდან მოხდეს მისი შესწავლა. ამ პროცესში ერთ–ერთი გავრცელებული შეცდომა მაკროდონეზე აქცენტირებაა: სტრუქტურა, ფუნქციები, ორგანიზაცია და ა.შ. მიკროასპექტის მიმართ უყურადღებობა ზოგადად რეფორმის კანონზომიერ არაეფექტიანობას იწვევს. რეფორმები როგორც წესი ნორმატიული პროექტებია. ამ თვალსაზრისით თეორიულად და პრაქტიკულად აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურში მმართველობითი ანომალიების პრობლემის მეცნიერული ანალიზი.

ანომალიების წარმოშობა არსებული წინააღმდეგობების რიგს უკავშირდება, რომელთა შორის მთავარია წინააღმდეგობა თანამედროვე სახელმწიფო მართვის დომინირებად ნორმატიულ სისტემასა და ქართული საზოგადოების დომინირებად ნორმატიულ სისტემას შორის. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს როგორც ორივე ნორმატიული სისტემის მქონე საჯარო მოხელეებს შორის მმართველობითი ანომალიების სოციოლოგიური შესაწვლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს. ეს განაპირობებს სახელმწიფო სამსახურის სისტემის კვლევის ახალი გზების მოძიების აუცილებლობას, მისი განვითარებისა და სრულყოფის ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობების გამოვლენა, სახელმწიფო მართვაში არსებული რთული პრობლემების გადაწყვეტის ეფექტური და ასევე ალტერნატიული მეთოდების შემუშავება. [1]

სახელმწიფო სამსახურის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის მართვა - სოციალურ სისტემებში ადამიანებს შორის ურთიერთობების გონივრული დარეგულირება და ამავდროულად სოციალურ სისტემებში სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და განვითრებისათვის ახალი გზების მოძიება.

მმართველობითი ანომალიები, ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად

გამოყენება უმაღლესი თანამდებობის საჯარო მოხელეების მხრიდან შეიძლება რომ ჩადენილი იყოს საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. მოხელე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც მის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვმარტოთ, რომ საჯარო მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება სახაზინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში.

საჯარო სამსახურში მომუშავე დამხმარე მოსამსახურე, მაგალითად ადამიანი, რომელიც შრომის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღება ორგანიზაციის შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე, აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი ვერ იქნება. მოხელესთან გათანაბრებულად შეიძლება რომ ჩაითვალოს პირი, რომელიც შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში დროითი ფარგლებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად და აღნიშნული ვადის განმავლობაში ასრულებს მოხელის ფუნქციებს.

გარდა ამისა, მოხელესთან გათანაბრებულად მიიჩნევა ადამიანი, რომელიც დროებით სამსახურში არ მყოფი საჯარო მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად მუშაობს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მოხელის მოვალეობის შესრულება არ არის საკმარისი, რომ პირი მიჩნეულ იქნას საჯარო მოხელესთან გათანაბრებულად, ამასთანავე აუცილებელია სამართლებრივი საფუძველიც. გავაანალიზოთ რა არის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება? თანამედროვე მსოფლიოში ამის უამრავი მაგალითი არსებობს. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას საჯარო მოხელე თავის ქმედებას ახორციელებს საკუთარი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, ამავდროულად მის მიერ დაკავებული თანამდებობის საფუძველზე, მისი უფლებამოვალეობების და პასუხისმგებლობების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. საჯარო მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლები და მისი განხორციელების წესი დღესდღეობით განსაზღვრულია შესაბამისი საკანონმებლო აქტებით. [2]

საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მიხედვით, საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებულად გამოყენება სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მოხელე მოქმედებს სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა მისი ქმედება ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს. ამავდროულად, იგი ასეთ ქმედებას უნდა ახორციელებდეს თავისთვის ან სხვისთვის (მაგ:ნათესავი, ნაცნობი) რაიმე კონკრეტული გამორჩენის (მატერიალური სიკეთის) ან უპირატესობის მიღების მიზნით, რითაც ის მნიშვნელოვნად არღვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის არსებულ უფლებას ან საზოგადოების და/ან სახელმწიფოს ინტერესებს. [3]

გარდა ამისა, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მოხელის ქმედებასა და დამდგარ არაკანონიერ შედეგს - დარღვეულ ინტერესებს შორის აუცილებელია არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული არ არის მოცემული, თუ საჯარო მოხელის ქმედება არ არის რეალურად დაკავშირებული მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ან მის მოქმედებას არ მოჰყოლია ინტერესების დარღვევა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელე სამსახურებრივი უფლებამოსილების არასწორად გამოყენებისას არ არღვევს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს, არამედ მოქმედებს მის ფარგლებში. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება რომ გამოიხატოს როგორც აქტიურ, ისე პასიურ მოქმედებაში. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგი გულისხმობს ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესებისათვის ან საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის კონკრეტულ მიყენებას.

ამასთან, საჭიროა, რომ ზიანი იყოს არსებითი, რაც უკვე სასამართლოს კონკრეტული შეფასების საგანს წარმოადგენს. გავაანალიზოთ, რა სასჯელი ემუქრება ამ დანაშაულის ჩამდენს? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება დღესდღებით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, გარდა ამისა, დამატებითი სასჯელით - თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით

მაქსიმალური ვადით სამ წლამდე.

სამსახურებრივი უფლებამოსილების არაჯეროვნად გამოყენების დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენისათვის კანონით უფრო მკაცრი სასჯელებია გათვალისწინებული. დანაშაულის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. ასევე ამ დანაშაულის ჩადენა არაერთგზის ან ძალადობით ანდა იარაღის გამოყენებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამამძიმებელი გარემოებაა ამ დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის ღირსების შეურაცხყოფით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით იგივე ტიპის დანაშაულის ჩადენა სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირის მიერ ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-5 წლამდე, აგრეთვე ამასთან ერთად დამატებითი სასჯელით - თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე.

აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სამსახურებრივი უფლევამოსილების არაჯეროვნად გამოყენება, ჩადენილი: არაერთგზის, ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-8 წლამდე და ამასთან ერთად დამატებითი სასჯელით - თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბება მსგავსად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა, შეიძლება რომ ჩადენილი იქნას საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული მოხელის მიერ. აღნიშნული დანაშაული სახეზეა მაშინ, თუ საჯარო მოხელის მოქმედება მნიშვნელოვნად სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს. ეს დანაშაული შეიძლება რომ გამოიხატოს მოხელის მიერ ისეთი ქმედების ჩადენაში, რომელიც სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში შედის; რომელიც შეიძლება რომ განხორციელებულიყო მარტო განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობის დროს, კანონში ან სხვა ნორმატიულ აქტში მითითებული საფუძვლით; რომელიც კანონის საფუძველზე შეიძლება რომ გადაწყდეს მარტო კოლეგიურად; რომელიც არც ერთმა თანამდებობის პირმა და სამსახურებრივმა ინსტანციამ არ შეიძლება რომ განახორციელოს. ამ დანაშაულის არსებობისათვის აუცილებელია, რომ საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული ადამიანის მოქმედება დაკავშირებული იყოს მის სამსახურებრივ მდგომარეობასთან, მისგან გამომდინარეობდეს და ჩადენილი იყოს საჯარო მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში. [4]

თუ ამგვარი კავშირი არ არის მოცემული, მაშინ აღნიშნული დანაშაულიც არ არის სახეზე. დანაშაულის არსებობისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, კერძოდ, იგულისხმება რომ კონკრეტული ზიანი უნდა მიადგეს ფიზიკური ან იურიდიული პირის არსებულ უფლებას, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს. აგრეთვე, აუცილებელია რომ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი საჯარო მოხელის ქმედებასა და აღნიშნულ ზიანს შორის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სანქციებით აღნიშნული დანაშაულისათვის გათვალისწინებულია იგივე სახის სასჯელები, რაც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამსახურებრივი უფლებამოსილების არასწორად გამოყენებისათვის.

**დასკვნა**

სახელმწიფო საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს სახელმწიფო მართვის სისტემის დახმარებით ახორციელებს. სახელმწიფო სამსახურმა როგორც პროფესიულმა მოღვაწეობამ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების უზრუნველყოფის შესახებ თავისი მნიშვნელობა სწორედ კონსტიტუციით აღიარებულ მიზანთან - დემოკრატიული, სამართლებრივი, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს შექმნის შესახებ კავშირში მიიღო. სახელმწიფო სამსახურის დემოკრატიული სოციალურ-სამართლებრივი ბუნება მდგომარეობს შემდეგში: იგი სოციუმთან უნდა იყოს კავშირში და სახელმწიფო თავისი მოქმედებებით უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო საზოგადოებრივი და ადამიანის - როგორც ცალკეული პიროვნების ინტერესების დამცველად.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Банных Г. Алексеева - "Управленческие аномалии в государственной гражданской службе – Опыт социологического анализа". Диссертация. Екатеринбург. 2006.
2. Медушевский Н. - Публичная администрация и общество: система обратных связей в информационном секторе Текст. / Медушевскй // Проблемный анализ и государствено-проектирование. -2009.-№8.-С. 55-69.
3. Лытов Б.В. - Государственная служба: управленческие отношения. Влияние общественного мнения на управленческие решения// М.: Изд-во РАС, 2005;
4. Halue, M. F. Significance of Accountability the New Approach to Public Governance / International Review of Administrative Sciences. 2000. - Vol. 66. - P. 610.


## Managing anomalies from public officials of high rank


***Genadi Iashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Nana Bregadze, PhD student***
***Georgian Technical University***



### Summary

Abuse of official authority, may be committed by a civil servant or a civil servant equal to him. This is the case when the performance of a public servant is significantly beyond the scope of his / her authority.

Abuse of official authority from public officials of the highest position may be committed by a civil servant or a person equal to him. The civil servant is a citizen of Georgia who is paid in the state or local self-government organization according to his / her official position. A civil servant is a person appointed to the position of a Treasury Institution for the position of legislative, executive and judicial authorities.

In the state service, the ruling is anomalies: bureaucracy, corruption, information locking, alienation of power, career and so on. Which in itself hinders the normal functioning of the state service, and solves the difficult tasks ahead of him.

This article discusses the issues of management anomalies from public officials of high rank.



Keywords: Managing anomalies, Public Service, Public Servant, Official authority.

## ხელმძღვანელის დროის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები თანამედროვე საჯარო სამსახურში

***იაშვილი თინათინი***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

***ლორთქიფანიძე ნინო***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე დროის მენეჯმენტის სქემა ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს: მიზნის განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი. გადაწყვეტილების სწორად მისაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო ნაკადების სისწორეს. არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება უმეტეს შემთხვევაში გაუმართლებელია.

დროის მენეჯმენტი საკმაოდ გამარტივდება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ უმთავრეს პრინციპს: შევქმნათ დროის მენეჯმენტის საკუთარი სისტემა და დროითი დანახარჯების ინდივიდუალური აღრიცხვა. ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია, შესაბამისად, მათი დროის მენეჯმენტიც სპეციფიური იქნება. დროითი გეგმები შეიძლება იყოს როგორც მოკლევადიანი, ასევე საშუალო და გრძელვადიანი.

მოცემულ სტატიაში განხილულია ხელმძღვანელის დროის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები თანამედროვე საჯარო სამსახურში.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სამსახური, საჯარო მოხელე, ხელმძღვანელი; დრო; დელეგირება; მენეჯმენტი; დროის მართვა.

**ძირითადი ტექსტი**

ნებისმიერი საჯარო ორგანიზაციის მუშაობის ეფექტურობა და ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია მისი ხელმძღვანელის მუშაობაზე, ხოლო თითოეული ხელმძღვანელის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ მატერიალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ ახერხებს იგი ყველაზე მეტად ღირებული აქტივის - დროის მართვას. თანამედროვე საჯარო სამსახურში ხელმძღვანელის მუშაობის შინაარსი ძალზე მრავალფეროვანია. განვითარების სწრაფი ტემპი ხელმძღვანელი პირებისგან მოითხოვს გრძელვადიანი მიზნებისა და ამოცანების კომპეტენტურ განსაზღვრას, დროის განაწილების მხრივ პრიორიტეტების დასახვას. ხელმძღვანელმა უნდა გაუწიოს დაგეგმვა, კოორდინირება და კონტროლი დაქვემდებარებულთა მუშაობას, აუცილებელია უზრუნველყოს ძირითადი მიზნების მიღწევა და მაქსიმალური რაოდენობის ამოცანების შესრულება. მას საამისოდ გააზრებული უნდა ჰქონდეს სამუშაო დროის დაგეგმვის მნიშვნელობა. დღესდღეობით, მრავალი ხელმძღვანელი უჩივის დროის ნაკლებობას, ვინაიდან როდესაც ხელმძღვანელი სისტემატურად არ გეგმავს თავის სამუშაო დღეს, არ ახდენს ფუნქციების სწორად დელეგირებას. მას არ ყოფნის დრო. შესაბამისად, იგი ჩქარობს, ცდილობს განახორციელოს ყველა საქმე ერთდროულად და დაუყოვნებლივ. ასეთ ვითარებაში წარმატების მიღწევის შანსი ძალზე მცირეა. გამოსავალი მსგავსი არასასურველი მდგომარეობიდან შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ ხელმძღვანელებმა, უპირველეს ყოვლისა, ისწავლონ საკუთარი დროის დაგეგმვა.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ყველას, ვისაც სურს მოახდინოს საკუთარი დროის მეტად ეფექტური ორგანიზება და გამოყენება, როგორც წესი შეუძლია ამ სურვილის რეალობად ქცევა. ამისთვის საჭიროა, რომ ორგანიზაციამ და მისმა ხელმძღვანელმა თავი დააღწიონ რამდენიმე მავნე ჩვევას. აღსანიშნავია, რომ თუნდაც ძალზე კვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელიც მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, ხშირად უშვებს შეცდომას როგორც პირადი, ისე ორგანიზაციული რესურსების განაწილებასთან მიმართებით, შედეგად, მრავალი ხელმძღვანელი თვლის, რომ მისი სამუშაო დროის ეფექტური ორგანიზება ფაქტობრივად შეუძლებელია. სამწუხაროდ, ამის საფუძ-

ვლად ძირითადად ასახელებენ მოცემულობას, რომ ისინი ხშირად დამოკიდებული არიან არა თავიანთ თავზე, არამედ სხვებზე და მუდმივად ცვალებად, არაპროგნოზირებად საჭიროებებზე. [1]

საჯარო სფეროს ორგანიზაციებში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებისთვის ხშირად თავიანთი სამუშაო ადგილი საკუთარ თავთან ასოცირდება. ერთპიროვნული მმართველობის მოყვარული ხელმძღვანელები ხშირად ცდილობენ ყველა მნიშვნელოვანი საქმის თავად შესრულებას, ხოლო მათ დაქვემდებარებულ თანამშრომლებს ეკისრებათ მეტად მოკრძალებული როლი. ამ ტიპის ხელმძღვანელებს, ალბათ, გულწრფელად სჯერათ, რომ ფუნქციების დელეგირებამ შესაძლოა დამანგრეველი შედეგები მოიტანოს ორგანიზაციისათვის და ამიტომ იშვიათად მიმართავენ ამ შესაძლებლობას. ბუნებრივია, როდესაც არ ხდება შესასრულებელი ამოცანების დელეგირება, ხელმძღვანელები იძულებულიც ხდებიან, თავად შეასრულონ მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ფუნქციები. შედეგად, ხშირად ექმნებათ პრობლემები დროითი რესურსის შეზღუდულობის გამო. [2]

დროის მენეჯმენტის მეთოდებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია ორგანიზაციის მიერ მეტი ეფექტურობის მისაღწევად არის სწორედ ის, რომ მათმა ხელმძღვანელებმა მოახერხონ და გარკვეულ შემთხვევებში გადასცენ ძალაუფლება ქვეშევრდომებს. უშუალოდ, თავად კი მიიღონ გადაწყვეტილებები მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დელეგირება შესაძლებელია განხორციელდეს არამხოლოდ ვერტიკალურად (ზემოდან ქვემოთ) არამედ ჰორიზონტალურად, მაგალითად კოლეგებისათვის დახმარების თხოვნით.

დელეგირების პროცესი მოიცავს შემდეგს: ხელმძღვანელი თავისი გუნდის წევრს გადასცემს შესასრულებელი სამუშაოს ნაწილს, ამით იგი აკისრებს მას გარკვეულ პასუხისმგებლობას და ასევე ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ გამოიყენოს საჭირო რესურსები საქმის წარმატებით დასრულე-ბისათვის, მაგრამ ხელმძღვანელი იტოვებს უფლებას აკონტროლოს ხელქვეითთა საქმიანობა, რადგან იგი საბოლოო შედეგზეა ანგარიშვალდებული. პასუხისმგებლობა, უფლებამოსილება (თანამშრომ-ლის ნათლად განსაზღვრული უფლება, გამოიყენოს ორგანიზაციის რესურსები, კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად) კონტროლი და ანგარიშვალდებულება ეფექტური დელეგირების განხორციელების ცენტრალური ელემენტებია. ანგარიშვალდებულება დელეგირების პროცესის ყველაზე მთავარი ელემენტია. ხელმძღვანელი ანაწილებს დავალებებს ხელქვეითებს შორის და ამით მათ გარკვეულ პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას ანიჭებს. თუმცა, საბოლოოდ შესრულების ხარისხზე თვითონ არის ანგარიშვალდებული. [3]

დელეგირების სწორად განხორციელების შემთხვევაში, იგი შეიძლება იქცეს ხელმძღვანე-ლისთვის მნიშვნელოვანი დროითი რეზერვების შექმნის წყაროდ, თუმცა, ამ ფუნქციის მცდარად გამოყენებამ შეიძლება სერიოზულად დააზიანოს როგორც ხელმძღვანელის ავტორიტეტი, ისე მთლიანად ორგანიზაციის ფუნქციონირება. ხელმძღვანელებს უნდა ესმოდეთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, რეკომენდებულია ტექნიკური და ყოველდღიური, რუტინული სამუშაოს დელეგირება. იგი კონცენტრირებული უნდა იყოს მთავარი პრობლემების მოგვარებასა და სტრატეგიების დასახვაზე. ამასთან, ზოგიერთი სამუშაო აუცილებელია შესრულებული იყოს მხოლოდ ხელმძღვანელის მიერ და არ გადაეცეს დაქვემდებარებულ პირს. მაგალითად, გრძელვადიანი გეგმებისა და მიზნების ჩამოყალიბება, რაც მხოლოდ ხელმძღვანელის საქმიანობაში შეიძლება შედიოდეს. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ორგანიზაციულ პროცედურას წარმოადგენს ე.წ. შესრულების შეფასება. თანამშრომ-ლების მიერ ჩატარებული სამუშაოს გაანალიზება, შესაბამისად მათი დაჯილდოება და წარმატებების აღიარება ხელმძღვანელის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხელქვეითების მოტივაციაზე. აგრეთვე, თანამშრომლების მიმართ რაიმე სახის დისციპლინარული ქმედებების ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ ხელმძღვანელის საქმიანობაში შედის. [4]

ნებისმიერი სპეციფიკის მქონე სამუშაოში არსებობს გაუთვალისწინებელი დროითი დანაკარ-გი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ დროის სწორი მენეჯმენტით ამ გაუთვალისწინებლობის „დაგეგმვაც“ შესაძლებელია. ყოველთვის უნდა ვეცადოთ სწორად გავითვალისწინოთ „სარეზერვო დროის“ ფაქტორი. მაგალითად, ხშირად ადამიანები არ ვააფასებთ იმ თავისუფალ დროს, რომელიც მოულოდ-ნელად გამოგვიჩნდება და არარაციონალურად ვფლანგავთ მას. ამ შემთხვევაში ადამიანებს მიგვაჩნია,

რომ ეს დრო „რეზერვია“, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს გარკვეულწილად წინდაუხედაობაა, რადგან სინამდვილეში ეს დრო რაც აწმყოში ჩვენ რეზერვი გვგონია, ჩვენს სამომავლო გადაუდებელ გეგმებს მოაკლდება.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე დროის მენეჯმენტის სქემა ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს: მიზნის განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი. გადაწყვეტილების სწორად მისაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო ნაკადების სისწორეს. არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება უმეტეს შემთხვევაში გაუმართლებელია. დროის მენეჯმენტი საკმაოდ გამარტივდება ყოველი ადამიანის-თვის, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ უმთავრეს პრინციპს: შევქმნათ დროის მენეჯმენტის საკუთარი სისტემა და დროითი დანახარჯების ინდივიდუალური აღრიცხვა. ყოველი ადამიანი ინდივიდუ-ალურია, შესაბამისად, მათი დროის მენეჯმენტიც სპეციფიური იქნება. დროითი გეგმები შეიძლება იყოს როგორც მოკლევადიანი, ასევე საშუალო და გრძელვადიანი. დაგეგმვის დროს ადამიანი რასაკვირველია ეყრდნობა საკუთარ მეხსიერებას, მაგრამ ყოველთვის ამის გაკეთება არ ღირს. მიზანშეწონილია განსაკუთრებით მუშაობის პროცესში გამოვიყენოთ თანამედროვე „დროის მენეჯმენტის“ მიერ რეკომენდაციების სახით შემოთავაზებული ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ელექტრონული ჩანაწერები, ბლოკნოტები, სტიკერები. [5]

გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს ხელმძღვანელის დროის მეჯემენტზე. მათ შორის ერთ–ერთი უპირველესია პრობლემის გადაწყვეტის „ხვალინდელი“ დღისთვის გადატანა. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი არის გაუბედაობა ან უუნარობა. ხშირად ეს იმ ადამიანებს ახასიათებთ, რომლებიც არ არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში ან არ გააჩნიათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ცხოვრებისეული მიზნები. ასევე, სერიოზული პრობლემაა შესასრულებელი საქმეების ბოლომდე არ მიყვანა. შეიძლება ხელმძღვანელი მთელი დღე იყოს დაკავებული, მაგრამ ბევრ რამეს აზრი ეკარგება, თუ იგი შესასრულებელ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს. ყველაფერთან ერთად ეს (ბოლომდე მიუყვანელი საქმე) წარმოადგენს მძიმე ტვირთსაც ადამიანის ფსიქიკაზე. ასევე არანაკლებ სერიოზული პრობლემაა არაადეკვატური სიჩქარე. როდესაც ადამიანი შეცდომის გამოსწორებას დაუყოვნებილივ ცდილობს, ამ დროს გამოსწორების ნაცვლად როგორც წესი ვითარება უარესდება. შეცდომის გამოსასწორებლად მეთოდური და დაგეგმილი მუშაობა მეტად მისაღებია.

**დასკვნა**

წარმოდგენილ სტატიაში დრო განხილულია როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსი. დროითი რესურსის არარაციონალურმა განკარგვამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი გამო-იწვიოს როგორც უშუალოდ საჯარო სამსახურის ხელმძღვანელისთვის, ასევე მთლიანად ორგანიზა-ციისთვის. უკანასკნელ ათწლეულებში დროის მენეჯმენტის მნიშვნელობა ძალზე გაზრდილია. დრო განიხილება როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსი, რომელიც აუცილებელია კონკრეტუ-ლი მიზნების მისაღწევად. შეიძლება ითქვას, რომ დრო, როგორც რესურსი არანაკლები მნიშვნელობის მქონეა, როგორც მაგალითად ფინანსური, ტექნოლოგიური ან ადამიანური რესურსი. დროითი რესურსის არარაციონალურმა განკარგვამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს როგორც ინდივიდუალური ადამიანისთვის, ასევე მთლიანად ორგანიზაციისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. იაშვილი გ; იაშვილი თ; შერაზადიშვილი ზ. – „დროის მენეჯმენტი – თეორია და პრაქტიკული სავარჯიშოები“. სახელმძღვანელო, სტუ. თბილისი, 2017.
2. Архангельский Г., Лукашенко М.,Телегина Т., Бехтеров С. - “Тайм-менеджмент”. 2012.
3. René Knizia - ,,Zeitmanagement - Ein bewusster Umgang mit Zeit”. 2011.
4. Meyer Rolf - ,,Zeitmanagement: Grundlagen, Methoden und Techniken”. 2009.

5. Кричевский Р.Л - “Если Вы руководитель - Элементы психологии менеджмента в повседневной работе”. 2009.

## Main issues of Heads Time Management in modern public service

***Tinatin Iashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Nino Lortkipanidze, Professor***
***Georgian Technical University***

**Summary**

The modern time management scheme is based on the following basic principles: determination, decision making, planning, performance and control. Proper decision of the decision is of particular importance to the accuracy of information flows. The decision made based on incorrect information is in most cases unjustified.

Time management will be simplified, given the following principle: to create time management system and individual accounting for time spent. Each person is individual and therefore their time management will be specific. Timetable plans can be both short-term, medium and long-term.

Time is considered as a strategic resource. The irrational disposal of the time resource may cause significant damage to the head, as well as the entire organization.

This article discusses main issues of time management in modern public services.

Keywords: Public service, Public servant, Manager; Time; Delegation; Management; Time management.

## საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში

*კიკვაძე ოთარი*
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

**აბსტრაქტი**

ნაშრომში - „საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში“ განხილულია საქართველოში სხვადასხვა პერიოდში მოქმედი საპენსიო სისტემები, სისტემის რეფორმირების ეტაპები, 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული რეფორმა და რეფორმის შედეგად მიღებული ახალი საპენსიო სისტემა.

ნაშრომში განხილული და შეფასებულია დღეს მოქმედი სისტემის ხარვეზები, რეფორმისა და მოქმედი სისტემის მიმართ საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებისა და დაბალი ნდობის ფაქტორები, სისტემის რისკ ფაქტორები და სხვა. მიგვაჩნია, რომ სისტემის დახვეწისათვის საკმაოდ ბევრი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

საკვანძო სიტყვები: პენსია, სისტემა, რეფორმა, სააგენტო

**ძირითადი ტექსტი**

გამართული საპენსიო სისტემა თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მოსახლეობის გარკვეული ნაწილის კეთილდღეობა დიდწილად არის დამოკიდებული პენსიის სახით პერიოდულად (ძირითადად ყოველთვიურად) მიღებულ ფულად შემწეობაზე, რომელთაც საპენსიო დახმარება სხვადასხვა მიზეზით ეძლევათ, მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობა, მარჩენალის დაკარგვა (მშობელი, მეუღლე), განსაზღვრული წლოვანება და სხვა. თანამედროვე ქვეყნების საპენსიო ბიუჯეტის უდიდესი წილი სწორედ განსაზღვრული წლოვანების მიღწევის გამო გასაცემი პენსიის მოცულობაზე მოდის, რომელიც პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიულ-კერძოდ მოსახლეობის დაბერების მაჩვენებლებთან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ანგარიშის შესაბამისად[1] მსოფლიოში მიმდინარე მოსახლეობის დაბერების პროცესის გამო განსაკუთრებით აქტუალური ხდება მდგრადი და ეფექტიანი საპენსიო სიტემის არსებობა.

ბუნებრივია მოსახლეობის დაბერების პროცესი საქართველოშიც მიმდინარეობს და უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ სახარბიელო დემოგრაფიული მაჩვენებლებით ხასიათდება. მოცემული პროცესების საპასუხოდ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას დაწყებული აქვს არსებული საპენსიო სისტემის რეფორმირების პროცესი, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. სწორედ აღნიშნული რეფორმა წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

საპენსიო სისტემა საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში საბჭოთა კავშირის საპენსიო სისტემა გაგრძელდა, რომელიც თავის მხრივ ეფუძნებოდა პენსიაზე გასვლამდე არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებას და საპენსიო მოცულობა გამოითვლებოდა კონკრეტული მოქალაქის მუშაობის ბოლო წლის ან ბოლო 5 წლის ხელფასის 55% ოდენობით. თუმცა აღნიშნული სისტემის ფუნქციონირება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გამო შეუძლებელი გახდა და დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან პენსიის ოდენობა გათანაბრდა ყველა ასაკით პენსიონერისათვის. ამ პერიოდისთვის არსებული პენსია მინიმალური ოდენობის იყო, განსაკუთრებით ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის ფონზე. მაგ. 1998-2004 წლებში პენსიის ოდენობა 14 ლარს შეადგენდა, რაც ბუნებრივია ვერ უზრუნველყოფდა საპენსიო ასაკის მოქალაქეთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2017 წლის ანგარიში - მოსახლეობის დაბერების პროცესის თაობაზე „World Population Ageing - The United Nations – 2017;

**დიაგრამა #1. საპენსიო ოდენობა საქართველოში 2000-2017 წლებში (ლარი)**




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

2004 წლიდან საქართველოში იწყება საპენსიო სისტემის გარკვეული ცვლილებები, კერძოდ - 2004 წლამდე პენსია ფინანსდებოდა სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებული იყო დამქირავებლისა და დაქირავებულის საგადასახადო შენატანებზე. 2004 წლიდან კი სოციალური პროგრამები (მათ შორის პენსია) ფინანსდებოდა საერთო საბიუჯეტო შემოსავლებიდან. 2008 წლიდან ქვეყანაში განხორციელებული საგადასახადო რეფორმების შედეგად გაუქმდა სოციალური გადასახადი და საპენსიო ვალდებულებები სრულად დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტს.

ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ პენსიაზე გაწეული დანახარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 11-17% მერყეობს. მაგ. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 1,579.1 მლნ ლარია, რაც მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების 16,3%-ს ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 4,2%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ დიდი ფისკალური ტვირთია სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ საქართველოში დემოგრაფიული მონაცემების საპროგნოზო მაჩვენებლებს სისტემის ნაკლოვანებები კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება.

**ცხრილი #1. მოსახლეობის სამუშაო და საპენსიო ასაკის საპროგნოზო გადანაწილება სქესის მიხედვით 2018-2030 წლებში (ათასი კაცი)**

| წლები | 2018 | | 2022 | | 2026 | | 2030 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სამუშაო ასაკი | საპენსიო ასაკი | სამუშაო ასაკი | საპენსიო ასაკი | სამუშაო ასაკი | საპენსიო ასაკი | სამუშაო ასაკი | საპენსიო ასაკი |
| **ქალი** | 1,129.6 | 485.2 | 1,088.8 | 546.6 | 1,077.6 | 603.0 | 1,072.6 | 635.6 |
| **მამაკაცი** | 1,188.5 | 237.8 | 1,174.2 | 249.9 | 1,172.0 | 271.7 | 1,168.3 | 298.9 |
| **სულ** | **2,318.1** | **723.1** | **2,263.0** | **796.5** | **2,249.7** | **874.7** | **2,240.8** | **934.5** |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

მოცემული საპროგნოზო მაჩვენებლებით 2018-2030 წლებში სამუშაო ასაკის მოსახლეობა მცირდება 77 ათასი ადამიანით, ხოლო პენსიონერთა რაოდენობა 212 ათასით იზრდება, რაც გულისხმობს, რომ სამუშაო ასაკის ერთ ადამიანზე პენსიონერთა რიცხვი 31 პროცენტიდან 42 პროცენტამდე იზრდება. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შობადობის შემცირება, მაგ. 2017 წელს შობადობის მაჩვენებელმა 56,6 ათასი შეადგინა, რაც ყველაზე მცირე მაჩვენებელია ბოლო რვა წლის განმავლობაში, ხოლო საპენსიო ასაკის მქონეთა რაოდენობა ამავე წელს 732,1 ათასია, რაც საკმაოდ დიდ დემოგრაფიულ დისბალანსს წარმოადგენს.

**საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში**

მსოფლიო გამოცდილების შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნების საპენსიო სისტემა, ძირითადად ეყრდნობა ე.წ. „მრავალსვეტიან სისტემას" (Multipillar System), რომელშიც საპენსიო სისტემის სქემები განსხვავდება სხვადასხვა ფაქტორის შესაბამისად, მაგ. მონაწილე პირთა ოდენობა, დაფინანსების

პრინციპისა და სხვა. პირველი სვეტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებულ საბაზისო პენსიას, მეორე სვეტი - დაგროვებით სისტემას, რაც განსაზღვრული შენატანის (Defined Contribution) პრინციპზეა დაფუძნებული, ხოლო მესამე სვეტი ეს არის ნებაყოფლობითი საპენსიო უზრუნველყოფა კერძო საპენსიო სისტემების მეშვეობით.

როგორც აღვნიშნეთ 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საპენსიო სისტემა, რომელიც ზემოთაღნიშნული სისტემებიდან მე-2 სვეტს განეკუთვნება. რეფორმის შედეგად დღესდღეობით მიღებული საპენსიო სიტემის შესაბამისად: ახალ საპენსიო სქემაში მონაწილეობა შესაძლებელია საქართველოს ყველა დასაქმებული ან თვითდასაქმებული მოქალაქისთვის და საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ამასთანავე, საპენსიო სქემაში მონაწილეობა სავალდებულოა საქართველოს ყველა დასაქმებული მოქალაქისთვის და საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტოსთვის ჯერ არ ქონდა შესრულებული 40 წელი. ამასთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საპენსიო სქემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია:

1) ყველა თვითდასაქმებულისთვის, მიუხედავად მისი ასაკისა;

2) ყველა დასაქმებულისთვის, რომელიც 2018 წლის 6 აგვისტოს იყო 40 ან მეტი წლის.

2019 წლის 1 იანვრიდან საპენსიო სქემაში ავტომატურად გაწევრიანდა ყველა საქართველოში დასაქმებული საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტოსთვის ქალბატონების შემთხვევაში ჯერ არ ქონდა შესრულებული 55 წელი, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში ჯერ არ ქონდა შესრულებული 60 წელი. საქართველოში დასაქმებულ იმ საქართველოს მოქალაქეებს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან თვითდასაქმებულებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან ავტომატურ გაწევრიანებას, აქვთ უფლება, მაგრამ არა ვალდებულება საპენსიო სქემაში გაწევრიანდნენ ნებაყოფლობით, საპენსიო სააგენტოს საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის გზით.

აღსანიშნავია, რომ საპენსიო სისტემა 40 წელს მიღწეული ან მეტი ასაკის მოქალაქეთათვის ნებაყოფლობითია, კერძოდ: დასაქმებულ პირს, რომელიც 2018 წლის 6 აგვისტოს უკვე იყო 40 წლის ან მეტის, 2019 წლის 1 აპრილიდან ან იმ თარიღიდან სამი თვის თავზე, რომელ თარიღზეც დამსაქმებელმა განახორციელა საპენსიო შენატანი დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, რომელი თარიღიც უფრო ადრე დგება, საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულს გაუჩნდება უფლება საპენსიო სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვის გზით გავიდეს საპენსიო სქემიდან. ასეთ შემთხვევაში მას, ასევე მის დამსაქმებელს და სახელმწიფოს სრულად დაუბრუნდებათ მათ მიერ შესაბამისად განხორციელებული საპენსიო შენატანები. ამასთან საპენსიო სქემაში კვლავ გაწევრიანება შესაძლებელი იქნება დამსაქმებლისთვის განცხადებით მიმართვის გზით.

რაც შეეხება ფულადი თანხების აკუმულირებას საპენსიო სქემაში მონაწილე დასაქმებულის სასარგებლოდ საპენსიო სააგენტოში მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადაირიცხება დარიცხული ხელფასის 2%, ხოლო დამატებით, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დამსაქმებელს და სახელმწიფო ხაზინას შეაქვთ დარიცხული ხელფასის 2% თითოეულს. მაგ.: იმ შემთხვევაში თუ დასაქმებულის დარიცხული ხელფასი შეადგენს თვეში 1000 ლარს, საპენსიო სქემაში მონაწილეობის შემთხვევაში, დარიცხული ხელფასის 2%, ანუ 20 ლარი, გადაირიცხება მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დარჩენილი თანხიდან (1000-20=980 ლარი), დაკავდება 20% საშემოსავლო გადასახადი და მონაწილე ხელზე აიღებს 784 ლარს. საპენსიო სქემაში მონაწილეობის შემთხვევაში, დასაქმებულმა ხელზე აიღო 800-784=16 ლარით ნაკლები თანხა (ვიდრე აიღებდა სქემაში მონაწილეობის გარეშე). სანაცვლოდ, მონაწილეს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ჩაერიცხა ჯამურად 60 ლარი, აქედან 20 ლარი საკუთარი შენატანი, 20 ლარი დამსაქმებლის შენატანი და 20 ლარი სახელმწიფოს შენატანი. სახელმწიფო ხაზინა საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ურიცხავს დარიცხული ხელფასის 2%-ს ვიდრე დასაქმებულის დარიცხული ხელფასის ჯამური ოდენობა არ მიაღწევს 24,000 ლარს წლიურად. ამის

შემდეგ, სახელმწიფო ხაზინა დასაქმებულს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ურიცხავს დარიცხული შემოსავლის 1%-ს მანამ, სანამ დარიცხული ხელფასის ჯამური ოდენობა გადააჭარბებს 60,000 ლარს წლიურად, რის შემდეგაც სახელმწიფო ხაზინა დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შენატანებს აღარ განახორციელებს. თვითდასაქმებული საპენსიო სქემის მონაწილე, რომელიც განიხილება როგორც საკუთარი თავის დამსაქმებელი, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ჩარიცხავს თავისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%+2%=4%-ს, ხოლო სახელმწიფო ხაზინა ასეთ მონაწილეს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ჩაურიცხავს დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ს. საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში პენსიის საპროგნოზო მთვლელის შესაბამისად საპენსიო ფონდში აკუმულირებულ თანხას ემატება წლიური 7% ამონაგების სახით. მაგ. თუ მონაწილე 25 წლის მამაკაცია და თვეში მისი შემოსავალი 1000 ლარია და იმ შემთხვევაში თუ მისი შემოსავალი ყოველწლიურად 4%-ით იზრდება მისი საპენსიო დანაზოგი საპენსიო ასაკის მიღწევის მომენტისთვის (65 წელი) 362 226.83 ლარი იქნება.

რეფორმის ფარგლებში შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ხოლო საპენსიო სფეროს მარეგულირებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საპენსიო სააგენტო. საპენსიო სისტემის მონაწილეებს შეუძლიათ ონლაინ საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში (www.pensions.ge) თვალი ადევნონ თავიანთ დანაზოგებს.

სააგენტოს მონაცემებით 2019 წლის მარტის მონაცემებით საპენსიო ფონდში დაახლოებით 100 მლნ. ლარია მობილიზებული, ხოლო საპენსიო სააგენტოს სამომავლო საპროგნოზო მონაცემებით ფონდში ყოველთვიურმა შენატანებმა დაახლოებით 40-45 მლნ. ლარს უნდა მიაღწიოს, რაც წელიწადში შესაბამისად 480-540 მლნ. ლარია.

**მოქმედი სისტემის შეფასება**

აღსანიშნავია, რომ 2019 წლამდე არსებული საპენსიო სისტემა ცალსახად საჭიროებდა გარკვეულ ცვლილებებს, თუმცა რეფორმის შემდეგ მოქმედ სისტემას ჩვენი აზრით ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებები, რომლებიც შეცვლასა და დახვეწას საჭიროებს, კერძოდ:

- **სამუშაო ძალის გაძვირება**

როგორც აღვნიშნეთ რეფორმა დამსაქმებლებსაც ავალდებულებს დასაქმებულებისათვის დამატებით 2% გადახდას საპენსიო ფონდში. რაც ფაქტობრივად, ბიზნესისთვის ახალი გადასახადის დაწესებას ნიშნავს, რადგანაც დასაქმებულთა ნაწილისგან (40-წელზე უფროსების) განსხვავებით, დამსაქმებლებს არჩევანი არ აქვთ. თუ მათი დასაქმებული ფონდში გაწევრიანებას გადაწყვეტს, მათაც სავალდებულო პრინციპით უნდა განახორციელონ კონტრიბუციები.

- **ფონდში აკუმულირებული ფულის ინვესტირება**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონაწილეს შეუძლია განახორციელოს საპენსიო შენატანების ინვესტირება, თუმცა აღნიშნული საკითხები ბუნდოვანია და გარკვეულ ეჭვს აჩენს სხვადასხვა კუთხით;

- **სახელმწიფოს მხრიდან ფონდში აკუმულირებული თანხების გამოყენების რისკი კრიზისულ მდგომარეობაში**

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფო იყენებს საპენსიო რეზერვებს (მაგ. 2014 წელს პოლონეთის მთავრობამ მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის თავიდან არიდების მიზნით საპენსიო ფონდიდან გარკვეული მოცულობის ფულადი რესურსები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განათავსა). ხოლო როდესაც საქმე ეხება ისეთი მცირე ბიუჯეტისა და ეკონომიკის მქონე ქვეყანას, როგორც საქართველოა საკმაოდ მაღალია აღნიშნული ქმედების განხორციელების რისკი.

- **ნებაყოფლობით მონაწილეთა რაოდენობის შემცირება**

როგორც ზემოთ აღინიშნა დასაქმებულ პირს, რომელიც 2018 წლის 6 აგვისტოს უკვე იყო 40 წლის ან მეტის, 2019 წლის 1 აპრილიდან უფლება აქვს მიმართოს განაცხადით საპენსიო სააგენტოს და შეწყვიტოს მონაწილეობა საპენსიო სისტემაში. სწორედ მომდევნო თვეებში დაფიქსირებული აკუმულირებული თანხების მოცულობა მოგვცემს იმის ანალიზის საშუალებას თუ რამდენად

მისაღებია რეფორმა იმ ადამიანებისთვის ვისაც ნებაყოფლობით მონაწილეობის უფლება მიეცათ. სავარაუდოდ, მთავარი მიზეზი, რის გამოც მთავრობამ სისტემაში სავალდებულოობის კომპონენტი ჩადო, არის ის, რომ აღნიშნულის გარეშე მოსახლეობის საკმაოდ მცირე ნაწილი გადაწყვეტდა რეფორმაში ჩართვას. ამ პრინციპით კი, მათ არჩევანი უბრალოდ არ აქვთ.

ამ ჭრილში საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება:

- ხორვატია - სავალდებულოა 40 წლამდე მოქალაქეთათვის, ფონდში შენატანი ხელფასის 5%;
- უნგრეთი - სავალდებულოა ყველასთვის, დასაქმებულებს ფონდში ხელფასის 6% შეაქვთ;
- ლატვია - სავალდებულოა 30 წლამდე, დასაქმებულები ფონდში ხელფასის 8%-ს რიცხავენ;
- ლიტვა -სრულად ნებაყოფლობითია, სურვილის შემთხვევაში დასაქმებულები ფონდში ხელფასის 6%-ს რიცხავენ;
- პოლონეთი - სავალდებულოა 30 წლამდე, დასაქმებულები ფონდში ხელფასის 7.3%-ს რიცხავენ;

როგორც ირკვევა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ამ საკითხთან მიმართებაში ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა არ არსებობს და ქვეყნაში არსებულ სხვადასხვა ინდივიდუალურ გარემოებებსა თუ ფაქტორებზე არის მორგებული.

- **სახელმწიფო ინსტიტუტისადმი ნდობის დაბალი ხარისხი**

რეფორმის ერთერთი პრობლემა სახელმწიფოს მიმართ გრძელვადიან პერიოდში ნდობის ნაკლებობაა. მოსახლეობას ახსოვს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ფინანსური კრიზისი და ჰიპერინფლაცია, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უფსკრულის პირას მიიყვანა.

**დასკვნა**

წინამდებარე ნაშრომში - "საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში" მიმოვიხილეთ და შევაფასეთ საქართველოში სხვადასხვა, დროს მოქმედი საპენსიო სიტემა, 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული რეფორმა და რეფორმის შედეგად მიღებული საპენსიო სისტემა. ზემოთაღნიშნული საკითხების შესწავლით ჩვენ შეგვიძლია დასკვნის სახით განვაცხადოთ, მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო სფეროს რეფორმირება წინგადადგმული ნაბიჯია, მოქმედ სისტემას ახასიათებს რიგი ხარვეზები, რაც დახვეწას და გაუმჯობესებას მოითხოვს. ერთის მხრივ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა შენატანების დაცულობის მექანიზმების გაზრდა, ხოლო მეორეს მხრივ საჭიროა მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა მოქმედი სისტემა მხოლოდ სავალდებულოდ განსაზღვრული პირების შენატანებზე არ იყოს დამოკიდებული.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ", ქუთ., 2018;
2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს #421 დადგენილება „საჯა-რო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ";
3. „რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე", საქართველოს მთავრობა, 2018;
4. უროტაძე ჯ., საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება, თბ.2018;
5. „World Population Ageing" - The United Nations – 2017


**Pension system reform in Georgia**

***Otar Kikvadze, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

Pension systems operating in different periods in Georgia, stages of system reforms, reform implemented from January 1, 2019 and a new pension system adopted as a result of the reform is reviewed in this work – "Pension System Reform in Georgia". The work reviews and evaluates flaws of the current system, uneven assessment and low confidence factors from the society for the reform and operating system, risk factors of the system and etc. We believe that it is necessary to carry out a lot of measures to improve the system.

# გადაწყვეტილების მიღების პრობლემატურობა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ფორმალური ნეირონის გამოყენებით

*კიკნაძე მზია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ირემაძე ია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ნასყიდაშვილი თამარი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

გვინდა შემოგთავაზოთ ერთგვარი ექსპერული სისტემა, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანიზაციაში, კერძოდ ქალაქი გორის საკრებულოში გასაწყვეტილების მისაღებად ხელოვნური ნეირონის (და არა ქსელის) გამოყენების ერთ-ერთი ვარიანტი. ამგვარი მოდელი შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა ორგანიზაციებში, სადაც გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრის საფუძველზე (მაგალითად: საკრებულოს, პარლამენტში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, სამედიცინო პრაქტიკაში (სფეროში), სტატისტიკაში და ა. შ)

საკვანძო სიტყვები: ფორმალური ნეირონი, გადწყვეტილება, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები, წონითი კოეფიციენტი, კენჭისყრა, კვორუმი, ზღურბლი.

**ძირითადი ტექსტი**

განვიხილოთ გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო, პირობითად – „ქალაქი გორის საკრებულო" (ნებისმიერი მოქალაქე ასე თუ ისე ადევნებს თვალს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს სხდომებს და გადაწყვეტილებების შეფასებაში იღებს აქტიურ მონაწილეობას და გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას).

გადაწყვეტილების მისაღებად ტარდება კენჭისყრა, მანამდე უნდა იქნეს დადგენილი კვორუმი. გადაწყვეტილება მიიღება არა ნაკლები კვორუმის ხმათა რაოდენობით. გთავაზობთ მოდელს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია უფრო კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღება.

მაგალითად გორის საკრებულო შედგება 40 წევრ-დეპუტატისაგან.

ამათგან:

13 - ფრაქცია და შესაბამისად ფრაქციის თავმჯდომარე;

5 - სხვადასხვა მოქმედი კომისია და შესაბამისად 5 თავმჯდომარე;

1 - საკრებულოს თავმჯდომარე;

2 - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

19 - საკრებულოს წევრი;

პარტიულობის მიხედვით:

ქართული ოცნება - 12 დეპუტატი;

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 1 დეპუტატი;

კონსერვატიული პარტია - 1 დეპუტატი;

პატრიოტთა ალიანსი - 1 დეპუტატი;

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 3 დეპუტატი;

ევროპული საქართველო - 2 დეპუტატი;

უპარტიო 20

ძალზედ მნიშვნელოვანია დეპუტატების განათლება-კომპეტენტურობა განსახილველ კანონ-პროექტში არსებული საკითხების მიმართ. ყურადსაღებია პროფესიონალური სფეროები. მაგალითად, ზემოთხსენებულ საკრებულოში არის:

ინჟინერ-ეკონომისტი-1

ეკონომისტი-7
ისტორიკოსი-3
საინჟინრო მიმართულებით (სხვადასხვა სფეროს ინჟინერი)- 3
სტატისტიკოსი-1
იურისტი-5
საჯარო მმართველობის მიმართულების სპეციალისტი-1
სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული -პედაგოგი - 5
ჟურნალისტი 2
ბიზნესის ადმინისტრატორი - 3
სოფლისმეურნეობის სპეციალისტი, კერძოდ 2 აგრონომი
7 წევრის განათლება გაურკვეველია (დაუდგენელია).

რაში მდგომარეობ ეს მიდგომა?




*სურ.1. განსახილველი კანონპროექტისათვის დეპუტატთა-წევრთა წონითი კოეფიციენტების განსაზღვრის მოდელი*

ვთქვათ, მოვიდა „კანონპროექტი 1“, რომელიც მოიცავს რამოდენიმე სფეროს, მაგალითად: იურიდიულ სფეროს (20%), სამედიცინო სფეროს (50%) და საინჟინრო სფეროს (30%). თითოეული მათგანი მოითხოვს შესაბამის განათლებას და უარეს შემთხვევაში „დეპუტატი“ მეტ-ნაკლებად უნდა ერკვეოდეს ამ დარგებში. რასაკვირველია პროფესიონალის წონითი კოეფიციენტი ამ საკითხებთან მიმართებაში უფრო მაღალია. ერთი დარგის ორ პროფესიონალს შორისაც იქნება განსხვავება წონით კოეფიციენტებში, კოეფიციენტის განსაზღვრისას ყურადღება ექცება ასაკს, სამუშაო გამოცდილებას ამ სფეროში, „დეპუტატის“ კეთილსინდისიერებასა და სამართლიანობას, (წონითი კოეფიციენტები დროთაგანმავლობაში იცვლება) რომელიც მისი ადრე მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტი-კური მონაცემების მიღების შედეგად შეიძლება დადგინდეს. არის მოსაზრება, რომ არც ძალიან ახალგაზრდა და არც ძალზედ ხანდაზმული ადამიანის წონითი კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს მაღალი, (მაგრამ ხანდაზმულ ადამიანთან მიმართებაში არსებობს ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების დასკვნები, რომ თუნდაც ძლიერი მენტალური პრობლემების შემთხვევაშიც კი – მათ ერთადერთი რაც არ აიწყდებათ, არის პროფესიული უნარ-ჩვევები). ნულოვანი წონითი კოეფიციენტის მქონე „დეპუტატის“ გადაწყვეტილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს, ტრადიციული კენჭისყრის დროს, არასწორი გადაწყვეტილებისაკენ გადახრა, მაგრამ ამ მოდელის მეშვეობით ამგვარ, თუნდაც ოცდაათ „დეპუტატს“ ერთი კომპეტენტური „დეპუტატის“ ხმა გადაწონის, რომელიც თავის მხრივ სწორ

გადაწყვეტილებას მიაღებინებს სხდომას. თითოეულ „დეპუტატს“ უტარდება ტესტირება და დგინდება ყველა შესაძლო სფეროში მათი წონითი კოეფიციენტები. ვთქვათ, მოსულ კანონპროექტში „საკრებულოს წევრი 1“-ის წონითი კოეფიციენტი, შესაბამისად კანონპროექტში შემავალი დარგების მიხედვით არის 0.1, 0.8, 0.4. ეს მონაცემიები წარმოადგენენ ხელოვნური ნეირონის შემავალ ვექტორი. ზღურბლური ელემენტი (ფორმალური ნეირონი) ახდენს წონითი კოეფიციენტების პროცენტულ მაჩვენებელზე გამრავლებასა და გამოსასვლელზე გვაძლევს ალგებრულ ჯამს ანუ „საკრებულოს წევრი 1“-ის, „კანონპროექტი 1“-ის გადასაწყვეტად, კენჭისყრაში განისაზღვრება მისი წონითი კოეფიციენტი როგორც – 0.54, რომელიც საკმად მაღალი მაჩვენებელია, რადგან წონითი კოეფიციენტი მერყეობს 0-სა და 1-ს შორის. „საკრებულოს წევრი 2“-ს წონითი კოეფიციენტი ვთქვათ, გამოვიდა 0.11, . . . ხოლო „საკრებულოს წევრი 40“-სი არის 0.02, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების დროს არა თუ დაითვლება მხოლოდ რამდენი წინააღმდეგია და რამდენი მომხრე, არამედ დაითვლება მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა წონითი კოეფიციენტების ჯამის საშუალო არითმეტიკული ცალ-ცალკე, მაგრამ გადაწყვეტილების მისაღებად გამოდგება ის მონაცემი, რომელიც უფრო მაღალია. ამ მოდელისათვის, სამომავლოდ, იმას რასაც აკეთებს „ადამიანი-ექსპერტი“, რომ დაადგინოს კანონპროექტის შემადგენელი დარგების პროცენტულობა, შესაძლებელია ჩართული იქნეს სემანტიკური ქსელი, რომელიც თავის მხრივ შესაძლებლობას მოგვცემს მანქანური წესით იქნეს დადგენილი ზემოთ ხსენებული პარამეტრები.

ეს მოდელი უფრო მისაღებია იმ შემთხვევისთვის როდესაც საქმე გვაქვს წონითი კოეფიციენტებით მანიპულაციასთან, მაგრამ, როდესაც ადგილი აქვს გადაწყვეტილებას **ან/ან** ანუ თუ დადებითი გადაწყვეტილებაა მაშინ ენიჭება დათქმისებრ 1 და თუ უარყოფითი, მაშინ -1(0) მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში მრავალ შემსასვლელიანი ნეირონი გადაწყვეტილებას იღებს ნაკლები შეცდომის დაშვების ალბათობით.

შეცდობის აღდგენის ალბათობას ვითვლით სამი ფორმულით $C^{++}$ ენაზე დაწერილი პროგრამის მეშვეობით:

1. $$Q = \sum_{k=]n/2+1[}^{n} C_n^k q^k (1-q)^{n-k}$$

2. $$Q_{\min}^{+} = 2^{n+1} \cdot \prod_{i=1}^{n+1} \left[ \sqrt{q_i (1-q_i)} \right];$$

1. $$Q_{\min}^{+} = \exp\left( -\sum_{i=1}^{n+1} \left( \ln\left[ 2\sqrt{q_i (1-q_i)} \right] \right) \right).$$

გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ გამოთვლამ ლოგარითმული სახით ჩაწერილი ფორმულულით უკეთსი შედეგი მოგვცა:




**სურ. 2 . შეცდომის ალბათობის გამოანგარიშება სამშესაასვლელიანი ნეირონისთვის**

სამი შესასვლელისათვის, როდესაც აპრიორული ალაბათობა მივიჩნიეთ 0,5–ად, ზღურბლი $\Theta = 0$ შედეგები დაგვილაგდა შემდეგნაირად:

**გამოთვლის ფორმულა 1**

მტყუნების ალბათობა მე-1 შესასვლელისათვის q(0.5)
წონითი კოეფიციენტი მე-1 შესასვლელისათვის a(0.1)
მტყუნების ალბათობა მე-2 შესასვლელისათვის q(0.7)
წონითი კოეფიციენტი მე-2 შესასვლელისათვის a(0.8)
მტყუნების ალბათობა მე-3 შესასვლელისათვის q(0.2)
წონითი კოეფიციენტი მე-3 შესასვლელისათვის a(0.6)
სიგნალის შეცდომის აღდგენის ალბათობა Q = 0.7

**გამოთვლის ფორმულა 2**

მტყუნების ალბათობა მე-1 შესასვლელისათვის q(0.5)
წონითი კოეფიციენტი მე-1 შესასვლელისათვის a(0.1)
მტყუნების ალბათობა მე-2 შესასვლელისათვის q(0.7)
წონითი კოეფიციენტი მე-2 შესასვლელისათვის a(0.8)
მტყუნების ალბათობა მე-3 შესასვლელისათვის q(0.2)
წონითი კოეფიციენტი მე-3 შესასვლელისათვის a(0.6)
სიგნალის შეცდომის აღდგენის ალბათობა Q = 0.3

**გამოთვლის ფორმულა 3**

მტყუნების ალბათობა მე-1 შესასვლელისათვის q(0.5)
წონითი კოეფიციენტი მე-1 შესასვლელისათვის a(0.1)
მტყუნების ალბათობა მე-2 შესასვლელისათვის q(0.7)
წონითი კოეფიციენტი მე-2 შესასვლელისათვის a(0.8)
მტყუნების ალბათობა მე-3 შესასვლელისათვის q(0.2)
წონითი კოეფიციენტი მე-3 შესასვლელისათვის a(0.6)
სიგნალის შეცდომის აღდგენის ალბათობა Q = 0.2

პროგრამა საშუალებას იძლევა შეიცვალოს შესასვლელთა რაოდენობა, აპრიორული ალბათობის სიდიდე და ზღურბლი: მაგალითად ოთხი შესასვლელისათვის თუ ალბათობას ავწევთ 0,8, ხოლო ზუღურბლს შევცვლით 0–დან 0,5–მდე, გამოთვლები მიიღებს შემდეგ სახეს:




**სურ. 3. შეცდომის ალბათობის გამოანგარიშება ოთხშესაასვლელიანი ნეირონისთვის**

**გამოთვლის ფორმულა 1**

მტყუნების ალბათობა მე-1 შესასვლელისათვის q(0.5)
წონითი კოეფიციენტი მე-1 შესასვლელისათვის a(0.1)
მტყუნების ალბათობა მე-2 შესასვლელისათვის q(0.7)
წონითი კოეფიციენტი მე-2 შესასვლელისათვის a(0.8)
მტყუნების ალბათობა მე-3 შესასვლელისათვის q(0.2)

წონითი კოეფიციენტი მე-3 შესასვლელისათვის a(0.6)
მტყუნების ალბათობა მე-4 შესასვლელისათვის q(0.6)
წონითი კოეფიციენტი მე-4 შესასვლელისათვის a(0.4)
სიგნალის შეცდომის აღდგენის ალბათობა Q = 0.512

**გამოთვლის ფორმულა 2**

მტყუნების ალბათობა მე-1 შესასვლელისათვის q(0.5)
წონითი კოეფიციენტი მე-1 შესასვლელისათვის a(0.1)
მტყუნების ალბათობა მე-2 შესასვლელისათვის q(0.7)
წონითი კოეფიციენტი მე-2 შესასვლელისათვის a(0.8)
მტყუნების ალბათობა მე-3 შესასვლელისათვის q(0.2)
წონითი კოეფიციენტი მე-3 შესასვლელისათვის a(0.6)
მტყუნების ალბათობა მე-4 შესასვლელისათვის q(0.6)
წონითი კოეფიციენტი მე-4 შესასვლელისათვის a(0.4)
სიგნალის შეცდომის აღდგენის ალბათობა Q = 0.2

**გამოთვლის ფორმულა 3**

მტყუნების ალბათობა მე-1 შესასვლელისათვის q(0.5)
წონითი კოეფიციენტი მე-1 შესასვლელისათვის a(0.1)
მტყუნების ალბათობა მე-2 შესასვლელისათვის q(0.7)
წონითი კოეფიციენტი მე-2 შესასვლელისათვის a(0.8)
მტყუნების ალბათობა მე-3 შესასვლელისათვის q(0.2)
წონითი კოეფიციენტი მე-3 შესასვლელისათვის a(0.6)
მტყუნების ალბათობა მე-4 შესასვლელისათვის q(0.6)
წონითი კოეფიციენტი მე-4 შესასვლელისათვის a(0.4)
სიგნალის შეცდომის აღდგენის ალბათობა Q = 0.06

**დასკვნა**

**ძირითადი შედეგები** ეხება ზღურბლური ელემენტის სინთეზის პრობლემას, ანუ მოცემული $n$ ორობითი ცვლადის გადამრთველი ფუნქციის რეალიზაციას ერთ ზღურბლურ ელემენტზე და შესასვლელებისათვის აუცილებელი წონებისა და ზღურბლის შერჩევას. ზღურბლურ ელემენტებზე ქსელების აგების საკითხი გადაჭრილია მხოლოდ სქემების ძალზე ვიწრო კლასისათვის. მიუხედავად ჩატარებული სამუშაოს მოცულობისა, ყურადღების გარეშეა დატოვებული ზღურბლური დარეზერვების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა საინფორმაციო არხების დარეზერვებისას ჭეშმარიტი სიგნალის აღდგენის ოპტიმალურ სტრატეგიათა დამუშავება. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ზღურბლური მოდელი ჭეშმარიტი სიგნალის აღდგენის სისტემაში კი სწორედ ამ კუთხითაა საინტერესო და წარმოადგენს ჩვენი შესწავლის ობიექტს.

წარმოადგენილია ძირითადი მიზანი ზღურბური ელემენტის მიერ მიღებული $y$ გადაწყვეტილების შეცდომის $Q$ ალბათობისათვის ზუსტი ანალიზური გამოსახულების დასადგენად. (აქ $Q$ არის ალბათობა იმისა, რომ $y$ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება $x$ შემავალი სიგნალის ჭეშმარიტ მნიშვნელობას).

ასეთი მიდგომა აღმდგენი ორგანოს მუშაობის რაციონალური ორგანიზების საშუალებას იძლევა. ამოცანის გადაჭრისას ჩვენ მივმართავთ ნაშრომში მიღებულ შედეგებსა და შევეცადეთ მათი დაზუსტება.

შემთხვევითი სიდიდე, სადაც საინფორმაციო არხებზე ერთდროულად მიწოდებული ორობითი ცვლადი, რომელიც $+1$ და $-1$ მნიშვნელობებს იღებს. იგი განიხილება როგორც შემთხვევითი სიდიდე $x$ რეალიზაციებით. ჩვენი ამოცანა დაყვანილი აღმოჩნდა შემთხვევითი სიდიდის განაწილების შესწავლამდე.

ალგორითმის შესაბამის პროგრამას, რომელიც საშუალებას იძლევა ზუსტად გამოვიანგარიშოთ

სიგნალის არასწორად აღდგენის $Q$ ალბათობა, შესასვლელზე უნდა მიეწოდოს:

- ✓ ზღურბლური ელემენტის შესასვლელების $n$ რაოდენობა;
- ✓ $i$-ური შესასვლელის მიერ შეცდომის დაშვების $q_i$ $(i=\overline{1,n})$ ალბათობა და $a_i$ $(i=\overline{1,n})$ წონა;
- ✓ ზღურბლური ელემენტის გამოსასვლელზე ჭეშმარიტი $+1$ სიგნალის მიღების $q_{n+1}$ აპრიორული ალბათობა (სხვანაირად რომ ვთქვათ, ზღურბლურ ელემენტზე აღსადგენად $+1$ სიგნალის შესვლის აპრიორული ალბათობა);
- ✓ $\Theta$ ზღურბლის სიდიდე.

**გამომავალი მონაცემებია:**

- ✓ შემავალი ინფორმაცია;
- ✓ ზღურბლურ ორგანოში შესული სიგნალის არასწორად აღდგენის $Q$ ალბათობის სიდიდე.

**მიღწეულია $Q$ ალბათობის მინიმალური ზედა შეფასება.** ამავე დროს $Q$ ალბათობისათვის სასარგებლოა მინიმალური ზედა შეფასების მიიღება ჩაკეტილი ანალიზური სახით. ასეთი შეფასება, რომელიც ნაშრომშია გაკეთებული, არსებითი ხარვეზით ხასიათდება, ჩვენ ამ შეფასების მისაღებად ახალ მიდგომას ვიყენებთ.

შეცდობის აღდგენის ალბათობა $Q$ გამოვთვალეთ სამი ფორმულით C⁺⁺ ენაზე დაწერილი პროგრამის მეშვეობით:

3. $$Q=\sum_{k=]n/2+1[}^{n} C_n^k q^k (1-q)^{n-k}$$

4. $$Q^{+}_{\min}=2^{n+1}\cdot\prod_{i=1}^{n+1}\left[\sqrt{q_i(1-q_i)}\right];$$

5. $$Q^{+}_{\min}=\exp\left(-\sum_{i=1}^{n+1}\left(\ln\left[2\sqrt{q_i(1-q_i)}\right]\right)\right).$$

შედეგებმა გვიჩვენა, რომ მე–3 (ლოგარითმული სახით ჩაწერილი) ფორმულით მიღებული შედეგები უკეთესია, ვიდრე 1 და 2 ფორმულის შედეგი. პროგრამის გამართულად მუშაობის შესამოწმებლად წონით კოეფიციენტებს ვანიჭევთ ნებისმიერ მნიშვნელობას 0–დან 1–მდე, (ამ შემთხვევაში წონით კოეფიციენტებს და ალბათობას არ ვანგარიშობთ), გვაქვს საშუალება ვცვალოთ, შესასვლელთა რაოდენობა, აპრიორული ალბათობა, ზღურბლის მნიშვნელობა და $q$ ალბათობის სიდიდე.

ამ სტატიაში წარმოდგენილია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების (ორგანიზაციების) ფორმალური ნეირონის გამოყენების მოდელი. ეს მოდელი კი იძლევა საშუალებას, წინამდებარე ვარიანტისაგან განსხვავებით, წონითი კოეფიციენტების და ალბათობის გამოთვლის მეშვეობით, მიეცეს რეკომენდაციები ორგანიზაციებს, თუ როგორ მოხდეს კენჭისყრაზე დაყენებული საკითხისათვის მეტად კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Нейман Дж. Вероятностня логика и синтез надежных организмов из ненадежных компонент \\ Автоматы:Пер.с англ.-М.: ИЛ, 1956.-С.68-139;
2. Пирс У. Построение надежных вычислительных машин: Пер.с англ.-М.: -Мир, 1968-270 с.;
3. Варшавскй В.И. Функциональные возможности и синтез пороговых элементов \\ Докл.АН СССР.-1961-Т.139.-№5.С.1071-1704;
4. Дертоузос М. Пороговая логика: англ.-М.: Мир, Пер. с англ. 1966.-344 с.;
5. Qarey M. R., Johnson D. S. 1979. Computers and intrac-tality. New York: W.H. Freeman.
6. Rosenblatt F. 1962. Principles of Neurodinamics. New York: Spartan Books. (Русский перевод: Розенблатт Ф. Принципы нейродинамики. – М: Мир. – 1965.)

7. Minsky M. L, Papert S. 1969. Perseptrons. Cambridge, MA: MIT Press. (Русский перевод: Минский М. Л., Пейперт С. Персептроны. – М: Мир. – 1971.)
8. Мегрелидзе К.Р. Основные проблемы социологии мышления, “Мецниэреба”, Тбилиси, 1973.
9. Купарадзе М.Р. Структура и функции нервной системы, Москва, Сборник докладов, 1962
10. ია ირემაძე, ოლეგ ნამიჩეიშვილი, ორობითი არხების ზღურბლური დარეზერვებისას სიგნალის აღდგენის შეცდომის ალბათობის მინიმალური ზედა შეფასება. 2011 წელი (ქართული საერთშორისო ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი);

## problematic decision making in organs that make decisions using formal neurons

***Mzia Kiknadze, Professor***
***Georgian Technical University***

***Ia Iremadze, Associate Professor***
***Georgian Technical University***

***Tamar Naskidashvili, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

In this work we want to propose one version of using of artificial neuron (and not of network), for example, effective means of monitoring for decision making bodies (City Council, jury, medical practice, statistics, local assembly, etc.). Let’s consider the universally well-known decision making body – the City Council (any citizen watches city council sessions). Decision is made on the basis of polling after quorum is secured. The decision is made with the number of polls not less than quorum. We propose the model which enables to make more competent decision.

# ოპერატიული მეხსიერების მართვის პროცესების ვიზუალიზების მოდელირება

*კიკნაძე მზია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*სამხარაძე რომანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*გაჩეჩილაძე ლია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში შემოთავაზებულია ახალი მიდგომა ოპერატიული მეხსიერების მართვის ვიზუალიზების საკითხებისადმი. შემოთავაზებულია შესაბამისი მოდელი, რომელიც სამ დაშვებას ეფუძნება: 1. ცნობილია სისტემაში თითოეული პროცესის შემოსვლის დრო; 2. ცნობილია თითოეული პროცესის მიერ მოთხოვნილი მეხსიერების ზომა და მოთხოვნის დრო; 3. ცნობილია ოპერაციული სისტემის მიერ პროცესისათვის გამოყოფილი მეხსიერების ზომა. პროცესი წარმოდგენილია ობიექტის სახით, რომელსაც შემდეგი მახასიათებლები აქვს: ლოდინის დრო, აქტიურობის დრო, მოთხოვნილი მეხსიერების ზომა და პრიორიტეტი. ასეთი მიდგომა ერთნაირად ეფექტურია ოპერატიულ მეხსიერებაში ინფორმაციის განლაგების სამივე სტრატეგიების ვიზუალიზებისა და სწავლებისთვის. შემუშავებული მოდელისა და მიდგომების გამოყენება შესაძლებელია ოპერაციული სისტემის ბირთვის ისეთი ფუნქციების ვიზუალიზებისთვის, როგორიცაა: პროცესორების დატვირთვის დაგეგმვა, პროცესების მდგომარეობების ცვლილება, რესირსების განაწილების მართვა, მაგნიტური დისკების მართვა და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ოპერატიული მეხსიერება, ლოდინის დრო, აქტიურობის დრო, მოთხოვნილი მეხსიერების ზომა, პრიორიტეტი, მართვის სტრატეგიები.

**ძირითადი ტექსტი**

როგორც ცნობილია, ოპერაციული სისტემის დისპეტჩერი მრავალ ფუნქციას ასრულებს, რომელთა შორისაა კომპიუტერის აპარატურული ნაწილის, კერძოდ კი - ოპერატიული მეხსიერების მართვა [1-3]. რადგან, დისეტჩერის ეს და სხვა ფუნქციები ადამიანის თვალისთვის უხილავია, ამიტომ მათი მაღალ დონეზე სწავლება მოითხოვს ვიზუალიზების შესაბამისი მოდელებისა და მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ ოპერატიული მეხსიერების მართვის მოდელირება უნდა გავაკეთოთ შემდეგი დაშვებები [4-6]:

1.ვიცით სისტემაში თითოეული პროცესის შემოსვლის დრო.

2.ვიცით თითოეული პროცესი როდის და რა ზომის მეხსიერებას მოითხოვს.

3.ვიცით ოპერაციული სისტემის მიერ პროცესისთვის გამოყოფილი მეხსიერების ზომა.

ამ დაშვებების გათვალისწინებით მომლოდინე პროცესები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი მიმდევრობის სახით:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| $P_1(t_{ლ1}, t_{ა1}, z_1)$ | $P_2(t_{ლ2}, t_{ა2}, z_2)$ | $P_3(t_{ლ3}, t_{ა3}, z_3)$ | . . . | $P_i(t_{ლi}, t_{აi}, z_i)$ | * |

პროცესი წარმოვადგინოთ ობიექტის სახით. მას აქვს შემდეგი მახასიათებლები: ლოდინის დრო, აქტიურობის დრო, მოთხოვნილი მეხსიერების ზომა და პრიორიტეტი. როგორც ვხედავთ, მიმდევრობის პირველი ელემენტი შეიცავს ინფორმაციას პირველი პროცესის შესახებ, მეორე ელემენტი - მეორე პროცესის შესახებ და ა.შ. მიმდევრობის პირველ ელემენტში მოთავსებულია Pi(tლi, tაi, zi). აქ Pi არის i-ური პროცესის იდენტიფიკატორი. tლi არის i პროცესის ლოდინის

დრო. $t_a$ არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც i პროცესი იკავებს ოპერატიული მეხსიერების $z_i$ ზომის უბანს. განვიხილოთ კომპიუტერული სცენარი. დავუშვათ გვაქვს პროცესების შემდეგი მიმდევრობა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| $P_1$(0,3,100) | $P_2$(0,1,250) | $P_3$(2,5,230) | $P_4$(1,2,110) | $P_5$(0,1,180) | * |

მიმდევრობის პირველ ელემენტში მოთავსებულია "$P_1$(0,3,100)". ეს იმას ნიშნავს, რომ $P_1$ პროცესი დროის 3 ერთეულის განმავლობაში ითხოვს მეხსიერების 100 ერთეულს და იღებს მას თუ არსებობს მეხსიერების შესაბამისი ზომის უბანი. 100 ერთეული შეიძლება იყოს 100 კილობაიტი ან 100 მეგაბაიტი და ა.შ. $P_1$ პროცესი მზა პროცესების რიგში დაუყოვნებლივ დგება, რადგან მისი ლოდინის დრო 0-ის ტოლია. სისტემაში დაუყოვნებლივ შემოდის, აგრეთვე, $P_2$ პროცესი, რომელიც დროის 1 ერთეულის განმავლობაში ითხოვს მეხსიერების 250 ერთეულს. $P_2$ პროცესი იღებს მას თუ არსებობს ამ ზომის უბანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი ელოდება მეხსიერების საჭირო ზომის უბნის გათავისუფლებას. დროის 2 ერთეულის გავლის შემდეგ სისტემაში $P_3$ პროცესი შემოდის. დროის კიდევ 1 ერთეულის გავლის შემდეგ სისტემაში $P_4$ პროცესი შემოდის. $P_4$ პროცესთან ერთად სისტემაში შემოდის, აგრეთვე, $P_5$ პროცესი, რადგან მისი ლოდინის დრო 0-ის ტოლია. როგორც კი ამოიწურება $P_1$ პროცესისათვის გამოყოფილი დროის 3 ერთეული, ის ათავისუფლებს მის მიერ დაკავებული მეხსიერების 100 ერთეულს და გადის სისტემიდან.

პროცესის შესრულების ასეთი სახით წარმოდგენა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პროცესის შესრულებისა და მისთვის მეხსიერების საჭირო ზომის უბნის გამოყოფის გამარტივებული იმიტაციური მოდელი. იგი საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ პროცესისათვის მეხსიერების საჭირო ზომის უბნის გამოყოფის ვიზუალიზების ალგორითმები.

შემოვიტანოთ აღნიშვნები. i-ური პროცესი i-ით აღვნიშნოთ. პროცესების მაქსიმალური რაოდენობა $N^{max}$-ით აღვნიშნოთ. პროცესებს შეიძლება ჰქონდეთ თანაბარი ან არათანაბარი პრიორიტეტები. i- ური პროცესის პრიორიტეტი $\Pi_i$- ით აღვნიშნოთ. $A_ს$-ით აღვნიშნოთ პროცესის მიერ დაკავებული მეხსიერების უბნის საწყისი მისამართი. $A_ბ$-ით აღვნიშნოთ პროცესის მიერ დაკავებული მეხსიერების უბნის ბოლო მისამართი. შესაბამისად, $P_1$ პროცესის მიერ დაკავებული მეხსიერების უბნის საწყისი მისამართი იქნება $A_{ს1}$, ბოლო მისამართი კი - $A_{ბ1}$. $P_2$ პროცესის მიერ დაკავებული მეხსიერების უბნის საწყისი მისამართი იქნება $A_{ს2}$, ბოლო მისამართი კი - $A_{ბ2}$ და ა.შ. F- ით აღვნიშნოთ პროცესების მოსათავსებლად გამოყოფილი ოპერატიული მეხსიერების თავისუფალი უბნის ზომა. $F_ს$- ით აღვნიშნოთ თავისუფალი უბნის საწყისი მისამართი. $F_ბ$-ით აღვნიშნოთ თავისუფალი უბნის ბოლო მისამართი. თუ თავისუფალი უბანი რამდენიმეა, მაშინ პირველი უბნის ზომა იქნება $F_1$, მეორე უბნის ზომა იქნება $F_2$ და ა.შ. შესაბამისად, პირველი უბნის საწყისი და ბოლო მისამართები იქნება $F_{ს1}$ და $F_{ბ1}$, მეორე უბნის საწყისი და ბოლო მისამართები შესაბამისად იქნება $F_{ს2}$ და $F_{ბ2}$ და ა.შ.

მეხსიერებაში ინფორმაციის განლაგების სტრატეგიების მოდელირება შესაძლებელია შემდეგნაირად.

სტრატეგია პირველი შესაფერისი. პროცესისთვის გამოიყოფა პირველვე თავისუფალი უბანი, რომელშიც ის მოთავსთდება. ანუ თავისუფალი უბნების სიმრავლიდან $F = \{ F_1, F_2, F_3, \dots , F_j \}$ პროცესს გამოეყოფა პირველივე მისაღები - $F_1$. აქ იგულისხმება, რომ ყოველი $F_k$-თვის, $F_k \in F$, სრულდება პირობა $F_k \geq z_i$. ეს იმას ნიშნავს, რომ განხილული იქნება მეხსიერების ის თავისუფალი უბნები, რომელთა ზომა მეტი ან ტოლია კონკრეტული პროცესის ზომაზე.

სტრატეგია ყველაზე შესაფერისი. პროცესისთვის გამოიყოფა ის თავისუფალი უბანი, რომელის ზომა ყველაზე მეტად არის ახლოს ამ პროცესის ზომასთან. გამოითვლება სხვაობები თითოეული თავისუფალი უბნის ზომასა და მოცემული პროცესის ზომას შორის, $D_k = F_k - z_i$. მიღებული სხვაობების სიმრავლიდან $D = \{ D_1, D_2, D_3, \dots , D_j \}$ პროცესს გამოეყოფა მინიმალური:

$$F^{min}{}_k = \min \{ D_1, D_2, D_3, ... , D_j \}.$$

აქ იგულისხმება, რომ ყოველი $F_k$-თვის, $F_k \in F$, სრულდება პირობა $F_k \geq z_i$. ეს იმას ნიშნავს, რომ განხილული იქნება მეხსიერების ის თავისუფალი უბნები, რომელთა ზომა მეტი ან ტოლია კონკრეტული პროცესის ზომაზე.

სტრატეგია ნაკლებად შესაფერისი. პროცესისთვის გამოიყოფა ის თავისუფალი უბანი, რომელის ზომა ყველაზე ნაკლებად არის ახლოს ამ პროცესის ზომასთან. გამოითვლება სხვაობები თითოეული თავისუფალი უბნის ზომასა და მოცემული პროცესის ზომას შორის, $D_k = F_k - z_i$. მიღებული სხვაობების სიმრავლიდან $D = \{ D_1, D_2, D_3, ... , D_j \}$ პროცესს გამოეყოფა მაქსიმალური:

$$F^{max}{}_k = \max \{ D_1, D_2, D_3, ... , D_j \}.$$

აქ იგულისხმება, რომ ყოველი $F_k$-თვის, $F_k \in F$, სრულდება პირობა $F_k \geq z_i$ . ეს იმას ნიშნავს, რომ განხილული იქნება მეხსიერების ის თავისუფალი უბნები, რომელთა ზომა მეტი ან ტოლია კონკრეტული პროცესის ზომაზე.

პროცესების ანუ ობიექტების ზომებსა და მეხსიერების თავისუფალი უბნის ზომას შორის არსებობს შემდეგი კავშირი. მეხსიერებაში პროცესის მოთავსების დროს შესაბამისად მცირდება მეხსიერების ზომა, $F = F - z_i$.

რაც შეეხება თავისუფალი უბნების ერთ უბნად გაერთიანებას, ის შემდეგნაირად სრულდება. თუ თავისუფალი უბანს მოსდევს პროცესის მიერ დაკავებული უბანი, მაშინ ისინი ადგილებს ცვლიან. გადაადგილება სრულდება მანამ, სანამ გადაადგილებული თავისუფალი უბანი არ აღმოჩნდება მომდევნო თავისუფალი უბნის გვერდით. შემდეგ ერთიანდება ეს ორი მეზობელი უბანი და იწყება ამ მიღებული უბნის გადაადგილება. ეს პროცესი სრულდება მანამ, სანამ მეხსიერებაში არ დარჩება ერთი თავისუფალი უბანი, რომლის შემდეგ არც ერთი პროცესი აღარ იქნება მოთავსებული, ანუ ის დაიკავებს მეხსიერების უფროს მისამართებს.

მოყვანილი მოდელის საფუძველზე შემუშავებულია შესაბამისი ალგორითმები და პროგრამული საწვრთნელი.

**დასკვნა**

ამრიგად, სტატიაში შემოთავაზებულია ოპერატიული მეხსიერების მართვის ვიზუალებისთვის შემუშავებული მოდელი. მისი საშუალებით შესაძლებელია პროცესებისთვის ოპერატიული მეხსიერების გამოყოფის პრინციპების: &ქუოტ;პირველი შესაფერისი&ქუოტ;, &ქუოტ;ყველაზე შესაფერისი&ქუოტ; და &ქუოტ;ნაკლებად შესაფერისი&ქუოტ; ვიზუალიზება. მოდელის გამოყენება იძლევა შესაბამისი კომპიუტერული სცენარების, ალგორითმებისა და პროგრამული საწვრთნელის შემუშავების შესაძლებლობას.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Дейтел. Г. Введение в операционные системы: В 2-х т. Т. 1. Пер. с англ. - М.: Мир, 1987. - 359 с., ил.
2. Дейтел. Г. Введение в операционные системы: В 2-х т. Т. 2. Пер. с англ. - М.: Мир, 1987. - 398 с., ил.
3. Таненбаум Э. Современные операционные системы. - СПб.: Питер, 2002. - 1040 с., ил. 1985. - 176 с.
4. რ. სამხარაძე. პეტრის ქსელები კომპიუტერულ სწავლებაში (მონოგრაფია). თბილისი, "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2007. 156 გვ.
5. რ. სამხარაძე, ლ. გაჩეჩილაძე. იმიტაციური მოდელები კომპიუტერულ სწავლებაში(მონოგრაფია). თბილისი,"ტექნიკური უნივერსიტეტი".2008.124 გვ.
6. რ. სამხარაძე, ლ. გაჩეჩილაძე, მ. ქურდაძე. რიგების თეორიის გამოყენება კომპიუტერულ სწავლებაში (მონოგრაფია). თბილისი, სტუ-ს “IT- კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი”, 2017. 93 გვ.


## Modelling visualization of management of operative memory


***Mzia Kiknadze, Professor***
***Georgian Technical University***

***Roman Samkharadze, Professor***
***Georgian Technical University***

***Lia Gachechiladze, assistant-Professor***
***Georgian Technical University***

**Summary**

In article the new approach to questions of visualisation of management operative memory is offered. It is offered corresponding model which is based on three assumptions: 1. it is known receipt time in system of each process; 2. the size of memory requested by process and inquiry time is known; 3. the size of memory allocated to process by operative system is known. Process is presented as the object, having following characteristics: waiting time, activity time, the size requested memory and priorities. Such approach is equally effective for visualization and training of all three strategies of management by operative memory. The offered approach and model, also it is possible to use for visualization of other functions of a kernel of an operating system: planning of loadings of processors, changes of conditions of processes, distribution of resources, management of disks etc. On the basis of the offered model corresponding algorithms and a program training apparatus are developed. The training apparatus can be used in the course of training of students in a subject "operating systems".

Key words: Random access memory, wait time, active time, required memory, priority, control strategy.

# სასამართლო საქმეების ავტომატური განაწილების სისტემა

*კობიაშვილი ანა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*მაისურაძე ზურაბი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის შემუშავება ბოლო წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეფორმას წარმოადგენს, რომელმაც უნდა უპასუხოს არაერთ გამოწვევას სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით. მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების წესი, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოფდეს საქმეთა მიუკერძოებლად განხილვას, პროცესის გარეშე ჩარევებისაგან დაცვას, ასევე, მართლმსაჯულების დროულად და ეფექტიანად განხორციელებას და მოსამართლეებს შორის შრომის სამართლიან განაწილებას.

საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი სისტემა ეფუძნება სასამართლოში შესული საქმეების შემთხვევითი განაწილების პრინციპს მოსამართლეებს შორის. ეს წესი შემუშავდა მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. კანონპროექტის განხილვის ეტაპზე ვენეციის კომისიის მიერ დადებითად შეფასდა საქმეთა ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების ინიციატივა, თუმცა რეფორმის საწყის ეტაპზე და შემდგომშიც მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფები არ აფიქსირებდნენ ცალსახა მხარდაჭერას აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით. ამ და სხვა საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის გამო, “მესამე ტალღის” რეფორმით გათვალისწინებული რიგი პოზიტიური ცვლილებების ამოქმედება მნიშვნელოვნად გაჭიანურდა. შედეგად, საქმის განაწილების ახალი წესი თავდაპირველად დაინერგა რუსთავის საქალაქო სასამართლოში და საქართველოს მასშტაბით, ახალი წესით საქმეთა განაწილების წესი ამოქმედდა მხოლოდ 2017 წლის 31 დეკემბრიდან.

მსგავსი სისტემის არსებობა ქვეყანაში ხელს შეუწყობს იმ პრობლემების აღმოფხვრას, რომლებიც სასამართლო სისტემაში არსებობდა, და უფრო მეტ ნდობას გამოიწვევს საზოგადოებაში მოსამართლეების მიმართ, რადგან საქმე არა კონკრეტულ ლოიალურ მოსამართლეს გადაეცემა, არამედ კონკრეტულ სპეციალიზაციაში მომუშავე ალბათობით შერჩეულ მოსამართლეს და არ გახდება დავის საგანი მოსამართლის ობიექტურობა.

სტატიაში განხილულია ავტომატური განაწილების სისტემის მუშაობის პრინციპი, მისი დადებითი მხარეები და ასევე პრაქტიკაში მიღებული გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო, ავტომატური განაწილება, ელექტრონული საქმისწარმოება.

**ძირითადი ტექსტი**

მოსამართლეთა მიუკერძოებლობის, მათი თანაბარი დატვირთვის უზრუნველყოფისა და საქმეთა განაწილების პროცესში თავმჯდომარის როლის შემცირების მიზნით, მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში, საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“, შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც 2017 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით.

აღნიშნული რეფორმის მთავარი მიზანია დროული და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება და მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეფორმა ამ მიმართულებით ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯია, თავად პროგრამის ფუნქციონირების სამართლებრივი რეგულირება არ არის სრულყოფილი, რასაც ის

ფაქტიც ადასტურებს, რომ მისი პრაქტიკაში ამოქმედებიდან მცირე ხანში ამ რეფორმაში საკმაოდ ბევრი ცვლილების შეტანა გახდა საჭირო. ორგანული კანონით საქმეთა ელექტრონული სისტემით განაწილების წესის შემუშავების უფლებამოსილება მთლიანად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ენიჭება. მნიშვნელოვანია, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვა დადებითად შეაფასა ვენეციის კომისიამ, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ აუცილებელია კანონშივე დეტალურად გაიწეროს ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და სისტემის დროებითი შეფერხებისას მოქმედი წესები.

2017 წლის პირველი მაისის N1/56 გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონუ-ლი სისტემის მეშვეობით საქმეთა განაწილების წესი", რომლითაც რეგულირდება სისტემის მეშვეობით მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, შემთხვევითი რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე. სასამართლოებში საქმეები მოსამართლეებს შორის სპეციალიზაციის მიხედვით ნაწილდება. ზოგადი წესის თანახმად, მოსამართლეთათვის საქმეთა შეძლებისდაგვარად თანაბარ განაწილებას პროგრამა უზრუნველყოფს. სისტემა აღნუსხავს განაწილებულ საქმეთა საშუალო მაჩვენებელს, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობას, შემთხვევითი შერჩევის შედეგად გენერირებულ რიცხვს და ახდენს ყველა ამ პარამეტრის ლოგირებას.

სისტემის დანერგვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქმეთა განაწილების პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის როლის მაქსიმალურად შემცირება იყო, რამდენადაც სისტემის დანერგვამდე სასამართლოებში საქმეთა განაწილების ექსკლუზიური უფლებამოსილება სწორედ სასამართლოების თავმჯდომარეებს ჰქონდათ მინიჭებული, რაც იმაში დაეჭვების საფუძველს ჰქმნიდა, რომ კონკრეტული საქმე, რომლის მიმართაც არსებობდა გარკვეული დაინტერესება, სასურველი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, წინასწარ შერჩეულ ლოიალურ მოსამართლეს დაეწერებოდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილებით და შემდგომ მასში 24 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით, დაამტკიცა საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი.

ზოგადი წესის მიხედვით, მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე. რაც შეეხება ზოგადი წესიდან საგამონაკლისო შემთხვევებს, საბჭოს გადაწყვეტილებით, შემთხვევითი განაწილების პრინციპი არ ვრცელდება, მაგალითად, იმ შემთხვევაზე, როდესაც:

- რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა;
- სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სარჩელი განმეორებით არის წარდგენილი;
- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე წარდგენილია საჩივარი;
- გადაწყვეტილებაში უსწორობათა ან აშკარა არითმეტიკული შეცდომების შესახებ წარდგენილია შესაბამისი განცხადება და სხვ.

საერთო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა სპეციალიზაციის მიხედვით, შერჩევის შედეგის ამსახველი დოკუმენტი კი დაერთვის საქმეს.

იმ რაიონულ (საქალაქო სასამართლოებში), სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სასამართლო კოლეგიებში დადგენილია მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, საქმეები ნაწილდება შესაბამისი კოლეგიის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის. ხოლო იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც არ არის შექმნილი სასამართლო კოლეგიები, საქმეები ნაწილდება შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის.

პრობლემურია რეგულაცია, რომლის თანახმადაც, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას, სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შე-

მადგენლობას, მიუხედავად იმისა, რომ წესის თანახმად უზრუნველყოფილია კოლეგიაში საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობა. აღნიშნული ჩანაწერი 24 ივლისს განხორციელებული ცვლილებების ერთ-ერთი შედეგია. თავდაპირველი რედაქციით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას ელექტრონულ სისტემას უნდა უზრუნველეყო საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა შერჩევა.

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის კოლეგიურად განხილვისას საქმე ნაწილდება სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე და ამ მოსამართლის შესაბამის კოლეგიაზე. ეს საკითხიც განსხვავებულად იყო დარეგულირებული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თავდაპირველი რედაქციით. კერძოდ, საქმე უნდა განაწილებულიყო სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე, ხოლო ელექტრონულ სისტემას დამატებით უნდა უზრუნველეყო შესაბამისი კოლეგიის/პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა შერჩევა.

საქმეთა განაწილების ელექტრონულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთათვის საქმეთა არა მხოლოდ შემთხვევითი, არამედ შეძლებისდაგვარად თანაბარი განაწილება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული წესის თანახმად, სისტემა აფიქსირებს განაწილებულ საქმეთა საშუალო მაჩვენებელს, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობას, შემთხვევითი შერჩევის შედეგად გენერირებულ რიცხვს და ახდენს ყველა ამ პარამეტრის ლოგირებას. შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობას შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამს. პრობლემურია, რომ წესი არ ითვალისწინებს საქმის წონის დადგენის სამართლიან და ობიექტურ პრინციპს და საქმეთა თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას მხოლოდ საქმეთა რაოდენობრივ მაჩვენებელს აფუძნებს.

სამუშაო გარემო შექმნილია Microsoft Windows Forms, C# დაპროგრამების ენაზე. გამოყენე-ბულია .Net Framework 4.5. .Net Framework 4.5. არის Microsoft-ის მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის ფრეიმვორკი, რომელიც შეიცავს პროგრამული კლასების დიდ ბიბლიოთეკას და უზრუნველყოფს დაპროგრამების რამდენიმე ენის ინტეროპერაბელობას (დაპროგრამების თითოეულ ენას შეუძლია გამოიყენოს სხვა ენაზე დაწერილი კოდი). ასევე გამოყენებულია დამხმარე ბიბლიოთეკა DevExpress WinForms v.17 სამუშაო გარემოში ხდება მომხმარებელთა ქმედებების ლოგირება – დამატება/ცვლილება/ წაშლა და დათვალიერება. ასევე ხორციელდება მომხმარებლის გარემოში მომხდარი შეცდომების ლოგირება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

ავტორიზაცია – საქმის ელექტრონული განაწილების მოდული ჩაშენებულია საქმის წარმოების პროგრამაში, რომელსაც გააჩნია ავტორიზაციის ფუნქცია. შესაბამისად, განაწილების მოდული დამოუკიდებელ (ცალკე) ავტორიზაციას არ საჭიროებს.

ვებ-სერვისი ეფუძნება Microsoft WCF (Windows Communication Foundation) დაპროგრამების ენას. მასშიც გამოყენებულია .Net Framework 4.5.

სერვისების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია Windows Authentication და ტოკენებზე დაფუძნებულია აუთენტიფიკაცია (Token Based Authentification). საქმის შემთხვევითი (ალბათური) განაწილების ფუნქციისათვის სერვისი იყენებს Microsoft-ის ჩაშენებულ „Random" ბიბლიოთეკას.

სისტემა შედგება 2 ძირითადი მოდულისაგან (**საქმის განაწილება და სისტემის ადმინის-ტრირება**), რომლებიც ჩაშლილია ქვემოდულებად.

საქმის განაწილებაში შედის: **ალბათობით განაწილება, მორიგეობით განაწილება, გამონაკლისი წესით განაწილება, მაგისტრ მოსამართლეზე განაწილება, წესის გარეშე განაწილება.**

სისტემის ადმინისტრირებაში შედის: **ცნობარები, სტატისტიკა, მომხმარებლების ადმინის-ტრირება.**

**ალბათობით განაწილება** გულისხმობს საქმის განაწილებას ელექტრონული სისტემის მიერ ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე.

**მორიგეობით განაწილება** უზრუნველყოფს იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ადმინის-ტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დგინდება მორიგეობა და არასამუშაო და სამუშაო საათებში აღნიშნული საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით. ამ შემთხვევაში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტის „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის მიხედვით" ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე არ ვრცელდება საქმეთა განაწილების შემთხვევითი პრინციპი; ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქმე უნდა განაწილდეს **გამონაკლისი წესით**.

იმ შემთხვევში, თუ საქმე უნდა განიხილოს მაგისტრმა მოსამართლემ, საქმის განაწილების პრინციპებიდან უნდა ავირჩიოთ **„მაგისტრ მოხელეზე განაწილება".**

იმ შემთხვევში, თუ საქმე უნდა განაწილდეს სასამართლოში, სადაც კონკრეტულ კოლეგიაში ან/და სპეციალიზაციაში მხოლოდ ერთი მოსამართლეა, მაშინ საქმის განაწილების პრინციპებიდან უნდა ავირჩიოთ **„წესის გარეშე"** განაწილება.

თავდაპირველად აუცილებელია **ცნობარების** ნაწილის შევსება. ცნობარების ნაწილში შეყვანილია ყველა მონაცემის ტიპი (საბაზისო მონაცემი) რაც შემდეგ გამოყენებული იქნება საქმის განწილების ნაწილში:

- სასამართლოები – სისტემაში არსებული ყველა სასამართლო;
- მოსამართლეები – სისტემაში არსებული ყველა მოსმართლის მოანაცემი (სახელი, გვარი, იმ სასამართლოს დასახელება, სადაცაა ის მიმაგრებული);
- მოსამართლის ტიპები – საქმის განაწილების წესის შესაბამისად მოსმართლის ტიპი დატვირ-თულობის მიხედვით. მოსამართლეს პროგარმულად შესაძლებელია მიენიჭოს შემდეგი ტიპის დატვირთულობა:
  - საბჭოს წევრის მოსამართლე – 20%;
  - საბჭოს წევრი, სასამართლოს პალატის/კოლეგიის თავმჯდომარე – 10%;
  - თავმჯდომარე ( 7-ზე მეტი მოსამართლე ) 20%;
  - თავმჯოდომარე 7 ნაკლები მოსამართლე 50%;
  - საბჭოს მდივანი 5%;
  - ახალი მოსმართე +75%;
  - ახალი მოსამართლე +100 %;
  - საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 5%;
- საქმის კატეგორიები
  - სისხლის სამართლის;
  - სამოქალაქო სამართლის;
  - ადმინისტრაციული სამართლის.
- გამონაკლისი შემთხვევა – კოლეგიების ჭრილში საქმეთა განაწილების წესის მე-3 მუხლის, მე-2 და მე-3 პუნქტში არსებული ყველა გამონაკლისი შემთხვევის ჩამონათვალი;
- შვებულების ტიპი – საქმეთა განაწილების წესის მე-5 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტის მიხედვით;
- საქმის განხილვის დრო – საქმის განხილვის დრო ძირითად დაყოფილია ორ ტიპად :
  - 72 საათზე მეტი განსახილველი საქმეები;
  - 72 საათზე ნაკლები განსახილველი საქმეები.

**სტატისტიკის** ფორმიდან (ფორმა) შესაძლებელია განაწილებული საქმეების მონიტორინგი და კლასიფიკაცია სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. სტატისტიკის ფორმაში განაწილებული საქმეების გამოჩენა ხდება არჩეული სასამართლოს და თარიღის მიხედვით. შესაძლებელია სტატიტიკაში მოცემული ინფორმაციის ფილტრაცია ნებისმიერი გამოტანილი პარამეტრის მიხედვით (საქმის ნომერი. მოსამართლე, განაწილების ტიპი, სპეციალიზაცია). ექსპორტირების

საშულებით ხდება სტატიკის გადატანა ექსელის ფორმატში.

**მომხმარებლების მართვაში** მოდულში ხდება კონკრეტული სასამართლოსთვის სხვადასხვა უფლებების მინიჭება.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. https://emc.org.ge/ka/products/sakmis-ganatsilebis-akhali-sistema-sasamartloshi
2. http://hrm.org.ge/ge/activity/sasamartloshi-sakmeta-shemtkhvevitobis-printsipze-dapudznebuli-elektronuli-ganacilebis
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=33
4. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)031-geo გვ.24
5. რ.ქუთათელაძე, ა.კობიაშვილი, მ.მელიქიძე. ელექტრონული სერვისების როლი საქართველოს რეალობაში. სტუ, შრომები, #3(503), თბილისი, 2018, გვ. 79-86.

## Court Random Case Distribution System

***Ana Kobiashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Zurab Maisuradze, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

The elaboration of a new system of distribution of cases in common courts is one of the most important reforms of recent years, which should answer many challenges to the impartiality and independence of the court. The rule of distribution of cases among the judges must first of all be considered impartially reviewing cases, protection against interference without trial, as well as timely and efficient implementation of justice and fair distribution of labor among judges. The new system of electronic distribution is based on the principle of random distribution between the judges. This rule was developed in the framework of the "Third Wave" of Justice Reform in order to improve the existing gaps in the current legislation. At the stage of discussion of the draft law, the Venice Commission positively assessed the distribution of cases through the electronic system, but the judges' influential groups at the initial stage of the reform did not indicate unequivocal support for the initiative. It should be noted that due to the differences in these and other issues, the introduction of a number of positive changes provided by the "Third Wave" reform has been significantly delayed. As a result, the new rule of distribution was originally introduced in the Rustavi City Court and the rule of distribution of new rules was introduced only on December 31, 2017.

The existence of such system in country will help to eliminate problems in judiciary system and put more trust in judges in the eyes of society, because the case will not be handed to particular loyal judge, so judge’s objectivity is more likely not to become the object of a dispute.

The article deals with the principle of automated distribution system, its advantages and experience in practice.

Keywords: court, random distribution, electronic case management.

## გლობალიზაცია და კონკურენცია მომსახურების სფეროში

*მალანია ელისაბედი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ქვარაია ირაკლი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ქუთათელაძე ქეთევანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

### აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია: გლობალიზაციისა და კონკურენციის საკითხები მომსახურების სფეროში; მსოფლიოს მეცნიერთა გამოკვლევები; უკანასკნელ წლებში მომსახურების სექტორში განხორციელებული ცვლილებები; გლობალიზაციის დროს გაზრდილი მოთხოვნილება მომსახურებაზე და მისი როლის ამაღლების მიზეზები; მომსახურების სფეროში საერთაშორისო კონკურენციის მასშტაბების სერიოზულობა და სტიმულირების მიზეზები.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; კონკურენცია; მომსახურების სფერო; ეროვნული კონკურენტული უპირატესობა; ურბანიზაცია, ტურისტული პროდუქტი.

### ძირითადი ტექსტი

გლობალიზაციის პირობებში მომსახურების სფეროში კონკურენციის კვლევა იმდენად აქტუალურია, რომ არ შეიძლება გულგრილი დარჩეს კომერციისა და ბიზნესის საკითხებით დაინტერესებული რომელიმე ქვეყანა ან ფირმა. ცხოვრებამ უჩვენა საზოგადოებას, რომ იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო მომსახურების ბაზარი იძენს საყოველთაო აღიარებას, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე პირდაპირ კავშირშია ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა: ადამიანთა ცხოვრების დონე, წარმოების ეფექტიანობა, პროდუქციის ხარისხი, კონკურენტუნარიანობა და სხვა.

მსოფლიოს მეცნიერთა გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ არ არის არც ერთი ქვეყანა, რომელიც კონკურენტუნარიანია ეკონომიკის ყველა დარგში და ამასთანავე, დიდხანს გააჩნდეს კონკურენტული უპირატესობის გარანტიები ხანგრძლივი შემოქმედებითი და მიზანმიმართული მუშაობის გარეშე . არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მიაღწიოს და შემდგომ მუდმივად შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა. ამავე დროს ცხადია, ნებისმიერი ქვეყანა ვერ მიაღწევს წარმატებას ყველა დარგსა და სფეროში. კონკურენტული უპირატესობის დაკარგვა თავისთავად არასასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ არა საგანგაშო. უფრო მნიშვნელოვანია დაკარგული პოზიციების ხასიათისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა.

მომსახურება დიდი ხანია წარმოადგენს ბევრი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. მომსახურების სფეროში ყოველთვის არსებობს განსაზღვრული კონკურენცია. კომპანიები კონკურენციას უწევიან ერთმანეთს ტურისტების გადაყვანის, მომსახურების, დაზღვევის და სერვისის სხვა დარგებში. თუმცა კონკურენცია, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ძირითადად ატარებდა ქვეყნის შიდა ხასიათს. ვაჭრობა მომსახურებით იყო შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი.

უკანასკნელ წლებში ამ დარგებში მოხდა სერიოზული ცვლილებები. მომსახურების სექტორი მნიშვნელოვნად და შესამჩნევად გაიზარდა, ამაღლდა მისი ხვედრით წილი ყველა განვითარებული ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში.

დასავლეთის მკვლევარები მომსახურების ბაზარს განიხილავენ, როგორც მუდმივად სრულყოფილ, დინამიურ ორგანიზმს. ქვეყნებისა და ფირმებისათვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა უზრუნველყოფს ბაზრის ცივილიზებულ და დინამიურ განვითარებას გლობალიზაციის პირობებში, რომლის საკვანძო ელემენტია ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული პრიორიტეტები და მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეროვნული კონკურენტული

უპირატესობებით ტურისტული პროდუქტის წარმოების დარგებში. მაგალითად ბრიტანულ ტურისტულ ფირმებს მტკიცე პოზიცია უკავიათ დაზღვევასა და სააუქციონო ვაჭრობაში, ამერიკულ ფირმებს ეკუთვნით ლიდერობა სასტუმრო მეურნეობის მართვაში, რეკლამასა და მომსახურების სხვა სფეროში.

იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდება საერთაშორისო კონკურენცია მომსახურების სფეროში, ვითარდება და სულ უფრო რთული, მრავალფეროვანი ხდება ეროვნული კონკურენტული უპირატესობა მოცემულ დარგში და დიდ მნიშვნელობას იძენს, როგორც ცალკეული ფირმებისათვის, ასევე მთელი ქვეყნისათვის.

საერთაშორისო კონკურენციის საკითხების შესწავლა და ანალიზი გლობალიზაციის პირობებში საჭიროა იმისათვის, რომ მიუხედავად ქვეყნის ეროვნული თავისებურებების, არ შეიძლება მსოფლიო გამოცდილების იგნორირება. ამასთანავე, ქვეყნის სავიზიტო ბარათი საერთაშორისო ასპარეზზე განისაზღვრება მისი ხვედრითი წილით, მსოფლიო ეკონომიკურ დარგებში კონკურენტული უპირატესობის არსებობით და მისი განვითარების უნარით, იმ შესაძლებლობით, რაც ვლინდება სოციალურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე ადექვატური პასუხების გაცემაში.

ცნობილია, რომ ტერმინი „ მომსახურება “ - მოიცავს დარგების ფართო სპექტრს, რომლებიც მყიდველებისათვის ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას. მომსახურება შეიძლება დაიყოს : ცალკეული პირებისათვის გაწეული მომსახურება, რომელიც წარმოჩინდება ბიზნესის სხვადასხვა სახით . მიუხედავად დარგის სიდიდისა და სხვადასხვაგვარობისა, არ არსებობს მისი ზოგადი სისტემატიზაცია.

მომსახურების სფეროში მოქმედი ყოველი სასერვისო ფირმის მომსახურება განეკუთვნება განსაზღვრულ კატეგორიას. მომსახურება შეიძლება გაწეულ იქნას, როგორც საწარმოს შიგნით, ასევე კონტრაქტის საფუძველზე გადაეცეს მომსახურების დამოუკიდებელ მწარმოებელს.

მომსახურების სახეობის ჩამონათვალი გლობალიზაციის პირობებში სწრაფად იზრდება. არსებობს ზრდის სამი ძირითადი დამაჩქარებელი მომენტი: გაზრდილი მოთხოვნილება მომსახურებაზე, რომელთაგან უმეტესობა ხდება სულ უფრო მრავალფეროვანი და არაორდინალური; მომსახურების ტრანსფორმაცია და სახელმწიფო მომსახურების პრივატიზაცია. საპირისპირო ტენდენციას წარმოადგენს ის, რაც ადრე იყო ცალკეული მომსახურება, ამჟამად გახდა პროდუქციის ნაწილი ან დაკავშირებულია მასთან.

გლობალიზაციის დროს გაზრდილია მოთხოვნილება მომსახურებაზე. ტურიზმი და ტურისტული ფირმები მოითხოვენ სულ უფრო მეტ, რთულ და მაღალხარისხიან მომსახურებას. მომსახურების როლის ამაღლებას სხვადასხვა მიზეზები აქვს, კერძოდ:

- მზარდი მატერიალური კეთილდღეობა მსოფლიო მასშტაბით;
- მისწრაფება უკეთესი ცხოვრებისაკენ;
- თავისუფალი დროის სიჭარბე;
- ურბანიზაცია, რომელიც გარდაუვლად მოითხოვს ახალი სახის მომსახურებას;
- დემოგრაფიული ცვლილებები, რაც იწვევს ბავშვებისა და მოხუცების რაოდენობის ზრდას, რომლებიც საჭიროებენ მრავალ და სხვადასხვა სახის მომსახურებას;
- სოციალურ - ეკონომიკური ცვლილებები;
- მყიდველობითი მოთხოვნის გართულება, რასაც თან სდევს მოთხოვნილი მომსახურების პაკეტის გაფართოება;
- ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებიც ამაღლებენ მომსახურების ხარისხს ან ქმნიან მომსახურების ახალ სახეებს.

მომსახურების სფეროში მომხმარებელთა რიცხვის ზრდას თან ახლავს მზარდი სირთულეები, ურბანიზაცია, ინტერნაციონალიზაცია და მათი კომპლექსური ხელმძღვანელობა. რის გამოც იქმნება სპეციალური სასერვისო ფირმები. კონკურენციის ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს მომსახურების ზრდას, ცვლილებებს ტექნოლოგიასა და მართვაში, შედეგად კი ხდება მომსახურების სფეროს სრულყოფა.

მომსახურების სფეროში საერთაშორისო კონკურენციის მასშტაბები და სერიოზულობა ბოლო ათწლეულში სტიმულირებულ იქნა შემდეგი მიზეზების გამო:

- სასერვისო მოთხოვნების მსგავსება უმრავლეს ქვეყნებში ერთნაირია, ზოგიერთ სახეობებში კი მთელს მსოფლიოშიც. ამის გამო კონკურენცია იძენს გლობალურ მასშტაბებს, თვითონ ფირმები კი მოითხოვენ კვალიფიციურ, საქმიან მიდგომას. მრავალი სახის სასერვისო სამსახურის ხასიათი საშუალებას აძლევს მათ შეეწყონ ადგილობრივ პირობებს შედარებით მცირე დანახარჯებით. ამასთან ფირმა, რომელიც აწარმოებს მომსახურებას მთელ მსოფლიოში, ტოვებს მცირე შესაძლებლობებს თანამემამულე კონკურენტისათვის.
- მომსახურებაზე შედარებით მობილური და ინფორმატიული მყიდველების გამოჩენა, მსოფლიოში ინფორმაციისადმი დიდი და თავისუფალი ხელმისაწვდომობა, სწრაფი ინტერნეტი და საინფორმაციო საშუალებები, სწრაფი ტრანსპორტირება, საერთაშორისო მგზავრობის გაიოლება და ხელმისაწვდომობა საშუალებას იძლევა მომსახურების სისტემის პოტენციურ კლიენტებს მიმართონ მსოფლიოს საუკეთესო ფირმებს. მომსახურების მყიდველებს აქვთ რა მასშტაბური შესაძლებლობა და წარმოდგენა, ხშირად უჩნდებათ სურვილი მიმართონ მომსახურებისათვის უცხოურ სერვისის ფირმებს, რომლებიც მუშაობენ მოცემულ ქვეყანაში და არა სამამულო ფირმებს. გარდა ამისა მყიდველები, როგორც წესი კარგად ინფორმირებულები არიან იმის შესახებ, თუ სად მიიღებენ საუკეთესო მომსახურებას. ასევე , სავალუტო შეზღუდვების შესუსტება აადვილებს სხვა ქვეყანაში მომსახურების საფასურის გადახდის პროცედურას.
- მსხვილი საწარმოების აღმავლობა და გეოგრაფიული მასშტაბები. იგივე უპირატესობანი, რომლებმაც გამოიწვიეს სამამულო მრავალპროფილიანი მომსახურების ფირმების წარმოშობა, ხელს უწყობს საერთაშორისო შტაბ-ბინების წარმოქმნას. მასშტაბის ეფექტის გამოყენება საშუალებას აძლევს მსხვილ ფირმებს გაანაწილონ ხარჯები ტექნოლოგიის, სწავლების სისტემის და სხვა საქმიანობის განვითარებაზე. ასევე გააჩნია სხვა უპირატე-სობანიც: მას შეუძლია მოემსახუროს ნებისმიერი ქვეყნის კლიენტებს მთელი მსოფლიოს მასშაბით და არ შევიდეს კონკურენციაში ადგილობრივ ფირმებთან. საერთაშორისო სავაჭრო მარკის რეპუტაცია საშუალებას იძლევა „დაჩრდილოს“ ადგილობრივი ფირმები. კვალიფი-ციური პერსონალი და უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა შეიძლება ეფექტიანად იქნას გამოყენებული ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესებისათვის.
- პერსონალის გაზრდილი მობილობა - იზრდება მომსახურების ოპერაციების მასშტაბის ეფექტის მიღების შესაძლებლობა, ვინაიდან ფირმის მომსახურე პერსონალს შეუძლია გაემგზავროს ნებისმიერ ქვეყანაში მომსახურების გასაწევად, ამისათვის კი საჭირო იქნება დროის შედარებით მცირე მონაკვეთი.
- დაშორებულ მყიდველებთან კონტაქტის შესაძლებლობები - მობილური ტელეფონის არსებობა, მუდმივი კავშირების შესაძლებლობა, გზავნილების სწრაფი გადაცემა დანიშნულების ადგილზე და ბევრი სხვა თანამედროვე საშუალებების გამო ადვილი ხდება კავშირების შენარჩუნება და მყიდველებთან უშუალო ურთიერთობა, მაშინაც კი როდესაც ისინი საზღვარგარეთის ქვეყნებში იმყოფებიან.
- ადგილობრივი ფირმების მიერ შეთავაზებული მომსახურების ფასების და ხარისხის დიდი სხვაობა - სხვადასხვა ქვეყნებში მკვეთრად არსებობს დიდი სხვაობა მომსახურების ხარისხსა და საფასურში და რაც უფრო მთავარია მომსახურების სექტორის განვითარების დონით, ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მსხვილი, მრავალპროფილიანი მომსახურების ფირმები, სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტად განვითარდნენ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. ეს არაერთგვაროვნობა ქმნის სტიმულს კლიენტებისათვის, სწორად დაგეგმონ მოგზაურობა ხარისხიანი მომსახურების მისაღებად, ხოლო მომსახურების ლიდერი ფირმები, ორიენტირებული არიან უცხოელი კლიენტების უკეთეს მომსახურებაზე. ქმნიან თავიანთ მომსახურების ოფისებს საზღვარგარეთ და სხვა.

ყველა ზემო დასახელებულმა გარემოებამ, მიუხედავად არსებული შედარებით მაღალი ბარიერების არსებობის, გამოიწვია მომსახურების ინტერნაციონალიზაციის ზრდა გლობალიზაციის პირობებში. აღნიშნული ბარიერების შემცირების საკითხები წყდება საერთაშორისო შეთანხმებების მეშვეობით. თუმცა პროცესი მიმდინარეობს შედარებით ნელა, ვიდრე ინტერნაციონალიზაცია გლობალური მეტოქეობის პირობებში.


**გამოყენებული ლიტერატურა :**

1. აბრალავა ა. „ ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. „უნივერსალი“, 2014
2. ი.ქვარაია, ე.მალანია. სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ბორჯომის რაიონის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებისათვის. International Scientific-Practical Conterence. Integration of Business Structures:Strategies and Technologies. February 24 2017. Part 1. Tbilisi-Odessa. 2017.
3. Malania Elisabed, Kvaraia Irakli, Kutateladze Ketevan – Influence of Economic and Political Crisis to Resort Tourism Development in Georgia -. OVIDIUS UNIVERSITY ANNALS ECONOMIC SCIENCES SERIES VOLUME XVIII ISSUE 2 2018
4. Michael E. Porter - The Competitive Advantage of Nations. New York 1999


## Globalization and competition in the field of service


***Elisabed Malania, Professor***
***Georgian Technical University***

***Irakli Kvaraia, Professor***
***Georgian Technical University***

***Ketevan Kutateladze, Professor***
***Georgian Technical University***



## Summary

Under globalization process, competition research in the field of service is so important that none of the countries or organization can be indifferent related to commerce or business issues. Globalization process has increased demand for services. Tourism and travel industry require more and more difficult and high-quality services. There are various reasons for increasing the role of service. The measures of international competition in the field of service has been stimulated for the following reasons: the similarity of the requirements of service, the appearance of relatively flexible and informative buyers, the increased mobility of staff and etc. The above-mentioned occurrence increased internationalization of services in terms of globalization, despite the existence of relatively high barriers. The reduction of these barriers is being resolved through international agreements. However, the process is going to be relatively slowly than the internationalization of the global rivalry.

# სამოქალაქო კონტროლის მნიშვნელოვანი ასპექტები

*ონოფრიშვილი ალექსანდრე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ადმინისტრაციული მენეჯმენტის ფუძემდებელმა ანრი ფაიოლიმ ზუსტი განმარტება მისცა კონტროლს: „ საწარმოში კონტროლი იმაში მდგომარეობს, რომ შევამოწმოთ, სრულდება თუ არა ყველაფერი დასახული გეგმის შესაბამისად, დამტკიცებული ინსტრუქციების და დადგენილი პრინციპების თანახმად. მისი მიზანია გამოვავლინოთ სუსტი ადგილები და შეცდომები, დროულად გამოვასწოროთ ისინი და არ დავუშვათ მათი განმეორება. კონტროლდება ყველაფერი; საგნები, ადამიანები, ქმედებები“. ანრი ფაიოლის ეს განსაზღვრება რელევანტურია კონტროლის ნებისმიერი სახის მიმართ, თუმცა არსებობს განსაკუთრებული ნიუანსები, რომელზედაც ქვემოთ აღვნიშნავთ.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული მენეჯმენტი, სამოქალაქო კონტროლი, სტანდარტები.

**ძირითადი ტექსტი**

კონტროლის ნებისმიერ სახეს აერთიანებს მთელი რიგი პროცედურებისა, პრინციპებისა, რომელიც გარკვეულ ეტაპებად არის ჩამოყალიბებული და საშუალებას იძლევა შევაფასოთ კონტროლის ეფექტიანობა. ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ეს ეტაპები და გამოვკვეთოთ ის მთავარი, რომელიც გადამწყვეტია ნებისმიერი საკონტროლო საქმიანობისთვის. საინტერესოა ის, რომ კონტროლის პროცედურების ეტაპები მეტნაკლებად ანალოგიურია კონტროლის სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ფორმისთვის, მათ შორის სამოქალაქო კონტროლისთვისაც.

კონტროლი ეს ორგანიზაციის მიერ მიზნის მიღწევის უზრუნველყოფის პროცესიცაა. კონტროლის პროცესი შედგება სტანდარტების დაწესებისგან, ფაქტობრივად მიღწეული შედეგების გაზომვისა და კორექტირებისგან, იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული შედეგები მნიშვნელოვანად არის აცდენილი დაწესებულ სტანდარტებს. კონტროლი ეს უწყვეტი პროცესია, რომელიც თავის განვითარებაში ემთხვევა საწარმოო ციკლს.

კონტროლის პროცედურებში არის სამი გამოკვეთილი ეტაპი: სტანდარტებისა და კრიტერიუმების შემუშავება, მასთან რეალური შედარება და სათანადო კორექტირების განხორციელება.

სტანდარტების დადგენა. სტანდარტები ეს კონკრეტული მიზნებია, იმ მაჩვენებლების განსაზღვრაა, რომელიც გაზომვას ექვემდებარება. ეს მიზნები გამომდინარეობს დაგეგმვის პროცესიდან. მიზნებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც კონტროლის სტანდარტები ახასიათებს ორი თავისებურება. ისინი ხასიათდება დროებითი ჩარჩოებით, რომლის ფარგლებშიც უნდა შესრულდეს სამუშაო და კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის შესაბამისად შეიძლება შეფასდეს შესრულებული სამუშაოს ხარისხი. ასე მაგალითად, ძალიან ადვილია დადგინდეს შედეგიანობის მაჩვენებელი ისეთი სიდიდეებისთვის, როგორიცაა მოგება, გაყიდვების მოცულობა, მასალის ფასი, რამდენადაც ისინი რაოდენობრივ გაზომვას ექვემდებარება. სხვა საკითხია, არასაწარმოო სფერო, აქ გარკვეული სირთულეები ნამდვილად არსებობს, თუმცა, ეფექტიანი დაგეგმვისა და მიზნების სიზუსტის შემთხვევაში ეს პრობლემა არ უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია მიღწეული შედეგების დადგენილ სტანდარტებთან შედარება. ამ ეტაპზე უნდა დადგინდეს დასაშვები უზუსტობის მასშტაბი, შედეგების ცვალებადობა, ინფორმაციის გადაცემის არხების გამართულობა და მისი შეფასება. გამორიცხვის მეთოდით უნდა ყურადღება გამახვილდეს დადგენილი სტანდარტებიდან მხოლოდ მნიშვნელოვან გადახრებზე, სხვა შემთხვევაში კონტროლი შეიძლება არაეკონომიური და არამდგრადი გახდეს:

– შედეგების გაზომვა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რამდენად იყო შესაძლებელი დადგენილი სტანდარტების დაცვა- ეს კონტროლის ყველაზე რთული და

ყველაზე ძვირადღირებული ელემენტია. გაზომვის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს საქმიანობის იმ სახეს, რომელიც კონტროლდება;

- ინფორმაციის გადაცემა და გავრცელება თამაშობს საკვანძო როლს კონტროლის ეფექტიანობაში. აუცილებელია ორგანიზაციის ყოველ შესაბამის მუშაკამდე დაყვანილ იქნეს, როგორც დადგენილი სტანდარტები, ასევე მიღებული შედეგები. ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, დროული, დაყვანილ უნდა იქნეს უბნის ყოველ ხელმძღვანელამდე. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეფექტიანი კავშირი იმათ შორის ვინც ადგენს სტანდარტებს და ვინც ის უნდა უზრუნველყოს;
- შედეგების თაობაზე ინფორმაციის შეფასება. შედარების დასკვნითი ეტაპია მიღებული შედეგების თაობაზე ინფორმაციის შეფასება. მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომელიც ადექვატურად აღწერს გამოსაკვლევ მოვლენას და აუცილებელია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

განსაკუთრებული ეტაპია საჭირო კორექტირებების განხორციელება. ხელმძღვანელმა უნდა აირჩიოს მოქმედების ერთერთი მიმართულება: არაფერი მოიმოქმედოს; აღმოფხვრას გადახრები ან გადასინჯოს სტანდარტები:

- არაფერი მოიმოქმედოს. თუ ფაქტობრივი რეზულტატის სტანდარტებთან შედარება გვეუბნება, რომ დასახული მიზნები მიიღწევა, ჯობია საერთოდ არ განხორციელდეს ჩარევა;
- გადახრების აღმოფხვრა. მიზანშეწონილია განხორციელდეს მოცემული ორგანიზაციის რაიმე შიდა ფაქტორის გამოყენებით, იქნება ეს მართვის სრულყოფა, ტექნოლოგიური პროცესის დახვეწა თუ სხვა;
- სტანდარტების გადახედვა. ზოგჯერ თითონ სტანდარტები შეიძლება არარეალური აღმოჩნდეს, იმიტომ, რომ ისინი გეგმებს ეფუძნება, გეგმები კი მხოლოდ მომავალი საქმიანობის პროგნოზია. გეგმების გადასინჯვის პარალელურად უნდა სტანდარტებიც გადაიხედოს.

კონტროლი აუცილებელია გაურკვეველი სიტუაციების წინააღმდეგ საბრძოლველად. კონტროლი აფრთხილებს კრიზისული სიტუაციების დადგომის თაობაზე. კონტროლი აუცილებელია წარმატების უზრუნველსაყოფად. კონტროლი ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ყოვლისმომცველია.

ეფექტიანი კონტროლის დასახასიათებლად შესაძლებელია რამდენიმე მახასიათებლის გამოყოფა:

5. კონტროლის სტრატეგიული მიმართულება, იგულისხმება ორგანიზაციის საერთო პრიორიტეტები და მათი მხარდაჭერა.
6. შედეგებზე ორიენტირება. კონტროლის კონკრეტული მიზანი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეგროვდეს ინფორმაცია, დადგინდეს სტანდარტები და გამოვლენილ იქნეს პრობლემები, არამედ იმაში, რომ გადაწყდეს ამოცანები, რომლებიც ორგანიზაციის წინაშე დგას. შესაბამისად, კონტროლი შეიძლება ეფექტიანად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ფაქტობრივად მიაღწევს დასახულ მიზნებს და უნარი ექნება განსაზღვროს ახალი მიზნები, რაც მომავალში მის არსებობას უზრუნველყოფს.

კონტროლი უნდა შეესაბამებოდეს საკონტროლო საქმიანობს სახეს, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება მის ეფექტიანობაზე ლაპარაკი. ის უნდა ობიექტურად აღწერდეს და აფასებდეს იმას, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია ორგანიზაციისა და საზოგადოებისთვის.

კონტროლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მისი თანადროულობა. ეს არ მდგომარეობს კონტროლის სიჩქარესა და სიხშირეში. საჭიროა დაცული იქნეს სათანადო ინტერვალები კონტროლის განხორციელებაში, რაც ადექვატურად ასახავს რეალურ აუცილებლობას. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას არ უნდა ჰქონდეს ეპიზოდური და არა რიტმული ხასიათი, კონტროლი პერმანენტულად, მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს. კონტროლის ინტერვალები

ორგანულად უნდა ემთხვეოდეს გეგმებს, არსებულ შესაძლებლობებს და ორგანიზაციის სპეციფიკას.

მნიშვნელოვანია კონტროლის მოქნილობა. კონტროლი და გეგმები უნდა იყოს სათანადოდ მოქნილი და ეხმიანებოდეს მიმდინარე ცვლილებებს, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე გარე-მოში.

კონტროლი უნდა იყოს სადა. ყველაზე ეფექტიანია ის კონტროლი, რომელიც მარტივად, ყოველგვარი ხელოვნური გართულებებისა და პომპეზურობის გარეშე ხორციელდება. კონტროლის მარტივი ხერხები საკმაოდ ეკონომიურია. კონტროლის მიზნები უნდა ემთხვეოდეს ადამიანების მოთხოვნებს და პასუხობდეს მათ ინტერესებს.

კონტროლის ეკონომიურობაზე ზემოთაც აღვნიშნეთ, მაგრამ ხაზგასმით გავიმეორებთ, რომ ის არ უნდა დაჯდეს იმაზე მეტი, ვიდრე მისი შედეგები იძლევა.

და ბოლოს, კონტროლის განხორციელებაში უნდა მონაწილეობდეს ორგანიზაციის მთელი პერსონალი, რამდენადაც ყველაზე ეფექტიანი კონტროლი - თვითკონტროლია. იმისთვის, რომ ამაღლდეს კონტროლის სანდოობა აუცილებელია გაფართოვდეს მისი საზღვრები, ამაღლდეს პერსონალის უფლებამოსილებები.

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა არასაწარმოო სექტორში ბევრად არის დამოკიდებული კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, ეს არის სამოქალაქო აქტივობა.

სამოქალაქო კონტროლი- საზოგადოების წარმომადგენლებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ უშუალო დაკვირვებაა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოქალაქეთა კანონიერი უფლებების და ინტერესების უზრუნველყოფაზე, ასევე საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციებში მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევის აღმოფხვრისა და დარღვევების დაუშვებლობის მიზნით.

სამოქალაქო კონტროლი - ეს ერთერთი ურთულესი სამოქალაქო ტექნოლოგიაა, რომელიც ხელეწიფება კონტროლის ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ სათანადო მატერიალური რესურსები, მნიშვნელოვანი საქესპერტო და საერთაშორისო პოტენციალი. ისინი შეიძლება იყოს გაცხადებული, წინასწარ ცნობილი, ან ნებადართული, რაც დამოკიდებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხარისხზე და გაწეულ მომსახურებაზე, გაწეული მომსახურეობის პროცედურების ფიზიკური ღიაობაზე, ორგანიზაციის სახეზე ( ღია, დახურული, შესვლისთვის სანქციონირების აუცილებლობის მქონე), ორგანიზაციის საინფორმაციო პოლიტიკაზე.

სამოქალაქო კონტროლის დამახასიათებელი ნიშნები:

- სამოქალაქო კონტროლი დაგეგმილი ღონისძიებების სერიაა, რომელიც მიმართულია „დახურული“, ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელი ინფორმაციის მისაღებად;
- მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების ინტერესს ( მრავალი ადამიანის ინტერესს შეეხება);
- შეგროვილი ინფორმაცია შეეხება ადამიანის უფლებების დარღვევას, სახელმწიფო ორგა-ნოთა მხრიდან ბოროტმოქმედებას და კანონმდებლობის უგულველყოფას;
- სამოქალაქო კონტროლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტა;
- სამოქალაქო კონტროლი ეხება სახელისუფლო ორგანოების ან მასობრივი მომხმარებ-ლების მქონე მონოპოლისტი კომპანიის პასუხისმგებლობის სფეროს.
- სამოქალაქო კონტროლის მიზნები:
- საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემისადმი სახელისუფლო ორგანოების ყურადღების გამახვილება და მისი გადაწყვეტის სტიმულირება;
- აღკვეთილ იქნეს კანონმდებლობის დარღვევა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
- ადამიანის უფლებათა დაცვაზე კონტროლი;
- მოხელეთა საქმიანობის ხარისხის, მომსახურების ხარისხის ამაღლება.

სამოქალაქო კონტროლის ეტაპები:

- ✓ პრობლემის განსაზღვრა, საკონტროლო ობიექტის შერჩევა, მიზნის ჩამოყალიბება;

- ✓ კონტროლის მეთოდების განსაზღვრა;
- ✓ სტანდარტების დადგენა;
- ✓ საჭირო შეთანხმებების მიღწევა;
- ✓ პროგრამის ჩამოყალიბება, შეფასების წინასწარი კრიტერიუმებისა და ძირითადი შეკითხვების შემუშავება;
- ✓ სამოქალაქო კონტროლის ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ მიღებული ინფორმაციის შეფასება;
- ✓ კონტროლის შედეგების წარდგენა.

კონტროლის მეთოდებიდან გამოვყოფდით:

- ➢ მეთვალყურეობა ( მაგალითად საარჩევნო უბანზე, სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულებაზე);
- ➢ დოკუმენტებისა და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;
- ➢ ზედაპირული დაკვირვება ( მაგალითად, გამოკრულია თუ არა მიღების საათები მოქალაქეთათვის, არის თუ არა მოწყობილი ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისთვის);
- ➢ ვებგვერდების ანალიზი;
- ➢ ორგანიზაციაში ვიზიტი, პირობების შესწავლა;
- ➢ საჩივრების შეკრება;
- ➢ გასაუბრება, ინტერვიუ ფოკუს ჯგუფებთან;
- ➢ ექსპერიმენტები (როგორ შეიძლება ჩინოვნიკთან მიღებაზე მოხვედრა, ექიმთან ჩაწერა და ა.შ.);
- ➢ სამოქალაქო გამოძიება;
- ➢ მონიტორინგი და სხვა აქტივობები.

ეს უკანასკნელი, მოქალაქეთა უფლებების დაცვის თაობაზე ინფორმაციის მოპოვების ყველაზე გავრცელებული პროცედურაა. სამოქალაქო მონიტორინგი ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან საინიციატივო ჯგუფების მიერ ინფორმაციის სისტემატიური შეგროვება იმის თაობაზე, თუ როგორ იცავენ სახელმწიფო ორგანოები მოქალაქეთა უფლებებს, კანონიერ ინტერესებს არამარტო სახელმწიფო დაწესებულებების ფარგლებში, არამედ სამეურნეო სუბიექტებშიც. მონიტორინგი ხორციელდება ხშირად ირიბი მონაცემების შესაფასებლად ( მომხმარებელთა გამოკითხვა, სასჯელ მისჯილთა წერილები, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან განთავისუფლებულთა ანკეტური გამოკითხვა, სტატისტიკის ანალიზი და სხვა).

სამოქალაქო კონტროლი შეიძლება იყოს ოფიციალური, როდესაც ის ხორციელდება ხელისუფლების ორგანოებთან მიღწეული შეთანხმებების შედეგად, ან არაოფიციალური, როდესაც ტარდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების კერძო ინიციატივით.

ოფიციალური სამოქალაქო კონტროლი, არაოფიციალურისგან განსხვავებით შესაძლებელია იყოს შეზღუდული ინფორმაციის გაუხმაურებლობის შეთანხმებით, იმ პირობით, რომ ორგანიზაცია თავის თავზე აიღებს აღმოჩენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების უსწრაფესად აღმოფხვრის ვალდებულებას.

სამოქალაქო კონტროლი შესაძლებლობას იძლევა ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტების აღმოჩენის და მათზე სათანადო რეაგირების განხორციელებისა. ამავდროულად სამოქალაქო კონტროლი ხშირად არაეფექტიანია დარღვევების ფაქტების დამამტკიცებელი მასალის მოძიებისთვის. ამ დროს აუცილებელი ხდება დამატებითი კვლევისა და ძიების ჩატარება სპეციფიური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით.

სამოქალაქო კონტროლის ღონისძიებებს შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია:

- ხელისუფლების ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება დასკვნების, ანგარიშების, რეკომენდაციებისა და წინადადებების საკით არსებული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით;

- საკამათო სიტუაციების განმუხტვის მიზნის მოლაპარაკებებისა და სხვა მომრიგებლური ხასიათის პროცედურების გამართვა;
- ერთობლივი საზოგადოებრივ-სახელმწიფო კომისიების ჩამოყალიბება;
- პროკურატურის ორგანოებისადმი მიმართვა, სასამართლოში საჩივრების წარდგენა;
- მასობრივი ინფორმაციების საშუალებში მიღებული ინფორმაციის ფართოდ გაშუქება;
- საზოგადოებრივი აქციების, კამპანიების ჩატარება და სხვა.

სამოქალაქო კონტროლის ეფექტიანობაზე ზევრად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი დონე პირდაპირპროპორციულია საზოგადოების დემოკრატიულობის დონესთან. სამოქალაქო კონტროლი მოქალაქეთა აქტივობის მაჩვენებელია და ის ეფექტიანია იქ სადაც მას სისტემატიური, მიზანმიმართული ხასიათი აქვს. ზემოთ განხილულ კონტროლის ფორმებიდან სამოქალაქო კონტროლი აქტიურად იყენებს იმ ფორმებსა და მეთოდებს, რაც საშუალებას მისცემს მიიღოს ობიექტური ინფორმაცია არსებულ მდგომარეობაზე, ისე, რომ არ დააზიანოს საზოგადოებრივი ინტერესები, საფრთხე არ შეუქმნას ორგანიზაციების განვითარებას და უზრუნველყოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და მოვალეობებს დაცვა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. დოღონაძე შ., იაშვილი გ., „საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - „ელექტრონული მთავრობა“, თბილისი, „ცის ნამი“, 2013, 429 გვ.
2. დოღონაძე შ., „ადმინისტრაციული მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი, „ცის ნამი“, 2009, 309 გვ.
3. დოღონაძე შ., ქოჩორაძე ო., „საქმიანი ურთიერთობების თანამედროვე ტექნოლოგიები“, თბილისი, სტუ, 2013, 271 გვ.
4. ბაღათურია გ., ბაღათურია ო., „სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვასა და ბიზნესის ამოცანებში“, თბილისი, „ოცდამეერთე“, 2009, 272 გვ.
5. ბერაძე ჯ. შიდა კონტროლის სისტემის განვითარება დასამართლებრივი უზრუნველყოფა საქართველოში, ჟურნალი“ ხელისუფლება და საზოგადოება“ # 4(44) 2017, ტომი I, გვ.91-99
6. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი, „უნივერსალი“, 2008, 288 გვ.
7. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=328&info_id=39531
8. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 29.04.2017
9. Калиничева Р.В. Экономический контроль в организацияхпотребительской кооперации: монография. – Волгоград: Волгоградское научное издательство, 2007. – 312 с.;
10. Бурцев А.В. организация системы внутреннего контроля коммерческой организации. – М.: «Экзамен», 2000 . – 320;
11. Гительман Л.Д. Преобразующий менеджмент: лидерам организации и консультантам по управлению. Учебное пособие. – М., 1999. Ct.305

# კრიპტოგრაფიული აქტივებისა და ბლოქჩეინ ტექნოლოგიის გავლენა ბიზნესზე და მსოფლიოს ფინანსურ ბაზარზე

*უნდილაშვილი არჩილი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ნაშრომის დაკვირვების სფეროს წარმოადგენს მსოფლიოს ფინანსური და კრიპტოვალუტების ბაზარი, ბლოკჩეინ ტექნოლოგია და ბიზნეს სფეროები, სადაც აღნიშნული ინოვაციური ტექნოლოგია იმკვიდრებს საკუთარ ადგილს.

გლობალური ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული როლი უკავია ტექნოლოგიურ სფეროს, სადაც სახელს იმკვიდრებს და დღითიდღე მოთხოვნადი ხდება ბლოკჩეინ ტექნოლოგია, რომელსაც მომდევნო თაობის ინტერნეტს უწეოდებენ. ინოვაციური ინტერნეტ პლატფორმის გარდა მსოფლიოს ფინანსურ ბაზარზე თავი იჩინა ახალი ტიპის კაპიტალ დაბანდებამ კრიპტოგრაფიულ აქტივებში.

ნაშრომის მიზანია კრიპტოგრაფიული აქტივებისა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიის პერსპექტივების წარმოჩენა და აღწერა იმისა, თუ რა გავლენა აქვს ამ უკანასკნელთ მსოფლიოს ფინანსურ ბაზარზე.

მსოფლიოს ფინანსურ ბაზარზე დაკვირვებამ და ჩატარებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბლოკჩეინ ტექნოლოოგიის შესწავლასა და მის ქართულ ბიზნესში დანერგვაზე.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ბაზარი, კრიპტოვალუტა, ბლოკჩეინ ტექნოლოგია.

**ძირითადი ტექსტი**

რატომ არის კრიპტოგრაფიული ვალუტები და ბლოკჩეინ ტექნოლოგია პოპულარული დღეს

ბოლო პერიოდში მსოფლიო ფინანსურ სექტორზე უდიდეს გავლენას ახდენს კრიპტოგრაფიული აქტივებით ვაჭრობა, აღნიშნული აქტივების გამოყენება გაცვლით საშუალებად, სახელმწიფოების მხირდან დაწესებული რეგულაციებითა და აქტივებზე დაწესებული დაშვებებით ეროვნული მარეგულირებლების მიერ. განსაკუთრებით დიდი მიმოხილვის საგანია ახალი ტიპის ტექნოლოგიური მიღწევა ბლოქჩეინი, რომლის შესწავლას და დანერგვას ცდილობს უამრავი დიდი თუ პატარა ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით. ბლოქჩეინ ტექნოლოგიის განსაკუთრებულ დაინტერესებას ამლიერებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ინოვაციური ტექნოლოგიისა და პირველი სრულყოფილი კრიპტოგრაფიული აქტივის შემქმნელი არის ერთი და გივე ანონიმური პირი ან პირთა ჯგუფი სახელად სატოში ნაკამატო.

მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის ჩართულბა კრიპტოგრაფიული აქტივებით ვაჭრობაში ძირითადად გამოწვეული იყო მოგების მიღების სურვილით პოპულარული ციფრული აქტივის მეშვეობით, რომელიც თავისი იდეით წარმოადგენს ციფრული აქტივის ინოვაციურ და ღირებულ ფასეულობას.

**რა არის კრიპტოვალუტა (კრიპტოგრაფიული აქტივი), მაინინგი და ბლოქჩეინი.**

*კრიპტოვალუტა*

კრიპტოვალუტა არის კრიპტოგრაფიულად დაშიფრული დეცენტრალიზებული ციფრული აქტივი.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს აღნიშნული განმარტება საჭიროა თითოეული საძიებო სიტყვის მნიშვნელობის დეტალურად ახსნა.

კრიპტოგრაფია არის მეცნიერება ინფორმაციის დაშიფვრის შესახებ. ამ უკანასკნელის გამოყენება თავის თავშივე მოიცავს ინფორმაციის გამცემს და ინფორმაციის მიმღებს, რომელთაც სურთ ერთმანეთს გადასცენ რაიმე ტიპის შეტყობინება, ისე რომ შეტყობინების შინაარსი არ გახდეს ხელმისაწვდომი მესამე პირისთვის, ან თუ გახდება-ვერ შეძლოს მესამე პირმა შეტყობინების გაშიფვრა. გზავნილის შინაარსის დასაშიფრად საჭიროა შიფრაციის წესის გამოყენება, რაც

გულისხმობს ინფორმაციის სახეცვლას ისე, რომ ცვლილების „გასაღები" ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ გამგზავნისა და მიმღებისათვის. ამისთვის გამგზავნი და მიმღები თანხმდებიან გარკვეულ წესზე, რომლის მიხედვითაც მოხდება დაიშიფრება ინფორმაცია. მგ: თუ შეტყობინება არის ტექსტის სახით შესაძელებელია, რომ „გასაღებს" წარმოადგენდეს ტექსტის სიტყვებში ყოველი ასოს ცვლილება ქართულ ანბანში მომდევნო მე-3 ასოთი. „ა", როგორც „გ", „ნ" როგორც „პ" და ა.შ. მოცემული მაგლითი მარტივი დაშიფრვის მეთოდია და შესაბამისად თანამედროვე კრიპტო ვალუტების დასაშიფრად ის არ გამოდგება. სწორედ ამიტომ, მოწყობილობები (მაინერები), რომლებიც აწარმოებენ ციფრულ აქტივებს ხსნიან მილიონჯერ უფრო რთულ მათემატიკურ ალგორითმებს და ამ გზით განშიფრავენ მიმღების მიერ გამოგზავნილ დაშიფრულ შეტყობინებას. თუმცა კრიპტოვალუტის , როგორც გაგზავნილი ინფორმაციის შინაარსი არ ატარებს რაიმე სახის შემეცნებით ხასიათს, გარდა ერთისა- იყოს უნიკალური, და გარეშე პირებისგან ხელმიუწვდომელი, რათა გააჩნდეს ფინანსური ღირებულება. გამომდინრე აქედან, კრიპტოვალუტების საწარმოებლად და გასაგზავნად საჭიროა კრიპტოგრაფიის გამოყენება.

იმისთვის, რომ აქტივს გააჩნდეს ფინანსური ღირებულება (თუნდაც პირობოთი) საჭიროა მას გააჩნდეს შენახვის, დაგროვების, უნიკალურობის და რთულად ხელმისაწვდომობის უნარი. კარგად ცნობილია, რომ არსებობს ნივთები, რომლებსაც თითქმის არ აქვთ საყოფაცხოვრებო დანიშნულება, თუმცა გააჩნიათ ღირებულება. მაგალითად ასეთია ოქრო. ოქროს საყოფაცხოვრებო დანიშნულება მხოლოდ მისით ნაკეთობების შექმნა და მისი ტარებაა. გარდა ამისა მას გააჩნია კეთილი თვისებები, როგორიცაა უჟანგავობა და სიმტკიცე. ის, როგორც მეტალი, თავისი ქიმიური შემადგენლობით უნიკალურია, რთულად მოიპოვება და მისი რაოდენობა შეზღუდულია ბუნებაში. თუმცა, მთავარია ის, რომ ოქროს ღირებულება ეკონომიკაში მისი საყოფაცხოვრებო მოხმარებიდან არ გამომდინარეობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ფასი ნომუნალურია და არ უფასურდება მისი კეთილი თვისებებისა და ეკონომიკური საჭიროებების გამო. ანალოგიურ გარემოებებში გვევლინება კრიპტოგრაფიული აქტივიც, რომელსაც შესამლებელია გააჩნდეს ფინანსური ღირებულება არა მისი სამომხარებლო დანიშნულების მიხედვით, არამედ მისი „კეთილი" თვისებების გამო, როგორებიცაა: დაგროვებისა და შენახვის უნარი, უნიკალურობა, რთულად მოპოვება და შეზღუდული რაოდენობით არსებობა (მგ: ბითქოინის პროტოკოლის მიხედვით ბითქოინების მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 21 000 000 ერთეულით).

საბოლოო ჯამში კრიპტოვალუტა შეიძლება განვმარტოთ, როგორც ციფრული ინოფრმაცია (არა შემეცნებითი ხასიათის), რომელსაც გააჩნია გაგზავნის, მიღების, შენახვის და დაგროვების უნარები.

*ბლოქჩეინი*

ბლოქჩეინი არის განაწილებული მონაცემთა ბაზა (შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ჩანაწერების მთავარი წიგნი-Ledger) რომელიც ღიაა ყველა მომხარებლისთვის. მას აქვს საინტერესო თვისება: მასში პირველად გაკეთბული ჩანაწერის შეცვლა არის ძალიან რთული. თითოეული ბლოკი შეიცავს ბლოკის ჰაშს (Hash) და წინა ბლოკის ჰაშს. მონაცემები, რომლებიც თავმოყრილია ბლოკში და დამოკიდებულნი არიან თავად ბლოქჩეინის ტიპზე. მაგალითად: ბითქოინის ბლოქჩეინი შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: გამგზავნი, მიმღები და მონეტების რაოდენობა. ბლოკს ასევე გააჩნია ჰაში. ჰაში შეგვიძლია გავაიგივოთ თითის ანაბეჭდთან, როგორც მაიდეტიფიცირებელ მექანიზმთან. ის აიდენტიფიცირებს ბლოკს, ხოლო თავად ბლოკიც და მასში მოთავსებული ინფორმაიაც არის უნიკალური, როგორც ანაბეჭდი. პირველად, როდესაც ბლოკი იქმნება ამასთანავე გამოითვლება მისი ჰაშიც. ბლოკში ნებისმიერი სახის ცვლილება გამოიწვევს ბლოკის ჰაშის ცვლილებას.

*მაინინგი*

იმისთის, რომ აღვწეროთ მაინინგის ზოგადი თავისებურებანი უმჯობესია ვისაუბროთ ბითქოინის მიანინგზე. მაინინგი, იგივე მოპოვება, გულისხმობს იმ ტრანზაქციების აღრიცხვას რომელიც ხორციელდება ციფრული ვალუტების გადარიცხვების სისტემაში და რომელიც საბოლოო ჯამში ითვლის ბითქოინის ტრნაზაქციების რაოდენობას, აწარმოებს შესაქმნელი და უკვე შექმნილი ბლოკების აღრიცხვას. ამ ყველაფრის აღსარიცხავად ბითქოინი ქმნის ტრანსაქციების სიას. საბოლოო

ჯამში მაინერი ადასტურებს ყველა სახის ოპერაციასა და ტრანზაქციას და მათ საერთო დაფთარში აღრიცხვას. ბლოქჩეინი ეწოდება ბლოკების გრძელ სიას. თითოეულ ბლოკში ინახება მიმდინარე და წინა ბლოკში გატარებული ტრნზაქცია. იქმნქება ბლოკების გრძელი ჯაჭვი და როდესაც ხორციელდება ახალი ტრანზაქცია მაინერები იღებენ ამის შესაღებ ინფორმაციას და იწყებენ მათემატიკური ფორმულების ამოხნას. თავად ეს ამონახსენი არის შემთხვევით აღებული ასეობის და ციფრების ერთობა, რომელსაც ჰაში ეწოდება. ყველა ბლოკში არსებობს წინა ბლოკისა და არსებული ბლოკის ჰაში და სწორედ ეს სისტემა უზრუნველყოფს ინფორმაციის ჯაჭვურ კავშირს და მის სიმყარეს გაყალბებისა და ხელოვნური ცვლილების მიმართ.

რა გავლენას ახდენს კრიპტოვალუტები და ბლოქჩეინ ტექნოლოგია მსოფლიოს ფინანსურ და ბიზნეს სექტორზე.

ბლოქჩეინმა, როგორ ინოვაციურმა და ახალმა მონაცემთა ბაზების და აღრიცხვის ტექნოლოგიამ დიდი ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც პირველი ციფრული ვალუტა ბითქონი გახდა პოპულარული მსოფლიო მასშტაბით. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ ბლოქჩეინ ტექნოლოგია ანონიმურმა პირმა ან პირთა ჯგუფმა სატოში ნაკამოტმ შექმნა ბითქონის საფუნქციონიროდ, თუმცა ტექნოლოგიის ექსპერტებმა მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ ეს ტექნოლოგია არა მარტო კირპტოგრაფიულად დაშიფრული ციფრული აქტივების საფუნქციონიროდ შეიძლება გამოიყენებოდეს, არამედ სხვა სახის მონაცემების აღსარიცხად. სწორედ ამოტომ მსოფლიოს მასშტაბით ბლოქჩეინი დანერგა უამრავმა წარმატებულმა თუ მცირე კომპანიამ საკუთარ ბიზნესში. თუ კრიპტოგრაფიულ აქტივებს ბევრი სკეპტიკურად უყურებს, როგორც ფინანსური მანიპულაციებისა და ფულის გასათეთრებელ მექანიზმს, ბლოქჩეინ ტექნოლოგიას თითქმის არ ჰყავს მოდავე, გამომდინარე იქიდან რომ ეს უკანასკნელი არის მოაცემების აღიცხვისა დაციფრული მოანაცემების ბაზის იდეალური მიგნება ინტერნეტ ტექნოლოგიებში.

ავტო ინდუსტრიაში ბლოქჩეინი საკმაოდ პოპულარულია. ამ ტექნოლოგიას საკუთარ მონაცემთა ბაზებში იყეებენ ისეთი გიგანტური კომპტანიები, როგორებიცაა BMW, GM, Ford, და Renault. აღნიშნულ პლატოფრმას ქმნის კომპანია MOBI, რომელიც რამოდენიმე კომოანიის მიერ ერთობლივად დააარსდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიამ Loperaio Satagaya-მ შემოიღო ბითქოინით გადახდების სისტემა. ბითქოინით გადხდა შესაძელებელია ასევე აუტომობილი Bentely-ის შესაძენადაც.

ბლოქჩეინ ტექნოლოგია ასევე წარმატებით დაინერგა და ფუნქციონირებს საქათველოს საჯარო რეესტრშიც. Reestri.gov.ge -ის მიხედვით იუსტიციის სახლი თითქმის 1 წელია წარმატებით იყენებს უძრავი ქონების აღრიცხვისთვის ბლოქჩეინ ტექნოლოგიას. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო რეესტრი არის სახელმწიფო დაწესებულება მასში ბლოქჩეინის გამოყენება ხაზს უსვამს ინოვაცირუი ტექნოლოგიის სანდოობას და პრაქტიკულობას.

სვხა უამრავი მსგავსი ინიციატის წყალობით ცხადია, რომ ბლოქჩეინ ტექნოლოგია ნამდვილად ახდენს გარღვევას ტექნოლოგიურ მიღწევებში.

**როგორ გამოვიყენოთ ბლოქჩეინ ტექნოლოგია ჩვენთვის სასიკეთოდ**

სახელმწიფომ შეძლოს ეკონომიკური განვითარება და აღმავლობა გარდაუვალია თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე. ჩვენ მსოფლიოს ისტორიიდან გვაქსვ არაერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეძლო რესურსებით ღარიბმა ქვეყანამ ტექნოლოგიეის მეშვეობით მიღეო დიდი ეკონომიკური დოვლათი საკუთარ სახელმწიფოში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბლოქჩეინ ტექნოლოგია უკვე ფართოდ გავრცელებულია მსსოფლიო მასთაბით, არსებობს უამრავი სახელმწიფო და ბიზნეს კომპანია, რომელიც ამ ახალ ინოვაციას არც თუ ისე დიდი ყურადღებას უთმობს. საქართველოს შეუძლია ეს ფაქტი მისთვის სასიკეთოდ გამოიყენოს და პირველ წინ გადადგმულ ნაბიჯს (იუსტიციის სალხში ბლოქჩეინ ტექნოლოგიის დანერგვა) გაუკვალოს წარმატებული გზა ინოვაციური ტექნოლოგიის სახელმწიფოში

ინოვაციურ ტექნოლოგიას აქვს რმოდენიმე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც ქართველ მეწარმეებს, რომელბსაც საუთარი ბიზნესის აღსაღრიცხავათ უწევთ სტანდარტული ტიპის ინტერნეტ ტექნოლოგიისა და მონაცემების ბაზების გამოყენება. ეს თვისებებია: დეცენტრალიზებული სისტემა-

სისტემა, რომელსაც არ ჰყავს ცენტრალიზებული მარეგულირებელი და რომელიც იმართება მასში ჩართული წევრების მიერ ნამუშაევარი ქმედებებით; განაწილებული მონაცემთა ბაზა- მეორე ნაირად შეიძლება ვუწოდოთ საერთო დაფთარა სადაც აღირიცხება ყველა ის ქმედება, რომელიც მასში ჩართულმა წევრებმა განახორციელეს, და ყველა ეს ქმედება ინახება ბლოკების სახით. აღნიშნული თვისება ბიზნესს ეხმარება დაზოგოს რამდენიმე მომუშავე კადრის ანაზღაურება, როგორებიც არიან ბუღალტერი, პროგრამის ხელმძღვანელი და ა.შ, თუმცა ეს უკანასკნელი დამოკიდებულებია იმაზე, თუ რა ტიპის ბიზნესთან გავქვს საქმე. უსაფრთხო და დაცული სისტემა- გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაცია ბლოკების სახით ინახება და თითოეულ ბლოკში დაკოპირებულია წინა ბლოკის ჰაში სისტემა ყალიბდა ჰაკერული თავდასხმებიდან უკიდურესად პრევენცირებულ მექანიზმად.

სწორედ ესოდენ კეთილი თვისებების გამო საჭიროა ქართულ ბიზნეს ტექნოლოგიებში დაინერგოს ბლოქჩეინი და ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს მხირდან საკითხის ინიცირება, როგორც ეს მოხდა უამრვი წარმატებული ქვეყნის მაგალითზე.

**დასკვნა**

კრიპტოგრაფიული აქტივებისა და ბლოქჩეინ ტექნოლოგიის როლის წარმოჩენამ მსოლფიო ეკონომიკის სფეროში ცხადჰყო, რომ სატოში ნაკამატოს ქმნილებები, როგორიცაა ბითქოინი და ბლოქჩეინ ტექნოლოგია ნამდვილად იმსახურებს დიდ ყურადღებას ეკონომისტების მხირდან. საჭიროა ამ ტექნოლოგიისა და ახალი ციფრული ვალუტების უკეთ შესწავლა, გამოკვლევა და მათი ქართულ ბაზარზე დანრეგვა, რადგან ეს უკანასკნელი არის ინოვაციური გარდატეხა ეკონომიკის და ტექნოლოგიების სფეროში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. www.Investing.com
2. www.Reestri.gov.ge
3. www.Cnn.money.com
4. www.Coinmarketcap.com
5. www.Bitcoin.org (white paper)
6. www.Etherium.org (white paper)
7. www.Investopedia.com
8. www.Nbg.gov.ge
9. www.Execed.economist.com
10. ფრიდრიხ ჰაიეკი-ფულის დენაციონალიზაცია 1976 წ.
11. ქეთევან კიწმარიშვილი: „ინოვაციური მენეჯმენტი“. თბილისი, 2016 წელი.
12. დონ და ალექს ტასპკოტები-ბლოქჩეინ რევოლუცია 2016 წ.

**Impact of cryptographic assets and blockchain technology on business and world financial market**

***Archil Undilashvili, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

The scope of research is the world's financial and cryptographic market, blocking technology and business spheres where this innovative technology has its own place.

Blockchain technology has a special role under the modern global economy, where the name is established and the need for blockchain technology is becoming increasingly demanding and this technology is called the next generation of internet. Besides the innovative internet platform, there is appearance a new type of capital investment in cryptographic assets.

The purpose of the thesis is to demonstrate the prospects of cryptographic assets and blockchain technology and describe the impact of the latter on the world financial market.

The observation of the world financial market showed that special attention should be paid to the study of blockchain technologies and its introduction into Georgian business.

## ოპერაციული სისტემის რესურსების განაწილების მოდელირება

*სამხარაძე რომანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*კიკნაძე მზია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*გაჩეჩილაძე ლია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში შემოთავაზებულია ახალი მიდგომა ოპერაციული სისტემის რესურსების განაწილების პროცესის ვიზუალიზების საკითხებისადმი. შემოთავაზებულია შესაბამისი მოდელი, რომელიც სამ დაშვებას ეფუძნება: 1. ცნობილია დროის თითოეულ მომენტში პროცესის მიერ დაკავებული რესურსების რაოდენობა; 2. ცნობილია თითოეული პროცესის მიერ მოთხოვნილი რესურსების რაოდენობა და მოთხოვნის დრო; 3. ცნობილია პროცესის მიერ მოთხოვნილი რესურსების მაქსიმალური რაოდენობა. ოპერაციული სისტემის რესურსების განაწილების ასეთი სახით წარმოდგენა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პროცესის შესრულებისა და რესურსების გამოყოფის გამარტივებული იმიტაციური მოდელი. ის საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ რესურსების განაწილების კომპიუტერული სცენარები, ვიზუალიზების ალგორითმები და პროგრამული საწვრთნელი. შემუშავებული მოდელისა და მიდგომების გამოყენება შესაძლებელია ოპერაციული სისტემის ბირთვის ისეთი ფუნქციების ვიზუალიზებისთვის, როგორიცაა: პროცესორების დატვირთვის დაგეგმვა, პროცესების მდგომარეობების ცვლილება, რესურსების განაწილების მართვა, მაგნიტური დისკების მართვა და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: რესურსების განაწილება, რესურსების რაოდენობა, დროის კვანტი, პროცესი.

**ძირითადი ტექსტი**

ოპერაციული სისტემის ბირთვი მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ის მართავს კომპიუტერის როგორც აპარატურულ, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. ერთ-ერთი ასეთი ფუნქციაა ოპერაციული სისტემის აპარატურული რესურსების განაწილება [1-3]. რადგანაც, ეს ფუნქციები ადამიანის თვალისთვის უხილავია, ამიტომ მათი ეფექტური სწავლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფუნქციების ვიზუალიზებას და შესაბამისი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას.

იმიტაციური მოდელების ფორმირებისას ხშირად გამოიყენება ობიექტის ცნება. ობიექტი შეიძლება იყოს რაიმე მოწყობილობა, ავადმყოფი, პედაგოგი, ოპერაციული სისტემის მიერ შესრულებული პროცესი, რიგი მასობრივი მომსახურების თეორიაში და ა.შ. ცალკეულ ობიექტებს შორის ურთიერთქმედება ცვლის მდგომარეობის ცვლადების მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის მდგომარეობას. მოდელის ქვეშ ვიგულისხმებთ დროში მდგომარეობების ცვლილების აღწერის ფორმალურ მათემატიკურ საშუალებას.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ ოპერაციული სისტემის რესურსების განაწილების მოდელირება პროცესი უნდა წარმოვადგინოთ ობიექტის სახით და გავაკეთოთ სამი დაშვება:

1. ვიცით პროცესი დროის თითოეულ მომენტში რამდენ რესურსს იკავებს.
2. ვიცით პროცესი როდის და რამდენ რესურსს მოითხოვს.
3. ვიცით რესურსების მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც პროცესი მოითხოვს.

ამ სამი დაშვების გათვალისწინებით პროცესის შესრულება და რესურსების მოთხოვნები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი მიმდევრობის სახით:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| $t^i_1,r^i_1$ | $t^i_2,r^i_2$ | $t^i_3,r^i_3$ | $t^i_4,r^i_4$ | . . . | $t^i_i,r^i_i$ | * |

მიმდევრობის პირველ ელემენტში მოთავსებულია $t^i_1,r^i_1$. აქ $t^i_1$ არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც $P_i$ პროცესი იკავებს $t^i_1$ რაოდენობის რესურსს. მიმდევრობის მეორე ელემენტში მოთავსებულია $t^i_1,r^i_1$. აქ $t^i_1$ არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც $P_i$ პროცესი იკავებს $r^i_2$ რაოდენობის რესურსს და ა.შ. განვიხილოთ მაგალითი. დავუშვათ გვაქვს პროცესის შესრულებისა და რესურსების გამოყოფის შემდეგი მიმდევრობა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4,3 | 6,2 | 3,1 | 3,5 | 2,1 | * |

მიმდევრობის პირველ ელემენტში მოთავსებულია &ქუოტ;4,3&ქუოტ;. ეს იმას ნიშნავს, რომ პროცესი დროის 4 ერთეულის განმავლობაში 3 რესურსს იკავებს. ამ დროის ამოწურვის შემდეგ ის დროის 6 ერთეულის განმავლობაში 2 რესურსს იკავებს და შესაბამისად ერთ რესურსს ათავისუფლებს და ა.შ.

პროცესისთვის რესურსების გამოყოფის ასეთი სახით წარმოდგენა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პროცესის შესრულებისა და რესურსების გამოყოფის გამარტივებული იმიტაციური მოდელი. იგი საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ პროცესის შესრულების ვიზუალიზების ალგორითმები.

შემოვიტანოთ აღნიშვნები. i-ური პროცესი $P_i$-ით აღვნიშნოთ. დროის კვანტი, რომელსაც პროცესორი უთმობს თითოეულ პროცესს $T_{33}$-ით აღვნიშნოთ. პროცესების მაქსიმალური რაოდენობას $N^{max}$-ით აღვნიშნოთ. პროცესებს შეიძლება ჰქონდეთ თანაბარი ან არათანაბარი პრიორიტეტები. i-ური პროცესის პრიორიტეტი $\Pi_i$-ით აღვნიშნოთ. W-ით აღვნიშნოთ მიმდინარე რეზერვი, ანუ მიმდინარე მომენტში ოპერაციული სისტემის გამგებლობაში მყოფი რესურსების რაოდენობა. $R^{ოს}_{max}$-ით აღვნიშნოთ ოპერაციული სისტემის გამგებლობაში მყოფი რესურსების მაქსიმალური რაოდენობა. $R^i_{max}$-ით აღვნიშნოთ $P_i$ პროცესის მიერ მოთხოვნილი რესურსების მაქსიმალური რაოდენობა. $R^i$-ით აღვნიშნოთ $P_i$ პროცესის მიერ დაკავებული რესურსების მიმდინარე რაოდენობა. ცხადია, რომ

$$\sum_{i=1}^{n} R^i \leq R^{OS}_{max},$$
$$R^{OS}_{max} \geq R^i_{max},$$
$$W \geq R^i_{max} - R^i \ .$$

მოყვანილი მოდელის საფუძველზე შემუშავებულია შესაბამისი ალგორითმები და პროგრამული საწვრთნელი.

**დასკვნა**

ამრიგად, სტატიაში შემოთავაზებულია ახალი მიდგომა ოპერაციული სისტემის რესურსების განაწილების პროცესის ვიზუალიზების საკითხებისადმი. შემოთავაზებულია შესაბამისი მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ რესურსების განაწილების კომპიუტერული სცენარები, ვიზუალიზების ალგორითმები და პროგრამული საწვრთნელი.

გამოყენებული ლიტერატურა


1. Дейтел. Г. Введение в операционные системы: В 2-х т. Т. 1. Пер. с англ. - М.: Мир, 1987. - 359 с., ил.
2. Дейтел. Г. Введение в операционные системы: В 2-х т. Т. 2. Пер. с англ. - М.: Мир, 1987. - 398 с., ил.
3. Таненбаум Э. Современные операционные системы. - СПб.: Питер, 2002. - 1040 с., ил.
4. რ. სამხარაძე. პეტრის ქსელები კომპიუტერულ სწავლებაში (მონოგრაფია). თბილისი, "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2007 ISBN 978-99940-57-93-1. 156 გვ.
5. რ. სამხარაძე, ლ. გაჩეჩილაძე. იმიტაციური მოდელები კომპიუტერულ სწავლებაში (მონოგრაფია). თბილისი, "ტექნიკური უნივერსიტეტი". 2008. ISBN 978-9941-14-057-0. 124 გვ.
6. რ. სამხარაძე, ლ. გაჩეჩილაძე, მ. ქურდაძე. რიგების თეორიის გამოყენება კომპიუტერულ სწავლებაში (მონოგრაფია). თბილისი, სტუ-ს "IT-კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი", 2017. ISBN 978-9941-0-9643-3. 93 გვ.


## Modelling distribution of resources of an operating system


***Roman Samkharadze, Professor***
***Georgian Technical University***

***Mzia Kiknadze, Professor***
***Georgian Technical University***

***Lia Gachechiladze, assistant-Professor***
***Georgian Technical University***



### Summary

In article the new approach to a question of visualization of process distribution operating system resources is offered. It is offered corresponding model which is based on three assumptions: 1. the quantity of resources occupied with each process is known; 2. the quantity of resources requested by each process and inquiry time is known; 3. the maximum quantity of resources requested by each process is known. Such representation of process of distribution of resources can be considered as simplified imitation model of performance of processes and distribution of resources. It allows to develop the algorithms visualization of process of distribution of resources.



Key words: Resource distribution, number of resources, time quantity, process.

# საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება საჯარო და კერძო სექტორში

*სვანიძე ანა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში ,, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება საჯარო და კერძო სექტორში.'' განხილულია შეზღუდული შესაძლებლობების პირების უფლებები და ასევე ამ პირთა სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების შეგროვების საკითხის რეგულირება.სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა და უნდა შეუქმნას მათ ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი საწარმოო შესაძლებლობის რეალიზაციისათვის საჭირო პირობები ესევე ხელი შეუწყოს შშმ პირთა დასქმებას ,როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCPRD) მონაწილე სახელმწიფოები, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2013 წელს მოახდინა, იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ეს კონვენცია სახელმწიფოებს ასევე ავალდებულებს შშმ პირთა სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების შეგროვებას.ჩემი მოსაზრებით, საქართველოს სახალხო დამცველის ბოლო წლების ანგარიშები ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს შშმ პირთა შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას.ზუსტი სტატისტიკური მონაცემები აუცილებელი წინაპირობაა მათი დასაქმებისთვის. შშმ პირების დასაქმება ერთ-ერთი გზაა მათი სოციალური ინტეგრაციისათვის.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ინტეგრაცია, შშმპ, დასაქმების სიტემა, დასაქმების პოლიტიკა, საჯარო სამსახური.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოში დასაქმება აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს; უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად მოგვარებადი პრობლემაა. აქედან, გამომდინარე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების საკითხი. სახელმწიფოში არ არსებობს შიდა სქემა, თუ როგორ უნდა მოხდეს შშმპ -ის დასაქმება შრომის ბაზარზე. ასევე არსებობს პრობლემები ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით; შშმ პირებისთვის არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი- არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

მსოფლიოში დაახლოებით ერთი მილიარდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი ცხოვრობს, რაც საერთო მოსახლეობის 15 პროცენტს შეადგენს. მათ 80%-ს აქვს დასაქმებისათვის შესაბამისი ასაკი, მაგრამ შშმ პირთა დასაქმების უფლება ხშირად იზღუდება. სხვებთან შედარებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მეტად ატარებენ სოციალურად დაუცველობის რისკს, ემუქრებათ უმუშევრობა და ეკონომიკური სიდუხჭირე. საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ განსაზღვრავს; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თავიანთი შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით და რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად, უფლება აქვთ იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საკუთრებისა და მეურნეობის ფორმის მიუხედავად, სპეციალიზებულ საწარმოებში, საამქროებსა და

უბნებზე, სადაც გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომა, აგრეთვე ეწეოდნენ კანონით ნებადართულ ინდივიდუალურ და სხვა სახის შრომით საქმიანობას. დაუშვებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ან სამსხურებრივ დაწინაურებაზე უარის თქმა, ადმინისტრაციის ინიციატივით მისი დათხოვნა ან შეზ-ღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანხმობის გარეშე სხვა სამუშაოზე გადაყვანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირობის მოტივით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით მის ჯანმრთელობას ვნებს პროფესიული მოვალეობის შესრულება ან საშიშროება ექმნება სხვა პირთა ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოებას.

საქართველოს კანონში საჯარო სამსახურის შესახებ დასაქმებულს აქვს შესაძლებლობა პირი განთავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან თუკი საჯარო მოხელე , 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ ასრულებს მასზე დაკისრებუ მოვალეობას ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით.გარდა ამისა, აღნიშნული ჩანაწერი ქმნის საფრთხეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დისკრიმინაციისა, კერძოდ, თუკი საჯარო მოხელე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გახდა სამუშაო პერიოდის განმავლობაში, ხოლო ხელმძღვანელმა უსაფუძვლოდ ჩათვალა, რომ ის ვერ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს, პირი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან, დაცვის ყოველგვარი, დამატებითი გარანტიების გარეშე. საჭიროა კანონში მოხდეს ცვლილება რათა არ დაირღვას მათი უფლებები.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCPRD) მონაწილე სახელმწიფოები, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2013 წელს მოახდინა, იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ეს კონვენცია სახელმწიფოებს ასევე ავალდებულებს შშმ პირთა სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების შეგროვებას. საქართველოს სახალხო დამცველის ბოლო წლების ანგარიშები ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს შშმ პირთა შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას. საყოველთაო აღწერის ფარგლებში შშმ პირის სტატუსის დადგენა ხდება რესპოდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის – თვითშეფასების საფუძველზე. შედეგად, მსგავსი სახის სტატისტიკური მონაცემები ნაკლებად ინფორმაციულია და მათი სანდოობა ეფუძნება მხოლოდ მოსახლეობის სურვილს ან/და შესაბამის ცოდნას, საყოველთაო აღწერის ფარგლებში.სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების სიზუსტეზე მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს შშმ პირების მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლებიც. კერძოდ, 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად სულ აღრიცხულია 100,113 შშმ პირი, მაშინ, როდესაც 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრირებული იყო 118,651 მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღები შშმ პირი, ხოლო 2017 წელს – 125,104 ამ პროცესის დარეგულირება აუცილებეილა და მნიშვნელოვანია ზუსტი მონაცე-მები აუცილებელია შშმ პირების უფლებების დასაცავად მათი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში .

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში (UNCRPD) განმარტებულია მონაწილე სახელმწიფოებმის მოვალეობები თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ხელი განათლების მიღებაში და დასაქმებაში ასევე დაცული იყოს მათი უფლებები. 27-ე მუხლში შრომა და დასაქმება განმარტებულია .მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას შრომაზე, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, აღნიშნული მოიცავს საკუთარი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფის შესაძლებლობების მქონე პირთათვის. მონაწილე სახელმწიფოები , შესაბამისი საფეხურების გავლით, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე, იცავენ და ხელს უწყობენ შრომის უფლების რეალიზებას, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე,იცავენ და ხელს უწყობენ შრომის უფლების რეალიზებას, მათ შორის მათთვის , ვინც შეზღუდვა მიიღო შრომითი მოვალეობის შესრულებისას. რათა დაცული იყოს შშმ უფლებები და აიკრძალოს შეზღუდული შესაძლებლობებით

გამოწვეული ნებისმიერი დისკრიმინაცია დასაქმები ყველა ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის : სამუშაოზე აყვანის პირობები, დაქირავება და დასაქმება , სამუშაო ადგილების შენარჩუნება, სამსახურეობრივი წინსვლა,სამუსაო ადგილის უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო.

გაერთიანებული ერების კონვენციის „შშმპ-თა უფლებების შესახებ“ საფუძველზე შემუშავდა ევროკავშირის 2010-2020 წლების სტრატეგია (disability strategy), დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან. ამ დოკუმენტის მთავარი მიზანია ბარიერების აღმოფხვრა, დისკრიმინაციის აღკვეთა და შშმპ-თვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ სრულად შეძლონ თავიანთი უფლებების განხორციელება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა თანაბარ პირობებში. შშმპ-ის დასაქმების მხარდამჭერი პროგრამა (Supported Employment) უზრუნველყოფს შშმპ-ის მონაწილეობას შრომის ბაზარზე. ევროკავშირის disability strategy-ის გარდა თავად ევროკავშირის ქვეყნებსაც აქვთ შემუშავებული დასაქმების ხელშეწყობის შიდა სქემა, თუ როგორ უნდა მოხდეს შშმპ-ის მონაწილეობა შრომის ბაზარზე.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მძიმე პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება, როგორც საჯარო ესევე კერძო სექტორში. შშმ პირების შემთხვევაში სამუშაო გარემოს ადაპტირების პრობლემების, თუ მანკიერი სტერეოტიპების არსებობის გამო, კიდევ უფრო მძაფრად იჩენს თავს. საყოველთაო აღწერის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში შშმ პირების დასაქმების და საკუთარი თავის რეალიზაციის შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ.საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემებით, შშმ პირების დასაქმების პრაქტიკა განსაკუთრებით მწირია იმ საჯარო დაწესებულებებში, სადაც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად. კერძოდ, როგორც ირკვევა, 2014 წელს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საჯარო მოსამსახურეთა რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 24-ს. ეს მაჩვენებელი 2015 წელს 112 მდე გაიზარდა, ხოლო 2016 წელს დაახლოებით განახევრდა და კვლავ 52-მდე შემცირდა .საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემებით, ბოლო წლებში შშმ პირთა დასაქმების მხოლოდ ერთეული შემთხვევები ფიქსირდება საჯარო დაწესებულებების ისეთ ჯგუფებში, როგორიცაა საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები, სასამართლოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები არცერთი შშმ პირი არ იყო დასაქმებული საქართველოს პარლამენტში. მსგავსი პრაქტიკის ერთ-ერთ ფაქტორად შესაძლებელია განხილულ იქნას სახელმწიფო დაწესებულებების არაადაპტირებული სამუშაო პირობები.

საქართველოში შშმ პირთა დასაქმების პრობლემის მეტი თვალსაჩინოებისთვის მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნებში მსგავსი მონაცემების ანალიზი. ევროკავშირის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2014 წლის მდგომარებით ევროპის ქვეყნებში საშუალოდ შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი 48.7%-ს შეადგენდა . შშმ პირების დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან შვეიცარია – 70.4%, გერმანია – 59.7%, ლუქსემბურგი – 57.8%, შვედეთი – 56.5%, ფინეთი – 55.2%, და ესტონეთი – 55.1%. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საბერძნეთში – 27.8% და სერბეთში – 25.8% ფიქსირდება. 4 ევროპის ქვეყნებში დასაქმებული შშმ პირების საშუალოდ 69% არის დაქირავებით დასაქმებული. შესაბამისად, ევროპის ქვეყნებში შშმ პირთა დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 33,6%-ს შეადგენს, რაც საქართველოს მაჩვენებელს დაახლოებით 7-ჯერ აღემატება.

საქართველოში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება შშმ პირებთან დაკავშირებული სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოების თვალსაზრისით. განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს შშმ პირთა ფუნქციური შეზღუდვის სახეების მიხედვით სათანადო ინფორმაციის არ არსებობა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს შშმ პირთა უფლებების კონვენციის დასაკმაყოფილებლად საჭირო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. განათლების უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებების რეალიზებასთან და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს პირდაპირ წინაპირობას მათი განხორციელებისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა სათანადო პირობები შექმნან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რათა მათ შეძლონ განათლების და სხვა ფუნდამენტური

უფლებებით ეფექტურად სარგებლობა. არსებული მონაცემებით, განსაკუთრებული პრობლემები შეინიშნება შშმ პირების დასაქმების და მათთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში შშმ პირების დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი მხოლოდ 4.8%-ია, რაც არსებული პრობლემის სიმწვავეზე მიანიშნებს. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა ნათლად აჩვენებს შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მნიშვნელობის აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს მათ თვითრეალიზებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება და მათი უნარების საზოგადოებრივი საქმისთვის სასიკეთოდ გამოყენება უნდა იყოს, სამწუხაროდ, არსებული სტატისტიკა ჯერ-ჯერობით ასეთი პოლიტიკის არ არსებობაზე მეტყველებს. ჩემი მოსაზრებით, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, საქართველოს ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას შშმ პირებთან დაკავშირებული ზუსტი სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და შეგროვების სრულყოფის თვალსაზრისით. ასევე, სასურველია, სამომავლოდ სახელმწიფომ შშმ პირთა სოციალურ გარემოში ინტეგრაციასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისათვის განახორციელოს რეფორმები, რაც ხელს შეუწყობს და მათ დასაქმებას, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში, რაც ცხადია სასიცოცხლოთ მნიშვნელოვანია ასეთი პირებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0
3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2019წ)
4. შშმ პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/statistics_on_pwds_in_georgia_geo_idfi.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2019წ)
5. შშმ პირების დასაქმების სტატისტიკა საქართველოში https://idfi.ge/ge/emplyment_of_pwds_in_georgia (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2019წ)
6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
7. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2019წ.
8. სოციალური მომსახურეობის სააგენტო http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.03.2019წ)
9. ევროპის საბჭო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები https://www.moh.gov.ge/uploads/files/2017/limit.menu/failebi/05.06.2017.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.03.2019წ)

# Employment of persons with disabilities in the public and private sector in Georgia

***Ana Svanidze, PhD student***
***Georgian Technical University***

## Summary

The article ,,Employment of persons with disabilities in the public and private sectors" deals with the rights of persons with disabilities, as well as in the collection of statistical data and scientific research to ensure that a person with disabilities should regulated. The state is responsible to support social protection and the creation of individual developing programs, the creative and production capacities necessary to implement the same things through the mouth to encourage people with disabilities in employment, both in the private and public sectors. UN Convention on the Rights of Persons with Disabilities (UNCPRD) parties ratified by Georgia in 2013 commit to ensure and promote the rights of persons with disabilities (disabled persons) and fundamental freedoms to fully implement the basis of disability without any discrimination. It also obliges states to research the Convention on the Rights of Persons with Disabilities on research and statistical data gathering. With my opinion the recent reports of the public defender clearly show that the state is still not able to provide people with disabilities about perfect statistical data gathering. Exactly is a necessary condition for their reception for BIS. Work for people with disabilities is one of the ways to integrate them.

**key words:** social integration, disability, employment system, employment policy, public service.

# ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დონის გავლენა ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე

*ჭანტურია ნატალია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ჯიქია ანა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

*მარტინენკო ნათელა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ეკონომიკაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინფორმაციული კაპიტალის როლი, რომელიც შემოსავლების მისაღებად აერთიანებს ტექნოლოგიურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინტელექტუალურ ინფორმაციას.

სწორედ ინფორმაციული კაპიტალის დეფიციტი შეიძლება დასახელდეს განვითარებად ქვეყნებში ინტელექტუალური და შესაბამისად ადამიანური კაპიტალის ფორმირების, განვითარებისა და მართვის პრობლემატურობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად.

ქვეყნის ინტელექტუალური კაპიტალის სტრუქტურაში ადამიანური კაპიტალი ძირითადი და განმსაზღვრელი კომპონენტია სხვა კომპონენტების წარმატებული განვითარებისათვის.

თანამედროვე პირობებში ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში სულ უფრო მზრდადია, მასზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ეკონომიკის ინფორმაციულ-ინოვაციური მგრძნობელობა, ინტელექტუალური კაპიტალი, ადამიანური პოტენციალის ხარისხი... წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა კორელაციული კავშირი ადამიანური კაპიტალის ფორმირებასა და მასზე მოქმედ ინდიკატორებს - „ცოდნის ეკონომიკის ინდექსს“ — Knowledge Economy Index-KEI, "ქსელური ეკონომიკის მზადყოფნის ინდექსსა“ Networked Readiness Index- NRI, და „ინფორმაციული საზოგადიების ინდექს"-ებს შორის.

საკვანძო სიტყვები: საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალის ფორმირება, ადამიანური კაპიტალის მართვა, ინფო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

**ძირითადი ტექსტი**

ინფოსაკომუნიკაციო ტექნოლოგიები უზუნველყოფს 21-ე საუკუნის საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის, ცოდნის და ინფორმაციის შექმნას, გადაცემას, გამოყენებასა და ანალიტიკურ დამუშავებას, რომელიც თანამედროვე ეკონომიკის ძირითად სექტორს წარმოადგენს. ეკონომიკის საბაზრო მექანიზმის მოდიფიკაციას სწორედ ინფორმაციული ფაქტორი ახდენს: იცვლება კონკურენციის მეთოდები, ფორმირდება ახალ პრინციპებზე დაფუძნებული ინფოსაკომუნიკაციო სფეროსა და მომსახურების ლოკალური, რეგიონალური, ნაციონალური და საერთაშორისო ბაზრები.

ინფორმაციულ-ქსელური ეკონომიკისთვის დამახასიათებელია განუხრელი რესტრუქტურიზაცია და რეინჟინერინგი, რომელიც დამყარებულია სამეცნიერო და რესურსდამზოგავ, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამმუშავებელ თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რომლებიც აწარმოებენ მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პროდუქციას.

თანამედროვე ეკონომიკაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინფორმაციული კაპიტალის როლი, რომელიც შემოსავლების მისაღებად აერთიანებს ტექნოლოგიურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინტელექტუალურ ინფორმაციას.

სწორედ ინფორმაციული კაპიტალის დეფიციტი შეიძლება დასახელდეს განვითარებად ქვეყნებში ინტელექტუალური და შესაბამისად ადამიანური კაპიტალის ფორმირების, განვითარებისა და შენარჩუნების პრობლემატურობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მენეჯმენტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ცოდნა ემსახურებოდეს საზოგადოებისთვის იდეებისა და ინოვაციების შექმნისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფას და გავრცელებას.

საინფორმაციო სისტემებსა და ინფორმაციის გადაცემის ქსელებს თანამედროვე მსოფლიო ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს: იგი უზრუნველყოფს მეურნეობრიობის ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების ფუნქციონირებას. მსოფლიო ინტერნეტ ქსელი (World Wide Web Internet) - ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდა, რამაც უზრუნველყო 21-ე საუკუნის ცხოვრების ახალი იმიჯისა და სტილის ფორმირება. შესაბამისად, საინფორმაციო სისტემებს ახალი თაობა აღიქვამს, როგორც გარემოს ბუნებრივ ნაწილს [1, 2].

ამ პროცესებთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება ცნება „ქსელური ეკონომიკა" — (Network Economy) [3], რომელიც ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის რთულ პროცესთან ადაპტირების საშუალებას აძლევს. შესაბამისად საზოგადოების ინფორმატიზაციის დონე წარმოადგენს საზოგადოების კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი უმნიშ-ვნელოვანეს მაჩვენებელს. ხოლო, მოსახლეობის მიერ ყოველდღიურ ცხოვრებასა და სამრეწველო სექტორში ინფოსაკომუნიკაციო სისტემების გამოყენების შესაძლებლობა განისაზღვრება, ადამია-ნური პოტენციალის განვითარების დონით.

ქვეყნის ინტელექტუალური კაპიტალის სტრუქტურაში ადამიანური კაპიტალი ძირითადი და განმსაზღვრელი კომპონენტია სხვა კომპონენტების წარმატებული განვითარებისათვის. თანამედ-როვე პირობებში ეკონომიკურ ზრდაზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ეკონომიკის ინფორმაციულ-ინოვაციური მგრძნობელობა, ინტელექტუალური კაპიტალი, ადამიანური პოტენციალის ხარისხი.

ადამიანის ინტელექტუალური პოტენციალი აერთიანებს 3 კომპონენტს: ინტელექტუალურ კაპიტალს, საინფორმაციო კაპიტალს და ადამიანურ კაპიტალს.

ცოდნის ეკონომიკის განვითარება ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ანალიტიკოსებს, კერძოდ ქმნის აუცილებლობას არამატერიალური აქტივების - ინტელექტუალური კაპიტალის შეფასებისა და განვითარების ტექნოლოგიების შემუშავებისას.

ადამიანური კაპიტალის შეფასებისა და ანალიზის ძირითად მეთოდს მაკრო-დონეზე წარმოადგენს ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსების გაანგარიშება.

ადამიანის განვითარების ინდექსი (აგი) - Human Development Index (HDI) ან ადამიანის პოტენ-ციალის განვითარების ინდექსი (აპგი) არის საერთო ინდექსი, რომელიც მოიცავს საზოგადოების სამ მნიშვნელოვან მახასიათებელს: სიცოხცხლის ხანგრძლივობის ინდექსს; განათლების ინდექსს (ზრდასრული მოსახლეობის ცოდნის დონე) და მაცხოვრებლების კეთილდღეობის მაჩვენებელს (მშპ ერთ სულ მოსახლეზე).

როგორც წესი, ამ სამ მახასიათებლეს შორის პირდაპირი დამოკიდებულება (პირდაპირი კორელაცია) არსებობს.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით, მოწინავე ქვეყნების სია ბოლო 30 წლის მანძილზე თითქმის არ იცვლება, შეინიშნება მხოლოდ მცირედი გადაადგილება [5]. წამყვან პოზიციებს ეკონომიკურად მოწინავე სახელმწიფოები იკავებენ. 1975-2000 წწ ლიდერი ქვეყანა იყო კანადა, 2000 წ-დან - ნორვეგია.

ლიდერი ქვეყნების ადამიანის განვითარების ინდექსის დინამიკა 1980-2015 წლებისთვისაა შედგენილი[6] და გაანალიზებულია სიტუაცია მსოფლოს 188 ქვეყანაში, მათ შორის ამ ნიშნის მიხედვით აუთსაიდერ ქვეყნებში- აზიასა და აფრიკაში. ეს არის ქვეყნები, სადაც სიღარიბე და ეკონომიკის განუვითარებლობა აფერხებს ადამიანური პოტენციალის და შესაბამისად-ადამიანური კაპიტალის განვითარებას.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყანა (მათ შორის დსთ-ს ქვეყნები) იკავებს არც თუ საუკეთესო პოზიციას საერთაშორისო რეიტინგის სიაში: ყაზახეთი -56-ე პოზიციას, საქართველო - 70-ს, სომხეთი - 84-ს, აზერბაიჯანი - 78-ს, თურქმენეთი - 111-ს, მოლდოვა - 107-

ს, უზბეკეთი - 105-ს, ტაჯიკეთი - 129-ს (მის გვერდითაა ბოტსვანა, ნამიბია, მაროკო, ინდოეთი).

მოცემული ინდექსი, რომელიც ახასიათებს ადამიანის განვითარების დონეს, განიცდის ცვლილებას. 2010 წელს ადამიანის განვითარების ინდექსის (აგი) საფუძველზე მოხდა ახალი ინდექსის (აპგი) გაანგარიშება, მოხდა კიდევ ერთი მახასიათებლის დამატება, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის უთანასწორობას სამივე ძირითად- ჯანდაცვის, განათლების და შემოსავლების კრიტერიუმში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაემატა მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის უთანასწორობას. ახალი ინდექსის (უთანასწორობას-მორგებული ადამიანის განვითარების ინდექსი - Inequality-adjusted Human Development Index IHDI) გამოთვლა მოხდა მხოლოდ ერთი თარიღისათვის - 2010[1] წ. [7].

აღნიშნულ ინდიკატორებს მიეკუთვნება: "ცოდნის ეკონომიკის ინდექსი» (Knowledge Economy Index, KEI) (გააჩნია 12 ინდიკატორი [8] და "ცოდნის ინდექსი» (Knowledge Index, KI) [9], "საზოგადოების ინფორმატიზაციის ინდექსი» (Informational Society Index, ISI) [10], „ქსელური ეკონომიკის მზადყოფნის ინდექსი“ (Networked Readiness Index, NRI) [11], "გლობალური ინოვაციების ინდექსის" [12], და სხვები. ასე მაგალითად, "ცოდნის ეკონომიკის ინდექსის" რეიტინგში ფიგურირებს 146 ქვეყანა.[13]

წამყვანი პოზიციას რეიტინგში იკავებენ ევროპის ქვეყნები (შვედეთი, ფინეთი, დანია, ნიდერლანდები, ნორვეგია), ათეულში ასევე შედიან კანადა და ავსტრალია (შესაბამისად, მე-7 და მე-9 პოზიციები). საქართველოს (67-68-ე პოზიცია) უსწრებენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა უკრაინა, რუმინეთი და არგენტინა.

**ქვეყნების რეიტინგი ცოდნის ეკონომიკის მიხედვით, ცხრილი 1.**

| ქვეყანა | 1995 | 2000 | 2012 |
|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 1 | 1 |
| ფინეთი | 7 | 8 | 2 |
| დანია | 2 | 3 | 3 |
| ნიდერლანდები | 5 | 2 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 7 | 5 |
| ახალი ზელანდია | 6 | 9 | 6 |
| კანადა | 10 | 10 | 7 |
| გერმანია | 14 | 15 | 8 |
| ავსტრალია | 9 | 6 | 9 |
| შვეიცარია | 8 | 5 | 10 |
| ირლანდია | 12 | 11 | 11 |
| ამერიკის შეერთებული შტატები | 1 | 4 | 12 |
| ------------------------------------------ | ---------- | ---------- | ---------- |
| არგენტინა | 41 | 44 | 63 |
| კუვეიტი | 57 | 46 | 64 |
| პანამა | 50 | 50 | 65 |
| ------------------------------------------ | ------------ | ---------- | ---------- |
| საუდის არაბეთი | 51 | 52 | 67 |
| **საქართველო** | **70** | **75** | **68** |
| თურქეთი | 62 | 62 | 69 |
| ბოსნია-ჰერცოგოვინა | 92 | 143 | 70 |
| სომხეთი | 67 | 58 | 71 |
| -------------------------------------- | ---------- | --------- | ------- |
| აზერბაიჯანი | 88 | 94 | 79 |

თუმცა, საქართველოს ამ რეიტინგში ჩამორჩებიან მეზობელი ქვეყნები თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი (შესაბამისად, 69-ე, 71-ე და 79-ე პოზიციები). საქართველო ცოდნის ეკონომიკის

[1] ამჟამად, ცნობილია რამდენიმე კომპლექსური (ინტეგრალური) ინდიკატორი, რომლებითაც ხასიათდება პირობები მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის და საზოგადოების განვითარებისა, ფასდება ეკონომიკური და მარეგულირებელი გარემო, რეგულირების ხარისხი, აგრეთვე ბიზნესისა და კერძო ინიციატივების განვითარების ხარისხი, საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების მიერ ინფოკომუნიკაციის სფეროში არსებული და შექმნილი ახალი ცოდნის ეფექტიანი გამოყენების უნარი. (ავტ.)

ინდექსის მიხედვით 10-დან 5,19 ქულით ლიდერ პოზიციას იკავებს რეგიონში, თუმცა ეკონომიკური და სამართლებრივი თავისუფლების ინდექსებსა და ინფოსაკომუნიკაციო გამოყენების ინდექსის მიხედვით საშუალოზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება [14].

1996 წლიდან სისტემატურად ქვეყნდება "საინფორმაციო საზოგადოების ინდექსის" გაანგარიშების მონაცემები. მაჩვენებლები დაყოფილია ოთხ ბლოკად (კომპიუტერის, ინფორმაციის, სოციალური ინფრასტრუქტურისა და ინტერნეტის ინფრასტრუქტურის), რასაც მოსდევს კომბინირებული მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნების რანჟირება [15], ხოლო 2002 წლიდან ქვეყნდება მოხსენებები - Global Information Technology Report, რომელშიც ქვეყნები რანჟირებულია კომბინირებული "ქვეყნის ქსელის ეკონომიკის მზადყოფნის ინდექსის" მიხედვით, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დონეს ახასიათებს 67 პარამეტრით [16]. ეს ინდექსი გაანგარიშდება მონაცემების სამი ბლოკის საფუძველზე: 1) ქსელის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა; 2) სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს გარემოს და სამთავრობო ინსტიტუტების მიერ მისი გამოყენების მზადყოფნა; 3) საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის გამოყენების რეალური დონე. ეს ინდექსი აფასებს, არა მხოლოდ ინფორმაციულ მსოფლიოში ამა თუ იმ ქვეყნის მონაწილეობის მზადყოფნას, არამედ აჩვენებს, თუ რა უდევს საფუძვლად ქვეყნებს შორის განსხვავებებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum) ყოველწლიურად აქვეყნებს „ქსელის მზადყოფნის ინდექსის" (Networked Readiness Index - NRI) რეიტინგებს მსოფლიოს 134 ქვეყნისათვის [17]. 2015 წელს რეიტინგში (ცხრილი N3) პირველ ათეულში იყო: სინგაპური, ფინეთი, შვედეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვეიცარია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი და იაპონია, შემდეგ მოსდევდა კანადა (11-ე პოზიცია) და დანია (მე -15 ადგილი), რომლებიც 5 წლის წინ (2010 წ.) ათეულის მოწინავე პოზიციებზე იყვნენ.

**მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი ქსელის მზადყოფნის რეიტინგის მიხედვით, ცხრილი 2.**

| ადგილი | ქვეყანა | ინდექსი |
|---|---|---|
| 1 | სინგაპური | 6 |
| 2 | ფინეთი | 6 |
| 3 | შვედეთი | 5.8 |
| 4 | ნიდერლანდები | 5.8 |
| 5 | ნორვეგია | 5.8 |
| 6 | შვეიცარია | 5.7 |
| 7 | ამერიკის შეერთებული შტატები | 5.6 |
| 8 | დიდი ბრიტანეთი | 5.6 |
| 9 | ლუქსემბურგი | 5.6 |
| 10 | იაპონია | 5.6 |
| 11 | კანადა | 5.5 |
| ---------- | ---------------------- | ---------- |
| 57 | აზერბაიჯანი | 4.3 |
| 58 | სომხეთი | 4.2 |
| 59 | სლოვაკეთი | 4.2 |
| **60** | **საქართველო** | **4.2** |
| 61 | მონღოლეთი | 4.2 |
| 62 | ჩინეთი | 4.2 |
| 63 | რუმინეთი | 4.2 |
| ----------- | ------------------------- | --------- |
| 143 | ჩადი | 2.4 |

საქართველო ამ სიაში იკავებს მხოლოდ 60-ე ადგილს. მას უსწრებს ესტონეთი (მე-22), ლიტვა (31-ე), ლატვია (33-ე), ყაზახეთი (40-ე), თურქეთი (48), აზერბაიჯანი (57-ე), და სომხეთი (58-ე).

იკვეთება კანონზომიერება- რეიტინგებში წინაურდებიან ის ქვეყანები (განვითარებული და განვითარებადი), რომლებიც ახორციელებენ მზრდად ინვესტირებას სამეცნიერო კვლევებისა და ინფოკომუნიკაციის განვითარებაში. ამ მხრივ საქართველოში შეინიშნება დადებითი ტენდენცია (2010 წ. - 93-ე, 2011 წ. - 98-ე; 2013 წ. - 65-ე, 2014 წ. - 60-ე). „ქვეყნის ქსელური ეკონომიკის მზადყოფნის

ინდექსის“ (NRI) რეიტინგში სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოს პოზიციის გაუმჯობესება იმის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რომ მას აქვს შანსი ადამიანის კაპიტალის არსებული საკმაოდ მაღალი დონე გამოიყენოს, რათა ინტეგრირდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საზოგადოებაში, რომლებიც სარგებლობენ ინოვაციური განვითარების უპირეტესობებით. ამისთვის, საქართველოში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციული საზოგადოების განვითარების სტრატეგიის შექმნას.

ეკონომიკურ ზრდასა და ქვეყანების განვითარებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენის გამოსაკვეთად, **გამოყენებულ იქნა კორელაციის (კოეფიციენტების გამოთვლის) მეთოდი.** ამდენად, მთელი მონაცემების კომპლექტის (102 ქვეყანა) მიხედვით კორელაციის კოეფიციენტი ადამიანის განვითარების ინდექსსა (HDI) და ქვეყნების ქსელის ეკონომიკის მზადყოფნის ინდექსს (NRI) შორის, ანუ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფართოდ დანერგვის მზადყოფნის კორელაციის კოეფიციენტმა შეადგინა 0.80, რაც მიუთითებს პირდაპირ დამოკიდებულებაზე, რომელშიც პირველი ცვლადის ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორის ზრდასთან.

ხოლო ქვეყნების ჯგუფებისთვის მაჩვენებლების კორელაციური დამოკიდებულებები ასე გამოიყურება: ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში (პირველ ჯგუფში (HDI – „Very high human development“ ან “developed“) შეინიშნება ძალიან პოზიტიური დადებითი დამოკიდებულება სოციალური განვითარების მაჩვენებლებსა და ქვეყნების ქსელის ეკონომიკის მზადყოფნის ინდექსს (NRI) შორის - 0.71 (2006 წ.) და 0.66 (2007- 2009 წწ.). ქვეყნებში, რომლებიც მიეკუთვნებიან HDI-ის მეორე ჯგუფს („High human development“ ან „developing) ასევე აღინიშნა დადებითი დამოკიდებულება (0.67 და 0.56). ადამიანის განვითარებასა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ათვისება - გამოყენებას შორის. ქვეყნების მესამე ჯგუფში („Medium human development“ or „developing“) - აღინიშნება ზომიერი დადებითი კორელაცია (0.44 და 0.47). ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში («lessdeveloped») - ყველაზე დაბალი HDI და NRI ინდექსი- ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ( „Low human development“) - სუსტი დადებითი კორელაციაა გამოვლენილი (0.15 და 0.32).

ჩვენს მიერ გამოვთვლილ იქნა პირდაპირი კავშირი ადამიანური კაპიტალის ფორმირებასა და ყველა ზემოთხსენებულ ინდიკატორს შორის („ცოდნის ეკონომიკის ინდექსი“ — Knowledge Economy Index-KEI, "ქსელური ეკონომიკის მზადყოფნის ინდექსი“ Networked Readiness Index- NRI, „ინფორმაციული საზოგადიების ინდექს"-ს შორის).

მსოფლიოში ინდექსების მნიშნელობებსა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის შორის კორელაციური სპექტრი არის 0.86 - 0.93; ინდექსებსა და ერთ დასაქმებულზე რეალური მშპ-ის შორის - სპექტრი - 0.80 - 0.85; მაჩვენებლების მნიშვნელობებსა და ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე მაღალტექნოლოგიური მრეწველობის წარმოების მოცულობის მონაცემებს შორის - სპექტრი 0,57- 0,67 მერყეობს, **რაც მეტყველებს:**

- ინტეგრალური ინდექსების მონაცემების მნიშვნელოვან როლზე ადამიანური კაპიტალის განვითარების შეფასებისას;
- ქსელური ეკონომიკის განვითარებისათვის მზად მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმაღლესი დონის მქონე სახელმწიფოები არიან;
- მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებაში ლიდერები სწორედ ის ქვეყნები არიან, რომლებმაც ცოდნა და ინფოსაკომუნიკაციო სისტემები ეკონომიკის სამსახურში დააყენეს და რისი წყალობითაც მათ დღეს წამყვანი პოზიცია უკავიათ გლობალურ ეკონომიკაში;
- ქვეყნები, ინფოსაკომუნიკაციო სისტემის მაღალი დონის გამოყენებით კარგ შედეგებს აღწევენ მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდაში, თუმცა ეს ეფექტი ვლინდება მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის წყალობით აღწევს ინფოკომუნიკაციის გამოყენების გარკვეულ დონეს.

ამ **ეფექტის მიღწევა** შესაძლებელია საკომუნიკაციო სისტემის გამოყენებით იქ, სადაც ყველაზე მეტად ხდება შრომის პროდუქტიულობისა (მწარმოებულურობის) და მშპ-ს ზრდა, კერძოდ წარმოებაში (ინდუსტრიაში).

სამწუხაროდ, მრეწველობის აღდგენის ნელი ტემპებისა და ინფოკომუნიკაციების არასრულად გამოყენების გამო, საქართველოს ჯერ არ მიუღწევია საჭირო დადებითი კრიტიკული ზღვარისთვის, როცა ინფოსაკომუნიკაციო სისტემა პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს როლი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გლობალურ ბაზარზე პრაქტიკულად უმნიშვნელოა, მაგრამ ამ მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი განვითარების (კონკურენტული) პოტენციალი. შექმნილია საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ინსტიტუტები, რომლებიც აკვირდებიან ქვეყანაში და მის რეგიონებში ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებს და დაახლოვებით 70 კრიტერიუმის მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების შედეგად, აკეთებენ ანალიზს. საქართველოში საჭიროა ამ მიმართულებით ჩატარდეს კვლევა და ანალიზი, ასევე გატარდეს შესაბამისი რეფორმები.

**დასკვნა.** კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორები, რომლებიც ჩვენის აზრით, ინფორმაციულ ეპოქაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხარისხის კონტროლის უმთავრესი კრიტერიუმებად გვევლინება - ადამიანური კაპიტალის დონის ამაღლება პირდაპირ კორელაციურ კავშირშია:

ა) საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებასთან;

ბ) მთავრობის მხრიდან საკომუნიკაციო სისტემების მხარდაჭერის პოლიტიკის გატარებასთან;

სახელმწიფოები, რომლებმაც შეძლეს ეროვნული ეკონომიკის სამსახურში და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის პროცესში დაეყენებინათ გლობალური მსოფლიო ბაზრების მაღალტექნოლოგიური პროდუქციის, მოწინავე ტექნოლოგიების და ინფოსაკომუნიკაციო სისტე-მების ფართოდ დანერგვის უპირატესობები, ახლა აღწევენ ყველაზე შთამბეჭდავ შედეგებს. ქვეყნის ინფო-გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. შესაბამისად, ინფო-გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ უტყუარ ფაქტორად მიიჩნევა.

**გამოყენებული ლიტერატურა**


10. Колодко Г.В. «Новая экономика» и старые проблемы. (перспективы быстрого роста в постсоциалистических странах) // Проблемы теории и практики управления, 2002. № 3. - С. 14-20
11. Родионова И. А., Гордеева А. С. Роль информационных технологий в социально-экономическом развитии стран мира, Вопросы инновационной экономики. No 7(7) / 2011.
12. Kevin Kelly, New Rules for the new Economy, WIRED September, 1997.
13. Стрелец И.А. Сетевая экономика. М.: Эксмо, 2006.
14. Rodionova I., Gordeeva F. Human development index and informatisation of society in CIS //Bulletin of Geography Socio-economic Series. Poland. No.13/2010, p. 79-87.
15. http://hdr.undp.org/en/composite/trends - Trends in the Human Development Index, 1990-2015.
16. Inequality-adjusted Human Development Index (IHDI), http://hdr.undp.org/en/content/inequality-adjusted-human-development-index-ihdi.
17. Derek H. C. Chen,Carl J. Dahlman, The Knowledge Economy, the KAM Methodology and World Bank Operations, The World Bank, Washington DC 20433, October 19, 2005 http://www.worldbank.org/kam - The World Bank Group, July 2009 - Knowledge Economy Index.
18. Derek H. C. Chen,Carl J. Dahlman, The Knowledge Economy, the KAM Methodology and World Bank Operations, The World Bank, Washington DC 20433, October 19, 2005 http://www.worldbank.org/kam - The World Bank Group, July 2009 - Knowledge Economy Index.
19. http://info.worldbank.org/etools/kam/kei_table.asp –рейтинг Всемирного банка - «Индекс Информатизации Общества».
20. World Economic Forum. http://gtmarket.ru/news/2015/04/17/7128

21. http://www.globalinnovationindex.org/gii/main/about.cfm - INSEAD. - The Business School for the World. Confederation of Indian Industry.
22. https://knoema.com/WBKEI2013/knowledge-economy-index-world-bank-2012.
23. http://www.worldbank.org/kam - The World Bank Group, July 2009 - Knowledge Economy Index.
24. http://info.worldbank.org/etools/kam/kei_table.asp – рейтинг Всемирного банка - «Индекс Информатизации Общества».
25. The Global Information Technology Report. 2009 http://gtmarket.ru/news/state/2009/04/05/2477.Networked readiness index World Economic Forum http://reports.weforum.org/global-information-technology-report-2016/networked-readiness-index/

## The impact of the level of development of information and communication technologies on the formation of human capital

***Natalia Chanturia, Associate Professor***
***Georgian Technical University***

***Ana Jikia, PhD student***
***Georgian Technical University***

***Natela Martinenko,***
***Doctor of Business Administration***
***Georgian Technical University***

**Summary**

The role of information capital is becoming increasingly important in the modern economy, which combines technological, scientific, technical, socio-economic and intellectual information for revenue generation.

The deficit of information capital can be named as one of the key factors in the development of intellectual and consequently human capital formation, development and management in developing countries.

Human capital is a major and definitive component in the intellectual capital structure of the country, to successful development of other components. In modern conditions the formation and development of human capital plays an increasingly important role in the economic growth of countries. It is influenced by factors such as information and innovation sensitivity of the economy, intellectual capital, the quality of human potential.

In this article, we tried to analyze and identify the correlation relationship between the formation of human capital and its indicators - “Knowledge Economy Index” - -KEI, “Network Economy Readiness Index”-NRI and the "Information society index"-ISI.

Keywords: human capital formation, human capital management, info-communication technologies

# სექცია V

# ტ უ რ ი ზ მ ი

## Ecotourism competency system in the light of the Canvas model - framework of ECOMODE project

***Dr. Beáta Sz. G. PATÓ***
*University of Pannonia, Faculty of Business and Economics, Hungary*

***Dr. Viktória Cs. Czuppon***
*Assotiate profssor, University of Pannonia*
*Faculty of Business and Economics, Hungary*

***Dóra Jankó***
*University of Pannonia, Faculty of Business and Economics, Hungary*

***Fanni KISS***
*University of Pannonia, Commerce and Marketing BA, Hungary*

**Abstract**

According to ECOMODE project we start to creat a competence map in eco-innovative Canvas model approach. In our articel we introduce Canvas model and the possible Eco-PaTeNt© model of its. In generaly we plan to explore competemcies among tourism managers via our model. It could be the basic to find out what kind of competencies have to be improved.

**Introduction**

Ecotourism is a growing segment of the global tourism industry that is making significant positive contributions to the environmental, social, cultural and economic well-being of destinations and local communities around the world. Thet is the main reason why we applied for Erasmus K2 Strategic Partnership with the leadership of Turkey, Mugla Sitki Kocman University to make a Fostering Eco – Innovative Business Model Development in SMEs in Hospitality Industry last year. This project involved partners from four different countries, with 5 different organizations. The applicant organization is Training2000, from Italy.

The University of Pannonia is a significant institution of higher education in of the Transdanubian region of Hungary. The programmes offered by the university, which has a considerable professional tradition and a great past, cover nearly all areas of sciences. The The main reasons of this project are the followings: there is a strong educational need in Eco-innovative business manager/business understanding in Europe;

In this project one of our task is to make a competence map. This map will carry out a comparison of the key activities carried out by consortium team and their associated partner in partner countries. By this map EcoMode will reveal sets of professional competences for its novel model and learning outcomes. To set up this kind of model we started to work on previous model, PaTeNt© model. In this articel this process will be introduced.

**Business Model Canvas - BMC**

Nowadays, several various business models have been used by different organizations. The Business Model Canvas is an outstanding business model, which was developed by a Swiss economist, Alexander Osterwalder and his partner, Yves Pigneur. The Business Model Canvas is a one-page business model, which represents the operating or the potential business model of an organization briefly and shortly.

The Business Model Canvas is made up of 9 main elements. The nine factors are the followings:

1. Key activities
2. Key resources
3. Key partners
4. Revenue streams
5. Cost structure
6. Channels
7. Customer relationships
8. Customer segments
9. Value Propositions

The nine different building elements of the model and the relationships, connections between these factors can be seen well on the following representation of the Business Model Canvas. (Slávik-Bednár, 2014, p.23.)

<table>
<tr><td rowspan="2">Key partners</td><td>Key activities</td><td rowspan="2">Value propositions</td><td>Customer relationships</td><td rowspan="2">Customer segments</td></tr>
<tr><td>Key resources</td><td>Channels</td></tr>
<tr><td colspan="2">Cost structures</td><td colspan="3">Revenue streams</td></tr>
</table>

Source: (Slávik-Bednár, 2014, p.23.)

The nine main factors can de divided into four groups, represented by the following table.

| The four groups | The building elements of BMC |
|---|---|
| Value | Value proposition |
| The relationship between the organization and the consumers | Key partners, Customer segments, Customer relationships, Channels |
| Activity of the organization | Key activities, Key resources |
| Financial aspects | Revenue streams, Cost structures |

(Forrás: Coes, 2014, p.13)

**Key partners:** Key partners are those organizations, which are the most important to a given company, meaning that they contribute to value creation widely. Besides the different organizations, some authorities and other people can be of high importance as key partners. Cooperation with the key partners can contribute to the successful and efficient operation of an organization. Furthermore, collaboration between the partners can cause the reduction of total costs as well. In order to create and maintain a mutually beneficial partnership, the divison of know-how, technology and financial burdens is favourable. Not all the companies own the necessary resources for production, therefore the acquisiton of the needed factors through maintaining partnerships is quite common. (Slávik-Bednár, 2014, p.24.)

**Key activities:** Key activity can be any activity, which contributes to the value creation of an organization. Without these activities the needs of the consumers can not be satisfied completely. (Slávik-Bednár, 2014, p.24.)

Examples for key activities:

- production
- transportation
- design
- marketing
- sales

**Key resources:**Key resources are those factors which are indispensable for the efficient operation

of an organization. Key resources can be divided into two main groups: tangible resources and intellectual resources. (Slávik-Bednár, 2014, p.24.)

Examples for tangible resources: machines; facilities; buildings/factories; vehicles; materials.

Examples for intellectual resources: know-how; brand; partnerships; databases; copyrights; human resources (managers and staff).

**Cost structures:** This element consists of all costs appearing during the operation of an organization and process of value creation. It is highly advisable to differentiate the two main groups of costs, which are the fixed costs and variable costs. It is of high importance, to list all of these costs in the Business Canvas Model in order to see the total costs. (https://www.cleverism.com/business-model-canvas-complete-guide/) (Date of download: 2019.01.11.)

**Revenue streams:** Revenue streams represent cash flows.Revenue streams originate mainly from the activities of an organization. The main part of the revenue comes from the sale of products and services. Besides this, revenue can be derived for example from: rental and leasing fees, selling of licenses and advertisements. The difference between the revenue and total costs defines the profit of an organization. (Slávik-Bednár, 2014, p.24.)

**Channels:** Sales channels are those channels through which products are transported to final consumers.When choosingthe form of sales channels, the satisfaction of consumers' need should be considered in the first place. Direct selling and indirect selling has to be differentiated. Indirect selling means, that there are more organizations/people in the supply chain, therefore the product is not sold directly by the manufacturer to the final consumer, but via intermediators. (Slávik-Bednár, 2014, p.24.)

Examples for direct selling:stores; salesman; website; telephone.

**Customer segments:** Segmentation menas the division of consumers into homogeneous groups, based on some type of shared characteristics. From these sub-groups of consumers, the organization has to decide, which segments are the most important to them. Organizations can chose from different segmentation methods including: the differentiated market, the undifferentiated market and the niche strategy. (Slávik-Bednár, 2014, p.23.)

**Customer relationships:** Customer relationships comprisethe interactions between the organizations and consumers.Many companies put more and more effort into the creation and development of customer relationship. The use of a customer relationship supporting system, the so-called CRM system is widespread. (Slávik-Bednár, 2014, p.24.)

Customer relationship can be: automated; self-service; personal; tailor-made.

**Value proposition:**One of the most basic element of business models is the value proposition, which appears in the centre of several business models. It is highly important to all organization, to be able to define precisely the value, which can be offered to customers. Value proposition perceived by the management of a company can be different than that of consumers. Therefore it is advisable to ask the oppinion and experiences of consumers. Besides the creation of value, the maintenance of the value is just as important as the previous one. (Verrue, 2014, p.3)

The main advantage of the Business Canvas Model is the expressive visual representation of a given organization's business model. Furthermore, the BMC focuses on value proposition. The main disadvantage of the Business Model Canvas is the lack of the representation of competitors. What is more, the BMC does not consider the effects of external environmental factors. The model concentrates on for-profit organizations, therefore non-profit corporations are in the background. (Coes, 2014, pp. 30-31)

**Research model**

As the first step of the research, the model of the research framework was set up (1. ábra). The focus of the research was on competitiveness and sustainability in ecotourism through the Canvas business model, as well as the competence set for its implementation. Competences are identified through individual competencies using the Sonntag & Schäfer-Rauser (1995) competency modelThe authors consider the overall system-level thinking of research important because it is important not only because of the dynamic change in competence expectations (Dajnoki – Héder, 2018), but also because of the changing expectations of the labor market and the functional areas of HR (Héder - Szabó - Dajnoki , 2018).




**1. ábra: Eco-tourism House of Competence (Pató – Czuppon, 2018)Researh framework to ECOMODE project**

After the creation of the ecotourism's house of competence (Figure 1), and by looking through the examined factors and their complex system, the use PaTeNt© model was needed, which operated successfully in another research earlier. The use of the PaTeNt© model ("**Pa**tó **Te**trahedrons of inter**N**ational **T**heory") – which has design protection (90 806 D0500121), and was used earlier as PaTeNt© JD5T ("**5 T**etrahedrons of **J**ob **D**escription") modelling job descriptions spatially (Pató,

2015, 2017) – was reasonable, because during different researches the uncovering of the relationships between factors and elements characterizing the given research is of high importance. This is especially important at the beginning of the research, because the result of dereliction means, that neglected factors and elements can only be taken into consideration in case of repeated researches. The applied model is capable of expressing and visualising these factors thanks to its appearance and characterisitics.

The 5 tetrahedron model, used for Ecomode research, is named Eco - PaTeNt© . This spatial model is able to define central elements and factors. In this case the Canvas model appears on one of the central tetrahedron and the different factors of ecotourism on the other. The other aspects of the research means the employee, who has different level of competence (basic, intermediate, advanced) in order to reach the goals - business goals and sustainability- appearing on the central tetrahedrons. The research model can be seen in picture 1.2.






**1-2. Picture: Eco - PaTeNt© model**


## Summary

The aim of this study is the demonstration of the framework of EcoMode reasearch and the Eco - PaTeNt© . Based on the results of this study, the other goal is to develop a training which supports the effective work in the field of ecotourism with the creation and development of necessary competence.


**Bibliography:**


1. Coes, B. (2014): Critically assessing the strenghts and limitations of the Business Model Canvas, Master thesis Business Administration, University of Twente, pp.13, 30-31
2. https://www.cleverism.com/business-model-canvas-complete-guide/ (Letöltés dátuma: 2019.01.11.)
3. Csiszárik-Kocsir Ágnes – Varga János (2019): The importance and fulfillment of the sucess Criteria in projects implemented by small and medium-sized enterprises. International of Social Sciences 4. pp. 834-844.
4. Dajnoki Krisztina – Héder Mária (2018): Job competence analysis through the example of a certain organisation In: Juhász, Tímea (szerk.) Studies about the Perspectives of Social SciencesGödöllő, Magyarország : Szent István University, (2018) pp. 45-57. , 13 p.
5. Héder Mária – Szabó Szilvia – Dajnoki Krisztina (2018): Effect of Labour Market Changes on HR Functions ANALI EKONOMSKI FAKULTETA U SUBOTICI / THE ANNALS OF THE FACULTY OF ECONOMICS SUBOTICA Vol. 54. : 39/2018 pp. 123-138. , 16 p. (2018)
6. Pató, B. Sz. G. (2015): The 3D Job Description,Journal of Management Development, Vol. 34 Iss: 4, pp. 406 – 420.
7. Beáta Sz. G. Pató (2017): Formal Options for Job Descriptions – theory meets practice, Journal of Management Development, Vol. 36. Iss. 8, pp. 1008-1028., https://doi.org/10.1108/JMD-01-2016-0019
8. Pató, Beáta Sz. G. (2014): A model consisted of 5 tetrahedral network, as a scientific research appliance. Social Educational Project of Improving Knowledge in Economics, Journal L'Association 1901 "SEPIKE", Vol. 4. pp. 63-68. ISSN: 2196-9531
9. Slávik, S.- Bednár, R. (2014): Analysis of Business Models, Journal of Competitiveness, Vol.6, Issue 4, pp. 23-24.
ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა შექმნის ხელსაყრელ პირობებს მიმდებარე ტერიტორიაზე ლოგისტიკური ცენტრებისა და ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის. ახალი პორტის მშენებლობა დამატებითი ღირებულების მომსახურების განვითარების საშუალებას იძლევა, რაც დიდად გაზრდის ტვირთბრუნვას საქართველოს ტერიტორიაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროექტს ექნება დიდი პოზიტიური სოციალურ-ეკონომიკური გავლენა დასავლეთ საქართველოში, რამდენადაც შეიქმნება ათასობით ახალი სამუშაო ადგილი.

ანაკლიის ნავსადგურს ექნება შემდეგი უპირატესობები:

1. სტრატეგიული მდებარეობა;

2. შესაძლებლობა მიიღოს დიდი ზომის გემები (მაგ. პანამაქსი. პანამაქსი არის საშუალო ზომის სატვირთო ხომალდები, რომლებიც პანამის არხების საკეტი პანამის გავლით, 1,050 ფუტი (320.04 მ) სიგრძით, 110 ფუტი (33.53 მ) სიგანით და 41.2 ფუტი (12,56 მ) სიღრმეში);

3. მომსახურების მიღება „ერთი გაჩერების" პრინციპით;

4. სწრაფი და მარტივი პროცედურები;

5. წლის ნებისმიერ პერიოდში უსაფრთხო ნაოსნობის შესაძლებლობა.

ამჟამად მოქმედი ბათუმისა და ფოთის პორტების სიღრმე არასაკმარისია დიდი გემებისთვის – 8,5–დან 10 მეტრამდეა. ამის გამო საქართველოში მომავალი დიდი გემები იძულებული არიან, გაჩერდნენ სტამბულის, ნოვოროსიისკის ან უკრაინის პორტებში. პროექტის მიხედვით კი ანაკლიის პორტის სიღრმე 16 მეტრი უნდა იყოს.

მასშტაბების თვალსაზრისით, ანაკლიის პორტი არამხოლოდ რეგიონში, არამედ მთელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული იქნება. ანაკლიის პორტის გამტარუნარიანობა, წელიწადში, 100 მლნ ტონა იქნება, რაც რამდენიმე ათეული მილიონით აღემატება ფოთის პორტის მაჩვენებლს. გარდა ამისა განვითარდება ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესი, მათ შორის კვების, სასტუმროებისა და მაღაზიების ბიზნესი.

შავი ზღვის რეგიონს გააჩნია, როგორც ვიცით საუკეთესო პოტენციალი საკრუიზო ტურიზმის განვითარებისთვის. შავ ზღვაზე ტურისტს შეუძლია მოინახულოს ექვსი ქვეყანა, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული უნიკალური კულტურა და უძვირფასესი ძეგლები. მიუხედავად ამისა, მსოფლიო საკრუიზო კომპანიები შავი ზღვის რეგიონს განიხილავენ არა როგორც დამოუკიდებელ რეგიონს, არამედ, როგორც ხმელთაშუაზღვის კრუიზის გაგრძელებას.

შავ ზღვაში შემოსული გემების ნახევარს გააჩნიათ 200 მეტრამდე სიგრძე, გემების მესამედს 250 მ-მდე სიგრძე, ხოლო 10%-ს 300 მ-მდე სიგრძე, რომელთა მიღებაც შეუძლია შავი ზღვის მხოლოდ ორ - ოდესის და კონსტანცას (რუმინეთის) პორტებს. ბოსფორის სრუტის ხიდებს, რომლებიც შავ ზღვას აკავშირებენ მარმარილოს ზღვასთან შეუძლიათ გაატარონ გემები, რომელთა ბორტის სიმაღლეც არ აღემატება 58 მეტრს. ასეთი გემების სიგრძე კი შეადგენს 300-320 მეტრს. ამიტომაც, 1-2 პორტი, რომლებსაც შეუძლიათ დიდი გაბარიტების მქონე გმების მიღება, ეკონომიკურად არამომგებიანია. გამოდის, კომერციული თვალსაზრისით, ყველაზე მომგებიანი გემები შავ ზღვაზე შემოდიან ყველაზე იშვიათად. ამიტმაც საკრუიზო ტურიზმის განვითრებისათვის შავიზღვისპირეთში მნიშვნელოვანია აუზის ყველა პორტის ინფრასტურქტურის გაფართოება.

ტურიზმი განვითარების დოკუმენტში „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025" კრუიზი წარმოდგენილია პრიორიტეტული აქტივობად: „საკრუიზო ლაინერების პორტებსა და ნავმისადგომებში ინვესტირება, კერძო სექტორისათვის შეღავათების დაწესება და საკრუიზო ლაინერების წახალისება დარჩენის გახანგრძლივების მიზნით;" საკრუიზო ტურიზმის მომხმარებელთათვის საქართველო გამოირჩევა ტურისტული დანიშნულების ადგილების ანუ დესტინაციების სიმრავლით.

თავად საქართველო წარმოადგენს ერთ დიდ ტურისტულ დესტინაციას, რომელიც ყოველ წელს უცხოელ ტურისტთა სულ უფრო მზარდი ნაკადებს იზიდავს.

**დასკვნა**

საკრუიზო ტურიზმის განვითარებისა და ფუნქციონირების ყველა ეტაპზე უნდა განხორციელდეს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ანალიზის, კოტროლისა და შეთანხმებების თვალსაზრისით, რაც ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს სრულყოფილად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები და ეფექტურად გამოეხმაურონ მიმდინარე ცვლილებებს. ნავმისადგომზე საკრუიზო გემების შემოსვლის შესაძლებლობა საკრუიზო ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში საკრუიზო ტურისტული პროდუქტის ფორმირების თავისებურებების შესწავლა და ამ სფეროში მეცნიერული დაკვირვება საინტერესოა, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. კოჭლამაზაშვილი ლ., კოჭლამაზაშვილი ლ., ყანდაშვილი თ., "ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია" , თბ., 2013
2. მეტრეველი მ."ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები", თბ., 2008
3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - "საკრუიზო ტურიზმი მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში", შრომები IV ბათუმი 2014
4. ზოიძე გ., " საკრუიზო ტურიზმის რეტროსპექტივა და პერსპექტივა" დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია . სტუ 2018
5. Michael Vogel, Alexis Papathanassis, Ben Wolber - The business and management of ocean cruises ,2012Oxfordshire, UK
6. http://gov.ge
7. www.economy.ge
8. www.mrdi.gov.ge
9. https://www.wikipedia.org/


## Anaklia Deep Sea Port – supportive factor for the develop of the cruise tourism


***Nana Akhalaia, Professor***
***Gori State University***



### Summary

The role of Georgia, as a transport hall, is significant. We must have well-organised transport, railway and maritime infrastructure for the tourism and this idea is nothing without shipping ports. Nowadays in our country exists the ports of Batumi and Poti but they can't receive big ships. For that the government of Georgia has made a decision to build a new port in Anaklia. In order to speak about the silk road and the transport hall, country ought to have the resources to receive any size of boat. The port of Anaklia will be the most important harbour not only for Georgia but also for the north-eastern black sea shore. As far as I'm inclined, this idea will enhance cruise tourism and everyone knows that cruise tourism uses every component of the whole tourism.



Keywords: Cruise Ports, Cruise Travel, Anaklia Port, Black Sea

# სასტუმრო საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებლები

*ბარკალაია ბესიკი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ბერიძე გვანცა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია სასტუმრო საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა, ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტები და სასტუმროს საქმიანობის ეფექტიანობა, როგორც ასეთი. ავტორები მსჯელობენ იმის თაობაზე, რომ სასტუმრო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლება პირველ რიგში უკავშირდება ეკონომიკურ ეფექტიანობას, ამდენად თვლიან, რომ ამ უკანასკნელის ზრდა შეიძლება მოხდეს შემოსავლების დანახარჯებთან შედარებით სიჭარბის პირობებში.

ავტორთა აზრით, სასტუმრო ბიზნესის ერთერთი თავისებურებაა ის, რომ საკმაოდ მაღალი მუდმივი დანახარჯების პირობებში შესაძლებელია ცვლადი დანახარჯების შეკვეცა. ამავდროულად ისინი აღნიშნავენ, რომ მიმზიდველობის მიუხედავად, ამ მეთოდის გამოყენებას განსაზღვრული არეალი გააჩნია, ვინაიდან დანახარჯები არ შეიძლება გახდეს გარკვეულ ზღვარზე დაბალი, რაც სასტუმროს კლასზეა დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები: ეფექტიანობა, მაჩვენებელთა სისტემა, ფინანსური მდგრადობა, ეკონომიკური მდგრადობა.

**ძირითადი ტექსტი**

სასტუმრო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლება პირველ რიგში უკავშირდება ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამ უკანასკნელის ზრდა შეიძლება მოხდეს შემოსავლების დანახარჯებთან შედარებით სიჭარბის პირობებში. სასტუმრო ბიზნესის ერთერთი თავისებურება ის არის, რომ საკმაოდ მაღალი მუდმივი დანახარჯების პირობებში შესაძლებელია ცვლადი დანახარჯების შეკვეცა. მაგრამ, მიმზიდველობის მიუხედავად, ამ მეთოდის გამოყენებას განსაზღვრული არეალი გააჩნია, ვინაიდან დანახარჯები არ შეიძლება გახდეს გარკვეულ ზღვარზე დაბალი, რაც სასტუმროს კლასზეა დამოკიდებული.

არსებობს საკითხის მეორე მხარეც. სასტუმროს მომგებიანობის საფუძველს საცხოვრებელი მომსახურებების გაყიდვა და ინფრასტრუქტურის, მ. შ. კვების ობიექტების მუშაობიდან შემოსული დამატებითი შემოსავლები წარმოადგენს. ამდენად, ნომრის გაქირავების ფასი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს შემოსავალზე და მის კორექტულ განსაზღვრაზე დამოკიდებულია სასტუმრო მომსახურების ეფექტიანობის შემადგენელი სხვა მაჩვენებლები. ერთი მხრივ, განსახლების სწორად განსაზღვრული ფასი აკომპენსირებს სანომრე ფონდის ფუნქციონირებაზე გაწეულ დანახარჯებს, მეორე მხრივ - ახდენს მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნილების გენერირებას.

ფინანსური მდგრადობა - არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერი მიმართულების ბიზნესის ფუნქციონირების სტაბილურობას. სასტუმრო საწარმო წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი ახორციელებს ადეკვატურ ფულად პოლიტიკას, გააჩნია ფინანსური მდგრადობის საკმარისი რაოდენობა, ანუ საკუთარი მაღალლიკვიდური აქტივების ღირებულების 50%-ზე მეტი.

მიკრო და მაკროეკონომიკური გარემოს ფაქტორები განსაზღვრავს ეკონომიკურ და ფინანსურ მდგრადობას, მათ სინერგიას, სწორედ ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანმაპირობებლობა წარმოადგენს განვითარების საწინდარს.

სადანახარჯოსთან შედარებით საშემოსავლო ნაწილის ზრდა, იძლევა რესურსებისა და ბიზნეს-პროცესების ეფექტიანი მართვის, ფულადი ნაკადების თავისუფალი მოძრაობის, ეკონომიკური

დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას, რაც ერთობლიობაში წარმოადგენს ბიზნესის ღირებულებისა და მისი წარმატებულობის ზრდის საფუძველს.

იმყოფება რა მუდმივი განვითარების პროცესში ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, ნებისმიერი ბიზნესი ექვემდებარება ცვლილებებს, ამდენად ეს პროცესი წარმოუდგენელია გრძელვადიანი მიზნების დასახვის გარეშე. მათი რეალიზაცის ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის ერთერთი უმთავრესია ფინანსური რესურსების არსებობა. მათი არარსებობის შემთხვევაში, წარმოიქმენბა ნასესხები სახსრების ან ინვესტიციების მოზიდვის მოთხოვნილება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ვალის დაგროვება და საკრედიტო ტვირთის ზრდა.

ნებისმიერი საწარმოს მდგრადობის შესაფასებლად გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა, რომელთაგან ნაწილი აბსოლუტურია, ნაწილი - შეფარდებითი. აბსოლუტურ მაჩვენებლებს განეკუთნება: წმინდა მოგება და აქტივები, საკუთარი კაპიტალი და საბრუნავი საშუალებები; ხოლო შეფარდებით მაჩვენებლებს კი მივაკუთნებთ:

- რეინვესტირება (რეინვესტირებული მოგების შეფარდება წმინდა მოგებასთან);
- საკუთარი კაპიტალის ზრდა (საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის საკუთარი კაპიტალის შეფარდება საკუთარ კაპიტალთან წლის დასასრულისთვის);
- საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (წმინდა მოგების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან);
- კომპანიის ეკონომიკური ზრდა (რეინვესტირების კოეფიციენტის ნამრავლი საკუთარი კაპიტალის რენტაბელობისა და ზრდის კოეფიციენტების ნამრავლზე);
- წმინდა აქტივების რენტაბელობა (რეალიზაციის რენაბელობის კოეფიციენტის ნამრავლი წმინდა აქტივების ბრუნვაზე);
- გაყიდვების რენტაბელობა (მოგების შეფარდება რეალიზაციიდან ამონაგებ თანხასთან).

უნდა აღინიშნოს, რომ მაჩვენებელთა ანალიზი გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნები სასტურმო საწარმოს საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებზე.

ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი შედგება სამი ფაქტორისაგან: რენტაბელობა, საკუთარი კაპიტალის ზრდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის, რეინვესტირების კოეფიციენტი. როგორც წესი, სასტუმროთა ფუნქციონირების კომპარატიული ანალიზი შემდეგი მიმართულებით ტარდება:

- ანალიტიკური ინფორმაციის მიღება სხვადასხვა სასტუმროს მუშაობის, გეოგრაფიული განლაგების, ტიპისა და კატეგორიის შესახებ;
- ასტუმროს ფაქტიური საქმიანობის შედეგების შეფარდება გეგმიურ მნიშვნელობებთან, რაც იძლევა საბიუჯეტო ამოცანების შესრულებისთვის თვალყურის მიდევნების საშუალებას;
- ეფექტიანობის მჩვენებლების დინამიურობის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი.

ნებისმიერი კომერციული საწარმოს რენტაბელობა ხასიათდება მაჩვენებელთა სისტემით - გაყიდვების, კაპიტალის, საკუთარი კაპიტალისა და ძირითადი საქმიანობიდან მიღებული კაპიტალის რენტაბელობით. ყველა ამ მაჩვენებლის კვინტესენციას კი ინვესიტიციების ერთ დახარჯულ ფულად ერთეულზე მიღებული შემოსავალი წარმოდაგენს.

ჯამური აქტივების მომგებიანობა პირდაპირ არის დაკავშირებული კომპანიაში საკუთარი კაპიტალის მაღალი შემოსავლიანობის უზრუნველმყოფი ბაზის არსებობასთან. ეს მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც საწარმოს ქონების გამოყენების ეფექტიანობა და მისი კლება მოწმობს საწარმოს მომსახურებაზე (საქონელზე) მოთხოვნილების შემცირებას:

**$K_{საკუთ.}$ _$Pr_{net}$_ , როცა $K_{საკუთ}$ = (ბვ$_1$ - ბვ$_2$),** სადაც

**$K_{საკუთ.}$** - საკუთარი კაპიტალია,

**$Pr_{net}$** - წმინდა მოგება,

**ბვ$_1$** - ბალანსის ვალუტა წლის დასაწყისისათვის,

**ბვ$_2$** - ბალანსის ვალუტა წლის ბოლოსათვის.

კოეფიციენტი ახასიათებს აქტივების მომგებიანობას და ასახავს ფასწარმოქმნის პოლიტიკას, გარდა ამისა, დანახარჯების დონეს რეალიზებული მომსახურების (საქონელის) წარმოებაზე.

არსებობს მაჩვენებლის გაზრდის ორი ძირითადი საშუალება: 1) აქტივების ბრუნვის დაჩქარება; 2) წარმოების დანახარჯების შემცირება ანდა ფასების გაზრდა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა, რომელიც ზომავს აქციონერების შემოსავლების საერთო მოცულობას და განსაზღვრავს, რა მოცულობის წმინდა მოგებას მიიღებს კომპანია საკუთარი სახსრების ყოველ ერთ ფულად ერთეულზე (დოლარზე, ლარზე, სხვა):

$$r_{საკუთ.კაპიტალ.} = -Pr_{net}-$$

$$r_{საკუთ.კაპიტალ.} = (სკ_1 - სკ_2),$$ სადაც

**სკ**$_1$ - საკუთარი კაპიტალის მოცულობაა წლის დასაწყისისათვის,

**სკ**$_2$ - საკუთარი კაპიტალის მოცულობა წლის ბოლოსათვის.

მოცემული კოეფიციენტი მაღალი მნიშვნელობა აჩვენებს ბიზნესის წარმატებულობას და შეუძლია განაპირობოს მისი აქციების საბაზრო კურსის ზრდა, იაფი ფინანსური რესურსების მოზიდვა განვითარებისათვის და ა.შ. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კარგი მაჩვენებლები ასევე შეიძლება იყოს დაკავშირებული მაღალ ინფლაციასთან ანდა კომპანიისათვის სხვა რისკებთან.

ძირითადი საქმიანობის რენტაბელობა გამოითვლება, როგორც გაყიდვებიდან მიღებული მოგების შეფარდება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებთან:

$Pr\ r_{ეალ.} / TC$, სადაც

$Pr_{რეალ}$ - რეალიზაციიდან მიღებული მოგებაა,

**TC** - გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.

ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს მოგების რაოდენობას, რომელიც მიღებულია მომსახურების (საქონლის) წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ყოველი ერთი ფულადი ერთეულისათვის (დოლარი, ლარი, სხვა) და გამოითვლება როგორც მთელი ბიზნესისთვის, ასევე მისი ცალკეული დანაყოფისთვის.

პროდუქციის რენტაბელობის ზრდა შესაძლებელია თვითღირებულების შემცირებისა და საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ზრდის ხარჯზე.

გარდა ამისა, კვალიფიციური მართვა ამცირებს მატერიალურ საბრუნავ ხარჯებს რეალიზებული მომსახურების (საქონლის) ყოველ ერთ ფულად ერთეულზე (დოლარი, ლარი, სხვა).

გაყიდვების რენტაბელობა გაანგარიშდება, როგორც წმინდა მოგების შეფარდება საერთო (სარეალიზაციო და არასარეალიზაციო) მოგების ჯამთან:

$$r_{გაყიდვ.} = Pr_{რეალიზ.} / (Pr_{რეალიზ.} + Pr_{არასარეალიზ.}) .$$

ეს ინდიკატორი პირდაპირ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობასთან. თუ გაყიდვების რენტაბელობა ნელნელა იკლებს, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ან გაზრდილი დანახარჯები, ანდა საგადასახადო განაკვეთის მატება. გაყიდვების მოცულობის კლება შეიძლება იყოს დაკავშირებული როგორც მომსახურების ხარისხის ანდა მათზე მოთხოვნილების შემცირებასთან.

სასტუმრო ბიზნესის ინდუსტრია გვიჩვენებს, რომ მოთხოვნის კლების პირობებში ფასი ხდება ძირითადი ფაქტორი, რომელის განსაზღვრავს სასტურმოს კონკურენტუნარიანობას. ამასთან ერთად, სასტურმო ბიზნესის სპეციფიკურობიდან და საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი ხარჯების მოცულობის დიდი წილიდან გამომდინარე, ფინანსური ეფექტიანობის საკითხები დიდ მნიშვნელობას იძენს, ავიწროვებს რა შესაძლო ფასისმიერი მანევრის არეალს. ვთვლით, რომ ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შესაბამისი ინსტრუმენტების ნაკრების ფლობა, რომელიც იძლევა სხვადასხვა სასტუმრო საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ოპერატიული და ზუსტი ანალიზის საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Ferguson, T. S. A Bayesian analysis of some nonparametric problems // Ann. Statist. 1973. Volume 1. - P. 209-230.
2. Gronroos, C., Service Management and Marketing: A Customer Relationship Management Approach, 2-nd Edition. John Wiley & Sons, 2000.
3. Juran, J. Managerial Breakthrough. New York- Mc Graw-Hill, 1964.
4. Kruskal, I. B. Multidimensional Scaling by Optimizing Goodness of- fit to-a Nonmetric Hypothesis // Psychometrika. - 1964. - v. 29. - N 1.
5. Parasuraman, A., Berry L., Zeithaml V. SERVQUAL: A Multiple-Item Scale for Measuring Customer Perceptions of Service Quality // Journal of Retailing. 1988. - Vol. 64 (Spring). - P. 12 - 40.
6. Parasuraman, A., Zeithaml V., Berry L. A Conceptual Model of Service Quality and its Implications for Future Research // Journal of Marketing. -1985.-Vol. 49 (Fall).

# სასტუმრო, როგორც ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტი

*ბარკალაია ბესიკი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ფერიშვილი იზაბელა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

საქართველოში ტურიზმის განვითარება, ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მხარის მაჩვენებელი გახლავთ. პირველი, სახელმწიფო და მეორე კი კერძო სექტორის აქტივობას ნიშნავს. სწორედ ამ ორივე მხარის სწორი და ეფექტური ურთიერთობების საფუძველზე შესაძლებელია სტაბილურობის და კერძო სექტორის განვიტარების შექმნა. პირველ მხარეს, როგორც წესი, მეტი ვალდებულება აკისრია, რათა მან უზრუნველყოს ქვეყანაში წარმატებული სამეწარმეო საქმიანობის შექმნა.

მეორე მხარე, რომელიც გამოისახება წარმოების და მეწარმის სახით, რომელმაც სახელმწიფოს დახმარებით უნდა შეძლოს საკუთარი ბიზნესის აღორძინება. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება. დღეს ტურიზმის ინდუსტრიაში იკვეთება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ნათლად აისახება სასტუმროს სექტორის აქტივობაში. მაგ. სასტუმროს მართველის არასწორი კონკრეტული ბიზნესის ცოდნა, არასწორი შექმნილი სიტუაციების ხედვა, საერთაშორისო სტანდარტების გაუთვალისწინებლობა. ეს და მრავალი სხვა უარყოფითად მოქნედებს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებაზე. არსებობს დარღვევების ჩამონათვალი, რომელიც არის ასახული სტუმრების მიერ არსებულ კომენტარებში, სასატუმროს სერვისის დონის შესახებ. არასწორი კადრების შერჩევა, არაკვალიფიციური მენეჯმენტი, არასწორი გზით დანერგილი ტრეინინგები. ან საერთოდ მათი არ შესრულება. მსგავსი უარყოფითი მოვლენა ულახავს ქვეყანას იმიჯს ტურიზმის დარგში. სასტუმროების სერვისის დაბალი დონის ნიშნული, ხდება ერთ-ერთი კრიტიკის საგანი ქვეყნის ტურიზმის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი. ეკონომიკა. ტურისტი. სარგებელი. ზეგავლენა. ბიზნესი. ტენ-დენცია. მოცულობა. სასტუმრო. კვალიფიციური. მენეჯმენტი. სერვისი. საერთაშორისო. სტანდარტი. ტრეინინგი. კომენტარი. ფასი. მოთხოვნა. ბაზარი. პოლიტიკა. რესურსი. შემოსავლები. განვითარება. ინდუსტრია.

**ძირითადი ტექსტი**

დღეს ტურისტული ინდუსტრია დამკვიდრებულია არა მარტო ტრადიციულ ტურისტულ ცენტრში, არამედ სხვა ქვეყნებში. მაგ. ავსტრალიაში, აფრიკაში, ამერიკისა და აზიის კონტინენტების ბევრ ქვეყანაში. ტურისტული ინდუსტრია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ერთიანი კომპლექსი, რომელიც შედგენილია სხვადასხვა სექტორებისგან. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ტურინდუსტრია შედგება, ძირითადი, დამატებითი და ე.წ. „ საგარეოუბნო“ სექტორებისგან.

იმისათვის, რომ სიღრმისეულად ჩავწვდეთ არსებულ დეტალებს, საჭიროა გავეცნოთ სპეციალისტების კვლევებს.

ტურისტულ ინდუსტრიაში, ძირითად და პირველად დარგებს წარმოადგენენ შემდეგი აქტივობები, რომლებიც ხორეციელდება სხვადასხვა ობიექტებზე:

1. სასტუმროების და სხვა განთავსების ადგილები.
2. კვების ბლოკი.
3. ტრანსპორტი
4. რეკლამა
5. ტურისტული სააგენტოების მიერ ტურპროდუქტების გასაღება-გაყიდვა.
6. ღონისძიებები-ექსკურსიები.
7. სამეცნიერო და საქმიანი ინტერესების შესაბამისი ტურები.

სავაჭრო საწარმოები:

1. ადმინისტრაციული ორგანოები.
2. ბუნების, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები.

საინფორმაციო სამსახურები:

1. მასმედია.
2. სახელმწიფო ტურისტული ორგანიზაციები.
3. უცხოური, იურიდიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ტურისტული ინდუსტრია ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის შემოსავლებსა და მოგებას, როგორც ეროვნული ისე უცხოური ვალუტით, ზრდის კაპიტალდაბანდებებს, ხელს უწყობს ნებისმიერი ბიზნესის განვითარებას, განაპირობებს ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას.

ტურისტული ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი ტურისტული მომსახურებაა, რომელთა-განაც უმნიშვნელოვანესია: განთავსება, კვება, სასმელები, ტრანსპორტი და მიზნობრივი მომსახუ-რება.

ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელოვანი კომპონენტია:

- ტურისტული ობიექტები, დასვენების სხდასხვა ფორმები.
- განთავსების საშუალებები და მომსახურება.
- ტურისტული ინფორმაციის სამსახურები.
- სალონები, ფიტნეს ცენტრები.
- მოსასვენებელი დარბაზები, განსაკუთრებული სტუმრებისთვის.

განთავსების საშუალებებში შედის, როგორც მსხვილი სასტუმროები, უცხოური ბრენდების მონაწილეობით, ისე საშუალო და მცირე ზომის სასტუმროები. მაგ. კემპინგები, სოფლის დასასვენებელი სახლები.

ტურისტული ინდუსტრიის სტრუქტურების ეფექტურობა შეიძლება განისაზღვროს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილით, დასაქმებულთა საერთო მაჩვენებელთან მიმართებაში. დასაქმებულების დიდი წილი მოდის სასტუმროებზე და რესტორნებზე, ტურისტთა მომსახურებაზე. მაგ. დიდ ბრიტანეთში მთლიანად ტურინდუსტრიის ყველა სექტორში დასაქმებულია, მოსახლეობის 60%, გერმანიაში 55%. მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი მაღალია.

სასტუმრო განთავსების კოლექტიური საშუალებაა, რომელიც განსაზღვრული ნომრების რაოდენობისგან შედგება და მის საქმიანობას წარმოადგენს სტუმარი, რომელიც სტუმრობს ქვეყანას გარკვეული დროით. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, სტუმრის ბინადრობის პოზიცია განი-ხილება შემდეგ ნაირად. სტუმრები მცირე დროის ბინადრობით და ხანგრძლივი დროის ბინად-რობით. მოკლე დროის პერიოდით, როგორც წესი ჩამოდიან სტუმრები, რომლებიც მიეკუთვნებიან ტურისტული სეგმენტის წარმომადგენლებს. მსგავს შემთხვევაში ტურისტული კომპანიები წინასწარ აფორმებენ ხელშეკრულებას სასტუმროებთან, სადაც პროდუქტის ფასი, რომელსაც ქირაობს ტურისტული კომპანია არის კონფედენციალური. ეს ნიშნავს, რომ ეს ორი კომპანია ტოვებს ფასთა სხვაობას „დახურულ" ფორმატში. მსგავსი გამოცდილებით ასევე მოქმედებენ მსოფლიო ტურისტული კომპანიები. ხელშეკრულება, როგორც წესი შედგენილია ყოველივე სასტუმროსთვის ინდივიდუალურად, ობიექტის სტრუქტურიდან გამომდინარე. სასტუმროს პროდუქტის ფასწარმოქმნა არის დამოკიდებული როგორც სტუმრების რაოდენობაზე ასევე გატარებული ღამეების რაოდენობაზე. ტურისტისთვის, ასეთ შემთხვევაში პროდუქტის ფასი, რომელსაც იგი მოიხმარს სასტუმროში რჩება უცნობი. ფასი არ უნდა იყოს ასახული არც სარეგისტრაციო ბარათზე, რომელიც გახლავთ მნიშვნელოვანი საბუთი სასტუმროს სტატისტიკური მონაცემებისთვის. რეალური ფასი არის ასახული მხოლოდ ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება კომპანიების შორის.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებამ ასევე ხელი შეუწყო კერძო ბიზნესის აქტივობას, მაგ. კერძო ბინების და სააგარაკო სახლების გაქირავებას. დასავენებელი ბანაკების და განთავსების სხვა საშუალებების განვითარებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ საშუალება მისცა მყოფ დამსვენებელს

კომფორტულად დაესვენა და იმავე დროს მიეღო მონაწილეობა მრავალრიცოვან კონფერენციებში. მსგავსი აქტივობები უქმნიან მონაწილეებს მყუდრო დასასვენებელ და სამუშაო გარემოს.

აგრეთვე სასტუმროები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კლასის მიხედვით. ბოლო წლებში სასტუმროების კლასიფიკაციის პრობლემა ტურიზმის სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში მოიქცა. საერთაშორისო სასტუმროების ასოციაციის მონაცემებით სასტუმროების ოფიციალური კლასიფი-კაცია მიღებულია მსოფლიოს 64 ქვეყანაში, 11 ქვეყანაში კი ის დამუშავების პროცესშია, ხოლო 58 ქვეყანას კი არა აქვს ცნობილი ვარსკვლავების ერთიანი კლასიფიკაცია. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიე-კუთვნება, ისეთი განვითარებული ქვეყნები როგორიცაა: დიდი ბრიტანეთი,ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია.

სხვაობა სასტუმროების კლასებს შორის, მომსახურების ნომენკლატურით, დონით და ფასებით აისახება. კატეგორიებს ასახავენ სიმბოლოთი: ცნობილი მთელ მსოფლიოში ვარსკვლავები, ვარსკვლავთა კლასიფიკაცია. დიდ ბრიტანეთში სასტუმროების კლასიფიკაცია აისახება გვირგვინით და გასაღებით. საბერძნეთში, მსგავსი ნიშნულები აისახება ლათინური ასოების მეშვეობით. ნიშნულებით შეფასება იზრდება სასტუმროების აღჭურვილობის, მომსახურეობის ნომენკლატურისა და ხარისხის დონის მატებასთან ერთად.

სასტუმროების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემის შემუშავება ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე რთული სამუშაოა.. სასტუმროებისთვის საერთაშორისო სტანდარტით გარკვე-ული კატეგორიის მინიჭებისთვის, საჭიროა განისაზღვროს შემდეგი მნიშვნელოვანი მოთხოვნები:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა.
- მომსახურების სტანდარტების დონე.
- უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების გამართულობა.
- მომსახურების ხარისხი, რომელიც ასახვას პოვებს ე.წ. სტუმრის „ კითხვარში“. სერვისის საერთაშორისო სტანდარტში აღნიშნულია, შემდეგი მნიშვნელოვანი მოთხოვნები: მაგ. მოსახერხებელი და მისასვლელი გზა ტრანსპორტისთვის, კეთილმოწყობილი ტერიტორია, მყარსაფარიანი მოედანი, ავტოტრანსპორტის მცირე ხნით გაჩერებისა და მანევრირე-ბისათვის, სასტუმროს დასახელებისა და კატეგორიის მაჩვენებელი აბრა.

იმ სასტუმროს, რომელსაც უკავია შენობის ნაწილი, უნდა გააჩნდეს ცალკე შესასვლელი. ტექნიკური დანადგარები უნდა შეესაბამებოდეს „ საზოგადოებრივი შენობის“ სამშენებლო ნომრებსა და წესებს. საავარიო გასასვლელი გზები, აღჭურვილი უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემით:

- ელექტრო, გაზის, წყლის და საკანალიზაციო მოწყობილობებით.
- მუდმივი ტემპერატურული რეჟიმით.
- ვენტილაციით.
- ტელევიზიის მრავალრიცხოვანი არხების არსებობით.
- პირდაპირი სატელეფონო კავშირით, იგულისხმება სტუმრის ოთახი.
- სხვადასხვა სახეობის სასტუმრო ოთახების განათებით.
- ავტოსადგომის უსაფრთხოებით და დაცულობით.
- სასტუმროში არსებული „გარე პერიმეტრის“ კონტროლით

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბაზარზე საქართველოს ტურიზმის და სასტუმრო ინდუს-ტრიის თემა შედარებით ახალი მოვლენაა, და სათანადოდ არარის დამკვიდრებული. ისეთი ბაზრის პარამეტრები, როგორიცაა მოთხოვნის ზრდა, მოთხოვნის ტიპები, ობიექტები ჯერ კიდევ არარის ზუსტად გათვლილი. ამის გამო ბიზნესის პროგნოზი აშკარა რისკებთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს ხელს უწყობს ეკონომიკის აღნიშნულ სეგმენტში არარეგისტრირებული ფულადი საშუალებების განთავსების სტიმულირებას.

საქართველოში ტურიზმის სფეროში და სასტუმრო ინდუსტრიაში მომქმედი კერძო ორგანიზაციების უმრავლესობა ჩართულია ბიზნესში, ხოლო ნაწილი კი ტურების ოპერირებასა და ტურისტული მომსახურების სხდასხვა სფეროში.

საშუალო კლასის სასტუმროები ტურიზმის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა . საქართველოში მსგავსი ბიზნესი ჯერ კიდევ განიცდის სირთულეებს. ტურისტული ნაკადის უმეტესი პროცენტი განთასვსდება მაღალი კატეგორიის სასტუმროებში, იგულისხმება ევროპული ბრენდული სასტუმროები. ზოგადად კი მსოფლიოში საშუალო კლასის სასტუმროებზე მოთხოვნა მაღალია. თუმცა, ჩვენთან საშუალო კატეგორიის სასტუმროები არახელსაყრელი პირობების გამო ნაკლებად იტვირთებიან ტურისტების ნაკადებით და შესაბამისად ნაკლებად ვითარდებიან.

მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად და საშუალო და მცირე სასტუმროების წასახალისებების მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „ აწარმოე საქართველოში" , გამოყო სოლიდური გრანტები, იმისათვის, რომ მონაწილეებმა მიიღონ გადაწყვეტილება აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. მათ როგორც წესი, ასევე ეკისრებად არსებული ინფორმაციის ანალიზის გაკეთება.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. კ.აბულაძე. „ სასტუმროს საქმის საფუძვლები", თბილისი. 2015 წ.
2. ზ.შელია, „ საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალური შესაძლებლობები. საქართველოში სასტუმრო ბიზნესის ეფექტიან განვითარებაში", ბათუმი,2016 წ.
3. ი. ფერიშვილი, სალექციო კუსრიის სწავლება : პროფესიული კოლეჯი „იკაროსი", კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი, საგანი „სასტუმროს მენეჯმენტი", „ სასტუმრო მართვა-ადმინისტრირება"
4. ნ. ცერცვაძე. ტურიზმის წარმატების ფაქტორები. 26 აგვ. 2015 წ.-ფორბს მოსაზრება
5. The business of hotels. Medlik, Hadyn Ingram –Business and Economics-2000 (www. Books.google.ge) Goeldner, Charles, R.Ritchie, J.R.B. Tourism –Principles, practices, philosopies New Jersey 2003- Discription – Desigh Hotels -2016.


## Hotel as an important Aspect of Tourism Development


***Besik Barkalaia, Professor***
***Georgian Technical University***

***Izabella Perishvili, PhD student***
***Georgian Technical University***



**Summary**

There are different natural, economic-geographical and social conditions in different territories; accordingly, tourism develops in different ways.At the same time, many scholars state that for different areas tourism introduces a certain sector of economic benefits and expenditures that is taken into consideration while making decisions on development of tourism. As different ways of development of tourism make different forms of economic as well as non-economic trends, ignoring any of them can lead a particular territory to socially less acceptable choice.

That is why formation of clear economic and social-theoretical mechanisms for functioning of tourism becomes necessary.

Some researchers think that solving two tasks is necessary to find out the essence of the economic mechanism of tourism: firstly, it is essential to create a clear picture of the whole system of theworking mechanism, and secondly, to study the essential parts of this system.

## ICT in the Hotel Front Office Operations

***Vasadze Manana***
***Associate Professor of Georgian Technical University***

### Abstract

Development in the technology is gaining pace in the hotel industry.

Many jobs in the front office are suited for the use of a computer because of their clerical, repetitive, data manipulation and number calculating nature. They can include: the processing of reservations, guest registration, room status updating, posting guest charges, Guest folio settling, updating guest history, generating relevant reports for various department heads and management of the Hotel. What we see today is a system, which, apart from performing basic operations, is capable of automatically generation information, posting charges to guests' accounts and balancing its own functions.

Key words: ICT (Information and communications technologies), Electronic Front office, guest folio, data manipulation, CRS (central reservations system), EPOS (electronic point of sale systems).

### Introduction

Development in the technology of electronics and computerization is gaining pace in the hotel industry. What we see today is the logical progression of information and accounting systems from an entirely manual method of operation to an electronic method. Despite the change in systems methods, the basic principles are still the same. However, what we see today is a system, which, apart from performing basic operations, is capable of automatically generation information, posting charges to guests' accounts and balancing its own functions. This does not mean that the receptionist or cashier is no longer necessary, but rather that they are relieved of some of the boring and repetitive work which is part of the day-to-day operation of every hotel front office. However, electronic front office is expensive, and to justify its cost it must offer substantial benefits both to the hotel and its guests. Many jobs in the front office are suited for the use of a computer because of their clerical, repetitive, data manipulation and number calculating nature. They can include: the processing of reservations, guest registration, room status updating, posting guest charges, Guest folio settling, updating guest history, generating relevant reports for various department heads and management of the Hotel (Fig.1).




**Fig. 1. Electronic Front Office Transactions**

An electronic front office does not mean that it operates in isolation. The Electronic front Office can work directly with other departments within the hotel. All the departments have access to the information normally held at the front desk. It means they have ability to be interfaced with the front

desk.

**Reservations**

Once the booking has been made all of the information, along with any special requests, is kept in the memory of the system. With the growth of technology, the Internet and e-mail have become powerful tools for today's customers. The customer can access through internet, a Global Distribution System (GDS) which links directly the reservation systems of hotels, airlines, car rentals and travel agencies on a worldwide basis. For maximizing room occupancy most large hotels use yield management system that enables to instantly analyze the profit potential of each booking by adjusting the room rate to suit the need for rooms at any particular time.

**Registration**

Reception staff prints the guest's registration card upon the arrival of the guest, confirms all the details, the method of payment with the guest and get s the guest to sign the form. Nowadays even the front desk technology has developed. A remote check-in system called "the roaming front desk" has been introduced. It is a portable, hand held computer, with a small printer and a magnetic card swipe that is interfaced to the hotel property management system. A customer can use a touch-screen keypad to download reservation details and to check in from any remote location. The system has signature capability and credit card recognition and prints a registration form for customer use.

The use of multi functional travel/smart card is becoming very popular. It can include many functions, such as: ticketing and boarding information, passport information, hotel booking information etc.

Many hotels running computerized systems have the electronic room key system linked with the front desk system.

Energy Management System (EMS) is designed to control automatically the operation of mechanical equipment in a hotel, so as to achieve the optimum savings on utilities such as gas and electricity.

Call Accounting System (CAS) can be interfaced to the hotel's main system or it may operate as a stand-alone system. A call accounting system handles all local and international telephone calls and automatically charges all the appropriate costs to the guest's folio.

The main advantages of this system is the following: the guest can call direct from their rooms without having to go through the hotel operator, it enhances guest satisfaction; the accuracy of processing telephone charges is greatly increased through the use of CAS.

Electronic Point-Of- Sale (EPOS) Systems are made up of a number of computerized cash registers – terminals – found in the food and beverage departments of the hotel. The interface of the food and beverage EPOS system allows an automatic transfer of charges to the guest account at the front desk.

**Check-Out**

The hotel computer system helps to reduce the drudgery of the guest check-out procedures. It prints in several seconds an accurate, neat and complete guest folio. It also helps to reduce the check-out queue, which is the common complaint found in most of the hotels.

A fully automatic "in-room" check-out system directly linked to an on line credit card computer system offers prompt service to the guest. The guest can simply call up their account to date on their television screen.

**Audit**

Computer greatly simplifies the audit procedure by self-balancing which means that the computer automatically checks that the correct amount has been posted to the correct room that the totals for the various customer service outlets cross-balance with the amounts paid into reception as cash or credit, and that the actual room status input by housekeeping matches the front desk room status. From all of the audit procedures come the reports required by management and operational supervisors.

**Reporting**

One of the major features of a front office computer system is the ability to retrieve and print relevant reports for management, other departments and other sections of the front office department, such as: housekeeping, cashiers, mail and information, reservations and so on. The amount and type of reporting can vary considerably. The report program on a front office computer system enables management to have accurate idea of the current state of affairs of the hotel's operation. There are lots of reports based on the needs of the individual hotel.

Hotel guest reception technology

**Methodology**

The purpose of the study was to examine hotel guest reception technology cycle algorithm which is divided into four stages: pre-arrival, arrival, guest accommodation and Departure.

Questionnaires for hotel staff/management were distributed, gathered and analyzed. Data were gathered and processed in small and medium-size hotels in various regions of Georgia.

**Conclusions**

In small hotels the reservation system may comprise simple manual charts or reservation forms. But in bigger (medium-size) hotels such manual systems, may become inefficient and alternative systems have to be considered. These systems may be altered by computerized systems. It is important for a hotel to choose an appropriate and efficient hotel management system. For any system to function effectively front office staff must be computer literate and very well trained in operating the system. The incorrect data recording may cause a lot of confusion and it may harm the reputation of the hotel.

Finally, it can be said that the possible users to which the computer can be designed are as varied as the imagination of the computer experts. Technology is undergoing continuous change and, therefore, it is vitally important that the professional front office employee keeps fully up-to-date.

**References**

1. N. Akhalaia , & M. Vasadze. New Trends in Hospitality Industry and Georgia, *Advances in Management & Applied Economics*, vol.6, no.6, 83-88. ISSN: 1792-7544. 2016
2. S. Baker, P., Bradley, & J. Huyton. "Principles of Hotel Front Office Operations". (2nd ed.), Thompson. 1995
3. D. Holt. *Management principles and practices,* (2nd ed.), New Jersey: Prentice Hall. 1990
4. A. Ismail. Front Office Operations and Management. Albany, NJ: Delmar Thompson. 2002
5. D. Rutherford, & M. O'Fallon. *Hotel management and operations,* (4th ed.), NJ: John Wiley & Sons, Inc. 2007
6. M. Vasadze, I. Mosashvili, T. Duruli. "Hotel Guest Service Technology". Economics World, May-June 2018, Vol.6, No.3, 185-190
7. Woods at al. *Professional front office management,* Upper Saddle River, NJ: Pearson Education . 2007
8. Georgian National Tourism Organization Statistics, 2016.

# საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სასტუმროს ფრონტ ოფისში

*ვასაძე მანანა*
*საქართველოს ტექნკური უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სასტუმროს ინდუსტრიაში.

ფრონტ ოფისში საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს იყენებს უამრავი თანამშრომელი სხვადასხვა მომართულებით, მაგალითად, მონაცემთა ბაზების, რაოდენობრივი გაანგარიშებისა და სხვ.მათ შორის, ფრონტ ოფისის საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს : დათქმების დამუშავებას, სტუმრების რეგისტრაციას, ოთახის სტატუსის განახლებას, სტუმრის განთავსებას, სასტუმრო ფოლიოებს, სტუმრების ისტორიის განახლებას, სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელების შესაბამისი ანგარიშებს და, ზოგადად, სასტუმროს მართვას.

დღეს ჩვენს ხელთ არსებულ სისტემას გარდა საბაზისო ტრანსაქციების განხორციელებისა, შეუძლია ავტომატურად მოიძიოს ინფორმაცია, განახორციელოს ტრანსაქციები: სტუმართა ანგარიშებზე ჩარიცხვიდან, საკუთარი ბიზნესის დაბალანსების ფუნქციის გათვალისწინებით.

# ინოვაციები ტურიზმის ინდუსტრიაში

*ვასაძე მანანა*
*საქართველოს ტექტნიკური უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*ჭუმბურიძე მარიამი*
*საქართველოს ტექტნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ტურიზმი გლობალური ინდუსტრიია, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნებისა და ტენდენციების მუდმივი ცვლის ხარჯზე უმჯობესდება. სწორედ ცვლილებების საჭიროება აქცევს ინოვაციას მნიშვნელოვან ბერკეტად სხვადასხვა სახის ტურისტული ფირმისათვის, რათა ადგილი დაიმკვიდრონ კონკურენტულ გარემოში და აწარმოონ მომგებიანი საქმიანობა.

ინოვაციების გამოყენებას მრავალი უპირატესობა აქვს. კერძოდ, ინოვაციები ტურისტულ ინდუსტრიაში ზრდის მუშობის ეფექტიანობას/შემოსავალს, ამცირებს ხარჯებს, ხელს უწყობს მომხმარებლების ცვალებადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, ნებისმიერი ბიზნესისთვის ინოვაციების დანერგვა კონკურენტული უპირატესობის მოპოვების კიდევ ერთი საშუალებაა.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ონოვაცია, სმარტ სამყარო

**ძირითადი ტექსტი**

ინოვაცია და ტექნოლოგიური ცვლილებები იქცა გლობალური ტურიზმის განუყოფელ ნაწილად. ეს არც არის გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ ორივე მათგანის მნიშვნელობას ტურისტული მომსახურებისათვის.

ბოლო წლებში ცხადი გახდა წინსვლა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში (ICT). ამავდროულად „სმარტ სამყარო" რომელშიც ვცხოვრობთ, მუდმივი ევოლუციის პროცესში, გვთავაზობს დროისა და ფულის დაზოგვისა და პროდუქტებისა თუ მომსახურების ინდივიდუალიზაციის ახალ გზებს.

ამიერიდან ტურისტული აქტივობა იზომება ფასისა და ტექნოლოგიის კომბინაციით; მობი-ლურებში ვითარდება ახალი აპლიკაციები, რომლებიც მრავალფეროვან შესაძლებლობებს გვთავაზობენ; სოციალური ქსელები ბაზარს გამჭვირვალობას ანიჭებენ, სადაც მოქალაქეები სერვისებს ერთდროულად იღებენ. ერთი სიტყვით, ცვლილებებს მუდმივი და აშკარა ხასიათი აქვს, ისევე როგორც შესაძლებლობებს, რომლებსაც ისინი გვთავაზობენ.

ამრიგად, სხვა გზა არ გვრჩება გარდა იმისა, რომ მივყვეთ ცვლილებებს და დავნერგოთ ინოვაციები, რომლებიც კულტურულმა ცვლილებებმა მოიტანა. თუმცაღა, აუცილებელია რომ ცვლილებები იყოს უკეთესი, მეტად წარმატებული, ინკლუზიური, შემოქმედებითი ტურიზმის საწინდარი, რომელიც ეთიკასა და სოციალურ ერთიანობაზე იქნება დაფუძნებული, რაც, თვის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ სფეროში წარმატებულ საქმიანობას.

ვინაიდან ტექნოლოგია უფრო სწრაფად ვითრდება ვიდრე ოდესმე, შეაბამისად, მოგზაურებიც მთელ მსოფლიოში უფრო მეტად განათლებულები არიან ტექნოლოგიურად ვიდრე წარსულში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტექნოლოგიამ ტურიზმში უფრო მეტი ცვლილება შეიტანა, ვიდრე რომელიმე სხვა ფაქტორმა. ამავდროულად მეტი ადამიანი უკავშირდება ერთმანეთს და ეძებს და იღებს ინფორმაციას ონლაინ მოგზაურობის გადაწყვეტილების მისაღებად. ამრიგად, ტურისტული ინდუსტრიისთვის მნიშვნელოვანი გახდა საკუთარი საქმინობისა და სამუშაო ძალის უნარების მომხმარებლების ცვალებად ქცევასთან ადაპტირება.

მოგზაურობის სურვილის გაჩენამდე პოტენციური ტურისტი მოგზაურობის შემდეგ ციკლს

გადის[1]:

- სასურველი ობიექტის შერჩევა
- ბაზრის შესწავლა
- დაჯავშნა.
- გამოცდილება.
- მიღებული გამოცდილების გაზიარება

*ფაზა 1: სასურველი ობიექტის შერჩევა.* ვებ-გვერდებმა დაჩრდილეს ინფორმაციის ტრადიციული, ზეპირსიტყვიერი გავრცელება მოგზაურობის სურვილის ჩამოსაყალიბებლად. მოგზაურები ონლაინში ეძებენ სად და როგორც გაემგზავრონ. სანამ უშულოდ მიიღებენ გადაწყვეტილებას, ისინი ეცნობიან ბლოგებსა და გამოხმაურებებს, უყურებენ სამოგზაურო ვიდეო რგოლებს დასვენებისა თუ მუშაობის მსურველთათვის.

*ფაზა 2. ბაზრის შესწავლა.* სასურველი ობიექტის შერჩევიდან მომხმარებელი გადადის ბაზრის შესწავლის სტადიაში, რასაც საკმაო დროს ანდომებს. ძებნა დასვენებისა თუ საქმიანი მიზნით მოგზაურობის დაგეგმვის საუკეთესო ხერხია. ამ მიზნით ინფორმაცია გროვდება ვებ-გვერდებიდან, ბოლო პერიოდში კი მობილურის საშულებითაც.

*ფაზა 3: დაჯავშნა.* ონლაინ დაჯავშნის რიცხვის ზრდის პარალელურად შთამბეჭდავია მობილურით ავია ბილეთებისა და სასტუმროს დაჯავშნის ზრდის ტენდენცია.

*ფაზა: 4 გამოცდილება.* მოგზაურები ლეპტოპის, სმარტფონისა თუ პლანშეტის დახმარებით მუდმივად ეძებენ ექსკურსიის, რესტორნისა თუ სხვა მომსახურების მიღების საშუალებებს. ამიტომ საჭიროა მათთვის ამგვარ ინფორმაციასთან ონლაინ წვდომის გამარტივება.

*ფაზა 5: მიღებული გამოცდილების გაზიარება.* ერთი პიროვნების მიერ მეორისათვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება ხდება ამ უკანასკნელის შთაგონების წყარო მოგზაურობის სურვილის გასაჩენად და შესაბამისად ზემოაღნიშნული ციკლის თავიდან დასაწყებად. უმეტესი მოგზაური ეცნობა სხვა მოგზაურების გამოხმაურებას მათი გამოცდილების შესახებ და გადაწყვეტილებას მასზე დაყრდნობით იღებს.




**წყარო:** http://www2.unwto.org/sites/all/files/pdf/unwtodigitalresources_volume1_techtourism_eng.pdf

როგორც ვიცით, ინოვაცია წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან “innovatus” და ნიშნავს იდეის ისეთ პროდუქტად გარდაქმნას, რომელიც შეიძლება გაიყიდოს ან განვითრდეს (მომსახურება ან საქონელი)[2].

---

[1] http://www2.unwto.org/sites/all/files/pdf/unwtodigitalresources_volume1_techtourism_eng.pdf

[2] https://www.researchgate.net/publication/321906089_The_Relationship_between_Innovation_and_Tourism_The_Case_of_Smart_Tourism

ტურიზმის სექტორში შემავალი კომპანიებისთვის, როგორიც არის სასტუმრო, რესტორანი, ტურისტული სააგენტო, თუ გასართობი ინდუსტრია, ინოვაცია მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებად არის საჭირო.

ტექნოლოგია ტურიზმის ინდუსტრიაში ინტერნეტისა და სმარტ ტექნოლოგიების მეშვეობით აღწევს. წარსული გამოცდილებისგან განსხვავებით, როცა ტურისტული სააგენტოები კატალოგიდან ირჩევდნენ შეზღუდული რაოდენობის სასტუმროებს დღესდღეობით სასტუმროს, თვითმფრინავისა თუ რესტორნის დაჯავშნა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან არის შესაძლებელი სოციალური არხების მეშვეობით. მომხმარებლები თუ პოტენციური მომხმარებლები ადვილად პოულობენ ონლაინ დაჯავშნის სისტემისა და მომხმარებლების დადებითი და უარყოფითი გამოხმაურების გაცნობის შესაძლებლობის წყალობით, მათი სტანდარტებისა და მათთვის ხელმისაწვდომი ფასის შესაფერის პროდუქტს, (ამ გზით მომხმარებელს წარმოდგენა ექმნება არა მხოლოდ 5 ვარსკვლავიან სასტუმროებზე, არამედ პატარა, ნაკლებად ცნობილი სასტუროების შესახებაც კი).

ინოვაციას წამოადგენს 2016 წელს "სასტუმროების მართვისა და ონლაინ დაჯავშნის სისტემების" ონლაინ პროგრამის შექმნა კომპანია "პროსერვისის" მიერ რაც მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობას. პროექტის მთავარ სეგმენტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განთავსებული სასტუმროები წარმოადგენს. ელექტრონული სერვისი, სასტუმროების პოტენციურ სტუმრებს შესაძლებლობას აძლევს ონლაინ რეჟიმში შეამოწმონ სასურველ სასტუმროში თავისუფალი ნომრები. ასევე, შესაძლებლობა ეძლევათ ონლაინ დაჯავშნონ პლასტიკური ბარათით და გადაიხადონ როგორც პირდაპირი გადახდის, ასევე ადგილზე მოგვიანებითი გადახდის პირობით.

შეთავაზება განსაკუთრებით საინტერესოა იმ სასტუმროებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ვებგვერდი. პროექტის ფარგლებში, ასეთი სასტუმროები "სასტუმროს მართვასა და ონლაინ დაჯავშნის სისტემის" პროგრამულ უზრუნველყოფასთან ერთად, ვებგვერდს და 1 გბ ჰოსტინგს იღებენ.[1]

მთავარი მიზანი იყო ხელი შეეწყოთ განვითარებისათვის და ხელმისაწვდომი ფასები შეეთავაზებინათ მომხმარებლებისათვის. ამ მიზნით გათვალისწინებული იქნა მხოლოდ ფიქსირებული, ყოველთვიური გადასახადი, რაც არ გულისხმობს დამატებით საკომისიო გადასახადს მიუხედავად იმისა, თუ რამდენი სტუმარი ისარგებლებს ონლაინ დაჯავშნით. შესაბამისად, სისტემა ეხმარება ქართული სასტუმრო ბიზნესის განვითარებას, ასევე ტურისტული ნაკადების წვდომას საქართველოს მიმართულებით, ვინაიდან ბევრი ტურისტი დღეს თვითონ ჯავშნის სასტუმროებს და იღებს გადაწყვეტილებას, თუ სად და როგორ იმოგზაუროს. ამრიგად, სისტემები ტურისტებს ეხმარება, რომ ონლაინში დაჯავშნონ სასტუმროები და გაეცნონ იმ სერვისებს, რომლებსაც მათ სასტუმროები სთავაზობენ, რაც ფრიად მნიშვნელოვანია.

ფაქტია, რომ ტურიზმის სექტორი, რომელსაც მსოფლიოში დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ინოვაციების გავლენას განიცდის. ადამინებზე-ორიენტირებული ბუნებიდან გამომდინარე იგი მუდმივად ზრუნავს მომხმარებლების კმაყოფილებაზე, რაც მისი წინსვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამრიგად, ტურიზმის სექტორი ტექნოლოგიური და გარემო პირობების ცვლილებებს უყურადღებოდ ვერ ტოვებს. კონკურენტული გარემოსა და მომხმარებელთა სურვილების სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით ტურისტული საწარმოები ცდილობენ არ ჩამორჩნენ ამა თუ იმ სიახლეს. ტურიზმის სექტორში ინოვაცია ეხება როგორც საქონელს, ასევე მომსახურებას, ვინაიდან იგი ტურიზმში დასაქმებულ პერსონალს უადვილებს მუშაობას. ამავდროულად, მომხმარებელი ჩართულია წარმოების პროცესში.

არსებული ინოვაციების პრაქტიკაში დანერგვა ტურიზმის სექტორში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის შესაძლებელი როგორც სმარტ ტექნოლოგიის ნაწილი და მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ტურიზმის სექტორისათვის.

მზარდად დინამიურ საზოგადოებაში გლობალიზაცია იქცა საკვანძო საკითხად, რაც

[1] http://www.ghn.ge/com/news/view/148614

ეკომიკური სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. განსაკუთრებით ეს ეხება ტურიმის ინდუსტრიას, ინდუსტრიას, რომელიც ზევრად არის დამოკიდებული ადამიანურ ფაქტორზე და ინფორმაციასთან თავისუფალ წვდომაზე. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების განვითარება გლობალური ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს აყალიბებს ინოვაციების ტემპის დაჩქარების მეშვეობით.

მასპინძლობის ინდუსტრია მოითხოვს ტურისტული ბაზრის მოთხოვნების მიმართ მაღალ ადაპტაციას, ინფორმაციული და ტექნოლოგიური კომუნიკაცია კი ეფექტიანი ხერხია ტურისტული პროდუქტის მიწოდებასა და კლიენტის მოთხოვნებს შორის ურთიერთკავშირისა და მომსახურების ხარისხისა და პროფესიონალისზმის დონის გასაუმჯობესებლად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. http://www2.unwto.org/sites/all/files/pdf/unwtodigitalresources_volume1_techtourism_eng.pdf
2. https://www.researchgate.net/publication/321906089_The_Relationship_between_Innovation_and_Tourism_The_Case_of_Smart_Tourism
3. http://www.ghn.ge/com/news/view/148614


## Innovations in the tourism industry


***Manana Vasadze, Associate Professor***
***Georgian Technical University***

***Mariam Tchumburidze, PhD student***
***Georgian Technical University***


### Summary


Tourism is a global industry that improves customer demand and trends at constant exchanges.It is necessary to make changes to innovations as important leverage for different types of tourism companies in order to establish a place in a competitive environment and to make a profitable activity.

The use of innovations has many advantages. In particular, the innovation in the tourism industry increases efficiency / income, reduces costs, promotes the customers’ changing needs. Consequently, the introduction of innovations for any business is another way of obtaining competitive advantage.

# ინოვაციების განვითარება ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესში

*კაციტაძე ნანა*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*კოჭლამაზაშვილი ლელა*
*გ. თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*თუშიშვილი ალექსანდრე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

შრომა ეძღვნება თანამედრვე ბიზნესში მეცნიერეული კვლევების ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა ინოვაციების მიმართულებები ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესში და მისი როლი კონკურენციულ ბრძოლაში. ავტორის მიერ ინოვაციებში არსებული კვლევების გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილია ტურიზმსა და სასტუმრო ინდუსტრიაში ძირითადად გამოყენებული ინოვაციების ტიპები, გაკეთებულია ანალიზი ინოვაციების კონცეფციების ხასიათსა და სასტუმროს ბიზნესის მახასიათებლებს შორის. შესწავლილია მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში სასტუმრო ინდუსტრიაში ინოვაციური აქტივობები და მის საფუძველზე შემოთავაზებულია ის ინოვაციური კონცეფციები, რომლებიც ადგილობრის ბაზრზე განთავსების სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესს მისცემს შესაძებლობებს იყვნენ კონკურენტუნარიანები. ამ მიმართულებით განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია მომხმარებელის მოთხოვნებზე ორიენტირებული ინოვაციური მართვის გამოყენებაზე, მაგალითად, როგორიცაა Lean produsction, IT ტექნოლოგიები. ავტორის აზრით აღნიშნული ინოვაციები წარმოადგენს მომხმარებელთა მართვის იაფ საშუალებას და მომხმარებელთან მუდმივი კავშირით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე „დაზოგვითი წარმოების“ ხარჯზე საშუალო და მცირე სასტუმროებს შეძლიათ სრულად უპასუხონ მიზნობრივი სეგმენტის მოთხოვნებს და შესაბამისად იყვნენ კონკურენტუნარიანები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ტურიზმი, სასტუმრო ბიზნესი, Lean produsction

**ძირითადი ტექსტი**

სასტუმრო ინდუსტრიის დასაყრდენს წარმოადგენს დარგი, რომლის ყოველწლიური ზრდა მსოფლიოში ბოლო ათი წლის განმავლობაში საშუალოდ 4%-ზე მაღალია. რაც მიანიშნებს ტურიზმის ზრდის ტრაექტორიის უწყვეტობასა და შესაბამისად, სასტუმრო სექტორის განვითარების მყარ და სტაბილური ზრდის შესაძლებლობებზე. 2017 წელისათვის საქართველოს ტურიზმის სექტორში შექმნილმა დამატებითმა ღირებულებამ 2.24 მლრ ლარი შეადგინა. ტურიზმის სექტორების მიხედვით საშუალოდ ზრდა 13% შეადგინა და აქედან განთავსების სექტორში ზრდამ 30,5% -ს მიაღწია[5]. ამდენად, აშკარაა, რომ ქვეყანაში ტურისტების ნაკადების ზრდას განთავსების სექტორი კარგად იყენებს. ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში სასტუმროთა შენებისა და გახსნის ნამდვილი ბუმია. ჩვენი ქვეყნის ბაზარზე წარმატებით ოპერირებს მრავალი საერთაშორისო სასტუმრო, რომელთა რაოდენობა ყოველწლიყრად მკვეთღად იზრდება. სასტუმრო ბიზნესის წარმატებაზე მეტყველებს სასტუმროს ინდიკატორების (OCC, ADR, REVPAR) მაჩვენებლები, რომლებიც თბილისის შემთხვევაში უტოლდება და ზოგჯერ უსწრებს კიდეც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასტუმროთა საქმიანობის მაჩვენებლებს. სასტუმროების დეველოპერებისათვის თბილისი მიაჩნევა მომგებიან ადგილმდებარეობად [9].

დღეს, საქართველოს სასტუმრო ბაზარის შემადგენლობაში დომინირებს წვრილი და საშუალო ბიზნესი. ქსელურ სასტუმროებს მხოლოს ბაზრის 13% პროცენტი უჭირავს[5]. რეგიონებში სასტუმრო ბიზნესში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საოჯახო სასტუმროები და სასტუმრო სახლები.

განთავსების სფეროში ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვანი როლს თამაშობს განსაკუთრებით მთიანი რეგიონების ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში. ბრენდულმა სასტუმროებმა ბიუჯეტურ ბაზარზე დაიწყეს შესვლა. ტენდენცია, რომელიც სავარაუდოდ გაგრძელდება მომავალში, გაამწვავებს კონკურენციას სასტუმრო ბიზნესში და განსაკუთრებით დაბალ ბიუჯეტურ ნიშაზე და შექმნის საშიშროებას ადგილობრივ წვრილ და საშუალო ბიზნესისათვის, რომელსაც გაცილებით მწირი რესურსი გააჩნია.

მკვლევარებს შორის არსებობს ზოგადი კონსენსუსი იმის შესახებ, რომ ტურიზმის საწარმოების კონკურენტუნარიანობა, მეტწილად დამოკიდებულია მათ ინოვაციურ აქტივობებზე, რომელის შედეგადაც მიიღება შედარებით დაბალი ხარჯები და უფრო მაღალი ხარისხის შედეგები [2; 18; 19;]. ამდენად, საქართველოს სასტურო ბაზარზე კონკურენციის ზრდის ტენდენცია კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ინოვაციურ აქტიურობას სასტუმრო ბიზნესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრმის მიზანს წარმოადგენს გავიგოთ, რომელი ინოვაციური კონცეფციებია აქტუალური ტურიზმის სექტორებში, კერძოდ კი სასტუმრო ბიზნესში და შევისწავლოთ მათი მახასიათებლები, რათა ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისათვის ადგილობრივ ბიზნესს მიეცეს მათი ეფექტური გამოყენების შესაძლებლობები.

ინოვაციების არსი და მნიშვნელობა ტურიზმში

ოცდამეერთე საუკუნემ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა ტურიზმის სფეროში ჩართული კომპანიები. გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებამ, განვითარებულმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, საწარმოო პროცესების მართვის ახალი მოდელების შექმნამ და მრავალმა სხვა ფაქტორმა, გაამძაფრა კონკურენცია კომპანიებს შორის. ინოვაცია ხდება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ტურიზმის პოლიტიკისა და განვითარების განხილვისას, რადგან ინოვაცია მიიჩნევა, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, ტურისტული პროდუქტის, თუ ტურისტული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდის ერთ-ერთი მამოძრავებელ ძალად [6; 8].

ინოვაცია ტურიზმის სფეროში წარმოიშვა იქ, სადაც ტურიზმის დანიშნულების ადგილის სიცოცხლისუნარიანობამ მიაღწია პიკს, რომელსაც ჰაერივით დასჭირდა ახალი კონცეფციები, უფრო მაღალი ხარისხი და დამატებითი ღირებულებების შექმნა [20]. დღეს, ტრადიციული ტურისტულ ქვეყნები, რომელთაც შეექმნათ პროდუქტიულობის გაზრდასთან დაკავშირებული პრობლემები, ინოვაციას უყურებენ, როგორც მათი განვითარების პრობლემების გადაჭრის საშუალებას[12].

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი აღიარებს ტურიზმში საწარმოების კონკურენტუნარიანობის ძლიერ დამოკიდებულებას ინოვაციურ აქტივობებზე დღეს ამ სფეროში აკადემიური კვლევის კონტექსტში ინოვაციის თემა მაინც მწირადაა განხილული. ამასვე ადასტურებს ჰჯალაგერი თავის შრომაში (2010) და აღნიშნავს, რომ ტურისტულ დანიშნულების ადგილებსა, თუ ნაციონალურ ეკონომიკაზე ინოვაციური აქტივობების, მათი გავლენის და გრძელვადიანი ეფექტების შესახებ ნაკლები სისტემატური და ემპირიული მტკიცებულებები არსებობს[10]და ეს მაშინ, როდესაც ტურიზმის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ამ სფეროში ძალიან მრავალფეროვან და საინტერესო ინოვაციური პროცესებს ქონდა ადგილი.

შრომების სიმცირე ამ მიმართულებით შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებებით: პირველი, ტურიზმი ახალგაზრდა სფეროა და მნიშვნელოვანი აკადემიური კვლევები მხოლოდ გასული საუკუნის 70-იან წლებიდან იწყება; მეორე, ხელშემშლელ ფაქტორად შიძლება ჩაითვალოს თვითონ „ტურიზმის“ განსაზღვრის პრობლემა, რამდენადაც ტურიზმს მისი მრავალსექტორობიდან გამომდინარე სტანდარტულ ინდუსტრიულ კლასიფიკაციაშია ვერ ვიპოვით და ბოლოს, ტურიზმის ინოვაციის კვლევასთან და მის ემპირიულ გაზომვასთან მიმართებაში არსებული პრობლემები დაკავშირებულია ტურისტული პროდუქტის კომპლექსურობასთან, მის მრავალწახნაგოვნებასთან, რაც ართულებს მის სტანდარტული ინოვაციის ინდიკატორიებთან შეუსაბამობასაში მოყვანას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კვლევები, რომელიც ამ პერიოდისათვის არსებობს ამ მიმართულებით, როგორიცაა ვეიერმაიერის (2006), ჰჯაგელერის (2002), ჰალლის, ვილიამსის (2008) და სხვების, ფრიად საყურადღებო და ღირებულია.

ინოვაცია ხდება მოდური სიტყვა და ბოლო პერიოდში ხშირ შემთხვევებში ტერმინი „ინოვაცია“ გამოიყენება საშუალო დონის სიახლეების აღსანიშნავად. ამგვარი მიდგომა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ სიფრთხილის და აკადემიური სიმკაცრის გამოჩენის საჭირებაზე მიგვითითებს. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ, ინოვაცია ყოველთვის სიახლესთან არის დაკავშირებული, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვაწყდებით გამოწვევას, რადგან ყველაფერს, რაც ახალია, ვერ დავარქმევთ ინოვაციურს[3;4].იოჰანსენ ეტ ალის (2001) მიხედვით, იმისთვის რომ შევძლოთ ინოვაციის პრაქტიკული თვალსაზრისით განმარტება, საჭიროა სამ ძირითად კითხვას გავცეთ პასუხი: რა არის ახალი, რამდენად ახალი და ვისთვისაა ახალი. ინოვაციად შეიძლება იყოს მიჩნეული რეორგანიზაციის, ხარჯების შემცირების, ახალი საბიუჯეტო სისტემების, კომუნიკაციის გაუმჯობესების ან გუნდურად პროდუქციის აწყობის იდეებიც” [6].

რიგი ავტორებისთვის ინოვაციის სწავლების მამად წდებული შუმპიტერის კლასიფიკაცია გახდა შთაგონების წყარო კვლევებისთვის, რომლშიც გამოყოფს ინოვაციის შემდეგ ხუთ სფეროს: 1. ახალი ან გაუმჯბესებული პროდუქტის შექმნა, 2.წარმოების ახალი პროცესების წარმოჩენა, 3.ახალი გაყიდვის ბაზრის განვითარება, 4.ახალი მომწოდებელი ბაზრის განვითარება და ბოლოს, 5.კომპანიის რეორგანიზაციას ან რესტრუქტურიზაცია [3;4]. აღნიშნულ ტიპოლოგიაზე დაყრდნობით ტურიზმის სექტორისთვის ჰჯალეგერი ანვითარებს ტურიზმის სექტორისთვის და ისიც გამოყოფს ხუთ მიმართულებას: 1.პროდუქტის ინოვაცია; 2.პროცესის ინოვაცია; 3.მენეჯმენტის ინოვაცია, რომელიც ეხება ორგანიზაციულ მართვის პროცესებს; 4,ლოჯისტიკური ტიპის ინოვაცია, რომელიც მოიცავს გარე კომერციული კავშირების რეორგანიზაციას და საერთო ელემენტები აქვს შუმპიტერის გაყიდვის ახალი ბაზრის და მომწოდებელთა ბაზრის განვითარების კატეგორიასთან, და ბოლოს 5. ინსტიტუციონალური ტიპის ინოვაცია. აღნიშნული ტიპოლოგია სხვადასხვა კომბინაციების საშუალებას იძლევა[11].

ინოვაციურ აქტივობებს ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესში ძირითადად ვხედავთ გაუმჯობესებული და ინდივიდუალიზირებული პროდუქტების და მომსახურეობების შექმნაში, ასევე გარემოს დაცვის, საინფორმაციო ტექნოლოგიური განვითარებების ასპექტებში. მაგრამ, კვლევების უმეტეს ნაწილში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია პროდუქტის და პროცესის ინოვაციაზე, რომლებიც ეხება გაუმჯობესებული ან ახალი პროდუქტის და მომსახურებების გენერირებას და ამ პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის გზას. ამგვარი მიდგომა ამარტივებს შუმპიტერის კლასიფიკაციას და ხაზს უსვავს ორ სფეროს, რომლებსაც პირდაპირი ეფექტი აქვთ ეკონომიკის ზრდაზე. თუმცა „ოსლოს სახელმძღვანელოს“ მესამე გამოცემა, რომელიც ეხება როგორც წარმოების, ისე მომსახურების სექტორში არსებულ ინოვაციებს, ამატებს ორ ახალი ტიპის ინოვაციას: ორგანიზაციულ და მარკეტინგულ ინოვაციას [22]. „ოსლოს სახელმძღვანელოში“ ნახსენები ტიპოლოგიები შიძლება მივუსადაგოდ ტურიზმის სფეროსაც, მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით. ინოვაციის ტიპების კლასიფიკაცია ტურიზმის ინდუსტრიისთვის შეიძლება შემდეგნაირია:

- პოდუქტის ინოვაცია: რადიკალურად ახალი ან ძირეულად შეცვლილი პროდუქტი ან მომსახურება;
- პროცესის ინოვაცია: რადიკალურად ახალი ან ძირეულად შეცვლილი პროცესის ან მიწოდების მეთოდის დანერგვა.
- ორგანიზაციული ინოვაცია: ფირმის ბიზნეს პრაქტიკაში სრულიად ახალი ან ძირეულად შეცვლილი ორგანიზაციული ფორმის ან მართვის ფორმის დანერგვა, სამუშაო ადგილის ახლებური ორგანიზაცია და გარე კომპანიებთან ურთიერთობები.
- მარკეტინგული ინოვაციები: ახალი ან ძირეულად შეცვლილი მარკეტინგული სტრატეგიების დანერგვა, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს მნიშვნელოვან ცვლილებას - პროდუქტის დიზაინში, რეკლამაში, დისტრიბუციაში ან ფასის განსაზღვრაში.

მკვლევართა ნაწილი ასევე მიუთითებს, რომ ჩატარებული კვლევები აჩვენებენ ტურიზმის სფეროში ინოვაციების დაბალ ხარისხს და არნიშნავენ, რომ „ტურისტული კომპანიები, უმეტეს

შემთხვევაში, მხოლოდ საშუალოდ ინოვაციურები არიან“[11]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ, ეს შეხედულება გარკვეულწილად გამომდინარეობს ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურიდან, კერძოდ, ეს არის ინდუსტრია, რომელშიც დომინირებს პატარა და საშუალო ზომის ბიზნესი, მათ შორის განთავსების სფეროში და ჰჯალაგერი აზრით კი ძირითადად დიდი საწარმოები უფრო ინოვაციურები არიან [11]. ეს მოსაზრება სათავეს იღებს შუმპიტერისგან (1947) და ფართოდაა აღიარებული ტურიზმის სფეროშიც. მეორეს მხრივ, არსებობს კვლევები, რომლებიც აჩვენებენ საპირისპიროს და ადასტურებენ, რომ პატარა საწარმოებიც ტურიზმის სფეროში მაღალინოვაციურები არიან[1].

ამდენად, ასეთი გამონაკლისების არსებიობა ეჭვს ბადებს ზემოთ მოტანილ გამონათქვამების ჭეშმარიტებაზე და მიუთითებს ტურიზმის სფეროში მომუშავე ყველა ზომის საწრმოში ინოვაციურობის დიდი პოტენციალის არსებობის შესაძლებლობებზე.

ამასთან, აღსანიშნავია ტურიზმში ინოვაციების დაუცველობა, რაც აიხსნება მისი პროდუქტების ბუნებით. ინფორმაცია წარმატებულ ინოვაციასთან დაკავშირებით ადვილად აღწევს კონკურენტებამდე და ძნელია მისი დაცვა იმიტირებისგან. იმისთვის რომ ტურისტულ ფირმებს გააჩნდეთ უპირატესი განსხვავებები, მათ უხდებათ მუდმივად ზრუნვა, რომ იყვნენ ინოვაციურები. მაშასადამე, კონკურენცია ხელს უწყობს ინოვაციის ზრდას ტურიზმის სფეროში.

ინოვაციური საქმიანობა სასტუმრო ბიზნესში

სასტუმრო სექტორი წარმოადგენს ტურისტების ძირითად მიმღებ ერთეულს და ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს. ხშირად მას იყენებენ, როგორც ტურიზმის განვითარების ძირითად ინდიკატორს. დღევანდელი სასტუმრო რთული სამეურნეო კომპლექსია. განთავსების სექტორში საქმიანობა გულისხმობს შენობის მშენებლობას, შენობის გათბობას, ელექტრო ენერგიის მიწოდებას, დასუფთავების სერვისს, კაპიტალურ შეკეთებას, თანამშრომლების ზედამხედველობას, კვების მომსახურების წარმოებას, პროდუქციის მიმზიდველობის განვითარებას და ა.შ. სასტუმროს მენეჯმენტის ამოცანაა გაზარდოს მომხმარებლის კმაყოფილება, მაგრამ ამავე დროს გაზარდოს მოგება.

სამეცნიერო კვლევებმა, რომლებშიც შესწავლილია ინოვაცია განსხვავებული ტურისტული დანიშნულების ადგილის მიხედვით, არაერთგზის აჩვენა, რომ სასტუმროები წარმოადგენენ ტურიზმის ინდუსტრიის ყველაზე ინოვაციურ ნაწილს [16; 20;21].

სასტუმროს ინოვაციებთან დაკავშირებით არსებული სამეცნიერო ნაშრომები და პრაქტიკული გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ ვისაუბროთ ისეთ დამოკიდებულებებზე როგირიცაა:

1. ინოვაციურობის აქტივობის პროპორციული დამოკიდებულება სასტუმროს მოცულობასა და კატეგორიზაციის გაზრდასთან;

3.ქსელური სასტუმროები სრულიად განსხვავდებიან დამოუკიდებელ სასტუმროებისგან იმ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც განსაზღვრავენ ახალი მომსახურეობების წარმატებას[19];

4.სასტუმრო მომსახურებაში ინფორმაციულ ტექნოლოგიების სიახლეები არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სფერო ინოვაციის თვალსაზრისით და უფრო მეტიც, ექსპერტები, მომსახურების ინოვაციის მთავარ ტენდენციად ასახელებენ ტექნოლოგიის სიახლეებს, მომსახურების პერსონიფიკაციას და მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტს[24];

5. მოტივირებული და კვალიფიციური კადრი და პროფესიონალ ლიდერთა გუნდი, რომლის არსებობა აუცილებელი ფაქტორია სასტუმროს ინოვაციური აქტივობებისთვის. სპეციალისტები ხაზგასით აღნიშნავენ პერსონალის მნიშვნელბაზე ინოვაციურ იდეებითან დაკავშირებით და ადასტურებენ მენეჯმენტში მისი ადგილის გაზრდასა და განვითარების აუცილებლობაზე, რადგან მომსახურების პროდუქტის შექმნისას პერსონალი უშაულო კონტაქტშია სტუმართან და შესაბამისად კარგად იცნობს მათ საჭიროებებს. ამდენად, მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს იმ გარემოს, სადაც იბადება და ხორციელდება ინოვაციური იდეები. „ხელი უნდა შეეწყოთ „მომსახურების ანგელოზებს“(ჯეი კოლდენი, შესაბამისად თანამშრომლების ტრეინინგი და მოტივირება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სასტუმროს ინოვაციურ აქტივობებზე.

„ერთგულების“ პროგრამები იყო ერთ-ერთი ძლიერი მარკეტინგული ინოვაცია, შემოთავაზებული, როგორც ავიაკომპანიების ისე სასტუმრო ქსელების მიერ. ტურიზმის სფეროში არსებულმა კომპანიებმა დაიწყეს ერთგული სტუმრების წახალისება, შექმნეს რა მათთვის „ერთგულების პროგრამები“, რომელთა მიზანია ბრენდისადმი სტუმრების ლოიალობისა და სასტუმროში მათი დაბრუნების ალბათობის ზრდა[14].

მარკეტინგული ინოვაციის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სასტუმრო ქსელ „მერიოტ ინთერნეშენალის“ მორიგი ინოვაცია ერთგულ სტუმრებთან ურთიერთობის გამარტივების მიზნით მობილური აპლიკაციების პროექტები. 2014 წლიდან „მერიოტმა“ აამოქმედა ვირტუალური დარეგისტრირებისა და გაწერის აპლიკაცია, რომელიც სტუმარს რიგში დგომის გარეშე, პერსონალურ მობილურ ტელეფონზე ერთი ღილაკის დაჭერით დარეგისტრირების ან გაეწერის საშუალებას აძლევს. აღნიშნული მარკეტინგული ინოვაცია, პროცესის ინოვაციის ელემენტებსაც მოიცავს[14].

მომდევნო პროექტი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც ტექნოლოგიურ, ისე პროცესის და ორგანიზაციულ ინოვაციად არის სტუმრებთან მობილურის საშუალებით „ჭორაობის“ ფუნქცია. ეს ინოვაციაც ფუნქციონალური თვალსაზრისით პირველად სასტუმრო მერიოტის ქსელმა დანერგა. აპლიკაცია საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მობილურის საშუალებით ეკონტაქტოს სასტუმროს წარმომადგენლებს და მოითხოვოს ნებისმიერი მომსახურეობა ან მიიღოს პასუხი ნებისმიერ კითხვაზე. ამასთან, აპლიკაცია საშუალებას იძლევა აისახოს ანგარიშები, მაგ.,თუ რომელი განყოფილება აგვიანებს გაგზავნილ დავალებაზე რეაგირებას, რასაც შესაბამისი ქმედებები მოყვება სასტუმროს მენეჯმენტის მხრიდან. შეტყობინება მიდის სასტუმროს გენერალურ მენეჯერთან. აღნიშნულ ინოვაციას ფაქტიურად სრულიად განსხვავებულ დონეზე აჰყავს, როგორც შიდა პროცესების მართვის სისტემა, ასევე სტუმრებთან ურთიერთობის ხარისხი. ეს აპლიკაცია პროცესის ინოვაციის თვალსაზრისითაც შეგვიძლია შევაფასოთ.

მომხმარებელზე ფოკუსირებული კიდევ ერთი წარმატებული ინოვაცია იყო „მარიოტ ინტერნეშენალის“ „ფუნქციონალური ოთახი“ - “Great Room”, რომლის იდეაში იგულისხმება მომხმარებლისთვის ეფექტური მომსახურების მიწოდება სწრაფი კვებისა და კომფორტული ბიზნეს გარემოს შექმნით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სხვადასხვა მიმართულებით ხედავდა ინოვაციის აუცილებლობას, მათ ფოკუსირება სტუმარზე გააკეთეს, რის შედეგადაც მივიღეთ „ფუნქციონალური ოთახის“ კონცეფცია, რომლის დიზაინი პასუხობს, როგორც სტუმრების ასევე თანამშრომლების მოთხოვნებს. ეს არის ადგილი, სადაც სტუმარს შეუძლია ისარგებლოს სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტით, შეუკვეთოს საუზმე, სადილი, ვახშამი, მიეღო სტუმარი ბიზნეს გარემოში და ა.შ. მთავარი მიზანი იყო შექმნილიყო უკეთესი მომსახურების გარემო და გამოხატულიყო მეტი პატივისცემა სტუმრების მრავალმხრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად[14].

სასტუმრო ბაზარზე მაღალი კომფორტისა და ფუფუნების სასტუმროებში უნიკალური სასტუმრო პროდუქტის შესაქმნელად ფართოდ იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ტურისტების მოზიდვა ხელოვნების ნიმუშებით. აღნიშნული იყო ვიწრო სეგმენტზე , კერძოდ „ლუხს კლასის“ მომსახურებაზე კონცენტრირების სტრატეგია. ასეთივე ვიწრო სპეციალიზაციის მაგალითია «Women only». ამ კონცეფციის საწყისში ფემინიზმის იდეამ ადგილი დაუთმო რელიგიურ ასპექტებს, რომელიც ისლამურ სამყაროში ქალთა ქცევის წესებს პასუხობდა. ბიზნეს-ქალბატონების ინიციატივით 2007 წელს საუდის არაბეთის ქალაქ ერ-რიადში გახსნილი იქნა განსაკუთრებული სასტუმრო Luhtan „გაქცევა თავშესაფარის ძიებაში“. «Women only», კონცეფცია დღეს ძირითადად ქალთა ფართო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული და გულისხმობს ქალის არა იზოლირებას, არამედ განმარტოებისათვის უმაღლეს კომფორტულ გარემოს შემქმნელ პროდუქტს.

მომხმარებელთა აზრის შესწავლისა და გათვალისწინების საფუძველზე სასტუმროს მომსახურების ბაზარი მუდმივ დინამიკაშია. ბიზნეს ტურისტების მოთხოვნილების საპასუხოდ, დღისით რამდენიმე საათის შეხვედრისთვის მოწესრიგების ან რამდენიმე საათით დასვენებისათვის გაჩნდა სასტუმრო ოთახის დღისით გაქირავების სერვისი, რომელიც სასტუმრო კორპრაციების Radisson, Hyaytt, Best Western, Marriott-ის მიერ სწრაფად იქნა ათვისებული.

იაფი საჰაერო ტრანსპორტის განვითარებამ (Low Cost) დიდი რაოდენობით ბიუჯეტურ სასტუმროებზე წარმოშვა მთხოვნა. მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას ეკონომსასტუმროებში აღწევენ ნომრის ფართობის და მომსახრეობების პაკეტების შემცირებით. ამ მიმართულებით სვლამ ბიუჯეტურ და მცირე დროით განთავსებისათვის აქტუალური გახადა კაფსულა სასტუმროები, რომელიც პირველად იაპონიაში (ოსაკა) 1979 წელს გამოჩნდა. ევრპასა და ამერიკაში კაფსულა სასტუმროს კონცეფციამ განიცადა მოდერნიზაცია და მის ნაცვლად გაჩნდა საკრუიზო მოგზაურობის მზგავსი კაბინები. საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით ამ ტიპის სასტუმროები ჰოსტელების პირდაპირი კონკურენტია, რომელსაც უფრო კომფორტული და დიდი ფართის საერთო სარგებლბის სივრცეები აქვთ.

ევროპის რეგიონში ბიუჯეტური სეგმენტი დომინირებს ფრანგული კომრპორაციის Accor-ის სასტუმროების ქსელი Ibis Budget, რომლის ფინანსური პოტენციალი საშუალებას იძლევა ბრენდმა შეინარჩუნოს სტანდარტი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ამდენად, გლობალური ტენდენციები ძლიერი გავლენას ახდენენ ამ სექტორის განვითარებაზე და შესაბამისად პროგნოზირებულია სასტუმრო ბაზრის ზრდა ამ მიმართულებით.

ბოლო პერიოდში ევროპულ სასტუმროებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ენერგოდამზოგველ მიმართულებას, მათ შორის სამაცივრე, სატელევიზიო და ვიდეო სისტემების, კონდიცირების და გათბობის განსაკუთრებით გაუმჯობესებული დიზაინის და ტექნოლოგიებით დანერგვით მეშვეობით. პროგრამა «Hotel Energy Solutions» განხორციელდა პროგრამის ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO)ს ფარგლებში კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების ევროპული სააგენტოს მხარდაჭერით. ონლაინ პროგრამა «Hotel Energy Solutions» მოიცავს არა მარტო ენერგო რესურსების გამოყენების შემცირებას, ასევე განახლებადი ენერგიის წყაროების შერჩევას და ეკონომიურად მის გამოყენებას, რაც ხარჯების შემცირებას უწყობს ხელს.

სასტუმრო ბიზნესის გლობალურ ბაზარზე გაჩნდა ტერმინები Ekohotel“, „blueway“. სიახლეები უკავშირდება სოციალური საქმიანობას და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობას, ხარჯების მართვას. ტერმინი „ლურჯი გზა“(the blue way) ასევე მოიცავს ეკოლოგიურობის მახასიათებელი ცნებასაც „მწვანეს“ (green) და გულისხმობს სასტუმროს შენობას, რომელიც პასუხობს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და ფუნქციონალურ მოთხოვნებს.

მაღალი კონკურენციის პირობებში განთავსების ობიექტებისათვის გადამწყვეტია მომხმარებლის კმაყოფილების ზრდა და მის შდეგად გაყიდვების ზრდის საფუძველზე მეტი შემოსავლის მიღება. მომსახურების სფეროში ინოვაციის ხარისხის განსაზღვრა შედარებით რთულია, თუმცა ეს შესაძლებელია ისეთი მაჩვენებლების შეფასებით, როგორიცაა მომხმარებლის კმაყოფილება, რომელის მისაღწევად ბოლო პერიოდში გარკვეულ სფეროებში კომპანიები აღწევენ „უდანაკარგო წარმოების “Lean production“ სისტემის გამოყენებით. ეს არის მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოება ზედმეტი დანახარჯების გარეშე და გულისხმობს წარმოებიდან და პროდუქტის პაკეტიდან მიზნობრივი ბაზრისთვის ნაკლებ ფასეული ელემენტების ამოღებას. აღნიშნული ინოვაციური კონცეფციები ეფუძნება ხარჯების შემცირებას, სტრატეგიის გადახედვას, რეაგირებას, ხარჯების შემცირებას, რაციონალიზაციას, გადამუშავებას, აღდგენას.

აღნიშნული მართვის სისტემები გულისხმობს სწრაფ რეაგირებას და პასუხს მომხმარებელთა მთხოვნებზე, კერძოდ, კონკურენტუნარიანი მომსახურების შეთავაზებას იმ რესურსების ეკონომიის ხარჯზე, რომელსაც წარმოება აღწევს მომხმარებელთან მუდმივი კავშირით და მისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული სტრატეგიით. დღეს, CRM (მოხმარებელთან ურთიერთობის მართვასთან) დაკავშირებით IT ტექნილოგიებმა მნიშვნელოვანი სიახლეები შემოიტანა ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესის მართვაში. ის შეუცვლელია, რამდენადაც მცირე, და შეზრუდული რესურსების მქონე საწარმოსაც საშუალებას აძლევს მიწვდეს მომხმარებელს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა სასტუმროს ბიზნესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შიძლება განხილული იქნეს შემდეგი ორი მიმართულებით:

1. სასტუმრო ბიზნესის მართვის სისტემის გაუმჯობესება;

2. სასტუმრო ბიზნესის ორგანიზაციის აქტივების მართვის გაუმჯობესება.

სასტუმრო სექტორსი კონკურენციის გამწვავება ართულებს ამოცანებს, რაც საგრძნობლად ზრდის სასტუმროს მართვის ფუნქციებს. ამასთან დაკავშირებით მართვის სისტემების მოდერნიზაცია ინოვაციური ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვით, საშუალებას იძლევა „ხელით" მართვა ჩაანაცვლოს „ხელის გულზე" მართვის პრინციპით. ამ ეტაპზე IT ტექნოლოგიებთან დაკავშირებით მომხმარებელს პირდაპირ კავშირი სასტუმროს ვებ-გვერდზე ინტერნეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინოვაციაა .

დღეს სასტუმრო ბაზარზე ფართოდ გამოყენებადი სისტემებია: Opera, Fidelio, Epitome, PMS. SAAS- (software as a service - პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი) არის ვებ აპლიკაცია, რომელიც გლობალურ ინტერნეტში პროგრამებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. SAAS-ს მოდელის მთავარი უპირატესობა არის აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის დამონტაჟების, განახლებისა და შენარჩუნების ხარჯების არარსებობა. SAAS-ის პროგრამული გაქირავება (სერვისი) ძვირადღირებული პროგრამული უზრუნველყოფის ყიდვის მომგებიანი ალტერნატივაა, რომელიც ნებისმიერი ზომის სასტუმროსათვის ხელისაწვდომია. ამ მოდულის ფარგლებში მომხმარებელი ყიდულობს მხოლოდ მის ფუნქციებს, ინსტრუმენტებსა და შესაძლებლობებს. ასევე არ არის საჭირო სისტემის ადმინისტრირება, რითაც ამცირებს სერვერის ღირებულებას [26].

CRM-გადაწყვეტილების ლიდერი სასტუმრო ინდუსტრიაში არის SAAS-ს მოდელის პროგრამული პროდუქტი Libra OnDemand CRM, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა სასტუმრო ბიზნესის მართვის შესაძლებლობები, კერძოდ, ისეთი მიმართულებებით როგორიცაა: სასტუმროს მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის მართვა; მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა; ერთგულების პროგრამებისა მართვა; სასტუმროში გაყიდვების და ღონისძიებების მართვა და სხვა.

სხვადსხვა ტურისტულ დანიშნულების ადგილებში განსხვავებული განთავსების ტიპების საქმიანობის შესწავლა აჩვენებს ტექნოლოგიური ინოვაციების დომინირებას სასტუმრო ინდუსტრიაში და ინოვაციის დადებითი ეფექტებს სასტუმროს იმიჯზე, მომგებიანობაზე და მომხმარებლის კმაყოფილებაზე[16;18], რომელიც ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს მცირე და საშუალო სასტუმროებისთის ქსელური სასტუმროებთან კონკურენციულ ბრძოლაში იყვნენ წარმატებულები ბაზრის გარკვეულ ნიშებზე.

დასკვნით სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეს ტურიზმსა და მის სექტორებში, განსაკუთრებით კი სასტუმრო სექტორში ინოვაციური პროცესები მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში, და იმისათვის, რომ საშუალო და მცირე ორგანიზაციებმა გაუძლონ მზარდ კონკურენციას ინოვაცია გარდაუვალი აუციებლობა ხდება. ინოვაციები ამ დარგის მომსახურებაში არ გულისხმობს მხოლოდ სრულიად ახალი იდეის ან პროცესის განვითარებას. აუცილებელი არ არის, რომ ინოვაციური იდეა ან პროცესი „ციდან ჩამოვარდნილი" იყოს. ამ თვალსაზრისით საქართველოს ტურიზმის სფეროში მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბრენდების მრავალფეროვანი გამოცდილების გაზიარება, რომლებსაც ინოვაციურობის თვალსაზრისით დიდი ნაბიჯები აქვთ გადადგმული.

ბოლო პერიოდში საერთაშორისო ბაზარზე სასტუმროების საქმიანობაში ინოვაციური კონცეფციების შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასტუმროთა საქმიანობაში ინოვაციური მართვა ეფუძნება სტრატეგიის გადახედვას, მომხმარებელთა მოთხოვნებზე სწრაფ რეაგირებას, ხარჯების შემცირებას, რაციონალიზაციას, გადამუშავებას, აღდგენას. ზოგადად ინოვაცია ქმნის სწორედ იმ გარემოს, რომელიც ორგანიზაციას აცოცხლებს და ჰაერში ატრიალებს ინოვაციის სულს, რაც შედეგად დიდ და პოზიტიურ ძვრებს იწვევს.

ამდენად, მნიშვნელოვანია იმის გაზიარება, რომ საქართველოს სასტუმრო ბიზნესში ინოვაცია უნდა დაინერგოს არა მხოლოდ პროდუქტის სახით, არამედ მარკეტინგული, ორგანიზაციული და პროცესის სახითაც, რაც იშვიათად გვხვდება ქართულ რეალობაში. აღნიშნული მიმართულებით ინოვაციური მართვა საშუალებას მისცემს, როგორც ადგილობრის სასტუმრო ქსელებს, ასევე მცირე ზომის სასტუმროებსა და განთავსების სხვა საშუალებებს შინარჩუნონ თავიანთი საბაზრო ნიშა.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Ateljevic, I., Doorne, S. (2000). Staying with the Fence: Lifestyle Entrepreneurship in Tourism, Journal of Sustainable Tourism, Vol. 8, No. 5, pp. 378-392.
2. Chadee, D.D. and Mattsson, J. (1996), "An empirical assessment of customer satisfaction in tourism", The Service Industries Journal, Vol. 16 No. 3, pp. 305-20.
3. Drejer, I. (2004). Identifying innovation surveys of services. Research Policy 33, 551-562.
4. Fagerberg, J. (2005). Innovation: a guide to the literature. In: Fagerberg, J. et al. (eds.), *The oxford handbook of innovation*. Oxford University Press, Oxford, 1-26
5. Georgian National Tourism Administration http://gnta.ge/statistics/ Last retrieved 09.03.2018;
6. Hall, C. M. and Williams, A. M. (2008). Tourism and innovation. Routledge, London and New York
7. Hall, M. C. (2009), Innovation and tourism policy in Australia and New Zealand: never the twain shall meet, Journal of Policy Research in Tourism, Leisure and Events, Vol. 1, No. 1, pp. 2-18.
8. Hotel Marketin Georgia 2017 http://www.colliers.com/-/media/files/emea/georgia/research/2017-researchgeorgia/hotel-market-georgia-2017.pdf?la=ka-GE/Last retrieved 09.02.2019;
9. Hjalager, A. M. (2010), A review of innovation research in tourism, Tourism Management, Vol. 31, No. 1, pp. 1-12.
10. Hjalager, A. M. (2002). Repairing innovation defectiveness in tourism. Tourism Management 23, 465-474
11. keller, P. (2005a). Innovation in tourism Creating Customer Value. In Keller, P. & Bieger, T. (eds.), Innovation in tourism creating customer value (pp. 7-19).
12. Key elements in Service Innovation: Insights for the Hospitality Industry, Round Table Proceedings, Cornell University, School of Hotel Administratihttp://www.hotelschool.cornell.edu/research/chr/pubs/roundtableproceedings/roundtable-14951.html.
13. Marriott International, Inc.2017Annual Report/ https://marriott.gcs-web.com/static-files/b82978a6-9d28-4e38-9855-fc4ae2cebe11/Last retrieved 02.02. 2018.
14. aaccor /https://www.accorhotels.group/group/who-we-are/accorhotels-worldwide/ Last retrieved 02.05.2018
15. Jacob, M., Tinotre, J., Agiuilo. E., Bravo, A., Mulet, J. (2003), Innovation in the tourism sector: results from a pilot study in the Balearic Islands; Tourism Economics, Vol. 9, No. 3, pp. 279-295.
16. Orfila-Sintes, F., Mattsson, J. (2007), Innovation behaviour in the hotel industry, Omega, Vol. 37, No. 2, pp. 380-394.
17. Orfila-Sintes, F., Crespi-Cladera, R. and Martinez-Ros, E. (2005), Innovation Activity in the Hotel
18. Industry: Evidence from the Balearic Islands, Tourism Management, Vol. 26, No. 6, pp. 851-865.
19. Ottenbacher, M., Gnoth, J. (2005), How to develop a Successful Hospital-ity Innovation, Cornell Hotel and Restaurant Administration Quarterly, Vol. 46, No. 2, pp. 205-222.
20. Pikkemaat, B., Weiermar, K., (2007), *Innovation through cooperation in Destination: First results of an Emprical Study in Austria*, Anatolia: An International Journal of Tourism and Hospitality Research, Vol. 18, No. 1, pp.68-83.
21. Pikkemaat, B.(2008), *Innovation in small and medium-sized tourism enterprises in Tyrol, Austria*, Enterpreneurship and Innovation, Vol. 9, No. 3, pp. 187-197.
22. OECD, *Innovation and growth in tourism*. OECD, Paris, 53-69 OECD (2006). Innovation and Knowledge-Intensive Service Activities. OECD, Paris.
23. Volo, S. (2004). Foundation for an Innovation Indicator for Tourism in Keller, P. and Bieger, T. (Eds.), The Future of Small and Medium Sized Enterprises in Tourism St. Gallen: AIEST, pp. 361-376.
24. Verma, R., Anderson, C., Dixon, M., Enz, C. A., Thompson, G. M., Victorino, L. (2008),

25. Weiermair, K. (2006). Product improvement or innovation: *what is the key to success in tourism*? In: OECD, *Innovation and growth in tourism*. OECD, Paris, 53-69
26. http://www.marketing.spb.ru/read/m19/2.html (10.11.2017).

## Development of Innovations in Tourism and Hotel Business

***Nana katsitadze,Professor***
***Iv. Javakhishvili Tbilisi State University***

***Lela kochlamazashvili, associate professor***
***GTUNI***

***Aleksandre Tushishvili, PhD student***
***Technical University of Georgia***

### Summary

The paper deals with the development of innovations and application of its mechanisms in tourism and hotel management, which is one of the pressing issues of scientific study of contemporary business. The author suggests the classification of the system of innovations in hotel management and provides analysis of relationship between the concepts of innovations and characteristics of hotel business.

Based on the study of successful innovations, the paper identifies some innovations, which allow the hotels of different size, including small and medium guesthouses, to become competitive even with relatively modest resources. From this perspective, the author sees the relevance of applying such marketing and product innovations in hotel management like lean production, which is based on loyalty and satisfaction of consumers and is already tested and successful innovative concept in other sectors.

Keywords: innovations, tourism, hotel business, lean production.

# ტურიზმის ძირითადი ტიპების ინტერპრეტაცია

*მესხიშვილი თამარი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

გამოკვლევის ერთერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ტურიზმის უსაფრთხოებასთან, ეფუძნება შემეცნებითი აპარატის არასრულყოფილებას, რომელიც ზოგჯერ წარმოქმნის ტერმონოლოგიურ განსხვავებებს. არ არის გარკვეული ისეთი ცნებების ურთიერთშესაბამისობა, როგორიცაა აქტიური და პასიური ტურიზმი, ტურიზმი და რეკრეაცია, თვითშემოქმედებითი და სპონტანური ტურიზმი; მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ტურიზმის ტექნოლოგიების და კლასიფიკაციის საკმაოდ მრავალი რაოდენობა.

საკვანძო სიტყვები: აქტიური და პასიური ტურიზმი, უსაფრთხოების კონცეფცია, ტურიზმის ტიპოლოგია

**ძირითადი ტექსტი**

იმისათვის, რომ დავასაბუთოთ არსებული უსაფრთხოების კონცეფცია შედარებით უფრო უნივერსალურად, აუცილებელია როგორც შემეცნებითი აპარატის დახვეწა, ასევე უსაფრთხოების პრინციპულად სხვაგვარი ტიპოლოგია (კლასიფიკაცია), რომელიც ბაზირებულია როგორც ტრადი-ციულ, ასევე ახალ მიდგომებზე. არსებობს „ტურიზმის", როგორც ცნების მრავალგვარი განსაზღვრება, რომელთა ფორმულირებები სავსებით სამართლიანად განსხვავდება მიზეზზე და გამოკვლევის მასშტაბებზე დამოკიდებულებით, რომლისთვისაც არიან შექმნილები. მოცემულ ნაშრომში ვყრდნობით ჩვენი აზრით ორ ყველაზე უფრო უნივერსალურ შეხედულებას, რომელებიც არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

ქართულ კანონმდებლობაში ტურიზმი თავის გმოვლინებების მთელ მრავალფეროვნებაში განისაზღვრება, როგორც საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების „დროებითი გამგზავრება მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, პროფესიულ–საქმიანი, სპორტული, რელიგიური და სხვა სახის მიზნებით, რომლსაც არ ახლავს ანაზღაურებადი საქმიანობა მასპინძელ ქვეყანაში ან ყოფნის ადგილზე".

არსებობს აგრეთვე აღნიშნულთან სავსებით თავსებადი, უფრო უნივერსალური განსაზღვრება, რომელიც ხაზს უსვამს მოვლენის მასიურობას, სადაც ტურიზმი – ეს არის ნებისმიერი მიზნით მოგზაურობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიღმა გარდა შრომითი შემოსავლის მიღებისა და მუდმივი სამუშაო ადგილის შეცვლისა; აგრეთვე გარდა საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა (რეკრეაციული, საქმიანი, პოლიტიკური, სწავლება და სხვა), რაც დაკავშირებულია ადამიანთა მასების სივრცეში გადაადგილების აუცილებლობასთან [3].

არ რჩება ეჭვი ადეკვატურობაში და ასევე ფორმულირებებში არ ქმნის დიდ განსხვავებებს ტურიზმიდან წარმოებული ისეთი ცნებების და მოვლენების განსაზრვრება როგორიცაა „ტურისტი", „ტურისტული საქმიანობა", „ტუროპერატორი", „ტურაგენტი", „შინაგანი ტურიზმი", „გასვლითი ტურიზმი", „შემომავალი ტურიზმი", „სოციალური ტურიზმი", „ტურისტული ინდუსტრია", „ტური" და „ტურისტული პროდუქტი".

ტრადიციულად მოგზაურობის ქვეშ იგულისხმება, შეწავლის მიზნით რომელიმე ტერიტორიაზე ან აკვატორიაში გადაადგილების ცნება, რომელიც ასევე დაკავშირებულია საეთო საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ და სხვა მიზნებთან [4]. ასეთ ინტერპრეტაციაში ასევე არ არსებობს განსაკუთრებული სხვაობები. XVIII – XIX საუკუნეებამდე მოგზაურობა იყო ამა თუ იმ ქვეყნების შესახებ მონაცემების მიღების ერთერთი ძირითადი წყარო (მათი ურთიერთგანლაგება, ზომები, კონფიგურაცია, ბუნება, მოსახლეობა, ისტორია და მეურნეობა). ბუნებრივია რომ მათ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ მხოლოდ ამა თუ იმ ტერიტორიების მახასიათებლების გაცნობის

პირველადი საერთო მოთხოვნები.

ამიტომ უკვე XVIII – XIX საუკუნეებში გამოკვლევების გაღრმავების დონის, კონკრეტიზაციის და სპეციალიზაციის სამეცნიერო მიზნების მიხედვით, მოგზაურობამ დაიწყო სამეცნიერო ექსპედიციის სახის მიღება, ხოლო XX საუკუნის შუა პრეიოდიდან ტერმინი „მოგზაურობა" გამოიყენებოდა ძირითდად ტურიზმთან მიმართებაში.

სხვაგვარად ჩამოყალიბდა სიტუაცია „თვითშემოქმედებითი ტურიზმის" ტერმინის ინტერპრე-ტაციაში. ჩვენი შეხედულებით საქართველოში მოქმედი ტურისტული საქმიანობის შესახებ იმავე კანონში მოცემული ცნება არ შეესაბამება რეალობას და წარმოადგენს ხელოვნურად გაფართოებულს, რადგან აერთიანებს განსხვავებულ ლოგიკურ კატეგორიებს – ეს არის მარშრუტის ორგანიზებულობის დონე, გადაადგილების საშუალება და რაღაც დონეზე ტურისტული მოტივაცია, როდგან თვითშემოქ-მედებითი ტურიზმი განისაზღვრება როგორც „მოგზაურობა აქტიური გადაადგილების საშუალებე-ბის გამოყენებით, რომელიც ორგანიზებულია თვად ტურისტების მიერ" [3].

მოცემული ფორმულირებიდან არ წარმოიქმნება ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, როგორი კავშირი აქვს სამოგზაურო ორგანიზაციას „აქტიური გადაადგილების საშუალებებთან" თვად ტურისტებთან, და რას წარმოადგენენ ასეთი საშუალებები.

როგორ ჩანს, აქ იმალება სტერეოტიპი, რომელიც შთამომავლობით გვერგო ტურიზმის საბჭოთა სისტემიდან. საბჭოთა კავშირში არსებობდა ტურიზმის შინაგანი დაყოფა ორგანიზებულ (გეგმიურ) და თვითშემოქმედ სახეობებად და ტრადიციულად ითვლებოდა, რომ მოგზაურობის თვითმოქმედი ორგანიზება და განხორციელება გადაადგილების საშუალებების გამოყენებით, რომელიც განსხვავდება „აქტიურისაგან", საბჭოთა ტურისტს არ შეუძლია.

ამის მიუხედავად, ქვეყნის შიგნით ტურისტული მოგზაურობები ხორციელდებოდა სწორედ დამოუკიდებლად – არაოფიციალური ტურისტული გაერთიანებებით და უბრალოდ დამოუკი-დებელი ჯგუფებით. ტერმინის განმარტება „აქტიური გადაადგილების საშუალებები და გზები" ერთნაირად არ არსებობს, საქართველის სახელმწიფოში ტურისტული საქმიანობის შესახებ მითითებულ კანონში, კანონქვემდებარე აქტებში და ტურიზმის სფეროში მოღვაწე წამყვანი სპეციალისტების ნაშრომებში.

„აქტიურ საშუალებებთან" ყველაზე ახლოს აღმონდა მარშრუტების ევროპული სპორტული კლასიფიკაცია. იგი მარშრუტებს ყოფს ტურიზმის სახეობების მისედვით: საფეხმავლო, საწყალოსნო, სამთო, სათხილამურო, საველოსიპედო, საავტომობილო, სამოტოციკლეტო, სპელეო, აფროსნულ და საცხენოსნო სახეობებად, აგრეთვე მათი შეთავსებები – ეს არის კომბინირებული მარშრუტები.

ამის მიუხედავად წარმოიქმნება მნიშვნელოვანი კითხვა: რა აერთიანებს ტურიზმის აბსოლუტურად განსხვავებულ სახეობებს? რა აქვს საერთო საფეხმავლო და სათხილამურო, საწყალოსნო და საველოსიპედო, სპელეო, სამთო და სხვა სახეობებს? თუ ჩვთვლით, რომ „აქტივობა" – ეს არის გადაადგილება, რომელიც ვარაუდობს ფიზიკურ ძალის ხარჯვას და კუნთების მუშაობას, მაშინ უნდა გამოვთიშოთ სამოტოციკლეტო, საავტომობილო, საცხენოსნო, და შესაძლებელია აფროსნული ტურიზმი. აგრეთვე არ არის ნათელი აფროსნული ტურიზმი რომელი ნიშანთვისებით არის გამოყოფილი საწყალოსნო ტურიზმისაგან.

თუ ასეთ ნიშან-თვისებად ჩავთვლით სპორტულ მოტივაციას, ეს მაინც არ იძლევა პასუხს კითხვაზე, რადგან ტურისტი მიდრეკილია ნებისმიერი დასახელებული მიმართულებისადმი – არ არის ვალდებული გამოვიდეს შეჯიბრებებზე, ჩემპიონატში მონაწილეობისათვის დაასახელოს საკუთრი მარშრუტები (თუნდაც სირთულის უმაღლესი კატეგორიის), აიღოს ცნობები, წოდებები და რანგები.

იმ შემთხვევაში თუ ტურისტს სურს, აიღოს საკვალიფიკაციო ნიშანი „არაცივილიზირებულ გარემოში" ყოფნის შესახებ, მაშინ ეს საშუალებას არ იძლევა აქტიური ტურიზმის შემადგენლობაში ჩართული იქნეს ავტო და მოტო ტურიზმის მარშრუტების დიდი ნაწილი. აღნიშნულ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ კითხვებზე პასუხები მნიშვნელოვან წილად შეიძლება მივიღოთ კლასიკური ტურისტული მოტივაციების კომპლექსის გაანალიზებით.

ტურისტულ მოტივაციას ჩვენ განვმარტავთ, როგორც „ადამიანის სურვილს მიმართულს რეკრეაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რომელიც დამოკიდებულია მისი შეხედულებების სისტემის, ღირებულებების, მიდრეკილებების და განათლების ინდივიდუალურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე. მოგზაურობის ძირითდი მიზნების სახით გამოყოფენ შემდეგს:

- დასვენება , თვისუფალი დრო, გართობა;
- შემეცნება;
- სპორტი და მისი თანხლება;
- მკურნალობა;
- პილიგრიმული მოგზაურობა (პილიგრიმობა);
- საქმიანი მიზნები;
- სტუმრობის მიზნები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიზნების ამგვარი სტრუქტურირებისადმი საწინაარმდეგო აზრების არქონის შემთხვევაში, მოცემული მიზნების გამოყოფა მოხდა ერთ სიბრტყეში – ეს არის სოციალური და მთლიანად იგნორირებულია ტურისტული მოტივაციის სივრცითი ასპექტი. საშუალო სტატისტიკური თანამედროვე ადამიანი არსებობს საკმაოდ განსაზრვრული კონტურენული სივრცის ნაწილში – ეგრეთ წოდებულ საარსებო გარემოში, რომელიც შედგება საყოფაცხოვრებო გარემოსაგან (უშუალოდ საარსებო ადგილი), საწარმოო გარემოგან (სამუშაო ადგილი), სარეკრეაციო გარემოსგან (პერიოდულად მონახულებად რეკრეაციული ობიექტები, რომელიც ჩვეულებრივად განლაგებულია საკუთრი დასახლებული პუნქტის ფარგლებში) და მიგრაციული გარემოსაგან (საარსებო გარემოს შემადგენლებს შორის გადაადგილების გარემო).

ტურიზმი არ გულისხმობს ადამიანის ნებაყოფილობით დროებით გამორთვას საარსებო გარემოდან , ანუ მის გადაადგილებას ახალ საარსებო გარემოში ( როლიდანაც გამოთიშულია საწამოო გარემო), ან სივრცის წერტილი სადაც ადამიანი იძულებულია საკუთრი თვისათვის შექმნას დროებითი საარსებო გარემო, როცა ადგილი აქვს ნებისმიერი ინფრასტრუქტურის ნაწილობრივ ან მთლიან არ არსებობას. თუ დავუბრუნდებით ტურიზმის სახეობებს, დავასკვნით, რომ ტურიზმის სახეობების გამოყოფა ჩატარებულია ორი ნიშნის მიხედვით, ესენია: გადაადგილების მეთოდი (საფეხმავლო, სათხილამურო, საველოსიპედო, საავ ტომობილო, სამოტოციკლეტო, აფროსნული და საცხენოსნო მარშრუტები) და გარემომცველი ლანდშაფტების მიხედვით (საწყალოსნო, სამთო და სპელეო მარშრუტები), ხოლო სახეობები გაერთიანებულია სწორედ ტურისტების მომსახურების მთლიანად ან ნაწილობრივად არარსებული ინფრასტრუქტურით.

ამგვარ მარშრუტებში, რომლებშიც, ადამიანების სასიცოცხლო საქმიანობის უსაფრთხოების სპეციალისტები განსაზრვრავენ, რომ როგორც ნებაყოფილობით ავტონომიაში, ტურისტები იმყოფებიან, არა სკუთრ, და არა ისეთ საარსებო გარემოში, რომ იძულებულები არიან, ჩაატარონ აქტიური მოქმედებები, რაც უზრუნველყოფს საკუთარი ჯგუფის ავტინომიურ სასიცოცხლო საქმიანობას.

ნათქვამიდან გამომდინარე, ტურიზმი განიხილება, როგორც „ნებისმიერი მიზნით მოგზაურობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ გარდა სამუშაო შემოსავლის მიღების და საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა; აგრეთვე საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება (რეკრეაციული, საქმიანი, პოლიტიკური სასწავლო და სხვა)“, რომელიც გამართლებულია განვიხილოთ როგორც ტურიზმის ორი თანაბარი მიმართულების არსებობა – ესენია აქტიური და პასიური ტურიზმი და მათი შეხამება – როგორც კომბინირებული ტურიზმი. აღნიშნული ცნებებით ადეკვატური ოპერირებისათვის შეიძლება ფორმულირება გაუკეთდეს შემდეგ გნსაზღვრებებს. აქტიური ტურიზმი – ეს არის მოქალაქეების შრომისუნარიანობის აღდგენისა და მხარდაჭერის საშუალება გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, სპორტული და სხვა სახის დასვენების მოტივაციებით, რომელსაც ახლავს მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან გამგზავრება (არანაკლებ 24 საათით), რომლის დროსაც არ არის აუცილებელი სტაციონარული საცხოვრებელი ობიექტების მუდმივი გამოყენება და მომსახურება; აღნიშნული ითვალისწინებს გარკვეული მარშრუტის გავლას

რასაც თან ახლავს გადაადგილების მექანიკური საშუალებების შესაძლებელი მაგრამ არა აუცილებელი გამოყენება.

კულტურულად ორიენტირებული (პასიური) ტურიზმი – ეს არის მოსახლეობის შრომისუნარიანომის მხარდაჭერეს და აღდგენის საშუალება, მათი მკურნალობის და გაჯანსაღების მოთხოვნილებების რეალიზაციის გზით (კურორტები, სანატორიუმები, პროფილაქტორიუმები და სხვა სახის გამაჯანსაღებელი და სამედიცინო რეაბილიტაციის დაწესებულებები), დასვენების შემეცნებითი და საქმიანი მოტივაციები, რომლებიც დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილიდან გამგზავრებასთან (არანაკლებ 24 საათით) და შესაბამისი სტაციონარული სანატორიუმული ობიექ-ტების გამოყენებასთან.

მოტივაციების, აგრეთვე აქტიური და კულტურულად ორიენტირებული ტურიზმის სივრცითი და ფუნქციონალური ელემენტების შეხამება.

დავუბრუნდეთ ტურისტული საქმიანობის შესახებ კანონში მოცემული თვითშემოქმედებითი ტურიზმის განსაზღვრებას და აღვნიშნოთ, რომ მოცემული მომენტში იგი სწორია მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც საუბარია მისი ორგანიზების შესახებ. მოგზაურობის ორგანიზების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია იქნებოდა ტურიზმი დაგვეყო ისეთ თანაბარმნიშვნელოვან მიმართულებებად, როგორიცაა თვითშემოქმედებითი, ორგანიზებული და სპონტანურ სახეებად.

შემოთვაზებულ სისტემაში თვითშემოქმედებითი ტურიზმი შეიძლება იყოს როგორც აქტიური ასევე პასიური ან კომბინირებული და წარმოადგენს მოგზაურობებს, რომლებიც ორგანიზებულია თვად ტურისტების მიერ.

ორგანიზებული ტურიზმი (ისევე როგორც აქტიური, კულტურულად ორიენტირებული ან კომბინირებული) – წარმოადგენს მოგზაურობებს (ტურებს), რომლებიც შემუშავებულია და ტურისტებისათვის მოწოდებულია სპეციალიზირებული ორგანიზაციების და ტურპერატორების მიერ ტურაგენტების შუამავლობით ან მათი მონაწილეობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ტუროპერატორების მიერ შექმნილი პოდუქტი შეიძლება წარედგინოს ტურისტებს, როგორც კომერციულად (ორგანიზებული კომერციული ტურიზმი – მასიური ან ინდივიდუალური), ასევე პრაქტიკულად უანგაროდ (სოციალური ტურიზმი).

ამგვარი პრობლემა, როგორც სპონტანური ტურიზმი, წარმოიქმნა შედარებით ახლო წარსულში და, პრაქტიკულად, ახლაც შეუსწავლელია. სწორედ ეს მიმართულებაა საშიში პოტენციურად და საქართველში რეალურ პრაქტიკაში მისი განხორციელებას აქვს ყველაზე უფრო საშიშროების შემცველი ხასიათი. ეს მოვლენა წარმოიქმნა, როგორც თნამედროვე საზოგადოებაში ოთხი ობიექტუ-რად მოქმედი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგი. მათგან პირველია – ობიექტებზე და ტერი-ტორიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოცულობის ზრდა, რაც ყოველთვის არ არის ხარისხიანი და რეალურად ან პოტენციურად წარმოადგენს ტურისტებისათვის მიმზიდველ ინფორმაციას. ამ ინფორმაციის სისრულე და საიმედობა ხშირად ძალზე დაბალია, რადგან უმეტეს შემთხვევებში მონაცემები, რომლებიც მისდით პოტენციურ ტურისტებს არის მკაცრად სუბიექტური ხასიათის.

პირველი ადგილი ამგვარი „უპასუხისმგებლო“ ინფრომაციის მიწოდებაში სამართლიანად ეკუთვნის ინტერნეტის ქსელს და განსაკუთრებისთ ტურისტულ და ტურიზმთან ასოცირებული თემატიკის ფორუმებს.

აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ არც ადმინისტრაცია, არც მსგავსი ფორუმების მედიატორებს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ ინფორმაციის საიმედობაზე რომელსაც აწვდიან მონაწილეებს; მოცემულ ინფორმაციას არავინ არ ამოწმებს (პირდაპირი არასანქცირებული რეკლამის, ძალადობის პროპაგანდის, არანორმატიული ლექსიკის გამოყენების, აფერისა და სხვა სახის დარღვევების საწინაარმდეგო სტანდარტული პროცედურების გარდა); ასევე პროგნოზირებას არ ექვენდებარება ინორმაციის გამოყენების შესაძლო შედეგები. ფაქტიურად აღირიცხება ინფორმაციის მოცულობა და მისი „გაუხშოების“ დონე, რადგან ამის გაკონტროლება ამჟამად ჩამოყალიბებულ პირობებში შეუძლებელია.

ადვილად აიხსნება მოგზაურობის განზრახვის მქონე ტურისტების სიძნელეები, რომლებიც სარგებლობენ ტურისტულ ფორუმებში წარმოდგენილი ინფორმაციებით. მათი დახასიათება, როგორც ორგანიზებული ჯგუფები დაუმართლებელია, მიკუთვნებიან თვითშემოქმედებითებს – აგრეთვე, როგორც წესი, არ აქვს საკმარისი საფუძველი, რადგან მოგზაურობის ორგანიზება (სხვა მხარის მიერ ან თითშემოქმედებითად) მის ჩეულებრივ გაგებაში არ არსებობს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ადამიანებს ძნელად წარმოუდგენიათ მარშრუტის ეგრეთ წოდებული ხაზი, სავარაუდო წესრიგი მარშრუტის გავლისას; ტურისტები სხვადასხვანაირად არიან მოტივირებულები და ხშირად უბრალოდ პირადად არ იცნობენ ერთმანეთს.

ამგვარი ჯგუფების სიცოცხლისუნარიანობა და ორგანიზებულობის დონე ადვილად გასაებია, თუ გავაანლიზებთ პრაქტიკულად ნებისმიერ ტურისტულ ფორუმს.

შეუძლებელია უარვყოთ ელექტრონული რესურსების ფაქტის არსებობა, რომლებშიც ინფორმაცია ნაწილობრივად სისტემატიზებული და სტრუქტურირებულია, მაგალითად, ტურისტული ანგარიშების ევროპული ბიბლიოთეკა. მაგრამ საქართველოს ინტერნეტ-საიტი, იგივე ტურისტული ფორუმი, უფრო გამონაკლისებს უნდა მივაკუთნოთ, რომელიც არარეგულარულად ფუნქციონირებს. თავს იჩენს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ასტიმულირებს სპონტანური ტურიზმის გავრცელებას – ეს არის „სასაქონლო–ეკონომიკური“ ფაქტორი.

საქართველოში ბოლო შვიდი–ათი წლის განმავლობაში პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი მოვლენა, როგორც ტურისტული აღჭურვილობის დეფიციტი. ამ დრომდე თვისუფალ ვაჭრობაში არ არსებობდა არა მარტო უბრალოდ ხარისხინი, არამედ ნებსმერი აღჭურვილობა, რაც ერთგვარი სახის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენდა. იგი არ იძლეოდა თვითშემოქმედებითად (მით უმეტეს სპონტანურად) გასვლის საშუალებას პოტენციური ტურისტების უმრავლესობისათვის.

ბუნებრივ გარემოში „იჭრებოდნენ“ უმეტესად ისეთი ტურისტები რომლებსაც ქონდათ საბაზისო უნარ–ჩვევები, რადგან ტურისტულ აღჭურვილობაზე წვდომა საწყისი სწავლების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ხოლო მისი საკუთრი ძალებით დამზადება – მით უმეტეს.

ტურიზმში „პირველი მონაწილეები“ და არასაკმარისად მომზადებულები, როგორც წესი, მარშრუტებზე გადიოდნენ ორგანიზებული და თვითშემოქმედებით ჯგუფებში, ტურისტული კლუბების და სექციების შემადგენლობაში, უფრო მეტი გამოცდილების მქონე ტურისტების ხელმძღვანელობით. ანუ ტურისტებს შორის „შემთხვევითი“ ადამიანების რაოდენობა რჩებოდა შედარებით ნაკლები.

ამჟამად პრაქტიკულად ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც აქვს საშუალო შემოსავალი შეუძლია შეიძინოს (ერთდროულად ან ცალცალკე) ნებისმიერი ტურისტული აღჭურვილობა და აქვს შესაძლებლობა, გავიდეს მარშუტზე, როგორც ჯგუფუს შემადგენლობაში, ასევე ინდივიდუალურად.

სპონტანური ტურიზმის განვითრებაში არაუკანასკნელ როლს თამაშობს ტურისტების მომზადებულობის დონის, სავარაუდო მარშრუტის სირთულესთან შესაბამისობის კონტროლის სრული არ არსებობა. კონტროლის არარსებობა შეიძლება ჩაითვალოს სპონტანური ტურიზმის საწყისი საშიშროების მესამე ფაქტორად.

| 2009 | 13540 | 7792 | 1816 | 211 | 803 | 120 | 424 | 36 | 972 | 517 | 490 | 361 |
| 2010 | 16106 | 10668 | 2278 | 159 | 599 | 363 | 539 | 36 | 318 | 537 | 425 | 183 |
| 2011 | 24003 | 16132 | 2379 | 439 | 1072 | 320 | 687 | 29 | 641 | 697 | 785 | 821 |
| 2012 | 27821 | 16846 | 4109 | 312 | 1768 | 507 | 1239 | 55 | 705 | 1007 | 814 | 460 |
| 2013 | 30285 | 16564 | 5826 | 415 | 1993 | 671 | 951 | 170 | 858 | 1417 | 979 | 441 |
| 2014 | 31330 | 17084 | 6002 | 458 | 1748 | 972 | 988 | 89 | 778 | 1285 | 1391 | 535 |
| 2015 | 33925 | 18297 | 6082 | 532 | 1994 | 1045 | 1318 | 64 | 1229 | 1354 | 1214 | 797 |
| 2016 | 37431 | 20870 | 6510 | 935 | 2414 | 1050 | 1180 | 170 | 1280 | 1425 | 1098 | 498 |
| 2017 | 42154 | 23100 | 7327 | 1349 | 2730 | 1249 | 1334 | 186 | 1452 | 1581 | 1267 | 578 |

წყარო: საქსტატი, 2018, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2440&lang=geo

აღსანიშნავია, რომ სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება მთლიან საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. თუმცა, ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ფონზე, აღნიშნულ სექტორში, ბოლო 10 წლის განმავლობა შრომის ანაზღაურება 196.7 ლარიდან 673.3 ლარამდე გაიზარდა. (იხ. დიაგრამა №2.)

**დიაგრამა №2. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება** (ლარი)




წყარო: წყარო: საქსტატი, 2018, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2440&lang=geo

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, საქსტატის მიერ არ ხდება ტურისტული საწარმოების და მათში დასაქმებულთა (გარდა სასტუმროებისა და რესტორნებისა) გამოკვლევა, ტურისტული ინდუსტრია კი გამოირჩევა ქვესექტორების პროფესიათა მრავალფეროვნებით.

2017 წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა ტურისტულ კომპანიების სტატისტიკური კვლევის პირველი მცდელობა. კვლევაში მოცემულია საქართველოში დარეგისტრირებული 552 ტურისტული კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:

- საკუთარი ვებ-გვერდი აქვს 164 ტურისტული კომპანიას;
- დასაქმებულებიდან 836 არის ქალი (56%); მამაკაცები - 668-ს (44%).
- უმეტესობა შეზღუდულ პასუხისმგებლობის საწარმოდ (შპს) არის დარეგისტრირებული (90%);
- მხოლოდ 12-ს აქვს ფილიალი რეგიონებში (ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი);
- 51 დაკავებულია შიდა ტურიზმით,
- 152 დაკავებულია შემომყვანი ტურიზმით,
- 97 დაკავებულია გამყვანი ტურიზმით.

იმის გამო, რომ ცნობილია ტურისტული კომპანიების სკეპტიკური დამოკიდებულება ტურიზმის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმების მიმართ, საინტერესო იქნებოდა კვლევა შეხებოდა ტურისტულ კომპანიების თანამშრომელთა განათლების პროფილსა და პროფესიულ დონეს, ასევე, ტურიზმის უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულ პირთა პროცენტულ რაოდენობას.

ტურიზმის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებს და პროვაიდერებს საშუალებას მისცემს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზონ განათლების ხარისხი და მისი გავლენა დასაქმებაზე. განსაკუთრებით იმ მიზეზით, რომ ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მომსახურების ხარისხია, დასაქმებულის პროფესიული ცოდნა და უნარები უმნიშვნელოვანესია ტურისტის შთაბეჭდილების შესაქმნელად - ***სწორედ ტურისტის შთაბეჭდილებაა ის პროდუქტი, რომელსაც ტურიზმის მუხლით ჰყიდის თითოეული კომპანია და ზოგადად ქვეყანა.***

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ზემოაღნიშნული კვლევის ანალიზიდან იკვეთება, რომ იგი როგორც პირველი მცდელობა ინფორმაციულია, მაგრამ საჭიროებს დახვეწას და გამრავალფეროვნებას საკვლევი ინდიკატორების მიმართულებით. სასურველია მასში გათვალისწინებული ყოფილიყო ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები და საქსტატთან მჭიდრო კოოპერაციაში განხორციელებულიყო.

2017 წელს, ყველა პროფესიასთან მიმართებაში განზოგადოებული კვლევა ჩაატარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა. კვლევაში გამოიკვეთა განათლების სისტემაში არსებული ხარვეზებიდან (ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემისთვისაც) უმნიშვნელოვანესი ტენდეციები. კერძოდ: კურსდამთავრებულების 5% ლექტორების კვალიფიკაციის დაბალი დონით არის უკმაყოფილო, 10% - სასწავლო რესურსების არარსებობით, 19% - სწავლების დაბალი დონით, 21% - პრაქტიკის კომპონენტის დაბალი დონით. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული მიზეზების გარდა გამოკითხული კურსდამთავრებულები „სხვა“ კატეგორიაში ძირითადად ასახელებდნენ: არასაინტერესო სასწავლო პროგრამებსა და სასწავლებლის მდებარეობის სიშორეს. სწორედ აღნიშნული პრობლემები უშლის ხელს მათ დასაქმებას, რაც პირდაპირკავშირშია შრომის ბაზრის განვითარების დაბალ დონესთან. როგორც ზემოაღნიშნული კვლევების ანალიზიდან, შეგვიძლია დავასკვნათ - ***ბოლო წლებში განათლების სისტემაში განხორციელებული არაერთი რეფორმის მუხედავად, შრომის ბაზრის განვითარების პრობლემებს განაპირობებს პროფესიული კადრების დაბალი პროფესიონალიზმი.*** [8]

**დასკვნა**

საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში კვალიფიციური და გამოცდილი კადრების ნაკლებობა აღინიშნება. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები აწყდებიან ძირითადად ორი სახის პრობლემას: შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე ან/და მათი კვალიფიკაცია და

სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ტურიზმის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმ საგანმანათლებლო რეფორმებთან, რომელსაც ბოლო რამდენიმე წელია ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. რეფორმების უუნარობა და სისუსტე, ტურიზმის განათლებასა და პროფესიათა სწავლებაში, განაპირობებს მაღალკვალიფიციური კადრების სიმწირესა და შესაბამისად, ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების დაბალ დონეს. აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია ტურიზმში შრომის ბაზრის მიწოდებისა და მოთხოვნის დისბალანსთან.

ტურიზმის განათლების დონის შეუსაბამობა დარგში მიმდინარე მსოფლიო გამოწვევებთან, ზღუდავს ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის, რის გამოც მინიმუმ კიდევ რამდენიმე წელი, შეიზღუდება საქართველოს კონკურენტუნარიანობა, განსაკუთრებით, მეზობელი ქვეყნების ტურისტულ ბაზრებზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი. გამომც. ,,ფავორიტი პრინტი“. 2011, თბილისი.
2. მეტრეველი მ. განათლების სისტემის განვითარების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოს ტურიზმში, გორის სასწავლო უნივერსიტეტის მესამე საერთაშორისო კონ-ფერენცია - ,,განათლება და განვითარება“. მოხსენებათა კრებული., 2010. გორი. გვ.: 109-114
3. მეტრეველი მ. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი. გამომც. „ფავორტი პრინტი“. 2012, თბილისი.
4. მეტრეველი. მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. გამომც. „ფავორტი პრინტი“. 2011, თბილისი.
5. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი - 2017, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2017. თბილისი. გვ.: 20
6. ახალგაზრდების დამოკიდებულების, მოტივაციისა და დასაქმების სტრატეგიების შესწავლა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევა - 2016. გვ. 17
7. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში-2017 წელი, გვ., 5-7 http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202018.21.05_pres-relizi_GEO.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.02.2019
8. საწარმოთა საქმიანობის შედეგები - 2018, II კვარტალი, საქსტატი, 2017. გვ.: 3-20
9. 2016 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში, საქართველოს განათლებისა და მეცნერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, 2017
10. სამუშაო ძალის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2012, თბილისი. გვ. 1-2
11. Business Dictionary,
12. http://www.businessdictionary.com/definition/talent.html უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.02.2019
13. 83. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2770&lang=geo უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.02.2019

**The Current State of Labor Market Development in Georgia in the context of tourism**

*Marina Metreveli, Professor*
*Georgian Technical University*

*Irakli Tavberidze, PhD student*
*Georgian Technical University*

**Summary**

The Paper identifies the reasons for the imbalance between the demand and provision at the labor market and studies and analyzes the employment components in tourism in view of the elimination of imbalance.

The analysis reveals that despite the high unemployment index in Georgia, tourism and hospitality spheres suffer from the lack of qualified and experienced personnel. After graduation, the alumni encounter two main problems: absence of demand for their professions at the labor market and/or failure of their qualification and experience to meet the labor market requirements.

It is noteworthy that the duty to provide tourism with human resources is first of all related to the educational reforms conducted recently by the Ministry of Education and Science. Inefficiency and incapacity of the reforms in tourism education and obtainment of the professions condition scarcity of the highly qualified personnel and hence, the lower level of the touristic product and service, which is in direct connection with an imbalance between the demand and provision at the labor market in tourism.

Incompliance of the level of tourism education with the challenges existent in the world limits the quality of the tourist product and service entailing sundry more years of restriction of competitiveness of Georgia and especially at the tourist markets of the neighboring countries.

# ტურიზმის გავლენის ფინანსური ასპექტები ქვეყნის ეკონომიკაზე

*მოსიაშვილი ვალერი*
*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი*

**აბსტრაქტი**

ტურიზმი არსებით გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ა.შ. ტურიზმიდან მაქსიმალური შედეგის მიღებისათვის ყოველი სახელმწიფო ამუშავებს ტურისტულ პოლიტიკას, რომელიც წარმოგვიდგება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სახედ (სახეობად, შემადგენელ ნაწილად).

სახელმსწიფოს ტურისტული პოლიტიკა - ეს არის სახელმწიფო ზემოქმედების ფორმების, მეთოდებისა და მიმართულებების ერთობლიობა, ტურიზმის სფეროს ფუნქციონირებაზე, რათა მიღწეული იქნას სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის დასახული მიზნების შენარჩუნება და განვითარება.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული პოლიტიკა, ტურისტული პროდუქტი, ტურისტული პოტენციალი, ტურიზმის ინდუსტრია, მულტიპლიკატორის ეფექტი.

**ძირითადი ნაწილი**

ზოგადად ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის მიმართულებები შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

– მოგზაურთა უფლებების დაცვა;
– ტურისტული პროდუქტების ეროვნული მწარმოებლების ინტერესებთა დაცვა;
– შიდა და შემომავალი ტურიზმის სრული მხარდაჭერა, რომელმაც შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახე (რომელიც შეიძლება ამ სახით წარმოგვიდეგს):

ა) პირდაპირი ინვესტიციების გაცემა ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირებაში;

ბ) ეროვნული ტურისტული პროდუქტის სამეცნიერო და სარეკლამო-საინფორმაციო მხარდაჭერა და ხელშეწყობა მსოფლიო ბაზრაზე;

გ) საინვესტიციო ნაკადების საგადასახადო და საბაჟო შეღავათების განხორციელება.

სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკა ეფუძნება სტრატეგიასა და ტაქტიკას:

*ტურისტული სტრატეგია* - მიზნობრივი პროგრამების და განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელთა განხორციელება მოითხოვს დროს და სოლიდურ ფინანსურ რესურსს.

*ტურისტული ტაქტიკა* - კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული ზომებისა და მეთოდების გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად (მაგალითად "ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025"[1]).

კონცეფციის ძირითადი მიზანია თანამედროვე მაღალეფექტური და კონკურენტუანარიანი კომპლექსის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეების ეფექტიან ტურისტულ მომსახურებას, და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. აღნიშნული მიზმის რეალიზაციისთვის (უზრუნველსაყოფად ) ვფიქრობთ საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება (ტურიზმის ტაქტიკა), რომელთა შორის მნიშვნელოვანია: საერთაშორისო პრაქტიკასთან შესატყვისი ტურიზმის განვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა; პირდაპირი ინვესტიციების ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა შიდა და შემომავალი ტურიზმის განვითარებისთვის; ტურისტული საქმიანობის სერთიფიკაციისა და ლიცენზირების მკაცრი სისტემის დანერგვა და სხვ.

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ანვითარებს ტურიზმს, მიისწრაფვის, რომ მისგან მიიღოს

[1] http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-mtavroba-da-msoflio-banki-quoterovnuli-turizmis-ganvitarebis-strategia-2025quot-s-seimusavebs

მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი. ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა ნიშნავს, მიიღოს მოგება (ეკონომიკური ეფექტი) ტურიზმის ორგანიზაციისაგან სახელმწიფო მასშტაბით, რეგიონის მოსახლეობის მომსახურების მასშტაბით, ტურიზმის სფეროში დასაქმებული ფირმების მასშტაბით.

ტურიზიმი, როგორც მომსახურებით ვაჭრობა, მსოფლიო ბაზარზე შესაძლოა მოვიხსენიოთ როგორც უჩინარი ექსპორტი, რომელსაც შეაქვს თავისი წილი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში.

პოზიტიურად უნდა იქნას მიჩნეული სიტუაცია, როდესაც ტურისტების მიერ ქვეყანაში ვალუტის შემოდინება აღემატება ქვეყნიდან ნაღდი ვალუტის გადინებას.

თანამედროვე პერიოდში, როდესაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ (ფაქტობრივად მიმდინარე წლის მარტის დასაწყისამდე), საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი განიცდიდა დევალვაციას აშშ დოლარის და სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ, უცხოური ვალუტა იძენს მეტ მსყიდველობით უნარს. ეს შესაძლოა ზოგადად მოსახლეობაში იწვევს უკმაყოფილებას (გასაგები მიზეზების გამო: მსყიდველობითი უნარის დაცემა, ფიქსირებულშემოსავლიანი მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება, ეროვნულ ვალუტაში არსებული დანაზოგების კლება, ნეგატიური დამოკიდებულება ეროვნული ვალუტის მიმართ და სხვ), მაგრამ უნდა გახდეს უცხოელი ტურისტებისთვის სტიმულის მიმცემი, შედეგად გაზარდოს ტურისტული ნაკადების მოდინება (ტურიზმის ექსპორტი), რაც თავის თავად უნდა გახდეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ხელისშემწყობი ფაქტორი. როგორც ყველა ქვეყანაში ზოგადად, მათ შორის კონკრეტულად საქართველოში ტურიზმის ექსპორტის ზრდა პოზიტიურ გავლენას იქონიებს საგადასახდელო ბალანსზე, შეძლებს მზარდი უარყოფითი წმინდა ექსპორტის შემცირებას. მაგრამ უნდა ითქვას, მიმდინარე ეტაპზე საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმი წარმოდგენილია მოკრძალებული ხვედრითი წილით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს, წინასწარი მონაცემებით ტურიზმის წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში შეადგენს 7.3 პროცენტს, ნაცვლად 7.2 პროცენტისა 2016 წელს[1]).

**ნახ. 1 ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში[2]**




ასევე უნდა ითქვას, რომ ეს სტატისტიკური მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ უფრო მეტად არგუმენტირებული და კონკრეტული დასკვნები ტურიზმის განვითარების შესახებ რეგიონალურ ჭრილში, რაც საშუალებას მოგვცემდა ანალიზი გაგვეკეთებინა რომელი რეგიონი და ტურიზმის რომელი სეგმენტი (სფერო) იძლევა მეტ შემოსავალს, შესაბამისად, რომელი სფერო საჭიროებს მეტ დახმარებას. კვლევის პერიოდში სამწუხაროდ ვერ მოვიძიეთ ოფიციალური ინფორმაცია თუ რა წილითაა წარმოდგენილი ამა თუ იმ რეგიონის მთლიან შემოსავლებში ტურიზმიდან შემოსავალი, რაც შეეხება ე.წ. ექსპერტულ შეფასებებს და სტატისტიკა, არც თუ ისე იშვიათად მას ტენდენციური ხასიათი აქვს და ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია.

[1] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.
[2] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

ნახ. 2 ტურიზმის სფეროში მთლიანი გამოშვება[1]

| | ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება (მლნ. ლარი) | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | | 2015 | 2016 | 2017* |
| 3 | სასტუმროებისა და კემპინგების მომსახურება | 499,3 | 604,0 | 788,1 |
| 4 | რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზა საკვების მიწოდება | 1 051,2 | 1 130,5 | 1 222,3 |
| 5 | სარკინიგზო ტრანსპორტი | 134,0 | 103,6 | 97,0 |
| 6 | სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი | 687,5 | 757,9 | 861,2 |
| 7 | საჰაერო ტრანსპორტი | 203,9 | 210,0 | 283,2 |
| 8 | სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა | 931,2 | 920,7 | 985,5 |
| 9 | **სულ, ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება** | 3 507,1 | 3 726,8 | 4 237,4 |
| 10 | **ქვეყნის პროდუქციის მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში, (მლნ. ლარი)** | 48 250,5 | 51 662,3 | 57 671,7 |
| 11 | **ტურიზმის სფეროების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში (%)** | 7,3 | 7,2 | 7,3 |
| | * დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2018 წლის 15 ნოემბერს. | | | |

ის თუ რა გავლენას ახდენს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა ქვეყნის მშპ-ზე, განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$მშპ= ხ_{\text{სამ}} + ინ + ს_{\text{მთ}} + (ექსპ + იმპ)$

სადაც, $ხ_{\text{სამ}}$ არის სამომხმარებლო ხარჯი;

ინ - ინვესტიციები;

$ს_{\text{მთ}}$ - სამთავრობო დანახარჯი;

ექსპ - ექსპორტი;

იმპ - იმპორტი.

მოყვანილი ფორმულად კარგად ჩანს, რომ თუ იმპორტი აღემატება ექსპორტს, მაშინ ქვეყნის მშპ-ს ექნება ნაკლები მაჩვენებელი. ამიტომ საქართველოს ეკონომიკისთვის ხელსაყრელია მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი ტურისტი ქვეყანაში, და დავაინტერესოთ ისინი დახარჯონ მეტი ფულადი რესურსი, ვიდრე ქვეყნიდან გასული ტურისტი (საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი) დახარჯავს საზღვარგარეთ მოგზაურობისას.

*ტურიზმის პირდაპირი გავლენა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე და კონკრეტულად რეგიონზე* - ეს არის ტურისტიდან შემოსავალი, რომელსაც იგი შეიძენს ქვეყანაში ტურიზტული პროდუქტის და მომსახურებისთვის. პირდაპირი გავლენა გაიგება, როგორც ტურისტების ფულადი შენატანი ტურისტული კომპანიის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ტურისტების დანახარჯები ზრდის ტურისტული რეგიონის შემოსავლებს, რომელიც თავის მხრივ ქმნის შემდეგ ჯაჭვს „ხარჯი - შემოსავალი - ხარჯი“ და ა.შ. აქედან გამომდინარე მთლიანი შემოსავლის გაანგარიშება ტურიზმიდან საკმაოდ რთულია, რამდენადაც აქ ასევე გასათვალისწინებელია არაპირდაპირ, ირიბი გავლენა რეგიონის ეკონომიკაზე.

ირიბი გავლენა („მულტიპლიკატორის ეფექტი“), გამოიხატება რეგიონში ტურიზმიდან შემოსული თანხების ცირკულაციაში. შემოსავლებიდან მულტიპლიკატორის ეფექტი შესაძლოა გამოვლინდეს სხვადსხვა კუთხით, მაგალითად რეგიონის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (გადასახადები, მოსაკრებლები) გაიზრდება ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიების მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხიდან, ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიები (იქ დასაქმებული მოსახლეობის ნაწილი), შეიძენს მეტი რაოდენობის ადგილობრივი წარმოების პროდუქტსა და მომსახერებას, როგორც უცხოუელი ტურისტების, ასევე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის და სხვ.

შემოსავლები ტურიზმიდან, ბევრად დიდი პოზიტიური შედეგის მომტანია იმ შემთხვევაში,

[1] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

როდესაც ტურისტული კომპანიები თავიანთი საქმიანობის განხორციელების პერიოდში შეიენენ ადგილობრივ (რეგიონალურ) პროდუქტსა და მომსახურებას. ამ პროდუქტისა და მომსახურების გამყიდველები, თავის მხრივ გასცემენ ხელფასს მის მიერ დაქირავებულ ადამიანებზე, რომლებიც ასევე შემოსავალს ხარჯავენ საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, წაახალისებენ ეკონომიკის სხვა სფეროს დარგებს. მაგრამ თუ დასაქმებული მათ მიერ გამომუშავებული ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს დახარჯავენ იმპორტირებული პროდუქციის შეძენაზე, მაში ჩვენს მიერ მოყვანილი ზემოთ ციკლი, ჯაჭვი („ხარჯი - შემოსავალი - ხარჯი“), იქნება მოკლე და საბოლოო ჯამში ადგილი ექნება რეგიონიდან, მთლიანობაში ქვეყნიდან ნაღდი ფულის გადინებას. პირდაპირი და ირიბი შემოსავლები კომბინაცია დიდ გავლენას ახდენს, როგორც კონკრეტული რეგიონის, ასევე მთელი ქვეყნის ეკონომიკაზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმიდან შემოსული თანხების მთლიანი მოცულობა ვერ იქნება ათვისებული რეგიონში და ნაწილი გაედინება, მაგრამ სასურველია რაც სეიძლება ნაკლები ნაღდი ფულის გადინებას ქონდეს ადგილი. რა მეტი თანხა „დამაგრდება“ ადგულზე, შესაბამისად მეტი იქნება მულტიპლიკატორის ეფექტი.

ზემოთ აღნიშნულიდან შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ იმისათვის რათა ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალი (დადებითი ეფექტი) იყოს რეალური და ტურისტების რაოდენობრივი ზრდა არა მარტო სტატისტიკურ მაჩვენებლებს „ალამაზებდეს“, არამედ აისახოს რელურ ეკონომიკაზე, ვფიქრობთ აუცილებელია საქართველოში ჩამოსულ (არც თუ ისე მცირე რაოდენობის) ტურისტებსა და ვიზიტორებს შევთავაზოთ ადგილობრივი წარმოების (რეგინში რეგიონალური და ზოგადად ქვეყანაში წარმოებული), პროდუქტი, დავაინტერესოთ („ვაიძულოთ“) მისი შეძენით, რადგამ მხოლოდ მომსახურებიდან შემუსულ თანხას არ აქვს (ვერც ექნება) დიდი ეფექტი (განსაკუთრებით მულტიპლიკატორის ეფექტი დაბალია). რამდენადაც ტურისტის მიერ გაწეულ დანახარჯებში, ექსპერტული შეფასებით საკმაოდ დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა დანახარჯი კვების პროდუქტებზე, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ტურისტების მიერ შეძენილი (მოხმარებული) კვების პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობა იყოს სამამულო წარმოების, გამოვა, რომ ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილით წავახალისებთ არა ქართულ წარმოებას, არამედ იმ ქვეყნებისას საიდანაც ვეწევით კვების პროდუქტების იმპორტს. სამწუხაროა რომ კვების პროდუქტების იმპორტი საკმაოდ შთამბეჭდავია და დიდი მასშტაბს აღწევს (ნახ. 3. და ნახ. 4.), შედეგად დიდია თანხების გადინება („გაჟონვა“) ქვეყნიდან, მაშინ როცა შესაძლებელია ტურიზმის ინდუსტრიით მიღებული პირდაპირი და ირიბი ეფექტი კომბინაციაში იყოს უფრო დიდი, მეტი შედეგის მომტანი, როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე კონკრეტული რეგიონისთვის.

ნახ. 3. საქართველოს იმპორტი საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) სექციების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)[1]

| კოდი | სექციის დასახელება | 2018* | | |
|---|---|---|---|---|
| | | **იანვარი-აპრილი** | **I კვ.** | აპრილი |
| | **იმპორტი – სულ** | 2 821 805,4 | 2 094 399,1 | 727 406,3 |
| | მათ შორის: | | | |
| 0 | საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები | **305 673,5** | **222 008,9** | 83 664,6 |
| 1 | სასმელები და თამბაქო | **58 159,3** | **40 218,0** | 17 941,3 |
| 2 | არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა | **185 707,5** | **128 352,0** | 57 355,5 |
| 3 | მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები | **460 556,2** | **367 139,0** | 93 417,2 |
| 4 | ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და ცვილები | **17 598,0** | **12 090,4** | 5 507,6 |
| 5 | ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი | **301 679,3** | **221 946,8** | 79 732,6 |
| 6 | სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით | **418 193,0** | **303 326,1** | 114 866,9 |
| 7 | მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები | **745 633,3** | **541 321,5** | 204 311,8 |
| 8 | შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები) | **265 061,4** | **194 784,0** | 70 277,4 |
| 9 | საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში | **63 543,8** | **63 212,4** | 331,4 |

* წინასწარი მონაცემები.

[1] http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

ნახ. 3. საქართველოს იმპორტი ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)[1]

| კოდი | კატეგორიის დასახელება | 2018* | | |
|---|---|---|---|---|
| | | **იანვარი-აპრილი** | **I კვ.** | აპრილი |
| | **იმპორტი - სულ** | 2 821 805,4 | 2 094 399,1 | 727 406,3 |
| | მათ შორის: | | | |
| 1 | საკვები პროდუქტები და სასმელები | **318 964,9** | **231 368,0** | 87 596,9 |
| 2 | სამრეწველო მარაგები სხვა ადგილას დაუსახელებელი | **732 730,0** | **523 875,6** | 208 854,4 |
| 3 | საწვავი და საცხები მასალები | **456 535,6** | **364 593,8** | 91 941,8 |
| 4 | კაპიტალური საქონელი (გარდა სატრანსპორტო მოწყობილობებისა), მათი ნაწილები და საკუთნოები | **459 401,3** | **327 084,4** | 132 316,9 |
| 5 | სატრანსპორტო მოწყობილობები, მათი ნაწილები და საკუთნოები | **318 757,4** | **236 282,2** | 82 475,2 |
| 6 | სამომხმარებლო საქონელი სხვა ადგილას დაუსახელებელი | **472 030,2** | **348 106,1** | 123 924,1 |
| 7 | დანარჩენი საქონელი სხვა ადგილას დაუსახელებელი | **63 386,0** | **63 089,0** | 297,0 |

* წინასწარი მონაცემები.

**დასკვნა**

დასკვნის სახით შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ ტურიზმი არსებით გავლენას, როგორც ზოგადად ქვეყნის, ასევე კონკრეტულად მისი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ა.შ. ტურიზმიდან მაქსიმალური შედეგის მიღებისათვის ყოველი სახელმწიფო ამუშავებს ტურისტულ პოლიტიკას, რომელიც წარმოგვიდგება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად.სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკა თავის მხრივ ეფუძნება ტურისტულ სტრატეგიასა (მიზნობრივი პროგრამების და განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელთა განხორციელება მოითხოვს დროს და სოლიდურ ფინანსურ რესურსს) და ტაქტიკას (კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული ზომებისა და მეთოდების გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად).

ტურიზმს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ბერკეტს, მაგრამ ის არ არის პანაცეა და შესაძლოა თან ახლდეს ეკონომიკური და სხვა სახის მანკიერებები.

ტურიზმის განვითარების უპირატესობას ქვეყნისთვის და მისი რეგიონისთვის მიეკუთვნება:

- რეგიონში ფულადი ნაკადის, მათ შორის უცხოური ვალუტის ზრდა;
- ეროვნული შემოსავლის ზრდა;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის რეფორმირება, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც ტურისტების ესე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ;
- კაპიტალის, მათ შორის უცხოურის ზრდა;
- მოცემული რეგიონის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდა.
- ტურიზმის განვითარების ნეგატიური გავლენა შესაძლოა მდგომარეიობდეს იმაში, რომ ტურიზმის განვითარება:
- გამოიწვევს ფასების ზრდას ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე, სასოფლო სამეურნეო პროდუქტზე, სხვა ბუნებრივ რესურსებსა და უძრავ ქონებაზე;
- ხელს შეუწყობს ნაღდი ფულის გადინებას საზღვარგარეთ ტურიზმის იმპორტის შემთხვევაში;
- იწვევს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს;
- შესაძლოა ზიანი მიაყენოს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

[1] http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

1. http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-mtavroba-da-msoflio-banki-quoterovnuli-turizmis-ganvitarebis-strategia-2025quot-s-seimusavebs გადამოწმებული იქნა 20.03.2019.
2. http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo გადამოწმებული იქნა 18.02.2019.
3. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 11.04.2019.
4. http://tourlib.net/books_tourism/kvartalnov_tourism10.htm გადამოწმებული იქნა 23.04.2019.

## Influence of tourism on financial aspects of countries economics

***Valeri Mosiashvili, Professor***
***Georgian Technical University***

### Summary

Tourism has the great influence on the development of the country and its particular region, it promotes the currency inflows, improves the infrastructure and others. The countries create Tourism politics, which is the part of the social-economic politics, to gain the maximum result from Tourism. Tourism politics of the country is based on the tourist strategy (targeted programs and the development of the unified concept, which implementation reqires time and considerable financial resources) and tactics (using concrete measures and methods in the particular situation to achieve the goal).

Tourism, as the important lever for the economic development of the country, has the important potential, but it is not panacea and it may be accompanied with the economic and other types of flaws.

The advantages of Tourism for the country and its region are: Increasing cash flows, including foreign currency growth; Increasing national income; Creating new jobs; Reformation of the entertaining and recreational infrastructure, which will be used by tourists and local community; Increasing of capital, including foreign capital; Tax revenue growth of the budget of the concrete region.

The development of Tourism has negative influence, it may cause: Increasing of the prices on the local goods and services, agricultural products, natural resources and real estate; Promoting of the cash draining abroad in case of Tourism import; Ecological and social problems; During the development process it may harm other fields of Economics.

Keywords: Travel Policy, Tourist product, Tourism potential, Tourism industry, The multiplier effect.

# სასტუმრო ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

***ოსიტაშვილი ნინო***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტის*

**აბსტრაქტი**

სასტუმრო ბიზნეს ყოველწლიურად დინამიურად ვითარდება და კონკურენტუნარიან ბიზნეს სექტორად გვევლინება. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე თანამედროვე ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

გლობალიზაციის პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში ბიზნეს გარემოს ფორმირებასა და შეცვლაზე.

შეიქმნა ინტერნაციონალიზაციის მოდელი. ამ მოდელს ეტაპობრივი ეწოდა, რადგან ის ბიზნეს გარემოს სწავლობს თანმიმდევრულად და ზედმიწევნით.

სტატიაში საუბარია ტურისტულ მოთხოვნაზე, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ კონიუქტურზე. განხილულია ბოლო 10 წლის განმავლობაში სასტუმრო ინდუსტრიაში განვითარების ტენდენციები, როგორია ბაზარზე პროცესების უცხოური შესწავლის მიდგომები და მიმდინარე ცვლილებები რა გავლენას ახდენს თანამედროვე სახის სასტუმრო ბიზნესის ჩამოყალიბებაზე.

საკვანძო სიტყვებია: სტუმარ-მასპინძლობა, გლობალიზაცია, ეტაპობრივი ინტერნაციონა-ლიზაცია, სასტუმრო ბიზნესი, მსოფლიო ბაზარი

**ძირითადი ტექსტი**

ბოლო წლებში სასტუმროების მომსახურების ბაზარი არა მხოლოდ მსხვილ ინვესტორთა ყურადღებას იპყრობს, არამედ საშუალო და მცირე ბიზნესის ინტერესის საგანსაც წარმოადგენს. თავის მხრივ, უამრავ ტურისტში საცხოვრებელი, მცირე ზომის აპარტამენტები პოპულარობით სარგებლობს. ევროპული სტუმართმოყვარეობის გრძელვადიანი ევოლუცია გვიჩვენებს, რომ ტურისტთა 40% ურჩევნია დარჩეს მცირე განსახლების ობიექტებში, და 60% მიდის დიდი სასტუმრო კომპლექსებში.

მძაფრი კონკურენციის პირობებში მომსახურების სუბიექტებს ბაზარზე ავალდებულებს უფრო ორგანიზებულად და მიზანმიმართულად მიუდგნენ მათ სფეროში არსებულ პრობლემების გადაჭრას.

მსოფლიოში სასტუმრო ბიზნესი დინამიურად განვითარებადი ინდუსტრიაა, ყოველ წელიწადს მისი შემოსავლების ხვედრითი წილი საკმაოდ იზრდება. 2018 წ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ 2010-2017 წლების გრაფიკული ანალიზს თუ გადავხედავთ, სადაც ასახულია საერთაშორისო ტურიზმზე გაწეული ხარჯები , პირველ ადგილას ჩინეთია, ხოლო მეორზე შეერთებული შტატები. თუ 2010- ში ჩინეთი 54,9 მილიონი დახარჯა, 2017 წელს ეს თანხა 228,1 მილიონს შეადგენდა. ხოლო შტატებმა კი სულ რაღაც 37,1 მილიონით გაზარდა ხარჯი. (1)

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის უაღრესად კონკურენტუნარიანი გარემო ხელს უწყობს ეფექტიანი მუშაობის ახალი გზებისა და ელემენტების ძიებას. ამ სფეროში ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის სხვადასხვა ინოვაციებისა და ახალი ელემენტების განვითარება და განხორციელება, რაც სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებისთვის ძლიერი სტიმულია. უკანასკნელ წლებში კი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებამ ფუნდამენტურად შეცვალა მომსახურების ფორმა.

თანამედროვე ბიზნესგარემო, მასში მიმდინარე პროცესები მაღალი დინამიურობით გამოირჩევა. ეს ცვლილება ეკონომიკის ყველა სფეროს მენეჯმენტზე ახდენს გავლენას. თუ დღევანდელ დღეს ბიზნესი ფეხს არ უწყობს მიმდინარე ცვლილებებს, განწირულია კრახისთვის. ცვლილებების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე სასტუმრო ბიზნესია.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო ტურიზმმა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ და მომგებიან სექტორს წარმოადგენს, გიგანტური ნახტომი

გააკეთა. იგი დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთ საკვანძო სექტორებზე და დარგებზე , როგორიცაა ტრანსპორტი და საკომუნიკაციო სისტემები, ვაჭრობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, სამომხმარებლო საქონლის წარმოება; ის წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ე.წ კატალიზატორს. მასზე მოდის მსოფლიო დასაქმებულთა ყოველი მერვე ადამიანი.

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში შთამბეჭდავია მოთხოვნა-მიწოდების ხარისხობრივ ცვლილებებში დინამიურობა, რამაც გარკვეულწილად ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო ტურიზმის განვითარება სწრაფი ტემპებით განსაზღვრას. 80-იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტურისტულმა მოთხოვნამ განაპირობა ახალი ტენდენციების წარმოშობა, რაც განპირობებული იყო, როგორც ეკონომიკურ-სოციალური ფაქტორებით, ასევე თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიაში მიმდინარე ცვლილებებით მთელი.

ტურისტული მოთხოვნის სტრუქტურამ გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკურ კონიუქტურზეც.XXI სს დასაწყისში კრიზისი, რომელმაც ინდუსტრიულ ქვეყნები მოიცვა , მოსახლეობის მხრიდან მსყიდველობითუნარიანობა საგრძნობლად დასცა. სოციალურ სფეროში ცვლილებებმა რაც ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთანაა დაკავშირებული, თავის მხრივ, დააზარალა ტურისტული მოთხოვნის ბუნებაც . საპენსიო ასაკის (გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის (UNDESA)4 მონაცემების მიხედვით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უკანასკნელი 30 წლის განმვალობაში (1980-2011 წლების ქრონოლოგიურ მონაკვეთში) გაზრდილია განვითარების ოთხივე საფეხურზე მყოფ ქვეყნებში, თან საკმაოდ მნიშვნელოვნად) და შვებულების პერიოდის გაზრდა, სამუშაო კვირის შემცირება და მოქნილი სამუშაო საათები იქნა შემოღებული. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდა შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსის დარეგულირებას, რაც ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში თავისუფალი დროის ზრდას და ტურისტული მომსახურების პოტენციური მომხმარებლების სპექტრის გაფართოებას.

დროთა განმავლობაში ეკონომიკურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა ტურისტული მოთხოვნის თანამედროვე ხასიათი ჩამოაყალიბა. ადამიანთა ფსიქოლოგიაში ახალი ღირებულებები ჩამოყალიბდა, რასაც თან სდევდა რიგი ჩვევების ჩამოყალიბება, როგორიცაა უშუალო, თავისუფალი დამოკიდებულება საკუთარ თავთან და გარშემო მყოფებთან, თვითდასაქმება, ფასეულობების გადაფასება და ა. შ

ამრიგად, გლობალიზაციის პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სტუმართ-მასპინძლობის ინდუსტრიაში ბიზნესის გარემოს ფორმირებასა და შეცვლაზე.

ბოლო 10 წლის განმავლობაში სასტუმრო ინდუსტრიაში შეინიშნება განვითარების შემდეგი ტენდენციები:

- საერთაშორისო ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვანმა გაზრდამ განაპირობა სასტუმროს მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა;
- სასტუმრო ბიზნესის ტრანსნაციონალიზაცია ჩამოყალიბდა მოხდა საერთაშორისო სასტუმროების ჯაჭვების სახით;
- თანამშრომლობის ინოვაციური ფორმების შემუშავებამ, მათ შორის ფრანჩაიზინგის სისტემების საფუძველზე, შეიქმნა ერთობლივი სასტუმრო საწარმოები;
- შეიქმნა შიდა სტრატეგიული ალიანსები. მონოპოლიზაციისგან თავის დასაცავად და დიდი სასტუმროების მიერ მცირე განთავსების ობიექტების გაკოტრების აღსაკვეთად, სასტუმროები გაერთიანდა სასტუმრო კონსორციუმებში;
- შემუშავდა და დაინერგა გლობალური სტანდარტი, მომსახურების ხარისხი, მოხდა ადმინისტრაციული გამოცდილების გაცვლა;
- გააქტიურდა ახალი საინფორმაციო წყაროების გამოყენება: ტექნოლოგიების დანერგვა ბიზნეს პროცესებში. კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ახალი საშუალებების წარმოშობის შედეგად სასტუმროებმა დაიწყეს დაჯავშნა- მომსახურება ინტერნეტში რამაც საშუალება მისცა მომხმარებელს მარტივად და უმოკლეს ვადაში დაჯავშნოს ნებისმიერი მომსახურება მთელს მსოფლიოში.

– აღინიშნება ინვესტიციების ზრდა, ახალ-ახალი კონცეფციების შემუშავება; ბაზარზე სიახლის შემოტანა.

სასტუმრო ბიზნესის განვითარებაში, უცხოელმა მეცნიერებმა (ჯ.ვ. ბილკი, გ. ტესარა, ს.ტ. კავუსგილა და კ.ჯ.ერიქსონი,)(4) უპირატესობას ანიჭებენ ეტაპობრივი ინტერნაციონალიზაციის მოდელებს. ინტერნაციონალიზაციის მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ ფაქტი-ური პარამეტრებითა და ეტაპების რაოდენობით, რაც თავის თავში მოიცავს ძირეულ ცვლილებებს. მოდელს, რომელიც შემუშავებული იქნა შვეციაში, უფსალას უნივერისტეტში ყველაზე დიდი გავრცე-ლება ხვდა წილად.

მოდელი- ეტაპობრივი ინტერნაციონალიზაცია ეფუძნება იმ ზოგად შეხედულებას, რომ კომპანიები უცხოურ ბაზარზე შედიან თანდათან, ანუ საკმაო გამოცდილების დაგროვების შემდეგ, არსებული საფრთხეების შემცირების შედეგად. ბაზრის კვლევა ეტაპობრივი მოდელის მიხედვით, ითვლება კომპანიების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან კომპონენტად. ამავდროულად, ბაზრის კვლევა ემპირიულად ხორციელდება. ყოველ ეტაპზე მიღებული გამოცდილება საშუალებას აძლევს კომპანიების ხელმძღვანელობას მიიღოს ან უარყონ საერთაშორისო ვალდებულებების აღების შესაძლებლობა.

ერიქსონის და სხვა მეცნიერთა აზრით, ბაზრის შესწავლისას აუცილებელია შემდეგი ინფორ-მაციები:

1) ინფორმაცია სხვა ქვეყნებში ბიზნესის კეთების შესახებ;

2) არჩეული ქვეყნის კანონმდებლობის შესწავლა;

3) ინფორმაცია ინტერნაციონალიზაციის შესახებ;

კ.ერიქსონის მიხედვით ინფორმაციას სხვა ქვეყნებში ბიზნესის კეთების შესახებ მოიცავს შემდეგს: ინფორმაცია მიმწოდებლების, მომხმარებლების, კონკურენტების და ბაზრის შესახებ. ინფორმაცია სხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესახებ მოიაზრებს სახელმწიფოს პოლიტიკის ცოდნას, ბიუროკრატიული წესებს და კულტურას (რაც ფართო გაგებით, მოიცავს ბიზნეს პრაქტიკის შესახებ ინფორმაციას, ასევე სოციალურ ღირებულებებს და ქცევის ნორმებს).(5)

ბაზრის პროცესების შესწავლის უცხოური მიდგომები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მსოფლიო ბაზრის შესახებ ინფორმაციის ევოლუციურ მოდელს, რომელიც შეიმუშავა პროფესორმა ჯ კუადა (დანია).(6) მსოფლიო ბაზარზე ინფორმაციის ანალიზის კონცეპტუალური მოდელი მიიჩნევს ცოდნის განვითარებას შემდეგი თვალსაზრისით

- ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება
- მიღებული ინფორმაციის კლასიფიკაცია
- დესტინაციის გათვალისწინება
- ინფორმაციის ტიპოლოგიას

სასტუმრო მომსახურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიკური ინტეგრირების პრობლემების მოგვარებაში. სასტუმრო მომსახურების თანამედროვე მსოფლიო ბაზრის შეთავაზება აკმაყოფილებს ყველა კატეგორიის მომხმარებელს, ნებისმიერი ასაკის და კულტურის ტურისტებს. თანამედროვე სამყაროში იზრდება დამატებითი მომსახურების სპექტრი, რაც თავის თავში მოიცავს გართობას, გამაჯანსაღებელ პროცედურებს, სპორტს, ინფორმატულობას.

მსოფლიო ბაზარზე სასტუმროს სერვისების შესწავლისას, საჭირო გახდა სასტუმროს მომსახურებისთვის ტერმინებისა და განმარტებების შემუშავება და ჰარმონიზაცია. ეს საკითხი მოგვარდა საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე (გაერო, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია).

სასტუმროს მომსახურების მსოფლიო ბაზრის შესწავლა აქტუალურია თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სექტორის ტურიზმის განვითარების ინტერესებს. უცხოური ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდი ხნის მანძილზე სასტუმროს საქმიანობას მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა საერთაშორისო ტურიზმში. ამჟამად, სასტუმროს მომსახურების ბაზარმა შეიძინა ინტერდისციპლინარული ხასიათი, ინარჩუნებს გარკვეულ სპეციფიკურ მახასია-

თებლებს, მოითხოვს შესწავლას და გვევლინება დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის საგანი.

**დასკვნა**

თანამედროვე პირობებში, მსოფლიო სასტუმრო მომსახურება წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობებს, რაც ნაციონალურ საზღვრებს ცდება, ის თავის მხრივ, ხასიათდება კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით, ოპერაციების საერთაშორისო ბუნებით. მსოფლიო ბაზრის შესწავლის კონცეფციები და მიდგომები აისახება მომსახურების სექტორისა და გლობალური სასტუმროების შესწავლაში. მხედველობაშია ბაზრის შესაძლებლობების ანალიზის და ეტაპობრივი ინტერნაციონალიზაციის ბაზრის შერჩევის კონცეფცია, ბაზრის განვითარების პროგნოზირების მოდელები.

რადგანაც ჩვენი ქვეყანა ძალიან პატარაა და რადიკალური ცვლილებების შეტანას მიმდინარე პროცესებში შეუძლებელია. ამასთანავე ბუნებრივი ლანდშაფტი და ისტორიულ კულტურული ფასეულობები იმდენად მრავალფეროვანია, რომ როგორც ტურისტთათვის, ასევე ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემოა.

ამასთანავე, იმისთვის რომ მოვიზიდოთ უფრო მეტი ტურისტი, ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე სასტუმროს ბიზნესის მსოფლიო პრაქტიკა. აუცილებელია რიგი ღონისძიებების ჩატარება, რათა დავეწიოთ და მიმზიდველი გახდეს ქვეყანა მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ტურისტულ სფეროთი დაინტერესებული ინვესტორებისთვის.

პირველ რიგში უნდა მოხდეს კადრების მომზადება/გადამზადება; გადაიხედოს და რიგი ცვლილებები შევიდეს კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ; მოხდეს სტანდარტიზაცია; ინფრასტრუქტურა დაიხვეწოს; ეკოლოგიაზე გამახვილდეს ყურადღება და ა.შ

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. UNWTO World Tourism Barometer. Vol. 13. Apr. 2018: http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/pdf/unwto_barom18_02_mar_apr_excerpt__0.pdf
2. . Писаревский,Е.Л. Проблемы реализации Директивы ЕС от 13 июня 1990 года № 90/314/EEC «О комплексных путешествиях, отпусках и поездах («включающих все»)» / Е.Л. Писаревский// Туризм: право и экономика. –2005.–№4
3. Сервис для избранных : премиальные идеи от Loews Hotels, Hyatt и RitzCarltoN // Маркетолог.– 2007.–№ 1.–გვ. 10–13.
4. 
5. Bilkey J.W., Tesar G. An attempted integration of the literature on the export behavior of firms // Journal of International Business Studies. 1978.. Vol. 9, № 1. P. 33-46.
6. Eriksson K.J. Experienced knowledge and cost in the internationalization process // Journal of International Business studies. 1997. Second quarter. P. 337-360.
7. Kuada J., International Market Analysis: Theories and Methods. Adonis&Abbey Publishers Ltd. Great Britain, 2008. P. 38
8. Borovskaya, I. Creativity inhospitalityindustry: study of hostelsin st. Petersburg / I.
9. https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/sapensio%20reporma_WEB_2.pdf

# Modern trends in hotel business development

***Nino Ositashvili*, PhD student**
***Georgian Technical University***

**Summary**

Hotel business develops dynamically every year and represents a highly competitive business sector. Modern technologies occupy an important place and have substantial influence in terms of world practice.

Globalization processes have had a significant impact on the formation and changes of the business environment in the hospitality industry.

The model of internationalization has been created. This model is called gradual due to the fact that it studies the business environment thoroughly and gradually.

The article focuses on the tourist demand that has had a big impact on the economic conjuncture. The article discusses the trends of the development of the hotel industry during the past 10 years, the approaches of foreign studies of market processes and the ongoing changes affecting the formation of the modern type of hotel business.

Key words: Hospitality, Globalization, Gradual Internationalization; Hotel Business; World Market.

## ოთხსეზონიანი ტურისტული მიმართულების განვითარების პერსპექტივა საქართველოში

*ქაჯაია ქეთევანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ასისტენტ პროფესორი*

**აბსტრაქტი**

მსოფლიო ტურისტულ რუკაზე საქართველო ჯერ კიდევ რჩება ახალ მიმართულებად. ქვეყანაში ჩამოსულ ვიზიტორთა უმეტესობა პირველად სტუმრობს საქართველოს, ხელმეორედ ჩამოსულ მოგზაურთა რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა. ბოლო სამი წლის განმავლობაში იზრდება სხვადასხვა ქვეყნიდან პირდაპირი რეისების მოცულობა, ვიზიტორთა სტატისტიკაში მზარდია როგორც ტურიზმის, ასევე ტრანზიტის წილი. იმისათვის, რომ ქვეყანაში ტურიზმი მდგრადი განვითარების გზაზე დადგეს, საჭიროა ვიზიტორთა ზრდის სტაბილური დინამიკა და ხელმეორედ ჩამოსულ მოგზაურთა წილის ზრდა. ყველა მცირე, საშუალო თუ დიდი მოთამაშე ცდილობს, ბაზარზე თავისი კონკრეტული ნიშა დაიკავოს. საქართველოს დღემდე არა აქვს მკაფიოდ გაცხადებული, თუ რა პოზიციის დაკავება სურს საერთაშორისო ბაზარზე. აუცილებელია საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივით განისაზღვროს, რა ადგილის დაკავება გვსურს მსოფლიო ტურისტულ რუკაზე. არადა, გლობალური ტურიზმის განვითარების კლასიკური რეცეპტი უცვლელია: გრძელვადიანი გეგმარება და მდგრადი განვითარების ტემპი; ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემო.

განვითარებად ქვეყნებში თითქმის ყოველთვის მოთხოვნა ქმნის მიწოდებას. ვინაიდან საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ვიზიტორთა დინამიკა მზარდია, მოთხოვნა უკვე გამოკვეთილია. ახლა საჭიროა მიწოდების ნაწილში ჯეროვანი განვითარება დაიწყოს. საქართველოში კერძო სექტორი ჯერ კიდევ არასაკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ მასშტაბური პროექტები განახორციელოს, ამიტომ ამ ეტაპზე მთავარი ბერკეტი ისევ სახელმწიფოს ხელშია. სახელმწიფომ უნდა განავითაროს საჯარო ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ შექმნას ერთგვარი პლატფორმა, რომელზეც, თავის მხრივ, ბიზნესი დააშენებს საკუთარ აქტივებს.

საკვანძო სიტყვები: ოთხსეზონიანი ტურიზმი, სივრცითი მოწყობა, სამთო კურორტები, სასტუმრო ინდუსტრია, სპეციალური სტიმულირება, თავისუფალი ტურისტული ზონები

**ძირითადი ტექსტი**

ის, რომ საქართველოში მოთხოვნა სტაბილურად იზრდება, ბოლო პერიოდის სტატისტიკური მაჩვენებლებიც ადასტურებს. ინფორმაცია, რომელსაც ქვევით წარმოგიდგენთ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა.

2019 წლის თებერვალში საქართველოში ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 247,705 შეადგინა, რაც 11,993-ით მეტია 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +5.1%). თებერვალში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან: ლატვია +111.1%, სლოვაკეთი +84.8%, პოლონეთი +76.7%, ლიეტუვა +46.1%, ჩეხეთი +41.6%, იტალია +34.8% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: ისრაელი +198.4%, ჩინეთი +52%, საუდის არაბეთი +48.6% და სხვა. 2019 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 553,644 შეადგინა, რაც 29,054-ით მეტია 2018 წლის იანვარ-თებერვლის მაჩვენებელზე (ზრდა +5.5%).

წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის იანვარში შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 164.5 მილიონ დოლარს (ზრდა +5%), რაც 8 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2018 წელს შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 3.2 მილიარდ დოლარს (ზრდა +18.4%), რაც 498 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2018 წლის I-III კვარტლის მდგომარეობით შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 2.6 მილიარდ დოლარს (ზრდა +20.5%), რაც 437

მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2018 წლის I-III კვარტლის მონაცემებით შეადგენს 7.6%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +19%-ია.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო, კონკრეტულად ამ შემთხვევაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ხედავს საკუთარ როლს მიწოდების ნაწილში და წარმოადგენს ტურიზმის განვითარების სტრატეგიას 2019-2025 წლების განმავლობაში.

სტრატეგიის მთავარი ნაწილი არის ის, რომ საქართველო გადაიქცეს რეგიონისთვის ეკონომიკურ ცენტრად, რომელსაც სხვა და სხვა მიმართულება ექნება – ვაჭრობა, ფინანსები, ლოგისტიკა, ტურიზმი და განათლება. ტურიზმის პერსპექტივას რომ დავუბრუნდეთ, ქვეყნის ყველაზე დიდი შესაძლებლობა, ეს არის სამთო-სათხილამურო კურორტები, რადგან ზღვის კურორტებისგან განსხვავებით, აქ კონკურენცია არ არის მაღალი. შესაბამისად, სტრატეგიის ძირითადი ინტერესია, რომ ტურისტების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე. ოღონდ ისე, რომ რეალურად სეზონი არ იყოს შემოფარგლული მხოლოდ ზამთრით და იყოს ოთხსეზონიანი კურორტები. საქართველოს ნამდვილად გააჩნია ყველა პოტენციალი იმისათვის, რომ გახდეს ოთხი სეზონის სამთო კურორტი.

ოთხსეზონიანი კურორტების შექმნა და განვითარება სრულად განეკუთვნება ზოგადი მენეჯმენტის საკითხებს. აქ თავს იყრის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და მათი მოგვარების აუცილებლობა: საქართველოს ტურისტული ცნობადობის ამაღლება, სასტუმრო ინდუსტრიის შემდგომი განვითარება, თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა, სივრცითი განვითარება, ტურიზმის სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა.

1.სასტუმრო ინდუსტრიის შემდგომი განვითარების მიზნით, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ახალი კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში“ ამოქმედდა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან. ქვეყანაში ვიზიტორების მზარდი რაოდენობის დინამიკას ინფრასტრუქტურამ უნდა აუწყოს ფეხი. აღნიშნული პროგრამის მიხედვით, რეგიონებში ბიზნესწრეების წარმომადგენლებს, მოსახლეობას ექნება საშუალება ახალი სასტუმრო კომპლექსები დააფინანსონ სახელმწიფოსთან ერთად. სახელმწიფო მოახდენს ამ პროექტების თანადაფინანსებას.სასტუმროებს საშუალება ექნებათ, გააფორმონ ხელშეკრულებები საერთაშორისო ბრენდებთან და სახელმწიფო მოახდენს ამ ხელშეკრულებების თანადაფინანსებას. იმ კომპანიებს, რომელთაც უნდათ სასტუმროების განვითარება, შეეძლებათ, მიიღონ სახელმწიფოს მხრიდან კომერციულ ბანკში აღებული სესხის პროცენტის თანადაფინანსება პირველი ორი წლის განმავლობაში, ასევე თანაუზრუნველყოფა სესხის 50%-ის ოდენობით.

აღნიშნული მექანიზმი მეწარმისთვის შესაძლებელს ხდის, ისარგებლოს ბიზნესისთვის აუცილებელი შეღავათიანი საკრედიტო რესურსით და ბანკების მხრიდან უზრუნველყოფის ნაწილში ამცირებს პროექტის შეფასების რისკებს, რითაც მეწარმეს უფრო უადვილებს კომერციული ბანკის სესხის მიღების პროცესს. პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ მეწარმეს შეუძლია საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, თბილისისა და ბათუმის გარდა, ააშენოს ახალი სასტუმრო, მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოვება/გადაიარაღება, ასევე, გააფორმოს ფრენჩაიზინგის ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე.
სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი რეგიონული მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ემსახურება საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვას. პროგრამის ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო მოახდენს:

- სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ით თანადაფინანსებას ლარში გაცემულ სესხზე
- სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას პირველი 4 წლის განმავლობაში

- საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისთვის („ფრენჩაიზინგის“/მენეჯმენტ კონტრაქტის) ანაზღაურების ე.წ Royalty Fees დაფინანსებას პირველი 2 წლის განმავლობაში.

2020 წლის ბოლომდე საქართველოში 230-ზე მეტი ახალი სასტუმრო და სხვა ტურისტული განთავსების ობიექტი, 22 600 საწოლი ადგილით გაიხსნება. ტურისტების განთავსების ობიექტები არა მხოლოდ თბილისსა და ბათუმში, არამედ, ქვეყნის სხვა რეგიონებშიც აშენდება, რაც ადგილებზე ეკონომიკურ აქტივობას გაზრდის და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის.230 ტურისტული ობიექტიდან 32 მაღალი კლასის ბრენდული სასტუმრო აშენდება, საიდანაც 14 თბილისში ამოქმედდება, დანარჩენი სასტუმროები განთავსდება ბათუმში, მწვანე კონცხზე, ქუთაისში, თელავში, აგრეთვე, საქართველოს სამთო კურორტებზე – გუდაურში, ბაკურიანსა და გოდერძიზე.

**2**. კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების შესახებ 2010 წლიდან მოქმედებს. კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე, საგადასახადო და სხვა შეღავათებს. თავისუფალი ტურისტული ზონებით დაინტერესების შემთხვევაში ინვესტორი თავისუფლდება ქონებისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან 15 წლის ვადით. ასევე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან. საქართველოს მთავრობა, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას, სასტუმროს შენობამდე შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოაწესრიგოს და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ახლის მშენებლობა.კანონის არსებობის და ხელსაყრელი შეთავაზებების მიუხედავად, თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა მაინც ერთ-ერთ გამოწვევად რჩება საქართველოში. ხელოვნურად შექმნილი ტურისტული ზონები იქნება უფუნქციო და უპერსპექტივო. დღეისათვის ზუსტად არის შესწავლილი, რომელ ზონაში ჩადის ყველაზე მეტი ტურისტი და ამიტომ ფოკუსირება საჭიროა იმაზე, რომ სწორედ ის რეგიონები განვითარდეს კიდევ უფრო მეტად, რომლებიც მუშაობენ და იქ მოხდეს უკეთესი სერვისის მიწოდება. უკეთესი სერვისის მიწოდება კი მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. ნოუ ჰაუ ტრანსფერით არის შესაძლებელი, ანუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით და საქართველოში გამოცდილი ბიზნესჯგუფების ჩამოყვანით.

**3**.საქართველოს ტურისტული ცნობადობის ამაღლების მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მსოფლიოში წამყვან მედიასაშუალებებთან და ონალ ტურისტულ პლატფორმებთან თანამშრომლობას იწყებს. ბერლინში გამართული საერთაშორისო ტურისტული გამოფენის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები CNN-ის, BBC-ის, National Geographic-ის, Expedia-ს და სხვას გავლენიანი მედიასაშულებების და ონლაინ პლატფორმების წარმომადგენლებთან. საუბარი შეეხო, თუ რა ფორმით მოხდება სტრატეგიულ ტურისტულ ბაზრებზე საქართველოს პოპულარიზაცია.

**4**.სივრცითი განვითარების კუთხით, სამთო კურორტების განვითარება სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და სახელმწიფო არა ერთი ათეული მილიონი ლარის ინვესტირებას ახორციელებს ამ მიმართულებით. ამ საქმეში, ასევე, საკმაოდ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს დებს კერძო სექტორი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სწორ სივრცით განვითარებას, განსაკუთრებით, ზამთრის კურორტებზე, რათა არ იყოს სტიქიური განვითარება და თავიდანვე სწორად დაიგეგმოს - არსებობდეს საცხოვრებელი ზონა, საჭირო რაოდენობით პარკინგი, საფეხმავლო ზონები, სავაჭრო-გასართობი სივრცეები. მაგალითად, მთავრობამ კანადურ კომპანია ECOSIGN-თან ერთად განახორციელა კურორტ გუდაურის განვითარების პროექტი, რაც საშუალებას იძლევა გეგმაზომიერად განვითარდეს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მთის კურორტი.

გუდაური სამ პირობით ტერიტორიად იყოფა, ესენია: პირველი - ცენტრალური გუდაური; მეორე - ახალი გუდაური, რომელიც იქნება კურორტის მთავარი საფეხმავლო ცენტრი. ასევე, საკურორტო დასახლების შენობების პირველ სართულებზე სავალდებულო წესით განთავსდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, მოთხილამურეთა მომსახურების ცენტრები, სავაჭრო დაწესებულებები, კვების ობიექტები, დასასვენებელი სივრცეები, საკონფერენციო დარბაზები და ა.შ; მესამე - კობი-გუდაურის საბაზო არეალი, რომელიც გააუმჯობესებს წვდომას გუდაურის სათხილამურო არეალთან და სტეფანწმინდის მოსახლეობას და ჩრდილოეთის მხრიდან შემომავალ ტურისტებს მისცემს საშუალებას, მიუხედავად კლიმატური პირობებისა, დიდი ამწეობის

საბაგირო გონდოლის მეშვეობით, ძალიან მარტივად მოხვდნენ კურორტის სასრიალო სივრცეში. ამგვარი სივრცითი მოწყობა შესაძლებლობას აძლევს კურორტს მიმზიდველი და ხელმისაწვდომი იყოს ტურისტებისთვის არაზამთრის პერიოდშიც. ანალოგიური პროექტები კეთდება სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, მთიანი აჭარის განვითარების მიმართულებითაც.

**5**.იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა მცირე ბიზნესისთვის, გაცილებით უფრო მარტივი გახდა ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ რესტორნებსა და სასტუმროებში. ამის მიუხედავად, საჭიროა უფრო ფართო, სპეციალური სტიმულირება, რომ განსაკუთრებით წახალისდეს ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვა იქაური ტურისტული ობიექტების მიერ, რაც თავისთავად გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას პროცესებში, სტაბილურ დასაქმებას და მთის მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას.

**დასკვნა**

დარგის სწორი და სწრაფი განვითარებისთვის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა მისი ინსტიტუციური მოწყობა და ორგანიზება. უნდა არსებობდეს დარგის განვითარების სტრატეგიული ხედვა და მისი განხორციელებისათვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი. მათ შორის, როგორც ინსტიტუციური მოწყობა, ასევე შესაბამისი კანონმდებლობა და რეგულაციები. ტურიზმის ადმინისტრაციის გაძლიერება, მისი გამოყოფა ცალკე სტრუქტურულ ერთეულად მნიშვნელოვნად გაზრდის ამ სტრუქტურის ეფექტიანობას. უნდა გაძლიერდეს არსებული და შეიქმნას ახალი დარგობრივი ასოციაციები. დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ასოციაციების აქტიური ჩართვა ტურიზმთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვადასხვა ინიციატივის შემუშავების პროცესში.

განსახორციელებელია როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კვლევები, რაც შესაძლებელს გახდის დარგის სრული სურათის დანახვას. მაგალითად, რომელი ქვეყნებიდან შემოსული ტურისტები რომელ ადგილებში სტუმრობენ? რამდენი ტურისტი შემოდის ქვეყანაში განმეორებით? რომელი ფაქტორებით არიან უკმაყოფილო? – ამ ტიპის კითხვებზე პასუხი აუცილებელია იმისთვის, რომ სწორი ანალიზი გაკეთდეს, დაიგეგმოს და ეფექტიანად გატარდეს ღონისძიებები.

საჭიროა რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანა დარგის პრიორიტეტებთან. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში შემომსვლელი ტურისტებისათვის საზღვრის გადმოკვეთა ზედმეტ ბარიერებსა და შეზღუდვებთან არ იყოს დაკავშირებული. ქვეყნის ბრენდინგი და ტურიზმის მიზნებისთვის რეკლამირება უნდა ხდებოდეს წინასწარ შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში. ამ გამოწვევებზე პასუხი იმის გარანტიაა, რომ ტურიზმის განვითარება გაცილებით სწრაფი და მდგრადი იქნება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნანა ცერცვაძე, „ტურიზმის წარმატების ფაქტორები“, 2015,
2. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 .

## Perspective of four season touristic trend`s development in Georgia

***ketevan Kajaia, assistant professor***
***Georgian Technical University***

### Summary

One of the significant task to ensure the field`s right and rapid development, is its institutional arrangement and organization. There should exist the strategic vision to develop the field and all the instruments (including the institutional form of government, also the proper legislation and regulations) necessary to implement it. Strengthening the tourism administration and its arrangement as the separated unit will significantly raise its structural efficiency. There should be enhanced the existed and create a new field associations. In order to develop the field, it is necessary to make associations to be actively involved in legislative changes and processing of different initiatives related the tourism.

The quantitative and qualitative researches should be implemented, which makes possible to see the whole image of the field. For example: tourists from which countries visit which places? How many tourists arrive in the country again (repeatedly)? Which are the negative factors for them? – The answers to these types of questions is necessary to make correct analysis, perform planning and efficiently hold the events.

It is necessary to make the regulations relevant to field priorities. It is important, that no additional obstacles and limitations should be set on the border while crossing it by tourists. The country branding and advertisement for tourism purposes should be performed according and under the preliminary worked out long term strategy. The answer to this challenge is the warranty, that tourism development would be much more rapid and sustainable.

# საქმიანი ტურიზმი საქართველოში - გამოწვევები და პერსპექტივა

*ქაჯაია ქეთევანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ასისტენტ პროფესორი*

**აბსტრაქტი**

ყოველწლიურად 160 მილიონი ადამიანი მსოფლიოს გარშემო საქმიანი მიზნებისათვის მოგზაურობს. ბუნებრივია, რომ „საქმიანი ტურიზმი" ტურისტული პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა და დიდ როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ცნება „საქმიანი ტურიზმი" (MICE) ტურიზმის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც კი, საკმაოდ ახალი სფეროა. როგორც დამოუკიდებელი და მაღალსარგებლიანი ტურიზმის სახეობა, ის რამდენიმე ათეული წლის წინ გამოჩნდა. მის შესახებ საუბარი ევროპასა და აშშ-ში დაიწყეს XX საუკუნის 70-80-იან წლებში. საქმიანმა ტურიზმმა დიდი გასაქანი მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში მოიპოვა, როდესაც გახდა ამ სფეროს ყველაზე შემოსავლიანი დარგი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ MICE ტურიზმი არის ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ორიენტირებულია მსხვილ, ორგანიზებულ, კორპორატიულ და პროფესიულ ტურებზე. საქმიანი ტურიზმის მიმართულება არც საქართველოსთვის დარჩა უცხო და ტურიზმის განვითარებასთან ერთად, ისიც ნელ-ნელა ხდება ყველაზე პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი სეგმენტი. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ეს სფერო ქართული ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რადგან მაღალშემოსავლიანი ტურისტების შემოსვლით ხასიათდება და გამოირჩევა სოლიდური შემოსავლებით.

საკვანძო სიტყვები: საქმიანი ტურიზმი, მაღალშემოსავლიანი სეგმენტი, ეკონომიკის გლობალიზაცია, ჯგუფური მოგზაურობა, მიზნობრივი ბაზრები, ტურიზმის განვითარების სტრატეგია

**ძირითადი ტექსტი**

საქმიანი ტურიზმის (MICE ტურიზმის) ინდუსტრია დასავლეთის ქვეყნებში თავიდანვე დაინერგა როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება და ორ ათეულ წელიწადში ჩამოყალიბდა, როგორც ყველაზე მაღალშემოსავლიანი სფერო. საქმიანი ტურიზმის განვითარებას ჭირდება ბევრი სპეციფიკური პირობის არსებობა. ამიტომ ის წამყვანი დარგი ვერ ხდება ყველა ქვეყანაში. დღესდღეობით მსოფლიოში MICE ტურიზმის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენს აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, ესპანეთი. აღმოსავლეთის ქვეყნებში ლიდერის პოზიცია ჩინეთმა დაიმკვიდრა. საქართველოში კი MICE ტურიზმი ახალ, სწრაფგანვითარებად ტურისტულ სფეროს წარმოადგენს.

საქმიანი ტურიზმის რეიტინგში პირველ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც შეხვედრების რაოდენობა წლიურად 941-ს შეადგენს, მეორე ადგილზე გერმანიაა 682 საქმიანი შეხვედრით, სამეულს კი გაერთიანებული სამეფო ასრულებს 592 შეხვედრით. ქალაქებში პირველ ადგილზე ბარსელონაა, მას კი პარიზი და ვენა მოსდევს.კვლევის მიხედვით, მსოფლიოში საქმიანი შეხვედრების რაოდენობა იზრდება და მათმა რაოდენობამ გასულ წელს 12 558 შეადგინა.

საქმიანი ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და აქტიურად უწყობს ხელს მსოფლიო ბაზარზე მის ინტეგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანი ტურისტების რაოდენობა მსოფლიოს საერთო ტურისტულ ნაკადში შეადგენს მხოლოდ 20-25%-ს, მათზე მოდის ტურისტული ინდუსტრიის საერთო ბრუნვის 60%-მდე. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს შეფასებით, საქმიანი მოგზაურობების მოცულობა 2020 წლისათვის მსოფლიოში გადააჭარბებს 1,589 ტრილიონ აშშ დოლარს, რაც ამ პროგნოზით ყოველწლიურად 4,3%-იან ზრდას გულისხმობს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ და მასთან დაკავშირებულმა საქმიანი, სამეცნიერო და კულტურული კავშირების ინტენსიფიკაციამ, საქმიანი ტურიზმი აქცია ერთ-ერთ წამყვან და ყველაზე

დინამიურად განვითარებად მიმართულებად მსოფლიოში, რამაც შესაძლებელი გახადა ეღიარებინათ ის, როგორც მეოცე საუკუნის ეკონომიკური ფენომენი.

საერთაშორისო ასოციაცია ICCA-ი უკვე რამდენიმე წელია ასახელებს გერმანიას საქმიანი ტურიზმის საუკეთესო ცენტრად ევროპაში. მსოფლიო რეიტინგში ქვეყანა კვლავ აშშ-ს შემდეგ მეორე ადგილზეა. გერმანია საერთაშორისო გამოფენებისა და ბაზრობების მსოფლიო ცენტრად ითვლება. ყოველწლიურად, საშუალოდ 150 საერთაშორისო და რეგიონული გამოფენა-ბაზრობა ტარდება გერმანიაში, რაც ევროპაში ორგანიზებული საერთო რაოდენობიდან თითქმის ორ მესამედს შეადგენს.

გერმანიაში საქმიანი ტურიზმის ბაზრის სტრუქტურაში გამოირჩევა ორი ძირითადი სეგმენტი: ინდივიდუალური ჩასვლები, გამოფენებსა და ბაზრობებზე დასწრება. ინდივიდუალური MICE ტურიზმის განვითარებით გამოირჩევა ისეთი ქალაქები, როგორიცაა - ბერლინი, მიუნხენი, ჰამბურგი, მაინის-ფრანკფურტი, კიოლნი და ჰანოვერი. თანამედროვე პერიოდში MICE ტურიზმის ლიდერებად გვევლინებიან ევროპული სახელმწიფოები. მათ წილად მოდის ამ სფეროს ტურიზმის 51%.

აბრევიატურა **MICE** მიგვანიშნებს საქმიანი ღონისძიებების ოთხ ძირითად მიმართულებაზე:

**Meetings** – შეხვედრები, სტრატეგიული თათბირები, მოლაპარაკებები, პრეზენტაციები

**Incentive** – წამახალისებელი მოგზაურობები, სამოტივაციო პროგრამები, პარტნიორებისა და თანამშრომლების ლოიალობის სტიმულირება

**Conferences/Congresses** – კონფერენციები, ფორუმები, კონგრესები

**Exhibitions/Events** – გამოფენები, კონკრეტულ (შემეცნებით, კულტურულ, მუსიკალურ, სპორტულ და ა.შ.) ღონისძიებებზე დასწრება, კორპორატიული ღონისძიებები.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, სატრანზიტო ფუნქცია ევროპასა და აზიას შორის, უნიკალური კლიმატი, ულამაზესი ბუნება, მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა საშუალებას იძლევა ქვეყანაში MICE ტურიზმის განვითრებისთვის. საქმიანი ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, რადგან აქტიურად უწყობს ხელს მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციას. MICE ტურიზმის განვითარებას ბევრი დადებითი შედეგი მოჰყვება, ესენია: დასაქმება, სეზონურობის აღმოფხვრა, უცხოელი ვიზიტორების ნაკადის ზრდა, ქალაქის ახალი მიმართულებით წარმოჩენა, საქმიან ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარება და სხვ.

საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაცია - ICCA-ს რეიტინგში (2017-2018 წლები), რომელიც ყოველწლიურად დგინდება და წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან განმსაზღვრელს საქმიანი ტურიზმის სფეროში, საქართველოს მაჩვენებელი, 2016 წლის მონაცემებთან შედარებით, 8 პუნქტით გაუმჯობესდა. 2014-2017 წლებში საქართველო ჯამში 18 პუნქტით დაწინაურდა. რეიტინგის შესადგენად ICCA საერთაშორისო ასოციაციების მიერ გამართული შეხვედრების რაოდენობას ითვლის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქებში. კერძოდ, 2016 წელს საქართველო რეიტინგში 81-ე ადგილზე იყო, 2017 წლის რეიტინგში კი 73-ზე გადაიწია. ქვეყანაში წლიურად ჩატარებული ოფიციალური შეხვედრების რაოდენობა კი 17-ია.ევროპის რეგიონში საქართველო 42 ქვეყანას შორის 35-ე ადგილზეა. რაც შეეხება უშუალოდ ქალაქებს, თბილისი მსოფლიოს 400-ზე მეტ ქალაქს შორის 193-ე ადგილს იკავებს.

Buying Business Travel Awards (BBTA) 2018-ის ყოველწლიურ ცერემონიაზე საქართველო საქმიანი ტურიზმის საუკეთესო მიმართულებად დასახელდა,

საქართველომ გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო MICE-მიმართულება უცხოეთში". ნომინაციაში საქართველოსთან ერთად წარმოდგენილი იყო აზერბაიჯანი, ქალაქი დუბაი და სხვა ქვეყნები და ტურისტული მიმართულებები. ღონისძიების ორგანიზატორია ჟურნალი Buying Business Travel-ი. პრემია BBTA-ს მიზანია საქმიანი ტურიზმისა და MICE-სფეროში ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და იდეების, ლიდერი კომპანიებისა და წარჩინებული ინიციატივების, ტექნოლოგიების, სერვისების, მარკეტინგული გადაწყვეტილებების წახალისება, რომლებმაც ბიზნეს-ტურებისა და საქმიანი მოგზაურობის პროცესი უფრო ეკონომიური, სწრაფი, ხელმისაწვდომი და მარტივი გახადეს.

Buying Business Travel Awards 2016 წელსაც საქართველო საუკეთესო საქმიანი ტურიზმის (MICE) დანიშნულების ადგილად იყო დასახელებული. ეს წარმატება განსაზღვრა ძირითადად, იმ წელს რამდენიმე მასშტაბურმა ღონისძიებამ, რომელიც საქართველოში გაიმართა: Caucasus Tourism Fair - საერთაშორისო ტურისტული გამოფენა და ტურისტული ფასდაკლებების ფესტივალი, საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი (IBF Batumi), პირველად შავი ზღვის კავკასიის რეგიონში, ბათუმში ჩატარდა შავი ზღვის ნავსადგურებისა და გადაზიდვების მე-6 საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც 40-მდე კომპანია და 300-მდე დელეგატი ესწრებოდა.

საქართველოში საქმიანი ტურიზმით დაინტერესებული სტუმრებისათვის, დამატებითი სივრცეებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება. მაგალითად, მარტო აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით 10-ზე მეტი საინფორმაციო და მედია ტური ჩატარდა უცხოელი ჟურნალისტებისა და ტურ-ოპერატორებისათვის. 2017 წელს, არსებული ინფორმაციით, აჭარაში განთავსების ობიექტებს 900-ზე მეტი საწოლი ადგილი შეემატა. 2017 წლის ზაფხულის სეზონზე ბათუმის აეროპორტს ახალი ფრენები დუბაის, ბეირუთის, კიევის, მოსკოვის, ჩერეპოვეცისა და პეტერბურგის მიმართულებით დაემატა, წელს განსაზღვრულია კიდევ რამდენიმე ახალი მიმართულების დამატება როგორც ბათუმის, ისე ქუთაისის აეროპორტებში.

საქართველოში ამ მიმართულების მნიშვნელობასა და პერსპექტივაზე ისიც მეტყველებს, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საქმიანი ტურიზმის სტრატეგიაზე მთელი წელი იმუშავა, რაშიც ავსტრიელი ექსპერტები უწევდნენ კონსულტაციას. პროექტი საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-ის დაფინანსებით განხორციელ-და. საქართველოს უკვე აქვს საქმიანი ტურიზმის სტრატეგია. იგი განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში საქმიანი ტურიზმის ძირითად მიმართულებებს და ეს სფერო ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რადგან როგორც აღვნიშნეთ, მაღალშემოსავლიანი ტურისტების შემოსვლით ხასიათდება.

საქმიანი ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა ქვეყანაში არსებობდეს რამდენიმე აუცილებელი პირობა: განვითარებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე საგამოფენო და კონგრეს-ცენტრები, უნიკალური კულტურა, კლიმატი, გართობის მძლავრი ინდუსტრია. ამ ჩამონათვალიდან ბევრ პუნქტს სრულად პასუხობს საქართველოში არსებული ბიზნესსიტუაცია, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომლის განვითარებასაც საგანგებო ძალისხმევა არ ჭირდება, მაგალითად, კლიმატი, კულტურა...

მიუხედავად ბოლო დროს ბევრი წარმატებული და აუცილებელი მოქმედებისა, მაინც რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლის მოგვარების გარეშე დარგის პერსპექტივაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნება. ბოლო პერიოდში ბევრი მაღალი კლასის სასტუმრო ამოქმედდა, რომლებიც დატვირთულია საქმიანი ტურიზმისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ამის მიუხედავად, მაინც შესამჩნევია ქვეყანაში ინფრასტრუქტურის (საკონფერენციო დარბაზების) ნაკლებობა, ტრანსპორტირების (პარკინგი) ტოტალური პრობლემები, კვალიფიციური კადრების და ტრენინგების ნაკლებობა, მომსახურების დაბალი სერვისი, მსოფლიო დონის ღონისძიებების და PR-ის სიმცირე.

ამ ეტაპზე პრობლემების ტოტალური ხასიათის გამო, მათი მოგვარების მთავარი შემსრულებელი შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო იყოს. ტურიზმის ეროვნულ ადმინის-ტრაციაში შეიქმნა ახალი განყოფილება, რომელიც რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს, თუმცა ბენეფიციარი ყველა ამ ქმედების, აქტივობის და ყველა დახარჯული თანხის კერძო სექტორი იქნება. ადმინისტრაცია არ მიიღებს არც საკომისიოს და არც რაიმე ტიპის გადასახადს კერძო სექტორისაგან. მთავარი პრიორიტეტია მოხდეს საქართველოს, როგორც ქვეყნის პოზიციონირება, რომ ეს ქვეყანა საქმიანი ტურიზმისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ადგილია. აღნიშნულ მიმართულებას ცალკე მარკეტინგი სჭირდება, რაც მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა. ამაში, გარდა მარკეტინგული აქტივობებისა, მიზნობრივ ბაზრებზე შეხვედრები და პრეზენტაციების ჩატარებაც იგულისხმება. ასევე მნიშვნელოვანია შეხვედრები ავიაკომპანიებთან, ვიზიტები საზღვარგარეთ, რაც საშუალებას აძლევს კერძო სექტორს, მეტი პირდაპირი ბიზნესურთიერთობები დაამყაროს.

შერჩეულია მიზნობრივი ბაზრები - ინდოეთი, რუსეთი,დსტ-ის, არაბეთის ქვეყნები და ევროპა.

საუბარია იმაზე, თუ სად არის საქართველოს ყველაზე დიდი ცნობადობა და სად არის ყველაზე კარგად განვითარებული ავიამიმოსვლა. რაც უფრო რთული იქნება ქვეყანაში მიმოსვლა, მით უფრო რთული იქნება პერსპექტივაზე ლაპარაკი. აქ იგულისხმება, ასევე, კონკრეტული კომპანიები, კონკრეტული ბიზნესები, რომელთა მთავარი ფუნქციაა, სხვადასხვა კერძო კომპანიებს, კონკრეტული მიზნებისთვის, საზღვარგარეთ ჯგუფური მოგზაურობა შესთავაზონ.

ტურისტული კომპანიები, ავიაკომპანიები, სასტუმროები და განთავსების ობიექტები და დამატებითი სერვისების მომწოდებლები - ეს ის კერძო სექტორია, რომელიც იქნება ბენეფიციარი ყველა იმ ქმედების, რასაც რასაც ხელისუფლება საქმიანი ტურიზმის განვითარბისთვის გააკეთებს. სავარაუდოდ, მომავალში კერძო სექტორმა ეს ფუნქცია მთლიანად თავის თავზე უნდა აიღოს, როგორც ეს არაერთ ქვეყანაშია. თუმცა პირველ ეტაპზე ამ პროცესების განვითარებას სახელმწიფოსგან დიდი ბიძგის მიცემა დასჭირდება. 2018 წელს საქმიან ტურიზმს ბაზრის 8% ეჭირა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს სეგმენტი მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას.

საქართველოში საქმიანი ტურიზმის განვითარების დიდი პერსპექტივა არსებობს, რადგან თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, იგი საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, საქმიანი შეხვედრების ჩატარების კარგ შესაძლებლობებს იძლევა.

**დასკვნა**

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ და მასთან დაკავშირებულმა საქმიანი, სამეცნიერო და კულტურული კავშირების ინტენსიფიკაციამ, საქმიანი ტურიზმი აქცია ერთ-ერთ წამყვან და ყველაზე დინამიურად განვითარებად მიმართულებად მსოფლიოში, რამაც შესაძლებელი გახადა ეღიარებინათ ის, როგორც მეოცე საუკუნის ეკონომიკური ფენომენი. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ეს სფერო ქართული ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რადგან მაღალშემოსავლიანი ტურისტების შემოსვლით ხასიათდება და გამოირჩევა სოლიდური შემოსავლებით. საქმიანი ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა ქვეყანაში რამდენიმე აუცილებელი პირობის არსებობა: განვითარებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე საგამოფენო და კონგრეს-ცენტრები, უნიკალური კულტურა, კლიმატი, გართობის მძლავრი ინდუსტრია, რასაც ძირითადად აკმაყოფილებს საქართველო. მიუხედავად ბოლო დროს ბევრი წარმატებული და აუცილებელი მოქმედებისა, მაინც რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლის მოგვარების გარეშე დარგის პერსპექტივაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნება. პირველ ეტაპზე ამ პრობლემების მოგვარებას სახელმწიფოსგან დიდი ბიძგის მიცემა სჭირდება. 2018 წელს საქმიან ტურიზმს ბაზრის 8% ეჭირა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს სეგმენტი მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თამარ ბერიძე, MICE ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, 2017.
2. საქმიანი ტურიზმის განვითარების სტრატეგია, 2018.

## Mice Tourism in Georgia – challenges and perspectives

***ketevan Kajaia, assistant professor***
***Georgian Technical University***

**Summary**

Globalization of world economy and intensification of business, scientific and cultural connections related to it made tourism one of leading and most dynamically developing trend in the world, which make possible to recognize it as economical phenomena of XX century. For today, it can be said, that this field is one of the main priorities of Georgian tourism, as it is characterized with attraction of rich tourists and is known for solid incomes. In order to develop the MICE tourism, the country should meet several necessary terms: developed infrastructure, modern exhibition and congress – centers, unique culture, climate and powerful fun industry which mainly satisfies Georgia. Notwithstanding the many successful and necessary actions performed in recent times, the significant challenges stay still, without which`s settlement it`s impossible to even discuss the field perspective. The resolution of the said issue on the first stage needs a big impulse from the state. In 2018 year, the market share of MICE tourism was 8%, which indicates that this segment has just started its development.

# სამედიცინო ტურიზმის განვითარების თავისებურებები და პერსპექტივები საქართველოში

*ქობლიანიძე თამარი*
*სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“-ს ასოცირებული პროფესორი*

*ჯიბლაძე ნინო*
*სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“-ს მაგისტრანტი*

**აბსტრაქტი**

სამედიცინო ტურიზმი მთელს მსოფლიოში სწრაფადმზარდი, პოპულარული და შემოსავ-ლიანი ბიზნესის სახე გახდა. მისი განვითარებისათვის საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია,რაც განპირობებულიაქვეყანის გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებით, საკურორტო-რეკრეაციული რესურსებით, დიდი სამედიცინო ტრადიციებით,ჯანდაცვის განვითარებული სისტემითა და მისაღები საფასო სტრატეგიებით. ყოველივე ეს კი კონკურენტულ უპირატესობას გვაძლევს ბევრ ქვეყანასთან მიმართებაში, მათ შორის სამედიცინო ტურიზმის დარგში მოწინავე პოზიციებზე მყოფ ქვეყნებთანაც. სამედიცინო ტურიზმში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების დაინტერესება,ინვესტიციების განხორციელება, ინფრას-ტრუქტურის დახვეწა;შუამავალი რგოლების საქმიანობის გააქტიურება; სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე პოპულარიზაცია; ადამიანური კაპიტალის სწორად შერჩევა და სახელმწიფოს ხელშწყობით მათი გადამზადება.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ტურიზმი, საკურორტო-რეკრეაციული რესურსები, სამედიცინოინფრასტრუქტურა, მომსახურება, ველნესი

**ძირითადი ტექსტი**

სამედიცინო ტურიზმი სინთეზური ბიზნეს ინდუსტრიაა, რომლის განვითარებას ყველაზე მეტად ხელი შეუწყო გლობალიზაციამ. XXI ს-ის მედიცინის დევიზიც გლობალურად ჟღერს: "პაციენტები საზღვრებს გარეშე!" სამედიცინო ტურიზმი ეს არა მხოლოდ მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით მოგზაურობაა, არამედ ეკონომიკური საქმიანობაცაა, რომელიც მინიმუმ ეკონომიკის 2 სექტორის - ტურიზმისა და მედიცინის გაერთიანებას გულისხმობს.[1]

სამედიცინო ტურიზმის დეფინიცია მეცნიერთა შორის საკმაოდ საკამათოა. მთლიანობაში, იგი წარმოადგენს ადამიანის საცხოვრებელი ადგილის გარეთ მოგზაურობას სამედიცინო მკურნალობის, გამოკვლევის ან თერაპიული მომსახურების მიღების მიზანით, რომლის დროსაც ტურისტები სარგებლობენ დანიშნულების ადგილის ინფრასტრუქტურით, ღირსშესანიშნაობებით და ობიექტებით/სერვისებით[2]. არსებობს სამედიცინო ტურიზმის სხვადასხვა განმარტებები, მაგრამ მათი უმრავლესობით იგი განისაზღვრება, როგორც ჯანმრთელობის ტურიზმი ველნეს/გამაჯანსაღებელ ტურიზმთან ერთად[3].

ედვარდ კელი აღნიშნავს, რომ სამედიცინო ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოგზაურობას, რათა მიიღონ მკურნალობის ზოგიერთი ფორმა. ამასთანავე, მკურნალობა შეიძლება მოიცავდეს სამედიცინო მომსახურებების მთელ სპექტრს, თუცა მათგან ყველაზე გავრცელებულია სტომატოლოგიური დახმარება, კოსმეტიკური ქირურგია, გეგმიური ქირურგია და ფერტილობა-უშვილობის მკურნალობა[4], რომელსაც, არაოფიციალური წყაროებით, ხშირად მიმართავენ ჩვენს ქვეყანაში უცხოელი ტურისტები.

ქართველი მეცნიერი მას განსაზვრავს, როგორც „პროცესს, რომლის დროსაც პაციენტები

---

[1]Florența l, Gabriela ȚIGU 2017 Medical tourism market trends - an exploratory researchhttps://www.researchgate.net/publication/319328898
[2]Smith M., Puczko L., (2014). *Health, Tourism and Hospitality. Spas, Wellness and Medical Travel*, Routledge, London and New York.
[3]Florența l, Gabriela ȚIGU 2017 Medical tourism market trends - an exploratory researchhttps://www.researchgate.net/publication/319328898
[4]Edward Kelley, WHO Patient Safety Programme 02 October 2013

მიემგზავრებიან სხვა დანიშნულების ადგილებში სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით. ეს შეიძლება იყოს როგორც ქვეყნის შიგნით გადაადგილება, აგრეთვე საზღვრების გადაკვეთა, სწორედ ამიტომ ახდენენ დიფერენციას ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ სამედიცინო ტურიზმის ტიპებად“.[1]

აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა სამედიცინო მომსახურების განვითარება ტელემედიცინის სახით; ამას გარდა, მნიშვნელოვანია კვალიფიცირებული სამედიცინო კადრი, რომლებიც საკუთარი პროფესიის განვითარებისთვის მუდმივად მოგზაურობს.

ხშირად ხდება როდესაც ერთმანეთისაგან ასხვავებენ სამედიცინო ტურიზმსა და სამკურნალო ტურიზმს, უკანასკნელში კი მოიაზრებენ კურორტების გამოყენებას მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად. თუმცა სამედიცინო ტურიზმის მიზანიც მკურნალობაა; ზემოაღნიშნული დეფინიციების შეჯამებით კი, სწორი იქნება, თუ სამედიცინო ტურიზმის ქვეშ მოვიაზრებთ სამკურნალო ტურიზმს, რეაბილიტაციას და პრევენციას/გაჯანსაღებას. ქვემოთ, ჩვენს მიერ სქემატურადაა გადმოცმული სამედიცინო ტურიზმის შინაარსობრივი განმარტება (იხ. სქემა1).

**სქემა №1.**

**სამედიცინო ტურიზმის არსი**




***წყარო:*** *სქემა შემუშავებულია ავტორთა მიერ*

Global Wellness Institute -ის 2017 წანგარიშის მიხედვით, გამაჯანსაღებელი ტურიზმი მთლიანი ეკონომიკური გამოშვების 5%-ს შეადგენს და ზრდის უფრო სწრაფი ტემპებით ხასიათდება ვიდრე, ზოგადად, ტურიზმი. ხოლო გამაჯანსაღებელი ინდუსტრია ჯანმრთელობისთვის გაწეული ხარჯების ნახევარს წარმოადგენს. გამაჯანსაღებელი ტურიზმი ასოცირდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კეთილდღეობის შესანარჩნებლად ან გასაუმჯობესებლად მოგზაურობასთან. GWI-ს შეფასებით, 2015 წელს გამაჯანსაღებელი ტურიზმის ხარჯებმა 563,2 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 2013 წელთან შედარებით 6,8%-იანი ზრდაა, მაშინ, როცა ზოგადად ტურიზმზე გაწეული ხარჯები მხოლოდ 3,4-ით გაიზარდა. იმავე ანგარიშის შეფასებით, გამაჯანსაღებელი მიზნით მოგზაური ტურისტები უფრო შეძლებული ფენიდან არიან და უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე ჩვეულებრივი ტურისტები. გამაჯანსაღებელი ტურიზმის ხარჯები მთლიანად ტურიზმის ხარჯების 16%-ს წარმოადგენს.[2]

სამედიცინო ტურიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალებია[3]: საზღვარგარეთ ანალოგიური სერვისის დაბალი ღირებულება, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები, მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარება, დროის ფაქტორი (მკურნალობის ხანგრძლივი ლოდინი საკუთარ ქვეყანაში), საკუთარ ქვეყანაში საჭირო სერვისის არ არსებობა. ასევე, მნიშვნელოვანია მოგზაურობისა და მკურნალობის შეთავსება.

---

[1]ვერულავა, თ. სამედიცინო ტურიზმი და საქართველო: პრობლემების სპეციფიკა და რეკომენდაციები. http://eprints.iliauni.edu.ge

[2]http://eugeorgia.info/ka/article/678/imistvis-rom-qartuli-samkurnalo-kurortebis-msoflio-cnobadoba-gaizardos-saxelmwifo-fuls-praqtikulad-ar-xarjavs-/

[3]http://www2.unwto.org/

სამედიცინო ტურიზმის მომხმარებლები სამედიცინო დახმარების ხარისხთან ერთად ყურადღებას აქცევენ მის ხელმისაწვდომობასა და ფასს[1]. სწორედ ფასმა განაპირობა, რომ სამედიცინო მომსახურების მისაღებად განვითარებული ქვეყნების მაცხოვრებლები უფრო და უფრო დიდი ინტენსივობით მიმართავენ განვითარებად ქვეყნებს; საილუსტრაციოდ მოგვყავს მკურნალობის ფასები სხვადასხვა ქვეყანაში (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1**

**სამედიცინო ტურიზმის მომსახურების ფასები (აშშ დოლარებში)**

| პროცედურა | აშშ | ინდოეთი | ტაილანდი | სინგაპური | მალაიზია | მექსიკა | პოლონეთი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კორონარული შუნტირება | 11300 | 10000 | 13000 | 20000 | 9000 | 3250 | 7140 |
| გულის სარქველის პროტეზირება | 150000 | 9500 | 11000 | 13000 | 9000 | 18000 | 9520 |
| ანგიოპლასტიკა | 47000 | 11000 | 10000 | 13000 | 11000 | 15000 | 7300 |
| მენჯ-ბარძაყის სახსრის პროტეზირება | 47000 | 9000 | 12000 | 11000 | 10000 | 173000 | 6120 |
| მუხლის სახსრის პროტეზირება | 48000 | 8500 | 10000 | 13000 | 8000 | 14650 | 6375 |

*წყარო: Kelley, E. (2013). Medical Tourism. World Health Organization.*[2]

საქართველოს მოსახლეობისთვის კი სამედიცინო ტურიზმის მთავარი დეტერმინანტი უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარების მიღების - დიაგოსტიკისა და მკურნალობის მოლოდინია.

თანამედროვე პირობებში მოგზაურების უმრავლესობას დროის დეფიციტის გამო რამდენიმე მომსახურება ერთდროულად მიღება სურს - იზრუნოს გაჯანსაღებაზეც და, ამასთანავე, იმოგზაუროს და დანიშნულების ადგილის ღირსშესანიშნაობები დაათვალიეროს. ამ გამოწვევას შესანიშნავად პასუხობს ჩვენი ქვეყანა, რომელსაც უდიდესი ტურისტული (ათასობით ისტორიულ-კულტურული ძეგლი, მუზეუმები, სასტუმროები და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა) და რეკრეაციული პოტენციალი (იხ. დიაგრამა№1) გააჩნია.

განსაკუთრებით აღვნიშნავთ საკურორტო-რეკრეაციულ რესურსებს (102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი), რომელთა გამოყენებაც აქტუალურია სხვადასხვა დაავადებების პრევენციისათვის და სამკურნალოდ; ხშირად საქართველოში საკურორტო ნაგებობები წარმოდგენენ ჩვენს კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას (თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, ბორჯომსა და წყალტუბოში რამოდენიმე სასტუმრო-სანატორიუმი,) ან მდებარეობენ კულტურული და ბუნების ძეგლებისა თუ დაცული ტერიტორიების გვერდით; ეს კი იმ ტურისტების მოზიდვის კიდევ ერთი ხიბლია, რომელთაც სურთ მკურნალობის შეთავსება დასვენებასთან.

მიუხედავად ჩვენი რეკრეაციული სიმდიდრისა, მათი მხოლოდ მცირე ნაწილია განვითარებული და შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორჯომი. საირმე და წყალტუბო ახლად რეაბილიტირებული კურორტებია, სადაც სამუშაოები ეხლაც მიმდინარეობს. ქართული კურორტების უდიდესი ნაწილი სრულიად მოშლილია და თავის უნიკალურ პოტენციალს ვერ იყენებს; აღსანიშნავია, რომ სპა მომსახურება ჩვენთან 3-4-ჯერ იაფია, ვიდრე ევროპაში (მაგ. ჩეხეთში)

[1]გურგენიძე, პ. ხარჯეფექტური ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის მნიშვნელობა სამედიცინო ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში. 2012. http://european.ge/
[2]Edward Kelley, WHO Patient Safety Programme 02 October 2013

**დიაგრამა №1**




**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს კურორტების ნუსხიდან http://gov.ge/files/382_43172_566453_428-1.pdf

ასევე, გამოვყოფთ გოგორდის წყლების აბაზანებისა და მისი სამკურნალო თვისებებით ცნობილ ბალნეოლოგიურ კურორტს "თბილისი-სპა"[1], რომელიც XX ს-ის 30-იან წწ იქნა შექმნილი კურორტოლოგ მიხეილ ზანდუკელის ინიციატივით. 1998 წელს შენობას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. კურორტი გვთავაზობს უნიკალურ ბუნებრივ გამაჯანსაღებელ ფაქტორებს: მინერალური გოგირდოვანი წყლის აბაზანებს, ვულკანური წარმოშობის საკურნალო ტალახის აპლიკაციებს, ფიზიოთერაპიას, სხვადასხვა სახის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ მასაჟს; ასევე, მკურნალობას და რეაბილიტაციას ბუნებრივი, ფიზიკური ფაქტორებისა და მედიკამენტების შერწყმით კვალიფიციური სპეციალისტების მეთვალყურეობით. ცენტრში ფუნქციონირებს პოლიკლინიკა, სადაც კვალიფიციური და გამოცდილი სამედიცინო პერსონალი ემსახურება ვიზიტორებს. "თბილისი-სპა" 2011 წელს „საუკეთესო ტურისტულ გამაჯანსაღებელ საწარმოდ" დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ კურორტების ის მცირე ნაწილი, რომელსაც ინფრასტრუქტურული პრობლემები არ აქვს, პოტენციურ ტურისტულ ბაზრებზე ინფორმაციის ნაკლებობას უჩივის; შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თავად ცდილობენ ნდობისა და ცნობადობის გაზრდას, თუჯმცა ქვეყნის გამაჯანსაღებელ და სპა კურორტებზე მაღალშემოსავლიანი ტურისტების მოზიდვას საერთაშრისო დონის კვლევები მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობდა, "ტურისტები ევროპის ქვეყნებიდან გამაჯანსაღებელი ტურიზმის მიმართულებით ჯერ არ გვყავს, რადგან მათი ნდობა არ გვაქვს. სამკურნალო და გამაჯანსაღებელი წყლების ბოლო კვლევა ჩატარდა 1961 წელს საბჭოთა კავშირის მიერ, რომელსაც ევროპაში არ ენდობიან. კერძო სექტორმა და სახელმწიფომ ერთად უნდა იმუშაოს, რათა კვლევა დაიდოს ისეთი ორგანიზაციის მიერ, რომელსაც საერთაშორისო დონეზე ექნება ნდობა" - აცხადებს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის თავმჯდომარე შალვა ალავერდაშვილი.[2]

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია შემოსული ტურისტების კვლევისას მათი მიზნებში გამოყოფს მკურნალობა-გაჯანსაღებას (იხ. დიაგრამა №2).

[1]http://balneo.ge/
[2]http://eugeorgia.info/ka/article/678/imistvis-rom-qartuli-samkurnalo-kurortebis-msoflio-cnobadoba-gaizardos-saxelmwifo-fuls-praqtikulad-ar-xarjavs-/

**დიაგრამა №2**




**წყარო:** დიაგრამა შედგენილ;ია ჩვენს მიერ საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით[1]

საქართველოს„ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2025“ -ში რეკრეაციულ გამაჯანსაღებელ ტურიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ ამ სფეროთი დაინტერესებული ტურისტების დიდი ზრდა ჯერ არ შეინიშნება. 2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 7.9 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,099.1 ლარი შეადგინა[2]. აქედან გამომდინარე, 2018 წელს სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით საერთაშორისო ვიზიტორების საშუალო დანახარჯი 213,3 მილიონი ლარის ტოლია, თუმცა სამედიცინო ტურიზმი გაცილებით მეტი დანახარჯებით ხასიათდება.

მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარე-ბის შემაფერხებელი ფაქტორები :

- საკურორტო ზონების მხოლოდ მცირე ნაწილის რეაბილიტირება
- ხშირ შემთხვევაში მოძველებული და ამორტიზირებული ინფრასტრუქტურა
- სამედიცინო ტურიზმითჰოსპიტალური სექტორის სუსტიდაინტერესება
- ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით სამედიცინო ტურიზმის პოპულარიზაციის ნაკლებობა

გარდა ამ პრობლემებისა, აღსანიშნავია ჩვენი მოსახლეობის სხვა ქვეყნებში გადადაგილება სამედიცინო მომსახურების მისაღებად: თურქეთი, ისრაელი, გერმანია.[3] თანაც, არა სტომატოლო-გიური ან კოსმეტიკური ქირურგიული მომსახურების მისაღებად, არამედ დიაგნოსტიკისა და მძიმე დავადებების სამკურნლაოდ/სარეაბილიტაციოდ. ამიტომ ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტუ-რულ მოწესრიგებასთან ერთად მნიშვნელოვანია შესაბამისი ცოდნის მისაღებად კადრების გადამზადების პროცესისათვის, მსოფლიო სამედიცინო ცენტრებში სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ხელის შეწყობა, ინოვაციებზე მათი ორიენტირება. ეს უზრუნველ-ყოფს ნაკლები ხარჯებით მსგავსი სერვისების მიღების შესძლებლობას ჩვენსავე ქვეყანაში, რასაც მულტიპლიკაციური ეფექტიც ექნება. აღსანიშნავია, რომ თურქეთმა, რომელიც სამედიცინო ტურიზმის მოწინავე პოზიციებზე დგას და ჩვენი მოსახლეობისთვის მკურნალობის მომსახურების-თვის მიმზიდველი მიმართულებაა, ბოლო 5 წლის განმავლობაში სამედიცინო სექტორში 30 მლრდ დოლარის ინვესტიცია განახორციელა პროფესიონალთა გადამზადების და ტექნოლოგიური

[1]www.gnta.ge
[2]www.gnta.ge
[3] http://www.ratiani.ge/

გადაიარაღების კუთხით[1]. საქართველოში ერთ-ერთ პირველი ამ მიმართულებით ისევ ბორჯომი აღმოჩნდა („ბორჯომი ლიკანი“)[2]

დღეს ჯანდაცვა მსოფლიოში მზარდი კონკურენტული ბაზარია; სადაც მეტოქეობას ერთმანეთს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებიც უწევენ. თუ ჩვენ ფეხს ვერ ავუწყობთ გლობა-ლიზაციისა და ინოვაციის პროცესებს, ვერ შევიმეცნებთ მენეჯმენტის, მარკეტინგისა და პიარის აქტუალობასამ სფეროში, მსოფლიო ბაზარს გამოვეთიშებით. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ა)ვინ არიან ჩვენი კონკურენტები, ბ)წარმატების რა ფაქტორები და კონკურენტუნარიანობა გვაქვს მათთან მიმართებაში; გ)ვინ არიან ჩვენი პროდუქტის აქტიური ან პოტენციური მომხმარებლები. ჯეროვნად უნდა ვიმუშავოთ იმ ქვეყნების ტურისტების სამედიცინო მოთხოვნების სრულყოფილად დაკმაყოფილებაზე, რომლებიც დღეს საქართველოს სამედიცინო ტურიზმის რესურსების მთავარი მომხმარებლებია არიან. 2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 7,203,350 შეადგინა. მათი უმრავლესობა 77.3% მეზობელი ქვეყნებიდან იყო (აზერბაიჯანი- 1,424,610, რუსეთი 1,404,757, სომხეთი 1,268,886 და თურქეთი 1,098,555 ვიზიტით[3]). ასევე, ფართომასშტაბიანი კამპანია უნდა გავმართოთ ჩვენი საკურორტო და ველნეს ტურიზმის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზა-ციისათვის, რათა მოვიზიდოთ უცხოელი ინვესტორები და მაღალშემოსავლიანი ტურისტები.

სქემა №2




***წყარო:*** *სქემა შედგენილია ჩვენს მიერ*

სამედიცნო ტურიზმის განვითარებისთვის მთავარი არაა მხოლოდ მომხმარებლები (პაციენტები და/ან რეკრეანტები) და შესაბამისი სერვისების მიმწოდებლები; მისი წარმატებით ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია შუამავალი რგოლების არსებობაც (იხ.სქემა №2), რომელთა შორის სპეციალიზებულ ტურისტულ სააგენტოებსა და ორგანიზაციებს გამოვყოფდით. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მაშტაბით ფუნქციონირებს რამოდენიმე შუამავალი რგოლი (რომლებიც, ძირითადად, ემსახურებიან ქართველი პაციენტების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაყვანას და არა პირიქით) და სტაციონარული დაწესებულება, რომელთაც კონკრეტულად გამოკვეთილი აქვთ სამედიცინო ტურიზმის მიმართულება[4,5,6] .

**დასკვნა**

სამედიცინო ტურიზმი ეკონომიკური საქმიანობაცაა, რომელიც მინიმუმ ეკონომიკის 2 სექტორის - ტურიზმისა და მედიცინის გაერთიანებას გულისხმობს. სამედიცინო ტურიზმი მოიცავს

---

[1] https://bpi.ge/samedicino-turizmis-perspeqtivebi-turqeti-gaaqtiurebas-gegmavs/?fbclid=IwAR3_3RkDlASiTZ1TYzWwgoOlpTf6Ps40XDjr9GRy9nFjN8X6tM-Kzpe6XAE

[2] სამედიცინო ტურიზმის განვითარების მიზნით საქართველოში პირველად, სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“ აღდგენითი თერაპიისთვის რევოლუციური ტექნოლოგიები დაინერგება“https://commersant.ge/

[3] www.gnta.ge

[4] www.ratiani.ge

[5] https://bpi.ge/samedicino-turizmis-perspeqtivebi-turqeti-gaaqtiurebas-gegmavs/?fbclid=IwAR3_3RkDlASiTZ1TYzWwgoOlpTf6Ps40XDjr9GRy9nFjN8X6tM-Kzpe6XAE

[6] https://evex.ge/ka/medical-tourism

მკურნალობას, რეაბილიტაციას და პრევენციას - ველნეს / გამაჯანსაღებელ ტურიზმს. სამედიცინო ტურიზმის განვითარების ტენდენციები უკავშირდება სამედიცინო მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტით ვაჭრობას.

სამედიცინო მომსახურების მისაღებად განვითარებული ქვეყნების მაცხოვრებლები უფრო და უფრო დიდი ინტენსივობით მიმართავენ განვითარებად ქვეყნებს; საქართველომ უნდა განახორციელოს ინვესტიციები სამედიცინო სექტორში ტექნოლოგიური გადაიარაღების, პროფესიონალთა გადამზადების კუთხით და კონკურენტუნარიანი სამედიცინო ტურისტული პროდუქტის პრომოუშენისათვის. საქართველოში შეინიშნება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების გარკვეული ძვრები და ხელშეწყობის მზაობა; გვაქვს უნიკალური რეკრეაციული რესურსები და მაღალშემოსავლიანი უცხოელი ტურისტების მომლოდინე ინფრასტრუქტურულად გამართული რამოდენიმე კურორტი; მეტნაკლებად გამართული ჯანდაცვის სისტემა, რომელიც მზადაა მიიღოს ტურისტები განვითარებული ქვეყნებიდან სტომატოლოგიური მომსახურების, პლასტიკური ქირურგიისა და ფერტილობის მკურნალობისათვის, მაგრამ ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო ასპარეზზე დაბალია. 2013 წლიდან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საერთაშორისო ტურისტების მოგზაურობის მიზნების კვლევისას გამოყოფს მკურნალობა-გაჯანსაღებას, თუმცა მისი %-ული წილი 2-დან 2.7-მდე მერყეობს და მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით არ გამოირჩევა. ამასთანავე, ტურისტთა უდიდესი ნაწილი მეზობელ ქვეყნებზე მოდის.

ჩვენი გამოთვლებით, 2018 წელს სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით საერთაშორისო ვიზიტორების საშუალო დანახარჯი 213,3 მილიონი ლარი შეადგინა, თუმცა, ვფიქრობთ, იგი გაცილებით მაღალია და ამ გასაშუალებულ მაჩვენებლში არაა ასახული მკურანლობისა და გაჯანსაღების მომსახურების რეალური დანახარჯები.

სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს შორისაა საკურორტო ზონების მხოლოდ მცირე ნაწილის რეაბილიტირება, სამედიცინო ტურიზმით ჰოსპიტალური სექტორის სუსტი დაინტერესება, პრობლემები სამედიცინო ტურიზმის ნდობის ამაღლებასა და პოპულარიზაციაში, სუსტი შუამავალი რგოლები (რომლებიც, ძირითადად, ემსახურებიან ქართველი პაციენტების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაყვანას) და ა. შ.

სამედიცინო ტურიზმი განვითარების შესაძლებლობაა და მისი ხელშეწყობა მნიშვნელოვანი წინ გადაგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გურგენიძე, პ. ხარჯეფექტური ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის მნიშვნელობა სამედიცინო ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში. 2012. http://european.ge/
2. ვერულავა, თ. სამედიცინო ტურიზმი და საქართველო: პრობლემების სპეციფიკა და რეკომენდაციები. http://eprints.iliauni.edu.ge
3. **სამედიცინო ტურიზმის განვითარების მიზნით საქართველოში პირველად, სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში" აღდგენითი თერაპიისთვის რევოლუციური ტექნოლოგიები დაინერგება"https://commersant.ge/**
4. სამედიცინო ტურიზმის პერსპექტივები: თურქეთი გააქტიურებას გეგმავს? https://bpi.ge/samedicino-turizmis-perspeqtivebi-turqeti-gaaqtiurebas-gegmavs/?fbclid=IwAR3_3RkDlASiTZ1TYzWwgoOlpTf6Ps40XDjr9GRy9nFjN8X6tM-Kzpe6XAE
5. Florența l, Gabriela ȚIGU 2017 Medical tourism market trends - an exploratory researchhttps://www.researchgate.net/publication/319328898
6. Smith M., Puczko L., (2014). *Health, Tourism and Hospitality. Spas, Wellness and Medical Travel*, Routledge, London and New York.
7. Edward Kelley, WHO Patient Safety Programme 02 October 2013

8. http://eugeorgia.info/ka/article/678/imistvis-rom-qartuli-samkurnalo-kurortebis-msoflio-cnobadoba-gaizardos-saxelmwifo-fuls-praqtikulad-ar-xarjavs-/
9. http://www2.unwto.org/
10. http://balneo.ge/
11. http://eugeorgia.info/ka/article/678/imistvis-rom-qartuli-samkurnalo-kurortebis-msoflio-cnobadoba-gaizardos-saxelmwifo-fuls-praqtikulad-ar-xarjavs-/
12. www.gnta.ge
13. http://www.ratiani.ge/
14. https://evex.ge/ka/medical-tourism


## Features and prospects of Georgian medical tourism development


***Tamar Koblianidze, asoc. Professor,***
***Teaching University Geomedi***

***Nino Djibladze, MBA student,***
***Teaching University Geomedi***


### Summary


Medical tourism has become the fastest growing, popular and profitable business in the world. Georgia has great potential for its development, However, in this field, the factors that are hindering our country are the following: rehabilitation of only a small part of the resort zones, the lack of interest with medical tourism, the problems in medical tourism popularization. It is important to improve the infrastructure, activate the mediator chains, promoting medical tourism at the international and local level. However, this cannot be done without the proper selection of human resources and the support of the government, since medical tourism is economic activity, which combines at least 2 sectors of economy - tourism and medicine. It includes treatment, rehabilitation and prevention and recreational tourism. The development of medical tourism will play an important role in the country's economic well-being.

# ინოვაციების როლი რეკრეაციული ტურიზმის მენეჯმენტში

*ქუთათელაძე რუსუდანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ბახტაძე არმაზი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ტურიზმი, როგორც ეკონომიკური მოვლენა, დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობასთან, წარმოებასა და მომსახურების გაწევასთან, როგორც სოციალური მოვლენა - ტურიზმი განუყოფელია მომსახურებაზე მოთხოვნისგან, უკავშირდება ადამიანთა მოთხოვნილებებს, მათ დასვენებას, შემოსავლებს, ცხოვრების წესს. ტურიზმი არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით იძლევა მნიშვნელოვან შემოსავალს ქვეყნისათვის, არამედ, იმავდროულად, დამატებით კიდევ არაერთ დადებით შედეგს განაპირობებს, მათ შორისაა ინფრასტრუქტურული განვითარება, ტურიზმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ბიზნესის სხვადასხვა სფეროს განვითარება და შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმების ზრდა. ტურიზმი აძლევს ბიძგს ქვეყნისა და რეგიონის სამეურნეო საქმიანობას, ასტიმულირებს მომსახურების სფეროს განვითარებას, ადიდებს მოთხოვნას გარკვეული რეგიონის საქონელსა და მომსახურებაზე, საქონელბრუნვაზე.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ინოვაციები, რეკრეაციული ტურიზმი, მენეჯმენტი.

**ძირითადი ტექსტი**

თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის წარმოშობის პირველ წყაროდ მაღალგანვითარებული ქვეყნები მიიჩნევა, სადაც სამუშაო დროის წლიურ, კალენდარულ რეჟიმს გამოეყო საშვებულებო და დასვენების დრო. განმსაზღვრელი მათ შორის გახდა ომის შემდგომი მსოფლიოს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები და, შესაბამისად, მოსახლეობის ფართო ფენების შემოსავლებისა და თავისუფალი დროის ზრდა. ტექნიკური სიახლეები განხორციელდა გადაადგილების ყველა სახეობაში. მგზავრობის პერიოდში მგზავრებისთვის კომფორტის შექმნისთვის აუცილებელი მოწყობილობები, სანავიგაციო დანადგარები, ორთქლის ძრავა ახალი ეპოქის მნიშვნელოვანი ნივთები გახდა. განვითარდა და სრულყოფილ იქნა ტრანსპორტის პრაქტიკულად ყველა სახეობა. ტურიზმი, როგორც მომსახურების ინდუსტრია და საერთაშორისო ბიზნესის სახეობა მსოფლიო მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ზერკეტია.მაღალი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის გამო მას ეკონომიკური ფენომენის სტატუსი აქვს მინიჭებული. XXI საუკუნეში ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებაში. იგი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია. ტურიზმის სწრაფი ტემპით განვითარება პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოთა ურთიერთობების სოციალურ, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ სფეროებთან .

ტურიზმი გარკვეულ გავლენას ახდენს არა მარტო რეგიონზე, რომელშიც ვითარდება, არამედ ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სფეროებზეც. ტურიზმი, როგორც ეკონომიკური მოვლენა, გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობას და მომსახურების გაწევას. ხოლო როგორც სოციალური მოვლენა - ტურიზმი - უკავშირდება ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათი დასვენების ორგანიზებას, შემოსავლებს, ცხოვრების წესს, გართობას და ა. შ.

ტურიზმს მნიშვნელოვანი პირდაპირი შემოსავალი მოაქვს ქვეყნისათვის, იმავდროულად, დამატებით განაპირობებს ქვეყნის/რეგიონის ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ტურიზმის ინდუსტრიასთან ასოცირებული ბიზნესის განვითარებას და, შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმების ზრდას. ის სტიმულს აძლევს ქვეყნის/რეგიონის დამახასიათებელი და მისი წარმოჩენისათვის სასარგებლო ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული ტრადიციების, სახალხო რეწვის

შენარჩუნებასა და განვითარებას, აძლიერებს ქვეყნაში ინვესტიციების მოზიდვას, მეგობრული კავშირების ჩამოყალიბებას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას საერთაშორისო არენაზე.

ცნება ინოვაცია პირველად ეკონომიკურ თეორიაში ავსტრიელმა ეკონომისტმა შუმპეტერმა შემოიტანა. ატარებდა რა კვლევებს წარმოების პროცესის განახლებისთვის და ახალი საქონლის და მართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ხარჯზე, თავის ნაშრომში ,,ეკონომიკური განვითარების თეორია" განსაზღვრავს ინოვაციას- როგორც ნებისმიერი ცვლილება, ახალი საქონლის გამოყენების და დანერგვის მიზნით. [1]

„სიახლეების შემოტანა ეს არის მეწარმეთა განსაკუთრებული ინსტრუმენტი - საშუალება, რომლის დახმარებით ისინი გამოიყენებენ ცვლილებებს, როგორც ბიზნესის და მომსახურების ახალი სახეობის განხორციელების შანსს. [2]

უკანასკნელ პერიოდში ინოვაციებს სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. ჩნდება დიდი რაოდენობით სამეცნიერო და სამეცნიერო მეთოდური ნაშრომები ინოვა-ციისა და ინოვაციური საქმიანობების სხვადასხვა ასპექტებში. ეს ნაშრომები ეძღვნება ინოვაციურ მენეჯმენტს, ინოვაციებს სამეწარმეო საქმიანობაში, ინოვაციებს ტუროპერატორების საქმიანობისას და ტურიზმის დარგის ორგანიზაციებში მმართველობითი საქმიანობის ინოვაციურ ასპექტებს.

საქმიანობა, რომელიც მიმართულია სიახლეების პრაქტიკაში დანერგვისკენ არის სხვა არაფერი თუ არა ინოვაციური საქმიანობა. ამიტომ ინოვაციების არსის შემდგომი განსაზღვრებისას საფუძვლად უნდა ავიღოთ დებულება, რომლის თანახმადაც ინოვაციების ქვეშ თანამედროვე ეკონომიკური თეორია გულისხმობს ცვლილებებს, რომლებიც პირველად არის შემუშავებული და მოაქვთ ეკონომიკური სარგებელი, საწარმოო ან სხვა სახის დადებითი შედეგებით. [3] დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ სფეროში ხორციელდება ინოვაციები უნდა ხა-სიათდებოდეს შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

1. ისინი ყოველთვის დაკავშირებული არიან ორიგინალური გადაწყვეტილებების პრაქტიკულ გამოყენებასთან.
2. ისინი იძლევიან კონკრეტულ ეკონომიკურ, სოციალურ ან სხვა სახის სარგებელს, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების შეღწევას და გავრცელებას სხვადასხვა მიმართულებით.
3. გულისხმობს კონკრეტულ ორგანიზაციაში მის გამოყენებას, რაც დაკავშირებულია შემოქმედებით მიდგომასა და განსაზღვრულ რისკთან.

,,უნდა ითქვას რომ ინოვაციები ისევე მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისთვის, როგორც, მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისთვის, რადგან ეს ორი უკანასკნელი თავის მხრივ შეიძლება ტურიზმის ინდუსტრიის მოტივატორადაც ჩაითვალოს, ხოლო თავად ინოვაციები კი სახელმწიფოს რეგულაციების ინსტრუმენტი გახდეს. საფრანგეთმა მას შემდეგ რაც დანერგა ინოვაციური მიდგომები სხვადასხვა დარგებში, როგორიცაა საკვების წარმოება, მეღვინეობა თუ მსუბუქი მრეწველობა, მას შემდეგ ერთი ორად გაიზარდა ტურიზმის ინდუსტრიის პოტენციალი, რადგან გაჩნდა მზარდი ტურისტული ნაკადი საფრანგეთის მიმართულებით რომელიც წითელი ღვინის, კონიაკის, ტანსაცმლის, სასეირნო კატარღების წარმოებისა თუ სხვათა ინტერესით იყო გამოწვეული. ინოვაციები და ტექნოლოგიების დახვეწა ქვეყანას კონკურენტუნარიანს ხდის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში და აღნიშნულის გამოყენებას რაღა თქმა უნდა ხელს სახელმწიფო უწყობს. [4]

ტურიზმის სფეროში სტრატეგიული მართვისადმი კონცეპტუალური მიდგომა მოწოდებულია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სტრატეგიის ფორმირება და ინოვაციური პროცესების ტაქტიკის ფორმირება რეგიონის ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში. ინოვაციურ რეგიონულ

---

[1] Шумпетер Й.А. Теория экономического развития. - М.: 1983.
[2] Друкер П. Инновации и предпринимательство. - М., 1992.
[3] Крутик А.Б., Решетова М.В., Никольская Е.Г. Инновации и инвестиции в предпринимательстве: Учебное пособие для вузов/ Под ред. А.Б. Крутика. – СПб.: издательство ПГЛУ им. А.И. Герцена. 2008. - 927с.
[4] Guerin A-J., ,,The french initiative for innovation in tourism: how to rejuvenate supply and increase the productivity of the tourism sector?'' French 2014. 167-168

სტრატეგიაში განისაზღვრება ტურისტული საქმიანობის მიმართულების და ინვესტიციების ფორმის პრიორიტეტები ინოვაციებში, ინოვაციური რესურსების ფორმირების წყარო და ხასიათი და აგრეთვე ეტაპების თანმიმდევრობა, რომელიც განსაზღვრავს ტურისტული საწარმოების ინოვაციურ აქტივობას პერსპექტიულ პერიოდში.

მართვისადმი სისტემური მიდგომა ქმნის საწარმოო საბაზრო ქცევის იდეოლოგიას, რომლის გამოყენებითაც სრული ზუსტი და სანდო პარამეტრებით შეიძლება მეცნიერულად განზოგადდეს ეკონომიკურად მიზანშეწონილი გადაწყვეტილება და მიწოდებული იქნას გზები მისი პრაქტიკული რეალიზაციისთვის. საპროექტო მიდგომა მართვის მიმართ განიხილება, როგორც ურთიერთდაკავშირებული ინოვაციური პროექტების ერთიანობა იმ საქმიანობის მნიშვნელობის და წილის ზრდა, რომელიც დაკავშირებულია პროექტების განხორციელებასთან. მნიშვნელოვანი მათ შორის არის რეგულირებიდან და კონცენტრაციიდან გადასვლა კოორდინაციასა და განაწილებითობაზე. ცალკეული ეტაპების ტურისტული პროდუქტების და მომსახურების სასიცოცხლო ციკლის შემცირება.

,,ინოვაციების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ბიზნესის განვითარება. ნებისმიერი კომპანია ყურადღებას ამახვილებს შესაბამის ხედვასა და სხვა სტრატეგიულ დებულე-ბებზე. თანამედროვე ცვალებადი ბიზნესისი სამყაროში ინოვაცია ხშირად გარდაუვლად

მიიჩნევა: თუ არ შევცვლით ჩვენ პროდუქციას და მომსახურებას , მათი წარმოებისა და მიწოდების ფორმას, ჩვენ ვერ შევძლებთ არსებობას!“ [1]

ინოვაციების არსებობა დასახული მიზნის მიღწევაში ყოველთვის მნიშვნელოვანია. ხშირად ეს შეიძლება სახელმწიფოს მიერ იქამდე დადგენილ ნორმებსა და წესებსაც ეწი-ნააღმდეგებოდეს, თუმცა ძირითადად ინოვაციების დანერგვა სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობით უნდა ხორციელდებოდეს. ინოვაციები უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი დიდი პროცესის ნაწილი, თუნდაც მაშინ როცა ზოგი ირწმუნება, რომ ინოვაცია ახალი იდეის რეალიზების დაწყების ან პრაქტიკაში დანერგვისთანავე იწყება, ზოგი კი თვლის, რომ უნდა არსებობდეს საზღვარი გამოგონებასა და ინოვაციას შორის, რომ ინოვაციამ გამოგონებისგან განსხვავებით შეიძლება პირდაპირ კომერციალიზაციასთან მიგვიყვანოს. ისეთი სახის ინოვაციები სახელმწიფო რეგულაციაში, როგორიცაა ბიზნესის წარმოების წესი, პოლიტიკა, სამუშაო ადგილების ზრდის ხერხი, ხარჯების შემცირების მექანიზმი, ახალი საბიუჯეტო სისტემა, ცალკეული ინსტიტუციანალური სისტემების დანერგვა, კომუნიკაციები, პრობლემის გადაჭრის ახალი ხერხი თუ ნებისმიერი იდეა, შეიძლება გამოყენებული იქნეს ტურიზმის ინდუსტრიის შენებისთვის

აღნიშნულ სფეროში შეიძლება გამოიყოს ოთხი ტიპის ინოვაცია, ესენია: პროდუქტიული ინოვაცია, პროცესუალური ინოვაცია, ტექნოლოგიური და მარკეტინგული“[2] რამდენადმე განსხვავებული მიდგომა ინოვაციების კლასიფიკაციისადმი აქვს ხატიაშევას. მის მიერ დამუშავებული ინოვაციების კლასიფიკაციის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამი ძირითადი ნიშნის გამოყოფას. ესენია: საბაზრო სიახლის ხარისხი, გატარების მიზეზები და ინოვაციის ობიექტი. საბაზრო სიახლის ხარისხის მიხედვით გამოყოფენ პირველად და მეორად ინოვაციებს. პირველადია ინოვაცია, რომელში პრინციპულად ახალი საქონლის და მომსახურების ბაზრისთვის დანერგილია წარმოების პროცესში მმართველობითი მეთოდები, ორგანიზაციული სტრუქტურები და მარკეტინგული მიდგომები. მეორადი ინოვაცია ეს არის სიახლეები, რომლებიც წარმოადგენენ სიახლეს მხოლოდ მათი დამნერგველი ფირმებისთვის, მაგრამ ადრე ისინი გამოყენებული იყო სხვა საწარმოების საქმიანობაში. [3]

ინოვაციები დანერგვის მიზეზების მიხედვით იყოფა ადაპტაციურ ინოვაციებად, რომლებიც

---

[1] ზერიძე რ. „ინოვაციების და სტრატეგიების რეალიზაცია-მასპინძლობის ინდუსტრიაში კონკურენტული უპირატესობის მიღწევის მთავარი ამოცანა“, IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი“, 8-9 ივნისი, ბათუმი-ტრაპიზონი 2013.

[2] Macerinskiene A., Mikaliuniene G., ,,Reculiarities of Tourism Business Innovations“, European Journal of Tourism, Hospitality and Recreation Special Issue, Polytechnic Institute of Leiria, 2014. 231-255.

[3] Хотяшева О.М. Инновационный менеджмент: Учебное пособие. - СПб.: Питер, 2010

ინერგება როგორც რეაქცია სამეწარმეო სფეროში უკვე მომხდარ ცვლილებებზე და წინმსწრები, რომლებიც ინერგება მომავალ ცვლილებებამდე. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ინოვაციების კლასიფიკაცია ობიექტთან მიმართებაში, რომლისკენაც ისინი არიან მიმართული. ამ ნიშნის მიხედვით მიზანშეწონილია გამოყოფილი იქნას ინოვაციების 4 ტიპი: პროდუქტიული ანუ საქონლური, მართველობითი, მარკეტინგული, ტექნოლოგიური. პროდუქტიული ინოვაციები ეხება ახალი სახის პროდუქტის ან მომსახურების შექმნას, მის მოდერნიზებას, რომელიც მოიცავს უკვე არსებულ საქონელსა და მომსახურებაში არსებითი ხარისხობრივი ცვლილებების შეტანას და საქონლის ან მომსახურების მოდიფიკაციას. მმართველობითი ინოვაციები მოიცავს თავის თავში კომპანიის მთელი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებას ან მისი ცალკეული ელემენტების ცვლილებას სამეურნეო საქმიანობის ოპტიმიზაციის მიზნით. ფორმები, პრინციპები, შრომის ანაზღაურების მეთოდები, აგრეთვე კორპორატიული კულტურისა და ორგანიზაციის იდეოლოგიის ახალი კონცეფციის დანერგვა და ა.შ.

მარკეტინგული ინოვაციები წარმოადგენს ახალი მეთოდების და ბაზრის შესწავლის, საქონლის და მომსახურების გაუმჯობესების ფართო სპექტრს. ტექნოლოგიური ინოვაციები ეს არის სიახლეები, რომელიც დანერგილია უშუალოდ წარმოების პროცესში.

ინოვაციების ახალი სახეების გამოყოფასთან ერთად საგნობრივ-შინაარსობრივი ნიშნით (პროდუქტიული ინოვაციები, მომსახურების ინოვაციები, საპროცესო, ტექნოლოგიური, სოციალური და საკადრო ინოვაციები) გვთავაზობენ გამოყოფილი იქნას აგრეთვე ინოვაციები გამოყენების სფეროს მიხედვით და ორგანიზაციულ- ეკონომიკური ანუ მმართველობითი ინოვაციები. [1]

ინოვაციური ბიზნესის სუბიექტების კონკურენციის რეალური უნარი შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ მათი საქმიანობის მეშვეობით, რომელიც შედგება მოქმედებათა ერთობლიობისაგან და ისინი კონკურენტულ მოქმედებებად იწოდებიან. [2]

საწარმოო ინოვაციები გვევლინება ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ფორმაში და წარმოადგენს საწარმოს წარმოებით სამეურნეო დინამიკის ძირითად ფაქტორს. მმართველობითი ინოვაციები გვთავაზობს ორგანიზაციული სტრუქტურების ფუნქციების, მართვის პროცესის ტექნოლოგიების და ორგანიზაციის მართვის სისტემის მუშაობის მეთოდების ცვლილებებს და რეალიზდება სამი ძირითადი ადაპტაციური მექანიზმის ფორმით: სტრუქტურული, ადმინისტრაციული და ინფორმაციულით.

მომსახურების სფეროში და მათ შორის ტურიზმის მომსახურებაში ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს პრინციპულად ახალი ან არსებითად წარმოებისა და წარდგენისა სრულყოფილი მეთოდები, რომელიც ეფუძნება უახლეს ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს. ტურიზმის დარგში ინოვაციების დანერგვის ძირითად მიზეზებად გვევლინება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები ტურიზმზე, მრავალი ტრადიციული ტურისტული მიმართულებების სიჭარბე, კონკურენციის გამწვავება, შემოსვლითი ტურიზმის წილის დაკარგვის საშიშროება, საკუთრი მოსახლეობის გასვლის შეზღუდვის აუცილებლობა იმ ანალოგიურ რეგიონებში, რომელიც ამ ქვეყანაშიც არსებობს, ტურიზმის ყველა შესაძლებელი ვარიანტის ჰარმონიული გაერთიანება, მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილებისთვის, მიწოდების ეკონომიკიდან მოთხოვნის ეკონომიკაზე გადასვლა. [3]

ზემოთ აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფოს ტურიზმის სფეროზე ზემოქმედების თავისებურებებიდან გამომდინარე, მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ინტერესებისა და ახალი პარამეტრების მისაღწევად, მიზანშეწონილია, გამოყოფილი იქნას ტურიზმის დარგის

---

[1] Крутик А.Б. Предпринимательство в социальной сфере.: Учебное по-собие для вузов. - СПб.: Астерион, 2005. - 550 с.

[2] ბარათაშვილი ე. ბაკაშვილი ნ. ფარესაშვილი ნ. გეჩბაია ბ. მესხიშვილი დ. „თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“, თბილისი 2011.

[3] Инновации в туризме: Учеб. пособие для студ. высш. учеб. Заведе-ний /В.С. Новиков. - М.: Издат. центр «Академия», 2010. - 208 с.

სახელმწიფო რეგულირებაში ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის შემდეგი მიმართულებები:

1. სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაცია, ფორმები და მეთოდები;
2. ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
3. აპრობირებული ტურისტული პროდუქტების ხარისხობრივი გაუმჯობესება და ახლის შემუშავება.

ტურიზმის დარგში ინოვაციური საქმიანობა დაკავშირებულია საწარმოს ტურისტული ბიზნესის განვითარებასთან და მართვის სისტემის და სტრუქტურის საკადრო პოლიტიკის რაციონალური, ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის განვითარებასთან. მარკეტინგული ინოვაციები საშუალებას იძლევა მოცული იქნას მიზნობრივი მომხმარებლების მოთხოვნილებები ან მიზიდული იქნას ახალი კლიენტები, პერიოდული სიახლეების დანერგვა ანუ პროდუქტული ინოვაციები მიმართულია ტურისტული პროდუქტების სამომხმარებლო თვისებების ცვლილებებისკენ, მისი პოზიციონირებისა და კონკურენტული უპირატესობების მიღებისკენ. [1]

ინოვაციური სისტემა განიხილება არა ადმინისტრაციული დაქვემდებარების ნიშნით, არამედ ინოვაციურ საქმიანობაში მისი კონკრეტული მონაწილეობის ნიშნით და მისი არსი განისაზღვრება სისტემური ფუნქციით, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ. საინფორმაციო და სხვა სახის რესურსების გამოყენების ხარისხის ამაღლებას.

ინოვაციებმა სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების, დაგეგმილი ღონისძიებების, დამუშავებული პროგრამების ხარისხის ამაღლება და მათ შესრულებაზე მოქმედი კონტროლი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მმართველობითი ინოვაციების ერთ-ერთი სახე არის ინოვაციური საქმიანობის ორგანოების სტრუქტურის ცვლილება და ამ ინოვაციების მიღების გამოცდილება გვიჩვენებს გამარტივებული ორგანიზაციული სტრუქტურის დანერგვის ეფექტიანობას. მართვის რგოლების საერთო შემცირებისა და ვერტიკალურიდან ჰორიზონტალურ სტრუქტურაზე გადასვლის გზით, ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის პრინციპების მკაფიო გამიჯვნით.

ტურიზმის დარგის სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებით ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო დაწესებულებები ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სტრუქტურები, რომლებიც შექმნილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ და მათზე დაკისრებულია ინოვაციური საქმიანობის ცალკეული მიმართულებები, როგორიცაა მაგალითად, მარკეტინგული საქმიანობა.

ტურიზმის დარგის სახელმწიფო რეგულირების ორგანიზებაში ინოვაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიების სამუშაო და საექსპერტო ჯგუფების საქმიანობა, რომლებიც საშუალებას იძლევა მაღალპროფესიულად და ყოველმხრივ განვიხილოთ პრობლემური ინოვაციური სიტუაციები, რათა მიღებული იქნას ოპტიმალური გადაწყვეტილებები.

სხვადასხვა გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებისა და თანამიმდევრული რეალიზაციისთვის აუცილებელია შეიქმნას საექსპერტო კომისიები, სამუშაო ჯგუფები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. გარდა ამისა, სახელმწიფო კოორდინირებას უწევს ტურისტული ბაზრის სხვადასხვა სუბიექტების განსხვავებულ საქმიანობას მსხვილი კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შემუშავებისთვის, რომლის დანერგვას შეუძლია სერიოზული ზეგავლენა მოხდინოს ტურისტულ დესტინაციაზე.

ტურიზმის დარგის სახელმწიფო რეგულირებაში ინოვაციების შემუშავება და დანერგვა მოიცავს რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს, რომელიც ხორციელდება სახელწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ. საჭიროა: ინოვაციური პრობლემური სიტუაციის დიაგნოსტიკა, ინოვაციების პორტფელის ფორმირება, ინოვაციების დანერგვის გეგმიური ღონისძიებების რეალიზაცია,

---

[1] Инновации в туризме: Учеб. пособие для студ. высш. учеб. Заведе-ний /В.С. Новиков. - М.: Издат. центр «Академия», 2007. - 208 с.

ინოვაციების შედეგების მონიტორინგი. ცალკეული მიმართულებების მიხედვით ინოვაციების დანერგვის ამოცანების კონკრეტიზაცია. მთლიანობაში, სახელწიფო ხელისუფლების ორგანოების ინოვაციური საქმიანობა ტურიზმში, მიმართულია თანამედროვე ორგანიზაციული მართველობითი ფორმის დანერგვაზე, არსებული ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების გაფართოებაზე და ახალი ბაზრების ათვისებაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ზერიძე რ. „ინოვაციების და სტრატეგიების რეალიზაცია-მასპინძლობის ინდუსტრიაში კონკურენტული უპირატესობის მიღწევის მთავარი ამოცანა“, IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი“, 8-9 ივნისი, ბათუმი-ტრაპიზონი 2013.
2. Шумпетер Й.А. Теория экономического развития. - М.: 1983.
3. Друкер П. Инновации и предпринимательство. - М., 1992.
4. Крутик А.Б., Решетова М.В., Никольская Е.Г. Инновации и инвестиции в предпринимательстве: Учебное пособие для вузов/ Под ред. А.Б. Крутика. – СПб.: издательство ПГЛУ им. А.И. Герцена. 2008. - 927с.
5. Инновации в туризме: Учеб. пособие для студ. высш. учеб. Заведе-ний /В.С. Новиков. - М.: Издат. центр «Академия», 2010. - 208 с.
6. Guerin A-J., ,,The french initiative for innovation in tourism: how to rejuvenate supply and increase
7. the productivity of the tourism sector?” French 2014. 167-168
8. Macerinskiene A., Mikaliuniene G., ,,Reculiarities of Tourism Business Innovations“, European Journal of Tourism, Hospitality and Recreation Special Issue, Polytechnic Institute of Leiria, 2014. 231-255.
9. Хотяшева О.М. Инновационный менеджмент: Учебное пособие. - СПб.: Питер, 2010


## The role of innovations in recreational tourism management


***Rusudan Kutateladze, Professor***
***Georgian Technical University***

***Armaz Bakhtadze, PhD student***
***Technical University of Georgia***



### Summary

Tourism as a service industry and international business is an important tool for world economy development. Because of high economic and social effectiveness, it has the status of economic phenomenon. Recreational tourism includes sightseeing-entertainment programs,Tourism-recreational programs, classes of interests, and so on. Effective use of recreational potential of tourism and attracting maximum number of tourists for some time is the foundation for tourism sector development.

Innovations are important for tourism as a social-economic field as well as tourism - as well as the business administration and governmental, regional, private sector employed and public employed in tourism industry.

# სტუმარმასპინძლობის სტრუქტურული თავისებურებანი და მათი ზეგავლენა ტურიზმის განვითარებაზე

*ჩაჩავა ნინო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ფაილოძე ნინო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*ცუპონი ვიქტორია*
*პანონიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, უნგრეთი*

*გუდრუნ ნაჰრენდორფი*
*დამოუკიდებელი ექსპერტი, გერმანია*

*ხოშტარია თამარი*
*დამოუკიდებელი ექსპერტი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საქართველოში ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიკრო და მცირე ბიზნესის ხვედრითი წონა.

საოჯახო ტიპის სასტუმროების პოპულარობამ და შედარებით ლმობიერმა სახელისუფლებო პოლიტიკამ გამოიწვია მოსახლეობის ფართო დაინტერესება და ჩართულობა ამ ბიზნესში, რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ ახალ მშენებლობებთან, არამედ არსებული საცხოვრებელი ტიპის სახლებისა და საკარმიდამოების გადააზრებასა და მათი საოჯახო ტიპის სასტუმრო სივრცეებად გადაკეთების შესაძლებლობასთან.

საზღვარგარეთიდან წამოსული ტურისტული ნაკადების გაზრდამ გამოიწვია ტრადიციული ელემენტების და თანამედროვე გარემოში მათი ტრანსფორმირებული სახით წარმოდგენის მიმართ ინტერესი სასტომროების მეპატრონეებისა და მენეჯერების მხრიდან.

სოციალური ქსელების და პროფესიული ონლაინ პლატფორმების ველის გააქტიურებამ შექმნა შეფასების კრიტერიუმების ახალი სქემა საზოგადოებრივი მოწონებების მიხედვით. შეფასების სტანდარტები შეიქმნა ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა ცოდნა და გამოცდილება, ახსნა-განმარტება, ურთიერთობა.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა, ეკო - ინოვაცია, ენერგო ეფექტურობა, სტუმარმასპინძლობა, ტრადიციული სახლი.

**ძირითადი ტექსტი**

სტუმარმასპინძლობის განვითარების დინამიკაში გამოიკვეთა სერვისის პრიორიტეტებისა და მოთხოვნების გამსხვილების ტენდენცია - ფართის ერთეულზე მოსული საწოლების რაოდენობიდან დაწყებული, გაგრძელებული ნომრების რაოდენობის გაზრდის, მათი ინდივიდუალურად საშხაპე-ებითა და სანკვანძებით აღჭურვის ტენდენციით, საკუთარ მეურნეობაზე დამყარებული კომპლექ-სური მომსახურების შექმნით, შემდგომში მასთან დაკავშირებული კვებისა და სხვა აქტივობების უზრუნველყოფით და ა.შ.

სოციალური ქსელების და სტუმარმასპინძლობის სფეროში ონლაინ პლატფორმების გააქტი-ურებამ შექმნა ობიექტის შეფასების ახალი ინდიკატორები - დათვალიერებების რაოდენობის მიხედვით. ამან ხელი შეუწყო სტუმრების მოწონების მიხედვით სასტუმროების არაფორმალური რეიტინგების ჩამოყალიბებას. ზოგიერთ სისტემაში ეს არაფორმალური რეიტინგი შეფასების ოფიციალურ კრიტერიუმად იქცა. მაგალითად Airbnb-ის სისტემაში შეფასების სტანდარტის სამი მიმართულება განისაზღვრა: ცოდნა და გამოცდილება, ახსნა-განმარტება, ურთიერთობა, გარდა ამისა

მან თავის შესაფსების სისტემაში შეიყვანა ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა მასპინძლის პუნქტუალობა და დახვედრა; ექსკლუზივი ქსელის მომხმარებლებისთვის; დაჯავშნის პირობები და ვალდებულებები; სტუმრების რაოდენობის მინიმალური ზღვარის დაწესება და მათი შეფასების მეთოდიკა - გამოხატული 5 ვარსკვლავიანი სისტემით.

სტუმარმასპინძლობის სტანდარტების მასიური ინტეგრირების პროცესი მოსახლეობაში გამოწვეული იყო არა მხოლოდ სოციალური ქსელების პოპულარობით არამედ რიგი ონლაინ ინტეგრირებული პლატფორმებისა და წახალისების სხვადასხვა ფორმის შექმნით. Airbnb-ის ქსელში მაგალითად, ეს პროცესი გამოიხატა ობიექტის სტატუსით და წოდების მინიჭებით - ჰოსტის წოდება ენიჭება მფლობელს მის მიერ მინიმალური ძირითადი სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვე-ვაში; სუპერჰოსტი, ძირითადი სტანდარტების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შემთხვევაში; Airbnb plus communityის წევრობა, მაღალი დონის კომფორტისა და უსაფრთხოების შემთხვევაში, როგორიცაა სათავსოების უზრუნველყოფა ბოლისა და გაზის დეტექტორებით და ა.შ.

სტუმარმასპინძლობის სფეროს მასიურ განვითარებასა და სტანდარტიზაციას დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მოვლენებიც მოჰყვა. როგორიცაა ინდივიდუალიზმის, ტრადიციის, კულტურული თავისებურებების დაკარგვა, სახლების ერთ ყაიდაზე მოწყობა და სამოსახლო თემის, მისი საცხოვრებელი გარემოს მოშლა, ნებაყოფლობითი ჯენტრიფიკაცია.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმების წარმოჩენა და გამომუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ტრადიციული ელემენტებისა და თანამედროვე სტანდარტების სინთეზს.

ასეთი მიდგომა შეუნარჩუნებდა ქვეყანას თვითმყოფადობას, უზრუნველყოფდა ადგილის იდენტობის და მომავალი თაობისთვის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

ამ მხრივ საინტერესოა დევიდსონის კვლევა კრეატიული ბიზნესის შესახებ. მისი დაკვირვების მიხედვით სტუმარმასპინძლობის სექტორში სამი ტიპის მეწარმის გამოყოფაა შესაძლებელი. - ესენია პიონერები, გენერატორ-განმახორციელებლები და მიმბაძველები.

პიონერი მეწარმე პოულობს ურთიერთობისა და ბიზნესის წარმოების განსაკუთრებულ და ინოვაციურ ფორმას, რომელიც განასხვავებს მის საქმიანობას სხვა ტიპიური მასპინძლებისგან. მაგალითად, ისეთი ფორმების მოძიება როგორიცაა სტუმრის მეხსიერების შექმნა.

მეხსიერება იქმნება მთელი რიგი კომპონენტებით - მისასვლელით, ადგილით, ვიზუალური სურათით, სუნით, შეხებით, სამზარეულოთი, შინაგანი ხასიათის შეგრძნებით, დამოკიდებულებით, რომელსაც ავლენს მასპინძელი, ურთიერთობით გარემოსთან და საკუთარ რესურსთან მიმართებაში.

წარმატებული სტუმარმასპინძლობა ასევე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კომუნიკაციის ფორმასთან. კომუნიკაციის ფორმა შეიძლება იყოს სიტყვა, გარემოსთან ურთიერთობა და სხვა.

მეხსიერებიდან ყველაზე გვიან იშლება შინაგანი შეგრძნებები. ამიტომ ამ კომპონენტების სინთეზი ტრანსფორმირებულია ურთიერთობის შესაბამის ფორმებში.

სამცხე ჯავახეთის რეგიონის მცირე სასტუმროების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბუნებრივი პირობების როლი მათი სტუმრების არჩევანში საკმაოდ მაღალია, აღჭურვილობა შენობებისა ასევე რიგ შემთხვევებში შესაბამისობაშია მინიმალურ მოთხოვნებთან. ასევე მოქმედ სასტუმროებში სულ უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას ენერგოეფექტურ ღონისძიებებს - იყენებენ ენერგოეფექტურ სანათებს, მეტალოპლასტმასის გერმეტიულ კარფანჯრებს და შეთბუნებას აუკეთებენ შენობებს და ამით ზრდიან სამუშაო სეზონის ხანგრძლივობას. მცირე სასტუმროების ბიზნესის განვითარება დაკავშირებულია ძირითადად სახლის აღჭურვილობაზე და შიდა სივრცის სითბურ კომფორტზე ზრუნვასთან - ცხელი წყლით, გათბობით უზრუნველყოფა და სხვა. ასევე მცირე სასტუმროების ინდიკატორად დღეს შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთ სან კვანძზე და საშხაპეზე მოსული ადამიანების ან ნომრების რაოდენობა.

პიონერები და გენერატორ - განმახორციელებლები იდენტობის შესაქმნელად თავიანთ პრიორიორიტეტებს პარალელურად სხვა კომპონენტებშიც ხედავენ. ისინი კრეატიული ჯგუფია და

ზოგადად ტურიზმის განვითარების ტალკვესი, რადგან მისი განვითარების ახალ მიმართულებებს ხედავენ და ამით უკვალავენ გზას სხვებს. მათი ბიზნესის განხორციელების რისკები იმ მომენტში ძალიან მაღალია. ისინი თავისი ინოვაციის მომავალ შედეგებს ხედავენ მაშინ, როცა ბაზარზე მათ პროდუქტზე მოთხოვნა ჯერ არ არსებობს და პოტენციური ბიზნესის მხოლოდ სუსტი ნიშნები შეიმჩნევა.

სხვადასხვა ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესის ახლო და შორეულ მომავალზე გათვლები სხვადასხვა პრიორიტეტულობით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია განვითარებადი ქვეყნების პრობლემა, როცა აუცილებელია ბიზნესის გაღვივებაც და ბიზნესის განვითარების მიმართულებების რაოდენობის გაზრდა. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ინოვაციების ხელისშეწყობაც და პიონერების ინტენსიური წახალისება.

მოკლევადიან პერსპექტივაში ბაზრის სუსტ სიგნალებზე რეაგირების ინოვაცია შეიძლება გამოიხატოს არსებული პოტენციალის და ღირებულებების სწორი გააზრებით, მათი კავშირების ახალი კომბინაციის, სახსრის წარმოსაჩენად სათანადო ათვლის წერტილის ანუ მიწოდების ფორმის მოძიებით, ეს მიდგომა ხშირად მინიმალურ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირეული. ამ სახსრის მდგენლებად დაშლისას გამოიკვეთება ძირითადი მიმართულებები - სტუმარი-გარემო-მასპინძელი. ხოლო მათი ურთიერთობის ფორმა განსაზღვრავს სტუმარმასპინძლობის სივრცეს, რომელიც არის პროდუქტიცა და პროცესიც. რაც უფრო კომპლექსურია ეს პროცესი/პროდუქტი მით უფრო ინოვაციურია იდეა. ეს კომპლექსური პროცესი/პროდუქტი წარმოდგენილია სქემის სახით. (იხ. სქემა 1).




**სქემა 1. კომპლექსური პროცესი/პროდუქტი**

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს გარე კავშირების რაოდენობასა და შიდა სივრცეში მდგენლების ტრანსფორმაციის საშუალებას, როცა სტუმარი - მასპინძელი - გარემოს კომბინაციას აქვს ერთმანეთში ერთჯერადი ან მრავალჯერადი ტრანსფორმაციის უნარი. სტუმარი ტრანსფორმირდება მასპინძელში და პირიქით, მასპინძელი სტუმარში; შიდა სივრცე გარე სივრცეში ან პირიქით გარე სივრცე შიდა სივრცეში და ა.შ. რაც მეტია ტრანსფორმაციის რაოდენობა მით მეტი კომბინაციის შექმნაა შესაძლებელი და მით უფრო მაღალია კრეატიულობის კოეფიციენტი. გარდა ამისა ეს ტრანსფორმაცია პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული სერვისებსა და გარე ობიექტების კავშირების რაოდენობასთან. ამ კანონზომიერების გამოსახატად შეიძლება გამოვიყენოთ ჰაუსმანის ეკონომიკური კომპლექსურობის ორი ფორმულა

$$k_{c,o} = \sum_{p} M_{cp}$$

$$k_{p,o} = \sum_{c} M_{cp}$$

სადაც $k_{co}$ არის სასტუმროში შემოთავაზებული C სერვისების რაოდენობა, $k_{p0}$ მასპინძლის

მომსახურეობაში გარედან ჩართული P ობიექტების რაოდენობა $M_{cp}$ ამ რაოდენობების მატრიცაა, რომელიც გვიჩვენებს კავშირებისა და შიდა სერვისების სხვადასხვა კომბინაციის შესაძლებლობას.

ამ ფორმულების გამოყენება შესაძლებელია სამცხე-ჯავახეთის სასტუმროების რანჟირებისას კრეატიულობის მიხედვით, ეკონომიკური სტაბილობის კვლევებში - იმ პრობლემების დასადგენად, რომელიც განაპირობებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სავალალო ეკონომიკურ მდგომარეობას. საქსტატის მონაცემების მიხედვით ის იკავებს ერთ-ერთ ბოლო ადგილს ეკონომიკური განვითარების მხრივ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნია ტურისტული რესურსის დიდი პოტენცილი.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პიონერების რაოდენობა ამ რეგიონში ძალიან მცირეა, ერთეულებია. ძირითადად ეს ტერიტორია დაფარულია მიმბაძველების (იმიტატორების) წარმომადგენელთა ქსელით. ამიტომ, აქ სახელმწიფოს როლი მდგომარეობს პიონერების კატეგორიის წახალისებაში, მათი რაოდენობის გაზრდაში, ადაპტერების მოძებნასა და პირადად ამ ფუნქციის გატარების პოტენციალის შექმნაში.

სწორედ ზემოთ აღნიშნული ფაქტორები იყო გათვალისწინებული ეკომოუდის „ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელის განვითარების ხელშეწყობა სტუმართმასპინძლობაში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ პროექტისთვის საუკეთესო მაგალითების შერჩევისას და მათ საფუძველზე საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული პროფესიული ბიზნეს სტანდარტების ჩამოყალიბება და მიწოდება სასწავლო კურსთან ერთად.

**დასკვნა**

სტუმარმასპინძლობის სფეროს განვითარება დაკავშირებულია სერვისის ტრანსფორმაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვასთან, გარემოს თვითმყოფადობისა და არსებული ტრადიციების შენარჩუნებასთან, სპეციალისტების გადამზადებასა და კრეატიული ბიზნესის მაქსიმალურ წახალისებასთან. ადგილის იდენტობის შენარჩუნებას მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს ტექნოლოგიური სიახლეების, ახლებური მიდგომის დანერგვა, რაც დაკავშირებულია ისეთი ღირებულებებთან, როგორიცაა ადგილის რესურსების წარმოჩენა, გამოყენება, მოვლა და დაზოგვა; სითბური კომფორტის შექმნა და შენარჩუნება ორიგინალური სითბო იზოლაციისა და ოპტიმალური დაგეგმარების საშუალებით; ნარჩენების მეორადი გამოყენება, ეკო - აღჭურვილობა, კვება და მომსახურება. მრავალკომპონენტობა და სტუმარ-მასპინძლის ინტეგრირების მაღალი ხარისხი.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Marion Joppe, Michael Davidson, Robert Litman, Article "Innovation within the Australian outdoor hospitality parks industry,", in International Journal of Contemporary Hospitality Management, July, 2012.
2. the atlas of ECONOMIC COMPLEXITY , M A P P I N G PAT H S T O P R O S P E R I T Y, Hausmann, Hidalgo et al. ISBN-10: 0615546625 ISBN-13: 9780615546629
3. Darija Hays ĐurđanaOzretić-Došen, GREENING HOTELS – BUILDING GREEN VALUES INTO HOTEL SERVICES, Tourism and Hospitality Management, Vol. 20, No. 1, pp. 85-102, 2014.
4. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/hotels/Press%20release.pdf
5. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/hotels/sastumroebis%20saqmianobis%20shesaxeb_2017.pdf
6. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe
7. https://www.airbnb.com/help/article/1451/what-are-the-quality-standards-for-airbnb-experiences
8. file:///D:/Institute/Erasmus+/Ecomode2018/O1/Take_Back_the_City_A01-%20best%20practices.pdf
9. http://atlas.cid.harvard.edu/


## Structural peculiarities of hospitality and their impact on the development of tourism


*Nino Chachava, Associate Professor*
*Georgian Technical University*

***Nino Pailodze, Professor***
***Georgian Technical University***

***Viktória Csizmadiáné Czuppon, associate professor***
***University of Pannonia, Hungary***

***Gudrun Nahrendorf***
***Independent Expert, Germany***

***Tamar Khoshtaria***
***Independent Expert, Georgia***

**Summary**

The past years in Georgian Tourism and hospitality market development were identified with the growth weight of micro and small businesses in the sector.

The popularity of guest houses and the relatively luminous government policy provoked the widespread public interest and communities involvement into this business. This movement was connected not only with new constructions, but the intensive process of renovation of existing living-style houses and their transforming into family type hotels.

The growing tourist flows from abroad has increased the interest and request in traditional elements. This demand push the hosts to look for the possibilities of traditional elements, rethink, looking for their place and usage in present day and future, modern environment as well.

Social networking and professional online platforms have led to the tendency of peer review and thus the hotel's public ratings have been created according to the visitors' comments. Important attention in evaluation and standards was led to three main directions such as Expertise ( knowledge, experience), Insider access (clarification), Connection ( communication) are.

## ჰიდროენერგეტიკული ობიექტებიდან გარემოსდაცვითი წყალგაშვების რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

*ხელიძე გრიგოლი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*შატაკიშვილი ლენა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ძაგანია ნატო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია: ჰიდროენერგეტიკული ობიექტებიდან გარემოს-დაცვითი წყალგაშვების რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მდინარეთა კვების სხვადასხვა ტიპისათვის დამახასიათებელი წყლიანობის რეჟიმისთვის შემოთავაზებულია გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის განსაზღვრა წყალუხვობის და წყალმცირობის პერიოდში დიფერენცირებულად, ამასთან გათვალისწინებულია წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეთა ინტერესები.

საკვანძო სიტყვები: წყალუხვობა, წყალმცირობა, ჰიდროენერგეტიკული ობიექტი (ჰესი), წყალგაშვება, მთა, ტურიზმი

**ძირითადი ტექსტი**

ელექტროენერგიით მომარაგებაზე განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნა თანა-მედროვე საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, განსაკუთრებით არაგანახლებადი ენერგეტიკული რესურსების (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ქვანახ-შირი) შემცირების ფონზე.

ცხადია, რომ ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიება და მათი პრაქ-ტიკული რეალიზაცია, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს, მეტად აქტუალური პრობლემაა.

აღსანიშნავია, რომ ახალი მაღალეფექტური ენერგოგენერაციის წყაროების ძიებაში უმნიშვნელოვანესია ბუნების დაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება, რაც თავის მხრივ კაცობრიობის სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებისათვის არის აუცილებელი.

ამჟამად, ენერგიის ალტერნეტიული წყაროებიდან, რომლებმაც უნდა შეძლოს მომავალში არაგანახლებადი რესურსების ტოლფასოვანი ჩანაცვლება მოიაზრება მცირე ჰიდროენერგეტიკა, მზის, ქარის, ენერგიების გამოყენება, ბიოენერგეტიკა, გეოთერმული ენერგეტიკა, კრიოგენული ენერგეტიკა.

ჩვენი ინტერესის საგანია ჰიდროენერგეტიკის გავლენა გარემოზე და ამ გავლენის შემსუბუქების გზების ძიება.

საქართველოს მთაგორიანი რელიეფი და მცირემიწიანობა განსაზღვრავს ჰიდროენერგეტიკის განვითარების ძირითად გზებს, რომელიც მოიაზრება ორი მიმართულებით: პირველი, ჩამონადენის რეჟიმში მომუშავე საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა დერივაციული სქემით, როცა წყალაღება ხორციელდება დაბალდაწნევიანი დასაშლელი კაშხლების საშუალებით, ან ფსკერული წყალმიმღებებით (კაშხლის გარეშე), მეორე - კაშხლიანი მარეგულირე-ბელი წყალსაცავების მქონე ჰესებით, რომელთა განხორციელება მიზანშეწონილია მდინარეთა სამთო უბნებზე, ვიწრო ღრმა ხეობებში, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე და მისი სამეურნეო აქტივობა პრაქტიკულად უმნიშვნელოა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთი მარეგულირებელი ჰესების არსებობა აუცილებელია ქვეყნის ენერგოსისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის - პიკურ ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ცხადია, რომ ჰიდროენერგეტიკული ობიექტების გარემოზე ზემოქმედება უნდა იქნეს მინიმიზებული, ჰიდროენერგეტიკული რესურსების მაქსიმალურად გამოყენების პირობებში. ერთი შეხედვით ამ თითქმის ერთმანეთის გამომრიცხავი პირობების გადაწყვეტა აუცილებელია და იგი შესაძლებელია წყალდენის რეჟიმში მომუშავე ჰესებისთვის იმ პირობით, რომ დაცული იქნება

გარემოსდაცვითი წყალგაშვების პირობა, რომელიც გაანგარიშებული იქნება ყველა გარემოსდაცვითი ფაქტორისა და ჰესის ეფექტური ფუნქციონირების პირობების ერთობლივი თანაბარი ხარისხით გათვალისწინებით, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საფრთხე შეექმნას ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და მეტიც, აქედან გამომდინარე, საწარმოო-საყოფაცხოვრებო სფეროს ნორმალურ ფუნქციონირებას, ანუ საზოგა-დოების მდგრად განვითარებას. ამიტომ ჰიდროენერგეტიკის განვითარება უნდა განხორციელდეს ისე, რომ ბუნებას რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს.

საქართველოს მდინარეებისათვის გამოიყოფა კვების შემდეგი რეჟიმები:

1. მდინარეები ზაფხულის წყალდიდობებით უპირატესად მყინვარული წყლებით იკვებება, რომლებსაც ემატება მყინვარების ზონაში მოსული ნალექები წვიმების და თოვლის სახით;
2. მდინარეები გაზაფხული-ზაფხულის წყალდიდობებით. ამ მდინარეებს ახასიათებს შერეული კვება (მყინვარების, თოვლის და წვიმის წყლების);
3. მდინარეებს გაზაფხული-ზაფხულის წყალდიდობებით და თავსხმა წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნებით წლის განმავლობაში ახასიათებს შერეული: მყინვარებით, თოვლით და წვიმებით კვება. თუმცა მყინვარებით კვების შემდგენი მცირეა კვების სხვა სახეობებთან შედარებით;
4. მდინარეები გაზაფხულის წყალდიდობებით და ზაფხულ-შემოდგომის წყალ-მოვარდნებით. ამ ტიპის მდინარეებს ახასიათებს თოვლით და წვიმებით კვება;
5. მდინარეები, რომლებიც ხასიათდებიან წყალმოვარდნის რეჟიმით თოვლით და, უპირატესად, წვიმით კვებით (მათ არ გააჩნიათ გამოკვეთილი წყალდიდობის რეჟიმი). ამ მდინარეებში დონე იცვლება წლის განმავლობაში წვიმების ინტენსიურობის მიხედვით;
6. მდინარეები ზაფხულის წყალდიდობით და შემოდგომის წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნებით;
7. მდინარეები გაზაფხულის წყალდიდობებით, ტბებიდან, გრუნტის წყლებით და წყაროებიდან კვებით. ამ ტიპის მდინარეები გამოირჩევა თანაბარი წყლიანობით წყალდიდობის პერიოდის გარდა;
8. მდინარეები გაზაფხული-ზაფხულის წყალდიდობებით.

მდინარეთა კვების სხვადასხვა ტიპებისთვის დამახასიათებელი ჰიდროგრაფებისანალიზიდან ჩანს, რომ ზემოთ განხილულ 1, მე-2, მე-3, მე-6 და მე-8 ტიპის მდინარეებისათვის წყალუხვი პერიოდის ჩამონადენი შეადგენს წლიური ჩამონადენის არანაკლებ 60%-ს და კონცენტრირებულია გაზაფხულ-ზაფხულში და, ამასთან, წყალუხვობის პერიოდის წყლის ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებს წლის დანარჩენი პერიოდის წყლის ხარჯებს.

ამ ტიპის მდინარეებისთვის წყალმცირობის პერიოდში გარემოსდაცვითი წყლის ხარჯი შესაძლებელია მიღებული იქნეს დაკვირვებული მინიმალური წყლის ხარჯის საშუალო მნიშვნელობაზე (არსებული დაკვირვებების რიგის შესაბამისად), ხოლო წყალუხვობის პერიოდში - ამავე პერიოდის თითოეული თვის საშუალო თვიური წყლის ხარჯის 10%-ზე არანაკლები.

მე-4 და მე-7 ტიპის მდინარეებისთვის რომელთა წყალუხვი პერიოდის ჩამონადენი სრული წლიური ჩამონადენის 50%-ის ფარგლებშია, წყალმცირობის პერიოდში გარემოსდაცვითი წყლის ხარჯი შესაძლებელია მიღებული იქნეს ამ პერიოდის თითოეული თვის მინიმალურ წყლის ხარჯზე (არსებული დაკვირვებების რიგის შესაბამისად), ხოლო წყალუხვობის პერიოდში - ამავე პერიოდის თითოეული თვის საშუალო თვიური წყლის ხარჯის 10%-ზე არანაკლები.

მე-5 ტიპის მდინარეებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ გამოკვეთილი წყალდი-დობის რეჟიმი, გარემოსდაცვითი წყლის ხარჯი შეიძლება მიღებულ იქნეს თითოული თვის საშუალო თვიური წყლის ხარჯის 10%, მაგრამ არანაკლები დაკვირვებული მინიმალური წყლის ხარჯის მნიშვნელობაზე.

გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის შემოთავაზებული შეფასება, ძირითადად, ეყრდნობა მდინარეთა კვების სახეობით განპირობებულ წყლიანობის რეჟიმების დამახასიათებელ თავისებუ-რებებს. იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს დაპ-როექტების წინასწარ სტადიაზე გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის შეფასების მიზნით.

კონკრეტული ჰიდროენერგეტიკული ობიექტებისათვის გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს მისი განმსაზღვრელი ეკოლოგიური ფაქტორების შესწავლა, როგორიცაა: წყალაღების კვეთსა და ჰესის შენობას შორის მდინარის მონაკვეთის უბნის ზონაში მოსახლეობის სიმჭიდროვე,წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეთა მოთხოვნა სასმელ და სარწყავ წყალზე მითითებულ არეალში, მდინარის ბუნებრივი წყალდენის რეჟიმის ცვლილების გავლენა მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე, იხტიოფაუნაზე და წყალმცენარეებზე, ჩამდინარე წყლების გავლენა წყალსადინარის ეკოლოგიურ (დაბინძურების დასაშვებ ზღვრებში შენარჩუნებაზე) მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვით წყლის ხარჯის დადგენის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს სიდიდე უნდა განსაზღვრული იქნეს ექსპლუატაციაში მყოფი და ასაშენებელი ჰესებისთვის დიფერენცი-რებულად.

საქართველოს ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების უმრავლესობა მთიან ზონაში, ტყისა და სუბალპური ლანდშტაფის გარემოცვაში მდებარეობენ და აქვთ ტურიზმის მსხვილ ობიექტებად გადაქცევის პრესპექტივა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Владимиров Л.А., Шакарашвили Д.И., Габричидзе Т.И. Водный баланс Грузии. Тбилиси, изд-во „Мецниереба“, 1974 г., 182 с.


## Quantitative assessment of environmental water remediation from hydroelectric facilities in accordance with different factors


*Grigol Kheildze, Professor*
*Georgian Technical University*

*Lena Shatakishvili, Associate Professor*
*Georgian Technical University*

*Nato Dzagania, Associate Professor*
*Georgian Technical University*



### Summary

The article discusses: quantitative assessment of environmental protection against hydroelectric sites in accordance with different factors. The diversification of environmental water is proposed to differentiate the water supply and water drainage, and the interests of the participants of the water complex are also considered.

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 25.07.2019. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.07.2019. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27. №3068.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent